

სარგის კაკაბაძე

შოთა რუსთავედი
და
მისი ვეფხისტყაოსანი

განათლება

1966

ქართული ლიტერატურის უბრწყინველესი ნაწარმოებთ — ვეფხისტყაოსანი — თავისი გენიალური სიდიადითა და ნოვატორული იდეებით. სამართლიანადაა მიჩნეული ერთ-ერთ შედევრად მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისითაც, ხოლო მისი ლამაზი, მსუბუქი და სადა ენა სანიმუშოზე სანიმუშოა მთელ ძველ ქართულ მწერლობაში. ამიტომაც ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივი შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, შეადგენს ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების არა მარტო მოვალეობას, არამედ ღირსების საქმესაც. ბუნებრივია, რომ ამ მიზეზით ახლა ჩვენში არსებობს სპეციალური სამეცნიერო დისციპლინაც — რუსთველოლოგია.

რუსთველოლოგიის მთავარი პრობლემებია: 1) ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული დადგენა, 2) პოემის სიუჟეტური წარმოშობის საკითხი, 3) პოეტის ბიოგრაფიული მონაცემების მიგნება და დაზუსტება, 4) პოეტის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის შესწავლა და მათი სათანადო გაშუქება იმდროინდელ კულტურულ და სოციალურ გარემოცვასთან დაკავშირებით. ამ საკითხთან ვეფხისტყაოსნის ასე თუ ისე ახლად დადგენილი ტექსტი ცალკე გამოცემას მოითხოვს. ხოლო დანარჩენ საკითხთან, რომელთა უმეტესს ჩვენ მეტნაკლებობით ვეხებით, ერთ-ერთი მთავარი საკითხია რუსთაველის ვინაობის შესახებ¹. ამ საკითხს ვეფხისტყაოსნის შემეცნებისათვის და შესაფასებლადაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ის ყოველთვის იქცევა სპეციალისტთა დიდ ყურადღებას, მაგრამ მისი სათანადოდ და დამაჯერებლად გარკვევა, საკითხის სირთულის გამო, არ ხერხდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ შოთას შესახებ დღეს უკვე საკმაო მასალები მოგვეპოვება, რაც საშუალებას გვაძლევს კვლევა-ძიება უფრო ნაყოფიერად ჩავატაროთ.

რუსთაველის ბიოგრაფიის დადგენა ქართული ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა და ჩვენც სწორედ ამით ვიწყებთ წინამდებარე ნაშრომს.

¹ თუ რამდენად აქტუალურია ეს საკითხი, ჩანს ალ. ხახანაშვილის სიტყვებიდან, რომელნიც მას დაწერილი აქვს 70 წლის წინად: „Отсутствие о Руставели полных биографических данных в глазах некоторых секптиков, умяляющих, по незнанию вопроса, значение грузинской литературы, служило достаточным доказательством той мысли, что Руставели миф или, в лучшем случае, поэт позднейшей эпохи, первое упоминание о котором находим будто бы в письменных памятниках лишь XVII столетия“ (А. С. Хаканов, Очерки по истории грузинской словесности, вып. II, М., 1897, стр. 247).

I. საბითხი ჩუსთაველის წარმომავლობის შესახებ ლიტერატურაში დროისა და ადგილის მხრივ

1. აზრები ჩუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ ლიტერატურაში ვეფხისტყაოსნის პროლოგი, როგორც ცნობილია, მტკიცედ აკავშირებს ჩუსთაველს თამარ მეფის ხანასთან (თამარი მეფობდა 1184—1207 წლებში, სხვა ქრონოლოგიით 1184—1213 წლებში). ამ საკითხის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობდა ორი ძირითადი შეხედულება: პოზიტიური და დაეჭვებითი.

პოზიტიური შეხედულება შოთას მოღვაწეობას ზოგადად აკუთვნებდა თამარის ხანას, თუმცა არ ჩერდებოდა დეტალებზე, რადგანაც არავითარი ცნობა შოთას ცხოვრების დროის შესახებ არ არსებობდა გარდა იმისა, რომ თვით შოთა პოემის პროლოგსა და ეპილოგში იხსენიებს თამარ მეფესა და მის ქმრად საგულისხმებელ დავით მეფეს.

მეორე შეხედულება, სახელდობრ დაეჭვებითი, რომ შოთა ჩუსთაველს არ ცნობდებოდა თამარის დროს, სხვა ძოსაზრებათა გარდა, პირველ რიგში გამოიწვია ვეფხისტყაოსნის ეპილოგში მოთავსებულმა ცნობილმა სტროფმა:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა;
აბდულ-მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა;
დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა
და ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

ამირან-დარეჯანიანის მეორე რედაქციის პროზულ ტექსტს ზოგ ხელნაწერში ჰქონია გლოსა, რომ ის დაწერილია თამარ მეფის დროს, ხოლო „დილარგეთიანის“ ავტორი სარგის თმოგველი ხსენებულ სტროფში იხსენიება როგორც „ენა დაუშრომელი“. ასეთი ცნობა უდგება 1240—1260 წლების მოღვაწის სარგის თმოგველის დახასიათებას მემატიაანის მიერ, რომ იგი იყო

„კაცი შეცნიერი, ფილასოფოსი და რიტორი“. ციტირებულ სტროფში კი შოთა რუსთაველი მოხსენებულია ამ სარგის თმოგველის შემდეგ. ამიტომ გამოდიოდა თითქოს თმოგველის ლექსითი დილარგეთიანი დაწერილი უნდა ყოფილიყო ვეფხისტყაოსანზე ცოტა ადრე.

გარდა ამისა — ვეფხისტყაოსნის გაგრძელებაში შეტანილი იყო ასეთი სტროფი, რომელიც მე მიმაჩნია როგორც შოთასეული და ნამდვილი:

ეს ამავე დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,...

მე ენახე და მას (ე)უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად და სხე.

(ამ სტროფის შესახებ იხ. ქვემოთ). ეს სტროფი აგრეთვე ხელს უწყობდა თეორიის წარმოშობას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თითქოს თამარ მეფის ხანაზე გვიან უნდა ყოფილიყო დაწერილი.

ხსენებული მოსაზრებები აპირობებდნენ როგორც „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროის გადმოტანას თამარ მეფის აქეთ ხანისაკენ, ასევე დაქვევას იმის შესახებ, ხომ არ იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი სარგის თმოგველი და არა შოთა რუსთაველი. ასეთი დაქვევანი ამა თუ იმ არგუმენტაციით და სხვადასხვა სახით გამოთქმული ჰქონდა ჯერ ამ სტრიქონების დამწერს (1911¹, 1913, 1924 წლებში), შემდეგ ნ. მარს (1916 წ.) და კ. კეკელიძეს (1931 წ.).

ამ სტრიქონების დამწერი იმ დროს (1911—1913 წლებში) თავისი აზრის თანდათან შესწორებით დაბოლოს (1913 წელს) ანვითარებდა იმ დებულებას, რომ ვეფხისტყაოსანი XIII საუკუნის შუა ხანებში უნდა ყოფილიყო დაწერილი სარგის თმოგველის მიერ, ხოლო შოთა იყო მეორე თუ მესამეხარისხოვანი პოეტი, ვეფხისტყაოსნის გაგრძელების დამწერი და XV საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები. ამასთანავე ეს შოთა მაინც მიჩნეული იყო როგორც მესხი, თუმცა შეიძლება თვით სახელი რუსთაველი წარმოშობილი ყოფილიყო თბილისის სამხრეთით მდებარე ქალაქ რუსთავისაგან, რომელიც შესაძლოა შოთას მფლობელობაში იყო. მაგრამ, ვინაიდან ეს რუსთაველი XII ს-ნის მიწურულიდან ზაქარია მხარგრძელს ეკუთვნოდა, ამიტომ შეიძლება XV ს-ნის შოთაც თავისი წარმოშობით დაკავშირებული ყოფილიყო მხარგრძელთა გვარეულობის ერთ-ერთ შტოსთან და კერძოდ თმოგველებთანო. შესაძლებელია შოთა თმოგველთა გვარის ახლო ნათესავი ან ამ გვარეულობის ერთი შტოს წევრიც იყო².

¹ С. Н. Кляк а б а д з е, Черты феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков (лекция 1911 года), Т., 1912 г.; აქ შოთა დასახელებულია როგორც XIV საუკუნის ავტორი.

² ვეფხისტყაოსანი, ნამდვილი და ჩანართი, ს. კაკაბაძის გამ., ტფ. 1913 წ., შესავალი წერილი, გვ. 64—66 და სხვ.

შემდეგში, სახელდობრ 1924 წელს, წერილში „ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო“ ჩვენ ვეფხისტყაოსნის არსებით ნაწილს მივიჩნევდით სხვა სარგის თმოგველის მიერ დაწერილად დიმიტრი თავდადებულის შვილის დავით VII-ის დროს 1292—1297 წლების ახლოს. ხოლო შოთა, რომელიც აქ პოემის პირველი გაგრძელების და აგრეთვე პროლოგის ავტორად გამოდიოდა, ჩავთვალეთ XIV საუკუნის პირველ მეოთხედში მცხოვრებ პირად. პოემის პროლოგში მოხსენიებული თამარ მეფე გაავივივით გიორგი მცირის ცოლ თამართან, რომელიც უკვე დაქვრივების შემდეგ თავის შვილ მელქისედეკთან ერთად საქართველოს მმართველად იხსენიება ოპანუ-ვანქის წარწერაში (სომხეთში) 1320 წლის ახლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წერილში შოთას ბიოგრაფიისათვის გამოყენებული იყო სამცხეში ჩვენ მიერ 1923 წელს ჩაწერილი ზეპირგადმოცემითი ცნობები. ამ და პოემის ეპილოგში მოთავსებული ცნობის საფუძველზე („ვსწერ ვინმე მესხი მელექსე“) ჩვენ ვუარყოფდით შოთას რაიმე სახით დაკავშირებას კუხეთის რუსთავთან და ვასკენდით, რომ „შოთა მართლაც მესხი უნდა ყოფილიყო და მისი სახელიც დაკავშირებული ჩანს სამცხეში მდებარე რუსთავთან“¹.

1916 წელს ნ. მარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შოთა სარწმუნოებით მაჰმადიანი იყო და XIV საუკუნეში ცხოვრობდაო. შემდეგ ნ. მარმა ეს აზრი უარყო.

1927 წელს ვეფხისტყაოსნის ჩვენს მეორე გამოცემაში ვეფხისტყაოსნის ავტორად კვლავ შოთა რუსთაველს ვაღიარებდით, ეწერდით, რომ შოთამ თავისი პოემა დაწერა 1196—1197 წლების ახლოს, რომ ის იყო ჩახრუხაძის ძმა და საქართველოდან გადახვეწილი თითქოს დაილუპა სამშობლოში დაბრუნების დროს (1202 წლ. ახლოს).

1931 წელს კორნელი კეკელიძემ კვლავ წამოაყენა დებულება ვეფხისტყაოსნის ავტორად XIII ს-ის სარგის თმოგველის მიჩნევის შესახებ. ამ აზრს ის შერჩა კარგახანს, მაგრამ შემდეგ მან აზრი შეიცვალა და პოემის ავტორად კვლავ შოთა რუსთაველს თვლიდა, მაგრამ ვეფხისტყაოსანს 1230-იან წლებში დაწერილ ნაწარმოებად გულისხმობდა.

უკანასკნელად, 1960 წელს აგვისტოში, მოსკოვში მსოფლიო ორიენტალისტთა კონგრესზე წაკითხულ მოხსენებაში უცხოელი ქართველოლოგების (დავ.

¹ ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტორიო მოამბე, 1924 წ., ტ. 1, გვ. 121—166.

ლანგის) მიერ გამოთქმული იყო აზრი ვეფხისტყაოსნის ძირეული ნაწილისა და მისი პროლოგის XIV ს-ნეში წარმოშობის შესახებ. ასეთი დაეჭვების წარმოჩენა განვილილ ეტაბათა შემდეგ შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ შოთა რუსთაველი წინ უსწრებს თავის დროს ზოგ რამეში და დასავლეთის ქვეყნებისთვისაც ნოვატორად გამოდის (შეად. ქვემოთ § 41).

აზრთა ასეთი ცვალებადობა აიხსნება იმით, რომ თვით პოემა მარტოოდენ თამარის სახელის გარდა არ იძლეოდა უდავოდ მისაჩნვე მასალას პოემის დაწერის დროისა და თვით შოთას ვინაობის შესახებ. ასეთი იყო მდგომარეობა ამ ორმოციოდე წლის წინათ და უფრო ადრე. მაგრამ ამ ორმოცი წლის განმავლობაში შოთას პიროვნების შესახებ აღმოჩნდა შემდეგი ახალი მასალები: 1) 1923 წელს ჩვენ მიერ სამცხეში ჩაწერილი გადმოცემანი შოთას შესახებ, 2) გადმოცემანივე ჩაწერილი ახალი დეტალებით ცოტა უფრო გვიან (1930-იან წლებში) იმავე მხარეში ს. მაკალათიას მიერ, 3) იოსებ მეგრელიძის მიერ ჩაწერილი გადმოცემანი, 4) ნიკ. ნათენაძის მიერ ჩაწერილი გადმოცემანი, 5) ვეფხისტყაოსნის ტექსტის ახლად დამუშავებული დაბოლოება ხელნაწერების მიხედვით (იხ. პოემის ჩვენი გამოცემა 1927 წლისა), რაც ეპილოგში იძლეოდა ახალ ძვირფას ცნობას შოთას შესახებ, 6) იერუსალიმის ჯვარის მონასტრისეული შოთას პორტრეტის აღდგენა იერუსალიმში გაგზავნილი ექსპედიციის წევრების ირ. აბაშიძის, გიორგი წერეთლის და აკ. შანიძის მიერ და მისი ზუსტი ფოტოს მოპოება 1960 წელს და 7) იმავე მონასტრის ალაპების წიგნის ტექსტის ახალი გამოცემა 1962 წელს ელ. მეტრეველის მიერ სრული ფოტოპირების დართვით.

კვლევა-ძიების მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა ჩახრუხადის შესხმის გამოყენების ცდებს შოთას ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალისათვის.

ამგვარად დაგროვდა საკმაოდ ბევრი ფაქტობრივი მასალა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დამატებითი ძიებათა გამოყენებით, შოთას ბიოგრაფია უფრო მეტი საბუთიანობით გავარკვიოთ, ვიდრე ეს, ვთქვათ, ნახევარი საუკუნის წინ იყო შესაძლებელი.

2. აზრები რუსთაველის საღაურობის შესახებ. პირველად XIX საუკუნეში ეს საკითხი დააყენა თეიმურაზ ბატონიშვილმა. ვეფხისტყაოსნის კომენტარებში ის წერდა:

„შოთა რუსთაველი იყო უკუეკამსა უდიდებულესისა დიდის მის და ღირს-სახსოვარისა შეფისა თამარ გიორგის ასულისა, თვითმპყრობელისა სრულიად ყოვლისა გიორგისა, რომელ არს ივერია, ესე იგი ყოველი საქართველო და იყო იგი მეჭურჭლეთ-უხუცესი, ესე იგი მოღარეთ-უხუცესი (რომელ არს ფინან-

ციის მინისტრი). იყო იგი მთავარი რუსთავისა. რუსთავი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა. ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ბოსტან-ქალაქი. ეს ქალაქი არს ჰერეთისა, ესე იგი ვარე კახეთისა მამულნი... ტფილისიდან გაღმით მტკვრის პირსა ზედა მდგომარე არს რუსთავი... შოთა რუსთაველი იყო დიდებულითა და აზნაურთა წარჩინებულთა შთამომავლობისა, მთავარი რუსთავისა და პალატსა შინა მეფეთასა დიდად პატივცემული და სახელოვანი მოღარეთა ანუ მეჭურჭლეთა უხუცესი“...

ამგვარად, თეიმურაზის აზრით, შოთა არის ჰერეთის (უნდა იყო კუხეთის) რუსთავის მფლობელი და, ცხადია, წოდებულობაც რუსთველი მას ამ ქალაქიდან უნდა ჰქონდეს მიღებულიო. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ თეიმურაზი არ ამბობს, რომ შოთა წარმოშობით ჰერეთის რუსთავიდან იყო.

თეიმურაზის ეს ცნობა სრულ გაუგებრობაზეა აგებული, რადგანაც ვახტანგ ორბელიანის და სხვათა მიხედვით საქართველოს სამეფო სახლში თავიდანვე არსებული გადმოცემით შოთა იყო მესხი და წარმოშობით სამცხის რუსთავიდან. საიდან აიღო თეიმურაზ ბატონიშვილმა ცნობა შოთას წარმომავლობის შესახებ კუხეთის (კახეთის) რუსთავიდან, სავსებით გაურკვეველია, რადგანაც ასეთი გადმოცემა, როგორც ეტყობა, არც არსებულა. ჩანს, თეიმურაზმა აქ შემთხვევით დაუშვა უნებური შეცდომა, მაგრამ თეიმურაზ ბატონიშვილის ამ შემთხვევითმა დებულებამ ბევრი შეიყვანა შეცდომაში.

ამასთანავე, როგორც გამოიჩვენა, ადრევე მ. ბროსეც, ცხადია თეიმურაზ ბატონიშვილის გაგლენით, ფიქრობდა, რომ შოთა რუსთაველი შეიძლება ყოფილიყო 1239—1240 წლის ახლოს, რუსუდან მეფესთან მონღოლთა მიერ მოსარიგებლად (შანშე, ავგა და ვარამ მხარგრძელებთან ერთად) გაგზავნილი „ჰერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა სიშავისათვის კუპრობით უწყობდეს“. ამ ცნობის არშიაზე მ. ბროსეს თავისი გამოცემის ძირითად ხელნაწერში ფრანგულად მიწერილი ჰქონია: Chotha (Rousthaveli), ce doit être notre poète, car il issu de Rousthavi près du Cakheth — „შოთა (რუსთაველი), ეს უნდა იყოს ჩვენი პოეტი, რადგანაც ის წარმომავლობდა კახეთის ახლოს მდებარე რუსთავიდან“ (ქართლის ცხოვრება, II ნაწ., თბ., 1959 წ., გვ. 192, შენიშვნა).

ამავე აზრისა იყო, ცხადლივ იმავე თეიმურაზ ბატონიშვილზე დამყარებით, პლ. იოსელიანიც. მისი სიტყვით (გაზ. „Кавказ“, 1870, № 13), შოთა წარმოშობით უნდა ყოფილიყო კუხეთის ქალაქ რუსთავიდან (ბოსტან-ქალაქიდან).

შოთა რუსთაველის გაიგივება ჰერეთის ერისთავ შოთა კუპრთან წარმოადგენს ძირითად თეზისს პ. ინგოროყვას შრომებისას შოთა რუსთაველის პიროვნების შესახებ (რუსთველიანა, 1926 წ., რუსთველიანას ეპილოგი, მნათობი, 1963 წ., № 3—7 და ორივე ერთად მისი შრომების I ტომში, თბ., 1963 წ.). მისი უკანასკნელი აზრით, ვეფხისტყაოსანი დაწერილია 1196—1207 წლებში, თვით შოთა კი დაიბადა 1166 წელს და გარდაიცვალა 1250 წლის ახლოს ღრმად მოხუცებული.

რუსთველიანას ისტორიული ნაწილის ერთადერთ გამოხმაურებას მაშინ (1926—1927 წელს) და შემდეგაც წარმოადგენდა ჩვენი წერილი (ეურნალი მნათობი, 1927 წ., XI—XII, გვ. 241—253; კ. კეკელიძის წერილი იმავე წლის მნათობში, № 2 უმათერესად უარყოფითად აფასებდა პ. ინგოროყვას დებულებას შოთას მანიქველობის შესახებ). ეს ჩვენი წერილი ცხრა გვერდის მოცულობით შემდეგ საკითხებს ეხებოდა:

1. „პ. ინგოროყვა ფიქრობს, — ვწერდი მე, — რომ შოთა, ვეფხისტყაოსნის დამწერი, არის იგივე შოთა ჰერეთის ერისთავი (კუპრად წოდებული) და ამ დებულებას ასაბუთებს რამოდენიმე მოსაზრებით, რომელიც ისტორიული მისაღების ვერგაგებაზეა დამყარებული. ავტორს, მაგ., ჰგონია, რომ რუსთავი და უინვანი... გადაეცა ჰერეთის ერისთავს გრიგოლის ძე ასათს, როდესაც მან ითხოვა „არაოიანისა ადგილსა დაჯდომა სისთაულითა“ (თამარის პირველი მატიანის ცნობა). ავტორი ვრცლად ამტკიცებს, რომ არიში იგივე რუსთავია და არიშიანი კიდევ რუსთავის პატრონს ეწოდებოდაო.

ნამდვილად კი ცნობილია, რომ ციხე არიში, მატიანე ქართლისაის ერთი ცნობით, რომელიც მოჰყავს პ. ინგოროყვასაც, გავაზის ახლოს მდებარეობდა. და მართლაც კახეთში ახლანდელს ქვემო და ზემო გავაზის ხაზის აღმოსავლეთით დაახლ. 8 კმ-ზე რუკებზე აღნიშნულია არიშის-წყალი (ალაზნის შენაკადი), რომლის ნაპირზე ძველად მდებარეობდა არიშის-ციხე. სოფ. ზემო გავაზთან, აწინდელ ახალ-სოფელთან ახლოს, მართლაც ახლაც მდებარეობს სოფელი არეში ამჟამად ხუნძებით (ავარელებით) დასახლებული. არიშიანთა სამფლობელოც, მაშასადამე, ამ რაიონში იყო. პ. ინგოროყვა შეცდომაში შეიყვანა რუსთავის ახლანდელმა თურქულმა სახელმა რიშა-კალა (რიშას ციხე). მაგრამ ცხადია, რომ რიშა აქ არის ტერმინის რუსთავის პირველი ნახევრის (რუს) თურქულ ნიდაგზე გადაკეთებული ფორმა. ცხადია ამიტომ, რადგანაც პ. ინგოროყვა ჰერეთის ერისთავებზე რუსთავის მფლობელობის გადასვლას ამ „არიშიანთა ადგილის“ საკითხს უკავშირებს, ავტორის მთელი კონცეფცია ამ შემთხვევაში, როგორც ნიდაგამოცლილი, ჰაერში რჩება.

2. პ. ინგოროყვა ამტკიცებს (გვ. 185 და სხვ.), რომ ჭიაბერის ცნობილ სიგელზე ხელისმომწერი შოთა თითქოს ჰერეთის ერისთავი იყოს. მაგრამ „ჟინვანის ციხე ვახუშტის მიხედვითაც მდებარეობდა არაგვზე (ანანურთან ახლოს და მისი სამხრეთით) და საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიის დიდი უცოდინარობა იქნება, რომ ჟინვანი თუნდაც მე-12—13 ს-ნეში ჰერეთის ერისთავთა სამფლობელოს მიეკუთვნოთ, როგორც ამას სჩადის პ. ინგოროყვა“.

3. პ. ინგოროყვას „კონცეფციისათვის საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ერთს მსხვილ შეცდომას, რომლის გარკვევა მარტო თავისთავად, სხვა შეცდომების გარეშეც, პ. ინგოროყვას შრომას, სამწუხაროდ, საფუძვლიანად არყევს. ავტორი შოთას სთვლის ჰერეთის ერისთავის შვილად და აგრეთვე ჰერეთის ერისთავადაც („შოთა კუპრი“), რომლის მფლობელობაში არის რუსთავიც. ავტორი დარწმუნებულია, რომ ჰერეთი მტკვრის (კუხეთის) და რუსთავის ხაზის აღმოსავლეთით მდებარეობდა. მაგრამ ეს არის დიდი შეცდომა“.

შემდეგ მოტანილია დამტკიცება იმისა, რომ კახეთის სამხრეთით არაგვ-მტკვრის აღმოსავლეთით მდებარეობდა კუხეთი, რომლის ფარგლებში შედიოდა ივრის-პირი. კუხეთის აღმოსავლეთით ვიდრე ალაზნამდის მდებარეობდა კამბეჩანის, ხოლო კამბეჩანის აღმოსავლეთით ალაზნანს გაღმა იწყებოდა უკვე ჰერეთი. „ამის შემდეგ ცხადი ხდება, თუ რამდენად დიდი შეცდომა მოსდის პ. ინგოროყვას, როდესაც რუსთავს ჰერეთში ათავსებს და თვით ამ რუსთავს ჰერეთის ერისთავების კუთვნილებად აცხადებს“...

თბილისის მხარის რუსთავი მდებარეობდა კუხეთში და არა ჰერეთში.

4. პ. ინგოროყვა ამტკიცებს, რომ ჰერეთის ერისთავები გრიგოლის-ძენი ბაგრატოვანები იყვნენ, მაგრამ საამისოდ არ არსებობს არავითარი საბუთი. „ჰერეთის ერისთავთა გენეალოგიას ავტორი იწყებს „აღმოსავლეთ-ჰერეთის (I) XI ს-ნის დამოუკიდებელი მეფის“ გრიგოლ I-დან. ჭრე ერთი ამ გრიგოლის, რომლის შვილები ასამ და შოთა იხსენიებიან დავით აღმაშენებლის დროს, „მეფედ“ მოხსენიება უსაბუთოა. ასეთი „მეფე“ ნამდვილად არ არსებობდა, მაგრამ გარეშე ამისა ბაგრატოვანთა ერთი შტო XI ს-ნემდის ჰერეთში კი არ იჭდა, არამედ კამბეჩანში. ამასთანავე კამბეჩანში მობინადრე ბაგრატოვანთა ერთი შტოთაგანნი ხორნაბუჯის ბატონები იყვნენ, როგორც ეს გარკვევით ჩანს. სუმბატ დავითის ძის ცნობიდან, ხოლო პ. ინგოროყვას მიერ დასახელებული აღმოსავლეთ-ჰერეთის მეფე (!) გრიგოლი და მისი შვილები გიშელები იყვნენ“ XI ს-ნის პირველ ნახევარში, სუმბატ (მეჭრონიკეს) დროს, ხორნაბუჯის ბატონები ბაგრატიონთა სახლის შვილები იყვნენ. მაგრამ შემდეგ ბაგრატოვანები.

აქაც გაქრნენ (თამარ მეფის დროს ხორნაბუჯის ბატონი იყო საღირ მახატელის ძე გვ. 247).

5. შოთა კუპრის ეპითეტი არ შეიძლება თვითნებურად გადაკეთებულ იქნას კუპარად (ამას აღნიშნავდა კ. კეკელიძე). კუპარა მოგონილი სიტყვაა.

6. სავსებით უსაფუძვლოა ხელოვნურად მიღებული სიტყვის მიხედვით შოთას მანქვევლობაზე ლაპარაკი, რომ თვით სიტყვა მანი პ. ინგოროყვამ მიიღო სიტყვის მუნ (იქ) ნებისმიერად გადამახინჯებით; მოგონილია აგრეთვე პოეტის ბარამან მანის არსებობა.

7. აძიკვის ბარელიეფის შოთა უცნობი პირია და არ შეიძლება მისი გაიგივება შოთა რუსთაველთან.

8. შოთას ხელნაწერულ პორტრეტზე რამაზ მდივანბეგის მინაწერი ერეკლე II-ის დროინდელია და არა XV ს-ნის, როგორც სავსებით გაუგებრად ფიქრობს პ. ინგოროყვა (ყველაფერი ეს იხ. მნათობი, 1927 წ., XI—XII, გვ. 244—252).

პ. ინგოროყვას არც მაშინ (1928 წ.) და არც ახლა არ უარუყვია ჩვენი ხსენებული წერილის დებულებათა საბუთიანობა, რომელიც ამიტომ ახლაც კვლავ ინარჩუნებს მისი „რუსთველიანას“ ძირითადი თეზისების უარყოფელ ძალას. ამგვარად საკითხი შოთას სახელწოდების წარმომავლობის შესახებ თბილისის პირა რუსთავეისგან უარყოფილ უნდა იქნას¹.

შოთას ვინაობის შესახებ 1927 წელს ვეფხისტყაოსნის მეორე გამოცემაში ჩვენ ასეთ დასკვნამდე მივედით: შოთა იყო ჩახრუხასძე, მაგრამ თორელთა წარჩინებული გვარისგან. მამა შოთასი უნდა ყოფილიყო თორელის ჭიანჭურის უფროსი შვილი ჩახრუხასძის შტოსგან. ეს ის ჭიანჭურია, რომელიც დემნა ბატონიშვილის აჯანყების დროს 1178 წელს მეჯინბეთუხუცესი და თავისი გამზრდელის გიორგი III-ის ერთ-ერთი აქტიური მომხრე იყო (დასახელებულ ჩვენს წერილში ქართლის-ცხოვრების ტექსტის ამ ნაწილში ბროსეს გამოცემაში დაშვებული შეცდომის გამო მეჯინბეთუხუცესი ჭიანჭური გიორგი III-ის მოწინააღმდეგედ იყო გამოყვანილი). 1185 წლიდან ჭიანჭური მანდატურთუხუცესია და ერთ ხანს, მგონი, 1189 წლის ახლოს, შეთავსებით ამირსპასალარადაც იყო (ასეა მისგან მოწვენილ სიგელში). ბოლოსტიკეს დიდ ბრძოლაში, რო-

¹ 1965 წ. გამოვიდა პ. ინგოროყვას „რუსთველიანას“ მეორე გამოცემის და მისი ეპილოგის შესახებ შემდეგი კრიტიკული წერილები: დავით გვრიტიშვილის („ცისკარი“, 1965 წ. № 2), დ. მუსხელიშვილის (იქვე, № 3), მ. ლორთქიფანიძის (მაცნე № 2) და ნ. შოშიაშვილის („ცისკარი“, № 9).

შელსაც ჩვენი დაკვირვებით 1200 წლის შემოდგომაზე ჰქონდა ადგილი, ჭია-ბერი იყო ერთ-ერთ წინამებრძოლ მხედართმთავრად. მაგრამ სწორედ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ ეს უეჭველი ცნობები შეუძლებ-ლად ხდის, რომ შოთა ჭიაბერის შვილი ყოფილიყო¹, რის გამო ჩვენ ხსენებული აზრი ჭიაბერ-შოთას მამაშვილობის შესახებ მალე შეეცვალეთ (ამის და-ბეჭდვის საბაზი დიდ ხანს არ გამოჩნდა, ხოლო 1961 წ. საბჭოთა ხელოვნების № 1-ში დაბეჭდილ ჩემს წერილში შოთას ბიოგრაფიის შესახებ, მისი მეტის-მეტ სიმოკლის გამო, ამის აღნიშვნა არ შეიძლებოდა). მართლაც, რადგანაც ჭი-აბერი 1200 წელს ერთ-ერთი წინამებრძოლ დიდი რაზმის მეთაური იყო, ცხა-დია, რომ ის ამ დროს 45—47 წლისაზე მეტი ხნის არასგზით არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამასთანავე ის გიორგი III-ის გაზრდილია, მაგრამ 1178 წელს მე-ჯინიბეთუხუცესია. ამიტომ ის შეიძლება დაბადებულყო 1150—1155 წლების ახლოს, უფრო 1155 წლის ახლოს, ხოლო 1165—1175 წლებში ის გიორგი III-ის კარზე იზრდებოდა და იმყოფებოდა. შოთა რომ. მისი შვილი ყოფილიყო, ის შეი-ძლება დაბადებულყო 1175—1177 წლების ახლოს, არა უადრეს ამ წლებისა და შესაძლებელია უფრო გვიანაც. 10—14 წლის ასაკში 1189 წელს შოთა ვეფ-ხისტყაოსნის წერას ვერ შეუდგებოდა.

¹ ხსენებული შეცდომის დაშვებას 1927 წელს ამ საკითხში ხელი შეუწყო იმანაც, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი სამცხეში არსებული მეარი გაღმოცემა შოთას მამის ჩახრახელობის შესახებ.

II. შოთა რუსთაველის ცხოვრების დრო

3. ძირეული ცნობები შოთა რუსთაველზე. შოთას ვინაობისა და ბიოგრაფიის შესახებ გვაქვს შემდეგი ცნობები: 1) ორი ცნობა პოემის პროლოგში, რომ ვეფხისტყაოსნის დამწერი არის რუსთველი. 2) ცნობა პოემის გაგრძელების ბოლოში „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა“ ანდა (უკანასკნელი ვარიანტით) „დამისა“. უკანასკნელი სიტყვა (დამ) თურქულად ნიშნავს სახლს, აქედან „რუსთველისა დამისა“-რუსთველისა სახლისა, ე. ი. ვწერ რუსთაველის სახლის ან თემის კაცი. მაშასადამე, შოთა ყოფილა მესხი. 3) თამარიანის ბოლოში არის ცნობილი სტროფი „მოკვევს ძეთა ჩახრუხასძეთა ექო თამარი მეფე წყლიანი“ და შემდეგ ტექსტი, სადაც თამარ მეფე უკავშირდება ვეფხისტყაოსნის თინათინს¹. ამით ამოიწურებოდა უტყუარო ცნობები რუსთაველის შესახებ. თვით სახელი შოთა ცნობილი იყო პირველად მხოლოდ XVII საუკუნის ავტორების ნაწარმოებებიდან. ამით აიხსნება, რომ შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენა დიდ სიძნელეებს ხვდებოდა².

ასეთ პირობებში ხსენებულ სტროფს მოკვევს ძეთა ჩახრუხასძეთა მოხსენიებით ეძლეოდა შოთას ბიოგრაფიის და თვით ვეფხისტყაოსნის პრობლემის. გარკვევისათვის მეტად თვალსაჩინო მნიშვნელობა. ამ ცნობის მიხედვით მოკვევის ერთი შვილი, თამარის უშუალოდ შემამკობელი, არის „თამარიანის“ ავტორი ჩახრუხას ძე, ხოლო თინათინის სახით თამარის შემქმებლად გამოდიოდა

¹ სტროფი იკითხება შემდეგნაირად:

მოკვევს ძეთა ჩახრუხასძეთა
ექო თამარი მეფე წყლიანი,
მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე,
თინათინ ვაქო ბალი წყლიანი;
ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ,
არაბეთს იყო სულადიანი,
ჭერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი,
სამოთხის ვარდი პირად მზიანი.

² შოთას წოდებულებას ჩვენ ამ წიგნში ვხმარობთ ორი ფორმით: რუსთველი (ძველ ტატბეში) და რუსთაველი (ახლანდელი თბრობისათვის).

ამ ჩახრუხადის ძმა თუ ბიძაშვილი, რომელიც ამგვარად უნდა ყოფილიყო თვით შოთა რუსთაველი. ქვეი ეწოდებოდა ახლანდელ ბორჯომის ხეობას, რომელსაც ბოლო ხანებში ერქვა მარტივად ქეობაც. სახელი ქვეიც ამ ხანისთვის დადასტურებულია. მაგ., XVI ს-ნეში¹. ხოლო რადგანაც ეს ხევი (ხეობა) ძველად შედიოდა სამცხეში, აქედან ჩახრუხადეები გამოდიოდნენ მესხები. ბუნებრივი იყო ყველაფერი ამის მიხედვით დასმულიყო საკითხი, რომ ჩახრუხადე-ძმა, რომლის ბედს ჩახრუხადე დასტირის თავის შესახებ ვერ ნაკვეთში, ყოფილიყო ვეფხისტყაოსნის ავტორი. ამ მიმართულებით იყო გამოყენებული ხსენებული სტროფის მონაცემი და თამარინის ცნობები საქართველოდან გადახვეწილი „იგავთ დამწესის“ შესახებ ვეფხისტყაოსნის 1927 წლის ჩვენს გამოცემაში. იქვე ნაჩვენები იყო, რომ ეს „იგავთ დამწესი“, საქართველოსკენ მომავალი, გზაში დაიღუპა 1202 წელს ან ამის ახლოს.

მაგრამ ამ დებულების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდა შემდეგში დადასტურებული ფაქტი, რომ შოთა რუსთაველი არის იმავე დროს თამარის მეორე მათიანის ავტორი, რომელიც წერს ამ მათიანეს 1222 წლის ახლო ხანაში. ამის საწინააღმდეგო იყო აგრეთვე ჯერ კიდევ შოთას იერუსალიმისეული პორტრეტის თუნდაც ისეთი არაზუსტი კოპიოს მოპოება, როგორც არის ჩუბინიშვილისეული 1843 წლის ჩანახატის მიხედვით პეტერბურგში შესრულებული სურათი („საბჭოთა ხელოვნება“, 1958, № 8, 1960, № 12), ხოლო როდესაც ეს კოპიო შესცვალა 1960 წლის ნოემბერში სპეციალური ექსპედიციის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილმა შოთას სურათის ზუსტად გამოვლინებულმა ფერადმა ფოტოსურათმა, საკითხი უკვე გადაწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო. გამოირკვა, რომ იერუსალიმისეული პორტრეტი, რომელიც წარმოგვიდგენს შოთას ღრმად მოხუცებულად, არის არა უგვიანეს XIII საუკუნის პირველი მეოთხედისა და რომ რუსთაველი არის იმავე იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში მოხსენებული მეჭურჭლეთუხუცესი შოთა. ამიტომ ვეფხისტყაოსნის პროლოგში თამარის შემქმები შოთა მართლაც არ შეიძლება იყოს ჩახრუხადის ძმა — „იგავთ დამწესი“ და არა მხოლოდ დამწერი, რომელიც 1202 წლის ახლოს დაიღუპა. შოთა იერუსალიმისეულ პორტრეტზე წარმოდგენილია დაახლოებით 57 წლის მოხუცად. თამარის მეფობის დასაწყისში 1190 წელს ის

¹ ქართლის მეფის სეიმონის 1590 წლის მეობრის-მძებნელის შესახებ გამოცემულ ვანჩინე-ბაში ვკითხულობთ: „მეფეთ მეფემან სეიმონს უხედაესთა მოგახვინებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ, ერთობილნო დილომსა ზედათნო, მტკუარ გამოდმართნო ვინებრ ქვეამდელ, ებისკოპონო თეადნო, ახნაურნო და გლეხნო“ და სხვ. (საქ. სიძველენი II, 23—24) ხევად აქ იგულისხმება შემდეგდროინდელი გამოქმნის ხეობა (იგულისხმება ახლანდელი ბორჯომის ხეობა).

ამ ვარაუდით იქნებოდა 44 წლის და შესაძლებელია მეტისაც. საეჭვოა, რომ მაშინდელ ვითარებაში ახალგაზრდა თამარზე გამიჯნურებული შოთა ამ ასაკში ყოფილიყო, მაშინ როდესაც მიჯნურისთვის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად თვით შოთა სთვლის „სიყრამე“-ს, ე. ი. სიყმაწვილესა და ახალგაზრდას ასაკს.

ცხადი ხდება, რომ ჩახრუ ხადის ძმა, ალეგორიულად თინათინის სახით თამარის შემქმენი, და შოთა რუსთაველი სულ სხვადასხვა პირნი არიან. დადასტურდა ამით ისიც, რომ შოთას ვეფხისტყაოსანს მართლაც წინ უსწრებდა ჩახრუხადის ძმის მიერ პროზით დაწერილი „ამბავი“, რომელშიაც თინათინის სახით („იგავად“) თამარის ქება იყო წარმოდგენილი. საბას ლექსიკონით, იგავი არის სიტყვით მოსანიშნავი. იგავი საერთოდ ნიშნავს ალეგორიულ მოთხრობას. ამიტომ იგავად არ შეიძლება თვით პოემა ვეფხისტყაოსანი იგულისხმებოდეს, არამედ სხვა პროზული ნაწარმოები — ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი თხრობა (ფაბულა).

ვეფხისტყაოსნის საკითხისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის პროლოგის დაბოლოების ცნობებს, რადგან ამით გვეძლევა მტკიცე მასალა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის დასადგენად.

პროლოგის პირვანდელი მოცულობის დასადგენად შეიძლება ავიღოთ ხელნაწერები H599 (E) და S2829 (F). როგორც ეს თავის დროზე ნაჩვენები იყო¹, H599 (E) ხელნაწერის პროლოგი იწყება სტროფით „მეორე ლექსი ცოტაი ნაწილი მოშაირეთა“, მაგრამ ხელნაწერს თავში აკლია ერთი ფურცელი, რომელზედაც შეიძლება ყოფილიყო 8 სტროფი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ პროლოგის ჩვეულებრივ სათაურს არ ჩავთვლით. ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ხელნაწერში S2829, რომელიც წარმოადგენს H599 ხელნაწერის რედაქციის შემდგომ განვითარებას (მასში არის ტარიელის და ავთანდილის მოკლე ანდერძები, რომელნიც არ მოიპოვებოდა H599 ხელნაწერის რედაქციაში), პროლოგი აგრეთვე არ შეიცავს თამარის შესხმის სტროფებს, თუმცა მასში არის სტროფი: „მე რუსთველი ხელობითა“, „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ და სხვ. S 2829 ხელნაწერის პროლოგის თავნაწილში მოთავსებული 10 სტროფიდან (სტრ. 1—5—9 ვიდრე სტროფამდე „მეორე ლექსი ცოტაი“ რომლითაც იწყება ხელნაწერი H599)², ხელნაწერ H599-ში შეიძლება ყოფილიყო სათაურის გარდა მაქსიმუმ

¹ ს. კ ა კ ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის პროლოგის გარეშემო, საისტ. მოამბე, 1924 წ., II, 125.

² სტროფები ნართული სტროფების განსახვევებლად, მეტი მოხერხებულობის გამო, ყველგან ნაჩვენები მაქვს პოემის 1913 წლის ჩემი პირველი გამოცემის მიხედვით.

7 სტროფი. ამგვარად H599 უარყოფს S2829-სთან შედარებით სამ ტაქსს (სტროფს) პოემის დასაწყისში. რომელია ეს სტროფები?

S1117 (K 205)-ის, ე. ი. O-ს შედარება K461 (J)-სთან გვიჩვენებს, რომ ერთი ამგვარი სტროფი შესაძლოა იყო მესამე სტროფი. ხოლო H461-ის შედარება S2829-სთან გვიჩვენებს, რომ კიდევ ერთი ასეთი სტროფი უნდა ყოფილიყო მეორე სტროფი. S1117 (K205), შედარებით S2829-სთან, უარყოფს გარდა მესამესი კიდევ მე-4, 5, 6 და 14 სტროფებს. H599, შედარებით S2829-სთან, უნდა უარყოფდეს თავში (პირველი ათი სტროფის მანძილზე)¹. მინიმუმ სამ სტროფს, ამიტომ გარდა მესამესი და მეორესი კიდევ საძიებელია უარსაყოფელი ერთი სტროფი მაინც, რომელიც უნდა იყოს ერთ-ერთი მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სტროფს შორის. აზრის მიხედვით პირველობა ამ მხრივ ხვდება მეოთხე სტროფს, რომელიც შინაარსით პირდაპირ გადაბმულია უკვე უარყოფილ მესამე სტროფთან (...„ჩემმან ხელქმენლმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმანები. თვალთა მისგან უნათლოთა ენატროსცა ახლად ჩენა...“). გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია კიდევ, რომ 5¹იგ სტროფი („თუ მიჯნურსა მიჯნურობა...“) უარყოფილია ხელნაწერით H461 (G) და ამასთანავე აზრის მიხედვით მისი დაკავშირება შეიძლება წინასიტყვაობის მხოლოდ სხვა, ზემოთ უკვე აუარყოფილ სტროფებთან².

ამის მიხედვით დგინდება პროლოგის თავდაპირველი ტექსტი 23 სტროფის მოცულობით შემდეგი თანრიგით:

1. რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერთა...
2. რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს...

ამას მიჰყვება სტროფები სათაურით „შაირობისათვის“, სულ 7 სტროფი (3—9) და შემდეგ სტროფები „მიჯნურობისათვის“—14 სტროფი (10—19^ა, 20—22) ასეთი შემადგენლობით პროლოგი წარმოადგენს სრულებით მთლიან ნაწარმოებს².

ამგვარად, პოემის პროლოგში თავდაპირველად არ ყოფილა სტროფები თამარის და თვით რუსთაველის მოხსენიებით. პროლოგის ეს პირვანდელი რედაქცია ასახულია რიგ ხელნაწერებში, მაგრამ შემდეგდროინდელი ნართაული სტროფების ჩამატებით. რუსთაველის სახელის შემცველი სტროფები პირველ რიგში ემატება ამ შემდეგდროინდელ ვარიანტებს, თამარის სახელი კი მათში არ ჩანს.

¹ ს. კაკაბაძის დასახ. წერილი, საისტ. მოაზბე, 1924 წ., I, 130.

² იქვე, გვ. 131.

პროლოგის ამ თავდაპირველი ვარიანტის შედგენილობა ასეთი არის (მოგვ-
ყავს სტროფების პირველი სტრიქონები):

1. რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.
2. რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს.
3. შაირობა პირველადე სიბრძნისაა ერთი დარგი.
4. ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა.
5. მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.
6. მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქუას ერთი, ორი.
7. მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა.
8. ვესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად.
9. ჯამს, მელექსე ნაჭირებესა მისსა ეუღად არ აბრკობდეს.
10. ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიჭია.
11. ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გუართა ზენათა.
12. მას ერთსა მიჯნურობასა ჰქუიანნი ვერ მიხულებიან.
13. მიჯნური შმაგსა გუქუიან არაბულითა ენითა.
14. მიჯნურსა თულად სიტურფე მართებს მართე ვითა მზეობა.
15. მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გუარი.
16. ჯამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში.
17. მას ცოცხალი ნუ ელევს, რაცა პირველ შეუყუარდეს.
18. ამა საქმესა მიჯნურნი ნუ უქმობთ მიჯნურობასა.
19. არს პირველი მიჯნურობა არ დარჩენა ჰიართა, მალვა.
20. ჯამს თავისსა ზუაშიადსა არვისთანა ამეღვენებდეს.
21. მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყუარე გაამეღვენდოს.
22. მიყუირს კაცი რად იფერებს საყუარლისა სიყუარულსა.
23. თუ მოყუარე მოყურისათვის ტირს, ტირილსა ემართლების.

ასეთ ხელნაწერებს შორის პირველ რიგში გამოირჩევა H461 (J), რო-
მელსაც ბევრი თავისებური წაითხვა აქვს. თავისებურად არის აქ აგრეთვე გა-
დალაგებული პროლოგის სტროფებიც, მას აქვს ნართაული სტროფი 5¹ იგ
10 იბ, მაგრამ სტროფები თამარის მოხსენიებით აქ არც ერთი არაა (ასეთი
სტროფი ზომ ორია) და რუსთაველის მოხსენიებით არის მხოლოდ ერთი („მო
დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გედის“...), ხოლო მეორე (მე რუსთველი
ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი)—არა. მაგრამ მასში არის ნართაული სტრო-
ფი 10¹ იბ, რაც, ცხადია, შემდეგაა ჩამატებული. მე მგონია, რომ ამ ხელნაწე-
რის პროლოგის პროტოტიპი თავისი შედგენილობით მოდის პირდაპირ თავ-
დაპირველი ვარიანტიდან (H599, S2889), მაგრამ მას აქვს ნართაული სტრო-
ფებიც და ნართაულად აქვს ერთი სტროფიც რუსთაველის მოხსენიებით.

თამარის შესახებ სტროფები არის აგრეთვე შემდგომი ხელნაწერების სა-
ხით წარმოდგენილ ვარიანტებში: Q261 (J), S4499 (K), რომელსაც დეფექტი-

ანობის მიზეზით, პროლოგი არ აქვს შემონახული, მაგრამ მისი სახის აღდგენა შეიძლება ხელნაწერით S1117 (K205; O), რომელიც სხენებული ხელნაწერიდან არის გადმოწერილი: გარდა ამისა ამავე ვარიანტების ტიპს ეკუთვნის ვ. ასლანიშვილის ხელნაწერი L¹ (XIX ს-ნის), რომელიც პროლოგში სხვა ნართაული ტაეპების (თ ჯგუფის) გარდა წარმოგვიდგენს მხოლოდ ამ ხელნაწერში მყოფ 6 ახალ ნართაულ სტროფს (სრული ტექსტის 1956 წლის გამოცემის სტროფებს 7¹, 11¹, 37¹⁻², 40¹).

აქ ჩამოთვლილი სამი ხელნაწერი (მათ ემხრობა მეოთხე ხელნაწერიც K) პროლოგში შეიცავს დამატებით ორ ნართაულ სტროფს დაეით მეფის შესხმით, რომელშიც უნდა იგულისხმებოდეს თამარის შვილიშვილი ულუ-დაეითი¹.

ამგვარად არსებობს პოემის პროლოგის პირველი ვარიანტიდან მომდინარე ორი ხელნაწერი, რომლებიც არ იხსენიებენ თამარის სახელს, ხოლო რუსთაველის სახელი მათგან ერთში არის აშკარად ნართაულად შეტანილი. დანარჩენ ხელნაწერებში, რომლებშიც კი პოემის პროლოგი შემონახულია, თამარის და თვით რუსთაველის სახელების შემცველი სტროფები წარმოდგენილია სრულად. მაგრამ ყველა ეს ხელნაწერი შეიცავს პროლოგში სხვა ნართაულ სტროფებსაც. ეს სტროფები თამარის და რუსთაველის მოხსენიებით და მათთან დაკავშირებული სტროფები შემდეგია (აღვნიშნავთ სტროფების პირველ სტრიქონებს):

- ლ 1. ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა.
2. ვის შვენის ღომსა ჯმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა.
3. თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული.
4. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა.
5. აჟ ენა მინდა გამოთქმად, გული და კელოვანება.
6. მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეურბობილი.
7. მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი.
8. ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანებო.
9. თულათა მისგან უნათლოთა ენატროსცა ახლად ჩენა.

ცხადია, რომ რუსთაველს ვეფხისტყაოსნის ორი ვარიანტი ჰქონია — თამარის მეფობის პირველ ხანაში თამარის და თავისი სახელის მოუხსენებელიც და

¹ ჩვენ ვფიქრობდით (ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტ. მოამბე, 1924 წ., გვ. 121—166), რომ ეს დაეითი უნდა ყოფილიყო გიორგი ბრწყინვალის შვილი დაეით VIII, მაგრამ მამინ ლაპარაკი იყო თვით შოთას მოღვაწეობის ვართაულზე XIV ს-ნის პირველ მეოთხედში. ასეთი გაანგარიშებით შეიძლება პოემის პროლოგში მოხსენიებული დაეით მეფე გიორგი ბრწყინვალის შვილად ყოფილიყო ნაგულისხმევი. მაგრამ ამჟამად ცხადი ხდება, რომ პროლოგის სხენებული ნართაული სტროფების დაეით მეფე უნდა იყოს ღამას შვილი ულუ-დაეითი.

თამარის სიკვდილის შემდეგ („თამარს ვაჟებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-
დათხეული“) უკვე მისი და თავისი სახელის მოხსენიებით. ამ მეორე სახის პრო-
ლოგის ვარიანტია წარმოდგენილია ვახტანგის გამოცემაში 1712 წელს.

როგორც ცნობილია, ვახტანგის გამოცემა პროლოგის ტექსტს არეულად
და აზრის თანამიმდევრობის დარღვევით წარმოგვიდგენს. პროლოგის ასეთი
ტექსტი მიღებული იყო ვეფხისტყაოსნის ყველა გამოცემ ბში 1913 წლამდის,
როდესაც პირველად სწორი განრიგი აღდგენილ იქნა ჩვენს პირველ გამოცე-
მაში. ამ გამოცემის მიხედვით ის გაიმეორა პოემის 1914 წლის გამოცემაში
იუსტ. აბულაძემ და ამის შემდეგ პროლოგის ასეთი განრიგი მიღებულია.

ვახტანგისეული გამოცემის პროლოგის წარმოშობის შესახებ ჩვენ 1924
წელს ვწერდით: „თითო გვერდი ვახტანგის გამოცემის პროტოტიპისა შეი-
ცავდა ოთხ ტაეპს, ფურცელი, მაშასადამე, რვა ტაეპს. ფურცელი შემკველი
(ჩემი 1913 წლის გამოცემით) ტაეპების 17—19—23 (8 ტაეპისა): გადამწერის
მიერ შეცდომით წინ იქნა გადატანილი, რის გამო ტექსტი აირია. თავდაპირ-
ველად ფურცლების ნუმერაცია ამ ხელნაწერში იქნებოდა ამგვარად: I ფურც-
ტაეპებია, 1—1⁶; II ფურც. ტ. 2—5ა—8; III ფურც. ტაეპები 9—16; IV ფურც-
ტაეპები 17—19ა—23; V ფურც. ტ. 24, 25, თითო ფურცელზე ამგვარად 8
ტაეპი. ხელნაწერის დაშლის გამო IV ფურცელი გადატანილ იქნა II-ის ადგი-
ლას და ტექსტიც აირია“¹.

ვახტანგისეული გამოცემის მსგავსად პროლოგი ასეთივე არევიით წარ-
მოდგენილია ხელნაწერებში: ზაზა ციციშვილისეულში (D) 1665—1668 წლებ-
ში (ნართაული სტროფებით) და S5006-ში (U), რომელიც XVIII საუკუნის
პირველ მეოთხედშია შესრულებული. პროლოგის სტროფების ვახტანგისეუ-
ლი გამოცემის განრიგი ჰქონია ბირთველ თუმანიშვილის მიერ 1802 წელს
გადაწერილ ხელნაწერს (D12904/190 R¹)², რომლის ტექსტი, შედგენილობის
მხრივ ადის პოემის პირველ ვარიანტამდის (მასში არის 1913 წლის გამოცე-
მის დამატებითი სტროფები ჯგუფებისა ა+დ+ე+იგ+კ (თითქმის ყველა)
და გარდა ამისა ამ ხელნაწერში პოემის ტექსტი მოცემულია ინდო-ხატაელთა
ამბის ჩათვლით. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ პროლოგის ტექსტის (ზემოთ
დასახელებული მიზეზის გამო) აღრევა მომხდარა ინდო-ხატაელთა ამბის მი-
მატებამდე, ე. ი. ეს მოხდა არა უგვიანეს XIII საუკუნისა და უფრო მეორე ვა-
რიანტის პროლოგის და პოემის ჩამოყალიბების შემდეგ დაახლოებით XIII

¹ ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტ. მოამბე, 1924, I, გვ. 132.

² სარგის ციციშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963 წ., 45.

საუკუნის შუა წლებში ან მეორე ნახევარში. გარდა ამისა, ხელნაწერთა მტიცილება ისიც, რომ ვახტანგის გამოცემაში შეუტანელი სტროფები ა, დ, ე, იგ, კ სინამდვილეში პოემის ტექსტში იყო თავიდანვე და შემდეგ ამოღებულ იქნა ვახტანგის გამოცემის პროტოტიპიდან ტექსტის შემოკლების მიზნით. ინდო-ხატაელთა ამბავიც ვახტანგისეულის პროტოტიპში შეგნებულად იქნა ძალზე შემოკლებული. შემოკლებულია იქ პროლოგიც. მაგ., სტროფი 19ა („მას ცოცხალი ნუ ელევის“) ვახტანგის გამოცემაში გამოტოვებულია არამართებულად, რადგანაც აზრით ეს სტროფი ამ ადგილას საჭიროა.

ჩემის აზრით, რუსთველოლოგიის მორიგ ამოცანას შეადგენს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამზადება შოთას ხელიდან გამოსული ხსენებული ორი ვარიანტის თანახმად საჭირო (არა ყველა) ხელნაწერების მიხედვით წაკითხვათა სხვაობის აღნუსხვით. ამას შეიძლება მოჰყვეს სათანადო ფოლოლოგიური მუშაობა, რომელიც შესძლებს სიცხადე შეიტანოს პოემის ცალკეული ადგილების წაკითხვაში.

5. ვეფხისტყაოსნის ბოლო ნაწილი. პოემის ბოლო ნაწილის დადგენის ცდა მოცემული იყო ვეფხისტყაოსნის 1927 წლის ჩვენი გამოცემის შესავალ ნარკვევებში (გვ. XII—XIV), რომელიც მოგვყავს აქვე (სტროფის მაგივრად იქ ხმარებული იყო ტერმინი ტაეპი):

„პოემის დასასრულის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას; პოემის ფაბულა ბუნებრივად თავდება ავთანდილის და თინათინის ერთად ტახტზე დასმით როსტევეანის მიერ. პოემა იწყება ავთანდილის და თინათინის მიჯნურობის ამბით და თავდება ავთანდილის და თინათინის დალოცვით და როსტევეანის მიერ. პოემის ტექსტიც წარმოადგენს ზოგიერთ დასაყრდნობ მასალას ამ საკითხის გამოსარკვევად. თინათინის და ავთანდილის დალოცვის ამბავი პოემაში თავდება ჩვენი გამოცემის ასეთი სტროფით:

ტარიელა უთხრა ქებით იმედისა გათავება....

ორგულთა და შემცილეთა შენთა მე ვქნა გაფლიდება.

„ამას ყველა რედაქციებში მოჰყვება თავი — „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან“ და შემდეგ თავები: 1) „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“, 2) „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება“ და 3) „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“. ამ სამი თავისაგან ვახტანგისეულს რედაქციაში შეტანილია უკანასკნელი თავის ბოლო ნაწყვეტი და ისიც სტროფებ-გამოტოვებით. თვით ვინმე მესხი კი ამ თავს („ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“) ათავებს შემდეგნაირად. ფრიდონ და ავთანდილ ემშვიდობებიან ტარიელს და მიემგზავრებიან ერთად არაბეთს:

ავთანდილ მიჰქდა არაბეთს, ნახა არ ცუდი ქირენი. სტ. 1606
ამის შემდგომ (1607) სტროფს მიყვება სამი სტროფი:

(1608) მათ სამთავე ჰელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ჯრმლითა დავეწყულდეს
და მოიმატეს სამეფონი, გაჰელმწიფდეს გამორკმულდეს.

(1609) ფრიდონცა ესვა მოყუარედ, მათ წინა მოიყვანიან;
ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჯანიან;
მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწანი უაკვანიან

და ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი აგულოვნიან.

(1610) ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს;
ობოლ ჰკრიენი. დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;
ავის მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერა წოვდეს

და შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

„სტროფების ასეთი გადასვლის შეუსაბამობა ცხადია: პირველ სტროფში (ამ სამთავე) ლაპარაკია სამ ხელმწიფეზე. წინამორბედი სტროფების მიხედვით კი შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ამ სამ ხელმწიფედ იგულისხმებიან ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან მომდევნო (მეორე) სტროფში ვკითხულობთ: „ფრიდონცა ესვა მოყუარედ“ და სხვ... ამის გამო გაუგებარი რჩება, თუ ვინ არის აქ მესამე ხელმწიფე. მაგრამ ეს ადვილი გასაგები იქნება, თუკი სტროფს „მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს“... ვიგულისხმებთ გაგრძელებად სტროფის.

ტარიელიცა უთხრა ჰებით იმედისა ვათაება...
ორგულთა და შემცილეთა შენთა მე ვქნა ვაფლიდება.

ორგულთა და შემცილეთა შენთა მე ვქნა ვაფლიდება.

ცხადი ხდება, რომ აქ სამ ხელმწიფედ იგულისხმებიან როსტევან, ტარიელ და ავთანდილ, რომელთაც „ფრიდონცა ესვა მოყვარედ“. ვინმე მესხის მელექსეს ამ ლაპარაკის მეოხებით შესაძლებელი ხდება მექანიკურად ვეფხისტყაოსნის დასასრულის პირვანდელი სახით აღდგენა მოცულობის მხრივ...

„კიდევ მეორე დეტალი. სტროფი „ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს“ და სხვ. განმეორებულია გაგრძელებაში კიდევ მეორე ადგილას შემდეგ თავში „აქა ომი ხუარაზმელთა, არაბთა და თურქთა“.

„ამ თავის მეორე უკანასკნელ სტროფს წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი ტაეპი — „ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჯანიან“ და სხვ., ხოლო მესამე უკანასკნელ სტროფად ყველა რედაქციებში არის სტროფი ვეფხისტყა-

ოსნის „ლექსად შეუწყობლად“ დატოვების შესახებ სარგის თმოგველის მიერ აღსანიშნავია კიდევ, რომ ერთ-ერთი პირველი ჭკუტვის ხელნაწერი — № 2829 ამ სამი სტროფის შემდეგ შეიცავს სტროფს დავით მეფის და თამარის შესახებ, ასე რომ ხსენებული თავის მთელი ბოლო ხელნაწერში № 2829 იკითხება შემდეგნაირად:

- (1720) ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად
მერმე თმოგვი შესაელითა თმოგველთაგან დარჩა ობლად;
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად
და მიბრძანა, ლექსად თქუიო, მქვერ ქართულად შესაწყობლად.
- (1721) ერთმანეთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჲნიან;
ორთავე მტერი მოყუარედ მათ წინა მოიყუანიან;
მათთა ურთთა და შემკადრთა მიწები უაჲუანიან
და ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი აგულონიან.
- (1722) ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოდეს;
ობოლ ქუროინი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;
ავის მქნელნი დააშინეს, კრავნი ცხვარსა ეერ უწოდეს;
და შიგან მათთა საბრძანისსა თხა და მგელი ერთად სძოდეს.
- (1723)² დავითის ქართველთ მეფისა, ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად;
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად
და ორგულთა მათთა დამწყულად, ერთგულთა დამამაგრებლად.
- (1724)³ მე ვთქუი ქება თამარისა და ჭმელთა შინა მნათისა,
ვთქუი მათი ქება, მიზეზად მქონდა ქებისა მათისა
რომანულისა თუალისა, მის ბროლისა და სათისა
და მემცა ვით მექო, ვერ აქებს, ბრძენნი თუ შეკრბენ ათისა.

„დასახელებული სტროფების ასეთი დალაგება ხელნაწერში № 2829, ჩვენი აზრით, უნდა იძლეოდეს გასაღებს ვეფხისტყაოსნის ბოლო სტროფების მიმდევრობის გასარკვევად. სტროფი „ერთმანეთისა მეშველთა“... (1721) წარმოადგენს პირდაპირ გაგრძელებას სტროფისას „ფრიდონცა ესეა მოყვარედ“... (1609). ამას მოჰყვება ბუნებრივად სტროფი „ყოვლთა სწორად წყალობასა“ (1610), სადაც თავდება პოემის თხრობა და იწყება ეპილოგი. ეპილოგის პირველ სტროფად ხსენებულ სტროფებს შორის უნდა ყოფილიყო სტროფი „ეს ამბავი დარჩომოდა სარგის“ (1720). ამ სტროფს ვხედავთ გაგრძელების ავტორის ვინმე მესხი მელექსეს ნაწარმოებში, მის მიერ გაგრძელების ბოლოში რუსთველისაგან გადმოდებულ სტროფებს შორის და ისიც ცხადლივ არა თავის ადგილას, სახელდობრ მე-(1720) სტროფად, მაშინ როდესაც ის უნდა ყოფილიყო 1721 და 1722 სტროფების შემდეგ. ეს გარემოება ალბათ აიხსნება

იმით, რომ ვინმე მესხს ხსენებული სტროფი სარგის თმოგველის მოხსენიებით მოთავსებული ჰქონდა თავისი ხელნაწერის არშიაზე და გადამწერლების მიერ ის შეცდომით შეტანილ იქნა არა თავის ადგილას, არამედ ორი სტროფის წინ. არშიაზე მიწერილ სტროფის ასეთი უნებლიეთი გადასმა სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, ხოლო რადგანაც სტროფი სარგის თმოგველის მოხსენიებით ხელნაწერებში გაგრძელების ერთსა და იმავე ადგილას არის მოთავსებული (როგორც ვნახეთ, შეცდომით), ამიტომ ცხადია, რომ ასეთი შეცდომა უნდა წარმომდინარეობდეს თვით ხელნაწერ არხიგეტის პირველ გადამწერისაგან, რაც ადასტურებს ზემომოყვანილ მოსაზრებას დასახელებული სტროფის არსებობის შესახებ თავდაპირველად გაგრძელების ტექსტის არშიაზე.

„რაც შეეხება სტროფს თამარის ქების მოხსენიებით (1721³) ის, ცხადია, უნდა ეკუთვნოდეს გაგრძელების ავტორს ვინმე მესხს, რადგან ის სტილისტურად ძლიერ უდგება გაგრძელების ტექსტს და არ შეესაბამება პოემის ძირითად ნაწილს და გარდა ამისა, რასაც აგრეთვე აქვს მნიშვნელობა, ის არ მოიპოვება ვახტანგისეულს რედაქციაში“.

პოემის ასეთი დაბოლოება ამჟამად დოკუმენტურად მართლდება შემდეგნაირად.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს შორის პოემის ყველაზე ძველი ვერსიის შემცველი არიან ხელნაწერები E(H599 1646 წლისა), F (S2829 1688 წლისა), გურგენასეული R (Q 930) 1670—1690 წლების ახლო დროის, J (Q261 1680—1640 წლების ახლო დროის და R¹ 1802 წლისა. ამ ხელნაწერთაგან E-ში პროლოგი წარმოგიდგება გარეშე იმ სტროფებისა, რომლებშიც თამარი და რუსთაველი არიან მოხსენიებულნი, F-ში მიმატებულია მხოლოდ რუსთაველის სახელი („მე რუსთველი ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარი“), R¹-ში პროლოგი ყოფილა სტროფებით თამარის და რუსთაველის შესახებ, მაგრამ მასში იყო ვრცელი რედაქციებიდან შეტანილი ნართაული სტროფებიც. ხოლო J-ში თამარის და რუსთაველის შესახებ სტროფების გარდა შეტანილია გიორგი ლაშას შვილის დავით მეფის მიმართ ქებითი სტროფები. ამიტომ ორის (EF) გარდა დანარჩენი სამი ხელნაწერის პროტოტიპებში პროლოგები შეტანილია (ალბათ დასაწყისი ნაწილში) დედნების დეფექტიანობის გამო) შედარებით გვიანდელი რედაქციებიდან.

პოემის გაგრძელებათა შორის ყველა ამ ხელნაწერში წარმოდგენილია როგორც ინდო-ხატაელთა, ისე ხვარაზმელთა ამბები. მაგრამ მაშინ როდესაც F-ში და J-ში გვაქვს ტარიელის და აეთანდილის თითო მოკლე ანდერძი და ორივე ამ პერსონაჟის სიკვდილის ამბები, E-ში მოცემულია ტარიელის და

აეთანდლის მხოლოდ სიკვდილის ამბავი ყოველგვარი ანდერძის გარეშე, ხოლო R თავდება პირდაპირ ხვარაზმშის შესახებ ამბავზე და მასში ტარიელის და აეთანდლის არც ანდერძებია და არც სიკვდილის ამბავი. ამგვარად, R წარმოგვიდგენს არსებულ ხელნაწერებს შორის პოემის ტექსტის ერთ-ერთ ძველ დაბოლოებას (მასზე უფრო ძველი დაბოლოება აქვს 1802 წლის ხელნაწერს R¹). იკითხვის ეს დაბოლოება ამ ხელნაწერში შემდეგნაირად:

[და]სრუ[ლდა] მათი ამბავი, ვითა აჩრდილი ღამისა.
[ვარდაც]დეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ეამისა,
[ვის გ]კრძალ ჰგონია, მისთვისა არის ერთისა წამისა,
[ეწე]რ მესხი ვინმე მელექსე მე რუსთველისა თემისა.

(სხვა ხელით ჩამატებულია სტრიქონებს შუა: მოვლენ ტირილით ტარიელ, აეთანდილ, ცოლი მათი იტირა).

[მოვიდა] ფრიდონ ტირილით, ზახილით თავსა მცემელი,
[იხოქს] და ივლეჯს ხმამაღლა, არ უნდა გარდამცემელი,
[მოილო] მეტად (მრავალი) გლახაკთა გასაცემელი
[და უნდოდა] თუცა ემოვნა ლახვარი გასაცემელი.
[ტავარუცსა] მიქდა, იზახდა კმითა მით შევნიერთა,
[ივლეჯდა] თეთრსა თმა წვერსა, გაჰყრის ბროლისა კერითა,
იზახდა მადლ[ად] ვაგლახსა ტირილით, არ სიმღერითა
[და მართ სრულ]ა ვაგლეჩილი (ყო) ოდენ თმითა და წვერითა.
[თქენა მეტად კ]არავი სიტყუანი ფილოსოფოსთა ბძნობისა.
[რომე ხორხითა იტყოდა მ]სგავსი დავითის ძნობისა:
[მე, გლახ, ვით მოვთქუა] სიკეთე თქუენისა ცხენოსნობისა
[და ან ვით მოვთვალო] მოკლული თქუენისა] მშვილდოსნობისა.
მოვიდნეს, მათი ქუეყანა ნახვდის ამოდ და ნებითა.
მოვიდოდიან, სძნობდიან წესითა და რიგებითა.
თინათინს პირსა სინათლე ემატა დაშვენებითა,
და მუ(ლ)ღაზანზარი აივსო მეტისა აშენებითა.

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,
ავრეე თმოგვი შესავლითა თმოგვე(ელ)თაგან დარჩა ობლად,
ესე სიტყუა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად
და მან მიბძანა — ლექსად თქუიო, მქვეერ ქართულად შესაწყობლად.

დავითის ქართულთ მეფისა ვის მზე მსახურებს მარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსაკმარებლად.
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მართებლად
და მისთა ორგულთა დამწეელად, ერთგულთა გამხარებ(ელ)ად.

მე ვთქუი ქება თამარისა და ქმელთა შინა მნათისა.

ვთქუი ქება მათი მზისა და მქონდა მიზეზი მნათისა.

რომანულისა თვალისა მის ბროლისა და სათისა

და მემცა ვით მემკო, ვერ აქებს (თუ) ბრძენი შეკრბენ ათისა.

ამ სტროფებს შორის სამი სტროფი („მოვიდა ფრიდონ ტირილით“, „ტაგრუცს მიჯდა, იზახდა“, „თქვნა მეტად კარგი სიტყვანი“) აშკარად მიმატებულია სრულებით უადგილო ადგილას, მაშასადამე, ეპილოგის პირვანდელ ტექსტში ისინი არ იქნებოდნენ. ასევე მიმატებულია ნართაული სტროფი „მე ვთქვი ქება თამარისა“, ხოლო ბოლოში აკლია ეპილოგის უკანასკნელი სტროფები.

მოტანილ სტროფებს შორის პირველი („დასრულდა ესე ამბავი ვითა აჩრდილი ღამისა“) აშკარად წარმოადგენს თვით ხვარაზმელთა ამბავის დაბოლოებას. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ხელნაწერ F-ში სწორედ ხვარაზმელთა ამბავის შემდეგ მოტანილია სტროფები „ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად“, „დავითის ქართველთ მეფისა, ვის მზე მსახურებს სარებლად“. მაშასადამე, ამ ორ ხელნაწერში (R და F) მოცემულია დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ გარკვეულ პერიოდში პოემის ეპილოგი მოთავსებული იყო ხვარაზმელთა ამბავის ბოლოში.

მაგრამ ასეთი დაბოლოება არ იყო პირველადი. ვახტანგისეული ვერსია, რომელიც ინდო-ხატაელთა ამბის შემოკლებული თხრობით თავდება, იცნობს მთელ ეპილოგს სტროფით „დასრულდა ესე ამბავი ვითა სიზმარი ღამისა“ და სხვ. ცხადი ხდება, რომ პოემის ეპილოგი უფრო ადრე მოთავსებული ყოფილა არა ხვარაზმელთა ამბის ბოლოში, არამედ ამაზე წინ ინდო-ხატაელთა ამბის შემდეგ. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა 1802 წელს ბირთველ თუმანიშვილის მიერ გადაწერილი ხელნაწერი R¹ ლიტერატურული მუზეუმისა 12904/190. აქ პოემის ტექსტი თავდება ინდო-ხატაელთა ამბით, რასაც მიყვება პოემის დასასრულის სტროფები შემდეგი თანრიგით:

ერთგან ფრიდონ და ავთანდილ...

გამოეგებნეს არაბნი...

ნახა მზე თვისი, მირიდნა...

მათ სამთავე კელმწიფთა...

ყოვლთა სწორად წყალობასა...

გარდაჯდა მათი ამბავი...

ქართველთა ღვთისა დავითის...

დავითის ქნანი ვითა ვთქვენე...

ესე ასეთი სოფელი...

ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა.

თავისი შედგენილობით ხელნაწერი R¹ უსწრებს ხელნაწერებს E და F-ს. ხელნაწერი R¹ აღრინდელი რედაქციის მქონე პროტოტიპიდან უნდა იყოს გამოწერილი, რადგანაც მასში არაა ხვარაზმელთა ამბავი. ამით ეს ეხმაურება ვახტანგისეული გამოცემის პროტოტიპ ხელნაწერს. ასეთი შეხვედრა ვახტანგისეული გამოცემის პროტოტიპ ხელნაწერსა და ხელნაწერ R¹-ის საგონებელ დედან-ხელნაწერს შორის ექვეს გარეშე ხდის იმ ფაქტს, რომ ვეფხისტყაოსანს თავდაპირველად ჰქონდა მხოლოდ ერთი დამატება-გაგრძელება—ინდო-ხატა-ელთა ამბავი, რომელსაც მიჰყვებოდა პოემის ეპილოგი. აქედან კი უკვე ერთი ნაბიჯია, რათა პოემის მთელი ეპილოგი გადატანილ იქნას თავის პირვანდელ ადგილას—არაბთა მეფისაგან ავთანდილის და თინათინის ქორწილის წინ, სადაც ხელნაწერების ტრადიციის გათვალისწინებით ეს ეპილოგი, როგორც ზემოთაუ ნაჩვენები იყო, დალაგდება შემდეგნაირად:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად...
დავითის ქართველთა მეფისა ვის მზე მსახურებს სარებლად
დავითის ქნანი ვითა ვთქვენე, სიჩალქე, სიჯაფეთანი...
ამირან დარეჯანის ძე მისეს უქია ხონელსა...

გაგრძელებას ინდო-ხატაელთა ამბავით პირველ თავშივე („ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან“, იქვე, გვ. 185—190) ახსიათებს ფაქტების მთელი რიგი, რომელიც ცხადყოფს ამ კარის უშუალო კავშირს გაგრძელების სხვა ნაწილებთან. სტილი, მაგალითად, გვიჩვენებს ფრიალ დიდ მსგავსებას¹. ლექსიკური მასალაც უკვე ერთი და იგივე ხდება. მაგ., გამოთქმა „უდი ლადო“ არის გაგრძელების ამ პირველ თავში და გაგრძელების სხვა ადგილასაც².

მეტაფორა, მაგ., „ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მართ ვითა ქუთაბი ცხელდების“ (გაგრძ. ტ. 26) თავისს პარალელს პოემის ძირითად ტექსტში ვერ პოულობს, ხოლო სტილით კარგად უდგება გაგრძელების დანარჩენ ტექსტს.

¹ საყურადღებოა, მაგ., გამოთქმა „რომანულისა თუალისა“. სიტყვა „რომანული“ პოემაში არ იხსენიება, მაგრამ არის გაგრძელებაში — „ათასი თუალი ნაშობი რომანულისა დედლისა“, ვეფ-ტყაოს., 1927 წლის გამ., გაგრძ. სტ. 10; 1913 წლის გამ., 1507).

² იქვე, გვ. 188, სტ. 30 შუად. 1527 და 1660. პირველ ადგილას იკითხება— „მინდორსა შიგან სადილად გარდაქდეს უდი ლადოსა“. მეორე ადგილას: „ომ გარდაქდლინი შეენოდეს, ჩამოქდეს უდი ლადოსა“. „უდი ლადოსა“ აქ უნდა იყოს არა „დილა-გარდაველილი დრო“ (თეიმურაზი) ანდა „დრო გათენებამდე“ (ჩუბინაშვილი), არამედ „უდი ლადო“ არაბ.-სპ. უდი, ლად (1. მინდორი, ოაზისი და 2. ნაზი) — ნაზი ველი; „გარდაქდეს უდი ლადოსა“ — გარდახდეს ნაზ მინდორში.

ზემოთმოხსენებულ მოსაზრებათა გამო ვეფხისტყაოსნის ბოლო შეიძლება დადგენილ იქნეს ისე, როგორც ეს 1927 წლის ჩვენს გამოცემაშია მოყვანილი (სტრ. 1548—1551+1552 — 1553). აქ თავდება პოემის ტექსტი და იწყება პირველი გაგრძელება.

ეს დაბოლოება ასეთია:

მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელი გაუსრულდეს.
ბრძანებისა შემცილენი მათთა ჳრმლითა დაეწყულდეს
და მოიმატეს სამეფონი, გაველმწიფდეს, გამორკვეულდეს.

ფრიდონცა ესეა მოყუარედ, მათ წინა მოიყვანიან;
ერთმანერთისა მეშველთა მებრძოლნი იმაჯანიან;
მათთა ურჩთა და შემყადრთა მიწანი უაკვანიან
და ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი აგულოვნიან.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს;
ობოლ-ჭურჩინი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს;
ავის მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს
და შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლად,
მერმე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად;
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად
და მან მიბრძანა, ლექსად თქუიო, მკვერ ქართულად დაუშრობლად.

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად
და ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.

დავითის ქნანი ვითა ვთქუნე, სიჩაღვე, სიჯაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი უცხოთა კელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი
და ვპოვე და ლექსად გარდავთქუნე, ამითა ვილაყფეთანი.

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა;
აბდულ-მესია შეათელსა, ლექსი მას უქეს რომელსა;
დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა
და ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

6. შოთა სამცხის რუსთავედანაა; გადმოცემანი შოთას შესახებ. შოთას სახელწოდება რუსთველი წარმომდგარია რუსთავეისგან. ერთი რუსთავეი ცნობილია

სამცხეში, მეორე—შიდა-ქართლ ში. ამათზე უფრო ცნობილი იყო ქალაქი რუსთა-ვი მტკვრის მარცხენა ნაპირას თბილისის სამხრეთით ოცდაათ კ-ზე. მაგ-რამ ქალაქ რუსთავის სახელიდან არ შეიძლება წარმომდგარიყო მფლობე-ლის სახელი, რადგანაც რუსთავის მთავარ მფლობელად მეფის შემდეგ ითვლე-ბოდა რუსთავის ეპისკოპოსი, რომელიც რუსთველად იწოდებოდა. ღვთაე-ბის დიდი გუჯრის (1722 წ.) მიხედვით, რუსთავის ეპისკოპოსს თამარ მეფის დროს რუსთაეში ჰყავდა 67 კომლი. დანარჩენები უმთავრესად (ან მთლიანად) მეფისანი უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ზემოთ რუსთავის შესახებ მოცემული ცნობებიდან ჩანს, ეს ქალაქი თამარის დროსაც სამკვიდროდ არ იყო გაცემული, არამედ ხან ერთი გვარის და ხან სხვა გვარის პირზე გაიცემოდა მხოლოდ დროებით სამფლობელოდ. რასაკვირველია, ასეთი დროებითი მფლობელის სახელი ქალაქის სახელისგან არ იწარმოებოდა. ქალაქ რუსთავის დროებითი მფლობელი 1192—1212 წლებში ზაქარია მხარგრძელი რუსთველად არ გა-დაქვეულა. ამიტომ ამ მოსაზრებებით შოთას წოდებულებაც „რუსთველი“ არ შეიძლება ქალაქ რუსთავის სახელიდან იყოს წარმოებული.

შოთას ტომობრივი წარმოშობის შესახებ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნე-ლობა მიეცეს პოემის გაგრძელების ბოლოში მოთავსებულ ცნობილ სტროფს: „გასრულდა ესე ამბავი, ვითა სიზმარი დამისა“ და სხვ., რომლის უკანასკნელ სტრიქონში მოხსენებულია „ვინმე მესხი“. ეს სტრიქონი საუკეთესო ხელნა-წერებში, რომელთაც ტექსტის ბოლო ნაწილიც აქვს შემონახული, იკითხება შემდეგნაირად:

REX ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა.

FIR¹ რუსთველისა დამისა (.F), რუსთავლისა დამისა (I) რუსთველის
დაბისა (R¹).

HG რუსთავისა თემისა

ABC რუსთველისა დამისა

DV რუსთავისა დამისა.

პოემის ტექსტის ყველაზე ძველი ვერსიის მქონე ხელნაწერებში (საშში) მოცემულია წაკითხვა „მე რუსთველისა თემისა“. სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერთაგან ოთხში პირველი სიტყვა მოცემულია პირდაპირ ან ოდნავ და-მახინჯებული ფორმით „რუსთველი“ და მხოლოდ ორში ფორმით „რუსთავი“. მეორე სიტყვა ამ ცხრა შემთხვევიდან აღნიშნულია ექვს შემთხვევაში ფორმით „დამისა“, ორჯერ ფორმით „თემისა“ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში და ისიც ყველაზე გვიანდელ, სახელდობრ 1802 წელს გადაწერილში, ფორმით „დაბი-სა“. ამგვარად, ცამეტი შემთხვევიდან ხუთ შემთხვევაში, ისიც ყველაზე უფრო

სანდო ვარაზტებში, პირდაპირ მოცემულია ან გამოდის წაკითხვა „მე რუსთველისა თემისა“, რაც სწორი უნდა იყოს. ხოლო სხვა წაკითხვა „დამისა“, რომელიც შემდგომ რედაქციებშია, ცხადლივ მიღებულია სათანადო სტროფის რითმასთან დამსგავსებით („დამისა“ „დამისა“). კერძოდ წაკითხვა დაბისა ხელნაწერის 1802 წელს გადამწერთან წარმოადგენს მისთვის გაუგებარი წაკითხვის „დამის“ გააზრებას სიტყვად „დაბა“. ამიტომ ხსენებული სტრიქონის სწორ წაკითხვად უნდა მივიღოთ: „ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა“ და ამისგან გამომდინარე მეორადი წაკითხვა — „მე რუსთველისა დამისა“. დამ თურქულად ნიშნავს ქოხს, სახლს. სახლი კიდევ მაშინ ქართულში იხმარებოდა თემის მნიშვნელობით. მაგ., [სამესხეთოს ეპისკოპოსების სიაშია დიასამიძის სახლი, ხურსიძის (ხურციძის) სახლი, რომელთა პარალელურად იქვე იხმარება საკავკასიძო. მაშასადამე, დიასამიძის სახლი (ეს იყო ახლოს რუსთავთან) ნიშნავდა დიასამიძის სამფლობელოს, დიასამიძის კუთვნილ თემს. ამ სახით გამოთქმის „რუსთველისა თემისა“ შესწორება გამოთქმით „რუსთველისა დამისა“ არსებითად მოხდა აზრის შეუცვლელად.

წინათ მე ვფიქრობდი¹, რომ პირველი გაგრძელება დაწერილია შოთას სახლის კაცის მიერ („ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა“, ე. ი. თურქულად რუსთველისა სახლისა, ქოხისა). სახლიკაცად ესლაც ქართლკახეთში იხსენიება ძმა. ამიტომ გამოდიოდა, რომ ამ გაგრძელების ავტორი ყოფილიყო შოთას ძმა. მაგრამ რადგანაც შოთა გარდაიცვალა მოხუცებული და ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს გაგრძელება დაწერილი ყოფილიყო შოთას სიცოცხლეში, ამიტომ გამოთქმა „რუსთველისა დამისა“ უნდა ნიშნავდეს საერთოდ რუსთველისა სახლისა, თემისა.

ხსენებული სტრიქონის ასეთი წაკითხვაც არსებობს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. ამ წაკითხვას უჭერდა მხარს კ. კეკელიძე. ეს ნიშნავს: ვწერ ვინმე მესხი მელექსე ამ რუსთველის მსგავსად ანუ მიბაძვით. ამის დასამტკიცებლად კ. კეკელიძე აცტირებდა შოთას პოემიდანვე ზოგიერთ ადგილს: „ათანდილ მალვით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვთა შესართავისად“, ე. ი. ცრემლი სდის როგორც შესართავი, შესართავის მსგავსად. ასეთი ადგილი პოემაში სხვაც არის, არის ვისრამიანშიც².

ასეთი ახსნა ახლა არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. ამჟამად პოემის ეპილოგის ეს სტროფი ხელნაწერთა ანალიზის შედეგად შეიძლება მოცემულ იქნას ისე, როგორც ეს ზემოთ იყო დასაბუთებული: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე

¹ შოთა რუსთველის ბიოგრაფიიდან, საბჭოთა ხელოვნება 1961 წ., №1, გვ. 47.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 119.

მე რუსთველისა თემისა“, ე. ი. ამ სტროფებს (მეორე გაგრძელებას) ეწერ მე, მესხი მელექსე, რუსთველის კუთვნილი თემის წევრი.

ჩვენ არ ვიცით დარჩა შოთას შვილი თუ არა, მაგრამ რუსთავის მფლობელობა, მისი უშვილოდ დარჩენის შემთხვევაშიც, შეიძლება გადასულიყო ძმაზე და ძმისშვილებზე და ამგვარად რუსთველის წოდებულება ერთხანს მაინც უნდა გაგრძელებულიყო.

ეპილოგის ხსენებული ცნობა ცხადყოფს, რომ არსებობდა რუსთველის თემი, რომელიც ეკუთვნოდა შოთას და მის შემდგომთ.

შოთას წარმოშობის საკითხის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ხალხის ზეპირგადმოცემითი ტრადიცია პოეტის წარმოშობას მტკიცედ აკავშირებს სამცხესთან. ი. მეგრელიძის წიგნს „Руставели и фольклор“ თან დაერთო „Карта распространения преданий о Ш. Руставели и народных версий „Велхисткаосани“ Т., 1960 г. ამ რუკაზე აღნიშნულია სულ 54 ადგილი, სადაც XIX—XX ს-ნეში ჩაწერილი იყო ზეპირგადმოცემანი შოთას შესახებ. გადმოცემათა მცირე ნაწილი (6—7) ამჟამად წიგნური წარმოშობის არის. რჩება დაახლოებით 47 პუნქტი. ამთგან ათი პუნქტი ქართლ-კახეთიდანაა, მაშინ როდესაც პატარა სამცხეში, სადაც ქართველ-მაჰმადიანთა 80%-ს ქართული ენა დავიწყებული ჰქონდა, ხოლო მესხი-ქრისტიანები 1944 წლამდის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 23%-ს შეადგენდნენ, გადმოცემანი შოთას შესახებ დაცული იყო 17 ადგილას და გამაჰმადიანებულ, თითქმის გათურქებულ კლარჯეთშიც კი — სამ ადგილას. სხვა სანდო ცნობაც რომ არ ყოფილიყო, მარტო ამის მიხედვით ეჭვს გარეშე ხდება, რომ შოთა რუსთველის სამშობლოს სამცხე წარმოადგენდა, წარმოშობით ის, მაშასადამე, იყო მესხი.

გურიამი, სადაც ი. მეგრელიძეს შესაძლებლობა ჰქონდა გადმოცემები თვითონ შეეკრიბა, შოთას შესახებ ზეპირგადმოცემებითი ცნობები დადასტურებულია 11 ადგილას. სამცხეში კი, მოსახლეობა რომ იქ მთლიანად ქართული ძველი ტრადიციებისა და ენისა ყოფილიყო, შოთას შესახებ ცნობები საგულისხმებელი იქნებოდა 3—4-ჯერ მეტ პუნქტებში, ვიდრე ახლა არის (დაახლოებით 50—65 ადგილას). ასეთი შედარება და ვარაუდი კიდევ უფრო განამტკიცებს იმ შეხედულებას, რომ შოთა იყო მესხი, სამცხიდან.

ი. მეგრელიძის მიერ შედგენილი რუკა ლეტალურად აღნიშნავს შოთა რუსთაველის შესახებ არსებულ გადმოცემათა ადგილებს საქართველოს სხვადასხვა მხარეებში შემდეგი რაოდენობით: სამცხეში ჭავჭავთის მიმდგომი ზოლით — 18, კლარჯეთში — 3, შიდა-ქართლში ახლანდელი სამხრეთ-ოსეთის ჩათვლით მტკვრის ჩრდილოეთით — 9 (მათ შორის სამი ახლანდელ სამხრეთ-

-ოსეთში), მტკვრის სამხრეთით მდებარე შიდა-ქართლში — 2, რაჭაში — 5, ლეჩხუმში — 2, ზემო იმერეთში — 2, ქვემო იმერეთში — 3 (მათში ერთი გადმოცემა ქუთაისში, რაც სხვა მხარედან უნდა იყოს შესული), აჭარაში — 2 (მათში 1 ბათუმში), კახეთ-ჰერეთში — 4 და გურიაში — 11 (ამათგან ბევრი გურიაში სხვა მხარეებიდან უნდა იყოს შეტანილი). თუ ავიღებთ მიახლოებით სხვა მხარეებში სამცხის ნახევარის თანაბარ ტერიტორიას და ამას შევაფარდებთ სხვა დასახელებულ მხარეებს, მაშინ მივიღებთ ასეთ რიცხვებს: სამცხე (ჯავახეთის მცირე ნაწილთურთ) — 9, შიდა-ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი (მტკვრის ჩრდილოეთით სამხრეთ-ოსეთის გამოკლებათ) — 6, შიდა-ქართლის სამხრეთი ნაწილი — 2, რაჭა-ლეჩხუმი — $2\frac{1}{3}$, ზემო იმერეთი — 1, ქვემო იმერეთი — 1, კახეთ-ჰერეთი — $\frac{1}{2}$, გურია — $3\frac{2}{3}$. ცხადი ხდება, რომ ყველაზე ნაკლებ გადმოცემა შოთას შესახებ წარმოდგენილია კახეთ-ჰერეთში და ყველაზე მეტად სამცხეში და შემდეგ შიდა-ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში, მტკვრის ჩრდილოეთით.

ამასთანავე ვეფხისტყაოსანში ბლომად არის მესხიზმები ანუ ისეთი სიტყვები, რომელნიც პოემაში ხმარებული მნიშვნელობით ახლაც არის სამცხე-ჯავახეთში. გრამატიკული ფორმებიც ზოგან მესხურ კილოდან არის აღებული და ეს ფორმები ამ დიალექტში შემონახულია დღემდის. ნ. ნათენაძემ თავისს წერილში შოთა რუსთაველის ვინაობა-სადაურობის შესახებ (მნათობი, № 8—9, 1937 წ., გვ. 265—290) წარმოადგინა ამ მხრივ საკმაოდ ვრცელი და საყურადღებო მასალა, რომელიც ცხადყოფს, რომ ქართულ ხალხურ კილოთაგან შოთა ყველაზე მეტად იყენებდა სწორედ მესხურ კილოს, რაც ამტკიცებს ავტორის წარმომავლობას სამცხიდან, როგორც ეს აგრეთვე საგულისხმებელია პოემის ტექსტიდან და მოსახლეობაში მტკიცედ გამჭდარ ტრადიციულ გადმოცემათაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მეფე-მგოსანი არჩილი თეიმურაზ I-ს შოთა რუსთაველის მიმართ შემდეგს ათქმევინებს:

ღაზოდა სტქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე,
ქისოყურად პასუხს მოცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე (სტროფი 126).

ჯავახური ამ შემთხვევ აში იგივეა, რაც სამცხური.

პოეტი ვახტანგ ორბელიანი თავის ლექსს „ობოლი“, რომელიც მიძღვნილია შოთა რუსთაველისადმი, ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ავტორს (ე. ი. თვით ვახტ. ორბელიანს) ხშირად გაუგონია თავისი დედის, მეფის ირაკლი II-ის ასულის თეკლესაგან, რომელიც გარდაიცვალა 1846 წელს, რომ საქართველოს

სამეფო სახლში ძველ დროთაგანვე სიტყვიერად გადმოცემა დარჩენილა: შოთა რუსთაველი ყოფილა თბოლი, ტომით მესხი, სოფელ რუსთავითგან, რომლის სახელითაც იმ დროებში მისთვის უწოდებიათ რუსთაველი. იყო მშვენიერი სახის კაციო¹.

თეკლე ბატონიშვილს კიდევ ეს გადმოცემა ათვისებული ექნებოდა სხვა ბატონიშვილებისაგან და თავის დედა დარეჯან დედოფლისაგან XVIII ს-ნის მიწურულში. ამიტომ გაუგებრობაზე უნდა იყოს აგებული თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა, თითქოს მას რაღაც ზეპირი ცნობა ჰქონდა შოთას წარმომავლობაზე თბილისის მხარის რუსთავიდან. მართლაც, არის კიდევ შემდეგი ჩანაწერი, რომელიც მიეკუთვნება 1825—1827 წლებს, როდესაც ახალციხე ჯერ კიდევ ოსმალების ხელში იყო, და რომლის მიხედვითაც შოთა წარმოშობით მესხი და სამცხის რუსთავისგან ყოფილა. ეს გადმოცემა მოცემულია ეურნალ „Телескоп“-ში (მოსკ. 1833 წ., № 5, ნაწ. XIV) სპეციალურ ათგვერდიან წერილში რუსთაველის შესახებ, მინაწერით ბოლოში: „перевод с польского Н. Дубровского“. წერილი, მთარგმნელის სიტყვით, ეკუთვნოდა ხოძკოს, რომელიც უნდა იყოს პოლონელი პოეტი ალექსანდრე ხოძკო (1804—1891). ალ. ხოძკოს შეეძლო გაცნობოდა ქართულ ენას და ვეფხისტყაოსანსაც პეტერბურგში ქართველი ბატონიშვილების და მათი თანმხლებ ქართველ თავადიშვილებთან ერთად წრეში. ა. ხოძკო დიდ შეფასებას აძლევს ვეფხისტყაოსანს და თვით შოთას შესახებ გადმოგვცემს შემდეგ ცნობათ, შეკრებილს, ცხადია, მაშინ არსებული ზეპირი გადმოცემის მიხედვით (მომაქვს ციტატა რუსული თარგმანის მიხედვით):

„Сей знаменитый поэт родился в 1163 году от благородных но небогатых родителей. Место его рождения полагают местечко Рустави, в округе Месги, в провинции Сабатаго (т. е. Саатабаго), которое теперь составляет Ахалцихский пашалык. Оттого, по общему обыкновению древних народов и дано ему название Руставель или Руствель, показывающее, что родом он из Рустави. По возвращении из Афин, куда он был послан царем Георгием для усовершенствования в науках, он нашел уже на троне дочь его Тамару и остался в числе ее придворных. Кроме философии и естественных наук он знал совершенно языки: арабский, персидский, греческий. Как при дворе Августа славились поэты Мирон и Гораций, соединенные тесной дружбой, так и при Тамаре Руставель и Чахрухадзе, друзья-поэты, удивляли современников своими талантами“.

¹ ლექსები ვახტანგ ორბელიანისა, ტფ., 1894 წ., ვ. 105.

ალა ხოძკოს ეს წერილი აღნიშნულია გ. იმედაშვილის წიგნში, „რუსთვე-
ლოლოგიური ლიტერატურა, 1712—1956 წლები“, თბ., 1957 წ. გვ. 10—11,
მაგრამ ტენდენციურად და არა ყველა დებულების ანოტირებით¹.

¹ გ. იმედაშვილის აქ დასახელებული მოზრდილი ფორმატის ათასგვერდიანი წიგნი, შედგე-
ნილია ცალმხრივად. ამ წიგნში სრულებით არაა აღნიშნული ა. ხოძკოს მიერ შოთას შესახებ
ჩაწერილი და ზემოთთანილი ბიოგრაფიული ცნობები პოემის ავტორის შესახებ წარმოშობის
შესახებ. ამავე მიზეზით ამ ბიბლიოგრაფიულ წიგნში სრულებით არაა ანოტირებული შოთას
შესახებ წარმოშობის და თვით ბიოგრაფიის შესახებ ვეფხისტყაოსნის ჩემი გამოცემებში (რო-
გორამ 1913 წლისა, ისე 1927 წლისაში) მითავსებული ვრცელი 50 და 145 გვერდის მოცულო-
ბით გამოკვლევა-წერილები. არაა სრულად მოცემული აქ. წერეთლის აზრებიც (მაგ., არაა
ანოტირებული აქ. წერეთლის მიერ შოთას ცხოვრების საკითხზე 1913 წელს 1 აპრილს გაზ.
„თემში“ № 117 დაბეჭდილი წერილი, თხზულებანი, ტ. 14, თბ. 1961, გვ. 539—541).

მიჩქმალულია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ნასესხობის შესახებ არტ. ზუტენერის აზრი (1884 წ.),
რომ სიუჟეტის ნასესხობას თავისთავად თვით პოემის ღირებულებისათვის არ აქვს არაერთი
მნიშვნელობა. სრულებით გამოტოვებულია პოემის სიუჟეტის უცხოური (სპარსული) წარ-
მოშობის შესახებ ნიკ. ნიკოლაძის (ნაწილობრივ), კიტა აბაშიძის, ე. თაყაიშვილის, ი. ჭავჭავაძის
შვილის აზრები. გამოტოვებულია 1913, 1924 და (1915 წ.) 1927 წლებში დაბეჭდილი ჩემი აზრები
პოემის სიუჟეტის ქართული წარმოშობის შესახებ. სამაგიეროდ წიგნი ავსებულია ვ-ტყაოსნის შესა-
ხებ ისეთი აზრების ანოტაციით, რომელთაც თავის დროზედაც არ ჰქონდათ მნიშვნელობა.
თვით ანოტაციები მთელს წიგნში საერთოდ და მერ წილად მოცემულია არაზუსტად და არასწორად.

ამასთანავე ავტორს წიგნი გამოყენებული აქვს (მაგ., გვ. 338), ჩემს მიმართ ძველი (1915 წ.).
ცილისწამებისათვის, თითქოს მე მაშინ ტფილისში არსებულ ერთდერთ უმაღლეს სასწავლე-
ბელში (ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე) საქართველოს ისტორიის (ფაქულტატიურ)
კურსს ვეითხულობდი არადა მკამყაოფილებლავ, რომ მე თითქოს შევძულე საქართველოს ისტო-
რია მსმენელებს და სხვ. ამ საკითხზე მაშინ (1915 წ.) კურსების ისტორიულ-ლიტერატურულმა
ფაქულტეტმა და შემდეგ კურსებზე სამეცნიერო საბჭომ გამომიცხადა ნდობა და არ მიიღო ჩემი
განცხადება ვადადგომა შესახებ (იხ. ამაზე გაზ. „სახალხო ფურც.“ № 260, 17 აპრ. 1915 წ.).

1916 წლის ოქტომბერში სხენებული კურსების ორ ფაქულტეტს (ისტ.-ლიტერატურულს
და ბუნებისმეტყველ.) მიემატა სამედიცინო ფაქულტეტი, რომელიც საზენო ვითარებაში გაიხსნა
კავკასიის ნამესტნიკის თანადასწრებით. რევოლუციის შემდეგ პეტროგრადიდან ნებართვით
კურსებზე 1917 წლის სექტემბრიდან დასრულდნენ უკვე ვაჟებსაც და სტუდენტების რიცხვიც
ავიდა 1700-მდე. მალე მას სახელდაც დაერქვა ა/კავკასიის უნივერსიტეტი (ამის შესახებ იხ.
პროფ. Ф. В. Благовидов, „Начальные страницы из истории высшего образования на
Кавказе“, Известия Азербайдж. госуниверситета, т. 4—5, общественные науки, Баку,
1925 г., стр. 285—304).

1917 წლის სექტემბრიდან აქ ჩემს ლექციებს საქართველოს ისტორიაში სტუდენტ-მსმენე-
ლების გარდა სპეციალური ნებართვით ესწრებოდნენ კავკასიის ისტორ.-არქეოლოგ. ინსტიტუ-
ტის მეცნიერი მუშაკები დოკ. გორდევნი, რომ. ბლივი (შემდეგ პარპარდის უნივერსიტეტის
პროფესორი ამერიკაში), მათთან ერთად იური მარი და კიდევ სამი გარეშე პირი. სხენებულნი

ხალხური გადმოცემა შოთა რუსთაველის შესახებ გამოყენებულ იქნა მ. მაისუროვის (მაისურაძის) მიერ მოთხრობაში „ვარდციხე“, რომელიც დაიბეჭდა რუსულად გაზ. Кавказ-ში 1846 წ. № 31—32. შემდეგაც ხდებოდა ცალკეულ ასეთ გადმოცემათა ფიქსირება.

1897 წ. აღ. ხახანაშვილმა თავისი „ქართული მწერლობის ისტორიის“ მეორე ტომში შეაჯამა ეს გადმოცემანი შემდეგნაირად:

„Великого поэта постигла судьба многих великих людей. Нам в достоверности неизвестно ни семейное происхождение Шота Руставели, ни общественное его положение, ни школьное образование, ни место и время его рождения—словом наши биографические о нем сведения столь же скудны, как о древнем Гомере и гениальном Шекспире. Само название Шота чисто грузинское, весьма древнее, сокращенное из Ашота, по мнению некоторых не встречается в святцах христианских, так как не было обязательного обычая у древних христиан, как и у грузин, давать при крещении имена святых, прославленных церковью. Прозвание же Руставели поэт получил по месту своего рождения в Рустави... Рустави есть название древнего города Грузинского царства, известного под именем Бостан-калаки, на левом берегу реки Куры, ниже Тифлиса... Но ко времени царицы Тамары центр грузинского просвещения был перенесен в Верхнюю Карталинию, где ныне лежит село Рустави... Вероятнее, что поэт Шота, певец царицы Тамары, происходил из этого последнего Рустави месхийского или Верхне-Карталинского, а не из древнего Бостан-калаки, так как вообще Ахалцихский уезд или Саатабаго в X—XII вв. играл выдающуюся культурную роль в истории Грузии“.

შემდეგ აღ. ხახანაშვილი განაგრძობს, რომ ხალხური გადმოცემით, შოთა ადრე დაობლდა და მას ზრდიდა ბიძა (ბერი) ჯერ რუსთავეის საეკლესიო სკოლაში, შემდეგ გრემის, იყალთოს სასწავლებლებში, ათინის, ოლიმპის და იერუსალიმის მონასტრებში. შოთა გამიჯნურებული იყო თამარ მეფეზე, მაგრამ ცოლად მან შეირთო ვინმე ნინო, რომელსაც შემდეგ მანვე შეასწრო არაბ აბ-

კვალიფიციური პირნი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩემი ლექციებით და ამბობდნენ, რომ ს. კაკაბაძის ყოველი ლექცია გამოკვლევას წარმოადგენდათ (ამისი დამადასტურებელი პირნი ახლაც ცოცხლნი არიან).

მთელს ამ ამბავს არავითარი კავშირი არ ჰქონდა რუსთაველოლოგიასთან და რუსთაველოლოგიის შესახებ ბიბლიოგრაფიულ წიგნში ხსენებული აშკარა ცილისწამების მოთავესა ამტკიცებს ავტორის მხოლოდ ტენდენციურობას.

დუღასთან უწყაო საქციელში. ამის შემდეგ პოეტი გაიქცა საქართველოდან და შევიდა ბერად იერუსალიმის ქართულ მონასტერში და სხვ. სხვა დეტალებს აქ არ ვახსენებთ¹.

1924 წელს „საისტორიო მოამბის I წიგნში წერილში „ეფეხისტყაოსნის პრობლემის გარშემო“ (გვ. 158—159) მე გამოვამყვანე ჩემს მიერ ჩაწერილი გადმოცემის ნაწილი: „ხალხის ზეპირგადმოცემა ჩვენ დრომდისაც შოთა რუსთველს უკავშირებს სამცხის ტერიტორიას. ჩვეულებრივი ვერსია ხალხური გადმოცემისა შოთას შესახებ კარგად ცნობილია. საინტერესოა მხოლოდ, რომ, როგორც 1923 წ. ზაფხულში სამცხეში მოგზაურობის დროს დავრწმუნდი, ხალხის ხსოვნას აქამდის გარკვეულად აქვს შენარჩუნებული რუსთველის ცხოვრების ფაქტების ლოკალიზაციის შესახებ ცალკე მომენტები. სოფელ რუსთავიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, ესლა დაუსახლებელ ადგილას, პატარა ბორცვზე არის კოშკის ნანგრევები, რომელ კოშკს ხალხის ხსოვნა შოთას კუთვნილებად აღიარებს (საროელი გლეხის ვას. გიორგაძის ნაამბობი, 67 წლისა, წერა-კითხვის უცოდინარი). კოშკი თავისთავად საგულისხმოს არაფერს წარმოადგენს, ამჟამად შენახულია მხოლოდ ორი კედელი, დასავ. და სამხრეთური, მაგრამ კოშკთან (კოშკის არეში) კიდევ დარჩენილია სახლების საძირკვლების ნაშთი. ეტყობა ამ ბორცვის არეში ძველად პატარა სოფელი ყოფილა“.

აქვე ვურთავ მაშინ ჩაწერილ შემდეგს გადმოცემას (მოხსენებულია ჩემს წერილში „შოთა რუსთველის ბიოგრაფიიდან“ (ეურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1961 წ. № 1, გვ. 46—47): „შოთა დედა ადრე დაქვრივდა. ერთ დღეს რუსთავეზე თავისი თანხმლები კაცებით გაიარა ტრაპიზონიდან მომავალმა მშენებელმა, რომელიც ეკლესიის თუ ეკლესიების ასაშენებლად იყო მოწვეული საქართველოში. ის გაჩერდა წყალის დასალევად და შესანაყრებლად შოთას დედის ეზოსთან, სადაც მას გაუმასპინძლდნენ კიდევ. მშენებელს ძალზე მოეწონა შოთას დედა და როდესაც თავისი საქმის დასრულების შემდეგ ის უკან ბრუნდებოდა, სპეციალურად გაჩერდა რუსთავეში და აქ გაეცნო შოთას დედის ოჯახი, შეირთო ცოლად ეს ქალი და თან წაიყვანა ის ტრაპიზონს მისი შვილებითურთ“.

დავუბრუნდეთ ისევ 1923 წლის ჩანაწერს, როგორც ის იყო დაბეჭდილი 1924 წლის „საისტორიო მოამბის“ პირველ წიგნში: „რუსთავიდან თმოგვისკენ მიმავალ გზაზე ხერთვისამდის სამი კლომეტრის მისვლაზე მტკვრის მარჯვე-

¹ A. C. X a x a n o v, Очерки по истории грузинской словесности, вып. II, М., 1897, გვ. 244—247. შეად. იმავე შრომის I, М., 1895, გვ. 281—283. შეად. აგრეთვე იმავე ავტორის ქართული გამოცემა ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904—1919 წწ. სამი გამოცემა, მე-სამე გამოცემის გვ. 259—262.

ნა ნაპირას მდებარეობს „ორმოცი-ციხის“ ნანგრევები: რვეალი კოშკი რადიუსით 8 ნაბიჯი, ოთხკუთხეი დარბაზი 18×18 ნაბიჯი, ეკლესია 10×6 ნაბიჯი. ყველა ამ შენობიდან ეხლა დარჩენილია მხოლოდ კედლების ქვედა ნაწილები. მოსახლეობა ამჟამად იქ არ არის. ორმოცი-ციხესთან მტკვარზე ძველად ყოფილა ხიდი — ნახიდარი ადგილი ახლაც ჩანს. ეს ორმოცი-ციხეც გადმოცემით დაკავშირებულია შოთას ბიოგრაფიასთან. ამ გადმოცემის მიხედვით, რომელიც მე ადგილობრივ ჩაწერე ხსენებული გლენის გიორგაძის სიტყვით, შოთა იყო უბრალო ოჯახის შვილი, ობლად დარჩენილი დედისერთა. ის გაზარდა მისმა ბიძამ, ბერების მოძღვარმა, თუ წინამძღვარმა (შემდეგში ჩაწერილი სხვა გადმოცემით ეს ბიძა იყო აგარის მონასტრის წინამძღვარი). შოთას ჰყავდა საცოლე. ორივეს ღიდად უყვარდათ ერთმანეთი და ფიციც ჰქონდათ დადებული — მოღალატე მეორისაგან მოკვდესო. საცოლე იყო ორმოცი-ციხის პატრონის სახლის შვილი. ციხესთან ახლაც მდებარე დარბაზი მას ეკუთვნოდა. ამ ციხეს ეს დარქმევია მის ამშენებელ ორმოც კომლისაგანო. მაგრამ თამარ მეფემ მოუნახა შოთას სხვა საცოლე, რომელიც, მისი აზრით, ღიდ პოეტს უფრო შეეფერებოდა, სახელდობრ აჭარის მთავრის ქალი, რომელზეც შოთა დაინიშნა კიდევ. ერთხელ, როდესაც შოთა ბრუნდებოდა თმოგვიდან რუსთავისკენ, ორმოცი-ციხესთან მას გზად დახვდა ყაჩაღად გადაცმული ყოფილი მისი საცოლე და თავს დაესხა. შოთამ ყაჩაღი მოკლა. სიკვდილის წინ ყაჩაღად გადაცმულმა უთხრა შოთას — გული გამიხსენი და გაიგებ ვინცა ვარო. ღრმად დამწუხრებული შოთა ბრუნდება თავის სახლში. მალე ამის შემდეგ შოთამ წაასწრო თავის ცოლს არაბთან, რომელიც შოთას მონა იყო და მას თავისთან სახლში ჰყავდა. ხნობრივად მოკლული შოთა ამის შემდეგ გადავარდება თავისი სამშობლოდან და მიდის იერუსალიმს“.

ს. მაკალათიას მიერ შეკრებილი და 1938 წელს გამოქვეყნებული ზოგი გადმოცემა შოთაზე იძლევა სხვადასხვა ცნობებს. კერძოდ, შოთას ბიოგრაფიისათვის გამოსაყენებელი მასალა, სოფ. როკეთის მცხოვრებ ეთო დავლაშერიძის ნაამბობიდან ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი, ასეთია:

„შოთას მამას ყოლია ერთი ვაჟი. შემდეგ მას გასჩენია მეორე ვაჟიც იმ დროს, როდესაც პატარაშენში (რუსთავის პირდაპირ მტკვრის მეორე ნაპირას) ქორწილში იმყოფებოდა. აქ ჩახრახელისთვის (შოთას მამისთვის) მიუხარებიათ მეორე ვაჟის შეძენა, რომლისთვის მამას იქვე შოთა დაურქმევია.

შოთას მამა ჩახრახელი მალე მტრებს მოუკლავთ და მას დარჩენია ობლად ორი ვაჟი. ბიძას გაუწევია ბავშვებისთვის პატრონობა, რის შედეგად შოთას

სწავლა მიუღია ჯერ რუსთავში და შემდეგ ჩორჩო-აგარაში. ჩორჩანიდან რამდენიმე კომლი გადასახლებულა აგარაში და აქედან ამ ახალ უბანს დარქმევია სახელად ჩორჩო-აგარაო (პუნქტის ძველი სახელი კი ყოფილა აგარა — ს. კ.). აქ სწავლის მიღების შემდეგ ბიძას ორივე ძმისწული გაუგზავნია სასწავლებლად ჯერ კახეთში (იგულისხმება იყალთო) და შემდეგ ბიზანტიაში. შემდეგ შოთა დაბრუნებულა სამშობლოში და აქ გამხდარა ხაზინადარი (იგულისხმება ალბათ მისი მეჭურჭლეთუხუცესად ვახდომა). შოთას უფროსი ძმა კი წასულა არაბეთში, მიუღია მაჰმადიანური სარწმუნოება, გამხდარა აშული (მომღერალი), შეურთავს იქაური ქალი და იქ მოწყობილა.

შოთას შეყვარებია ორმოცი ციხის მეპატრონის ქალი, თამარ მეფეს კი მოუწოდებია მისთვის კოდიანის მეპატრონის ქალის შერთვა. კოდიანი დიდი მემამულე ყოფილა, კოდი წალკამდის სულ მას ჰკუთვნებია“.

შოთას დაცოლშიელების შესახებ ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილ გადმოცემაში ნათქვამია შემდეგი: „თამარს ერთხელ შოთასთვის უთქვამს — მე შენ უნდა დავასახლოო, ე. ი. ცოლი შეგართო. შოთას მოუხსენებია, რომ მე უკვე დანიშნული ვარ ორმოცის ბატონის ქალზეო. თამარს უთქვამს — იგი შენი შესაფერისი არ არის და ორმოცის ბატონის ქალს უარი უთხარიო. თამარს შოთასთვის აურჩევია კოდიანის მეპატრონის ქალი. ეს მეპატრონე კარგი მემამულე ყოფილა, კოდიდან წალკამდის მიწა-წყალი სულ მას ჰკუთვნებია. თამარის რჩევით, შოთას კოდიანის მეპატრონის ქალი შეურთავს. ეს რომ ორმოცის ბატონის ქალს გაუვია, ვაჟურად ჩაუცვამს, ყაჩაღად გავარდნილა და ვარძიდან მომავალ შოთას გზაზე გადასდგომია. მას ხელში შოთას ნაჩუქარი დანა სჭერია და შოთასთვის უთქვამს: რად მიღალატე შოთავო, თავი მოვიკლა, თუ შენაო. ეს უთქვამს და ქალს თავი იქვე მოუკლავს.

„ამის შემდეგ შოთას შეჯავრებია აქაური მიწა-წყალი და თამარისთვის უთხოვნია სხვაგან გადაყვანა. თამარს შოთა თბილისში გადაუყვანია ხაზინადრად. იქ ყოფნის დროს შოთას ხუთი შვილი გასჩენია.

„შოთას (უფროს) ძმას არაბეთში თავის ცოლთან სხვა კაცი მოუხელთებია. მას ცოლი და ის კაციც მოუკლავს და საქართველოში გამოქცეულა. მაგრამ გზაში დასწევია მღევარი, მოუკლავთ იგი და წყალში გადაუგდიათ.

„შოთა კი საქართველოში ყოფილა და აქ დაუწერია ვეფხისტყაოსანი, სიბერეში შოთა ბერად წასულა იერუსალიმში (!) და იქ მომკვდარა“¹.

ასეთია ხსენებული გადმოცემა ვეფხისტყაოსნის ავტორის შესახებ. ამ გადმოცემის ბირთვი რეალური ფაქტების ნიშანს ატარებს.

¹ ს. მაკალათია, მესხეთ-ჭავჭავთი, ტფ., 1938, წ., გვ. 40—42.

შოთა რუსთაველის შესახებ შემონახული ფოლკლორული მასალა დაწვრილებით აღრიცხულია და ვრცლად განხილული იოს. მეგრელიძის წიგნში „Руставели и фольклор“, (თბილისი 1960 წ.). ყველა ხალხური გადმოცემა შოთას წარმოშობას გადაჭრით აკავშირებს სამცხის რუსთავთან. ეს გადმოცემები შოთას ბიოგრაფიის შესახებ შეიცავენ შემდეგ ცნობებს.

1) ერთი სოფლის მცხოვრებთ სსმელად ჰქონდათ მდინარე მტკვრის წყალი და სოფლის ზემოთ მდებარე მცირე წყარო. ამით იკლავდნენ წყურვილს. თხარეს კლდე წყაროს სათავის გასაფართოებლად. სოფლელები ამ წყაროს ირგვლივ დასახლებულან. ამიტომ დაერქვა ამ სოფელს რუსთავიო.

2) გადმოცემით, შოთას პაპა იყო მღვდელი. ცხოვრობდა ის ეკლესიის გალავანში. მღვდელი ცნობილი იყო თავისი მართალი და წმიდა ცხოვრებით. რუსთავის პირდაპირ მტკვარგაღმა იყო სოფელი პატარაშენი (როგორც სახელიდანაც ჩანს, მცირე სოფელი). ეს მღვდელი ისეთი წმიდანი ყოფილა, რომ ის თითქმის მდინარეზე გადადიოდა ისე, რომ ფეხი არ უსველდებოდა (ეს არარეალური დეტალი, ცხადია, შემდეგაა მიმატებული).

მღვდელს ჰყავდა ორი შვილი. ერთი მათგანი იყო შოთას მამა, რომელიც ჩახრახელად იხსენიებოდა. ერთხელ ის წასული იყო მოსალხენად სოფელ პატარაშენში. აქ მას აცნობეს მეორე ვაჟის შეძენა. ეს მეორე ვაჟი იყო შოთა. შვილები მამისგან ადრე დაობლდნენ. შემდეგში ძმებმა გაიყვეს მამის მამული, როგორც ჩანს, იმგვარად, რომ უფროს ძმას შეხვდა ჩახრახი, ხოლო უმცროს შოთას კი რუსთავი.

3) შოთას მამას ჩახრახის მთაზე ორმოცი ბინა ცხვარი და ძროხა ჰყავდა, მას ეძახდნენ ჩახრახელს.

4) შოთა მამით მალე დაობლდა (შვიდი წლისა, მეორე გადმოცემით—ათი წლის).

5) შოთას უსწავლიათ (ჩორჩო) აგარას (ან ტბეთის) მონასტერში, შემდეგ ზარზმის მონასტერში, შემდეგ იყალთოში. გაგზავნილი იყო სასწავლებლად ათინაშიც (ცხადად ჩანს, რომ ეს გადმოცემა ჩამოთვლის ყველა ცნობილ საგანმანათლებლო ცენტრებს). გადმოცემები შოთას შესახებ უფრო ვრცლად იხ. ი. მეგრელიძის დასახელებულ წიგნში.

შოთას ბიოგრაფიის შესახებ არის ასეთი ვერსია, ჩაწერილი მთქმელი ლ. ბერაძისგან ჯავახეთში ახალქალაქელ ასატუროვის მიერ (ილ. მაისურაძის წერილი, „სოფლის ცხოვრება“, 1965 წ., 27 თებერვალი, № 46):

სოფ. რუსთავში ცხოვრობდა ორი ძმა. ცხვრის დიდი ფარა ჰყავდათ. ცხვარი საზაფხულო საძოვრებზე დაუდიოდათ. იმ ადგილს ჩახრახი ერქვა, ცხვრის

ბინებიც იქ იყო მოთავსებული. ამ ჩახრახის გამო ძმებს ჩახრახელ-ჩახრახელ-ლებს ეძახდნენ.

ერთხელ შემოდგომაზე, როდესაც ჩახრახელებმა ორივე ძმამ თავიანთი ცხვარი რუსთავეში ჩამორეკა, სოფელ პატარაშენის ბატონმა ელიზბარმა სთხოვა ერთ-ერთ ძმას, რომ წვეოდა მას თავისი ქალის ქორწილში (სოფელი პატარაშენი მტკვრის მეორე ნაპირას მდებარეობდა, რუსთავის პირდაპირ, ახლა იქ ნასოფლარია). ქორწილის ღამეს ამ ძმას ახარეს ვაყის (შოთას) დაბადება. იმავე ღამეს ჩახრახელი მოწამლეს. ობლად დარჩენილ შოთას კი ზრდიდა ბიძა. ჯერ ის სწავლობდა ტბეთში (შავშეთში) და შემდეგ იყალთოში. იყალთოდან შოთა სწავლის დამთავრების შემდეგ რუსთავეში დაბრუნებულა, სადაც მას საცოლევ ჰყავდა. მაგრამ სოფელ ორმოცის-ციხის ბატონს (ახლა ეს სოფელი არ არსებობს, არის ციხის ნანგრევები) მოუწოდებია შოთაზე თავისი დის გათხოვება. შოთა იძულებული გახდა ამაზე დათანხმებულყო.

ამის შემდეგ შოთას საცოლემ მოინდომა შოთას მოკვლა და ვაჟურად ჩაცმული გადაეღობა მას გზაზე. შოთამ დაასწრო და ქალი თვითონ დასჭრა სასიკვდილოდ. მან ბეჭდით იცნო თავისი საცოლე და დასტიროდა მას. ქალმა ოდნავ თვალი გაახილა და შოთას უთხრა: მე მაინც ბედნიერი ვარ, რომ შენის ხელით ვკვდებიო.

შოთამ დიდხანს იგლოვა ეს ქალი. შემდეგ ბიზანტიას გადაიკარგა და მხოლოდ გვიან დაბრუნდა უკან.

შოთას ორმოცის-ციხის ბატონის ქალი მაინც არ შეუერთავს. მან თამარის რჩევით შეირთო სოფ. კოდინანის ბატონის ქალი (ახლა ეს სოფელი არაა, დარჩენილია 9 ეკლესია, მდებარეობდა ხერავის-ვარძიის გზაზე). მაგრამ ამ კოდინანის გარდა არსებობდა სხვა კოდინანიც რუსთავის ჩრდ.-დასავლეთით¹. შესაძლებელია ჩვენ აქ ვკჭონდეს კოდინანის სახელის ერთი ადგილიდან განაღებების შემთხვევა. უპირატესობა უნდა მიეცეს პირველ ცნობას სოფელ კოდინანის არსებობის შესახებ ცხრა ეკლესიან ნასოფლარზე ხერთვის-ვარძიის გზაზე. სოფელი ეკლესიათა რაიონის მიხედვით (ცნობა უნდა გულისხმობდეს საქართველოს წარმატებით ხანას ანუ XI—XII ს-ნეს) საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო, დახლოებით ორასიოდე კომლი გლეხის შემცველი.

1965 წლის ზაფხულში სამცხეში მოეწყო ორი ექსპედიცია სპეციალურად

¹ კოდინანის მთა-მწვერვალი აღნიშნულია დვირის აღმოსავლეთით ათიოდე კმ-ზე. ამ კოდინანის მწვერვალიდან წალკის დასაწყისამდე არის 8—9 კმ., რუსთავიდან მის ჩრდ.-აღმოსავლეთით ამ კოდინანამდე არის ოციოდე კმ.

შოთა რუსთაველზე ფოლკლორული მასალების შესაკრებად. ერთი ექსპედიცია მოწყობილი იყო მიხ. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით შოთასავე სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ, ხოლო მეორე—ქართული ლიტერატურული მუზეუმის მიერ ნინო ჩიხლაძის მეთაურობით. ორივე ექსპედიციამ დაადასტურა, რომ ისტორიული სამცხე ეხლაც ვასაოცრად არის დეტირთული შოთას სახელთან დაკავშირებულ გადმოცემებით. ეს მით უმეტეს საკვირველია, რომ ჟამთა მსვლელობაში სამცხის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ნახევარზე მეტს დაკარგული ჰქონდა ქართული ენა, ხოლო ორი მესამედი გადარჩელებულ-გამაჰმადიანებულა იყო. მიუხედავად ამისა ქრისტიანობაში წინათ დარჩენილი მესხები და ნაწალობრივ ქართველ მაჰმადიანებზე სიყვარულით ინახავდნენ გადმოცემებს თავანთ დად თანამემამულეზე.

მიხ. ჩიქოვანის მაშინდელი ექსპედიციის მიერ სამცხეში ჩაწერა გადმოცემის მიხედვით შოთას მამას ერქვა იესე. ამ იესეს ჰყავდა ძმა ბესა, რომელმაც შოთას მამის ადრე გარდაცვალების გამო იკისრა მკირეწლოვანი შოთას და მისი უფროსი ძმის პატრონობა. მეორე უფრო მყარი და უფრო გავრცელებული გადმოცემის მიხედვით, დაობლებულ შოთას და მის უფროს ძმას პატრონობდა ბიძა აგარის მონასტრის წინამძღვარი, რომლის სახელს გადმოცემა არ ასახელებს. ეს არ შეიძლება ყოფილიყო ზემოთ დასახელებული ბესა, რადგანაც ასეთი სახელი ქრისტიანული ეკლესიის სათვეო კალენდარში არაა აღნიშნული და ამიტომ ბერად აღკვეცის დროს შოთას ბიძას ამ სახელს ვერ მიცემდნენ. მე მგონი, რომ ხსენებულ გადმოცემაში იესეს და მისი ძმის ბესას შესახებ იესეს სახელით სწორედ აგარის მონასტრის ის წინამძღვარი უნდა იგულისხმებოდეს, რომელმაც იკისრა შოთას აღზრდა გარკვეული წლების მანძალზე. წინამძღვარი იესე, რომელმაც შოთას მამობა გაუწია, გადმოცემაში შემდეგ შოთას მამად იქნა გამოცხადებული.

ეს წაგნი უკვე აწყობილი იყო, როდესაც გამოქვეყნდა მიხ. ჩიქოვანის ექსპედიციის მასალები; ცნობა იხ. ქვემოთ, გვ. 46, 171, შენ.

7. სოფ. ჩახრახი და მისი საძოვარი. ს. მაკალათიას 1936 წელს ხერთვისში სოფ. როკეთის მცხოვრებ ეთო დავლაშერიძისაგან ჩაუწერია შემდეგი გადმოცემა შოთას შესახებ: „შოთა დაბადებულა რუსთავეში და იგი ჩახრახელას (ასე უძახდნენ მის მამას) შვილი ყოფილა. შოთას მამას ბევრი ცხვარ-ძროხა ყოფილა, მას კუთვენებია დიდი მთა-საძოვარი ჩახრახის მთა (აქედან წარმოიშვა მისი სახელი ჩახრახელი). ეს მთა მესხეთში დღესაც არის, როგორც საძოვარი. ეს ჩახრახი შოთას მამის საკუთრება ყოფილა და აქ ძოვდა მისი ცხვარიო. შემოდგომაზე ეს ცხვარი რომ წამოვიდოდა ჩახრახის მთიდან, მისი უყანა თავი იქნებოდა საყვარში, სადაც ძველი ნასახლარია (ახლა აქ ჭობარელების იალა-

ლია), წინა თავი კი ჩამოვიდოდა რუსთაველი. მანძილი მათ შორის იქნება 10 კილომეტრი, ასეთი მდიდარი ყოფილა შოთას მამა ჩახარაქელიო“¹.

ოსმალეთის ბატონობის დროს XVI—XVII საუკუნეებში ახალციხის ლივაში არსებობდა ჭაქარაკის ნაპიე. ეს ნაპიე გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში, რომელიც (სულთან სულეიმანის კანუნ-ნამეს გამოკლებით) შედგენილი უნდა იყოს არა XVI საუკუნის ბოლოში, არამედ 1630-იან წლებში, იკითხებოდა როგორც ჩაჩარაკი. ამასთანავე იყო ორი ჩაჩარაკი: ერთი იყო ზემო ჩაჩარაკი, რომელიც მდებარეობდა ჩაჩარაკისავე რაბათთან (ორივე შეიცავდა მაშინ ათ და თორმეტ, სულ 22 კომლ მოსახლეობას) და მეორე კიდევ იყო ქვემო ჩაჩარაკი, რომელიც მაშინ გაუკაცრიელებული იყო. საყურადღებოა, რომ ორივე ეს ჩაჩარაკი ამავე ფორმით აღნიშნულია ვახუშტის რუკაზედაც. ერთი მათგანი ვახუშტს ნაჩვენებია აქვს ახლანდელი ჭაქარაკის ადგილას მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან, მეორე კი მის ზემოთ მტკვრის მეორე (მარჯვენა) ნაპირას. რადგანაც გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში ზემო ჩაჩარაკი აღნიშნულია იმავე სახელის რაბათთან, ამიტომ ცხადია, რომ ჩაჩარაკის ნაპიეს ცენტრი ზემო ჩაჩარაკი მისი რაბათით მდებარეობდა ახლანდელ მინაძე-ტობას არეში. ცხადია, რომ თვით რუსთავი მაშინ, როდესაც იქ 6 კომლი ქართველია აღნიშნული, უმნიშვნელო პუნქტი იყო².

როგორც ვნახეთ, ზემო ჩაჩარაკის და მისი რაბათის (მაშასადამე, დაახლოებით შემდეგდროინდელი სოფელ მინაძის) აღმოსავლეთით მდებარეობდა მასზე მიწერილი ტობა. ამჟამად ტობა ადმინისტრაციულად გაეთიანებულია სოფ. რუსთავთან, მაგრამ XIX ს-ნის რუკებზე ის ცალკე არის ნაჩვენები. გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში ეს ტობა არაა მოცემული. მართალია, ს. ჯიქიას ის თავის რუკაზე აღნიშნული აქვს, მაგრამ თვით დავთარში ჩაჩარაკის ნაპიეს ტობა იგულისხმება სოფელ წყორძას ადგილზე, ხოლო წყორძა თავის მხრივ სოფ. ურაველის გვერდით მდებარეობდა. ს. ჯიქიას ჩაწერილი აქვს ვადმოცემა — „ტობა წყორძასთანა. ტობელები ახლა წყორძელები ვახდენენ“—ო (გურჯ. ვილაიეთის დავთარი, III, 214). ამრიგად გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი არ იცნობს სოფელს სახელით ტობა რუსთავის არეში.

სახელი ტობა, რომელიც არის დაბა-ს უძველესი ეკვივალენტი და რომელიც საკმაოდ ხშირადაა წარმოდგენილი საქართველოს ტოპონიმიაში, აგრეთვე უნდა გვიჩვენებდეს ძველად ამ პუნქტის უპირატესობრივ მდგომარეობას შედარებით გვერდში მყოფ რუსთავთან.

¹ ს. მაკალათია, დასახელ. ნაშრომი, გვ. 40.

² ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი III, თბ. 1958 წ. 209—210.

დაბა (ტობა) ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა, საკუთარი სახელი კი იქნებოდა სხვა, სახელდობრ ჩახრახნი, რომელიც ოსმალურად გადაიქცა ჩაჩარაკად. მართლაც, დიაკრიტული ნიშნების სხვადასხვაგვარად დასმით არაბული ასოებით დაწერილი ჩახრახნი შეიძლება წაკითხულ იქნას როგორც ჩაჩარაკი ან შეეხება ქვემო ჩაჩარაკს, რომელსაც ახლა ჭაჭარაკი ეწოდება (რუსთავის დასავლეთით შვიდიოდე კმ-ზე), ის არსებითად არის სულ სხვა პუნქტი, ასე რომ ჩახრახნი და ჭაჭარაკი, რასაკვირველია, სხვადასხვა სახელებია.

ტობას დასავლეთით მდებარე ჩაჩარაკი თავისი რაბათით ოსმალების დროს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო და ნაპიეს ცენტრი, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტობა იქნებოდა სხენებულ ჩაჩარაკზე ქართველობის დროს მიწერილი დაბა (მანძილი ახლანდელ მინაძესა და ტობას შორის არის სამიოდე კილომეტრი). ხოლო ჩაჩარაკი არის მწიგნობრულ ნიადაგზე გადამახინჯებული ძველი ქართული ჩახრახნი. მართლაც, ს. ჯიქიას აღნიშნული აქვს ოსმალური დამწერლობის ნიადაგზე ტოპონიმების შეცვლის მაგალითები. საყურადღებოა ამ მხრივ, თუ როგორ შეიცვალა ახალქალაქის ლივაში (ჯავახეთში) სოფელ ჯვარანის სახელი ხორენად: ქართ. ჯვარნი, აქედან ჯვარინი. ქართული ჯ ოსმალურად იწერებოდა ქვემოთ ერთი წერტილით. საკმარისი იყო ქვემო წერტილის მაგივრად დასმულიყო ერთივე ზემო წერტილი, გამოვიდოდა ხორინი, რომელიც გადაკეთდა ხორენად¹.

სახელი ჩახრახნი რომ ოსმალების დროს მწიგნობრული შეცდომით გადაკეთებულ იქნა ზემო ჩაჩარაკად, ეს ჩანს შემდეგიდანაც. ჭაჭარაკი, რომელიც ახლაც არსებობს, მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას. ხოლო ზემო ჩაჩარაკად გადაკეთებული ძველი ჩახრახნი (იგივე ტობა ან ამის ახლოს მდებარე) იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირას მისგან ოთხიოდე კმ-ზე. შეუძლებელია, რომ თავიდანვე ჭაჭარაკის ზემო ნაწილი ყოფილიყო ისეთი თვალსაჩინო მდინარის როგორიც მტკვარია, მარჯვენა ნაპირას, ხოლო ქვემო ჭაჭარაკი კი მასზე ქვემოთ იმავე მდინარის მარცხენა ნაპირას. ოსმალურ ქვემო ჩაჩარაკს ახლაც აქვს შემონახული თავისი სახელი ჭაჭარაკი. ცხადია, რომ ოსმალური ზემო ჩაჩარაკი სხვა სახელის (ჩახრახნის) გადამახინჯებას წარმოადგენს.

ამგვარად, ოსმალური დამწერლობის ნიადაგზე ჩახრახნის ნაპიეს მთავარ პუნქტს ახლანდელი ტობას დასავლეთით სახელი შეეცვალა ჩაჩარაკად, რაც შემდეგ განმტკიცდა კიდევ (ნაპიეს სახელი ჩაჩარაკისა და ვახუშტის რუკა).

¹ გურჯისტანის ვილაიეთის დავთარი, 320—328.

მაგრამ ხალხში დარჩენილი იყო წინანდელი სახელი ტობა, რომელიც შერჩა ამ პუნქტს ჩვენს დრომდის.

გასაგები ხდება ამის შემდეგ შოთას მამის სახელის ფორმა ჩახრახელი. ეს არის ადგილიდან წარმოებული სახელი, მფლობელობის მანიშნებელი (ჩახრახის მეპატრონე) და იმავე დროს მარტივად გვარადაც ხმარებული.

მაგრამ არსებობს ტოპონიმის ჩახრახის ახსნის მეორე შესაძლებლობაც. სამცხის ტოპონიმიკური მასალები აღნიშნავენ ანდრიაწმიდის სოფლის სივრცეზე ჭახრაკა-ხევს როგორც ხევს¹. ეს ჭახრაკა-ხევი ექვს გარეშეა არის იგივე ჩახრახა. ანდრიაწმიდა მდებარეობს სოფელ რუსთავის სამხრეთ-დასავლეთით შვიდიოდე კმ-ზე, ქალაქ ახალციხეს სამხრეთით ხუთიოდე კმ-ზე. სოფ. ანდრიაწმიდის ტერიტორიის სამხრეთი კიდერიდან, ულვას მთიდან სამხრეთისკენ ჩახრახის-წყალის შესართავამდე არის ათი კილომეტრი. ულვას მთაზე ნაჩვენებია ნასოფლარიც². სოფელი ღრომა, სადაც გათურქებული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, ამჟამად აღნიშნულია როგორც ნასოფლარი. სულ ანდრიაწმიდის სივრცეზე ამჟამად დადასტურებულია 4 ნასოფლარი. ჭახრაკა, იგივე ძველი ჩახრახაც ალბათ ნასოფლარი იქნებოდა. ამის მიხედვით სოფელი ჩახრახი ძველად არც თუ მთლად მცირე მოცულობის უნდა ყოფილიყო, რაკი მას საკუთარი სათიბი-საძოვარი ჰქონდა ჩახრახის-წყალზე. მეტიც შეიძლება ითქვას. ჩახრახში ალბათ შედიოდა ზოგი სხვა პატარა სოფლებიც, ვიდრე ჩახრახის-წყალის შესართავამდე და შესაძლებელია ჩახრახის მფლობელს ჰქონდა ზოგი ამ სხვა მცირე სოფლის მიმართ ერთგვარი უპირატესობრივი მდგომარეობა. ამგვარად შოთა რუსთაველის მამა ჩახრახელი როგორც ეტყობა, იყო არც თუ მთლად მცირე მფლობელი.

ამჟამად ძნელია თქმა, რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან ჭახრაკ-ჩახრახი, ანდრიაწმიდასთან დამოწმებული, და რუსთავთან ახლანდელ ტობას არეში

¹ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ. 1964, ი. სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), გვ. 144.

² ჩვეულებრივ საძოვრები დაშორებული იყვნენ სოფლებს. ამის მაგალითებია: სამცხეშივე ოშორას იალალი-მთა, ორი სახელით (აშორა და ჩიტკიბედ) აღნიშნული, სოფელზე ჩრდილოეთით 7 კმ-ზეა დაშორებული.

ქიზიუში სოფ. ჭუგანის ბინები (საძოვრები) შირაქის ველზე 18 კმ-ზე იყო დაშორებული, მირზაანისა იქვე 8, 12 და 24 კმ-ზე, ოხანისა — 8 კმ-ზე.

ჯავახეთში ხანდოს (ხერთვისის აღმ.) საზღვხულო ბინები (იალალი) ჰქონდა 25 კმ-ზე ჩრდილოეთით მდ. ქციის სათავეში. ასევე სოფელ ორჩაქას (ხანდოს ახლოს) იალალი ჰქონდა 22 კმ-ზე მდ. ქციის სათავეებთან. ალათუბანს ჯავახეთშივე (ბარალეთის ჩრდ.) იალალი ჰქონდა ათ კმ-ზე ჩრდილოეთით მდ. ქციის სათავეებთან.

საგულისხმებელი ჩახრახნი, თურქულად ზემო ჩაჩარაკად გადაქცეული. თითქოს შოთას მამის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო რუსთავის ახლოს მდებარე სოფელიც, შემდეგში თურქულად ჩაჩარაკის სახელით ცნობილი. მაგრამ, მეორე მხრივ, საესეებით შესაძლებელია, რომ შოთას მამის მეორე საბინადრო იყო სწორედ ანდრია-წმიდასთან მდებარე ჩახრახსა და ჩახრახის-ხევში. საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა ახალ დაკვირვებათა ჩატარება.

მიწათმოწყობის სამმართველოს სპეციალისტის აპოლ. ჯმუხაძის მიერ მოცემული ცნობით, არტაანის მხარის საზღვარზე ახლანდელი ასპინძის რაიონში მდ. ჩახრახის-წყალის დენადობის მიყოლებით არის საზაფხულო საძოვრები ჩახრახი, რომელთაც ამჟამად უკავიათ 1047 ჰა. აღმოსავლეთით ამ საძოვრებს ეკვრის გუმბათის საძოვრები, რომლებსაც აგრეთვე ჩახრახის სახელითაც იცნობენ (მათი ფართობია 2350 ჰა). მაგრამ ნამდვილი ჩახრახის საძოვრები უნდა იყოს ჩახრახის-წყალის მიმდევრონი (1047 ჰა). ცხადია, ეს იყო ძველ დროის სოფელ ჩახრახის საზაფხულო საძოვრები.

აღსანიშნავია, რომ მდ. ჩახრახის-წყალის მეორე სახელია ჩახრახელის-წყალი. ქართულ რუკაზე ამ მდინარის სახელი მოცემულია ფორმით ჩახრახისწყალი, უნდა იყოს ჩახრახ(ხე)ლის წყალი. გამოდის, რომ თვით საძოვარს ოდესღაც ერქვა ჩახრახელის, ე. ი. ჩახრახის პატრონის სახელი.

ამგვარად სოფელ ჩახრახს (ერთს თუ მეორეს ან ორივეს ერთად) ჰქონია დიდი საძოვარი — ჩახრახის მთა. ჩახრახის საძოვარი მდებარეობდა მდ. ჩახრახის-წყალის სათავეში ჯავახეთში, მაგრამ არტაანის საზღვარზე. XX ს-ნის დასაწყისის რუკის მიხედვით, ეს წყალი გამოდის ზიარათის მთიდან და ერთვის მდ. რაკისს, რომელიც თავის მხრივ ერთვის ურაველის წყალს. ნაჩვენებია ზემორაკისის ნანგრევები მდ. ჩახრახის-წყალზე და ქვემო რაკისის ნაშთი მდ. რაკისზე. არც ერთი ეს სოფელი არაა აღნიშნული გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში, მაშასადამე, ეს სახელები ძველისძველია. ვგონებ, რომ მდინარის სახელი რაკისი თავდაპირველი უნდა იყოს და მხოლოდ შემდეგ ამ მდინარის თავნაწილს დაერქვა ჩახრახის-წყალი. მაშასადამე, თვითონ სახელი ჩახრახი არაა ამ ადგილისთვის თავდაპირველი. ამით ირკვევა, რომ მდინარეს თავდაპირველი თავისი სახელი რაკისის-წყალი გადაერქვა იმიტომ, რომ XII ს-ნის დასაწყისის ახლოს აქ მოეწყო სოფელ ჩახრახის ბინა (საზაფხულო საძოვარი).

შოთას მამა ჩახრახელი, გადმოცემის მიერ შემონახული ცნობის მიხედვით, უკვე იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ მას მამულად ჰქონია რუსთავიც (ჩახრახსა და რუსთავს შორის მანძილია 5—6 კმ.). გადმოცემა ასახელებს მხოლოდ რუსთავს, მაგრამ შესაძლებელია ჩახრახელის ხელში იყო რუსთავის

მეზობელი სოფელი ტობაც. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ შოთას ძამის გვარი ფლობდა ამ ადგილს წინანდელ თაობათაგან, მაგ., დავით აღმაშენებლის დროიდან.

დავითის მატთანეში მისავე მოძღვარი არსენი აღნიშნავს: „კვალად სხვასა ბრალობასა შემოიღებენ (დავითის მიმართ) მეტყველნი: შეიყვარნის ვინმე და განადიდნის ვინმეო და კვალად მოიძულნის ვინმეო და დაამცირანისო, ესე აღამაღლოს და ესე დაამდაბლოს, ერია უსამართლობასა“. ამაზე მემატთანე არსენი პასუხობს: „პოი უგუნურებასა... უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა და ჯაბანთა და უღირსთა აღიდნეს, რა უსამართლო ქმნა“ და სხვ. ჩახრახა სწორედ იმ „ერთგულთა ფრთხილთა და ახოვანთა“ შორის არის საგულისხმებელი, რომელთაც დავით აღმაშენებელი „ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა“ მაგივრად აწინაურებდა. ჩვეულებრივ მოხვევს ანდა, უკეთ, უკვე ხევში, მაგ., ხვეისბერად დაწინაურებულს მიეცა პატარა სოფელი ჩახრახი მისი საძოვრით. ეს დავითის დროს ადვილად შეიძლება მომხდარიყო.

სიტყვის ჩახრახელის მნიშვნელობის გასაგებად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი პარალელები:

ჯვარის მონასტრის ალაპებში მოხსენებულია გვარი მახუნჯაგიანი, რომელიც უდრის ჟამთა აღმწერლის მახუნჯაგისძეს. გიორგი ლიპარტიანი ალაპებში 1620 წელს იხსენიება ლიპარიტელად. მართლაც, ჯერ კიდევ XI ს-ნის ლიპარიტელები მატთანეში მრავლობით რიცხვში იხსენიებიან ლიპარიტეთ-აღჯვარის მონასტრის ალაპებში ერთი და იგივე პირი იხსენიება ხაფთაჲ და ხაფთაჲსძე (როგორც მატთანეში თორღაჲ და თორღაჲსძე). აქედან ჩახრახ-ელი გამოდის იგივე ჩახრახასძე. ჩახრახაჲ-ც იგივე ჩახრახასძეა, როგორც, მაგ., სოფლის ძველი სახელი სამცხეში კოპაძე და მინაძე (იხ. ზემოთ). მაშასადამე, ჩახრახა (სოფელ ჩახრახის სახელად), ჩახრახელი და ჩახრახასძე ერთსა და იმავეს ნიშნავს.

ჩახრახი შეიძლება წარმომდგარიყო ჩახრუხასაგან როგორც ბაკურისაგან. ბაქარი, თორღაჲსაგან (იხსენიება ჟამთა აღმწერელთან XIII საუკუნეში) „თორღასძენი, თავნი კახეთისანი“. (იმავე მემატთანესთან)¹.

¹ მ. ჯანაშვილი წერდა თავის წერილში „საინგილო“ (ძვ. საქართველო, II, 70), რომ „გადმოცემით უწინ კაცი ყოფილა ათასკომლოვანი ქალაქი, რომელსაც ჰქმევია თორღაჲ. ეს გადმოცემა მართლდება ისტორიული ცნობითაც: თორღაჲს (თორღაჲს) დიდი ციხეები ჰქონია ლაგოდეხის და კახეთის სხვა მთებში და ზოგი მათგანი დღეს იწოდება თორღაჲ, თორღაჲდ...“

თუმცა სახელი ჩახრახი ძლიერ ახლოს დგას პიროვნების სახელთან ჩახრუხა, მაგრამ ეს უკანასკნელი სახელი კიდევ სხვაგვარად გააზრებულად არის მოცემული. სახელდობრ, საბა ორბელიანს სიტყვა ჩახრუხი განმარტებული აქვს, როგორც ერთ-ერთი ფრინველის აღმნიშვნელი. ხოლო ი. მეგრელიძის სიტყვით¹, ჩახრუხა, როგორც ეს ერთს გამოცემაში აღნიშნულია (გამოცემას ის არ ასახელებს), ბულბულს ნიშნავს (შეად. ფრინველი სუნდული მამაკაცის სახელად სუნდულ მამლაქანის ძის მიმართ ჯვარის მონასტრის ალაპებში). სახელი ჩახრუხა შეიძლება იყოს სპარსულიდანაც შაკ-როხ.

8. რუსთავი. რუსთავის შესახებ ს. მაკალათიას სამცხეში შეკრებილი ჰქონდა შემდეგი გადმოცემანი:

„რუსთავი მდებარეობს ახალციხე-ასპინძის გზაზე. ახალციხიდან რუსთავამდის 18 კილომეტრია. რუსთავს სამხრეთით მტკვარი უვლის, ჩრდილოეთ-დასავლეთით იგი შემოზღუდულია მაღალი და კლდოვანი მთებით. რუსთავის აღმოსავლეთ-სამხრეთის კალთა გაშლილია და წარმოადგენს საკმაოდ დიდ ველს, რომელზედაც კარგი ჭირნახული მოდის. რუსთავს აქვს კარგი ბაღები, რომელიც ირწყვის წითელი კლდიდან გამომდინარე წყაროთი (რუთი) და ამ რუსთავი გამო მას ეწოდება რუსთავი.

„რუსთავის მიდამოში გლეხები დღესაც პოულობენ ჩაქირულ ქვევრებს, ტყის ჭიშებისა და ხეხილის ფესვებს და სხვა, საიდანაც ირკვევა, რომ წინათ რუსთავის მიდამო ტყითა და ბღ-ვენახით ყოფილა დაფარული.

„რუსთავში დარჩენილია ძველი ნასაყდრალი ადგილები და სასაფლაო.

„სასაფლაო მდებარეობს ღარის ღელის ნაპირას. ამ საფლაოებს ქვის ლოდებისაგან წრე აქვს შემორტყმული, ცენტრშიაც ერთი დიდი ქვა ადევს. ხალხური თქმულებით, აქ უნდა იყოს გადამალული რუსთავის განძი².

„ამ სასაფლაოს მახლობლად არის ძველი ნასაყდრალი, სადაც ბედნიერ დღეებში მესხეთის მოსახლეობა სანთლებს ანთებს და ლოცულობს. დასავლეთის მხრივ კლდეებს შუა არის კიდევ ეკლესიის ნანგრევი, რომელსაც საყდრიადას ან საყდრის ადას უწოდებენ, თათრულად კი ქილისან-ადას (ადა თურქულად კუნძულია, აქ იგულისხმება რუების ორწყალშუა).

„მესამე ნასაყდრალი შარა გზაზეა, მტკვრის მახლობლად და მას უწოდებენ ეკლიანის ეკლესიას (თოფთიქიანეს ქილისასი)... აქ მიდიან აღდგომას და ნინოობას, სანთლებს უნთებენ და ლოცულობენ. ამ ადგილის მახლობლად

¹ დასახელებ. ნაშრომი, გვ. 41—42.

² ცნობა განძის შესახებ მოარულია და, რასაკვირველია, არ შეეფერება სინამდვილეს.

არის ჩაღრმავებული ნასახლარი, რომელსაც შოთას ფაგს, ნასახლარს უწოდებენ. გადმოცემით, აქ შოთას სახლი მდგარა და ეს ადგილი პირდაპირ გაცქერის რუსთავის ძველ კოშკს ქალან ყიშლას—ფერდობის ციხეს(?!). კოშკის სახურავი და უკანა კედელი ჩამონგრეულია“.

ამგვარად ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, რუსთავში კოშკის და „გკლიანი ეკლესიის“ არეში არის ჩაღრმავებული ადგილი, რომელსაც შოთას ნასახლარს უწოდებენ. ეს ნასახლარი მეც მიჩვენეს 1923 წელს.

„რუსთავის მინდორზე შარა გზის მახლობლად არის ერთი ბორცვი, რომელსაც აქ გორაკს უწოდებენ. ხალხური გადმოცემით, შოთა აქ მარხია¹. ეს გორაკი ყორღანისებურია და შარა გზიდან 150—200 მეტრით არის დაშორებული. ამ ყორღანს აქვს საფლავის (კუბოს) ფორმა, თავთან მაღალია და განიერი, ბოლო მისი კი ვიწროა და დაბალი. მისი ცენტრის სიმაღლე უდრის 20 მეტრს, სიგრძე 60 მეტრს. მას ზედ აყრია კენჭი ქვები“.

უკანასკნელ, ნიკ. ნათენაძემ საქართველოს მწერალთა კავშირში 28 მაისს 1966 წ. წაკითხულ თავის მოხსენებაში მოიტანა რუსთავის შესახებ საინტერესო ცნობები, შეკრებილი მის მიერ 1938—1941 წლებში რუსთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობის დროს. მაშინ იქვე რუსთავთან ახლოს მდებარე სოფ. ინდუსაში მცხოვრებ ქართველ-მაჰმადიან გელაშვილებში მისთვის გადაუციათ გადმოცემით დაცული ცნობა, რომ რუსთავში იყო სამი ნასოფლარი, სამივე მტკვრის ნაპირას ნასოფლარების სახით წარმოდგენილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ: პატარა რუსთავი, შუა რუსთავი და გაღმა რუსთავი. პატარა რუსთავი ეწოდებოდა იმ ნასოფლარს, სადაც ახლა კოშკის ნაშთია შემონახული (ფერის-წყალის შესართავიდან დასავლეთით). ამ კოშკს უწოდებდნენ ფერის-ციხეს. ფერის-ციხის (კოშკის) არეს უწოდებდნენ კიდევ „ჩახრუხანთ ფაგებს“. ფაგი თურქულად ნიშნავს ნასახლარს, ეს თურქული სიტყვა ამ სახელს მიეკუთვნა მოსახლეობის მეტი ნაწილის თურქულ ენაზე გადასვლის გამო. ძველი ქართული სახელი კი იქნებოდა „ჩახრუხანთ ნასახლარები“¹.

ამჟამად ადგილობრივ ტოპონიმშიკაში აღნიშნულია მეორე ფერის-ციხეც—ნასოფლარი (1944 წლამდე მცირე სოფლად მყოფ) ინდუსას დასავლეთით. როგორც ეტყობა, პირველი ფერის-ციხის სახელი ამ ადგილის დაცარიელების

¹ პატარა რუსთავის „კარი“ იხსენიება მიხ. ჩიქოვანის წიგნში შოთა რუსთაველი და ქართ. ფოლკლორი, 1966 წ., 14. „პატარა რუსთავის კარი“, ე. ი. უბანი (კოშკთან) და მისი აღმოსავლეთით ნახევარ კილომეტრზე ნასოფლარი „ჩახრუხანთ-კარი“ აღნიშნული აქვს გ. ზედგენიძესაც (გაზ. ბორჯომი, 24 სექტ. 1966 წ.).

შემდეგ გადატანილ იქნა ინდუსას დასავლეთით ახალ პუნტქზე, სადაც გადავიდნენ ალბათ ჩახრუხანათ ნასახლარების არეში მცხოვრებნი.

მანძილი ხსენებული რუსთავის ქსამი ნასოფლარის კიდურებს შორის მტკვრის სანაპიროს გასწვრივ არის დაახლ. ოთხი-ხუთი კილომეტრი. ხოლო ახლანდელი სოფელი რუსთავი მდებარეობს ნასოფლარ შუა-რუსთავის ჩრდილოეთით დაახლოებით $1\frac{1}{2}$ —2 კილომეტრზე. ფერის-ციხის ანუ „ჩახრუხანათ ნასახლარების“ არეს რქმევიცა გაღმა რუსთავი, რადგანაც მის დასავლეთით მას ჩამოუღდის ხევი გორაკით. შუა რუსთავიდან, რომელსაც შემდეგ მიეცა მნიშვნელობა, ჩახრუხანათ ნასახლარები მართლაც გაღმა რუსთავს წარმოადგენდა.

მთელი ეს ცნობა არის უაღრესად საყურადღებო, რადგან ამით დასტურდება ის, რომ შოთა იყო ჩახრუხანის გვარეულობიდან (შეად. § 3 და § 10). ახლანდელ რუსთავთან მის დასავლეთით მდებარეობს ტობა, რომელიც სულ ბოლო დრომდის ცალკე სოფლად ითვლებოდა (ახლა ის შეერთებულია რუსთავთან). 1869 წლის ცნობით, რუსთავის არეში მდებარე სოფლები ასე არიან აღწერილნი:

მინაძე, მდ. მტკვართან, ახალციხიდან 7 ვერსტზე, მცხოვრები 8 კომლი (159 სული), ქუთრები.

ტობა, მინაძის სამხრეთით, ახალციხიდან 10 ვერსტზე, 1 კომლი (22 სული) ქართველი მართლმადიდებელი და 8 კ. (49 სული) ქართველა მაჰმადიანი.

რუსთავი, მტკვართან, ახალციხიდან 11 ვერსტზე, 2 კომლი (22 სული) ქუთრები. არის მინერალური წყალი.

წყალთბილა, ახალციხიდან 7 ვერსტზე, 7 კომლი (54 სული) ქურთი. არის მინერალური წყარო.

რომ ტობა ძველს დროს ზოგ შემთხვევაში დაბას ნიშნავს, ეს ჩანს სუმბატის მატანიდან, რომელიც ქართლის ცხოვრებაშია შეტანილი: „სამშვილდის ტბათა მდგომსა ბაგრატ მეფესა (ბაგრატ IV-ს 1072 წელს) დაეცა საღმრთა მუცლისა და ჩადგა მარაბდათა“ (ამ მუცლის საღმრთობისაგან ის გარდაიცვალა კიდევ). სამშვილდის არეში ტბები არაა, ხსენებულ გამოთქმაში იგულისხმებიან სამშვილდის ტბანი, ტობანი (შეად. ტფილისთან ახლოს სოფელი ტაბა-ხმელა). როგორც ეტყობა, ახლანდელ მინაძესა და წყალთბილას შორის დაახლ. ათიოდ-ხუთიოდე კმ-ის სიგრძეზე მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ხოლო მტკვრიდან ჩრდილოეთისაკენ ოთხიოდე კმ-ის მანძილზე მდებარეობდა ტობა, რომელიც, როგორც მარტივად ასეთი საკუთარი სახელის მქონე, კარგი პუნქტი უნდა ყოფილიყო. ტობას შემდეგ გამოეყო მისი ცალკე უბანი რუსთავი, რომელიც შოთას წილი შეიქნა და აქედან წარმოიშვა მისი წოდებულება რუსთველი.

შეიძლება შემთხვევით არ იყოს, რომ რუსთავის გვერდში მდებარე ტობას (=დაბას) პარალელს ეპოულობთ ჩახრახის-წყალის ქვემოთ იქვე ნასოფლარ ახალ-დაბის სახით (ასეა წინანდელ რუკებზე). ნაჩვენებია ამასთანავე ზემო და ქვემო ახალდაბა. რუსთავის დასავლეთით მდებარე ტობას (დაბას) მსგავსად ჩახრუხას მიერ ჩახრახის-წყალის მიმდგომი საძოვრების ათვისების შემდეგ აქ გაჩნდა ახალდაბა (ზემო და ქვემო ახალდაბა).

ამჟამად ტობა და რუსთავი ერთ კოლმეურნეობად არის გაერთიანებული. მას ეწოდება შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის კოლმეურნეობა. ამ გაერთიანებულ რუსთავში არის 52 კომლი, კოლმეურნეობის ხელში მყოფი მიწის ფართობი უდრის 1727 ჰას., ამაში საკარმიდამოს უჭირავს 10 ჰა, სახნავია 225 ჰა, ბაღები 28 ჰა, ვენახები 26,4 ჰა, სათიბ-საძოვარი 546 ჰა, ბუჩქნარი 3 ჰა, ტყე არაა, გამოუსადეგარი (კლდოვანი და სხ.) მიწა 899,4 ჰა. ამგვარად ფართობის 52% გამოუსადეგარია. საძოვრები ზაფხულისაა და ჰექტარზე 4 ცხვარის ანგარიშით გამოკვებავენ 4200 ცხვარს. 1869 წლის ცნობით, ტობაში იყო 10 კომლი ქართველ-მაჰმადიანი და რუსთავში 11 კომლი ქურთი. ამის მიხედვითაც ტობა და რუსთავი თანაბარი მოსახლეობის მქონედ არიან საგულისხმონი ზოგერთი არეე-დარეული დროის გარდა. მაგ., გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში ტობა ითვლება ჰაჭარაჟის ნაპიეში, ხოლო მისი მომიჯნავე რუსთავი კი—ასპინძის ნაპიეში. ტობაში 18 კომლი ქართველია, რუსთავში კი 6 კომლი ქართველი, ტობას გამოსავალი იყო 30.000 აყჩის რაოდენობით, რუსთავისა კი 6 ათასი აყჩისა. ასეთი განსხვავება აიხსნება რუსთავის დაცარიელებით (მოსახლეობის ნაწილის იქიდან წაყვანით).

XIII საუკუნეში და, მაშასადამე, XII საუკუნეშიც, ფუძე მიწაზე ქართლში შიომღვიმის მონასტრის საბუთების მიხედვით, იანგარიშებოდა გუთანი სახნავი მიწა ანუ 20 ჰა. რუსთავში ამიტომ ორასიოდე ჰექტარ სახნავი მიწის კვალობაზე შეიძლება, ყოფილიყო 4—5 ფუძე. ფუძეს ორთაშუა რიცხვით გამოჰყავდა თითო ცხენოსანი მეომარი. რუსთავის მფლობელს თავისი სოფლიდან ხუთი ცხენოსანი ეყოლებოდა. რუსთავის ხუთ ფუძეში (1254 წლის აღწერის ცნობების გამოყენებით) იქნებოდა დაახლ. 125 სული ორ. სქ. რუსთავის ტერიტორიაზე ამჟამად არის სამი ეკლესიის ნანგრევი. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში თითო ეკლესია იანგარიშებოდა საშუალოდ 25 კომლზე, ანუ საშუალოდ 170 ს. ორ. სქ. ამიტომ საშუალოდ რუსთავში შოთას დროს შეიძლება ვიგულისხმობთ 150 სულამდე ორ. სქ. მაშასადამე, შოთა თავდაპირველად მცირე მამულის მფლობელი იყო.

9. გრიგოლ ჩახრუხასძე. საინტერესო პიროვნებას ჩახრუხასძეთა გვარიდან

წარმოდგენდა გრიგოლ ჩახრუხასძე, რომელმაც დაახლოებით 1180-იან წლებში გადაწერა არსენი იყალთოელის მიერ 1060—1070 წლების ახლოს ბერძნულ-ლიდან გადმოთარგმნილი სჯულის კანონი. ხელნაწერს ერთერთ ბოლო ფურცელზე აქვს შემდეგი მინაწერი (მოგვეყავს შემოკლებით) „...ვინცა ამას განმანათლებელსა სულთასა და წინამძღუარსა ქრისტიანეთასა და სჯულთა სულთა მასწავლესა წიგნსა იკმარებდეთ, გლახაკი ფრიად ცოდვილი გრიგოლი ჩახრუხასძე¹ მომიქსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელმან დიდითა გულსმოდგინებითა გარდავწერე თვისთა ჳელითა ქრისტიანეთა წინამძღუარი დიდი ესე და სამოქალაქო სჯულის-კანონი საუკუნოდ მოქსენებულისა ჩუენ, ქართველთათვის, ფრიად ჳირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელისა თარგმნილი. საუკუნო ყოს ღმერთმან ჳსენებაჲ მისი. არა რაჲს სხვსათვის მოვიპირვე წერაჲ ამისი, თვნიერ რომელ სიყუარული მქონდა ცალ კერძ წმიდისა მონასტრისა პატრონისა ჳუარისაჲ და მერმე ამის წმიდისა წიგნისაჲ. და ესე დავიდევ გონებასა ჩემსა, ვითარმედ უკუშთუ ღირს მეოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატრონისა ჳუარისსა შინა შეიწყნარონ, მაშა თვთ კეთილ და ვიდრე ცოცხალ ვიყო, არა დავაკლდები ხილვასა ამისსა და თუ არა, ვიდრე ცოცხალ ვიყო, მე მქონდის და შემდგომად ჩემსა, სადაცა ღმერთმან ინებოს... წიგნისა სიმართლისათვის იჳე ნუ ვის გაქუს. პირველ დედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა და თვთ რად არა წარმოგიდგინებ კაცსა მას მოქსენებითა სახელისაჲთა, იოანე დიაკონისა, წმიდისა დედოფლისა ბორენაჲს გაზრდილისაჲთა, რომელ მე ესრე მასმია, რომელ გიორგი ბროლასა, კათოლიკოს-ყოფილისა, აჳაჲთ მისებრი და მის უმართლესი მწერალი არ გამოსრულა ჩუენ, ქართველთა, ნათესავსა შინა და მერმე დიად მოპირვებით შემიმოწმებია, ღმერთმან გარწმუნოს“².

აქ იგულისხმება ტფილისის ჳვარის მონასტერი, რომელიც სიონის ტაძართან მდებარეობს და რომელიც XII საუკუნეში უჳევე არსებულა.

იმავე მინაწერის გაგრძელებაში, რომელიც დიდი გაჳირვებით იკითხება და რომელიც ამოშიფრა ივ. ლოლაშვილმა, წერია: „ჩემ ცოდვილისა გრ[იგოლი] ჩახრუ[ხაის ძისათვის]თა თანა შემეწია. წმიდისა მამათ მამისა იოსებისნი მრავალმცა არიან წელნი... ნ(ი)კ[ოლო]ზ დიდი (ი)კონომისა მრავალმცა არიან წელნი. დეკანოზისა ოქროპირისა მრავალმცა არიან წელნი. დეკანოზისა ოქროპირისა მრავალმცა არიან წელნი“...

¹ დაბეჭდილ ტექსტში შეცდომით იკითხება: ჩახრუხასძე

² ქუთაისის მუზ. ხელნაწერთა აღწერილობა, თბ. 1953 წ. ხელნაწერი № 25.

იმავე ხელნაწერის 213 - ე ფურცელზე არა ტექსტის ხელით (ეს არაა გრიგოლ ჩახრუხაძის ხელი) ნუსხა სუცურით წერია: „პოი მე, რამეთუ ამანვე სულთა განმხრწნელმან მამონამან მყვნა ჩვენ მონა ყოვლისა არაწმიდებისა და უღმრთოებისა მეფენი, მღღ(ე)ლთმთავარნი, მღღელნი, მთავარნი, მკედარნი და ყოველი ნათესავი ქართველთაჲ. ამისათჳს სამართლად მივეცენით საქენჯნელად და მოსასრველად ნათესავსა უჯულსჯმოსა და უმეცარსა ღმრთისასა, უღმობელსა, უწყალოსა და სისხლის მკამელსა, რამეთუ რა ჟამს ძირი ესე ყოველთა ვნებათაჲ ყოველთაჲ ვითარცა მშვნაჲ, ესრეთ შევიტკბეთ. მიერიტვან ნულარა მკითხავ თუ რაოდენნი მორჩინი ვნებათანი აღმოეცენნეს ბოროტისა ამის ძირისაგან, რამეთუ მორჩ ხენუმისა ამის ძირისა არიან: ანგარებაჲ, შური, მტრობაჲ, სიძულვილი, ჳდომაჲ, ამპარტავენებაჲ, პარვაჲ, ავაზაკებაჲ, კაცის კლვაჲ, სიძვაჲ, მრუშებაჲ, მამათმბორჯველობაჲ და მსგავსნი ამათნი, რომელთათჳს მოიწევის რისხვაჲ სამართალი ვითარცა ურჩათჳს სახარებისათა და მორჩილთა სიცრუვისათა“¹.

ასეთი გამოთქმა ამტკიცებს, რომ ეს მინაწერი შესრულებული უნდა იყოს ან ჳელალ-ედ-დინის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს საშინელი ოკუპაციის დროს (1227—1231 წლებში), ანდა მონღოლების მიერ 1238—1240 წლებში აღმ. საქართველოსავე დაპყრობის ხანაში.

აქ მოხსენებული კათალიკოსი გიორგი ბროლა ის უნდა იყოს, რომელიც 1058 წელს ამტკიცებს ბაგრატ IV-ის მიერ შიო-მღვიმისადმი მიცემულ სიგელს. ბორენა დედოფალი არის ბაგრატ IV-ის ცოლი, ოვსთა მეფის ასული, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგაც, მაშასადამე 1070-იან და შესაძლებელია 1080-იან წლებშიც ცოცხალი იყო. რუც-ურბნისის ძეგლის-წერაში 1106 წელს ის არ იხსენიება — ამ დროს ის უკვე ცოცხალი არ ყოფილა. ამ ბორენას გაზრდილი ოიანე დიაკონი 1080-იან წლებშიც ახალგაზრდა იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას, კარგ მწიგნობარს, დიაკონზე მეტი წოდებულება ექნებოდა.

რაც შეეხება არსენი იყალთოელის ცხოვრების დროს, ფაქტია, რომ

¹ ივ. ლოლაშვილი, გრიგოლ ჩახრუხაძის ვინაობისათვის, ლიტერატურული საქართველო, 1964 წ., 20 ოქტ. № 44. ი. ლოლაშვილი ამ მინაწერს მიკუთვნებს თვით გრიგოლ ჩახრუხაძეს და ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება თემურ-ლენგის შემოსევები (უფრო კიდევ 1400 წლის მეტად ამოხრებელი შემოსევა). მაგრამ მაშინ ეს ხელნაწერი იქნებოდა XV საუკუნის დასაწყისის, რაც სრულებით არ უდგება მის პალეოგრაფიულ თვისებებს. ხელნაწერი უდავოდ ეკუთვნის კლასიკურ ხანას და 1180 წლის ახლო ხანაში უნდა იყოს შესრულებული (ხელნაწერს 252 - ე გვერდზე მინაწერი აქვს XIII საუკუნის პირველი ნახევრის მხედრულით).

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის-წერაში 1106 წელს ის მოხსენებულა როგორც მიცვალებული. ხელმწიფის კარის გარიგებაში მოცემული ცნობა, რომ ცნობილი შაირი „როს ნაქარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს“ არსენი იყალთოელს ეკუთვნისო, ამას არ ეწინააღმდეგება. მართლაც, ხსენებული შაირი 12 მეფის დასხდომის შესახებ არ შეიძლება გულისხმობდეს დავით აღმაშენებლის ხანას, რადგანაც ჩამოთვლილ 12 მეფიდან მაშინ არ იყო არც შაჰანშა (ანისის მეფე) და არც ალვანთა და წანართა მეფე და სხვ. ხსენებული შაირი დაწერილია ბაგრატ IV-ის მეფობის დაწყებითი ხანის მოსაგონებლად. ამრიგად, არსენი იყალთოელი ცხოვრობდა XI ს-ნის მეორე ნახევარში, კერძოდ სჯულის-კანონი მას შეეძლო ქართულად გადაეთარგმნა 1060—1070-იან წლებში. 1100 წლის ახლოს კი იოანე დიაკონს, რომელიც კათალიკოს გიორგი ბროლას (1055—1065 წლების ახლოს) შემდეგ საუკეთესო გადამწერლად ითვლებოდა, გადაუწერია ეს ნაწარმოები. ამ იოანე დიაკონის მიერ გადაწერილი პირიდან სჯულის-კანონის ტექსტი გრიგოლ ჩახრუხაძეს გადაუწერია 1180 წლის ახლო ხანაში.

გრიგოლ ჩახრუხაძე ყოფილა სამართლისმცოდნე; ხელნაწერს ის, როგორც ეტყობა, წერს ტფილისის ჯვარის მონასტრისათვის, რომელიც იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის მეტოქე იყო. ამიტომ გრიგოლი ტფილისის მცხოვრებად შეიძლება ვიგულისხმოთ. გრიგოლის სიკვდილის შემდეგ ხელნაწერი მოხვედრილა ვარძიის მონასტერში და ამ მონასტრის კუთვნილება გამხდარა. ამას ამტკიცებს ხელნაწერის ერთი მინაწერი (ფ. 177₂): „ღმერთო და ვარძისა ღმრთისმშობელო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იოანე, ამის მკაზმავე, ამინ“. მაშასადამე, გრიგოლ ჩახრუხაძის სიკვდილის შემდეგ ხელნაწერი ვარძიის მონასტერში მოხვედრილა და იქ მისთვის ყდაც გაუკეთებიათ. ხელნაწერი დაზიანებულიც ყოფილა, რამდენიმე ფურცელი შიგნით კლებია და ხსენებულ იოანეს ტექსტი თავისი ხელით შეუქსია.

ერთ ხანს ამის შემდეგ ხელნაწერი ვარძიაში ყოფილა. აქედან ხელნაწერი დაკარგულა და ის უპოვნია მოსე ფაფქაურის ძეს (თითქოს ეს, მისი მინაწერის ხასიათის მიხედვით, უნდა იყოს XIII საუკუნის პიროვნება). ფაფქაურისძეს ის ჯვარის მონასტრისათვის შეუწირავს ტფილისში; აქ სიონის ტაძრის გვერდით იყო იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მეტოქე ანუ განყოფილება. ეს უნდა მომხდარიყო 1300 წლის ახლო ხანებში. შემდეგ ხელნაწერი კვლავ გაუტაცნიათ (შეიძლება შაჰ-აბაზის შემოსევათა ხანაში ან უფრო ადრეც); ტფილისის მეტეხის მონასტრის წინამძღვარს ნიკოლოზ ჩოლაყაშვილს კვლავ დაუხსნია და 1622 წელს ისევ ტფილისში ჯვარის მონასტრისათვის დაუბრუნებია. 1771

წელს (დედანში აშკარა შეცდომით სწერია 1761 წელით, გადმოგვცემს აღწერა) ამ ხელნაწერიდან „ტფილისის სანახების ჯვარის მონასტრის“ დეკანოზს იოანეს გადაუწერია სჯულის-კანონის ქუთ. მუზეუმის ხელნაწერი № 26. ეს იოანე წერს: „აღციესრულა წიგნი ესე ჳელითა ჩემ ცოდვილისა ქალაქსა ტფილისისა, სანახებსა ჳვარის მონასტრისასა, მისივე ჳვარის დეკანოზის იოანესითა“. სამუშაო შესრულებული ყოფილა აფხაზ-იმერთა კათალიკოსის და გენათელის იოსების შეკვეთით მის ხარჯზე¹.

ამ დროს ხელნაწერი ისევ ტფილისის ჳვარის მონასტრის კუთვნილება ყოფილა, მაგრამ 1772—1773 წლების ახლოს ის კვლავ დაკარგულა და 1775—1774 წლის ახლოს უყიდნია ქუთაისის მიტროპოლიტს მაქსიმეს, რომელსაც ის მოუთავსებია ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის შეკეთებულ სამხრეთ ნაწილში. აქ ინახულა ის 1863 წელს დიმიტრი ბაქრაძემ. აქედან ხელნაწერი მოხვედრილა გელათის მონასტერში, ხოლო ბოლოს კი ქუთაისის მუზეუმში.

როგორც ეტყობა, ხელნაწერი მართლაც დამზადებული იყო ტფილისის ჳვარის მონასტრისათვის, რომელიც იერუსალიმის ჳვარის მონასტრის მეტოქეს წარმოადგენდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ის თავიდანვე დარჩა საქართველოში.

ხელნაწერის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ გრიგოლ ჩახრუხასძე საუკეთესო გადამწერლად იხსენიებს ბორენა დედოფლის გაზრდილს იოანე დიაკონს, რომლის მსგავსი უმართლვე გადამწერი „კათალიკოს-ყოფილის გიორგი ბროლაძეს აქეთ ჩვენ, ქართველთა, ნათესავსა შინა, არ გამოსულაო“.

გიორგი ბროლა კათალიკოსად იყო 1050—1068 წლების ახლოს, ხოლო 1072 წელს გიორგი II-ის სიგელში შიომღვიმის მონასტრის სახელზე კათალიკოსად გაბრეილი იხსენიება (1068 წლის ახლოს გიორგი ბროლა გადამდგარა კათალიკოსობიდან და გრიგოლ ჩახრუხასძე მას კათალიკოს-ყოფილად იხსენიებს). ამიტომ საგულისხმებელია, რომ ხელნაწერის იოანე დიაკონის მიერ გადაწერა 1080—1100 წლებში უნდა მომხდარიყო. გრიგოლ ჩახრუხასძეს კი „სმენია“, რომ ამისთანა გადამწერი ქართველებში შემდეგ არ გამოსულაო. გრიგოლს ეს გაგონილი ექნებოდა 1160—1170 წლების ახლოს, ხოლო რჯულის კანონის ხელნაწერი გრიგოლ ჩახრუხასძეს გადაწერილი ექნებოდა 1180 წლის ახლო ხანებში და არა ამაზე გვიან. გადაწერილია ხელნაწერი გრიგოლის ხანდაზმულობაში და თითქმის თვით ტფილისში ჳვარის მონასტრისთვის განკუთვნის მიზ-

¹ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1953 წ., გვ. 117.

ნით. ამიტომ გრიგოლის ცხოვრების ხანა შეიძლება მიეკუთვნოს 1140—1190 წლების ახლო დროს.

ჩახრუხა არის სპარსული წარმოშობის სახელი (სპარსულად შაპ-როხ), გავრცელებული სპარსეთის მმართველ მაღალ წრეებში.

თამარიანის მინაწერ სტროფში ნათქვამია, რომ „მოკვეცსეთა ჩახრუხასძეთა ექო თამარი მეფე წყლიანი“-ო და სხვ. როგორც ნათქვამი იყო, აქ იგულისხმება ახლანდელი ბორჯომის ხეობა¹, რომელსაც ძველად მარტივად ხევი ეწოდებოდა. მისი მკვიდრნი, მაშასადამე, მეხევე და მოხევე იქნებოდნენ. სტროფში ჩახრუხასძენი მოხსენებული არიან მოხევეს ძეებად, ე. ი. თვითონ ისინი არ იყვნენ მოხევენი (მეთემენი) არამედ აზნაურნი, მაგრამ ჩვეულებრივ მეთემეთაგან წარმომდგარნი. შეიძლება თუ არა ჩახრუხასძეთა ახლო წინაპრების მოხევეობის შესახებ რაიმე საბუთის მოპოება? თითქოს ეს შეიძლება.

ჩახრუხაძის გვარი იხსენიება შემდეგშიც. ფარსადან გიორგიჯანიძე XVII საუკუნეში იხსენიებს გორში ჩახრუხაძის ეკლესიას. ჩანს, ჩახრუხაძეები სამცხიდან გორში გადასულან და იქ თავისთვის ეკლესია აუშენებიათ. ეს ჩახრუხაძენი მცირედნი უნდა ყოფილიყვნენ (შეიძლება მხოლოდ ერთი-ორი ოჯახი), მაგრამ ერთგვარი შეძლების მქონენი, რაკი მათ ეკლესია უშენებიათ. შემდეგ ეს გვარი უკვე აღარ იხსენიება [ი. მეგრელიძე ასახელებს ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1953 წელს გამოცემული კრებულიდან („დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, II, გვ. 169) 1793 წლის საბუთს, სადაც ვითომ მოხსენებულია გვარი ჩახრუხაშვილი. მაგრამ ეს შეცდომაა. საბუთში ორჯერ სწერია „ჩარუხაშვილი“, საბუთის გამოცემის ლეგენდაში კი ჩახრუხაშვილია მოხსენებული, რაც არაა სწორი].

მოხევე რომ მეთემეს ნიშნავდა, ეს ჩანს სხვაეაში (რაჭაში) წინათ დაცული ხატის დაახლ. XII ს-ნის წარწერიდან: „ქ. უტორკოთა მთავარო გაბრიელ, მეოხ და მფარველ ეუავ ორთავე შინა ცხორებათა მამკობსა შენსა რატის რაჰის ერისთავსა და ძესა მისსა კახაბერს და ააშენენ აზნაურნი, ეკლესიასა შენსა შემავალნი და მოკვეცი და ჰევი და ეკლესიისა შვილინი.

¹ სახელი ბორჯომი ამ დღემდე არ იყო. მაგრამ ახალციხის მხარეში ძველი ჰაპარაჰის რაიონში იყო სოფელი ბორჯომი. იქვე ვახუშტი იხსენიებს მდინარეს ბორჯომის-წყალს, როგორც ახალციხის წყალის-შენაკადს ახალციხისთან.

სოფელი ბორჯომი იყო სოფ. ანდრიაწმიდასთან ახლოს ახალციხის სამხრეთით მისგან შეიდიოდე კმ-ზე (გურჯისტანის ვილაიეთის დეოთარი, II, 158, III, 221). ამ ბორჯომიდან გაუკაცრიელებულ ხეობაში ლიკანთან წინანდელი ბორჯომიდან გადასახლებული ქართველებისგან XV III ს-ნის მეორე ნახევარში გაჩნდა პუნქტი ბორჯომი, რომელიც შემდეგ გადაიქცა კურორტად.

ქ. წმიდაო გაბრაელ მთავარანგელოზო, შეიწყალე ვახტანგ ...სძე. მოიქე-
და მისსა ნაცვლობასა შიგან“.

10. პოეტ ჩახრუხაძის უფროსი ძმა. თამარიანის ცნობილ ბოლო ნამატ
ლექსში ვკითხულობთ:

მოწვევს ძეთა ჩახრუხაძეთა
ეჭო თამარი მეფე წყლიანი და სხ.

მოწვევ ექ არის იგივე მეტევე. სვანური მატრიანიდან და დაწერილებიდან
(საბუთებიდან) ჩანს, რომ XIII—XV ს-ნებში ზემო სვანეთში მოსახლეობა
განიყოფებოდა ორ ფენად: 1) ვარგნი (იგივე შემდეგ აზნაურნი) და 2) მეტევე-
ნი, ე. ი. თემის ჩვეულებრივი წევრნი. ხსენებული სტროფის შინაარსიდან
ცხადია, რომ თუმცა ის თამარიანს შემდეგ აქვს მიმატებული, მაგრამ შეი-
ცავს ძვირფას ცნობას, რომ ორ ძმას, მოხვეის [ჩამომავალს, დაუწერია თამა-
რის ქება და ერთი მათგანის ქება თინათინის სახელთანა დაკავშირებული. მაგ-
რამ ეს არ ნიშნავს, რასაკვირველაა, რომ ისინი იყენენ უბრალო მეტემენი.
ასეთნი მაშინდელ პირობებში ვერ შესძლებდნენ ისეთ დიდ და მრავალმხრივ
განათლების მიღებას, როგორც, მაგ., ახსიათებს თამარიანის დამწერს ჩახ-
რუხაძეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებული ჩახრუხაძენი იყენენ ხევის უფ-
როსის, ე. ი. ხევისბერის შტოსაგან და ამიტომ მათ საქართველოს მეფის კარზე
თუ სხვაგან შესაძლებლობა ჰქონდათ სათანადო განათლება მიეღოთ.

როგორც მოხსენებული იყო, ხევად აქ უნდა იგულისხმებოდეს ახლანდელი
ბორჯომის ხეობა, ხალხში მარტივად ხეობად წოდებული. XVI საუკუნეში მას
ქვეი ეწოდებოდა (1590 წლის საბუთი, საქ. სიძე., II, 23).

თამარიანის ხსენებული სტროფის დამწერი აშკარად გვამცნობს, რომ თა-
მარის ქება დაუწერია ორ ჩახრუხაძეს, მოწვევს ძეთ, ე. ი. ორ ძმას და რომ
მათ ქებას კავშირი აქვს თინათინთან. რადგანაც ჩახრუხაძე თავის შესხმაში
(„თამარიანში“) არსად არ იხსენიებს თინათინს, ამ თინათინის სახით თამარის
ქება დაუწერია ორ ძმათაგან მეორე ჩახრუხაძეს. ამით დოკუმენტურად
მტკიცდება, რომ მეორე ჩახრუხაძეს მართლაც ჰქონდა დაწერილი თამარის
ქება თინათინის სახით.

ხსენებული სტროფის ავტორი, რომლის სახელიც არ ვიცით, ფიქრობს
შეაქოს სხვა თინათინი, რომელიც მთლად ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ხო-
ლო რადგანაც სახელი თინათინ იგივე თამარია, ამიტომ შეიძლება სტროფის
დამწერი გულისხმობდეს თამარის შვილიშვილს, რუსუდანის ასულს თამარს,
რომელიც შემდეგ იკონიის სულთანზე გაიათ-ედ-დინზე (ყიასდინზე) იყო გა-

თხოვილი და გამოირჩეოდა თავისი სილამაზითა და მომხიბლველი თვისებებით, სტროფი თითქოს დაწერილი უნდა იყოს 1235 წლის ახლოს, როდესაც რუსულდანის შეილი თამარი, იკონის სასულთნოს მომავალი დედოფალი, დაახლოებით 11—12 წლისა იქნებოდა.

ჩახრუხადის-ძმის რაობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს თვით თამარიანს. თამარიანში არის ჭერ კიდევ ნ. მარის მიერ შემჩნეული ელგეია, რომელიც მწუხარებით იხსენიებს პოეტ-ავტორის ძმის—„იგავთა“ მთქმელის სიკვდილს.

ამ ელგეიაში უნდა იგულისხმებოდეს თამარიანის ავტორის ძმა, პროზული ვეფხისტყაოსნის სპარსულად დამწერი, რომელსაც იგავად (ე. ი. არა პირდაპირ, ალევგორიულად) თამარი ჰყავდა გამოყვანილი. მომავალი თამარიანის დამწერის ეს ძმა შემდეგში ტოვებს თავის სამშობლოს და მოივლის ბევრ ქვეყანას—ინდოეთს, ჩინეთ-მონღოლეთს, ვოლგის შესართავის მხარეებს, რუსეთს, კონსტანტინოპოლს და ბიზანტიას, პალესტინას და იერუსალიმს, ეგვიპტეს, არაბეთს.

ჩახრუხასძე თავის შრომაში თამარის მიმართ წერს: ამას ამბობდით, რომ ჩემმა მოყმემ დაჰყო მრავალ ხანს მალრიბში (დასავლეთში, მაგრამ აქ უნდა ნიშნავდეს საერთოდ უცხოეთს, შეად. არაბულ-სპარსული მალრიბიე — უცხოელობა). საქართველოდან წასული, ის მოსულა მდ. ვოლგის (ქვედა ნაწილის) აუზში, ყოფილა ხაზარეთში, რუსეთშიც. ჩასულა. გამდიდრებულა, „ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის ფერად-ფერადი მრავალი გვარი, ყვანდის მოყმები, მონა-მკვებლები“ და სხ. ამ მხარედან მოვიდა მისგან წერალა, მაგრამ მე გული წამივიდაო, რადგან იწერებოდა — კიდევ გადვიელი ზღვებსო. მართლაც, მოყმეს მოევლო ინდოეთი (ჰინდნი), შემდეგ კიდევ ხანნი და ჩინნი. ეს ერთი და იმავე ქვეყნის (ეხლანდელი ჩრდილოეთი ჩინეთის) სახელწოდებაა სამეფო დინასტიების ცინ-ის (IV—III ს. ჩვ. ე-მდის) და ხანის (206 წ. ჩვ. ე-მდის—220 წ. ჩვ. ე.) სახელების მიხედვით. ამის შემდეგ მან მიიღწია კონსტანტინოპოლსაც, საიდანაც გემით გაემგზავრა ეგვიპტისაკენ, ხოლო აქედან არაბეთში გავლით წავიდა ერაყისაკენ. ბარდავში მოვიდნენ ბალდადიდან წამოსულნი მოქარავენნი, რომელთაც მოიტანეს ამბავი, რომ ხსენებული პირი მოდის 10 ათასი უშიშარი (სპარსულად — ბიბიმ) ვაჟკაცით და მონა-მხველებით. ეს კარგი ამბები ამ მოყმის შესახებ მიუწოდებია თამარისათვის ამირა მარმანს (მირმანს), ყიზილ-არსლან სულტანის (გარდ. 1191 წ.) ძმისშვილს. ეს ამირა მარმანი გარდაიცვალა 1199 წ., ამიტომ მოზალდადების მიერ ბარდაეს მოყმის შესახებ ცნობის გა-

მოგზავნა დაახლოებით 1198 წელს ან 1199 წლის დასაწყისს უნდა მიეწეროს. ამის შემდეგ ჩახრუხასძე წერს:

(მოყმე) მოიქცის გარე, მოძებნის მოვარე,
შიშ ჰაერ პირი მნათობი(ს) დარი.
მოყვანდის ქალი, საჩემო სძალი
მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბარი.

აქ ჩახრუხასძე აშკარად გვამცნობს რომ, ეს მოყმე არის მისი ძმა („მოყვანდის ქალი, საჩემო სძალი“). მოყმეს თავის ცოლთან ერთად მოუვლია სპარსეთი, დაუყვია სულტანის კარზე. ეს სულტანი უნდა იყოს თეკეში (1172—1200), ხორეზმ-შაპთა დინასტიის მეთაური, რომელმაც 1193—1194 წლიდან შეიერთა ხორასანი, ისპანი და რეი (ეხლანდელი თეირანის ახლოს) მათი მხარეებითურთ.

ამის შემდეგ მოყმემ „პირი ქმნის შინათ“. ის წამოსულა თავისი ქვეყნისაკენ, მაგრამ გზად დაღუპულა, შესაძლებელია რომელიღაც თავდასხმის შედეგად, რადგანაც ჩახრუხასძე დასტირის მის ბედს, რომ მისი გვამი „ძეს სადმე საკმლად მფრინველთა“. ერაყში (ბაღდადში) ის ყოფილა, როგორც ვნახეთ, 1198 წლის ახლოს, რის შემდეგ მან მოვლო სპარსეთი. მოყმის უკან წამოსვლა და მისი გზაში დაღუპვა უნდა მიეწეროს 1200—1202 წლების ახლო ხანას. ყოველივე ზემო თქმულის მიხედვით ჩახრუხასძის ძმა-მოყმის წასვლა საქართველოდან უნდა მომხდარიყო 1195 წლის ახლო ხანაში.

ამ მოგზაურობის შესასრულებლად საჭირო იყო თურქული, არაბული და სპარსული ენების ცოდნა.

ჩახრუხასძე-ძმა ყოფილა ჩახრუხასძე-პოეტის უფროსი ძმა. „ძეს სადმე საკმლად მფრინველთა ასრე, გამიგლა ჩემი აპა მთავარი“. გამოთქმა „მთავარი“ აქ ნიშნავს ბატონს, მაშასადამე უფროსს. ის არის „იგავთ (ე. ი. ალევგორიულ თხრობათ) დამწესი“, ე. ი. ის ცნობილი იყო როგორც ალევგორიულად ანუ შეფარული სახელებით მოთხრობების შემომღები. აქ, მაგ., ამირან-დარეჯანინანისაგან განსხვავებულად, იგულისხმება რეალისტური ხასიათის მოთხრობები, რომლებშიც სხვა სახელებით ალევგორიულად წარმოდგენილნი არიან რეალური პიროვნებანი. ეს უდგება ვეფხისტყაოსნის პრეზუმპციულ პროტოტიპ მოთხრობას, რომელშიც როსტევეან-თინათინ-ავთანდილის სახით გარკვეული ისტორიული პირები იყვნენ წარმოდგენილნი.

არც ჩახრუხასძის და მით უმეტეს მისი ამ უფროსი ძმის სახელი არ ჩანს. თამარიანში ჩახრუხასძე ერთს ადგილას წერს:

მაშა მე, ხელი, მაშა მეხელი
ვით ვანგელობდე და ცა ვსცნა ელი და სხვ.

ეს ადგილი ჩახრუხადის ვინაობის გასარკვევად რამდენიმეჯერ ყოფილა ლიტერატურაში, კომენტარებული. ჩვენ ვფიქრობთ, აქ უნდა იყოს პოეტის სახელი მოცემული. მაშა მე, ხელი, დიახ მე, ხელი (გონება-დაკარგული), როგორ უნდა გაქებდე და სხვ. პირველი სიტყვა ხელი უნდა იყოს სახელი, რომელიც თითქმის ასეთივე ფორმით ხელაი დადასტურებულია XIV—XV ს-ნის ქართულ საბუთებში. აქედან გვარი ხელიძე, ხელაძე, რომელიც ახლაც არის. ამიტომ ჩახრუხადის სახელი შეიძლება იყო ხელი, ხელაი.

თავის შესახებში (§ 52—64) ჩახრუხადე პოეტი საკმაოდ ვრცლად ჩერდება მეორე ჩახრუხადის ტრფობაზე თამარის მიმართ:

ეჩვენებოდა, მზედ ეგებოდა
ეგ თქვენი პირი გაისკრებულად.

მიმართავს პოეტი თამარს და გულისხმობს დედოფლის მოტრფიალე თავის მოძმე მოყმეს. ეს მოყმეა,

ვინ მელნის ტბებად გოქვეს დასახებად
გიშრისა სარნო დანატრებულად.

სარნო, სპ. სარ(ი)ნო—ახალი საწყისი, ე. ი. ფისიანი ქვანახშირის (გიშრის) ახალი თავ-საწყისი (საუკეთესო საბადო)“. იგი თამარზე გამიჯნურებული მწერალია, რომელმაც მის შესაქებად გიშრის საბადო ინატრა მელნის ტბებად. როგორ ჰგავს ეს სიტყვები ვეფხისტყაოსნის პროლოგის სიტყვებს:

მელნად ვივმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული.

ჩანს, ასეთი შედარებანი გავრცელებული და ჩვეულებრივი იყო საერთოდ იმ ხანის მწერლობაში.

იქვე ჩახრუხადე წერს:

სახედ გახობდეს, რა მზე ნათობდეს,
მაშინცა ეთქმის დაბნელებულად.

ეს სიტყვებიც მოგვაგონებს ვეფხისტყაოსანში თინათინის შესახებ გამოთქმებს.

ჩემი ძე (თინათინი) დავსვათ კვლამწიფედ, ვისგან მზე საწყუნელია...
სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია (დამცირებულია)...

ჩახრუხადეს თამარის მიმართ თქმული აქვს (§ 39):

იტყვიან ფიცით: «რაც ოდენ ვიცი
თქვენგან ნარბევთა სამყაროს რბევად.
ცისკრობს მოხედვა, მოკლის მოხედვა
ალვისა მორჩითა რტოთა მორჩევად.
ამქედრდეს ოდეს, სხვა ვინღა რბოდეს.
ნათლისა სხივთა დაუმალევად.
გაბაონს ისო, რა გნახა, ისო
ურჩითა გულეზსა მახვილი ლევად.

ამ სტროფის სიტყვის გაბაონის ასახსნელად გამოდგება შემდეგი მონაცემები. სულხან-საბას სიტყვით, გაბაა (რომელსაც ის უცხოურ სიტყვად თვლის) უდრის ბორცვს, ხოლო გაბაათ იყო ბორცვთა თხემი (ბორცვის წვერი). მეგრულად გა ნიშნავს გორას, ბორცვს, ხოლო გაბარი — ზეგანს. თითქოს გაბარი შეესატყვისება არაბულს ჯაბალს — მთა (არაბულში ბგერა გ არაა). მაშასადამე, გაბა, გაბარი არის ქართულში უძველესი და ენის დაწყებითი პერიოდიდან არსებული ფუძე-სიტყვა, რომელსაც ანალოგია აქვს ზოგ სხვა ენაშიც. გაბა, გაბარ-ის დერივატს უნდა წარმოადგენდეს გაბაონი. შეად. ვეფხის-ტყაოსანში ნესტან-დარეჯანი იზრდებ ოღაო „ტანითა, გაბაონს განაზარდითა“, ე. ი. მთის ზეგანზე სწორად აშეგებული ხის მსგავსი ტანითაო¹.

თვით სტროფის აზრი შემდეგია: ფიცი თ ამბობენო: რაც კი ვიცი თ თქვენგან გაჭრილთა (გაქვეულთა) მიერ სამყაროში რბევის შესახებ, მისი მოკლე მიმოხედვაც (მიმოხილვაც) ჭირს (ცისკრობს), როგორც ალვის ხის ნორჩ რტოთა გამოჩვენება. როდესაც ამხედრდა (ცხენს შეჯდა), სხვა ვინ მიბრუნდა სინათლის სხივთა უჩქარესად. ისომ როდესაც გნახა, გაიჭრა მთებში (გაბაონს) და იქრა მახვილი უჩრჩ გულში მრავალჯერ (გულებში) ვიდრე გამოლევა მდის (ე. ი. ვიდრე სიკვდილამდის).

¹ მართალია, ბიბლიაში იხსენიება ქალაქი გაბაონი, რომელიც მდებარეობდა იერუსალიმთან ახლოს. ეს ქალაქი ეკუთვნოდა ევებებს, რომელიც შეადგენდნენ ქანანელთა ერთ-ერთ ტომს ისრაელთა მიერ პალესტინის დაპყრობის უწინარეს ხანაში. ქალაქმა გაბაონმა და კიდევ ოთხმა ქალაქმა კავშირი დადო ისრაელების მეთაურ ისუ ნაფინთან, რომელმაც დაიპყრო ქანანელების ქვეყანა, რასაც მოჰყვა ისრაელთა დაბინავება პალესტინაში. ამით ქალაქი გაბაონი გადარჩა ამოწყვეტას. არავითარი კავშირი ბიბლიური ქალაქის გაბაონის ბედთან თამარზე გამოჩნუბრებული პირის ამბავს არა აქვს. ამიტომ ხსენებულ სტროფში გაბაონს (გაჭრილი) ისო არ შეიძლება ახსნილ იქნას, როგორც ბიბლიური ქალაქი გაბაონი და პალესტინაში ებრაელების დამამკვიდრებელი ისუ ნაფინი, როგორც ამას ფიქრობს იე. ლოლაშვილი. ისო უნდა იყოს ჩახრუხადის გაჭრილი ძმის, „ივავთ-დამწესის“ სახელი.

ჩახრუხადის ზემოთ მოტანილ სტროფს მოსდევს ასეთი სტროფი (§ 40):

აჟა და ლოდნა! ამით ხვდა ლოდნა
მის განძევართა ელვართა ძველად.
უბრძანა აქარს: «გაქვს, რაცა აქ არს
სათნოა ღმრთისა მის განრისხველად».
რა ქმნა ის აჟა, ქოლვით ისაჟა
მუნ მოხვეჭითა საკმართა ზღვევად.
განატრო ელთა: უმძიმს ტროელთა
არ შენთვის მკედარ-ქმნა ელენთ სათნევად.

ახლანდელ ქართულზე ეს სტროფი ასეთნაირად გადმოიცემა:

„ვედრება და ლოდინი! ამით მას (ისოს) შეხვდა ლოდინი მისი ბრწყინვალე განძეულთა მოსაძიებლად. მან (ისომ) უბრძანა მსოფლიონს (მესაკუთრე მიწათმოქმედს): რაც აქ არის, შენ გქონდეს მობარებული, შენს ნებაზეა მით (ამ განძეულობის მითვისებით) ღმრთის განრისხებაო. (მაგრამ) როდესაც მან მოთხოვა (თავისი განძი), დაისაჯა (ქვით) დაქოლვით იქ მოხვეჭილი სახმარისი (ქონების) საზღაურად.

დაგანატრო (ენატრებოდე) ხალხებს (ელი—თურქულად მომთაბარე თემ-ტომი). უმძიმს ტროელთ (ტროიას დამცველთ), რომ არა შენთვის დაიხოცნენ ელენთა (ბერძენთა) სათნო-ყოფად“.

ეს ორი სტროფი მოთავსებულია შესხმის იმ ნაწილში, რომელიც 37-ე სტროფიდან დაწყებული „ფილასოფოსნი, დაწყებად მყოფნი“ და სხვ. კვლავ თამარის შესხმას შეიცავს, მაგრამ მთავარი ყურადღება მიპყრობილია ჩახრუხადის ძმა-მოყმის პიროვნებაზე („იგავთ დამწესზე“) (სტროფები 37—64).

ცხადი ხდება, რომ გამოთქმა „გაბაონს (გაქრილი) ისო“ გულისხმობს სწორედ ამ ძმა-მოყმეს, რომლის შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი და რომელიც საქართველოსკენ დაბრუნებული გზაში დაიღუპა 1202 წელს ან ამის უახლოეს დროს.

ამის მიხედვით ირკვევა ჩახრუხადის ძმის ისოს დაღუპვის ამბავი. ისოს თავისი მოპოებული ქონების ნაწილი მიბარებული ჰქონია ერთ მკვიდრ მსოფლიონისთვის, რასაც ახლანდელ ვითარებაში შეიძლება ფერმერი ეწოდოს. მაგრამ როდესაც ისომ მოითხოვა თავისი ქონება, მსოფლიონს ამ ქონების მითვისების მიზნით სადღაც ჩასაფრვით ის მოუკლავს და ქვით დაუქოლვია.

11. რუსთველის თემი; სამცხე, თორი, თმოგვი. სახელწოდება რუსთველი უკვე არის აზნაურობის მაჩვენებელი. აი ამისი სხვა მაგალითი. რუსთავთან ახლოს მდებარე ტობას დასავლეთით ახლაც არის სოფელი მინაძე. აზნაური მი-

ნაძე მოხსენიებულია 1818 წლის აღწერაში თავ. ავალიშვილების კუთვნილ სოფ. ბრეთში, რაც ინტერესს იწვევს. ცხადია, რომ ავალიშვილს აზნაური მინაძე თან წამოუყვანია XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხევიდან ბრეთში გადასახლებისას. ამიტომ მტკვრის სანაპიროზე რუსთავის და ტობას დასავლეთით მდებარე სოფელი მინაძე აგრეთვე წარმომდგარი უნდა იყოს ხევიდან თავის დროზე ადგილმოცვლილ აზნაურ მინაძის სახელიდან. ხევი მეტად მწირი ხეობა იყო, ვარგისი მიწაც იქ მცირე მოიპოვებოდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ დროგამოშვებით ხდებოდა იქიდან ცალკე წვრილ მფლობელთა გადასვლა სხვა მხარეში.

აზნაურთა გვარების წარმოშობის გასაგებად შეიძლება დასახელებულ იქნას დაახლოებით ამავე ხანის კიდევ ერთი მაგალითი. 1240—1260-იან წლებში ჟამთა აღმწერელი რამდენიმე ადგილას იხსენიებს მახუნჯაგისძეს მურვან გურკელელს. იხსენიება სოფელ გურკელის ჭალაც. სოფელი გურკელი ახლაც მდებარეობს აწყურის დასავლეთით 3—4 კილომეტრზე. ამისი მფლობელი მახუნჯაგისძე მურვან იყო იმავე დროს გურკელელი. ეს მურვანი იყო ჩვეულებრივი აზნაური (XIV საუკუნის თავადების, მაშასადამე, ციხოსან-მონასტროსან პირველი ხარისხის აზნაურთა სიაში მახუნჯაგისძე არ იხსენიება). ამიტომ უეჭველია რომ შოთა, როდესაც რუსთველად იწოდებოდა, უკვე იყო ჩვეულებრივი აზნაური. პირველხარისხოვანი (ციხოსან-მონასტროსანი) აზნაური ანუ თავადი ის თავდაპირველად არ შეიძლება ყოფილიყო. მაშასადამე, სამამულე საკუთარი ციხე და მონასტერი ახალგაზრდობაში მას არ ჰქონია. მაგრამ შემდეგში ის ითვლებოდა ციხოსან-მონასტროსანთა შორის, ხოლო კიდევ შემდეგ, როგორც მეჭურჭლეთუხუცესი, დიდებულთა შორისაც.

როდესაც შოთა საერთოდ დაწინაურდა და შემდეგ ვაზირი — მეჭურჭლეთუხუცესი გახდა, მისი სამფლობელოც უნდა გაზრდილიყო, ამისი მაჩვენებელია სამცხეშივე შემონახული ხალხური ლექსები, რომელნიც ფეხმოკიდებული იყო არა მარტო ქართულად მოლაპარაკე მესხებში, არამედ თურქულადაც თურქულ ენაზე გადასულ ქართველ-მაჰმადიანებშიც (ვახტ. სულაძის ცნობა სოფ. ღრელიდან 1935 წელს). აი ეს ლექსები:

- 1) ასპინძა და ოთა,
სად არის ჩვენი შოთა.
- 2) ბოლოს თავი დააღწიე,
რუსთაველო შოთა,
ხელიდან წაგვივიდა,
ასპინძა და ოთა.

3) გამარჯობა, შოთაო,
სად არის ჩვენი
რუსთავი და ოთაო¹.

ამ ლექსთაგან უფრო აღრინდელია პირველი ორი, როდესაც რუსთველის თემმა დაკარგა ჭერ ასპინძა და ოთა. შემდეგ კი ხელიდან წასულა რუსთავიც და თემიც გაუქმებულა. ამ ცნობის მიხედვით შეიძლება მოხაზულ იქნას რუსთველის თემის ფარგლები. ამ თემის ფარგლებში იყო ოთა და ასპინძა თავიანთი ციხეებით და შემდეგ მხარე მტკვრიდან და ტობა-რუსთავიდან, ვიდრე წყალგამყოფ საბადურის მთამდე და ამის გაყოლებით აღმოსავლეთისკენ მაგარას თუ მალაროს მთამდე, სულ მოცულობით მიახლოებით და საშუალოდ 18 X 10 კმ. ანუ 180 კვ. კმ., რაც 18 ათას ჰექტარს შეადგენს. ეს იყო „რუსთველის თემი“ XIII საუკუნეში. პირველად მას გამოეყო ასპინძა და ოთა მათი მიმდგომი არეთი და ალბათ ოშორას ჩათვლითაც. ეს შეადგენდა დაახლოებით თემის ნახევარის ცოტა მეტსაც. ეს ტერიტორია (10 ათას ჰექტ.) ოთის ციხის ახალ მფლობელთა ოთართა კუთვნილებად გადაიქცა. როგორც მესხეთის თავადების 1540 წლის ახლოდროინდელი სიიდან ჩანს, გვარი ოთარი უკვე საგულისხმებელია ამ სიის პირვანდელ ვარიანტში XIV საუკუნეში. რუსთველის თემის შევიწროება ახალი მფლობელის ოთარის და მისი გვარის სასარგებლოდ მოსალოდნელია უფრო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, ანდა 1300 წლის ახლო ხანაში.

რუსთველის თემის სრული გაუქმება მოხდა თითქოს უფრო გვიან, როდესაც შოთას ჩამომავალნი იძულებული გახდნენ რუსთავიც დაეტოვებინათ. ვფიქრობთ, ეს მოხდა სამცხეზე ოსმალთა მოწოლის ხანაში, 1570—1580-იან წლებში.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ როდესაც 1590 წელს გამარჯეული ჭავჭავიძე (მ)ზითვის წიგნს აძლევს „ბატონის მეფეთ-მეფის (სვიმონ I-ის) სახლის უხუცესისა ბატონის ზურაბისა ძმასა ბატონსა ივანეს“, სიგელის დამწერად და მოწმედ დასახელებულია „რუსთველისშვილი მურვან“². შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს რუსთველისშვილი მურვანი ან მამა მისი გამოქცევიან ოსმალეთის ბატონობის დამკვიდრებას სამცხეში და დაახლოებით ათიოდე კომლ (ან ძველებურ სამიოდე ფუძე) გლეხით გადმოსულა ქართლში. ხსენებული გამარჯეული ჭავჭავიძე თვითონვე აცხადებს იმავე საბუთში — „ლარიბი ვიყავით, ზითვისა და წესისა ალაგი არა გ(ე)აქუნდა“. ამიტომ რუსთავის თე-

¹ И. Мегрелидзе, „Руставели — фольклор“. Тб., 1960. გვ. 96.

² საქ. სიძველენი II, 7 (Hd 14425).

მიდან გადმოიხზული რუსთველისშვილი უფრო ქართლის მეფის სახლთუხუცეს ზურაბ სააკაძესთან უნდა ყოფილიყო მისული.

რუსთაველის თემთან დაკავშირებით საჭიროა გვარკვევით იმდროინდელი სამცხის ფარგლები. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ რუსთაველის ხანაში თორის მხარე და თმოგვის მხარეც სამცხის ფარგლებს გარეთ იხსენიებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ იყო საკუთრივ სამცხე და სამცხე ფართე გაგებით (თორის და თმოგვის მხარეების ჩათვლით). საფიქრებელია, რომ ზევიც (ზეობა) გარკვეულ ხანაში საკუთრივ სამცხის გარეთ ირიცხებოდა და თორის ნაწილს შეადგენდა. ასეთი მდგომარეობა იყო, როგორც ეტყობა, XII—XIII საუკუნეებში.

XII—XIV საუკუნეებში სამცხე, თორი და თმოგვის მხარე ცალ-ცალკე იხსენიებიან. თამარის პირველი მატიანე გადმოგვცემს: „შეიწყალნეს... რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა ეგრეთვე ქართველნი (ქართლელნი), სომხითარნი, თორელნი, მესხნი და ტაოელნი“ (55). იქვე, თამარმა გაგზავნაო ლაშქარნი „მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი“ (19); „მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი“ (65). „მაშინ უბრძანა (თამარმა) მესხთა, თორელთა, თმოგველთა, ჰერ-კახთა, სომხითართა“ (102). ასევე უამთ აღმწერელი განასხვავებს ერთმანერთისაგან მესხთ, თორელთ, თმოგველთ, ჰერ-კახთ, სომხითართ (306), ჯავახთ და თორელთ (324), თორელთ და თმოგველთ (308). ამ ცნობებში იდან ცხადად ჩანს, რომ სამცხეს XII—XIV ს-ნებში ითვლიდნენ თორის და თმოგვის მხარის გარეშე (თმოგვი ჯავახეთში არ შედიოდა).

თორი არის ძველისძველი სახელწოდება და ის იგულისხმება თრიალეთთან ერთად, როდესაც პლინი სექუნდი (I ს.), იბერიის ვრცელ მხარედ იხსენიებს ქვეყანას თრიალ-ს. ლათინური გამოთქმის ეს თრიალ არის თრიალ-ეთი და მასზე გადამბული თორი. თრიალ არის წარმომდგარი თორ-ისგან, მხოლოდ ქართულისავე ენის სხვა ქვეყილოზე. საკუთრივ თორს ძველიდანვე შეადგენდა მხარე დაწყებული ყვიბისიდან (ასე ჩანს სამცხე-საიათბაგოს ეპისკოპოსების XVI საუკუნის სიის მიხედვით) ვიდრე დვირამდე. სამესხეთოს თავადების სიაში 1540 წლის ახლო დროისა თორის ტერიტორიის შესახებ კათალიკოსის სამწყსოდ აღნიშნული არიან: „სამძივარი მისითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, (ახლავ) გოგობასშვილს აქვს; ბუმბულისძენი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა, (ახლავ) ავალისშვილთა და სლესართა აქვს“. ამ სიას საფუძვლად უდევს უფრო ძველი სია, რომელიც XIII და XIV საუკუნეთა მიჯნაზე უნდა ყოფილიყო შედგენილი. ამ დროს თორის მხარეში სამეფო მამულების გარდა ყოფილა ორი სათავადო გვარის სამფლობელო —

სამძივარისა და ბუმბულისძეთა. 1540 წლის ახლოს კი, როდესაც ეს სია შესწორდა, სამძივართა სამფლობელო გოგიბასშვილის ხელშია, ხოლო ბუმბულისძეთა კი — ავალისშვილთა და სლესართა ხელში (სლესარნი იყენენ სლესას ციხის მეპატრონენი, სლესა კი მდებარეობდა ჰეის ანუ ჰეობის გარეთ, მტკვრის ნაპირას).

ცნობილია, რომ გოგიბასშვილის ხელში XVII საუკუნეში იყო სადგერი და მისი ზეობა. 1647—1650 წლების ახლოს ახალციხის როსტომ-ფაშის (1647-1659 წწ.) დროს პაატა გოგიბასშვილი წერს ქაიხოსრო ფანასკერტელ-ციციშვილის სახელზე: „ჩვენი მცველნი და მფარველნი და სულისა ჩვენისა შემწყნარებელი და დამტირებელნი არსად არ გაგვაჩნდნენ. მოგახსენეთ და მოგართვით ჩვენი მკვიდრი მამული სადგერი, სასახლე, სასაფლაო და გარშემო სოფლები, ასე რომე ჩვენს ალაგსა და ყმასა და მამულსა, სასაფლაოსა, მთასა და ბარსა, ნაშენსა და უშენსა ათბაგისა და როსტომ ფაშის ჴელი ედვა. მოგახსენეთ და გალაპარაკეთ, როსტომ ფაშას მრავალი მიაართვით. რომ სასყიდლად გაგჳირებოდა და კიდევ იყიდდი და სხვა ღონე არა გეჳონდა და პატრონი. ჩვენ ჩვენს თავს და მეცხედრეს ჩვენსა ელენეს დავეკითხეთ. ვითაცა უშვილონი და უძეონი ვიყავით, გაათარებისა და გაუარჯულოებისა გვეშინოდა. თჳეენის მაგდენის ჳრთამითა და ჩვენის ზეჳწნითა როსტომ ფაშისაგან ნება დავირთვეით და მოგართვით ჩვენი მკვიდრი, უჩხუბარი და უცილობელი მამული და ადგილი სოფლათ სადგერი, სასახლე, სასაფლაო და გარეშემო სოფლები და ნასოფლარები, ნაშენი და უშენი, მთა, ბარი, შორიელი და ახლელი... მოგენათვლენენით და ჩვენი სული და ხორციცა თჳეენს ჴელთ ჩამოგვადევით“.¹ მაშასადამე, გოგიბასშვილთა XV—XVII საუკუნეებში და სამძივართა ამაზე წინა ხანაში სამფლობელოები ყოფილა სადგერის მხარეში. მაგრამ აქ არ იგულისხმება ახლანდელი ბორ ჳომის აღმოსავლეთით მდებარე სადგერი. ეს ჩანს შემდეგიდან.

გურჯისტანის ვილიეთის დავთარი იხსენიებს სადგერის ნაჳიეს სოფლებს შემდეგი განრიგით: სოფელი სადგერი, იგივე ჳაშვეთი, მცხოვრებნი 4 მღვდელი და ორი სხვა კომლი, სოფელი კიმოტესმანი 1 კომლი. ამათ შემდეგ მიჳყვება 9 სოფელი, ყველა დაცარიელებული. ამასთანავე სოფელი სადგერი, რომელშიც 4 მღვდელი ცხოვრობს, ტიმოთის-უბნის მონასტრის გვერდით ან იჳევე იგულისხმება, ე. ი. რვა კილომეტრით აღმოსავლეთით ახლანდელი სადგერიდან. ეს მტკიცდება იმით, რომ წალგერი, რომელიც ახლა ტიმოთის-უბანსა და ახლან-

1 ს. კაკაბაძე, საბუთები ეკონომ. და სოციალური ისტორიისათვის, 1929 წ., გვ. 62 (არ გამოსულა, არის მხოლოდ სამიოდე ანაბეჳილი).

დელ სადგერს შუა მდებარეობს, გურჯისტანის ვილაიეთის დავთრით იგულისხმება არა სადგერის ნაპიეში, არამედ პეტრეს (პეტრეს ციხის) ნაპიეში და მის შემდეგ იხსენიება სამი კომლის შემცველი სოფელი სამზიოს-ხევი (ეს არის სამძივი) და სოფელი გოგისუბანი. სოფ. წაღვერი ახლანდელ ადგილას ახლნა-სახლარია. ამ ადგილს წინათ ერქვა შოლლათ-უბანი. ნამდვილი წაღვერი ძველად იყო ზევიტ, ზედა წაღვერში, სადაც ნასახლარებიც არის და ნასახტარალიცო (გურჯ. ვილ. დავთ. III, 483). ეს იყო საკმაოდ ძველად, რადგანაც ვახუშტის რუკაზე სადგერ—წაღვერის—ტიმოთის-უბნის განლაგება ისეთივეა, როგორც ახლა.

რაც შეეხება გურჯ. ვილ. დავთრის სამზიოს-ხევს (სამძივის ხევს), მას უდრის ვახუშტის რუკაზე ბაკურიანის ქვემოთ ნაჩვენები ზედიზედ სამი ზეამზია, ე. ი. ზედა, შუა და ქვედა ზეამზია. ამათ ჩრდილოეთისკენ შავი-წყალის ხევის გაყოლებით უნდა მიჰყვებოდეს ძველი (და ნამდვილი) წაღვერი.

ამ შენიშვნების შემდეგ ამ ადგილებში გურჯ. ვილ. რუკა შემდეგნაირად სწორდება. ძველი სადგერი მდებარეობს ტიმოთისუბნის გვერდით. სამზიოს-ხევი (სამძივის ხევი) მდებარეობდა სამი სახელით ძველი წაღვერის სამხრეთით და მის ზემოთ შავი წყლის ხეობაში. საზღვარი პეტრეს (პეტრეს ციხის) და სადგერის ნაპიეს შორის იწყებოდა სამხრეთიდან ცხრაწყაროს მთიდან. ბაკურიანი რჩებოდა სადგერის ხევში, მაგრამ ამის ქვემოთ სამძივის-ხევი და (ძველი) წაღვერი მოყოლილი იყო პეტრეს-ციხის ნაპიეში. ამნაირად ბაკურიანის-წყალი, რომელიც შავ-წყალს ერთვის, სადგერის ნაპიეშია, ხოლო შავ-წყალი მთლიანად პეტრესციხის ნაპიეშია და ნუასთან ერთვის მტკვარს. შავწყალის შენაკადი გუჯარეთის ანუ თორის წყალი, რომელიც სადგერის ნაპიეზე მიმდინარეობდა. საზღვარი პეტრეს-ციხის და სადგერის ნაპიეთა შორის მთელს ხაზზე გადიოდა წყალგამყოფ მთებზე.

ვახუშტის რუკაზე ბაკურიანის-წყალის და შავი-წყალის მიმდინარეობა შეცდომით არის წარმოდგენილი.

პეტრეს-ციხის და სადგერის ნაპიების საზღვარი ხელოვნურად ყოფილა გაყვანილი, რის მაჩვენებელია ის, რომ მაგ., სამძივის-ხევი პეტრეს-ციხის ნაპიეშია მოთავსებული, თუმცა ის სამძივართა შემდგომის გოგობასშვილის საფლობელოში უნდა ყოფილიყო.

გვარი სამძივარი არის ძველისძველი. XI საკუნეში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ანდრია პირველწოდებულის სამცხეში მოსვლისას აწყურში მფლობელ-პატრონად იყო ქვრივი სამძივარი, ე. ი. აწყურის მფლობელზე გათხოვილი

და შემდეგ დაქვრივებული, სამძივრის სახლის ასული. ამის მიხედვით სამძივა-
რი არის ქართველი უძველესი მეპატრონე გვარის სახელი, რომელიც კი ჩვენ
ვიცით ასეთი ძველი ღრრის მიმართ (I ს. ჩვ. ერამდე და ჩვენი ერთი). ცხადი
ხდება, რომ სამძივარი ცალკე გვარია და ის უნდა განსხვავდებოდეს შემდეგ-
ღროინდელი თორელებისგან, რომელთა არსებობა X ს-ნეზე ადრე არ დასტურ-
დება.

რუსთავი თორის მხარეში არასოდეს არ შედიოდა და მათ ერთმანერთი-
საგან ჰყოფდა თორის მთა და მისი განშტოებანი. თორის მხარეს ამ მთის სამხ-
რეთით რუსთავი ოციოდე კმ-ით იყო დაშორებული. მართლაც, აღბუღას კა-
ნონების შესავლიდან ჩანს, რომ სამცხე შედგებოდა ხუთი თემისგან. ამათგან
ერთის სახელი ცნობილია მატიანიდან, ეს იყო ქვაბლიანის ხევი. ამ თემების
რაობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ იყო სამცხის ტერიტორია
განაწილებული საეპისკოპოსოებს შორის. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავარ-
თა ნუსხის მიხედვით (ეს ნუსხა შედგენილი უნდა იყოს XV ს-ნის მეორე ნახე-
ვარში) სამცხე ზედებოდა ორი ეპისკოპოსის სამწყსოში — მაწყვერელისა და
წურწყაბელისა. „მაწყვერელი გვირგვინ-ბისონიანი არის, ამისი სამწყსო ყვიბი-
სი და სადგერი არს, სულ აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის
წყალის გაღმართი გურიის წასადგომამდი... წურწყაბელის სამწყსოა (წურწყაბის
საყდარი მდებარეობდა ჯაყისმანის ახლოს ფოცხოვში) ხურსიძის სახლი, სულა
ბოტოთვევი, ხერთვისის ქვეითი მისია“. აქ ყურადღებას იქცევს, რომ ქვაბლი-
ანის-ხევი სამწყსოდ ორ საეპისკოპოსოს შორის არის განაწილებული — ქვაბ-
ლიანის-წყალის (ახალციხის-წყალის) ჩრდილოეთი მხარე მაწყვერელის სამწყ-
სოს შეადგენდა, ხოლო იმავე მდინარის სამხრეთი მხარე წურწყაბელისას. რაც
შეეხება მაწყვერელის სამწყსოს, ის მოიცავს ქვაბლიანის-წყალის (ახალციხის-
წყალის) ჩრდილოეთი მხარიდან და გურიის საზღვრიდან ახალციხეს და მის მი-
სადგომს, აგრეთვე ლობიეთის მხარეს (ლობიეთში იყო ლობიართა და შემდეგ
დიასამიძეთა რეზიდენცია). ამ მიმართულებით მაწყვერელის სამწყსო საფიქ-
რებელია ზიარეთის მთამდე და ხერთვისის მიდგამამდე (ხერთვისის ზევით მხა-
რე და „სულ ჯავახეთი“ კუმურდოს ეპისკოპოსის სამწყსოს შეადგენდა). სამ-
ცხის დანარჩენი ტერიტორია — „ყვიბისი და სადგერი“ და ამასთან, ცხადია,
ხეობაც, რომელიც უფრო მტკვრის მარცხენა მხარეს მოიცავდა, აგრეთვე
„სულ აწყვერი“, ე. ი. სულ მხარე, დაწყებული აწყურიდან, და მტკვრიდან,
ვიდრე ასპინძის არემდე ჩათვლით ჭობარეთის ქედამდის და კოდიანამდე, აგ-
რეთვე თორი და სადგერი და მტკვრის მარჯვენა მხარე ყვიბისამდე (საიდანაც,

როგორც ეტყობა, უკვე შიდა-ქართლი იწყებოდა), ყველაფერი ეს შეადგენდა მაწყვერელის სამწყსოს.

როგორც აღვნიშნეთ, სამცხის ერთი თემთაგანი იყო ქვაბლიანი, რომელიც შეადგენდა ნაწილობრივ მაწყვერელის და ნაწილობრივ წურწყაბელის სამწყსოს. მეორე თემად საგულისხმებელია ხევი-ხეობა თორი თურთ ტაშისკარიდან თუ ყვიბისიდან დვირამდე. მესამე თემი იქნებოდა „სულ აწყვერი“, ე. ი. მხარე მტკვრის დასავლეთით და აღმოსავლეთით, ვიდრე ასპინძის არემდე ჩათვლით და ჭობარეთის ქედამდე საკულტო ცენტრით აწყურში. მეოთხე თემი საგულისხმებელია ურაველის ხეობის აღმოსავლეთით და დასავლეთით, ხოლო სამხრეთით ბოლომდე (არტანის მხარის მთებამდე) საკულტო ცენტრით საფარით. ხოლო მეხუთე თემი იქნებოდა ახალციხის (ძველი სახელით მარდის) მხარე ვიდრე ფერსათის მთამდე და სამხრეთით ვიდრე საფარის მიდგამამდე. ასეთი გაანგარიშებით, რომელიც საკმაოდ ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან, თორი მდებარეობდა სულ სხვა თემში, ვიდრე რუსთავი.

რაც შეეხება თორელების გვარეულობას, რომლისადმი შოთა რუსთაველის მიკუთვნება კვლავ წამოიჭრა¹, ეს გვარი წარმოდგენილი იყო რამდენიმე განშტოებად. 1927 წლის ვეფხისტყაოსნის ჩემი მეორე გამოცემის წინაწერილში საკმაოდ დაწვრილებით იყო ნაჩვენები, რომ თორელების გვარეულობას ეკუთვნოდნენ მხარგრძელებიც. საკმარისია ითქვას, რომ შალვა და ივანე ახალციხელი, რომელნიც უდავოდ (შეად. თამარის პირველი და მეორე მატინე და კირაკოსი § 5) მხარგრძელები იყვნენ, იმავე დროს თორელებადაც იხსენიებიან. თორელებში მიღებული იყო სახელი მხარგრძელი, რაც დასტურდება შემდეგნაირად.

გუჯარეთის აღმოსავლეთით, სამი კილომეტრის დაშორებით წითელჯვრის ხევის პირას არის ძველი ეკლესია, რომელსაც უწოდებენ „წითელ ჯვარს“. ეკლესია დაშლილია. ჩრდილოეთ მხარეზე არის ასომთავრული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მხარგრძელი, ამ (ეკლესიისა) მაშენებელი“².

¹ 1966 წლის ეურნ. მნათობის მეორე ნომერში გვ. 132—146 გამოქვეყნდა სარგის ცაიშვილის წერილი შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ, რომელშიდაც ის კვლავ ამტკიცებს, რომ თითქმის შოთა ყოფილიყო თორელ კიაბერის შვილი. ზემოთ ნათქვამის მიხედვით ეს აზრი არ მართლდება.

ნოლ. შოშიაშვილი საჯარო მოხსენებაში 27 მაისს 1966 წ. (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიის თეზისები, 7—8) ამტკიცებდა, რომ შოთა რუსთაველი იყო თორელთა გვარიდან, რადგანაც რუსთავი თორელთა გვარეულობას ეპყარო, რაც, როგორც ვნახეთ, არაა სწორი. ნ. შოშიაშვილი ამასთანავე უარყოფდა მანდ-უხუცეთის კიაბერის თორელობას.

² ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ბორჯომის ხეობა, თბ. 1957 წ., 15.

ამგვარად თორელების საწყისი დაკავშირებული უნდა იყოს სოფელ თორთან, რომელიც მდებარეობდა ციხისჯვარის მხარეში ისტორიული ციხისჯვარიდან მის ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით რვა კმ-ზე. ბაგრატ IV-მ სულა კალმახელს უბოძა ლიპარიტის შეპყრობისათვის სხვა ციხეებთან ერთად მამულობით, ე. ი. სამკვიდროდ ციხისჯვარიც. მაგრამ ეს სხვა ციხის-ჯვარია, რომელიც მათიანეში წარმოდგენილ ცნობათა მიხედვით საკუთრივ სამცხეშია საგულისხმებელი, სახელდობრ ფოცხოვის ახლოს (ამჟამად ეს სახელი თითქოს არ არსებობს ანდა შეცვლილად უნდა იყოს წარმოდგენილი). თორელების ხელში იყო გუჯარეთის ხეობის ზედა ნაწილიც, რის გამო ამ ხეობას დაერქვა თორის ხეობა. ხოლო ერთი შტო მათი დაბინავდა შიდა-ქართლში, თეძამის ხეობაში (მომავალ საჯავახიანოში). რაღაც მიზეზით X—XI საუკუნეთა მიჯნის ახლოს ხოსრო მხარგრძელის წინაპარი (პაპა?) გადასულა ძორაგეტში (შირაკში), ე. ი. ანისის სამეფოში (სომხური პროვინციის შირაკის მთავარი ქალაქი იყო ანისი) იქაურ ბაგრატუნიანთა დინასტიის მეფეებთან, სადაც მას მიეცა სამფლობელოდ ხოშორანი. აქ ეს შტო გახდა სომხური მონოფიზიტური სარწმუნოების მიმდევარი. შემდეგ, დაახლოებით დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლოში, ამ შტოს წარმომადგენელი ხოსრო მხარგრძელი გადმოვიდა საქართველოს სამეფოში, სადაც მას მიეცა სამფლობელო სანაინის მხარეში და თვით სანაინიც. ამ ხოსროსაგან მოდის უკვე XII ს-ნის მხარგრძელების მთავარი შტო, რომელიც თამარის დროიდან XIV ს-ნის შუა წლებამდე პირველობდა საქართველოს მართველობის საქმეებში. ეს შტო კვლავ დაუბრუნდა ქართველობას.

1 ლ. მუსხელიშვილი (თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა, საქ. სახელმ. მუზეუმის მოაპზე Xb, ტფ. 1940, გვ. 23—48) ფიქრობდა, რომ თორელები სამძივართა გვარისანი იყვნენო. ამ დებულების წამოყენებისას ლ. მუსხელიშვილი ეყვარებოდა ქვემო-ქართლში ჰამამლუს ტაძრის წარწერებს, რომლებშიდაც თამარ მეფესთან ერთად მოხსენიებულია ერისთავი კახა (ცხადია, ეს კახა ქვემო ქართლში, რომელიც ტფილისისა და ქართლის ამირას ემორჩილებოდა, ირის ევრთწოდებული მცირე ერისთავი, ამირას ხელქვეით მყოფი) და ცალკე კიდევ ეკლესიის აშენებელი ბელელასძე ოქროპირ ცოლით კრავით და მათნი ძენი. ეს ბელელასძე საგულისხმებელია, როგორც ამ ადგილის მეპატრონე აზნაური. ერისთავი კახა მართლაც შეიძლება თორელთა გვარისა იყოს, ქვემო-ქართლის ერთ მონაკვეთში მცირე ერისთავად დანიშნული, თუმცა ეს კახა შეიძლება სხვა გვარისაც ყოფილიყო (მარტო სახელი არაფერს ნიშნავს). მაგრამ რომ ბელელასძის ცოლი კრავი იყოს მათიანეში მოხსენიებული „კრავი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა“, ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ჰამამლუს წარწერის წინაპარს, რომელშიდაც აქ მოხსენიებული კრავის ქმრად ბელელასძეა დასახელებული, ბელელასძე და სამძივარი კი სხვადასხვა გვარია. გარდა ამისა სამძივარი თორის მხარის წარჩინებული იყო და რატომ უნდა აეშენებია მას სოფლის ეკლესია ქვემო ქართლში? ლ. მუსხელიშვილის ხსენებული ჰიპოთეზა აშკარად არ მართლდება.

12. იერუსალიმის ჭვარის მონასტრის შოთას პორტრეტი. პოეტის ბიოგრაფიის დადგენისათვის უპირველეს ყოვლისა დიდი მნიშვნელობა აქვს ჭვარის მონასტერში შოთას ფრესკული პორტრეტის რაობის გარკვევას. ამ პორტრეტს ამ უამად აქვს მართლაც საყურადღებო თავგადასავალი, თავისი ისტორიაც. ცნობილი ამ პორტრეტის ძველი აღწერილობანი (მთავარეპისკოპოსის ტიმოთე გაბაშვილის 1758 წლის, ნიკ. ჩუბინიშვილისა 1845 წლის და ალ. ცაგარელისა 1882 წ.). პორტრეტს, ალ. ცაგარელის სიტყვით, ჰქონდა ასეთი წარწერა: „ამისა დამხატვსა შოთას შუენდოს ღმერთმან, რუსთველი“. დეკანოზმა პ. კენჭოშვილმა 1900 წ. ნახა ეს პორტრეტი, მაგრამ მას წარწერა არ მოჰყავს, ხოლო ნ. მარს, 1901 წელს პორტრეტი არ დახვდა, ის შავად შეღებილი იყო. ამიტომ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 1958 წელს ბ. კანდელაკის მიერ პოვნილ იქნა ნიკ. ჩუბინაშვილის მიერ 1845 წ. გადმოღებული ამ სურათის კოპიოდან უკვე პეტერბურგში იმ ხანაში გადაწვეთები სურათი, რომლისგან ყოველ შემთხვევაში ირკვეოდა შოთას ასაკი (ის მოხუცად გამოიყურებოდა) და ჩაცმულობა (ეს სურათი გამოქვეყნებული იყო უკრნ. „საბჭოთა ხელოვნება“-ში, 1958 წ. № 8). პორტრეტის ასეთი პირი არ შეიძლებოდა მთლად ზუსტი ყოფილიყო, მაგრამ ის მაინც იძლეოდა თავსაბურავის და სხვა ნიშნების მიხედვით ზოგად შთაბეჭდილებას, რომ შოთას იერუსალიმისეული პორტრეტი მოდიოდა XIII საუკუნის დასაწყისიდან. ეს კი საბოლოოდ წყვეტდა საკითხს შოთას ცხოვრების დროის შესახებ. ამიტომ ნ. ჩუბინიშვილისეულ გადმოხატულ კოპიოსაც ნამდვილი სურათის გამოვლინებამდე მაინც საკმაო მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც, ამ პორტრეტის გამოვლინებამ გააცხოველა ინტერესი შოთას პრობლემისადმი და ამის შედეგად მალე წამოიჭრა საკითხი იერუსალიმში სპეციალური ექსპედიციის გაგზავნის შესახებ.

მაგრამ პირველ ხანებში სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერ-ხელმძღვანელთ ამ საკითხს სხვაგვარად შეხედეს და სხენებული უკრნალის ნომრის გამოსვლიდან მალე მოათავსეს ვაზ. „კომუნისტ“-ში (12 ნოემბ., 1958 წ.) კოლექტიური წერილი, რომ ნიკ. ჩუბინიშვილისეულ პირს შოთას პორტრეტისას არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, რადგანაც იერუსალიმის ჭვარის მონასტერი XVII საუკუნეში თავიდან მოიხატა, ასე რომ ყველა იქაური პორტრეტი XVII საუკუნეში არის შესრულებული და დახატულია ხელმოკრედ. ამგვარად, ეს გამოხატულება, რომელიც რუსთაველისად მიაჩნიათ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს უფრო სანდო დოკუმენტად, ვიდრე რუსთაველის სხვა ცნობილი გვიანდელი გამოსახულებანი და სხვ. წერილს ხელს აწერდნენ საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსები: გ. ჩუბინაშვილი,

შ. ამირანაშვილი, პროფესორები ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, დოც. ვ. ბერიძე.

საპასუხო წერილის დაბეჭდვა, რომ პორტრეტის თუნდაც ეს არაზუსტი პირი წყვეტს საკითხს შოთას ცხოვრების დროის შესახებ და ამიტომ მას მანაც აქვს მნიშვნელობა, მაშინ არ მოხერხდა. მხოლოდ 1960 წლის თებერვალში ჩვენ გადავეციტო ურნ. „საბჭოთა ხელოვნებას“ წერილი „შოთას ბიოგრაფიის საკითხებიდან“, რომელშიც გამოყენებული იყო შოთას პორტრეტის ნიკ. ჩუბინაშვილის პირის მეოხებით მიღებული მონაცემებიც. ამ წერილის დაბეჭდვა გვიანდებოდა. ამასობაში იერუსალიმს გაემგზავრა ამ პორტრეტის საკითხის გასარკვევად სპეციალური ექსპედიცია მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ირაკლი აბაშიძის და პროფესორების გ. წერეთლის და აკ. შანიძის მონაწილეობით და ამიტომ ამის შემდეგ მე ვთხოვე რედაქციას შეეჩერებინა ჩემი წერილის დაბეჭდვა ექსპედიციის დაბრუნებამდე.

ექსპედიციის დაბრუნების შემდეგ ამ ექსპედიციის წევრთა მიერ გაზ. „კომუნისტ“-ში და „Заря Востока“-ში 22 ნოემბერს 1960 წ. გამოქვეყნდა ვრცელი საინფორმაციო წერილი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ XVII ს-ნეში შოთა რუსთველი ჯვარის მონასტრის დამხატვად მიენიათ, თუ ამისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო სწორი უნდა იყოს ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს პორტრეტი თავისი წარწერით ან არის განახლებული XVII ს-ნეში, ან გაკეთებულია რაიმე უტყუარი მონაცემის საფუძველზე“.

მეორე დღეს, 23 ნოემბერს 1960 წ., მწერალთა კავშირში შედგა ექსპედიციის წევრთა საჯარო მოხსენება, რომელზედაც ა. შანიძემ და გ. წერეთელმა განაცხადეს, რომ შესაძლებელია შოთას პორტრეტი იყოს XVI ან XVII საუკუნეში შესრულებულიო. მე განვაცხადე, რომ რეალიების (სამოსი და თავსაბურავი და სხვ.), აგრეთვე ზოგიერთი პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით შოთას ეს პორტრეტი არ შეიძლება იყოს XIII საუკუნის პირველ მესამედზე გვიანდელი-მეთქი, რასაც დამსწრენი დიდი თანაგრძნობით შეხედნენ. აქ თქმულის საფუძველზე 1961 წ. 1 იანვარს ლიტერატურულ გაზეთში დაიბეჭდა ჩემი წერილი სათაურით — „რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის დათარიღების შესახებ“.

ამის შემდეგ გაზ. „კომუნისტში“ 1961 წ. 7 იანვარს გამოვიდა შ. ამირანაშვილის ვრცელი წერილი — „რას მეტყველებს რუსთაველის პორტრეტი“ ავტორი ამტკიცებდა, რომ შოთას ეს პორტრეტი არის XII—XIII საუკუნეთა

მიჯნაზე შესრულებულიო. იგივე წერილი ზოგიერთი დამატებით დაიბეჭდა
ეურ. საბჭოთა ხელოვნებაში (№ 4, 1961 წ.).

იმავე წლის საბჭოთა ხელოვნების № 1-ში (გამოვიდა თებერვალში) დაი-
ბეჭდა ზემოთ მოხსენებული ჩემი წერილი „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის
საკითხები“ სათანადო დამატებებით ახლად გამოვლინებული პორტრეტის მო-
ნაცემთა საფუძველზე.

1961 წლის აპრილში ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელ-
მა თინ. ვირსალაძემ წაიკითხა აკადემიაში მოხსენება შოთას პორტრეტის და
საერთოდ ჯვარის მონასტრის მხატვრობის შესახებ. მომხსენებლის აზრით,
ჯვარის მონასტრის მხატვრობაში ნიკიფორეს დროინდელი XVII ს-ნის მხატ-
ვრობის გვერდით გამოირჩევა უფრო ძველი, XIV ს-ნის დამდეგის, მხატვრობის
ფენა და რომ შოთას მხატვრობა XIV ს-ნის ამ ფენას უნდა ეკუთვნოდესო.

ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ თვით
ჯვარის მონასტრის ძველი ხანის ისტორია.

ქართული მასალები (შემდეგდროინდელი წარწერა, რომელაც დაცუ-
ლი იყო ჯვარის მონასტერში, მეფეების მირიანისა და ვახტანგ გორგასალის
სურათები, მონასტრის ფრესკებით წარმოდგენილნი და სხვ.) ცხადყოფენ, რომ
ჯვარის მონასტრის დამფუძნებელი იყო მირიან მეფე, ხოლო მისი თავდაპირ-
ველი ამშენებელი — ვახტანგ გორგასალი. ვეგმის ნახაზის მიხედვით ეკლესია
თავდაპირველად აშენებული ყოფილა როგორც სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც
შემდეგ გადაკეთებულ იქნა გუმბათიან ტაძრად. როდის მოხდა ეს?

ჯვარის მონასტრის აღაპებში (§ 288) 15 აგვისტოსთვის ჩაწერილა: „ამას-
ვე დღესა წირვა და აღაპი საუკუნო დავით მეფეთა მეფისა და მეორედ აღმაშე-
ნებელისა წმიდისა ამის მონასტრისა, რომელმან სარკინოზთაგან წარტყევენიული
მონასტერი და ეკლესია, მიზგითად შეცვალებულა, ეკლესიადვე სალოცველად
შეცვალა და კულად აგო ნათესავსა ქართველთასა და რომლისა საუკუნომცა
არს საქსენებელი“... არავითარი ეჭვი არაა, რომ ჯვარის მონასტრის ეს მეორედ
აღმაშენებელი არის დავით აღმაშენებელი. ამას ამტკიცებს სარკინოზის ტერ-
მინის მოხსენიება მაჰმადიანთათვის, რომელთა სახით აქ თურქ-სელჯუკები
იგულისხმებიან. მას შემდეგ, რაც არაბები გამოვიდნენ მსოფლიო ასპარეზზე,
პალესტინა და იერუსალიმი მაჰმადიანთა (არაბების და შემდეგ თურქ-სელჯუ-
კების) ხელში იმყოფებოდა. პალესტინა და იერუსალიმი მაჰმადიანთაგან გა-
ათავისუფლეს დას. ევროპის ჯვაროსნებმა, რომელთაც დააარსეს პალესტინაში
ე. წ. იერუსალიმის სამეფო (1099 წ.). მთავარ და ხელმძღვანელ როლს ჯვარო-

სანთა ამ პირველ ლაშქრობაში და იერუსალიმის სამეფოს დაარსებაში ასრულებდნენ ფრანგები.

შეიძლება უფრო ზუსტად დადგინდეს, თუ როდის იქნა ქართველების მიერ ჯვარის მონასტერი რეკონსტრუირებული და მოხატულიც. მოგზაურ ზევულფის სიტყვით (1102 წ.) „ჯვარის ეკლესია გაშენებულია იერუსალიმის დასავლეთით დაახლოებით ერთი მილიარის მანძილზე იმ ადგილას, სადაც მოკვეთეს წმიდა ჯვარი. ეკლესია ძლიერ პატივსაცემია და ძლიერ ლამაზიც, მაგრამ წარმართებმა ააოხრეს ის, თუმცა მთლად ვერ დაანგრეს ირგვლივ მყოფი შენობების და ეკლესიების გარდა“.¹

1106—1107 წელს იერუსალიმში ჩასული რუსი დანიელი წერს, რომ ქართველთა ჯვარის ეკლესია, დიდი და გუმბათიანი, მის დროს მთლად კარგად მოხატული იყო².

ამ ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მაჰმადიანებს ჯვარის მონასტერი თურქ-სელჯუქიანთა იერუსალიმში (1077—1099 წლებში) სასტიკი მძლავრების დროს მართლაც გადაუკეთებიათ მეჩეთად. ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის დაკავების (1099 წ.) შემდეგ მონასტერი დაიბრუნეს ქართველებმა, მეჩეთი გააუქმეს. მონასტერი აოხრებული იყო, მაგრამ 1103—1105 წლებში ქართველებს ტაძარიც გუმბათიან ეკლესიად აღუდგენიათ და კიდევ მოუხატინებიათ.

ამგვარად დავით აღმაშენებელს ჯვარის ეკლესია იერუსალიმში თავის ხარჯზე გადაუკეთებია გუმბათიან შენობად. ვინაიდან ეკლესია V ს-ნეში, ვახტანგ გორგასალის დროს, აშენებულ იქნა როგორც სამნავიანი ბაზილიკა, ამიტომ ასეთი რეკონსტრუქციისათვის ახლა ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში ორი სვეტი გაუქმებულ იქნა და ამ ორი სვეტის კიდევან მდებარე სვეტებზე ამართულ იქნა გუმბათი. ასეთი რეკონსტრუქცია უდრის ტაძრის „მეთორედ აღშენებას“ და ამიტომ ჯერ ეკლესიის მეჩეთად გადაქცევის გამო და შემდეგ ამ რადიკალური რეკონსტრუქციის დროს წინანდელი მხატვრობის ნაწილი მიიწი დაიღუპებოდა. ამის შედეგად ჯვარის მონასტერში უფრო აღრინდელი მხატვრობის და მოზაიკის მხოლოდ ნაწილია შეიძლება შემონახული ყოფილიყო. მაგრამ რეკონსტრუქციის შემდეგ, XII ს-ნიდან, იქ უნდა გაჩენილიყო ახალი მხატვრობა.

პალესტინაში იერუსალიმითურთ 1187 წლამდის ჯვაროსანთა ქრისტიანული სამეფო იყო. 1187 წ. იერუსალიმი დაიპყრო სულთან სალადინმა, რის

¹ Путешествие Зевульфа, Правосл. палестинский сборник, III, вып. 3, стр. 282.

² Житие и хождение Даниила, Правосл. палестинский сборник, I, в. 3, стр. 82.

შემდეგ ის მაჰმადიანების ხელში იყო 1229 წლამდის. 1229 წელს იერუსალიმში კვლავ ფეხი მოიკიდა ჯვაროსანთა ქრისტიანულმა ხელისუფლებამ, რომელიც არსებობდა 1244 წლამდის, ხოლო ამ წლიდან იერუსალიმი თავისი მხარითურთ კვლავ მაჰმადიანების ხელში გადავიდა. ჯვარის მონასტრის ალაპების ცნობით, დიმიტრი თავდადებულის ძის ვახტანგ მეფის (1299—1308) მმართველობამდე ჯვარის მონასტერი „ოცდაექვსე წელსა სპარსთა (ე. ი. მაჰმადიანთ) წაელო“ და ვახტანგ მეფის დროს ის გაუთავისუფლებიათ. აქ ლაპარაკია მაჰმადიანთა მიერ მონასტრის „წლების“ შესახებ, მაგრამ არაფერია თქმული მონასტრის დაზიანების შესახებ. ზოგი არაბი ავტორის მიხედვით, ეგვიპტის სულთან ბეიბარსის (1260—1277) და სხვა არაბივე ავტორების ცნობით, ხსენებული სულთანის შვილის ნასირ-მუჰამედის (1277—1279) დროს ქართველებს ჩამოართვეს ჯვარის მონასტერი და ის გადააქციეს მეჩეთად (თუ მის გალავანში გახსნეს მეჩეთი). მაგრამ 1305 წელს ეგვიპტის სულთანთან გამოცხადნენ საქართველოს მეფის ბართლომეს (ასე უწოდებენ ამ მეფეს არაბი ავტორები, უნდა იყოს ვახტანგი) და ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე II-ის ელჩები, რომელთა შუამდგომლობის შედეგად ქართველებს დაუბრუნდათ ეს მონასტერი. ამგვარად 1279—1305 წლებში ჯვარის მონასტერი ფაქტიურად გაუქმებული იყო და ის მაჰმადიანთა ხელში იმყოფებოდა.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპების წიგნში ჩაწერილია შემდეგი მოსახსენებელი პირველი იანვრის დღისათვის: „ამასვე დღესა ალაპი სუანთ ერისთვისა ვარდანისძისა მსახურთუხუცესისა არიშანისა. მოგუცა ათასხუთასი თეთრი მას ეამსა, ოდეს ჟუარის მონასტერი სპარსთ დამპყრვით ჰქონდა და ძმანი მეტოქეს შიგან ვიყვენით. დიდსა დაჭირებასა შინა ვიყვენით. დიდად ნუგეშინის გუცა“... გამოდის, რომ 1278—1304 წლებშიც ჯვარის მონასტერი ქართველებს მთლად მიტოვებული არ ჰქონდათ. ბერები იქვე ახლოს მეტოქეში იმყოფებოდნენ და წირვა-ლოცვას ასრულებდნენ.

დამატებით ამ საკითხის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ჯვარის მონასტერი, როგორც ეს არაბული წყაროებიდან და ქართული მასალებიდან ჩანს, 1279 წელს მიმძლავრებულ იქნა შეიხ ხიდრის მიერ. ამის შემდეგ 26 წელი ჯვარის მონასტერი „სპარსთ (მაჰმადიანთ) ეკავათ (ალაპი § 206). ამ შეიხ ხიდრის ხელში იყო მთელი იერუსალიმი. თითქოს ის თურქი უნდა ყოფილიყო. ჯვარის მონასტრის № 76 ხელნაწერს აქვს მინაწერი, რომელშიც მოხსენებულია, რომ ის დაიწერა „წინაშე წმიდისა საფლავისა წელსა ლბ თურქთა ქონებისასა, ოდეს კლიტენი მათ ჰქონდეს საწურთელად ცოდვთა ჩუენთათვის. არცა ვის შესლვად

უტყვებდეს თვნიერ დიდისა ჭირისა და სასყიდლისა და არცა ჩუენ გამოსლვად გუტყვებდეს“.¹

ჯვარის მონასტრის დაბრუნება ქართველებისათვის უნდა გადაწყვეტილიყო იერუსალიმის ქრისტიანულ სიწმიდეთა საკითხთან ერთად, გოლგოთის კლიტენი კი თურქებს ჰქონიათ 32 წელი. გამოდის, რომ იერუსალიმის სიწმიდეებს ეგვიპტის სულთნის ხელქვეით დაპატრონებია თურქი შეიხი ჯერ კიდევ (1305—32-) 1273 წელს. შემდეგ შეიხ ხიდრი სწვდა ქართველების ჯვარის მონასტერსაც 1279 წელს. 1305 წელს საქართველოს მეფის ბართლამ-ის (ვახტანგის) და ბიზანტიის იმპერატორის თხოვნით, არაბულა წყაროების მიხედვით, ჯვარის მონასტერი დაუბრუნეს ქართველებს და ცხადია, მაშინ ქრისტიანები დაეუფლნენ იერუსალიმის სხვა ქრისტიანულ სიწმიდეებს. ეს მოხდა საქართველოს მეფის ვახტანგის ღვაწლით (ვახტანგის სახელი ადვილად შეიძლება არაბულ გამოთქმაში დამახინჯებულიყო ბართლამად — ვახტანგ, ბახტან, ბართამ, ბართლამ).

ქსნის ერისთავთა ძეგლი იხსენიებს გიორგი ბრწყინვალის დროს ქსნის ერისთავის შალვას შვილის პიპას მისიას იერუსალიმში ქრისტეს საფლავის კლიტეების დახსნის შესახებ. მაგრამ აქ იგულისხმება სულ სხვა ფაქტი. ძეგლი ერისთავთა გადმოგვცემს: „ამას ჟამსა (1330 წლის ახლოს) მოვიდა ამბავი — კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრნესო (იგულისხმება ეგვიპტის სულთნის ნებართვით მისი ხელქვეითი რომელიღაც მფლობელი — თურქი ან არაბი, საერთოდ მაჰმადიანი) და დიდად შეწუხდა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ, რომელსა ერქუა პიპაჲ, გზასა ქმელთასა მრავლითა ძღვენითა წინაშე ნისრელისა (ეგვიპტის სულთანი ნასირ-მუჰამედ 1293—1341 წწ.). ხოლო მან სიხარულითა შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი“. ცხადია, აქ იგულისხმება არა წინანდელი 32 წლის სიგრძეზე იერუსალიმის ქრისტიანული ადგილების მფლობელობა, არამედ გოლგოთის ახალი დაუფლება აშკარა გამოძალვის მიზნით, რაც მიღწეულ იქნა კიდევ. საქართველოდან მისული მდიდრული ძღვენი სულთანმა „სიხარულით“ მიიღო და გოლგოთის კლიტენიც ქრისტიანებს (უფრო ქართველებს) დაუბრუნა.

ჩამოვთვალოთ ახლა ის საკითხები, რომელთაც აღძრავს ახლად მოპოებული სურათი შოთასი.

ა) შოთა სურათში მოცემულია ერისკაცის ტანისამოსში და ერის კაცისავე

¹ ტექსტი შესწორებით მოგვყავს ჩვენი წერილიდან იხ. „ლიტერატურულ გაზეთი“, 1961 წ., № 1 (სარგის კაკაბაძე, რუსთაველის იერუსალიმური პორტრეტის დათარიღების შესახებ).

თავსაბურავით. ექვს იწვევდა, თუ რატომ იყო შოთა ფრესკაზე წარმოდგენილი თავსაბურავით. მაგრამ ქართველებში უქუდოდ სიარული დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ახლაც არის ხალხში სალანძღავი გამოთქმა — „შე უქუდო, შენაო. ეკლესიაშიც საქართველოში ქუდს არ იხდიდნენ. მხოლოდ XVII ს-ნის მეორე ნახევრიდან რუსული გავლენის შედეგად (პირველად მინც კანტიკუნტად) შემოიღეს ეკლესიაში დგომისას ქუდის მოხდა. ამიტომ შოთას სურათი ჯვარის მონასტრის კედელზე საერისკაცო თავსაბურავით ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ის იყო ერისკაცი.

დამატებით უნდა ითქვას კიდევ შემდეგი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი ეკლესიასათვის არასოდეს არ არსებობდნენ. ვეფხისტყაოსნის თითქმის ყველა ხელნაწერს თავში ახლავს ერთი ნართაული და მკითხველისათვის გამაფრთხილებელი სტროფი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ „თუ უყურა მონაზონმან (იგულისხმება, ვეფხისტყაოსანს), შეიქმნების გაპარსულად“-ო.

ეს ნიშნავს, რომ ამ პოემის წამკითხველი ბერი ბერობიდან იქნება გარიცხულიო. ასეთ პირობებში ცხადია, რომ შოთას პორტრეტი იერუსალიმში შეიძლება წარმოჩენილიყო მხოლოდ მის დროს და მისი უხვ შეწირულებათა შედეგად და რომ XIII ს-ნის შემდეგ იერუსალიმში მონასტრის კედელზე მას არავინ დახატავდა — ეს საესებთ გამორიცხულია. ძლიერ კარგადაა ცნობილი, რომ ქართველების ეს მონასტერი იერუსალიმში სხვადასხვა თავის ნაწილში სხვადასხვა დროს იყო მოხატული. ამის პარალელურ მაგალითს შეადგენს გელათის მონასტერი, რომლის კედლებზე წარმოდგენილია ყველა საუკუნის მხატვრობა დაწყებული XII ს-ნიდან XVIII ს-ნემდე. ექვს გარეშეა ამიტომ, რომ შოთას ეს პორტრეტი მოდიოდა ძველი დროიდან და, საფიქრებელია, თვით XIII ს-ნიდან.

ბ) ხსენებულის დამამტკიცებელია კიდევ შემდეგი გარემოება. ჯვარის მონასტრისეულ პორტრეტზე შოთას დაახლოებით ისეთივე თავსაბურავი აქვს, როგორც ფრესკების მიხედვით აქვს, მაგ., მანდატურთუხუცესს სუმბატს 1160-იან წლებში ბეთანიის მონასტრის ფრესკაზე. მხოლოდ სუმბატის ქუდი უფრო მაღალია და მას არ აქვს ქვემოთ არშია შემოვლებული. ასეთივე თავსაბურავი აქვს ქართლის ერისთავს რატის ვარძიის მხატვრობაში 1190 წლის ახლოს.

რაქაში ზემო-კრიხის ეკლესიაში რაქის ერისთავთა გვარის წევრთა XIII ს-ნის მხატვრობა წარმოგვიდგენს თავსაბურავებს დაახლოებით იმავე სიმაღლისას, როგორც ბეთანიის და ვარძიის ფრესკა, და ასევე უარშიოდ, მაგრამ ქუდიდან ყურებზე ჩამოშვებული ტოტებით.

შოთა რუსთაველის თავსაბურავი მთლიანად თეთრი ფერისაა, უფრო დაბალია და ქვემოთ მას მოვლებული აქვს სწორი შავი ბეწვეული. შეიძლება, ითქვას, რომ შოთას თავსაბურავს უკავია შუათანა ადგილი ბეთანიის კტიტორის და ზემო-კრიხის კტიტორთა თავსაბურავს შორის.

შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ხობის კტიტორთა თავსაბურავები. ამ ტაძრის მეორედ „ამშენებელი“ ყოფილა ერისთავთ-ერისთავი მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი (1285—1300 წლების ახლოს), იქვეა ერისთავთ-ერისთავის შერგილ დადიანის (1300—1320 წლების ახლოს), მისი ცოლის და პატარა შვილის ცოტნეს სურათები.

შერგილ დადიანის თავსაბურავი საკმაოდ მაღალაა, მაგრამ ზემოთკენ აწვეტილი, ქვედა ნაწილში ზემოთკენ აკეცილი არშით (როგორც ეს ზარზმამში აქვთ მთავრის ბეჟას სახლს ყველა წევრს). პატარა ცოტნეს ასეთივე თავსაბურავი აქვს, მხოლოდ ის ზემოთკენ კიდევ უფრო აწვეტილია.

ზარზმის მხატვრობაში სარგის ჯაყელს ათაბაგს, მის შვილს მანდატურთუხუცესს ბეჟას და ამის შვილებს სარგისს, ამირსპასალარ ყვარყვარეს თავსაბურავად აქვთ პატარა მრგვალი ქუდი წითელა ზედანაწილათ და ქვემოთ ირგვლივ თეთრი ბეწვეულათ, მაგრამ ეს არშია ზემოთაწეულია და გარეა გადადის. ეს მხატვრობა შესრულებული უნდა იყოს ბეჟას სიკვიდილის შემდეგ (1310-იან წლებში). შოთა რუსთაველს დაახლოებით ასეთივე სიმაღლის თავსაბურავი აქვს, მაგრამ მას სრულებით არ აქვს გარედან ზევით აწეული ქვემო არშია და ამით ის თვალსაჩინოდ განსხვავდება ზარზმის პორტრეტის თავსაბურავთან. ეს უკანასკნელი არის, მასსადაამე; თავსაბურავის სხვა ეტაპი, რომელიც მიღებული იყო ქართველ უმაღლეს წრეებში XIII ს-ნის უკანასკნელ მეოთხედში და XIV ს-ნის პირველ მეოთხედში.

1470-იან წლებში, იტალიელი ბარბაროს ცნობის თანახმად, საქართველოში თავზე ეხურათ, „მოკლე ფოჩიანი პატარა ქუდი სხვადასხვა ზომისა“. მეორე ცნობის მიხედვით, რომელიც ეკუთვნის იერუსალიმში 1483 წელს მყოფ გერმანელს ერნჰარდ ბრეიდენბახს (მას ბლომად უნახავს ქართველები იერუსალიმში), ქართველ სასულიერო პირთ ეხურათ მრგვალი ქუდები, საერო პირთ კი — ოთხკუთხიანი. ამასვე ამბობს ქართველების თავსაბურავის შესახებ 1519 წელს გერმანელივე ჩუდი ფონ-გლარუს (ა. ცაგარელის მოგზაურობა პალესტინაში, 59—60). ამის შემდეგ წარჩინებული და საშუალო მდგომარეობის ქართველები ატარებდნენ სპარსელების მსგავს თავსაბურავს, ე. ი. თავსახვევს ფრთით ანუ ჭილით წინამხარეზე. ეს ჩანს მრავალი დამოწმებიდან

(პატრი პავლე მარია ფისიანცელი 1516 წ., კასტელის სურათები, ფრესკები, შარდენის ცნობა, რომ ქართლში პოლონელების მსგავს თავსაბურავს იყეთებნო და სხვ.). ამიტომ შოთას იერუსალიმისეული სურათი თავსაბურავის მიხედვით უდგება სწორედ XIII ს-ნის და უფრო კიდევ XIII ს-ნის პირველ ნახევარს¹.

ზემოთ მოხსენებულის მიხედვით შოთას იერუსალიმისეული პორტრეტი არ გამოცილდება XIII ს-ნის პირველ მეოთხედზე გვიანდელ ხანას.

სხვა მონაცემებიც მოწმობენ, რომ შოთას იერუსალიმისეული სურათი მიეკუთვნება XIII ს-ნის პირველ მეოთხედს. შ. ამირანაშვილი თავის წერილში „რას შეტყველებს რუსთველის პორტრეტი“ (გაზ. კომუნისტი, იანვარი, 1961 წ.) სხვათა შორის შემდეგს წერდა:

„უნდა აღვნიშნოთ მეტად საყურადღებო დეტალი, რომელიც დამახასიათებელია ხსენებული პორტრეტული გამოსახულებისათვის — რუსთველის სამოსელს აქვს თეთრი ბეწვეულის გადაკეცილი საყელო, წინ გაჭრილი, რომელიც ყარყუმის ბეწვი უნდა იყოს. ქართულ საერო ჩაცმულობაში მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნიდან შემოდის წესი ქუდის ან ტანსაცმელის აშის მორთვის მიზნით წავის ბეწვის ხმარებისა. მაგრამ თეთრ გადმოკეცილ საყელოს ყარყუმის ბეწვისას, რომელიც რუსთველის პორტრეტზე მკაფიოდ ჩანს, პირდაპირ ანალოგია ქართული ხელოვნების ძეგლებში არ მოეძებნება. არ შემიძლია სათანადო მასალა მივუთითო ბიზანტიურ ხელოვნებაშიც.“

„ერთადერთი ანალოგია ამ დეტალს მოეპოვება საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებაში. ვეფხისტყაოსანში ნახსენებია, რომ თინათინს ეცვა ყარყუმის წამოსასხამი — „გაძრცივლსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი“ (123, 1); ვენეციის წმ. მარკოზის ტაძრის კარიბჭის (ბაპტისტერიუმის) მოზაიკურ მხატვრობაში, რომელიც ზუსტად თარიღდება 1342 წლით, კომპოზიციაში „როკვიდა ასული ჰეროდიასი“ მოცეკვავე ასულს ტანს აცვია ყარყუმის ბეწვით შემკული ტანსაცმელი. ყარყუმის გადმოკეცილი საყელო განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა საფრანგეთში მეფის და მალალი თანამდებობის პირთა საზეიმო ტანსაცმელისათვის. იგი ფართოდ გავრცელებული ყოფილა უკვე XIV საუკუნეში, განსაკუთრებით კი შემდეგ საუკუნეებში. სათანადო მასალების შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში იგი გაჭრილი ყოფილა, როგორც ამიენის ტაძრის ისტორიული პირის ქანდაკება ადასტურებს. ამგვარსავე გაჭრილ საყელოს ჩვენ ვხედავთ მეთხუთმეტე საუკუნის

¹ ლიტერატურული გაზეთი, 1961 წ. 1 იანვ., სარგ. კაკაბაძის ხსენებული წერილი.

ფრანგულ გობელენზე, რომელზეც გამოსახულია ესთერი და მეფე არტაქსარი, ხოლო ამ ხნიდან გადმოკეცილი ყარყუმის საყელო უკვე მთლიანია. ასეთია ახალგაზრდა მეფისწულის გამოსახულება 1477 წლის ერთ ფრანგულ მინიატურაზე, მემბტიანე ენგერან დე-მონსტრელეს (1390—1453) გამოსახულება აგრეთვე ფრანგულ მინიატურაზე. ამ მასალებიდან ირკვევა, რომ წინ გაქრილი ყარყუმის გადმოკეცილი საყელო უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის, ვიდრე გაუქრელი. სათანადო ძიება ამ მიმართულებით შექვევლია საშუალებას მოგვცემს უფრო ადრინდელად დათარიღებული მასალა გამოვნახოთ.

„ყარყუმის გამოყენება საზეიმო ტანსაცმელისათვის უთუოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მომდინარეობს. არც ერთი საერო პირის ტანსაცმელს, რომელსაც დიდი თანამდებობა ეჭირა სამეფო კარზე, ყარყუმის გადმოკეცილი საყელო არა აქვს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დიდ ქართველ მოხელეს ჩაცმულობის საზეიმო ხასიათის მისაცემად შეუთვისებია ის წესი, რომელიც გავრცელებული ყოფილა საფრანგეთში. ერთადერთი გზა კულტურული ურთიერთობისა და კავშირისა საქართველოსა და საფრანგეთს შორის ჯვაროსანთა ლაშქრობის ხანა იყო (განსაკუთრებით პირველი ლაშქრობის ხანა), როდესაც ჯვაროსნებს თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ეჭირათ წმიდა ქალაქი იერუსალიმი. ქართველებს, როგორც სათანადო ისტორიული წყაროებიდან სჩანს, ჯვაროსნებთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ წლების მანძილზე. ჯვარის ტაძრის ერთ სვეტზე მთელი ტანით გამოსახულია წმ. სებასტიანე, რომლის შიშველი ტანი გამსჭვალულია ისრებით. წმ. სებასტიანეს გამოსახულება მეტად გავრცელებულია იტალიურ ხელოვნებაში, განსაკუთრებით აღორძინების ხანის ხელოვნებაში — იგი ითვლებოდა რომის მფარველად; ამ წმიდანის პირველი გამოსახულებანი რომის ხელოვნებაში ეკუთვნის მე-7 საუკუნეს, ჯერ იგი გამოსახულია მოხუცის სახით ტანსაცმელში, ხოლო მე-13 საუკუნიდან მას უკვე მოკლე წვერულვაში აქვს. ტანის ზედა ნაწილი გაშიშვლებულია, ხოლო მე-14 საუკუნის ბოლოდან წმიდანი უკვე წარმოდგენილია უწვერულვაშო ჰაბუკის სახით. ჯვარის ტაძრის სვეტის კედელზე გამოსახული წმიდანის იკონოგრაფიული ტიპი, აგრეთვე თვით წერის მანერა, განსაკუთრებით კი მოკლე წვერულვაშით შემკული ლამაზი სახე, საშუალებას გვაძლევს იგი დავათარილოთ მე-13 საუკუნის დასაწყისში, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს მე-13 საუკუნის პირველ ნახევრისა.

„წმიდა სებასტიანეს კულტი იმ სახით, როგორც იგი მიღებული იყო კათოლიკური ეკლესიის მიერ, ბიზანტიის, საქართველოს, ბალკანეთისა და რუსეთის

საეკლესიო ხელოვნებამ არ იცის. როგორც დადგენილია, მართლმადიდებელი ეკლესია წმ. სებასტიანეს წამების გამოსახვას ერიდებოდა. მით უფრო სინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯვარის ტაძრის ქართველმა მხატვარმა გამოსახა ამ წმინდანის წამების თემა... როგორც სათანადო მასალებიდან ჩანს, ჯვაროსანთა ქვეყნებიდან იერუსალიმში ჩამოსული მლოცველები ხშირი სტუმრები იყვნენ ქართველთა მონასტრისა, სადაც დაცული იყო წმიდა რელიკვია — იმ ხის ძირი, რომლიდანაც თქმულების თანახმად გააქეთეს ე. წ. ჯვარი პატიოსანი, მაცხოვარი რომ აცვეს“.

ასეთია შ. ამირანაშვილის აზრი ამ საკითხზე.

ივ. სურგულაძე თავის წერძნულ „შოთა რუსთაველის პორტრეტის გამო“ (გაზ. „თბილისი“, 20 აპრილს 1961 წ.) ყურადღებას აქცევს ხელმწიფის კარის გარიგების ერთ ცნობას, რომლის მიხედვით ახალწლის პირველ დღეს მეფეს უნდა ჩააცვას მონადირეთუხუცესმა. მონადირეთუხუცესი მეფეს ჩააცმევს ძვირფასი ბეწვის (სიასამურის) საყელოს და თავზე დაახურავს ასეთივე ძვირფასი ბეწვეულისაგან მადლად აშვერილსა და ფაქიზად შეკერილ ქუდს. შოთას თავზე აქვს მრგვალი საბურავი და არა კონუსისებურად მადლა აზიდული ქუდი, რაც მონღოლების გავლენით უნდა იყოს ჩვენში შემოსული. ამის მიხედვით ივ. სურგულაძე დაასკვნის, რომ შოთას იერუსალიმისეული პორტრეტის ჩაცმულობა და თავსაბურავი წინ უსწრებს ხელმწიფის კარის გარიგების შედგენის დროს. ხოლო რადგანაც ეს გარიგება, ჩვენი აზრით, უნდა საბოლოოდ რედაქტირებული იყოს 1290 წლის ახლოს (როდესაც დავით ნარინის შვილის ვახტანგის ხელქვეით მთელი საქართველო იყო გაერთიანებული), ამიტომ ცხადი ხდება, რომ შოთას იერუსალიმისეული პორტრეტი თავისი გარეგნული თვისებებით XIII ს-ნის პირველ ნახევარს ვერ გადმოსცილდება.

გადავიდეთ ახლა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შოთას პორტრეტის წარწერაზე.¹

შოთას პორტრეტს ზემოთ აქვს ასომთავრული წარწერა: „ამისა დამხატავს შოთა შს ღწ, აწ“. სრულად: „ამისა დამხატავს (დამხატავს) შოთას (შოთას) შეუნდოს ღმერთმან, ამინ“. თვით პორტრეტს კი აქვს წარწერა: როსთველი (ე. ი. რუსთველი).

პირველ ზედწერილში ყურადღებას იპყრობს მ-ის ხმარება ა-ს მნიშვნელობით.

¹ ეს საკითხი მოკლედ განხილული იყო ჩემს წერძნულში, რომელიც ზემოთ ციტირებული იყო „ლიტერატურული გაზეთიდან“, 1961 წ. № 1. ახლა აქ მასალა მოცემულია უფრო ვრცლად.

ხუცური დამწერლობის ძეგლებში ასეთი შემთხვევები X—XVII ს-ნებში ძლიერ ბევრია. ეს არაა ჩვეულებრივი მოვლენა, მაგრამ ძლიერ ხშირად ა-ს მაგივრად ტექსტებში იხმარება ე. ეს დადასტურებულია ჯვარის მონასტრის სვინაქსარში, რომელშიც მოთავსებულია ამ მონასტრის აღაპები თვით შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპით¹. საკმაოდ ხშირია ასეთი შემთხვევები ჯვარის მონასტრის აღაპების ჩანაწერებში XIV—XVII ს-ნეთა სიგარძეზე (მაგ., § § 5, 14, 112, 194, 222, 248 და სხვ.).

თუმცა არა ხშირად, მაგრამ ასეთი მდგომარეობა გვაქვს შიო-მღვიმისად-მი დავით აღმაშენებლის მიერ მოცემულ ანდერძ-სიგელში, თამარ მეფის დროინდელ ტიპიკონში ერთი მონასტრისა (აქ ერთი შემთხვევაა ასეთი), აგრეთვე თამარ მეფის დროინდელ წყაროსთავისეულ სახარებაში (ცენტრ. ისტ. არქ., ხელნაწ. № 323). ამ უკანასკნელში ხშირად იხმარება, მაგ., ცხ'რბჲ-ცხო-რება, სადაც უკანასკნელი ასო ე უნდა იკითხებოდეს როგორც ი, მაგრამ შეი-ძლება ცვლილდეს ა-საც. ვაჰანის მონასტრის ტიპიკონის 1400 წლის ახლოდროინ-დელ მინაწერში სიტყვა მამასახლისი წერია ასეთი ფორმით: მამასახლისი და სხვ. XVI ს-ნეშიც ხუცურში ხანდახან ე იხმარებოდა ა-ს მნიშვნელობით (მაგ., 1520 წლის სიგელის ნუსხას ხუცურით ხელს აწერს კათალიკოზი ბასილი, იგივე ბასილი და სხვ.).

ამასთანავე რადგანაც XII ს-ნეში მრგლოვანი ხუცურის ე ხშირად ცვლიდა ა-ს, ამიტომ თვით ეს ე მხედრულში, მრგლოვანი ე-ს მიხედვით, XIII ს-ნეშივე ღებულობს ახალ სახეს (ა).

შოთას პორტრეტის წარწერაში ე ა-ს ნაცვლად ხმარებულია ორჯერ: 1) „დამხატავსა“ და „შოთა“. ეს სიტყვები უნდა წაკითხულ იქნას ასე: 1) დამ-ხატავსა და 2) შოთასა. დაწერილია ორივე სიტყვა არსებითად კანონზომიერად მხოლოდ სიტყვა „შოთასა“, ადგილის უქონლობის გამო, ქარაგმის ქვეშ მეტად შემოკლებულია, რასაც, რასაკვირველია, მნიშვნელობა არა აქვს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს შემდეგი. პალეოგრაფიული თვისებებით (ასო ა-ნის მოხაზულობა და აგრეთვე ასოების ხასიათი) წარწერა არ შეიძლება მოწვენილი სახით იყოს XIV ს-ნეზე ადრინდელი და უფრო XIV ს-ნის მეორე ნახევარს ანდა XV ს-ნეს უნდა ეკუთვნოდეს. წარწერა, მაშასადამე, თავის დრო-ზე გაქრობამდე იყო მისული და ის ხელახლა გადაწერილ იქნა. მხოლოდ ორი

¹ Д. К и п ш и д з е, Жизнь Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали, Известия Кавк. ист.-археол. института, II., Л. 1927 г., стр. 54—ამხსლად ნაცვლად სიტყვისა ანასლათ და სხვ.

ასო, როგორც ეტყობა, სახელდობრ რო (სიტყვის როსთველის პირველი მარცხალი) უნდა იყოს განახლებული. ჯერ ერთი ის, შედარებით წარწერის სხვა ტექსტთან, უფრო მომცრო სახით არის მოცემული. გარდა ამისა, ასო ო-ნი წარმოდგენილია ზემოთ აკაუჭებული განივი ხაზით, რომელიც დამახასიათებელია XII ს-ნისათვის. ეს განახლებაც არაა მთლად ზუსტად შესრულებული. რის გამო ასო რ განახლების შემდეგ გამოვიდა უფრო გრძელი, ვიდრე ის იქნებოდა. სხვაფრთხი კი ტექსტი უნდა იყოს გადმოწერილი უფრო ძველი წარწერიდან და საკმაოდ ზუსტადაც.

გ) შოთას პორტრეტის საკითხებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას. პორტრეტს ასომთავრულად პოეტის ვინაობა აწერია ასე: როსთველი (რუსთველის მაგიერად). მრგლოვანში ანუ ასომთავრულში უ-ნი გამოიხატებოდა ორი ასოთი ოკ და ხანდახან XII ს-ნეში იხმარებოდა მხოლოდ კ. ამასთანავე ო-ნს ფეხი ზემოთკენ კქონდა აწეული.

მართლაც, ჯერ კიდევ X—XI ს-ნეთა წარწერებში მრგლოვანი ო-ნი იწერება ზემოთკენ კარგად აკაუჭებული გვერდითი ხაზით. ასეა, მაგ., ზარზმის წარწერაში 979 წლისა, სალამოს (ჯავახეთში) ეკლესიის წარწერაშიც, რომელიც დავით აღმაშენებელს იხსენიებს (და არა ულუ-დავითს, როგორც ამას ფიქრობს ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 68), მრგლოვანი ო-ნის ქვედა ხაზი აგრეთვე ზემოთ აკაუჭებულად არის წარმოდგენილი.

არმაზის მონასტრის წარწერაში, რომელიც შესრულებულია ნიკოლოზ კათალიკოსის დროს 1170—1180 წლების ახლოს (ე. თაყაიშვილი, რომელმაც ეს წარწერა პირველად გამოსცა СМОМПК, XXII, მას XVII ს-ნისად თვლიდა, ხოლო მ. ჯანაშვილი — XII ს-ნისად) და რომელშიც მოხსენებულია ხათუნყოფილი მარია, დედა საბალთისი, ძმისწული სალდახისი, უ-ნისთვის ცალკე ნიშანი არ არის. როგორც ო-ნი, ისე უ-ნი აქ იწერება ზემოთკენ აკაუჭებული ბოლოთი, როგორც ეს რუსთველის პორტრეტის წარწერაშია.

ვარძიის მონასტერში (სამცხეში) გიორგი III-ის და თამარ მეფის პორტრეტებს აქვთ ასომთავრული წარწერა, შესრულებული თამარის ახალგაზრდობისას („თამარ, რომელი მრავალყვამეულობსმცა“). აქაც ო და უ ერთნაირად არის გამოხატული — ზემოთკენ აკაუჭებული გვერდითი ხაზით. იქვე ტაძრის მომხატავის, ქართლის ერისთავის რატის სურათზე უ-ნი მოცემულია ნიშნით ვ („მიითვალე“ — მიითვალე). ეს წარწერები უნდა ეკუთვნოდეს 1190 წლის ახლო დროს.

არის თამარის დროის სახარება (ცსია № 323), გადაწერილი 1206 წელს

(თამარ-დავითის სახელების მოხსენიების შემდეგ იქ წერია: „წარმართენ ლაშას, ძისა მათისა, მეფობა“; ეს გამოთქმა ათარიღებს ამ სახარებას 1206 წლით). ამ სახარებაში მრგლოვანი ო-ნი მოცემულია სწორი განივი ხაზით (ფ. 28₂, 99₂, 225₂ და სხვ.), მაგრამ ხშირად ქვემოთკენ ოდნავ (ფ. 231₂) და გარკვევითაც (ფ. 11₂, 160₂, 230₂, 266₂) დაკუთქებული ხაზით. მრგლოვანი ო-ს დამწერლობის მხრივ ეს ხელნაწერი საკვებით ნოვატორულია.

XIII ს-ნის პირველ მეოთხედში ჯერ მეჭურჭლეთუხუცესად და შემდეგ მანდატურთუხუცესად საგულისხმებელია შალვა თორელი. ჯელალ-ედ-დინის შემოსევის დროს 1225 წელს ის დაიღუპა კიდევ უკვე მანდატურთუხუცესად მყოფობის დროს. მისგან მოღწეულია განძანში (ჯავახეთში) ორი წარწერა, რომლებშიც მრგლოვანი ო-ნი უფრო განივი ხაზითაა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ზემოთკენ აკუთქებულიც, თუმცა მეტად მცირედ. წარწერები უნდა იყოს 1205—1223 წლების ახლო დროის.

რუსუდან მეფის დროინდელი წარწერა, ნაპოვნი მანგლისის დასავლეთით 9 კმ-ზე, სოფ. არხოტში, თარიღით უფრო 1222—1226 წლებისა, ო-ნს გამოსახავს განივი ხაზით, რომელიც ზემოთკენაა აკუთქებული.

ხელნაწერი ეტრატზე 1233 წლისა ო-ს აგრეთვე წარმოგიდგენს განივი ხაზით, რომელიც უფრო მეტად ოდნავ ქვემოთკენ არის დაკუთქებული. უ-ნიც იწერება ორი ასოთი ოკ.

ასევეა ხელნაწერში H1344, რომელიც კარგად შენახულია, ეტრატზე, დაწერილია 1304 წელს, ო-ს ხმარობს განივი ხაზით, რომელსაც ბოლო ოდნავ დაკუთქებული აქვს ქვემოთკენ.

ზარზმის მთავარ წარწერებში, რომელნიც 1310 წლის ახლო დროისანი არიან, მრგლოვანი ო-ნი მოცემულია განივი ხაზითაც, მაგრამ უფრო მეტად უკვე ოდნავ ქვემოთკენ დახრით.

XV—XVI ს-ნებში მრგლოვანი ო-ნი იწერება უკვე აშკარად ქვემოთკენ დახრილი ხაზით. ზოგ შემთხვევაში ქვემოთ მკვეთრად დახრილი ხაზი შემდეგ ზემოთკენ აკუთქდება. ასეა, მაგ., ქსნის ერისთავთა ძეგლში (ლენინგრადი), ვირშელ ერისთავის სურათზე მრგლოვან მინაწერში [ამ მინაწერის ანახაზზე („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, 1954 წ. გვ. 312) ეს გარემოება არაა სწორად მოცემული]. მაშასადამე, XV ს-ნის დასაწყისში ო-ნი იწერება განივი ხაზის ქვემოთკენ დახრით. ასევეა 1470—1474 წლებში ხუცურად დაწერილ „მცნება სარჯულო“-ში (უ-ნი აქ იწერება ორი ასოთი ოკ).

ანლოგიურად ვამეყ შაბურჩიძის 1474 წლის სიგელში ო-ნი იწერება ქვემოთ-
კენ დახრილი განივი ხაზით.

ხელნაწერი A 1737, 1505—1515 წლებში გადაწერილი, მრგლოვან ო-ს
ხმარობს მეტწილად ქვემოთკენ მკვეთრად დაკაუჭებულს, მაგრამ უფრო ნაკ-
ლებ ზემოთკენაც აკაუჭებულად.

ასეთივე მდგომარეობაა 1534 წელს ლევან I დადიანის დროინდელ გულან-
ში.

1546 წელს გოლგოთაზე (იერუსალიმში) გადაწერილ ხელნაწერში ო-ნი
მოცემულია განივი ხაზით, რომელიც თავდება ქვემოთკენ დაკაუჭებული წერ-
ტილით, მაგრამ ხშირია ო-ნი ზემოთკენ აკაუჭებულიც. ეს ხელნაწერი ცხად-
ყოფს, თუ როგორ აღვილად შეიძლებოდა განივი ხაზის წერტილის გამო ო-ნი
გადაქვეულისყო ზემოთკენ ოდნავ აკაუჭებული ბოლოთი.

შარტალია, ამ გვიანდელ საუკუნეში იმავე ხელნაწერებში, სადაც მრგლო-
ვანი ო-ნი ქვემოთკენ დაკაუჭებული ხაზითაა, ო-ნი ზემოთ აკაუჭებულიც
გვხვდება, მაგრამ ეს ზემოთ აკაუჭება იშვიათია. ამიტომ ასეთი შემთხვევები
ეპოქისათვის ამ საკითხში დამახასიათებელი არ არის. ამავე ხანაში უ-ნი იწე-
რება მრგლოვანში კვლავინდებურად ორი ასოთი ოკ.

ასეთივე მდგომარეობა (ო-ნი მრგლოვანში ქვემოთკენ დაკაუჭებული ხა-
ზით) და უ-ნის აღნიშვნა ორი ასოთი ოკ მოცემულია XVII ს-ნეშიც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ შოთას იერუსალიმისეულ პორტ-
რეტზე წარმოდგენილი მრგლოვანი ო-ნი განივი ხაზით და ოდნავ ზემოთკენ
აკაუჭებული წერტილით ხდება ყველაზე უკეთესად თამარის ხანას და შემდ-
გომ გიორგი ლაშას და რუსუდანის ხანასაც.

შემდეგში ქართლის გამგებელმა ვახტანგმა სტამბისათვის ჩამოსხმულ ან-
ბანში შემოიღო ო-ნის და უ-ნის ერთმანეთისაგან მკაფიოდ განმასხვავებელი
ასოები, სახელდობრ, ო-ნი ზემოთკენ აწეული გვერდითი ხაზით (ამით მან აღა-
დგინა ო-ნის სახე, როგორც ის X—XII ს-ნეებშია), ხოლო უ-ნისთვის კი მან და-
აწესა ახალი გამოსხატულება ქვემოთკენ მოკაუჭებული გვერდითი მოგრილი ხა-
ზით. მაგრამ ამის შემდეგაც ერთ ხანს (მაგ., ალავერდელის მიერ 1721 წელს
მოჭედილი ხატის წარწერაში) ო-ნი მოცემულია წინანდებურად ქვემოთკენ
მოკაუჭებული ხაზით, ე. ი. თითქმის არ განსხვავდება ასეთივე მოკაუჭებული
ხაზის უ-ნისაგან. ყოველ შემთხვევაში XVIII ს-ნეში თანდათან განმტკიცდა
ასომთავრული ო-ნი და უ-ნი იმ სახით, როგორც ეს დააწესა თავისი სტამბისა-
თვის ვახტანგმა.

აქ წარმოდგენილი სქემის თანახმად (რომლის სიმართლე მტკიცდება დიდ-

ძალი მასალებით) ექვეს გარეშეა, რომ შოთას იერუსალიმისეულ პორტრეტზე გაკეთებული წარწერა „როსთველი“ ო-ნის ზემოთკენ აკაუჭებული განივი ხაზით არაფრით არ შეიძლება მიეკუთვნოს XIII ს-ნის დასაწყისის ან პირველი მეოთხედის შემდგომ ხანას.

დამატებით ყურადღებას იქცევს პოეტის სახელის ფორმა წარწერაში — როსთველი, ე. ი. უ-ნის მაგივრად ნახმარია ო-ნი. ასეთი დაწერილობა მიღებული იყო განსაკუთრებით XI, XII და XIII ს-ნის მხედრულ დამწერლობაში. ეს იმდენად ცნობილი ფაქტია, რომ მაგალითების მოყვანა არაა საჭირო. იშვიათად ამას ვხვდებით ასომთავრულ დამწერლობაშიც, მაგ., არმაზის მონასტრის წარწერაში, რომელიც, როგორც მოხსენებული იყო, 1170—1180 წლების ახლო დროისა არის. მხედრულში ო-ნის ხმარება უ-ნის მაგივრად იმდენად ხშირი მოვლენა იყო, რომ სვანეთის ხელნაწერებში, XIII ს-ნის მხედრულად ჩაწერილ საბუთებში, რომელთა რაოდენობა სამოცამდე აღწევს, ეს სავსებით ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენს (უ-ნის მაგივრად იქ თითქმის ყველგან წერია ო-ნი). ამგვარად, ამის მიხედვითაც ექვეს გარეშეა, რომ შოთას პორტრეტის მინაწერი პოეტის ვინაობის შესახებ XIII ს-ნის პირველ მეოთხედს უნდა ეკუთვნოდეს.

ჯვარის მონასტრის მასალათაგან უკანასკნელად დიდ ინტერესს იწვევს თვით შოთას პორტრეტზე არაბული მინაწერები გრაფიტით, შესრულებული მნახველთა მიერ. მინაწერები არის ორგვარი: 1) კუფურის მინაგვარი კუთხოვანი ასოებით და 2) მომრგვალო ასოებით. ცნობილია, რომ არაბულში იყო ანბანის ხმარების ორგვარი წესი: ერთი — კუფური; ეს სახელა წარმოშობილია შუამდინარეთის ქალაქ კუფუსგან, სადაც იყო სასწავლებელი და იქიდან განთქმული არაბი კალაგრაფები გამოდიოდნენ. ამ დამწერლობას ახასიათებდა ასოების მშრალი გეომეტრიული ხაზები. მეორე დამწერლობა იყო ნესხი (აქედან ქართული ნუსხა), რომელიც წარმოადგენდა გაკრულ კურსივს მომრგვალებული ასოებით. თავდაპირველად წარმატებაში იყო კუფური დამწერლობა, რომელიც თანდათან შეცვალა ნესხი დამწერლობამ. XIII ს-ნის პირველ ნახევარში კუფური დამწერლობა უკვე ნაკლებ იხმარებოდა, ხოლო იმავე XIII ს-ნის მეორე ნახევრიდან ის გაქრა კიდევ¹.

¹ ამის შესახებ იხ. Encyclopädie des Islams I, 1908, S. 405—407; H. Jensen, Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart. XII ს-ნეში შუამდინარეთში იხმარებოდა როგორც კუფური, ისე მომრგვალო დამწერლობა. აკაკისასში უკანასკნელი კუფური დამწერლობის ძველი დადასტურებული ნახიქვანის მავზოლეუმის სახით ჰიჯრის 582 წ. (1186/7 წ.).

შოთა რუსთველის იერუსალიმისეულ პორტრეტზე მარჯვენა მხარეს არის არა კუფური, მაგრამ ამის მსგავსი მინაწერი, რომლის ცალკე სიტყვები იკითხება, მარცხენა მხარეს კი არის ნესხი დამწერლობის მინაწერი, რომლის მხოლოდ მცირედი ნაწილის გარჩევა არის შესაძლებელი.

მინაწერების თარგმანი იკითხება ასე: 1) 1031 წლის თარიღით — „მოიხსენე, უფალო ... მონა ... აღ ამმარი“. 2) საეკვო 1090 წლის თარიღით: ... მღვდელი ... (ამის ქვემოთ) ხათუნ...

მინაწერები საინტერესოა იმით, რომ მათ აქვთ თარიღები. შინაარსის მიხედვით ისინი შესრულებულია არაბულად ქრისტიანების მიერ. მარცხენა მხარეზე წარწერას აქვს თარიღი 1031 წელი. აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს ჰიჯრის (მაჰმადიანური) თარიღი, რადგანაც ქრისტიანებს თავისი კალენდარი ჰქონდათ. პალესტინა ეგვიპტეზე იყო დამოკიდებული და უმეტესად ეგვიპტის სასულთნოში შედიოდა. ეგვიპტის ქრისტიანებს ჰქონდათ ეგრეთწოდებული კოპტური ერა, რომელიც იწყებოდა 29 აგვისტოს 284 წ., მაგრამ კოპტური ეკლესია იყო იაკობიტური. გარდა ამისა, ეგვიპტეში იყო კიდევ ბერძნულ-მელიქიტური (დიოფიზიტური და ქალკედონიტური) ეკლესია, რომელსაც მეთაურობდა ალექსანდრიის პატრიარქი. ცხადია, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში უფრო ეს ქრისტიანები დადიოდნენ, რომელთაგან ბევრნი იყვნენ არაბული ენისანი (თვითონ კოპტებიც თავიდანვე არაბულ ენაზე გადადიოდნენ). ხოლო ალექსანდრიის ეკლესიას ჰქონდა პასქალური ცხრილის შედგენასთან დაკავშირებული საკუთარი წელთსათვალი, რომელიც ცნობილია ანატოლი ალექსანდრიელის წელთსათვალიად¹ და იწყებოდა 277 წლიდან. ანატოლი ალექსანდრიელის პასქალური ცხრილი შემდეგში მოქმედებდა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ქალკედონიტურ ეკლესიებში, მაშასადამე ბერძნებში და ქართველებში, და მოქმედებს ახლაც, ხოლო დასავლურ (კათოლიკე) ეკლესიაში ის იყო ვიდრე კალენდრის რეფორმამდე 1582 წელს. ეს ცხრილი მცირე შესწორებით სომხებშიც მოქმედებს. შოთას პორტრეტზე არაბული თარიღიანი მინაწერი მოცემული უნდა იყოს ანატოლის ერაით, რაც იძლევა (277-|-1031=) 1308 წელს.

იქვე, იმავე ფრესკაზე იოანე დამასკელის სურათზე არის გ. წერეთლის მიერ წაკითხული არაბული მინაწერი ტუშით 1023 წლის თარიღით, რაც ალექსანდრიული წელთსათვალით იძლევა 1300 წელს. რუსთაველისავე პორტრეტზე

¹ ანატოლი ალექსანდრიელის წელთსათვალის შესახებ სხვათა შორის იხ. E. Dulaurier Recherches sur la chronologie ariménienne, Paris, 1859, p. 34, passim.

მარჯვენა მხარეზე გაკეთებულ უფრო ვრცელ მინაწერს თითქოს აქვს თარიღი 1090 (=1367 წელი). შოთას პორტრეტზე არის მცირე ბერძნული მინაწერიც.

ამგვარად ირკვევა, რომ შოთას პორტრეტი ჯვარის მონასტერში შესრულებულია ყოველ შემთხვევაში 1300 წელზე ადრე და ბევრადაც ადრე, რადგანაც, როგორც მოხსენებული იყო, 1279—1305 წლებში ეგვიპტის სულთნების მიერ ჯვარის მონასტერი დახურული იყო. ამიტომ შოთას პორტრეტის შესრულების დრო აღწევს უკვე XIII ს-ნის პირველ ნახევრისთვის. ამით საბოლოოდ ირკვევა, რომ შოთას პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედელზე არ შეიძლება შესრულებული იყოს XIII ს-ნის პირველი ნახევრის შემდეგ.

3) ჯვარის მონასტრისეული შოთას სურათი თვით შოთას მიერვე შესრულებული ავტოპორტრეტი უნდა იყოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს შემდეგი გარემოებანი:

როგორც აღენიშნეთ, ფორმა როსთველი შეეფერება XII—XIII ს-ნეთა უფრო მხედრულ დამწერლობას. დამწერი (ან მისი შემკვეთი), მაშასადამე, აზროვნებდა, მხედრული დამწერლობის ნორმების მიხედვით. სურათი აშკარად ერისკაცის მიერაა დახატული.

XIII ს-ნის დასაწყისში ო-ნს მრგლოვანში ხმარობდნენ განივი პირდაპირა ხაზით. ასევე დაწერდა ო-ნს შოთა, რომ ის სურათის დახატვისას ახალი თაობის კაცი ყოფილიყო. მაგრამ მხატვარი ო-ნს სურათში ხმარობს XII ს-ნის მეორე ნახევრის ფორმით. აქედან გამოდის მეორე დასკვნაც. სახელდობრ, შოთას პორტრეტი ჯვარის მონასტერში შესრულებული უნდა იყოს მოხუცი მხატვრის მიერ.

სურათი შესრულებულია არა იკონოგრაფიული ნორმების მიხედვით, როგორც ეს მიღებული იყო ეკლესიებში კტიტორულ და სხვა პორტრეტების შესრულებისას. შოთას სურათი მოცემულია სავსებით რეალისტური ფორმით. ერისკაცი მხატვარი, რომელსაც იკონოგრაფისთან არაფერი აქვს საერთო, იძლევა პოეტის შთამაგონებელ სახეს რეალიზმისათვის დამახასიათებელი სიზუსტით.

წარწერა სურათზე („ამისა დამხატავსა შოთასა შეუნდენენ ღმერთმან, ამინ, როსთველი“) შესრულებულია თავისუფლად, გრამატიკულად სავსებით გამართულად. სახელს შოთაჲ-შოთასა თუმცა ამას ქარაგმის ქვეშ ჩვეულებრივ დაწერდნენ სანის ჩამატებით (შოთსა), მაგრამ არეს უქონლობის გამო დამწერმა ეს სიტყვა შეამოკლა. ეტყობა, რომ ყველაფერს ამას წერს ხუტუხს ნაკლებ მიჩვეული მხატვარი ერისკაცი.

მართალია, ეს წარწერა არაა პირვანდელი სახით მოწვენილი, ის გადაწე-

რილია XIV ს-ნეში, მაგრამ საფიქრებელია, რომ XIV ს-ნის განმაახლებელი ტექსტს დაიცავდა უცვლელად.

ყველა ზემოთ მოტანილი მონაცემების ჩათვლით, მნიშვნელობა აქვს გამოთქმას „ამისა დამხატავსა“ და სხვ. სახელდობრ, ეს გამოთქმა არ უნდა იქნას გაგებული მხატვრობის შემკვეთის მნიშვნელობით, არამედ აქ იგულისხმება ფაქტიურად სურათის შემსრულებელი. მართლაც, წარწერა არ გულისხმობს მაქსიმე აღმსარებლის და იოანე დამასკელის ფრესკას, რომელიც სულ სხვა სტილზე და სხვა მხატვრის მიერ არის შესრულებული. წარწერა ეხება მხოლოდ შოთას პორტრეტს. პორტრეტი მართლაც ყოველმხრივ განსხვავდება მაქსიმეს და იოანე დამასკელის იკონოგრაფიული სახეებისაგან, რომლებიც შესრულებულია უცნობი მხატვრის მიერ რუსთაველის პორტრეტზე ადრე და, საფიქრებელია, იერუსალიმში შოთას პირველი ჩასვლისას 1192 წელს ან ამის შემდგომ წელიწადს.

ვეფხისტყაოსანი მდიდარია ფერთა დასახელებით, ასე რომ ვ. ნოზაძემ ამ საკითხს სპეციალური წიგნიც კი უძღვნა (ვეფხისტყაოსნის განკითხვანი, ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება, ბუენოს-აირეს; 1954 წ., მოზრდილი ფორმატის 206 გვ.). იშველიებს რა საბა ორბელიანის ლექსიკონის განმარტებას, ავტორი დაასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანში „შვენება არის ფერთა შესაფერისად დაწყობა; შესაფერისად დაწყობა არის ფერთა შერჩევა და ამ შერჩეულ ფერთა დალაგება; ასე შერჩეულად შეთხზული ფერები ფერთა სურათს იძლევა, რომელიც ადამიანში უეპყველ მოწონებას, გატაცებასა და აღფრთოვანებას, მეტიც — თაყვანებას იწვევს“.

ვ. ნოზაძის მიერ შეჯამებული ცნობებით, ნესტან-დარეჯანის სახე ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილია ასე: თეთრი, ნაზი, წითელი ლაწვებით, ვარდი, ვარდთა ფერი, ფერადი (ბროლი, ლალი, ვარდი, ვარდთა ანუ ყვავილთა ფერი, ბადახში, მინა). ნესტანის თვალებია შავი და ლამაზი (მელნის ტბა, მელნის მორავი, გიშერი, სათი, ნარგისი, ნუში). ნესტანის ბაგენია წითელი (ძოწი, ბადახში, აყიყი, ვარდი). ნესტანის წამწამი არის შავი, გრძელი, ფართო (გიშერი, გიშრის სარები, წნელი, ყორანის ფრთა). ნესტანის თმა არის შავი, მსხვილი, გრძელი, სქელი, შენათხზენი, დაწნული (ყორანისა ბოლო, გიშრისა ტევრი, გველნი).

ტარიელის შევენების შესახებ პოემის ცნობები ვ. ნოზაძეს შემდეგნაირად აქვს შეჯამებული: „ტარიელის პირია ვარდისფერი, სხივოსანი, თეთრი, ელვარე (ვარდი, ლალი, ბროლი, ბაკმული) და ლაწვები — წითელი (ვარდი, ლალი).

მაგრამ მწუხარებათა გამო იგი ხშირადაა გაფითრებული, გაყვითლებული, შუქმკრთალი, ფერნაკლული (ამარტა, ზაფრანა, ქარვა).

„ტარიელის თვალია შავი და ლამაზი (გიშერი და ნარვისი).

„ტარიელის ბაგეა ვარდისფერი, წითელი (ვარდის კონა, ვარდი).

„ტარიელის კბილია თეთრი და ელვარე (მარგალიტი, ელვა).

„ტარიელის წამწამია შავი, გრძელი, ფართო, ხშირი (გიშერი, სატი, კარავი, ტვერი, ინდოთა რაზმი, ყორანის ფრთები, ყორანის ბოლო).

„ამგვარი არის ტარიელის შეენება, რომელიც სამფერით არის დახატული — თეთრი, წითელი და შავი — ყველა ელვარე და შუქთა მაფენი“.

შოთას მიერ დაწერილებითაა აგრეთვე ფერებში მოცემული თინათინი და ავთანდილის შეენება (სილამაზე) და სხვ.

დაბოლოს ვ. ნოზაძე დაასკვნის: „სილამაზის ამ თვისებათა შორის ვერ ვხედავთ, როგორია ადამიანის პირის მოყვანილობა ანუ სახე, აქ მხოლოდ ფერებს ავხედავთ“ (ხაზგასმულია ავტორის მიერ).

მართლაც, შოთა გასაოცრად ფლობს ფერებს. პოემის ბევრ ადგილას მოცემულ ფერებში პირდაპირ იგრძნობა მხატვარი და ისიც ფერწერის ოსტატი. მხატვარი იგრძნობა, მაგ., პოეტის ასეთ სიტყვებში:

მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე (სტრ. 251).

ჰას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის ფერი ჭუბანი (480).

მუნ შიგან მყოფთა ემოსა ტანთა ლურჯი და მწვანები (1503) და სხვ.

„ვეფხისტყაოსანში დახატული სილამაზე არის ქართული სილამაზე, ხალასი ქართული. გემოვნება სილამაზისა და ქართული გემოვნებისა არის დასურათებული ვეფხისტყაოსანში და ეს ხატი ქართული სილამაზისა არ არის მარტო წარმოდგენითი, ფიქრითი გამოსახულება, არ არის ოცნებითი დასახვა და ნატრიონი. ეს სილამაზით ჩვენება და შეენებითი გამოჩვენება, რომელსაც ვეფხისტყაოსანი გვაძლევს, არის სინამდვილე, მხატვრულად გადმოღებული ქართული სინამდვილიდან, რომელსაც ჩვენ XVII და XVIII ს-ნეშიც და დღესაც ვხედავთ“ (ვ. ნოზაძე, იქვე, გვ. 154—182). ამ სიტყვების დამატებით აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს ქართული სილამაზე შოთას თავის პოემაში მოცემული აქვს არა მარტო პოეტური მეტაფორებით, არამედ ფერების გასაოცარი ამეტყველებით. შოთა უნდა ყოფილიყო მხატვარიც.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში წარმოადგენს ავტობორტრეტს, შესრულებულს თვით შოთას მიერ. ვეფხისტყაოსნის დამწერი წარჩინებული მხატვარიც ყოფილა.

13. შოთას სხვა პორტრეტები. იერუსალიმისეული პორტრეტის გარდა არსებობს კიდევ შოთას XVII ს-ნის ორი სურათი: 1) თავაქარაშვილის მიერ 1646 წელს გადაწერილ ხელნაწერში ვეფხისტყაოსნისა და 2) ვეფხისტყაოსნის ზაზა ციციშვილისეულ ხელნაწერში. არის კიდევ ერთი სურათი იტალიელ კასტელის მიერ შესრულებული 1640-იან წლებში, მაგრამ ამ სურათის სინამდვილის საკითხი, როგორც ნაჩვენებია იქნება, რამდენადმე პრობლემატურია.

შოთას აქამდე ცნობილი და გავრცელებული სურათი მოდის ზაზა ციციშვილისეულ ხელნაწერში მოთავსებული პორტრეტიდან, რომელიც წარმოადგენს შოთას ფეხმორთხმით მჭდომარეს ოქროს კალმით, თავსაბურავში. ვეფხისტყაოსნის ეს ხელნაწერი 1660-იანი წლებისაა. ხელნაწერი დამზადებულია სარდალ ზაზა ციციშვილის დაკვეთით. ეს ზაზა მოკლეს 1670—1672 წლების ახლოს. ამის შემდეგ ხელნაწერი გადასულა ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (შაჰნავაზის) ოჯახის ხელში (მინაწერი ამის შესახებ ხელნაწერს ჰქონია პლ. იოსელიანის დროს, იხ. მისი წერილი გაზ. „Кавказ“-ში, 1870 წლის № 13)¹. შაჰნავაზის სახლიდან კი ხელნაწერი მოხვედრილა არაგვის ერისთვისშვილების ხელში და აქედან გამზიცივების მეოხებით ის მოპყვა ერთ-ერთი ორბელიანის ოჯახში.

პ. ინგოროყვა „რუსთველიანაში“ 1926 წელს და შემდეგ 1963 წელს (მეორე გამოცემისას, გვ. 240—252) ამტკიცებს, თითქოს ეს სურათი იყოს მე-15 ს-ნის და შემდეგ ჩაქერებული ზაზა ციციშვილისეულ ხელნაწერში. სათაურიც თავისი შრომის ამ მონაკვეთისათვის მას ასეთი აქვს: „შოთას პორტრეტი ერისთვისეული ხელნაწერიდან მე-15 ს-ნისა“. როგორც თავის დროზე (მნათობი, 1927 წ. № 11—12, წერილი „ვეფხისტყაოსნის საკითხის გარშემო“) ჩვენ აღნიშნული გვქონდა, პ. ინგოროყვა ამ შემთხვევაში შეცდომაში შეიყვანა ამ პორტრეტის ზურგზე გაკეთებულმა მინაწერებმა არაგვის ერისთვისშვილის რამაზ მდივანბეგის მოხსენიებით. ამ მინაწერებს ის თვლის XV ს-ნისად. სინამდვილეში კი სურათის ზურგზე მოცემული ყველა ეს მინაწერი (რიცხვით ოთხი) 1760-იანი წლების ახლო დროისაა და შემდეგნაირად იკითხება: 1) რამაზ ერისთვისშვილი გამოავლინე; 2) ეს ვეფხისტყაოსანი რამაზ მდივანბეგის ასულის ბარბარესიას მზითევი მოყოლილი; 3) ქ. ეს ვეფხისტყაოსანი რ[ა]მ[ა]ზ დიამბეგის ასულის ბარბ[ა]რესია ი[მ]ედო[ბ]ით (?); 4) ქ. ეს ვეფხისტყაოსანი მამიდასია, ღწ მშვიდობაში მოახმაროს.

¹ მინაწერში იხსენიება შაჰნავაზის შვილი ლევან-მირზა (სარგის ციციშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957, გვ. 76—78).

აქ მითითებული რამაზ მდივანბეგი იხსენიება ერეკლე II-ის დროს 1760-იან წლებში და კერძოდ 1768—1773 წლებში¹. ხელნაწერი ამ რამაზის კუთვნილება ყოფილა მისი ჭერ კიდევ მდივანბეგად დანიშვნამდე. ხელნაწერი თითქოს თვით მისი მოპოებული უნდა იყოს (რამაზ ერისთვისშვილმა გამოავლინაო, თითქოს ასე უნდა იქნეს გაგებული ზემოთ მოტანილი პირველი მინაწერით). შემდეგ ეს რამაზი მდივანბეგად გამხდარა და მას ხელნაწერი მზითევეში მიუცია თავისი ასულ ბარბარესთვის, რომელიც, როგორც ჩანს, ერეკლე II-ის სიძის ვახტანგ ორბელიანის დედა უნდა იყოს. ამ ბარბარესგან ხელნაწერი მოხვდა ვახტანგ ორბელიანის ოჯახში. ვახტანგის (და თეკლე ბატონიშვილის) შვილმა ალექსანდრემ ხელნაწერი კავკასიის ნამესტიკე მიხ. ვორონცოვის 1846 წელს მიაჩუა. შოთას სურათი ამოღებულ იქნა ხელნაწერიდან და გადაეცა ტფილასში ჩამოსულ ფრანგ მეცნიერს ფლერის, რომელმაც მიხ. ვორონცოვის დავალებით წაიღო ის პარიზში ქრომოლითოგრაფიულად დასაბეჭდად. სურათი მართლაც გამოვიდა მხატვარ გრ. გაგარინის მიერ სხენებული ფრანგი ფლერის დახმარებით პარიზშივე გამოსულ ალბომში *Caucase pittoresque* 1847 წელს². ამის შემდეგ სურათი დაბრუნდა უკან, ცალკე ფურცლად დარჩა და შემდეგ მოხვდა გრიგოლ ორბელიანის ხელში.

რაც შეეხება ამ სურათის შემცველ, ზაზა ციცაშვილასეულ ხელნაწერს ის დარჩა მიხ. ვორონცოვთან და მისი სიკვდილს შემდეგ მოჰყვა მის არქივში, საიდანაც მხოლოდ 1936 წელს გიორგი ლეონიძის მეოხებით ჩამოტანილ იქნა საქართველოში და ამჟამად მოთავსებულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

როგორც ვნახეთ, ამ ხელნაწერში მოთავსებულია შოთას სურათი მოხვდა პოეტ გრიგოლ ორბელიანის ხელში, ფურცელი უკვე ძლიერ დაზიანებული იყო. ის დაზიანდა გიორგი ორბელიანის ხელში, რომელმაც იყო გრაგოლას მემკვიდრე და მისი ძმისწული. ეს სურათი და აგრეთვე ე. თაყაიშვილის მიერ თავის მემუარებში მოხსენებული ორბელიანთა საგვარეულო ხატები და სხვა ისტორიული ნივთები მოჰყვა გიორგი ორბელიანის ცოლას მეგობრს ყაზაროვის ხელში. ეს ყაზაროვი ყველაფერ ამას საბჭოთა ხელასუფლების პირველ წლებში ჩუმად ყიდდა ბათუმში უცხოელებზე, რისთვისაც იქ თავისი კაცაც

¹ 1773 წელს ეს იხსენიება ორ საბუთში ცსია, ფ. 1449, № 2481 და 2482 მდივანბეგი რამაზ ერისთვისშვილი.

² ამ ხელნაწერისა და შოთას მასში მოთავსებული სურათის თავდაპირველი ბედის შესახებ მოთხრობილი აქვს გრ. გაგარინს დასახელებულ კრებულში და პლ. იოსელიანს ვახ. *Кавказ*-ში, 1870 წლის № 13.

ჰყოლია. შოთას ხსენებული პორტრეტი ასეთ გაყიდვას გადაარჩა სავსებით შემთხვევით.

ეს მოხდა შემდეგნაირად. ცენტრარქივის უფროსად ჩემი ყოფნის დროს ძველი ქართული და არა ქართულ საბუთების შეკრების პროცესში მე დავალებული მქონდა ივ. ენაკლოფაშვილისთვის, რომ მას შეეკრიბა ცნობები ტფილისის ყოფილ ბურჟუაზიულ ოჯახებში შემორჩენილ დოკუმენტური ძველი მასალების შესახებ. 1922 წელს ივნისში ი. ენაკლოფაშვილი მოვიდა ჩემთან ცენტრარქივში და მაცნობა, რომ ყაზაროვს ბათუმში გაგზავნილი აქვს შოთა რუსთველის პორტრეტი ინგლისელებისათვის მისაყიდად. რადგანაც ცნობილი იყო, რომ ხსენებული ყაზაროვი წინათ ბევრ ხანს იყო საქართველოში უდიდეს მემამულეთა — ორბელიანთაგან გენერალ გიორგი ორბელიანის მოურავად, ამიტომ მე ეჭვი ავიღე, ხომ არაა ეს სურათი შოთას დაკარგული პორტრეტი ვირონცოვისთვის წარღვნილი ხელნაწერიდან მეთქი. ამიტომ დავიბარე ეს ზირი და წინადადება მივეცი მას მუქარით, ახლავე გაეგზავნა ი. ენაკლოფაშვილის დასწრებით დეპეშა ხსენებული პორტრეტის გაყიდვის შეჩერების შესახებ, თვითონაც წასულიყო ბათუმში და ჩამოეტანა ხსენებული სურათი (შემდეგში ე. თაყაიშვილის მოგონებიდან გამოირკვა, რომ ხსენებულ ყაზაროვს მთლად დაუყიდა ბათუმში ჩამომსვლელ უცხოელებზე 1922—1925 წლებში ორბელიანების ისტორიული ხატების და სხვა ძვირფასეულობათა კოლექცია, რომელსაც ის გენერალ გიორგი ორბელიანის ქვრივის სიკვდილის შემდეგ დაპატრონებია კიდევ). ჩემს მუქარაზე ყაზაროვი შეშინდა, მეორე დღესვე წავიდა ბათუმში და ჩამოიტანა ხსენებული სურათი. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, რომ ეს აღმოჩნდა სწორედ შოთას სურათის დაკარგული ორიგინალი. დაპირებული ვიყავი, რომ ყაზაროვს აეუნაზღაურებდით ბათუმში წასვლა-წამოსვლის საგზაო ხარჯებს და დამატებით მივემდით კიდევ რამეს. მაგრამ ცენტრარქივს მაშინ არავითარი თანხა არ ჰქონდა და ამიტომ მიკითხვამოკითხვის შემდეგ ჩემმა თანაშემწემ იოსებ ჭეიშვილმა მოძებნა მეყვავილე მიხ. მამულაშვილი, რომელსაც მაშინ ერევნის მოედანზე ქარვასლაში ყვავილების დიდი მალაზია ჰქონდა და სთხოვა მას ყაზაროვთან ანგარიშის გასწორება, რის სამაგიეროდ ჩვენ თანახმა ვიყავით გადაგვეცა სურათი რომელამე დაწესებულებისათვის თვით მიხ. მამულაშვილის მითითებით. მ. მამულაშვილმა ყაზაროვთან ანგარიშის გასწორების შემდეგ აირჩია თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომლის დირექტორს პროფ. გრ. წერეთელს სურათი ჩავაბარეთ კიდევ.

პ. ინგოროყვას თავის „რუსთველიანაში“ ეს ამბავი არასწორად ჰქონდა

გადმოცემული. გრ. წერეთელს, როგორც ეტყობა, უნივერსიტეტიდან ხსენებული სურათი წაუღია საჩვენებლად ეროვნულ გალერეაში და აქ ეს სურათი უნახავს პ. ინგოროვას.

ამგვარად გადარჩა შოთა რუსთაველის ეს უნიკალური სურათი ბრიტანიის მუზეუმში ამოყოფის საშიშროებას.

პ. ინგოროვა „რუსთაველიანაში“ და ამის ეპილოგში ამტკიცებს, რომ შოთას ხსენებული პორტრეტი XV ს-ნის მეორე ნახევრის არისო. კიდევ რომ სურათი ხელნაწერის ბორდიურებიან ფურცელში შემდეგ იყოს ჩაყრებული, რის თქმა დანამდვილებით ძნელია, საკითხს წყვეტს თვით პორტრეტზე მხატვრის ხელით შესრულებული წარწერა. შოთას ამ პორტრეტზე ხელში უჭირავს ვეფხისტყაოსანი, რომლიდან გარკვევით გამოტანილია სიტყვები „ესე ამბავი (სპ)არც(უ)ლი, ქართულად ნათარგმანები, ეპოვ(ე) და ლექსად...“ არავითარი ეჭვი არაა, პალეოგრაფიული თვისებებით ეს სიტყვები მხატვრის მიერ XVII ს-ნის ხელით არის შესრულებული და ყოვლად შეუძლებელია ეს მინაწერი XV ს-ნის მიეკუთვნოს. მაშასადამე, თვით სურათიც შესრულებულია XVII ს-ნის მეორე ნახევარში, მაგრამ, როგორც ეტყობა, გადმოხატული უნდა იყოს უფრო ძველი დროის სურათიდან.

შალვა ამირანაშვილი თავის მოხსენებაში საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური საზოგადოების საჯარო კრებაზე 2 ივნისს 1966 წ. ამტკიცებდა, რომ ხსენებული სურათი თავისი რეალიებით და მხატვრული თვისებებით XIII საუკუნეს აღწევს და ამგვარად შოთა რუსთაველის ნამდვილ პორტრეტს უნდა წარმოადგენდესო. მაგრამ რადგანაც პორტრეტზე შოთას ხელში მყოფი წიგნის გვერდზე წარწერა ხელნაწერის თანადროულია, ამიტომ შ. ამირანაშვილის დებულებების მიღება შეიძლება მხოლოდ იმ სახით, რომ ზაზასეულ ხელნაწერში მოთავსებული პორტრეტი შოთასი წარმოადგენს ძველი პორტრეტის კოპიოს. სურათის გადმომღები მხატვარი დაიცავდა ძველი პორტრეტის დეტალებს, მაგრამ წარწერას სურათში წარმოდგენილ მცირე ტექსტს მოათავსებდა მართვიად თავისი დროის ხელით. ამიტომ შ. ამირანაშვილის თავისთავად სამართლიანი დებულების გათვალისწინებით ვღებულობთ ასეთ დასკვნას: ზაზასეულ ხელნაწერში მოთავსებული შოთას პორტრეტი წარმოადგენს კოპიოს შოთას იმ პორტრეტისას, რომელიც XIII საუკუნის დასაწყისის უნდა ყოფილიყო და რომელიც თან ერთვოდა ვეფხისტყაოსნის მეორე (საბოლოო) რედაქციას. მაგრამ რადგანაც ზაზასეული ხელნაწერი ტექსტობრივად უდგება ვეფხისტყაოსნის მესამე რედაქციას, ამიტომ ეს კოპიო აღის არა უშუალოდ შოთას XIII საუკუნის დასაწყისის ორიგინალამდის, არამედ დაახლოებით XV საუკუნის კო-

პიომდის, რომ ზაზასეული ხელნაწერის სურათა შოთასი წარმოადგენს XV საუკუნის ამ სავარაუდებელი კოპიოს ახალ პირს.

ამ პორტრეტზე შოთა გამოსახულია დაახლ. 35 წლის ასაკში; როდესაც მას თავისი პოემა დამთავრებული ექნებოდა. აქ მას აქვს თავსაბურავზე ოქროს კალამი, რაც უნდა ამტკიცებდეს, რომ ის პოეტების მეფედ იყო გამოცხადებული. სპარსული კულტურის სხვადასხვა წამყვან სახელმწიფოებში XI—XII ს-ნებში (თურქ სელჯუქიანთა სახელმწიფოებში) იყვნენ „პოეტების მეფეები“, მაგ., „პოეტების მეფე“ მოიზნი სულთან სინჯარას (1119—1157) კარზე და სხვანი¹.

ცალკე აღსანიშნავია მამუკა თავაქარაშვილას მიერ გადაწერალ ხელნაწერში მოთავსებული შოთას სურათი. შოთა აქ წარმოგვიდგება დაახლოებით იმავე ასაკისა (მოკლე შავი წვერით), როგორც ციციშვილისეულ ხელნაწერში, ე. ი. იმ ასაკში, როდესაც მას უკვე დამთავრებული აქვს თავისი პოემა.

შოთა ამ სურათში წარმოდგენილია მოყვითალო მუქი ფერის წამოსასხამით. მას არა აქვს იერუსალიმისეული პორტრეტის წითელი წამოსასხამი. ეს უნდა ამტკიცებდეს, რომ პოემის დამთავრებისას შოთა ჯერ არ იყო რომელიმე მაღალ თანამდებობაზე (არც ვაზირად ან მის თანაშემწედ და არც ერისთავთ-ერისთავად, არამედ მხოლოდ საშუალო ხარისხის თანამდებობაზე. ასეთი კი მას უნდა ჰქონოდა, რადგანაც უამისოდ ის წამოსასხამის გარეშე იქნებოდა.

ეს სურათი რომ ძველი დროიდან მოდის, ამას ამტკიცებს შოთას სახელის მეგრული ფორმაც აშორთან. ვეფხისტყაოსნის ამ ხელნაწერის გამამუკა თავაქარაშვილი არის ზაქიანის გამლექსაიცი. ზაქიანში კი რუსთაველის სახელი იხსენიება ფორმით შოთა („შოთამ გალექსა ტარას და ავთანდილის ქებანი“ და სხვ.) ამით მტკიცდება, რომ სახელის აშორთანის ფორმა არ ეკუთვნის ხსენებულ მამუკას, არამედ ის მოდის უფრო ძველი დროის ხელნაწერიდან.

ქრ. კასტელის 1640-იან წლებში დახატული აქვს „იბერიასა და კოლხი-დაში“ განთქმული პოეტის სულხან ავთანდილასძის სურათი. ეს სურათი აშკარად გადმოღებულა უფრო ძველი მინიატურადან თავისი ჩარჩოთი. პორტრეტი ძლიერ ჰგავს შოთას ზემოთ დასახელებულ ზაზა ციციშვილისეულის ხელნაწერის პორტრეტს; მხოლოდ თავსაბურავზე ოქროს კალმის მაგივრად (ამაზე იხ. ზემოთ), რაც კასტელისთვის გაუგებარი იქნებოდა, ქული მოცემუ-

¹ სპარსეთში XIX ს-ნის პირველ ნახევარშიც შაჰის კარზე იყო მელიქ-უმ-შუარა — პოეტების მეფე.

ლია ჩვეულებრივი ჩატეხილი ფორმით. ამ სურათის მიხედვით გამოდის, რომ შოთას მეორადი (შერქმეული) სახელი უნდა ყოფილიყო სულხან, ხოლო მისი მამის სახელი კი იყო ავთანდილი.

ამ სურათს ლათინურად აქვს ასეთი წარწერა: Sulkan Autandilis filius, poetus celebris in regio Iberiae, Colchidae de sua pseudonominacione]. ფრჩხილებში ჩასმული არ იკითხება. თარგმანი: „სულხან, ძე ავთანდილისა, თავისი შეთქმული სახელით, განთქმული პოეტი იბერიის და კოლხიდის ქვეყნებში“. იბერია და კოლხიდად აქ აშკარად იგულისხმება ქართლ-ეგრისი.

XVII ს-ნის შუაში და უფრო გვიან ქართლში ცნობილია პოეტი სულხან თანიაშვილი, რომელმაც ლექსად დაწერა ამირან-დარეჯანიანის ნაწილი. არჩილი 1681 წ. ამ თანიაშვილის შესახებ წერს:

სულხან ვინ თანიაშვილი, მეც მასოვს, იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ სწამობდენ ჩემობას,
ამირან დარეჯანის ძეს უქებდა გამოჩენობას.

ამ სულხანის ძმა იყო ბეგთაბეგი, რომელმაც ძმის შემდეგ განაგრძო ამირან-დარეჯანიანის გალექსვა. ეს ბეგთაბეგი იყო ქართლის მეფის გიორგი XI-ის მდივან-მწიგნობარი და იხსენიება როგორც „შანშეან მარტიროზას შვილი“. ის სომეხი იყო, მან მიიღო თავადობა და მისგან იყო წარმოშობილი თავად ბეგთაბეგიშვილთა გვარი. ამის მიხედვით გამოდის, რომ სულხანის და ბეგთაბეგის გვარი იყო თანიაშვილი, მამის სახელა კიდევ შანშეან (შანშეს ძე ან შანშეს საოჯახო შტოს ჩამომავალი) მარტიროზი. არჩილის სიტყვებიდან საგულისხმებელია, რომ სულხან თანიაშვილი ცოცხალი იყო დაახლოებით 1663—1665 წლების ახლო დრომდე და შედარებით ადრე მომკვდარა.

გფიქრობ, რომ კასტელის ალბომის სურათში მოხსენებული სულხან ავთანდილის ძე და სულხან თანიაშვილი სხვადასხვა პირია. აღსანიშნავია, რომ ბეგთაბეგ მდივნის უფროს შვილს ავთანდილი ერქვა. ეს სახელი, მაშასადამე, მათ ოჯახში მიღებული ყოფილა. შეიძლება ისიც, რომ სულხანის და ბეგთაბეგის მამის მარტიროზის მეორე სახელიც ავთანდილი იყო. ამიტომ შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, რომ სულხან თანიაშვილს, როგორც პოეტს, თავისი თავი დაუხატვინებია შოთა რუსთაველის პოეზიაში და რომ ზოგი პოეტი ცდილობდა XVII ს-ნის პირველ ნახევარში ამ მხრივაც შოთა რუსთაველისათვის მიემაძა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს შემდეგი. სახელი სულხან შეიძლება ყოფილიყო შოთას სახელის თარგმანი, რაც შემდეგიდან ჩანს. სახელი შოთა, სრულად

აშოთან უდგება ლათინურ სახელს იუსტინეს, რომელიც თავის მხრივ წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან *justus* — სამართლიანი (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). სახელი სულხან კი თითქოს წარმომდგარია არაბული სიტყვიდან სულაჰა, მრავლ. ფორმა სიტყვიდან სალიჰ — სამართლიანები. შესაძლებელია ამიტომ, რომ შოთას ჰქონდა მაჰმადიანური სამყაროსთვის ფსევდონიმად მეორე სახელი, რომელიც არსებითად იმავეს ნიშნავდა, რასაც მისი მთავარი სახელი ლათინური ფორმის იუსტინე, ქართული სახელი შოთა, აშოთან და არაბული წარმოშობის სახელი სულხან.

მთელს ამ ამბავში რაღაც გაურკვეველობაა. თითქოს ხსენებული პორტრეტი შოთასი უნდა იყოს. მაგრამ რატომ აქვს მას წარწერა, რომ სახელი სულხან შერქმეული (და არა ნამდვილი) არისო. ნუ თუ სულხან არის შოთას ფსევდონიმი ანუ მეორე სახელი, რის მიჩემებას ცდილობდა „შანშეან მარტიროზის (ავთანდილის) შვილი“ თანიაშვილი. როგორც ვნახეთ, არჩილის სიტყვით, ეს თანიაშვილი საერთოდ მიმთვისებული იყო.

შოთას ხსენებული მაჰმადიანური ფსევდონიმის (სულხანის) დადგენას, უკეთუ ამის სინამდვილე მომავალში დადასტურდა, შეიძლება ექნეს მნიშვნელობა იმ ლექსების თუ ნაწარმოებთა გასარკვევად, რომელნიც მის მიერ დაწერილად საგულისხმებელია არაბულად და სპარსულად.

14. შოთას სახელი. თავისთავად პირთა სახელები ასახევენ საუკუნეების სიგრძეზე ამა თუ იმ ხალხის სხვა ხალხებთან ურთიერთობას და ურთიერთ გავლენას. ხოლო ამა თუ იმ პიროვნების ეროვნული რაობის გასარკვევად სახელებს არ აქვთ არავითარი მნიშვნელობა. ქართველებში უმეტესობა ატარებდა ებრაულ (იოსებ, ილია, თამარი და სხვ.), ძველ-ბერძნულ (ნიკოლოზ, პეტრე, აკაკი და სხვ.) რომაულ, არაბულ-სპარსულ და აწინდელ ხანაში რუსულ (ვლადიმერ, ვერა და სხვა) სახელებს, მაგრამ ამით, რასაკვირველია არ განისაზღვრებოდა ამა თუ იმ ქართველის ეროვნული რაობა. ცხადია, ასეა ყველა ხალხებშიც. ამიტომ სახელის შოთას გარკვევას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა.

იოანე ბერს (იგულისხმება იონა ხელაშვილი, ბევრი საღვთისმეტყველო განხრის წიგნის ავტორი XIX ს-ნის პირველ მესამედში) თავის წიგნში „მემხოლოე სულიერი“, რომელიც ზაქ. ჭიჭინაძეს უნახავს 1880-იან წლებში, ჰქონია ცნობა იმის შესახებ, რომ შოთას სრული სახელი იყო აშოთან, რომ სახელი შოთა არის აშოთანის კნინობითი ფორმა¹.

¹ „დროება“, 1885, № 73 (13 აგვ.), წერილი სათაურით: „აშოთან თუ შოთა, „თეატრი“ 1886, № 47—50. იონა ხელაშვილის ეს შრომა ახლა არ ჩანს, ის თითქოს დაკარგულია.

ამგვარად სახელი შოთა არის შემოკლებული ფორმა სახელსა აშოთან. სახელი აშოთან კიდევ წარმომდგარია ფაქლაურ-სპარსულ იაზდან — yazdan-იდან (მრ. რიცხ.), რომელნიც შეადგენდნენ ზორაასტრის ცეცხლთაყვანისმცემლურ სარწმუნოებაში დაახლოებით იმას, რაც ქრისტიანულ სარწმუნოებაში იყვნენ ანგელოზები. იაზდან იყო მრავლობითი რიცხვი იმ სიტყვისა, რომელიც ავესტაში წარმოდგენილი იყო ფორმით yazata — კერპი.

სახელიდან იაზატა არის წარმომდგარი ძველი მიდიური სახელა ისტუვეგიუ, იგივე ასტიაგ, მიდიის უკანასკნელი მეფის სახელი (ეს ასტიაგი, პეროდოტეს მიხედვით, იყო სპარსეთის მეფის კიროსის პაპა დედის მხრივ). სახელის ასტიაგის სომხური ფორმა იყო აყდაპაკ, მოხსენებული მოსე ხორენელას მიერ. ორსავე შემთხვევაში დაბოლოება აგ და აკ არის კნინობითის მაჩვენებელი.

ამგვარად, ზემოთ თქმულის მიხედვით, სახელი აშოთან არას ქართული თავისი ფორმით. იგივე სახელი, წარმოებული აშოთანის მსგავსად ძველ-სპარსულ იაზდან-ისაგან, სომხურად კნინობითი დაბოლოებით გამოითქმოდა როგორც აყდაპაკ.

ძველ ქართულში სპარსულის ზეგავლენით იხმარებოდა კიდევ იმავე სახელის სხვა ფორმა ზადენ. კერპი ზადენ „აღმართა“ მეფე ფარნაჯობმა (244—232 წწ. ახლოს ჩვ. ე-მდე) „მთასა ზედა“ (ივლისხმება ზედაზენის მთა). იაზად, იაზდან ძველს სპარსულში ნიშნავდა კეთილ საწყისსაც. ცხადია, რომ სახელები აშოთან და ზადენ ერთი და იგივეა და მოდის ძველ სპარსულ იაზდანიდან. ცხადია ისიც, რომ ამ ორი სახელიდან აშოთან არის ნამდვილი ქართული ხალხური ფორმა. სახელის შოთას შესახებ თეიმურაზ ბატონიშვილი (აშკარად გადმოცემათა მიხედვით) წერდა: „პირველი შესანიშნავი არმაზისა იყო სანთელნი. შესწირავდნენ პურთა ფრიად განმტკიცულთა, შოთებად გამომომცხვართა — გრძლად წარზიდულთა ზრქელთა პურთა. შოთთა თვით კერპისა მის არმაზისა იყო სახელივე, ვინადგან არმაზ ღმერთსა უწოდებდეს ორმუზად. შოთთას შესწირვიდნენ თაფლთა, ხილთა და სხვათა და ღვინოთაცა უმეტესად ტკბილთა“¹.

დაახლოებით ესევე ცნობა აქვს ა. ნატროშვილს, მაგრამ ზოგიერთი სხვა დეტალებით. ის წერს: „არმაზის და ზადენის კერპებს სწირავდნენ სპეციალურად გამომცხვარ პურებს სახელწოდებით შოთი. ეს პური ახლაც იხმარება ქართველებს შორის უმეტესად კახეთსა, ქიზიყსა და თბილისში. ღვთაება

¹ ისტორია დაწყებითან იერიისა, სპბ, 1843, გვ. 192.

არმაზი ქართულად იწოდებოდა შოთთან, რაც ნიშნავდა შემნახველს, საჭმელის მიმცემს. კერპებს კიდევ სწირავდნენ წმიდა სურნელოვან თეთრ თაფლს, სხვადასხვა ხილს — ზაფხულში ახალ ხილს და ზამთარში გამხმარს, ღვინოს, ყვავილებს კერპების და სამსხვერპლოთა კვარცხლბეკის შესამკობად, რძეს ჩვეულებრივს და დამაწვანებულს, ერბოს, ყველს და სხვ. ყველაფერ ამ შეწირულებას დასდებდნენ კერპის წინაშე ქურუმის მიერ ლოცვების და კურთხევის წაკითხვით. ეს შეწირულება იყოფოდა სამ ნაწილად: ერთი ნაწილი მიდიოდა ქურუმების სასარგებლოდ, მეორე — ღარიბ მლოცველთათვის, მესამე კი ეძლეოდა ავადმყოფთ და პატიმართ. ძვირფასეულობა და ოქრო-ვერცხლი რჩებოდა სამლოცველოს სასარგებლოდ¹.

სახელის ფორმა შოთთან (ორი თანით) ამტკიცებს, რომ ა. ნატროშვილს ეს ცნობა აღებული აქვს თეიმურაზისგან, დეტალები კი მოცემული აქვს უცნობი წყაროდან (შეიძლება ზოგი რამ ზეპირგადმოცემით დარჩენილისგან). რადგანაც სახელი შოთას სრული ფორმა არის აშოთთან, ექვს გარეშეა, რომ ეს სახელი უკავშირდება სახელს იაზდან. ამიტომ აშოთან კერპი ზადენის სახელის ქართული ხალხური ფორმა უნდა იყოს (იაზდან-აშოთან). საბა ორბელიანი თავისს ლექსიკონში აღნიშნავს — შოთი ნიშნავს „მოგრძე და მოსქე“-სო, შუშაც არისო „ილეკრო შოთად შექნილი“. ამით ცხადი ხდება სიტყვის შოთის მნიშვნელობა. შოთი ნიშნავს გრძელს და მოსქო პურს და თავდაპირველად ასეთ პურს აცხობდნენ სპეციალურად კერპისათვის შოთა, რომელიც არის სახელის აშოთანის შემოკლებული ფორმა. ამიტომ თეიმურაზის ზემოთ მოტანილი ცნობა, რომ თითქოს შოთა ყოფილიყოს თვით კერპის არმაზის (უფრო ზადენის) სახელი, იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ შოთა ისე, როგორც მისი არაქული ქართული ფორმა აშოთთან, წარმომდგარი უნდა იყოს სახელისგან იაზდან.

სახელის იაზტას საერთო ძირისაა ლათინური justus — სამართლიანი და ამის მიხედვით მამაკაცის სახელი იუსტინ-უს (იუსტინე). ეს სახელი შეესატყვისება ქართულ-სომხურ ფორმას აშოტს, როგორც ეს მტკიცდება თავისთავად ფუძეების შედარებით და კონკრეტულად კიდევ ქსნის ერისთავთა ძეგლის მიხედვით, სადაც აშოტი (კურაპალატი) არეულია იმავე სახელის მქონე იმპერატორ იუსტინიანთან.

ძველ სპერში (რომელიც ქართული ქვეყანა იყო და მოიცავდა ქოროხის ხეობას) ქართველ ბაგრატოვანთა შორის სახელი იაზდა იხმარებოდა ფორმით

¹ А. Натроев, Мцхет и его собор Свети-цховелии, Тбилиси, 1900 წ., გვ. 76—77.

აშოტ. პ. ინგოროყვა ამტიცებდა (გიორგი მერჩულე, თბ., 1954 წ., გვ. 95—97), რომ აშოტი არის სპერში წარმომდგარი ქართული სახელი. ბაგრატიონთა სამფლობელო ქართულ სპერთან ერთად დიდხანს (II ს. ჩვ. ე-მდის — V ს-ნის პირველი მესამედი) იმყოფებოდა სომხეთის ძველი სამეფოს ფარგლებში. ამიტომ ეს სახელი აშოტი გადავიდა სომხეთში და მათში ფეხი მოიკიდა საკმაოდ მძლავრად.

რომ სახელები აშოთან და აშოტ პარალელური ფორმებია, ეს ჩანს შემდეგიდანაც. V—X ს-ნის ბაგრატიონთა შორის (როგორც ქართულ, ისე სომხურ შტოში) გავრცელებული სახელი იყო აშოტ. XVI—XVII ს-ნებში ქართლის ბაგრატიონთა ერთ (ეგრეთწოდებულ მუხრან-ბატონთა) შტოში მიღებული სახელი იყო აშოთან (მაგ., კახეთის მეფის დავითის ცოლი ცნობილი ქეთევან დედოფალი აშოთან მუხრან-ბატონის ასული იყო).

ვეფხისტყაოსნის 1646 წლის ხელნაწერს დართული აქვს შოთას სურათი მთელი კომპოზიციით: შოთა უკანახებს პოენის ტექსტს ნწიგნობარს; ზემოთ კი მოთავსებული უნდა იყოს მთავარი ლევეან დადიანი თავისი ორი კარისკაცით; კომპოზიციას აქვს წარწერა: (აქა ა)შოთან რუსთველი ამ წიგნსა სწერს¹.

ქოროხის ხეობის სპერიდან სახელი აშოტი, როგორც ჩანს, ძველადვე მეგრულში გადასულა და იქ მიუღია ახალი ფორმა, მეგრულისთვის დამახასიათებელ ნართაული რ-თი — აშორდი, როგორც მაგ., ჭირქა — ჭიქა, არკვანი — აკვანი და სხვ. ასეთი სახელი მეგრულში უკანასკნელ საუკუნეში უკვე აღარაა (თუმცა არის სახელი აშოთია). მაგრამ ძველად ამ სახელის მეგრულში არსებობის დამამტკიცებელია აზნაურული გვარი აშორდია (ე. ი. იგივე შოთაძე²). ცხადია, სახელი აშოთანი ხსენებულ წარწერაში მოცემულია მეგრული ფორმით აშორთან.

ამგვარად შოთას ჰქონია თავისი მთავარი სახელის (შოთას) გარდა კიდევ მეგრული გაზრთქენის სახელი აშორთან (აშოთან). მგონი, ეს გარემოება უნ-

¹ მე მომივიდა შეცდომა 1646 წლის ამ ხელნაწერში მოთავსებული შოთას პორტრეტის მონაწერის წაკითხვაში, რომელიც მოცემული იყო ვეფხისტყაოსნის ჩემს 1927 წლის გამოცემაში (ეს ხელნაწერი 1921—1945 წლებში საზღვარგარეთ იყო გატანილი, სახელდობრ, იქ დაბეჭდილია: (აქა) აშოთან (უნდა—აშორთან) რუსთველი ამ წიგნსა სწერს.

1646 წლის ხელნაწერის ყველა ფოტოსურათები დაცული იყო კავკასიის ისტ.-არქეოლ. ინსტიტუტის ფოტოთეკაში. ამ ფოტოთეკის ფოტოსურათებიდან გადმოღებული იყო პოემის ჩემს 1927 წლის გამოცემაში მოთავსებული შოთას პორტრეტი. წაკითხვა (ა)შოთან კლიშედან გადმოდებულ ანაბეჭდში ახლაც აშკარად იკითხება. ასეთივე წაკითხვა ცხადად ჩანს ვეფხისტყაოსნის 1927 წლის ჩემი გამოცემის ბეკრი ცალის ანაბეჭდში.

² შუალ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 98.

და უჩვენებდეს, რომ შოთას, რომელიც მამით მესხი იყო, დედა ჰყოლია მეგრელი. ამ მოსაზრებას ამგვარებს ვადმოცემა, რომ შოთას დაქვრივებული დედა მეორეჯერ გათხოვდა ეკლესიების გასაშენებელი სამუშაოებისათვის სამცხეში თუ საერთოდ აღმ. საქართველოში მოწვეულ ტრაპიზონელ ხუროთმოძღვარზე. ტრაპიზონელ ხუროთმოძღვარს ეკოდინებოდა ადგილობრავე ლაზური კილო (ეულტურული ურთიერთობის ენად ტრაპიზონში მიჩნეული იყო ბერძნული), ანდა თვითონაც ის ლაზი იქნებოდა. სალაპარაკო კილოს მხრივ კი მეგრელი ქალი და ლაზი საუცხოოდ შეეთვისებოდნენ ერთმანეთს.

საყურადღებოა შემდეგი ცნობა. 1966 წლის ივლისში კელასურში მცხოვრებმა პედაგოგმა დავით კვაბაძემ ვადმოცემა, რომ როდესაც ის 1953—1955 წლებში მასწავლებლად მუშაობდა სამცხეში რუსთავიდან ოთხიოდე კმ-ზე სოფელ ჭობარეთში, აქ მას გვირგვინებში გაუგონია ვადმოცემა, რომ შოთა რუსთაველის დედა მეგრელი ქალი იყო.

ტრაპიზონში ცხოვრების დროს შოთა ასე თუ ისე გაეცნობოდა მეგრულ-ლაზურ კილოსაც. თითქოს ამას გულისხმობდა არჩილ მეფე, რომელიც რუსთაველის მიმართ ასე ალაპარაკებს თეიმურაზ I-ს (II, 108): „რაც ენაა, ყველა გითქვამს, სომხური და მეგრულიც“. პირწმინდა მეგრული ფორმები ვეფხისტყაოსანში თითქოს არ აღინიშნება, მაგრამ ხომ არ გულისხმობდა არჩილ მეფე, მაგ., პოემაში წარმოდგენილ სახელს ტარიელს, რაც მეგრულში მარტივად გვირს ნიშნავს.

სომხური ელემენტები კი ვეფხისტყაოსანში საესებით არ ჩანს. ნ. მარი სომხურ სიტყვად თვლიდა ვეფხისტყაოსანში სამჯერ ხმარებულ სიტყვას ტერება („ეტერენით თავთა თქვენთა“, „ღმერთიმცა მას ეტერების“, „სხვაებრ ვქნათ თავის ტერება“)¹. მაგრამ ეს არაა სწორი, რადგანაც აქ გამოყენებულია არა სომხური ტერ (ბატონი), არამედ პირდაპირ ბერძნული სიტყვა, Τυξέω, ტერეო — მოვლა. არჩილიც ამ სიტყვამ შეიყვანა შეცდომაში.

როგორც მოხსენებული იყო, სახელ აშოთანის დერეფტებიდან მხოლოდ ფორმა აშოტ გადავიდა ქართველებიდან სომხეთში².

¹ Древнегруз. одописцы 1902 წ., გვ. 72, შენ.

² ა. დანდუროვი თავის მონოგრაფიაში ვეფხისტყაოსანის შესახებ (მოსკოვი, 1937 წ.) სწერდა, რომ შოთა იყო მესხი, ე. ი. წარმოშობით ქართველი, მაგრამ ატარებდა სომხურ სახელს აშოტსო, თუმცა, მისი აზრით, ეს არაფერს ნიშნავს, რადგანაც ის იყო მესხი, ხოლო მესხები თავიდანვე შეადგენდნენ ქართველ ტომსო. ჩრდ. ასურასტანიდან წამოსვლის შემდეგ (ჩრდ. ასურასტანიდან, ავტორის აზრით, დაიძრნენ ქართველი ტომები აქაეკსიისაკენ) მესხები დაბინადრდნენ იმ მხარეში, რომელსაც მათგან დაერქვა სახელად სომხეთიო (ივულისხმება ქართლის სომხი-

რაც შეეხება ფორმას აშოთანს, ის იხმარებოდა მხოლოდ ქართველებში და სომხეთში ის სავსებით უცნობი იყო. აშოთანის შემოკლებული ფორმა შოთა XII ს-ნეში გადასული იყო ქართველებიდან სომხეთშიც (ამ საუკუნეში აკაკეასის სომხური პროვინციები ნაწილობრივ და ხან მთლიანად საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა). XIII ს-ნის პირველ მეოთხედში, მასადაამე რუსთაველის დროს, ეს ქართული სახელი იხსენიება სომხეთის სომხურ წარწერებში ფორმით შავთა, შოთა¹. მაგრამ შემდგომში ამ სახელმა სომხებში ფეხი ვერ მოიკიდა, რაც უნდა აიხსნებოდეს XV ს-ნიდან ქართული გავლენის შესუსტებით სომხეთზე და სომხებზე².

მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი რუსთაველის სახელს იხსენიებს ფორმით შოთამი. ეს უნდა იყოს ამ სახელის ქართული ხალხური ფორმა.

15. შოთა რუსთაველი ოდიშის მიმართ. არის გადმოცემა, რომ შოთა დამეგობრებული ყოფილა ოდიშის მმართველ ცოტნე დადიანთან. შოთას მასთან ერთად ულოცავს მარტვილის მონასტერში, ისინი საკმაოდ ხშირად დადიოდნენ ერთად სანადიროდ, ერთი სიტყვით, გადმოცემა ადასტურებს, რომ შოთა დადიოდა სტუმრად ოდიშში³. გადმოცემის სისწორის შესაჯერებლად საჭიროა გაირკვეს ამ ცოტნე დადიანის ვინაობა.

XIII ს-ნის და მის ახლოს წინ და უკან მყოფ ოდიშის ერისთავთა ვინაობა შეიძლება მიახლოებით დადგენილ იქნას შემდეგნაირად.

1) თამარ მეფის დროს 1185 წელს ოდიშის ერისთავად იყო ბედიანი, ხოლო

თი). ამ ამოჩრავების დროს მესხები შუალედში გაჩერებული იყვნენ (დად) სომხეთშიც და აქედან შეიძლება ქართველებში შემორჩენილიყო სომხური სახელი ამოტიო (გვ. 55—60).

ეს მოსაზრებანი გაუგებრობაზეა აგებული. რასაკვირველია, ამა თუ იმ სახელს გარკვეული პირის ეროვნულობისათვის, ვიპოვებთ, არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, მაგრამ სახელი ამოტ არაა სომხური წარმოშობის, არამედ წარმოებულია აშოთან-ისაგან, რომელიც არის სპარსული იაზდანის ქართული ფორმა. ამასანავე მთელი თხრობა ქართველების (მესხების) ამოძრავების შესახებ ჩრდ. ასურეთიდან ქართლის სომხითისკენ ა. ჯანდუროვის მიერ არის მოგონილი, რადგანაც არავითარი საამისო მასალა არ არსებობს.

¹ კ. კონსტანტინე, ვიშაქან ტარეგორ, წარწერები 1213 წლის და 1214—1220 წლების ახლოს.

² ანალოგიურად სახელა ბაგრატი მოღის ბერძნულ ჰიპოკრატესაგან. ეს ბერძნული სახელი შემოვიდა სპერას ბაგრატიონთა გვარში ამ გვარის ერთ-ერთი წარჩინებული პირის სახელის მიხედვით. სპერის ბაგრატიონთა მიხედვით სახელი ბაგრატი გადავიდა სომხებში და იქიდან სპარსელებში, თუმცა სპარსელები მას თოქმის არ ხმარობდნენ. ძველ სპარსულ ჰიკაიეთებში (მცირე მითხრობებში) ბაგრატი იხმარება ბერძნული ჰიპოკრატის შესატყვისად.

³ გადმოცემა ჩაწერილა გეგეკეორის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორის გივი ელიავას მიერ თავისი მამისგან ვლად. მოსესძე ელიავასგან (1884 წ. ახლ.—1964 წ.) და მელექსე აზნ. ბესარიონ ჩიქვანისაგან (1883 წ. ახლ.—1959 წ.).

მსახურთ-უხუცესად კი ამ დროს დაინიშნა ვარდან დადიანი, რომელმაც ამ თანამდებობაზე შესცვალა თავისი მოხუცებული მამა (მისი სახელი არ იხენიება). გიორგის სახლით მოწყობილ აჯანყებაში ვარდან დადიანიცაა, რომელსაც (თითქოს როგორც ამირსპასალარის ერთერთ თანაშემწეს), სამხედრო თვალსაზრისით ემორჩილებოდა მთელი ლიხთ-იმიერია ქვეყანა. ამ აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ ვარდან დადიანმა დაკარგა მსახურთუხუცესობა, რომელიც მიეცა ივანე მხარგრძელს. ალბათ ამ დროს თავის ადგილს დაკარგავდა ოდიშის ერისთავი ბედიანიც (ლიხთ-იმიერნი აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ).

გიორგი რუსის აჯანყებაში მონაწილედ დადიანები მრავლობით რიცხვში იხსენიებიან. მაშასადამე, დადიანები ცალკე გვარს წარმოადგენდნენ. ბოლო დრომდის დადიანები გლეხებიც იყვნენ, რაც უეჭველ ჰყოფს, რომ თავდაპირველად დადიანის სახელწოდებით ცალკე გვარი აღინიშნებოდა.

2. დიდის ქებით იხსენიებს აგრეთვე მემატიანე ბედან (თუ შედან) დადიანს, ჯუანშერის ძეს, როგორც ოდიშის მმართველს 1250-იან წლებისათვის.

3. მარტვილის მონასტრის ლეთისმშობლის ხატის წარწერებში მოხსენებული ყოფილა უღუღელა შვილებით ზვიადით და გიორგით და აგრეთვე მეორე წარწერაში მეორედ მამკობელი იმავე ხატისა მანდატურთუხუცესი ბედანი დადიანი, ცოლი მისი ქართლის ერისთავის ასული ხვაშაქი შვილებით გიორგით და ივანეთი.

ხოფის მონასტრის მაცხოვრის ხატზე ესევე პირნი მოხსენებულნი არიან შემდეგნაირად: ზვიადის ღედა თეონილა, ამის შემდეგ ზვიადის ცოლად საგულისხმებელი, უკვე გარდაცვლილი ნათელა, ძენი მათნი ვარდან დადიანი, მანდატურთუხუცესი ბედან დადიანი და ცოლი ამისი, ქართლის ერისთავის ბეგას ასული ხვაშაქი, ძენი მათნი ერაშაპრი (ალბათ ვარდანის შვილი), გიორგი და ივანე ბედანის შვილნი¹.

4) მარტვილის მონასტრის საკუონდილო ჯვარის წარწერაში იხსენიება დადიანი გიორგი. ხელის მიხედვით წარწერა ეკუთვნის XII ს-ნის დასასრულს და ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს XIII ს-ნის დასაწყისისა.

5) არის იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპებში „ერისთავთა ერისთავის შერგილ (I) დადიანის ალაპის შესახებ ჩანაწერა 7 დეკემბრისათვის (§ 102). ხელის მიხედვით ეს ჩანაწერი მიეკუთვნება XIII ს-ნის პირველი ნახევრის ახლო ხანას.

¹ „ძველი საქართველო“ III, 49, 139 (ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში).

იერუსალიმის ჯვარის მონასტრას ალაპების წიგნში იმავე გვარის მოხსენებული არიან კიდევ შემდეგი პირნი.

6) ცოტნე და ნათელა (მათი ალაპი იქვე დანიშნული იყო ლაზარობის შაბათს (ე.ი. ბზობის კვირის წინაღღეს). ეს ჩანაწერი ტიშენდორფისეულ სიაშია (§ 25).

7) ნათელ(ა)დადიანი (ალაპები § 164); ამისი ალაპი გაუწესებია იოანე მთავარეპისკოპოსს მის მიერ შეტანილი ათასი თეთრით. ჩანაწერი ხელას მიხედვით მიეკუთვნება რუსთაველის ხანას. ნათელა აქ იწოდება დადანად, ის გამოდის დადიანების გვარის უფროსად. ამიტომ შეიძლება ის იყოს ზემოთდასახელებული ცოტნეს ცოლი და ქმრის სიკვდილის შემდეგ საერისთავოს მმართველად ალბათ შვილის მცირეწლოვანობის გამო.

8) 12 ივნისისათვის იქვე დაწესებული ყოფილა „მანდატურთუხუცესის და ერისთავთ-ერისთავის ცოტნე დადიანის“ ალაპი (§ 247). ხელის მიხედვით ალაპი თითქოს XIII ს-ნეს უნდა მიეკუთვნოდეს. ეს უნდა იყოს კოხტის-თავის შეთქმულებაში მონაწილე ცოტნე დადიანი, რომელიც საქართველოს სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ 1260 წლის ახლოს ლიხთ-იმერეთის სამეფოს მანდატურთუხუცესად გამოუცხადებიათ. ეს ალაპი გაუწესებია გურიელის ასულს მარიამ-ყოფილს მაკრინეს, რომელიც ცოტნეს ცოლად არის საგულისხმებელი.


9) ზოფის მონასტრის ფრესკებს შორის წარმოდგენილი არიან: ამშენებელი ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი (წარწერა და შეიძლება სურათიც შემდეგში განახლებული არიან), ცალკე კიდევ ერისთავთ-ერისთავი შერგირ დადიანი, დიოფალთ-დიოფალი ნათელა (ცოლი მისი) და მცირეწლოვანი ძე მათი ცოტნე.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის საალაპო წიგნში შერგირ დადიანის და მისი მეუღლის ნათელას ალაპი მოხსენიებულია 27 იანვარს (§ 186). ალაპის ჩანაწერი ხელის მიხედვით XIV ს-ნეს ეკუთვნის. მაშასადამე, ზოფის მონასტრის ფრესკაში მოხსენებული შერგირ დადიანი ცოლით ნათელათი და მცირეწლოვანი შვილით ცოტნეთი XIV ს-ნის პირები არიან.

10) XIV და XV ს-ნის ოდიშის ერისთავების შესახებ გვაქვს ბატონიშვილ ვახუშტის მიერ შემონახული შემდეგი ქრონიკული დეფექტური ცნობები: გიორგი დადიანი, გარდაიცვ. 1323 წ., მამია — გარდაიცვ. 1345 წ., ამის შემდეგ გიორგი — გარდაიცვალა 1384 წ., ვამეყ — გარდაიცვალა 1396 წ., მამია — გარდაიცვ. 1414 წ. ამთგან ვამეყი აღნიშნულია შეცდომით როგორც მისი წინამორბედ გიორგის ძმა (უნდა იყოს მამა), დანარჩენები კი თანმიმდევრობით მამაშვილი უნდა იყვნენ.

ხსენებული მასალების საფუძველზე შეიძლება შედგენილ იქნას XIII—XIX ს-ნეთა დადიანების პირობითი გენეალოგია შემდეგნაირად (საორიენტიროდ ნაჩვენებია დაბადების და მართველობის საფარაუდებელი წელიწადები).

ცოტნე, დაიბ. 1155 წლ. ახლ., ერისთავად იყო 1190 — 1205 წწ. ახლ.
 ცოლი მისი ნათელა ასრულებდა ერისთავის მოვალეობას (ალბათ
 შვილების მცირეწლოვანობის გამო) 1205 — 1215 წწ. ახლ.



ამ გენეალოგიური სქემის მიხედვით გამოდის, რომ თამარ მეფის დროს 1190-იან წლებში და 1200-იანი წლების დასაწყისში ოდიშის სათავეში იდგა ცოტნე დადიანი, რომელიც მოხსენიებულია შოთა რუსთაველის შესახებ ზემოთ (გვ. 100) მოტანილ ვადმოცემაში.

ამგვარად დასტურდება, რომ შოთა რუსთაველს კავშირი ჰქონდა ოდიშთან, სადაც მას ჰყოლია გავლენიანი მეგობრები.

16. მაღალი განათლებისა და აღზრდის საქმე ფეოდალურ საქართველოში. ააშუალო საუკუნეებში წინა-აზიაში უმაღლესი ფენებისათვის არსებულ სასწავლებელთა ხასიათის შესახებ შეიძლება გავითვალისწინოთ პორტუგალელ ანტონიო დე-გოვეას ცნობა მის მიერ 1611 წელს პორტუგალურ ენაზე სპარსეთ-ოსმალეთის ომების შესახებ დაბეჭდილი წიგნში (ეს დე-გოვეა, ინდოეთიდან შაჰ-აბაზის კარზე ელჩად ჩასული, დიდხანს ცხოვრობდა სპარსეთში). რს. ბეჟ. გიორგაძის ცნობით, ვადმოგვემს, რომ შაჰ-აბაზის პარამხანა (ასე იწოდებოდა ქალების ნაკრძალი განყოფილება) სრულებით არაა წარმოსადგენი მხოლოდ შიგ ჩაკეტილი ქალებით, რომელთაც საჭურისები იცავენ. პარამხანის ნაწილში იზრდებიან ყველა იმ ქვეყნების წარმომადგენელი ქალები და ვაჟები, რომელნიც შაჰის ხელქვეით არიანო. იქ არიან ქალ-ვაჟები წარჩინებულ ოჯახებიდან, ბატონიშვილები და სხვანი, რომელნიც დებულობენ უმაღლეს განათლებას ყველა დარგში და შემდეგ უბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებსო. ქალები სწავლობენ კრა-კერვას, ქარგვას, მუსიკას, ლიტერატურას, მათემატიკას, ვაჟები ლიტერატურის და მათემატიკის გარდა პოლიტიკას და სამხედრო საქმეს.

იტალიელმა პიეტრო დელა-ვალემ შაჰის პარამხანიდან გამოიყვანა რქ აღსაზრდელად მყოფი მეგრელი ქალი და შეირთო ცოლად.

შარდენი 1673 წ. აღნიშნავს, რომ შაჰის კარზე არიან ეგრეთწოდებულნი ლულამი-შაჰ-ნი, ე. ი. შაჰის ყმები, რომელნიც არიან წარჩინებულ პირთა შვილნიო. ამათ მშობლები აგზავნიან შაჰის კარზე სულ მცირე ასაკში, ზოგნი ხუთი წლისასაც კი. შაჰი ამ ბავშვებს აძლევდა ჯამაგირს, ულუფის გარდა, ფულად 20 თუმანს წელიწადში (ულუფის ღირებულება შეადგენდა 11 თუმანს), ე. ი. მაშინდელი ღირებულებით ორივე უდრიდა 1400 ფრანგულ ფრანკს. ჯამაგირს მათ თანდათან უმატებდნენ. ისინი ითვლებოდნენ შაჰის დიდად ერთგულ პირებად. მათ ანდობდნენ მნიშვნელოვან დავალებათ და ნიშნავდნენ თანამდებობებზედაც.

ამ დღულამი-შაჰების სრულ შესატყვისობას XI—XIII ს-ნეში საქართველოში შეადგენდნენ ეგრეთწოდებულნი დარბაზის-ყმანი, რომელნიც აზნაურებზე მალა იდგნენ და დიდებულებზე დაბლა.

ოსმალეთში, სტამბოლში, XVII ს-ნეში, სერაის (სულთანის სასახლეს) ყველა თავისი შენობებით ეკავა ფართობი ირგვლივ $4\frac{1}{2}$ კმ. სერაიში იყო დივანის (უმადლესი სამმართველოს), პარამხანის და სხვა დაწესებათა ან დამხმარე სასამსახუროთა გარდა, სასწავლებლები იჩ-ოლლანებისათვის, ე. ი. სიტყვა-სიტყვით შინაყმებისათვის. მათ ზრდიდნენ სერაიში (სერალში)ხუთი-ექვსი წლის ასაკიდან. პირველ წყებაში იყო 400 შინაყმა, რომელთაც ჰქონდათ დანიშნული ჯამაგირიც. სპეციალური მასწავლებლები ასწავლიდნენ მათ ყოფაქცევას, წერა-კითხვას, რელიგიის წესებს და სხვ. ასეთი სწავლების ექვსი წლის შემდეგ ისინი გადაჰყვდნენ მეორე წყებაში, სადაც სწავლა გრძელდებოდა 4 წელი. საგნების გარდა განსაკუთრებით ასწავლიდნენ ოსმალურ, არაბულ და სპარსულ ენებს, მშვილდ-ისრის ხმარებას, ცხენოსნობას და საერთოდ სამხედრო საქმეს. მესამე წყებაშიაც სწავლა გრძელდებოდა აგრეთვე ოთხი წელიწადი, მაგრამ აქ წინანდელი 400 შინაყმიდან იყო მხოლოდ 200 შინაყმა. მეოთხე წყება კი შედგებოდა მხოლოდ 40 პირისაგან, მათ ჯამაგირიც მეტი ჰქონდათ. ამ მეოთხე წყება-დამთავრებული პირნი ინიშნებოდნენ საუკეთესო და მალა თანამდებობებზე. ოსმალეთის სულთანის შინაყმათა შესახებ ეს ცნობები ეხება XVII ს-ნეს და XVIII ს-ნის პირველ ნახევარს, მაგრამ ამის მიხედვითაც ცხადია, თუ რას წარმოადგენდნენ უფრო ადრინდელი დროის ქართველი დარბაზის-ყმები.

საქართველოშიც XII ს-ნეში სწავლა-აღზრდის პირობები დაახლოებით (და ზოგადად, რასაკვირველია) მიაგავდა წინა-აზიის ხსენებულ ორ დიდ სახელმწიფოში შემდგომი საუკუნეებისათვის დადასტურებულ წესებს სწავლა-აღზრდისას. მხედველობაში მისაღებია ამასთანავე, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანა იყო და ამიტომ თუ ოსმალეთში სერალის სასწავლებელში აღსაზრდელ შინაყმებისათვის ყოველდღიურ მეთვალყურეებად მიჩენილი იყვნენ საქუთრისები, ჩვენში მათ მაგივრად იქნებოდნენ ბერ-მონაზვნები. ტარიელის აღზრდას, ვეფხისტყაოსნის მიხედვით, იწყებენ ხუთი წლიდან, ხოლო თხუთმეტი წლისას მას უკვე გავლილი აქვს აღზრდის მთავარი ნაწილი. ეს ათი წელიწადი უდგება ოსმალეთის სერალში შემდგომში იჩ-ოლლანების აღზრდის ორ საფეხურს (6+4 წელი). დასრულებულ („საღვთო-საკაცობო“) ასაკად ითვლებოდა 23 წელი (ეს ჩანს მესხური დავითნის ქრონიკის ცნობიდან ათაბაგის შვილის მხეჰაბუკის მიმართ, რომელიც გარდაიცვალა 1572 წლის ახლოს; ამ

მზეკაბუქს წელიწადზე მეტი, ე. ი. 21¹/₂ წლისას უკვე ცოლი ჰყავდა შერთუ-
ლი). 15-დან 23 წლამდის არის მ წელი, ე. ი. ოსმალური შემდეგდროინდელი
წესის მიხედვით სწავლების კიდევ უკანასკნელი ორი საფეხურისთვის განკუთვ-
ნილი დრო.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ გავიხსენოთ, რომ თამარმა თა-
ვის გამეფების წელსვე, როდესაც ამირსპასალარად დანიშნა (ალადგინა) სარ-
გის მხარგრძელი, „წყალობა ჰყო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა და
ითაყვანა დარბაზის-ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე“ (თამარის პირველი
მატიანე). თამარ მეფის პირველი დაქორწინების შემდეგ (მაშასადამე, 1186
წელს) ღვინის ქვეყნის დასალაშქრებლად, თამარისავე პირველი მეძატიანის სი-
ტყვით, „წარვიდეს მხარგრძელის ძენი, სარგისისა და ვარამისნი, მოყმენი
კეთილნი და გამოცდილნი ლაშქრობათა შინა, უხუცესი ზაქარია და ზაქარია
დალოცილნი, ივანე და სარგის დაულოცავნი“. აქ იგულისხმებიან სარგის
მხარგრძელის ძენი—ზაქარია უკვე დალოცილი და ივანე ჯერ დაულოცავი და
ასევე ვარამ მხარგრძელისანი ზაქარია (მომავალი გაგელი) უკვე დალოცილი
და სარგის (მომავალი თმოგველი) ჯერ დაულოცავი. რადგანაც ეს პირნი უკვე
ლაშქარს წინამძღოლობენ, ამიტომ დალოცილნი იგულისხმებიან 23 წელს
გადაცილებულად, ხოლო დაულოცავნი კი 19—23 წლის ასაკში მყოფნი. ცხადი
ხდება, რომ ზაქარია მხარგრძელი 1185 წელს 23 წლის იყო და ამიტომ ის „და-
ლოცეს“. ხოლო ძმა მისი ივანე იმავე 1185 წელს „ითაყვანეს დარბაზის ყმად“,
როგორც 19 წლის ასაკში მყოფი.

ყოველივე ამის მიხედვით დასტურდება, რომ საქართველოს მეფის კარზე
და სახელმწიფო ხარჯზე ზოგადად იყო ისეთივე ტიპის სასწავლებლები, რო-
გორც შემდგომი ხანისთვის დადასტურებულია ოსმალეთ-სპარსეთში. პირვე-
ლი ორი საფეხურის აღსაზრდელ ვაჟებს, სასახლო სიგელების მიხედვით, ეწო-
დებოდა უომარი ვაჟები, ხოლო გოგოებს შესაძლებელია სეფე ქალი. 19 წლის
ასაკში ეს ვაჟები, მეფისთვის (ან პატრონისთვის) საზეიმოდ თაყვანისცემის წე-
სის შემდეგ ხდებოდნენ დარბაზის-ყმებად. 23 წლის ასაკში ვაჟები ათავებდნენ
უკანასკნელი საფეხურის სწავლას (ამ საფეხურამდის მხოლოდ ცოტანი აღწე-
ვდნენ) და ღებულობდნენ მეფისგან საზეიმო ვითარებაში „დალოცვას“, ე. ი.
ხდებოდნენ სრულუფლებიანი მოყმენი. ამის შემდეგ მათთვის განკუთვნილი
იყო პასუხსაგები ადგილები და მაღალი თანამდებობანი.

მოსწავლე (უომარ) ყმებს ასწავლიდნენ თავის დაქერის წესებს. აქედან
დარბაისობა, დარბაისლური მოქცევა ნიშნავდა უმაღლესი ფენებისთვის სა-
ვალდებულო სპეციალურ ჩვევებს.

მოსწავლენი და დარბაზის-ყმები, საფიქრებელია, იზრდებოდნენ უმთავრე-

სად ისანში, სასახლის ახლო გარემოში. არაბული და სპარსული ენების საუკეთესო მასწავლებლები თბილისში მაშინ, მაჰმადიანიური მოსახლეობის საკმაოდ მრავალრიცხოვნობის გამო, რასაკვირველია, ადვილი საზოგადოებრივი იქნებოდა.

შოთა რუსთაველის აღზრდის შესახებ, გადმოცემების მიხედვით არსებული ცნობებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველი და მეორე საფეხურის აღზრდა მან მიიღო ავარის მონასტერში და ტრაპიზონში, მაგრამ არაა გამორიციხული შესაძლებლობა, რომ მეორე და მესამე საფეხურის აღზრდა მან მიიღო ნაწილობრივ საქართველოში და უფრო უცხოეთში. ის გარემოება რომ შოთა შემდეგ იგზავნება ელჩად სულთან სალადინთან (მეტწილად ასეთი დავალებით ყოფილი დარბაზის-ყმანი იგზავნებოდნენ), თითქოს ამ ქმოსაზრების დამადასტურებელი უნდა იყოს.

წარჩინებულნი ქართველნი თავიანთ შეილებს ზრდიდნენ როგორც საქართველოში და კერძოდ მეფის კარზე, ისე ნაწილობრივ სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ ერაყსა და ირანში განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იქ გათხოვილი იყო გიორგი III-ის და რუსუდანი. ამ რუსუდანის შესახებ შემდეგი შეიძლება ითქვას.

1153 წელს კიევის დიდმა მთავარმა იზიასლაგმა, უკვე ხანდაზმულმა და მოზრდილი შეილების პატრონმა, ცოლად მოითხოვა ობეზის (ე. ი. აფხაზთა ანუ ქართველთა) მეფის ასული. შემდეგ წელს, რუსული მატეიანის ცნობით, ეს მეფის ასული ჩაიყვანეს კიევში, სადაც იზიასლაგმა მასზე ჯვარი დაიწერა, მაგრამ იმავე წელს თვითონ გარდაიცვალა. ეს მეფის ასული უნდა იყოს დიმიტრი I-ის ასული რუსუდანი (სხვა გასათხოვარი მეფის ასული მაშინ საქართველოში არ იყო), რომელიც დაქვრივების შემდეგ, გასაგებია, მაშინვე დაბრუნდებოდა თავის სამშობლოში. რუსუდანი, თამარის მამიდა, ქართველი მემატეიანის მიერ მოხსენებულია „ხვარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობით“. ამ გამოთქმაში იგულისხმება სელჯუკიანთა დინასტიის სულტანი სინჯარი, რომელიც უფრო ხორასანსა და საერთოდ აღმოსავლეთ ქვეყნებს ვიდრე ავღანისტანამდე ჩათვლიათ განაგებდა და ფლობდა. ის გარდაიცვალა 1157 წ. და მის შემდეგ სელჯუკიანთა იმპერია დაიშალა. სინჯარის ერთი ძმისშვილი სულეიმან-შაჰი 1159—1161 წლებში ერაყის სულტანად იყო, რომლის შემდეგ ერაყის სულტანად გახდა მისი ძმის შვილი არსლან-შაჰი (1161—1171). როგორც ეტყობა, რუსი დიდი მთავრის იზიასლაგის შემდეგ დაქვრივებული რუსუდანი მალე (1156 წლის ახლოს) გაუთხოვებიათ სულტან სინჯარის ძმის შვილიშვილზე, ხსენებული არსლან-შაჰზე, მაგრამ ის აქაც დაქვრივებულა და 1177 თუ 1178 წელს

დაბრუნებულა საქართველოში¹, სადაც ის ზრდიდა მომავალ მეფეს თამარს. სავსებით შესაძლებელია, რომ რუსუდანმა, როგორც კიევის სამთავრო სახლის ყოფილმა წევრმა, ადვილად მისცა თანხმობა გიორგი რუსის კანდიდატურას (მაშინ განსხვავება რუსებსა, ე. ი. მომავალ მალოროსებსა და როსებს, ე. ი. მომავალ ველიკოროსებს შორის არ იყო თვალსაჩინო და ქართველებს შეეძლოთ მათი ერთმანეთში აღრევა.)

ამ რუსუდანის გაზრდილი იყო თამარის მომავალა ქმარი დავით სოსლანი (მას ორი სახელი ჰქონდა — ქრისტიანული და ოსური). მისი თანამედროვე ლაშას დროინდელი მემატინე წერს: „თამარის ქმარი დავით იყო ოვსთ მეფე, ტომი ბაგრატიონთა, ჳაბუკი ლომი“ და სხვ. თამარის პირველი მემატინეც (1195 წ.) წერს, რომ დავითი იყო „მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან ოვსნი, კაცი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“. სახელებიც სოსლანის მამას და პაპის იყო ოსური: სოსლანის მამა ჯადრონ, ჯადრონის მამა ათონი. მოდიოდა ეს შტო ბაგრატ IV-ის ძმის დიმიტრისაგან, რომელიც ოსეთში ჩრდ. კავკასიაში გამეფდა. ამ დიმიტრის შვილი უნდა ყოფილიყო შტოსთვის სახელის მიმცემი ეფრემი. ეფრემის ძე იყო დავით და ამ დავითისა—ათონი, შემდეგ ჯადრონი და სოსლანი დავით. შტო, როგორც ეს ჩვეულებრივ ისტორიაში ემართებოდათ დინასტიებს, გაოსებული იყო (სხვაგვარად ეს მეფენი ოსეთში ვერ გასძლებდნენ). სოსლანი და თამარი გიორგი I-დან უკვე შეექვეს თაობისანი ოვსენ, ნათესაობას კი ეკლესია აღიარებდა მეხუთე თაობამდის ჩათვლით.

თამარის შერთვის წინ სოსლანი რუსუდან დედოფლას კარზე ცხოვრობდა, როგორც ჩანს, თამარის მიმართ თავისი ბედის საცდელად. ამდროინდელი საზოგადოების რაობის გასაგებად მნიშვნელობა აქვს საკითხს თუ სად იზრდებოდა დავით სოსლანი რუსუდანთან, საქართველოში თუ ერაყში? რუსუდანი დაბრუნდა საქართველოში საცხოვრებლად, როგორც ნაჩვენები იყო, 1177—1178 წლებში. ამ დროს ამ თამარის მეორე ქმარი დავითი 21 წლის მაინც იქნებოდა (1189 წელს, როდესაც მან შეირთო დაახლოებით 25 წლის თამარი, ის 30 წლის მაინც უნდა ყოფილიყო). პირველი საფეხურების აღზრდა კი თავდებოდა 15 წლის ასაკში. ის იზრდებოდა, მაშასადამე, ერაყში რუსუდანის კარზე, იგუ-

¹ თამარის მეორე მემატინე რუსუდანს იხსენიებს ასეთი სიტყვებით: „სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამელთა და დედოფალი ყოვლისა ხვარასნელთა უფლებისა, რომელი სიქვარიისათვის თვისადვე მამულდ მოყვანებული“. გამოდის, რომ რუსუდანი თავდაპირველად ხელმწიფის ცოლი არ ყოფილა, მაგრამ (საფიქრებელია არსლან-შაპის სულტანად გახდომის შემდეგ) თავის მღვთმარობით შეეძლო ყოვლისა აღმოსავლეთის დედოფლობის პრეტენდენტობა წამოეყენებინა.

ლისხმება სასახლესთან მყოფ ცალკე სასწავლებელში, მაგრამ რუსუდანის ხარჯზე. შემდეგ ის, ბუნებრივია, ალბათ ცხოვრობდა უფრო ოსეთში. როდესაც 1184 წ. 27 მარტს გარდაიცვალა გიორგი III, რუსუდანი სამშვილდეს იყო. ეს რუსუდანი მაშინვე წამოიყვანეს თამართან ტფილას „თანაგაზრდილთა თვისითა“. ვინ იყო ეს გაზრდილი, თამარის პირველი მემკვიდრე არ ამბობს. მაგრამ შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს დავით სოსლანი, თამარის მომავალმეორე ქმარი. ცხადია, დავითი აქ შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც რუსუდანის წინანდელი გაზრდილი, რომელიც ამ დროს, საფაქრებელია, შემთხვევით იყო სამშვილდეში თავისი გამზრდელის სანახავად ჩასული. მაგრამ. როდესაც დაისვა საკითხი თამარისთვის მეორე ქმრის მოყვანის შესახებ, ის, როგორც ეტყობა, კვლავ ჩამოვიდა საქართველოში ბედის საცდელად. თამარს ის უკვე იცნობდა. დაბოლოს რადგანაც ის იყო ბაგრატიონი, ქართველი-ქალკედონიტი და რუსუდანის გაზრდილიც, ამიტომ მისმა კანდიდატურამ თამარის ქმრობაზე გაიმარჯვა კიდევ.

დავითის შესახებ ჯერ კიდევ იმ დროისთვის, როდესაც ის მოჰყავდათ თამარის საქმროდ, თანადროული მეორე მემკვიდრე (შოთა რუსთველი) წერს. რომ ის „იყო უკვე შვილი ოვსთა მეფისა, გაზრდილი რუსუდან დედოფლისა. ყრმა ფრიად შევნიერი ასაკითა, ვითარცა შევნი მფეთა შვილსა, სხვათა კულაზრდილობითა კეთილად წურთილი, მკნე და მკედარა ძლიერა, რაინდობით უსწორო და მშვილდოსნობით შემამართებელი. ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული სიკეთითა“. ერთი სიტყვით, ის საუკეთესოდ იყო აღზრდილი. მაგრამ თამარის შერთვის და საქართველოს მეფედ გახდომის შემდეგ ის, თამარის პირველი მემკვიდრის (1195 წ.) ცნობით, მთელა წელაწაღა კვლავ სწავლობდა ასპარეზობას და მწიგნობრობას. თამარის პირველი მემკვიდრის მიხედვით, „ესე დავით (თამარის შერთვის შემდეგ) წელიწადის მოქცევამდე ესრეთ წაეჭობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მცურავსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა კელთა სიკეთითა, ვითა დღეს (1195 წ.) ჩანს. რომელ შინათ ვინ ყოფილა მისი მასწავლებელი და თანამოსწავლე და თუ გარეთთა ქუეყანათა შემოსრულა, ვერავინ სადა გამოჩენილა მისებრა“. აქ იგულისხმება ასპარეზობის და მშვილდოსან-ცხენოსნობის სპეციალური ქართული წესი. რომელიც განსხვავდებოდა სპარსელების წესისაგან. მართალია გვიან დროიდან, მაგრამ ამის შესახებ არის ასეთი ცნობა. კახეთის მეფე დავით — იმამ-ყულიხანი (XVIII ს-ის დასაწყისში), სპარსეთში აღზრდილი, იყო ვახუშტის მიხედვით, „უმეცარი ზნეთა და სამხედროთა საქართველოსათა... იწყო ზნეთა ქართლისათა სწავლა, რამეთუ მოღობა ასპარეზი და მას შინა ასპარეზობდა

უხილაობისათვის კაცთა“. ამის დაგვარად თამარის ქმარი დავითიც სწავლობდა ქართულ ასპარეზობას და გარდა ამისა ქართულ მწიგნობრობასაც.

ამგვარად მემატიანის სიტყვით, დავითმა მწიგნობრობაშიც ერთ წელიწადში ყველას აჯობაო და აჯობა იმდენად, რომ ყველას უკვირდა, თუ ვინ იყო „მისი მსწავლებელი (მასწავლებელი) და თანამოსწავლეო“. არავითარი ეჭვი არაა, რომ დავით ერთ წელიწადს სწავლობდა სხვა თანამოსწავლესთან ერთად „მსწავლებელთან“ (მასწავლებელთან) სწორედ ქართულ და არა რომელიმე სხვა მწიგნობრობას, მაშასადამე, ქართულ ლიტერატურულ ენასაც და მას ჰყავდა „თანამოსწავლენი“-ც. სალაპარაკო ქართული ენა მას ეცოდინებოდა ჯერ ერთი საქართველოში ხანდახან მინც უოფნის გამო და გარდა ამისა ქართულ ენას ამ ხანაში ერთგვარი გამავლობა ექნებოდა ოსეთის უმაღლეს წარეშიც. თანამოსწავლენი საჭირონი იყვნენ, რასაკვირველია, ენაში უკეთ გასაწაფავად და დამწერლობის შესასწავლადაც. ამიტომ ცხადი ხდება, რომ დავითს თამარის შერთვისას ქართული ენა სუსტად უნდა ცოდნოდა. მაშ, რა ენაზე ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან თავიშევე თამარი და დავითი? უფრო საფიქრებელია, რომ თამარმა თვითონ იცოდა სპარსული და ალბათ არაბულიც (მის მამიდას რუსუდანს, სულთანის ცოლყოფილს, აგრეთვე თავიდანვე ეცოდინებოდა სპარსული და არაბულიც). თამარს ზრდიდნენ როგორც მომავალ მეფეს და ამიტომ მისთვის აუცილებელი იქნებოდა არაბულის და სპარსულის ან ერთერთი ამ ენის ცოდნა.

ცხადი ხდება, რომ რუსუდანთან ერაყში იზრდებოდნენ ზოგნი ქართველნიც. აი ერთ-ერთმა ასეთმა ქართველმა, ჩახრუხაძის ძმამ, სპარსულის წარჩინებით მცოდნემ, დასწერა თამარის პატივსაცემად მოთხრობა, რომელიც ალეგორიულად შეიცავდა თამარის ქებას (ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი).

17. შოთა—თამარის მეორე მატიანის ავტორი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შოთას ეკუთვნის თამარის ეგრეთწოდებული მეორე მატიანე, დაწერილი 1222 წლის ახლოს. ამ მატიანიდან თავისი გრამატიკის პირველ რედაქციაში კათალიკოს ანტონ I-ს მოჰყავს ციტატა და ამბობს, რომ ის ამოღებულია შოთა რუსთაველის მიერ დაწერილ მატიანიდანო. XIX ს-ნეში თამარის მეორე მატიანის ტექსტი საქართველოში არ მოიპოვებოდა (ამ მატიანის ტექსტის მხოლოდ ნახევარი აღმოჩნდა ქართლის ცხოვრების ჰალაშვილისეულ ხელნაწერში, რომელიც XVIII—XIX ს-ნეებში რუსეთში ჰქონდათ, შემდეგ კავკასიის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მოჰყვა თბილისში და იქ ერთ ყუთში 1922 წ. მიაგნო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგემ). ანტონის ხელთ არსებული ხსენებული ხელნაწერი უნდა გამქრალიყო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს 1795 წ.

როდესაც თბილისში დაიღუპა როგორც საკათალიკოსო, ისე სამეფო წიგნთსაცავები. ანტონ კათალიკოსის ნაქონ ამ ხელნაწერს, როგორც ჩანს, თან ახლდა ცნობა თამარის მეორე მატეანის ავტორის ვინაობის შესახებ.

თამარის მეორე მატეანის ავტორად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კათალიკოს ანტონ I-ს შოთა რუსთაველი მიაჩნია: თავისი ხსენებული ნაწარმოების სათანადო ადგილას ანტონი ჩამოთვლის სხვადასხვა ავტორებს და მათ შორის, ასახელებს „შოთა რუსთაველსა, გამომთქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისასა“. მეორე ადგილას კიდევ მას მოჰყავს ციტატა: „წერილთაგან შოთასთა რომელ აღწერა ცხოვრება მეფის თამარისა — არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბლისასა (თამარი), არამედ დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან იყოვლისფერა გარემოდ, რაჟთა მოჭკევი თვისი მარტიობით იხილავს გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა“¹. ეს ციტატა ამოღებულია თამარის მეორე მატეანის მეორე ნაწილიდან, რომელიც მოწვენილია მხოლოდ ვახტანგის კომისიის მიერ შევსებულ მატეანეში. პირველად ხსენებულ ციტატას ყურადღება მიაქცია ალ. ცაგარელმა 1873 წელს², მაგრამ მან უარყო შოთას ავტორობის შესაძლებლობა.

მეორეჯერ და საკმაოდ ვრცლად ამ საკითხზე შეჩერდა ილ. აბულაძე³, მაგრამ მას ვადაჭრით ამის შესახებ თავისი აზრი მაინც არ გამოუთქვამს. „არის თუ არა (შოთა რუსთაველი) თამარის ე. წ. მეორე ისტორიის ავტორი, ამას, როგორც (იქვე, იმავე სტატიაში) არაერთხელ აღვნიშნავდით, ალბათ რაიმე მხრით ნათელს მოჰფენს შოთას უკვდავისა და უცილობელი პოემის ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივი შედარება ანტონის მიერ მისაღვე აღიარებულ, ხოლო დღემდის ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში თამარის მეორე ისტორიკოსის სახელით ცნობილ ისტორიასთან... ამ გზით წარმართული კვლევა მომავალში დაგვიანახებებს ალბათ, თუ რამდენად სწორია შოთა რუსთაველის ისტორიკოსობის შესახებ ცნობა“.

ჩვენ ვფიქრობდით (საბჭოთა ხელოვნება, 1961 წ., № 1, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან, გვ. 42), რომ თამარის მეორე მატეანის დამწერი შოთა რუსთაველია.

¹ შეად. ვეფხისტყაოსანში ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

სადაცა გწადდეს, მუნ იყავ მითევ წესითა მავითა...

მაგა ქცევითა ტურფითა, ანაგებითა ნავითა...

² О грамматической литературе грузинского яз., СПб., 1873, გვ. 99.

³ ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენციკის მოამბე, III, 1938 წ., გვ. 201—207.

ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ შოთა რუსთაველი მართლაც უნდა იყოს თამარის მეორე მატიანის ავტორი, რადგანაც არავითარი სერიოზული მოსაზრება არ შეიძლება წამოყენებული იქნეს ანტონის მიერ შემონახული ძვირფასი ავთენტური ცნობის საწინააღმდეგოდ. ეს მეორე მატიანე ავსებს არსებულ ერთ ხარვეზს შოთას ბიოგრაფიაში, იძლევა მეტად მნაშენელაუნ ცნობებს მისი პირადი ცხოვრებისა (რომ ის თამარს საკვალას შემდეგ ბევრ უცხო ქვეყანაში მოგზაურობდა) და აგრეთვე მისი მსოფლმხედველობის შესახებაც¹.

მატიანის ავტორი თავის ნაწარმოებში აღნიშნავს, რომ დავითის (აღმშენებლის) დროშა არასოდეს არ დამარცხებულაო. აქ იგულისხმება სეფე დროშა, რომელაც დამარცხდა გარნისის ომში 1225 წელს და შემდგომ დაღ ლაშქრობაში ჯელალ-ედ-დინის წინააღმდეგ ეს დროშა არ გაუგზავნიათ. მატიანე, მაშასადამე, 1225 წელზე ადრე არის დაწერილი.

ხსენებული მატიანე დაწერილია მაღალნიჭიერად და მიზნად ისახავს თამარის მმართველობის სიდიადის ცხადყოფას. მაგრამ ბოლოში თამარის სიკვდილის აღწერისას, რასაც მოჰყვება თვით თამარის გლოვა, ავტორი მხატვრულ ფორმებში, დიდი გრძნობიერებით გადმოგვცემს, თუ როგორ მწარედ განიცდიდა ამ მწუხარებას ქართველების ყველა ფენა დაწყებული უბრალო ხალხით და დამთავრებული პირველი თანამედრობის ვაზირებით. ხოლო რადგანაც თამარის საუცხოო გლოვითი ქების ავტორად თვით შოთა რუსთაველი გამოდის. რასაკვირველია, ამისდაგვარი გლოვითი ქება შოთას შეეძლო მანამდისაც დაეწერა. ვეფხისტყაოსნის პაროლოგის სიტყვები „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული“ არ გულისხმობს შოთას მიერ მისეულ მატიანეში თამარის ხსენებულ გლოვითი ქებას, არამედ სხვა რამეს, ჩვენამდის არ მოღწეულს, რომელიც შეეძლო მას, საქართველოში დებრუნებულს, დაეწერა თამარის სიკვდილის შემდეგ (1208—1210 წლების ახლოს). ჩანს თამარისათვის მისი სიკვდილის შემდეგ შოთას მიუძღვნია რამდენიმე ნაწარმოები, რომელნიც დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

შოთასეული თამარის ეს მეორე მატიანე ძრავს მთელ რიგ საკითხებს, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა თვით მისი ავტორის (შოთას) ბიოგრაფიისათვისაც (შეად. § 26).

თამარის მეორე მატიანეში დაცულია ცნობა თამარის დის რუსუდანის შესახებ. რომელმაც ოთხმოც წლამდის მიაღწია ქალწულად და იქვე ტექსტში:

¹ ამ საკითხის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961 წ. № 1, გვ. 42, თავი — შოთა თამარის მეორე მატიანის ავტორია. აქ ამ ნაწარმოების დაწერის თარიღად მიახლოებით 1218—1220 წლებია ნაჩვენები.

(ამ ნაწარმოების მეორე ნახევარი სრულად არ არის მოწვენილი) ან მინაწერში ყოფილა ცნობა ამ რუსუდანის ქმრის სახელის შესახებ — ის ყოფილა ბაგრატი (ალბათ წარჩინებული მდგომარეობის მქონე). ამისდა მიხედვით XIX ს-ნის დასაწყისის ერთს ხელნაწერში ვკითხულობთ წინანდელი წყაროდან ამოღებულ ასეთ ცნობას: „ამან რუსუდან აღასრულა ქალწულებითა ცხოვრება თავისი; თუმცა ესვა მას ქმარი ბაგრატი, არა შეყოფოდა და ოთხმოცი წელი იცოცხლა“ (1767A, ფ. 135). ლაშას დროინდელი მატიანე ამ რუსუდანის შესახებ წერს: „და ასული (თამარი მამის გიორგისა) რუსუდან დედოფალი იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინის მცემელი“ და სხვ. გამოთქმა „იყო“ ცხად ყოფს, რომ ამ სტრიქონების წერისას 1223 წელს რუსუდანი უკვე ცოცხალი არ ყოფილა. ის იყო თავისი მამის უკანონო ასული. ქორწინებით კანონიერი ცოლისაგან გიორგის ჰყავდა მხოლოდ ერთი შვილი — თამარი.

რუსუდანის დაბადების წელი შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს შემდეგნაირად. გიორგი II-ის შვილი დავითი დაბადებულად ჩანს (1124—53 წ.—) 1071 წლის ზაფხულში. დავითის შვილი დიმიტრი ამიტომ შეიძლება დაბადებულიყო 1091 წელს, ხოლო ამ დიმიტრის შვილი დავითი და გიორგი დაბადებული იქნებოდნენ 1011 და 1114 წელს. გიორგის შეიძლება უკანონო შვილი ჰყოლოდა 20 წლისასაც (სპარსეთში XIX ს-ნის შუაშიც პოლლაკის ცნობით, 16—17 წლის ვაჟისთვის უკვე მოჰყავდათ ცოლი). ამიტომ რუსუდანი შეიძლება დაბადებულიყო 1134—1140 წლების ახლოს. ამის მიხედვით რუსუდანის ცხოვრების დროდ შეიძლება ჩაითვალოს 1135—1215 წლებიც, ყოველ შემთხვევაში 1140—1220 წლები.

თითქოს შეიძლება საკითხის დასმაც იმის შესახებ, თუ სად არის დაწერილი თამარის მეორე მატიანე. ავტორი თავისი ნაწარმოების ბოლოში წერს თამარის შესახებ, რომ ის „წარავლენდის სარწმუნოთა თკსთა და დავედრის ესრეთ: იწყეთ აღექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბისა, სინისა მთისა და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა «და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადლა საჟმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკთათვის ოქროთა აურაცხელთა“.

აქ ერთმანეთთან დაპირისპირებულია აღექსანდრიით სინის მთამდე „მათ“ კერძონი ეკლესიანი და, მეორე მხრივ, იერუსალიმის „ამათ“ ყოველთა ეკლესიანი. ვფიქრობ, რომ ეს გამოთქმა იერუსალიმის ეკლესიების შესახებ უნდა ეკუთვნოდეს ჯვარის მონასტერში მყოფ ავტორს.

მის. წერეთელმა 1951 წ. პარიზში გამოაქვეყნა სამი წერილი სათაურით:

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ დასახელებული ისტორიის დამწერი და ვეფხისტყაოსნის შემთხვეული ერთი და იგივე პიროვნება არისო. ამის დასამტკიცებლად მას ორივე ნაწარმოების ადგილთა, წინადადებათა და სიტყვათა მსგავსება მოჰქონდა (მოხსენებულა ვიქტ. ნოზაძის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“).

ამავე აზრს იმეორებს ივ. ლოლაშვილი თავის მონოგრაფიაში, „რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“ თბ. 1961. ის ამტკიცებს, რომ რუსთაველი არის თამარის პირველი მატიაანის (ისტორიათა და აზმათა) დამწერი და მას უნდა ეკუთვნოდეს თამარის ეგრეთწოდებული მესამე მატიაანეც თამარის სიკვდილის და გლოვის აღწერითო. ივ. ლოლაშვილს ორივე ეს მატიაანე (ი. ჯავახიშვილის და კ. კეკელიძის მიხედვით) ერთ ნაწარმოებად მიაჩნია.

ხსენებული მონოგრაფიის დებულებები ავტორმა საჯარო მოხსენების სახით წაიკითხა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში 1961 წლის იანვარში. ქვემოთ მოტანილი ჩემი მოსაზრებანი ავტორის დებულებათა წინააღმდეგ გამოთქმული იყო ხსენებულ საჯარო სხდომაზე და მათ ახლა აქ ვიმეორებ.

როგორც ნათქვამი იყო, ი. ლოლაშვილი თამარ მეფის ეგრეთწოდებულ პირველ და მესამე მატიაანეებს ერთი ავტორის მთლიან ნაწარმოებად თვლის. მაგრამ საკითხის ასე დაყენება აშკარა გაუგებრობას წარმოადგენს. თამარის პირველ და მესამე ისტორიკოსთა შორის არის უზარმაზარი განსხვავება სტილით და ლექსიკით — ეს პირდაპირ თვალში ეცემა მკითხველს. პირველ მატიაანეში მოყმე ჩვეულებრივი ტერმინია რაინდ-ჭაბუკთა აღსანიშნავად, მესამე მატიაანეში კი მოყმე სრულებით არ იხსენიება. სამაგიეროდ მესამე მატიაანე ხშირად იხსენიებს ტერმინ თავადს. წოდებრივი მონარქიის დამყარებამ XIII ს-ნის შუახანიდან, როგორც ეტყობა, მოახდინა ტერმინების ასეთი შენაცვლება.

მესამე მატიაანეში ვარძია იხსენიება რვაჯერ, პირველ მატიაანეში კი არც ერთხელ. მესამე მატიაანეში არის ანაქრონიზმები თვით ისეთ საკითხში, როგორც არის თამარის სიკვდილის დათარაღება. საერთოდ მესამე მატიაანე გვიან დაწერილია და ამიტომაც მასში არის ფაქტობრივი შეცდომები და ზოგი საესეებით უცნაური თხრობაც (მაგ., ძაღლისთვის სეფისკვერის მიგდების შესახებ). ყველაფერი ამის გამო ვფიქრობდით (საისტორიო მოამბე, 1924 წ., წიგნი I, გვ. 286—291), რომ თამარის პირველი მატიაანე დაწერილი უნდა იყოს თამარის მეფობის მე-11—12 ინდიკტიონს, ე. ი. 1195 წელს და ავტორი მისი უნდა ყოფილიყო მანდატურთუხუცესი ჭიაბერი. ამის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი-

შამქორის ომის აღწერილობა (შესაძლებელია სხვა პირის მიერ) და მას მოჰყვება უკვე თამარის მესამე მათიანე, დაწერილი ვარძიელი ბერის თუ წინამძღვრის მიერ 1270—1295 წლებში. ცალკე ნაწარმოებს წარმოადგენს კიდევ თამარის ეგრეთწოდებული მეორე მათიანე, რომლის პირველი ნაწილი მოთავსებულია ქართლის ცხოვრების ჰალაშვილისეულ ხელნაწერში, მისი მეორე ნაწილის აღდგენა კი შესაძლებელი გახდა ვახტანგის კომისიის მიერ პირველი და მესამე მათიანის ტექსტში შესრულებული ჩანაწერებით. ამ მეორე მათიანის გულისხმობს ანტონ კათალიკოსი შოთას მიერ დაწერილად.

ამგვარად, შოთა ცოცხალია სულ ცოტა 1222 წლის ახლოს, როდესაც მას დაუწერია თამარის მეორე მათიანე. შოთას მიერ ამ მათიანის დაწერა, ჩვენის აზრით, უფრო ზუსტად უნდა მიეკუთვნოს 1222—1223 წწ., რის შემდეგ ის მალე გარდაიცვალა კიდევ.

18. საკითხი სკარამანგის შესახებ. იერუსალიმურ სურათში შოთა წარმოდგენილია ძვირფას შიგნითა გრძელ ტანისამოსში, რომელზედაც მას შემორტყმული აქვს ოქროს ბალთიანი სარტყელი. თვით სარტყელი უნდა იყოს ძვირფასი წითელი ფარჩისა. ამ ტანისამოსზე შოთას აქვს წითელი ძვირფასი წამოსასხამი. თუ რაშია აქ საქმე, ამას აგვიხსნის ბიზანტიის საიმპერატორო კარის წესები.

„უმადლესი ხელისუფალნი და მოხელეები (ბიზანტიის კარზე)—მაგისტრები პატრიკები და ოფიციები, — ვკითხულობთ დ. ბელიაევის 1893 წელს სპეციალურ გამოკვლევაში ამ საკითხის შესახებ¹, — აგრეთვე ის პირნი, რომელთაც ეკავათ უმადლესი თანამდებობანი და მართავდნენ ცალკე უწყებებს, ცხადდებოდნენ (იმპერატორის) სასახლეში შეყრილობებზე კვირაობით არა მარტო სკარამანგიებში, არამედ წითელ წამოსასხამებშიც... როდესაც იმპერატორი იწვევდა თავისთან ვინმეს უმადლეს ხელისუფალთაგან, მათ შორის ლოგოფეტებსაც (მინისტრისდაგვარ მოვალეობათა შემსრულებელთ), ისინი შედიოდნენ მასთან არა მარტო სკარამანგიებში, არამედ წითელ წამოსასხამებშიც“ და სხვ.²

ტერმინ სკარამანგის მნიშვნელობა მეცნიერებაში გაურკვეველია. არ ხერხდებოდა მისი ეტიმოლოგიის მოცემაც. მაგრამ შესაძლებელია სკარამანგი წარმომდგარი იყოს ლათინური სიტყვებიდან *sacra* — წმიდა (საკულტო მნიშ-

¹ Д. Ф. Беляев, Byzantina, II, 26.

² იხ. ამის შესახებ სარგის კაკაბაძის ზემოთცხიტირებულ წერილში, „ლიტერატურული გაზეთი“, 1961 წ., № 1. ცხადდასჩანს, რომ სკარამანგო შიგნითი სამოსია, წითელი წამოსასხამი კი სულ სხვაა.

ენელობის) და manicae — სახელოები, სახელოებიანი ქვედასაცმელი (ტუნიკა), რომელსაც ატარებდნენ ტოვას (მოსასხამის) ქვეშ. ქართული ტერმინი სკარამანგი უფრო ახლოსაა ამ რომაულ (თავდაპირველად კულტობრივი) სამოსის სახელთან (საკრა+მანიკ), ვიდრე საშუალო-ბერძნული სკარამანგიონთან. სახელით საკრამანგო (სკარამანგი) უნდა ყოფილიყო ჭერ კულტობრივი (ქურუმთა) საზეიმო სამოსი, ხოლო ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ სკარამანგი მიეკუთვნა პირველხარისხოვან წარჩინებულ პირთ. საკრამანგს ქართველებში ამზადებდნენ ვახტანგ გორგასალის დროსაც, ყოველ შემთხვევაში ჭუნაშერი იხსენიებს, რომ ვახტანგმა სპარსეთის მეფეს ზავის დადებისას გაუგზავნა საჩუქრად ვითომ „ხუთასი სტავრა საკრამანგი“. სტავრა საბას განმარტებით არის „სიკრმის ნაქსოვი“, მაშასადამე, სკარამანგი (იგივე საკრამანგი) იყო სირმით ნაქსოვი ან მოქარგული.

სკარამანგზე ბიზანტიაში იკეთებდნენ ხმალს, რომელიც სარტყელზე იყო ჩამოკიდებული.

ამირან-დარეჯანიანშიც მოხსენებულია სკარამანგი ოქროს სარტყელთან ერთად.

თამარ მეფის მემკვიდრე გადმოგვეცემს, რომ როდესაც კიაბერი გამოაცხადეს მანდატურთუხუცესად, მაშინ მას „შთააცევს საკრამანგი“. მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი (შინაგან საქმეთა და სამეფო კარის საქმეთა ხელმძღვანელი, სამხედრო უწყების მეთაური — მთავარსარდალი და ფინანსების უწყების ხელმძღვანელი) იყვნენ საერო ვაზირები, რომელთაც თავმჯდომარეობდა პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცესი (ჰყონდიდელი მთავარეპისკოპოსი). ესენი შეადგენდნენ საქართველოს უმაღლეს მართებლობას, რომელთაც შემდეგ მიჰყვებოდნენ სხვა მოხელეები.

ზემოთმოხსენებულის მიხედვით ამკარაა, რომ შოთა იერუსალიმურ პორტრეტში მოცემულია ერთ-ერთი ვაზირის სამოსში. მას აცვია წითელ სარტყლიანი სკარამანგი (სკარამანგი), რომელზედაც მოხურული აქვს წითელი წამოსასხამი.

პ. ინგაროყვა „რუსთველიანში“ და მის ეპილოგში (1963 წ.) ფიქრობს, რომ სკარამანგი (საკრამანგი) არის სავაზირო წამოსასხამი, მაგრამ არა მარტივად სავაზირო წამოსასხამი, არამედ წითელი ფერის, ძოწვეულის ქსოვილის, რომელსაც ქვემო მხრიდან დადებული ჰქონდა ყარყუმის ბეწვეული, რომ ყველაფერი ეს ამტკიცებს შოთას მეფურ წარმომავლობას, რომ ის მართლაც იყო ბაგრატიონთა დინასტიის წევრი. ყველაფერი ეს გაუგებრობაზეა აგებული.

სკარამანგი იყო არა ზედა წამოსასხამი, არამედ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ზედა სამოსი, რომელზედაც ეკიდათ ხმალი და რომელიც არსებითად განსხვავდებოდა წითელი წამოსასხამისაგან. რომ ეს ასე იყო, ამისი დამადასტურებელია მელქისედეკ ქართლის კათალიკოსის მიერ 1020 წლის დაწერილში მოცემული ცნობა, რომ მან დასდვა მცხეთის სვეტიცხოვლის საყდარში მის მიერ შეწირულნი „სკარამანგი დიდნი გარე შეოლვილნი, ვერცხლისა გრგოლთა შეკაზმულნი (რიცხვით) რვა და ბაგრატ კურაპალატისა (ეს არის მეფე ბაგრატ III) ნაბოძვარი დიდი სკარამანგი ერთი“.

იმავე დაწერილის მინაწერში 1030 წლის ახლოს იგივე მელქისედეკ კათალიკოსი წერს: „სამხრით სადიაკონოსა, წმიდათა მოწამეთა სამარტილოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამა საკურთხეველსა ზედა დავაყენე ჟამის მწირველად ცოდვილისა სულისა ჩემისათვის გაზრდილი ჩემი იოვანე საფლავსა ჩემსა ზედა... და ამა სამარტილოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე სკარამანგითა, მოვჭედე ვეცხლითა და დავდგი... შესამოსელი სკარამანგი ერთი, ზეწარი ერთი და დავჭედე ეზოჲ (ბარძიმ-ფეშხუმის გადასაფარებელი) სკარამანგი შეოლვილი ერთი“.

ამ ციტატებიდან ჩანს, რომ სკარამანგი — სკარამანგი მელქისედეკ კათალიკოსის დროსაც არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ზედა წამოსასხამი (ასეთს ეკლესიაში წირვის დროს ღვთისმსახურნი არ ხმარობდნენ), არამედ ეს იყო ღვთისმსახურის საკულტო სამოსი, რომელიც სპეციალური ძვირფასი ქსოვილისაგან იყო დამზადებული. ამიტომ გამოთქმაში „ეზო სკარამანგ შეოლვილი“ სკარამანგი იხმარება უკვე ამ ძვირფასი ქსოვილის აღსანიშნავად.

19. შოთას ალაპის ჩანაწერი იერუსალიმის ჭვარის მონასტერში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოამბის 1961 წ. III წიგნში (გვ. 228—254. გამოვიდა 1962 წლის მარტში) მოთავსებულია ე. მეტრეველის „შენიშვნები შოთა მექუტრქლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთაველის ფრესკის ირგვლივ“. თავისი ამ წერილის პირველ და მთავარ ნაწილში ე. მეტრეველი ამტკიცებს იერუსალიმის ჭვარის მონასტრის სენიქსარში შოთა მექუტრქლეთუხუცესის მოსახსენებლად ჩაწერილი ალაპის შესახებ, რომ ეს ჩანაწერი XII ს-ნის დასასრულის ან XIII ს-ნის დამდეგის არისო. ამ გარემოებას ის შოთას საკითხის გარკვევისათვის მთავარ მნიშვნელობას მიაკუთვნებს, რადგანაც ჭვარის მონასტრის მხატვრობაში, მისი აზრით, ორი ძირითადი ფენა გამოიყოფა — ერთი იფარგლება XIV ს-ნის დამდეგით, ხოლო მეორე კი ნიკიფორის ხანით. მხატვრობის პირველი ფენა დაკავშირებულია მონასტრის „მეორედ შენებასთან და ახლად მოკაზმვასთან“, რომელსაც ადგილი

ჰქონდა 1305—1314 წლებში (გვ. 254). შოთას პორტრეტზე წარწერა პალეოგრაფიულად XVI ს-ნეზე ადრეული არ არისო. „ფრესკაზე არაფერს ვამბობთ, მაგრამ წარწერა ამ დროისათვის დაზიანებული ყოფილა და ის განუახლებიათ ან გაუცხოველებიათ“-ო, წერს ის (გვ. 235). ეს დებულებანი განმეორებულია ელ. მეტრეველის წიგნში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“ (თბ., 1962 წ.). ამ შრომაში ვრცელი გამოკვლევით მოთავსებულია ჯვარის მონასტრის ალაპების სრული ტექსტი სურათებით. ხსენებული დებულებანი (ზოგი) სხვაგვარ დასაბუთებას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარის მონასტრის კუთვნილი სვინაქსარი, სადაც ალაპებია მიწერილი, X ს-ნის მეორე ნახევრის ხელნაწერია. სვინაქსარში 17 იანვრის საკითხავების ქვეშ მონასტრის მეორედ ამშენებლის პროხორეს ალაპის (§ 164) შესახებ მინაწერი შესრულებულია მრგლოვანი ანბანით არა ტექსტის ხელით, არამედ სხვა დროს. ამისი მაჩვენებელია ორჯერ ო-ნის გამოხატულება გვერდითი განივი ხაზით, რომელიც ოდნავ ქვემოთკენ დახრილია, ე. ი. ეს ასო მოცემულია ისე, როგორც ის, ზემოთ თქმულის მიხედვით, იწერებოდა XIV ს-ნეში. ცხადია, რომ პროხორეს ალაპი, მისი მნიშვნელობის გამო მრგლოვანი ასოებით შესრულებული, გადაწერილია XIV ს-ნეში უფრო ძველი დროის ჩანაწერიდან.

პროხორეს დროს (ის გარდაიცვალა 1066 წლის ახლოს) საქართველოს მეფედ იყო ბაგრატ IV. ამისი ალაპიც ხელნაწერში ჩაწერილია (§ 289) უკვე ნუსხა ხუცურით, მაგრამ უფრო XIII—XIV ს-ნის ხელით.

არის დავით აღმაშენებლის ალაპიც (15 აგვისტოს, § 288). დავითი ამ ჩანაწერში, რომელიც ზემოთ იყო ციტირებული, ნახსენებია სარკინოზთაგან მეჩეთად გადაქცეული და შემდეგ აოხრებული სამონასტრო ეკლესიის აღმდგენელად. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დავითის ამ მოსახსენებლის ქვეშ წინათ რაღაც ტექსტი ყოფილა ჩაწერილი, რომელიც ამორეცხილია და ზედ დავითის ალაპია დაწერილი, რაც ამტკიცებს, რომ დავითის ალაპის ჩანაწერიც არაა პირვანდელი, არამედ ის გადაწერილი უნდა იყოს XII ს-ნის სხვა ჩანაწერიდან.

6 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს დაწესებული იყო ალაპი ანასულისთვის (§ 280) შემდეგ ვითარებაში — „მეფე იერუსალიმისა გაგვიწყრა“, ოქროს გვთხოვდა და მან ასი ღუკატი შემოგვაწიაო. მას სხვა 130 ღუკატი შეუწირავს მონასტრისათვის. იერუსალიმის მეფის მოხსენიება ცხადყოფს, რომ აქ ჯვაროსანთა კათოლიკე მეფე იგულისხმება (XII ს.). გარდა ამისა, ეს ანასულის იხსენიება ათონის ქართული მონასტრის ალაპებშიც (§ 159). აქ მას ასი ღრპკანი ბოტანიტი (ბოტონიატი) შეუწირავს. აქ იგულისხმება ბიზანტიის იმპერა-

ტორის ნიკიფორე III-ის (1078—1081) სრულწონიანი ოქროს ფული, რაც აგრეთვე XII ს-ნეს უჩვენებს.

ამგვარად, ანასულის XII ს-ნის პირველი ნახევრის პირია, რაც საეკლესიო ცხადყოფს, რომ ჯვარის მონასტრის ზემოდასახელებულ ალაპში § 288 მოხსენებული მეფე არის დავით აღმაშენებელი.

ანასულის ალაპი გადმოწერის დროს ჩაწერილია ფერისცვალების საკითხავების დაწყებისთანავე. მაშასადამე, ამ ადგილს პირველად მისი ალაპი გადმოუწერიათ. შემდეგ მინაწერთა განლაგების მიხედვით 5 აგვისტოს ტექსტის პირდაპირ, თუმცა ალაპები ფერისცვალების დღისათვის, ე. ი. 6 აგვისტოსთვის არის დაწესებული, იმავე ფერისცვალების დღის ალაპები შემდეგი თანრიგით არის ჩაწერილი (უკვე XIV ს-ნეში): დავით მეფისა, რომელმაც მონასტრს 1200 მიტკალი (მისხალი) ოქრო გაუგზავნა ვალების დასაფარავად, გიორგი მეფისა და მეფეთ-მეფის ანდრონიკეს შვილის გიორგისა. ესენი არიან: მეფე დავით დიმიტრის ძე (გარდაიცვალა 1309 წლ. ახლოს), მეფე გიორგი ბრწყინვალე და სამხარეო მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი (1355—1373 წწ. ახლოს).

XII ს-ნის ხანისათვის სხვა ალაპები არ ჩანს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სენაქსარში, მაგ., არაა თამარ მეფის მოსახსენებელი. მხოლოდ 1220-იანი წლებიდან ჩნდება ნიკოლოზ გულაბერისძის, შოთას, სარგისის, მისი ცოლის თამარის და მისი დედის ხათუთას (§ 24) და შემდეგ ზოგ სხვა პირთა შესახებ ჩანაწერები ვიდრე 1273 წლამდის, როდესაც მონასტერი ჩამოართვეს ქართველებს და დაუბრუნეს მათ მხოლოდ 1305 წელს ან ცოტათი ამის შემდეგ (უფრო 1306 წელს).

ჩვენი საკითხისათვის, რასაკვირველია, მთავარი მნიშვნელობა აქვს ჩანაწერს შოთა რუსთველის შესახებ. შოთას ალაპი¹ დაწესებულაა სულიწმიდის მოფენის ორშაბათს: „ამ(ა)სეე ორშაბათსა ალაპი შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესის(ა)ჲ. ვინც შეცვალოს, შემცაც(ა)ლებულ (ა)რს სჯ(უ)ლისაგ(ა)ან ქ(რისტ)ეანეთ(ა)ჲსა.“

პალეოგრაფიული თვისებებით (მთავრული ა-ნის გამოსახულება, საერთოდ მინაწერის შესრულების მანერა) არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ორი ალაპი ჩაწერილია XIII ს-ნის პირველ მეოთხედში. ამავე დროის არის გრიგოლ დრანდელის ალაპის შესახებ ჩანაწერი (ბ და გ დიდი უბეთი, როგორც ეს არის ვანის სახარებაში XIII ს-ნის დასაწყისის და სხ.). ამით ზოგადად წყდება საკითხი

¹ ალაპი ბერძნული სიტყვაა. ახლა ამის მაგივრად იხმარება სიტყვა ქელები, თუმცა კახეთში, მაგ., ბოლო დრომდე ჩვეულებრივ ქელების აღსანიშნავად ხალხში მიღებულია სიტყვა ალაპი.

აღაპების ნუსხაში მოხსენებული მეჭურჭლეთუხუცესის შოთას ცხოვრების დროის შესახებ.

20. შოთა როგორც მეჭურჭლეთუხუცესი. უფროსად „საბჭოთა ხელოვნებაში“ 1961 წ. № 1 დაბეჭდილ ჩემ წერილში „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხები“ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სააღაპო ჩანაწერების საფუძველზე აღვნიშნეთ, რომ შოთა რუსთაველი იყო მეჭურჭლეთუხუცესი. ეს ახლა უდავოდ უნდა მივიჩნიოთ. დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ როდის უნდა ყოფილიყო შოთა მეჭურჭლეთუხუცესად, ე. ი. საქართველოს ერთ-ერთ ვაზირად.

ცნობილია ლურჯი მონასტრის ანდრია მოციქულის ხატის ნაგლეჯის წარწერა: „ქ ყოვლად წმიდაო მოციქულო ქრისტეს ღმრთისაო ანდრია, შეიწირე [მცირე]დი ესე მსახორებაი ჩემგან, ერისთავთ ერისთავისა და მექორჭლეთოხოცესისა აბოლასანისაგან, იობისძისა. [ვეც]ხლითა შეგვედე კობოი ესე შენი... სალოცველად სოლისა ჩემისა და ძმათა... და ელიასათოს“¹. პალეოგრაფიული თვისებებით (მაგ., მრგლოვანი ო-ნი წარმოდგენილია, მართალია მცირედ, მაგრამ მიანც ზემოთკენ აკაუჭებული ხაზით), ეს წარწერა უნდა ეკუთვნოდეს XII ს-ნის მეორე ნახევარს ანდა XIII ს-ნის დასაწყისს.

თამარის პირველ მატიანეში 1185 წლისათვის ეს აბულასანი იხსენიება როგორც „ამირა ტფილისისა და ქართლისა“. ის ყოფილა წარმოშობით „კაცი ვინმე“ და ახლად დაწინაურებული, საფიქრებელია გიორგი III-ის მიერ 1178—1179 წლის ამბების შემდეგ. რადგანაც ერისთავთ-ერისთავის მეჭურჭლეთუხუცესის მიერ წმიდა ანდრიას ხატის მოჭედვა XIII ს-ნის პირველი წლების აქეთ არ შეიძლება გადმოდიოდეს და შესაძლებელია ის XII ს-ნის უფრო ბოლოსაც ეკუთვნოდეს, ამიტომ ტფილისის და ქართლის ამირა აბულასანი და ერისთავთ-ერისთავი მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

თამარის პირველი მატიანე დაწერილია 1194—1195 წელს. ამ დროს რომ აბულასანი ერისთავთ-ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი ყოფილიყო, საეჭვოა, რომ ხსენებულ ავტორს ის, როგორც ვაზირის თანაშემწე, „ვინმე კაცად“ მოეხსენებინოს (ერისთავთ-ერისთავის ტიტულის მქონე მეჭურჭლეთუხუცესი ჯერ მხოლოდ ვაზირის თანაშემწე იყო და არა ვაზირი, ამის შესახებ იხ. გვ. 125). მაშასადამე, ტფილისის და ქართლის ამირა აბულასანის მეჭურჭლეთუხუცესად დანიშვნა 1195 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, კახაბერ ვარდანის

¹ Е. Такайшвили, Археол. экскурсии и заметки, I, 1904 г. зз. 69—70.

ძის შემდეგ და 1198 წლის ახლოს. ამის შემდეგ მას მიუღია მამული ვერეს სოფელში ტფილისთან და იქვე საძვალე მონასტრად ანდრია წმიდის მონასტერი, შემდეგში ლურჯმონასტრად ცნობილი. ამ ლურჯი მონასტრის ეკლესიას აქვს ჩვენი საკითხისათვის მეტად საგულისხმო წარწერა, რომლითაც შემდეგი ირკვევა:

ამის შემდეგ სხვა აბულასანის ძმა ქართლის მთავარეპისკოპოსი ბასილი ანახლებს დანგრეულ ლურჯ მონასტერს. წარწერაში ბასილი მიმართავს მოციქულ ანდრიას, რომლის სახელზე აშენებული იყო ხსენებული ტაძარი; „ცუებრსა ამას გიმკობ საყდარ-სართულსა სამსხემოსა ამას კედარსა შინა (ე.ი. წარმავალს ამ ცხოვრებაშიო)... ხოლო ვაშენე (ტაძარი) ნაცვალსაგებულად ჩემთვის და საყვარლისა ძმისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა, ქართლისა ამირათა ამირასა, რუჟსთავისა და შვიდთა მთელეთთა პატრონისა აბულასანისათვის და უპირმშოვისა ძმის ჩემისა შვილისა დავითისთვის“¹... ამ ტაძრის შემსწავლელს ვახტ. ბერიძეს წამოყენებული აქვს დებულება, რომ ლურჯი მონასტრის შენობა თავდაპირველად გააზრებული და აშენებული იყო როგორც გუმბათიანი ეკლესია. XII—XIII ს-ნეთა მიჯნის ახლოს ანდა XII ს-ნის მიწურულში „ალბათ უფრო ძველი ნაგებობის ნაშთთა გამოყენებით ან მათთვის ანგარიშის გაწყვეით აღმოსავლეთის ნაწილში“² ის კვლავ აუშენებლათ ჩანს, ეს ეკლესია XII ს-ნეზე ადრეც იყო დაახლოებით VIII—IX ს-ნიდან, ხოლო XIII ს-ნის პირველ მესამედში ის დანგრეულა და კვლავ „მკობით უშენებია“ ბასილ მთავარეპისკოპოსს.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით ამ წარწერას, შესრულებულს მრგლოვანი ანბანით, ახასიათებს ო-ნი ქვედა განივი თითქმის სწორი ხაზით, რის გამო წარწერა არ შეიძლება იყოს XII ს-ნის, არამედ უფრო არა უადრეს XIII ს-ნის მეორე მეოთხედისაა. ამიტომ ეს აბულასანი ორი თაობით მაინც უნდა იყოს დაშორებული პირველ აბულასანს. წარწერა ეკუთვნის ქართლის მთავარეპისკოპოს ბასილს. ეს ბასილი წარწერაში იხსენიებს თავის ძმად აბულასანს და კიდევ ასახელებს უფროსი („უპირმშოვისი“) ძმის (ალბათ მიცვალებულის) შვილს დავითს. პირველ აბულასანს კი, ხატის არმიის წარწერის მიხედვით, ჰყავს ძმები (რამდენიმე), რომელთა შორის ყველაზე უმცროსად ელია არის საგულისხმებელი. ცხადია, მეორე აბულასანი უნდა იყოს პირველის შვილის-შვილი (აბულასან იობის ძე, ამისი ძე ალბათ იობივე და ამისი ძე ეს მეორე აბულასანი). ეს აბულასანი (პირველი) ჯერ იყო ტფილისის და ქართლის ამირად.

¹ Е. Такайшвили, Археол. экскурсии и заметки, IV, Т., 1913 г., გვ. 148—157.

² ქართული ხელოვნება, წ. 2, თბ., 1948 წ., გვ. 9—110.

ამ პირველმა აბულასანმა 1184 თუ 1185 წელს დაასახელა თამარის საქმროდ გიორგი რუსი. თათბირზე, გადმოგვცემს თანადროული მემკვიდრე, „გამოვრწმუნებულა ჩვენდა მეტყველი მკვიდრთაგანი ტფილისსა შინა, თავადი და მეფეთმეფისაგან ჯელდასმული ამირად ქართლისა და ტფილისისა სახელით აბულასან“ და სხვ. ეს აბულასანი აქ მოხსენიებულია როგორც „ვინმე“, მაშასადამე, ის არის გიორგი III-ის დროს ახალდაწინაუბრებული.

მეორე აბულასანის ვინაობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს ლურჯი მონასტრის წარწერის დათარიღებას. პლ. იოსელიანისთვის გადაუციათ (თუ თვითონ მას ახალგაზრდობაში გაუკეთებია) წარწერის ბოლო ნაწილი ადრე გადმოწერილი, რომელიც თითქოს ასე თავდებოდა: ქრისტეს აქეთ ჩრლე, თუესა ივლისის იე, ე. ი. 1135 წელს, 15 ივლისს. ცხადია, რომ წარწერის თარიღის ბოლო XIX ს-ნის პირველ მეოთხედში თუ პირველ ნახევარში იკითხებოდა, ამას ამტკიცებს ძვეს და ნიცი დღის მჩვენებელი (15 ივლისი). მაგრამ, ცხადია ისიც, რომ წარწერის გადაწერს წელიწადის მჩვენებელი რიცხვი თვითონ აქვს ქართული ქრონიკონიდან გადაყვანილი ქრისტეს დაბადების სათვალავზე.

ქრონიკონის ბოლო ასო ე წარწერაში უთუოდ ჩანდა. თვით წარწერა დამახასიათებელი ასოების მიხედვით უმთავრესად XIII ს-ნისაა, ამიტომ მისი თარიღი იქნებოდა 445, 455, 465 წლები. ზემოთ ნაგულისხმევი გადამწერი, როგორც ეტყობა, კითხულობდა (1135—780=) 355 ქრონიკონს (ტნე), ამთგან ტ (300) დასმული იქნებოდა მიგნებით (ეტყობა ის უკვე არ ჩანდა), დანარჩენი ორი ასო (ნე) კი ასე თუ ისე ჯერ კიდევ უნდა ყოფილიყო. ამგვარად, წარწერით გამოდის, რომ აბულასანის ძმა ბასილი ქართლის ყოფილი მთავარეპისკოპოსია, ე. ი. სანსაქუჩიდან თავისი ნებით თუ იძულებით გადამდგარი. ამ დროს ის 50—60 წელზე ნაკლები არ იქნებოდა. დაახლოებით მეტნაკლებობით ასეთივე ხნის უნდა ყოფილიყო აბულასანიც. ამის მიხედვით ამ აბულასანის პაპად სეჯღლქნეღელი პირველი აბულასანი 1184 წელს 50 წელზე ნაკლები ხნის ვერ იქნებოდა, მაგრამ არც მეტის, რადგანაც 1200 წლის ახლოს ის 65 წლის ასაკის გამოდის, რაც სავსებით შესაძლებელია. ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ 1235 წელს ქართლის მთავარეპისკოპოს-ყოფილი ბასილი და მისი უმცროსი ძმა ქართლის ამირა აბულასანი მეტნაკლებობით 50—60 წლის ასაკისა უნდა ყოფილიყვნენ. მაშასადამე, 1235 წელს, ლურჯი მონასტრის მშენებლობის რეკონსტრუქცია ქართლის მთავარეპისკოპოს-ყოფილის ბასილის მიერ უკვე დამთავრებულია.

თამარის მეფობის პირველ წელს მექურკლეთ-უხუცესის თანამდებობა თავისი რანგით უდრიდა მსახურთუხუცესის, ჩუხჩარების და ამილახორის თა-

ნამდებობას. ხოლო ცნობილია, რომ მსახურთუხუცესი და ამილახორი ვაზირების თანაშემწენი იყვნენ და ამიტომ ისინი ერისთავთ-ერისთავებიც იქნებოდნენ. დარბაზობის დროს ყველა ესენი ისხდნენ ვაზირის—მანდატურთუხუცესის მარჯვნივ და მარცხნივ. თუმცა ისინი იწოდებოდნენ ერისთავთ-ერისთავებად — ასეთებად იხსენიებიან მეჭურჭლეთუხუცესი აბულასან (ლურჯი მონასტრის ხატის წარწერაში) და მსახურთუხუცესი აფრალონ (ქვემო-ჭინისის წარწერაში), მაგრამ ვაზირები ისინი არ იყვნენ — ვაზირები ერისთავთ-ერისთავებზე მაღლა იდგნენ და ამიტომ ერისთავთ-ერისთავებად არ იწოდებოდნენ. (მსახურთუხუცესი, ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, სავაზიროში შეყვანილ იქნა მხოლოდ რუსუდან მეფის დროს). რაც შეეხება მეჭურჭლეთუხუცესს, ხელმწიფის კარის გარიგება გადმოგვცემს: 1) „დიდი არის მეჭურჭლეთუხუცესი, ათბაგობის დაწყებამდე მეოთხე ვაზირი არის“; 2) „მეჭურჭლეთუხუცესი ძველი ვაზირი არის საბატო“. პირველი ათბაგი იყო ივანე მხარგრძელი, რომელიც ათბაგ-ვაზირად გახდებოდა უფრო 1212 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი.

თამარის მეფობის პირველ წელს ვაზირებისა და სხვა პირთა დანიშვნის დროს მეჭურჭლეთუხუცესობა მიეცა „დიდსა და გვარიანსა კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა“. ეს კახაბერი არაა მოხსენებული გიორგი რუსის სასარგებლოდ მომხდარი აჯანყების მომხრეთა შორის. ასეთად იგი არც უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს მემატიანის მიერ დიდი სიმპათიით მისი მოხსენიება (დიდგვარიანი კაციან). ამიტომ ის ცოცხალი უნდა ყოფილიყო თამარის პირველი მატიანის დაწერისას 1194—1195 წელს და, ალბათ, ცოტა ხანს ამის შემდეგაც, დაახლოებით 1198 წლ. ახლოს.

ამის შემდეგ ერთ ხანს მეჭურჭლეთუხუცესად საგულანხმებელია ხსენებული ქართლის ამირა აბულასანი. ამას შემდეგი მოსაზრებანი გვაფიქრებინებს. თამარის პირველი მემატიანე ქართლის ამირას აბულასანს 1184 წლისათვის აგდებით იხსენიებს როგორც ვინმეს. მეჭურჭლეთუხუცესზე, როგორც ზემოთაც ვთქვით, ის ამას ვერ იტყოდა. მაშასადამე, ქართლის ამირას ადგილზე აბულასანი 1184 წელს შედარებით ახალი დაწინაურებული იყო. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ამ დროს მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირის თანაშემწეა და თავის რანგით ის მხარეების ერისთავთა მაღლა იდგა. მაშასადამე, თუ „ერისთავთ-ერისთავი მეჭურჭლეთუხუცესი“ აბულასანი და ამავე სახელის მქონე ტფილისის ამირა ერთი და იგივე პირია (ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს მემატიანის გამოთქმა „ვინმე“), მაშინ ის ჭერ უნდა ყოფილიყო ქართლის ამირად და მხოლოდ შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესად. ამ მოსაზრებით 1198

1205 წლებში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად ხსენებული აბულასანია საგულისხმებელი. ამიტომაც მისი სახელით დამზადებული წარწერა ხატისა ამ დროისათვის უფრო ძველი სახის ო-ნით არის წარმოდგენილი, ვიდრე ლურჯი მონასტრის წარწერაში.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 1205—1212 წლებში მეჭურჭლეთუხუცესად საგულისხმებელია შალვა თორელი, რომელიც შემდეგ მანდატურთუხუცესად იყო (ალბათ ზაქარია მხარგრძელის სიკედილის შემდეგ, 1212 წელს). ეს შალვა თორელი მოხსენიებულია მეჭურჭლეთუხუცესად განძანის (ჯავახეთში) ზედა ეკლესიის ორ წარწერაში და მანდატურთუხუცესად იმავე განძანის ქვედა ეკლესიის წარწერაში. ის შეიპყრეს გარნისის ომში (1225 წ.) და ერთი წლის შემდეგ მოკლულ იქნა. (ემათა აღმწერელი აშკარად ცდება, როდესაც ამ ხანაში რუსუდანის დროს მანდატურთუხუცესად იხსენიებს შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელს, რომელიც 1222—1225 წლებში 17—20 წლის იყო. 23 წლისაზე ადრე ასაკისას ასეთ დიდ თანამდებობაზე ღაშინ არ დანიშნავდნენ).

შალვა თორელი თამარის და ლაშას დროს მეტად ცნობილი პიროვნება იყო. იშვიათი ვაჟკაცი, საუკეთესო სარდალი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და უმწიკველო პატრიოტი, რომელმაც თავისი თავი ნებაყოფლობით შესწირა კიდეც საქართველოს. ამ შალვა თორელ-ახალციხელის შესახებ განძანის ზედა ეკლესიის ორი წარწერისაგან (ორივეში მეჭურჭლეთუხუცესი შალვაა მოხსენიებული) ერთი იკითხება ასე: „ქრისტე ღმერთო, აღიდე ორთავე შინა ცხორებათა ძლიერი და უძლეველი ყოვლთა მტერთაგან მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალითა ღმრთისაგან და მკლავითა თვისითა შეაძრწუნვა ყოველი საბძანებელი (საბზლი) სპარსეთისა“¹.

შალვას მონაწილეობა შამქორისა და ბოლოსტიკეს ომში მატთანეების მიერ საგანგებოდაა აღნიშნული. ორივე ამ მთავარ ომში, რომელიც მოხდა თამარის დროს 1198 წ. 4 ივნისს და 1200 წლის შემოდგომაზე (მიღებული თარიღები აქ შესწორებულად გვაქვს მოტანილი), ის ცნობილი იყო როგორც ჯავახეთის მონაპირე და იქიდან ლაშქრობათა მომწყობი. იგი სარგის თმოგველთან ერთად კარის (ყარისის) ციხის ანღები იყო. უკვე 48—50 წლის ასაკში შალვა მეწინავე ჯარის სარდალი იყო ჯელალ-ედ-დინთან დიდ ომში გარნისთან, რომელშიც ქართველების მხრივ მონაწილეობდა 70 ათ. მეომარი. ომი წაგებულ იქნა ივანე ათაბაგის მიზეზით, ასე გადმოგვცემს მემატთანე. თვით შალვა კი სპარსელებმა შეიპყრეს და ერთი წლის შემდეგ მოწამებრივად მოკლეს.

¹ ვ. ც. ი. ს. კ. ა. რ. ი. ვ. ო. ლ. ი., „ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო“, თბ. 1959, წ., გვ. 98—99.

შალვა თორელი, როგორც ეტყობა, მონაწილეობდა ლაშას დროს ჩრდილოეთ ირანში მოწყობილ ლაშქრობაშიც. როდესაც კარნუ-ქალაქის ამირასგან შემოხვეწის მიღების შემდეგ გიორგი ლაშა „ჩადგა ბასიანს და მუნ ითამაშეს და გაისვენეს ერთგან“, მაშინ, გადმოგვეცემს ლაშას დროინდელი მემატანე, „აიღო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა ტრმლითა და ომითა მისათხრობელითა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი (ე. ი. მოყმე) და მეომარი“.

როდის შეეძლო შალვა თორელს განძანის წარწერის გამოთქმით შეეძრუნებინა სპარსეთის საბრძანებელი? აქ უნდა იგულისხმებოდეს განსაკუთრებით თამარის დროს 1206 წელს ჩრდილოეთ ირანში მოწყობილი ლაშქრობა, შალვას მონაპირობა, რომელიც გაგრძელდებოდა ლაშას დროსაც, მის მიერ 1211 წლის ახლოს კეჩროლის აღება და სხვა ასეთი საქმეები. განძანის წარწერის ცნობა შალვა თორელის არაჩვეულებრივი გმირობის აღნიშვნით საკსებით უდგება 1206 წლის სამხედრო ამბებს, რომლებშიც შალვა ხელმძღვანელ როლს ასრულებდა.

აღსანიშნავია, ამასთანავე, რომ მეჭუტულეთუხუცესი შალვა განძანის ორსავე წარწერაში არ იხსენიება ერისთავთ-ერისთავად. მაშასადამე, ის უკვე ვაზირია. ჩანს, მეჭუტულეთუხუცესის აყვანა ვაზირის ხარისხში მოხდა 1205 წლის ახლოს ამ თანამდებობაზე განთქმული გმირის შალვა თორელის დანიშვნისას.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ უძველესი ხანიდან (ქსენოფონტის ცნობა) და შემდეგ ფეოდალური ფორმაციის დროს (საბა ორბელიანის ცნობა) მოხუცებულობის დაწყებას ანგარიშობდნენ 50 წლიდან. ამიტომ რიგით მებრძოლად და მეწინავე მხედართმთავრად 50 წლისაზე უხუცესთ ჩვეულებრივ არ იყენებდნენ (საერთო ხელმძღვანელ მხედართმთავრებად კი 50 წლისაზე უხუცესნიც შეიძლება ყოფილიყვნენ).

რუსთაველის ახლო ხანის შესახებ ჩვენ ვიცით შემთხვევა, როცა 1240—1243 წლებში საქართველოს საქმეებში აქტიურად მონაწილეობდა ივანე, იგივე ყვარყვარე ჭაყელ-ციხისჭვარელი, რომელიც ამ დროს 70—73 წლისა მანც იქნებოდა. ეს ივანე-ყვარყვარე იხსენიება პირველად უთანამდებობოდ გიორგი რუსის სასარგებლოდ მოწყობილი აჯანყების დროს, 1190 წლის ახლოს; ამ დროს იგი 23 წლისა მანც იქნებოდა. მაშასადამე, ყვარყვარე დაბადებულა 1167 წლის ახლოს. 1240—1243 წლებში, ის სულ ცოტა 75 წლის უნდა ყოფილიყო. სამცხის სპასალარად ის ამ დროს, თავისი ასაკის გამო, ვერ იქნებოდა. საქმე შემდეგშია.

გიორგი ლაშას დროს განძის ომში 1215 წლის ახლოს, როდესაც ყვარყვარე 50 წლის იქნებოდა, სამცხის ლაშქარს წინამძღოლობდა (მეწინავეობდა) არა ის, არამედ მისი უფროსი შვილი. ხალხი მონღოლების პირველი შემოსევისას 1220 წ. ეს ყვარყვარე იხსენიება არა მარტო სამცხის სპასალარად, არამედ მეჭურჭლეთუხუცესადაც. ჟამთა აღმწერელის ნაწარმოებში ეს ადგილი ახლა ასე იკითხება: „სადა იგი (ე. ი. ომის დროს, 1220 წელს) დიდთა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით ცოცხალი განერა და მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა ძლიერად ბრძოლილი“. ტექსტი უნდა იკითხებოდეს ასე: „სადა იგი დიდთა ივანე ათაბაგი ძლით ცოცხალი განერა სამცხისა სპასალარისა ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა“. ვფიქრობთ, რომ აქ ყვარყვარე თავიდანვე იგულისხმებოდა მხოლოდ სამცხის სპასალარად. მაგრამ, რადგანაც შემდეგ სხვა ადგილებში ჟამთა აღმწერლის ტექსტში ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესად და სამცხის სპასალარადაც იხსენიება, ამიტომ გადამწერმა ჯერ არშიაზე მიაწერა — მეჭურჭლეთუხუცესი და შემდეგ სხვა გადამწერმა ეს სიტყვა თვით ტექსტში შეიტანა უადგილო ადგილას. მაშასადამე, 1220 წელს ყვარყვარე ჯერ არაა მეჭურჭლეთუხუცესად, ის მხოლოდ სამცხის სპასალარია. ყვარყვარე სამცხის სპასალარად და მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება მატიანეში უკანასკნელად 1240 წელს, როდესაც ის სხვა დიდებულებთან ერთად იმერეთიდან თბილისში გადმომავალ რუსუდანს შეხვდა.

მემატიანე ამის შემდეგ კვლავ იხსენიებს სამცხის სპასალარს ყვარყვარეს, რომელიც სხვებთან ერთად შეხვდა იკონიის სასულთნოდან დაბრუნებულ დავით ლაშას ძეს. უმეფობის დროს ის ათი ათასი კაცით შეებრძოლა თურქმანებს. ესევე ყვარყვარე მონაწილეობდა კოხტის თავზე მონღოლთა წინააღმდეგ დაწყებულ შეთქმულებაში და სხვ. როგორც ქვემოთ აქვე ნაჩვენები იქნება, ეს უნდა იყოს ასევე სხვა ყვარყვარე, წინანდელის შვილის შვილი. შოთას საკითხის გადასაწყვეტად (თუ რამდენ ხანს იყო ის მეჭურჭლეთუხუცესად) მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას.

ყვარყვარეს იხსენიებს თამარის მეორე მემატიანეც, რომელიც თვით შოთა უნდა იყოს, მაგრამ იხსენიებს მას მხოლოდ სამცხის სპასალარად და არა მეჭურჭლეთუხუცესად. ამის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ლაშას დროს (და შოთას დროსაც) ყვარყვარე ჯერ არ ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესად და ვერ იქნებოდა ასეთად 1220 წელსაც. ცხადია, რომ მემატიანე, რომელიც გვიანდელი (XIV ს-ის) ავტორია, ყვარყვარეს მეჭურჭლეთუხუცესად ასახელებს შემდგომი დროის მიხედვით, როდესაც ყვარყვარე მართლაც იყო ამ სავაზირო სახელის მქონე.

ამგვარად, სამცხის სპასალარის და მეჭურჭლეთუხუცესის ყვარყვარეს შემდეგ 1241 წლის ახლო დროიდან ვხვდებით უკვე სამცხის სპასალარს ყვარყვარეს, რომელიც ომობს და საერთოდ დიდ მხნეობას იჩენს, რაც შეუფერებელი იქნებოდა. პირველი ყვარყვარესთვის, რომელიც 1240 წლის ახლოს (როდესაც ის უკანასკნელად იხსენიება) 75 წლის მაინც იქნებოდა. მე მგონი ამიტომ, რომ მეორე ყვარყვარე, მხოლოდ სამცხის სპასალარად მოხსენებული, უნდა იყოს პირველი ყვარყვარეს შვილიშვილი და ბექას ძე, რომელიც, 1241 წელს შეიძლება 26 წლის ასაკის ან ოდნავ მეტის იქნებოდა. ამის შემდგომ სამცხის სპასალარის თანამდებობაზე უნდა ყოფილიყო მისივე ძმად საგულეველი სარგისი, რომელიც მატთანში 1240 წლის ახლოს უკვე იხსენიება როგორც მამაცი მხედართმთავარი. სამცხის სპასალარად ის იხსენიება მხოლოდ 1260 წლის ახლოს, როდესაც ულუ-დავითი გადაუდგა მონღოლებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დაახლოებით 1255 წლამდე სამცხის სპასალარად იყო ზემოხსენებული ყვარყვარე, რომლის შემდეგ 1255 წლის ახლო დროიდან ამავე ადგილზე დაინიშნა მისი ძმა სარგისი. ეს სარგისი შემდეგ დამატებით მეჭურჭლეთუხუცესადაც გახდა, ხოლო თავისი სიცოცხლის ბოლო ხანებში მეჭურჭლეთუხუცესობის მაგივრად მან დაიკავა პირველი ადგილი სამეფოში — ის გახდა ათაბაგი (ფრესკული წარწერები). გარდაიცვალა ის 1278—1280 წლების ახლოს მოხუცებული და დამბლადაცემული.

ამ ხანის ჭაყელ-ციხისჯვარელების ვითარება ისახება შემდეგნაირად. ბოცო ჭაყელი სამცხის სპასალარად არის 1180—1195 წლების ახლოს. შემდეგ სამცხის სპასალარად იხსენიება ყვარყვარე ჭაყელი, რომელიც შეიძლება იყო ბოცოს შვილი. ეს ივანე-ყვარყვარე ჭაყელი იხსენიება ჟამთა აღმწერლის მიერ რამოდენიმეჯერ (1240 წლის ახლოს). მას აბუჟეკრ ათაბაგის შამქორთან დამარცხების შესახებ ამბის გადმოკეთეს შემდეგ იხსენიებს თამარის მეორე მემატთანეც, თვით შოთა რუსთაველი. ყურადღებას იქცევს ამასთანავე, რომ თამარის მეორე მემატანეს (შოთა რუსთაველი) ყვარყვარე მხოლოდ სამცხის სპასალარად გამოჰყავს. მაშასადამე, ამ მატანის დაწერის დროს (1222 წლის ახლოს) ყვარყვარე ისევ მხოლოდ სამცხის სპასალარია. გამოდის, რომ სამცხის მთავარი ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესად გახდა მხოლოდ შოთა რუსთაველის სიკვდილას შემდეგ (1224 წლის ახლო დროიდან).

უკანასკნელად მეჭურჭლეთუხუცესად ივანე-ყვარყვარე ჭაყელი იხსენიება 1240 წლის ახლოს. სახელდობრ, ჟამთააღმწერლის მიხედვით, ამ წლის ახლოს რუსუდანმა მონღოლთა ნოინებს ტფილისში გაუფზავნა დავით ნარინი სხვებთან ერთად „სამცხის სპასალარის და მეჭურჭლეთუხუცესის ყვარყვარე.

ციხისჯვარელის“ თანხლებით. ამგვარად, ეს ყვარყვარე მეჭურჭლეთუხუცესადაა 1224 წლის ახლო დროიდან, ვიდრე 1240 წლამდე.

ხოლო როდესაც 1243—1245 წლებში კათალიკოსი არსენი აძლევს სიგელს აბულხოტრისძეს, ამ სიგელს სხვათა შორის ხელს აწერს, როგორც „მოწამე“ მეჭურჭლეთუხუცესი მამურჩა. სიგელს ამტკიცებს რუსუდან მეფე და დავით მეფე, რომელიც უნდა იყოს რუსუდანის შვილი, აგრეთვე კათალიკოსი არსენი. რუსუდანი გარდაიცვალა 1245 წელს. ამიტომ ამ სიგელის დაწერის თარიღად 1243 ან 1244 წელი უნდა მივიჩნიოთ.

დაახლოებით ამავე ხანის არის მიქელ კათალიკოსის მიერ ვაჩე გვარამისძისადმი მიცემული დაწერილი სოფელ ორომაშენის (დმანისის ხევში) მისთვის დამტკიცების შესახებ. სიგელს ამტკიცებს დავით მეფე და მიქელ კათალიკოსი. შემდეგ კი მიყვება სხვა დამტკიცებანი — არსენი კათალიკოსის, ავაგ ათაბაგის და ამირსპასალარის, შაჰნავაზ მანდატურთუხუცესის, იოანე მაწყვერელის, ბასილი ჭყონდიდელის და მწიგნობართუხუცესის, აგრეთვე გამრეკელ მეჭურჭლეთუხუცესის.

გამრეკელი თორელი ცნობილი პირია. უმეფობის დროს 1245 წლის ახლოს მონღოლებმა „ხელთ უდევს (მას) ჭავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე“.

ესევე პირი იხსენიება მარტივად მარტო სახელით როგორც კოხტის თავზე შეთქმულების მონაწილე 1246 წლის ახლოს (რუსუდანი მოკვდა 1245 წელს და შემდეგ ორი წელიწადი საქართველოს მეფე არ ჰყავდა). გამრეკელი მეჭურჭლეთუხუცესად ხელს აწერს კათალიკოს მიქელის მიერ ვაჩე გვარამისძისათვის მიცემულ დაწერილ სოფელ ორომაშენის მისთვის ბოძების შესახებ. სიგელს ამტკიცებს დავით მეფე, რომელიც ერთ მინაწერში მეფეთა მეფის (ე. ი. რუსუდანის) ძედ იგულანსმება. მაშასადამე, თვით სიგელი ბოძებულია კესარიიდან დავით ლაშას ძის გამოსვლამდე, რაც, ქრონიკის ცნობით, რუსუდანის სიკვდილის წელიწადს მოხდა (ე. ი. 1245 წელს). ამიტომ ხსენებული სიგელის მიცემის თარიღი უნდა იყოს 1244 წლის ახლო დრო. მაგრამ ეს არ წყვეტს მეჭურჭლეთუხუცესის გამრეკელის მიერ სიგელის დამტკიცების საკითხს.

მთავარი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ გვარამისძის სიგელის დამტკიცებანი უნდა გაიყოს ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ხვდება დავით მეფის და მიქელ კათალიკოსის დამტკიცებანი, მეორე ნაწილში კი დანარჩენ პირთა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ დავით მეფის მიერ დამტკიცების ხელწერა ძირიანად განსხვავდება ზემოთ ხსენებულ აბულხოტრისძეთა

სიგელზე რუსუდანის ძის დავითის ხელმოწერისაგან, სახელდობრ, ამ უკანასკნელზე ხელმოწერა უფრო ლამაზად და სულ სხვა ხელითა შესრულებული. ამიტომ ექვს გარეშეა, რომ გვარამასძის სიგელზე ხელს აწერს არა რუსუდანის ძე დავით, არამედ ლაშას ძე დავითი, მით უმეტეს რომ სიგელი აღმოსავლეთ საქართველოში გაცემულ მამულს ეხება.

ამასთანავე არსენი კათალიკოსის მიერ გვარამასძის სიგელის დამტკიცებისას თვით სიგელის მიმცემი კათალიკოსი მიქელ უკვე მკვდარი ყოფილა. „ესე ვითა სანატრელსა ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოსს მიქელს გვარამასძე ვაჩე შეუწყალებია და კათალიკე ეკლესიისა მკვდრი დმანისის პირს სოფელი ორომაშენი მისთვის სამამულოდ და საყდრისა სასამსახუროდ უბრძანებია... მე მრწემი სიწმიდისა მათისაი გლახაჲი არსენი ქართლისა კათალიკოზივე ნებითა ღმრთისათა ჩემითაც ქელითა დავამტკიცებ“.

სიტყვით „სანატრელით“ გარდაცვალებული კათალიკოსი იხსენიებოდა. მაშასადამე, არსენი კათალიკოსს სოფელი დაუმტკიცებია მიქელ კათალიკოსის სიკვდილის შემდეგ.

მწიგნობართუხუცესი ბასილ ჭყონდიდელი იმავე სიგელში თავის დამტკიცებას იწყებს ასე: „ესე ვითა ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზსა მიქელს დაუწერია და ზედა ძესა მეფეთა მეფისა დავითს ქელითა მათითა დაუმტკიცებია“.

გამოდის, რომ დამტკიცებათა პირველ ნაწილში დავითი იხსენიება მეფედ, მეორე ნაწილში კი მეფეთა მეფის ძედ. დამტკიცებათა პირველი ნაწილი (მიქელ კათალიკოსის და დავით მეფისა) უნდა ეკუთვნოდეს 1245 წელს (ამ წელს დავით ლაშას ძე გამოიყვანეს კესარიიდან და მცხეთაში გამოაცხადეს მეფედ კურთხევის წესის შესრულებითაც). არსებობს 465 ქრონიკონს (1245 წელს, პიჯრის 642 წელს) ამ დავით მეფის სახელით მოჭრილი ფული. პიჯრის 642 წელი თავდებოდა 1245 წლის 1 აპრილს. მაშასადამე, ლაშას ძის დავითის გამოცხადება მეფედ მოხდა 1245 წლის დასაწყისს და იმავე წელს, კირაკოსის მიხედვით, მოკვდა რუსუდან მეფეც. მაგრამ მალე (საფიქრებელია იმავე წელს) დავით ლაშას ძე გააგზავნეს მონღოლეთს დიდ-ყაენის მიერ მისი მეფობის დასამტკიცებლად.

ამ სიგელის დამტკიცებათა მეორე ნახევარი, ახალი კათალიკოსის არსენის დროს შესრულებული, თარიღდება 1250 წელზე ადრინდელი დროით, რადგანაც ამ წელს გარდაიცვალა სიგელის ერთ-ერთი დამამტკიცებელი ავაგათაბაგი.

არსებობს დავით მეფის სახელით ტფილისში 467 ქრონიკონს (1247 წელს) მოჭრილი ფული მონღოლთა დიდ-ყაენის კუიუკის (1246—1248) მოხსენიებით.

ეს არის დავითის სახელითვე ჰიჯრის 645 წელს (1247 წლის 8 მაისიდან 1248 წლის 28 მარტამდე) ტფილისშივე მოჭრილი ფული. ცხადია, რომ ლაშას ძე დავით 1247 წლის მეორე ნახევარში უკვე საქართველოში იყო. მონღოლეთში წასვლა-წამოსვლაში გზის ჩათვლით მას დაუყვია 1245 წლის მეორე ნახევრიდან 1247 წლის პირველი ნახევრამდის ჩათვლით, ე. ი. სრული ორი წელი.

რადგანაც 1246 წელს გამრეკელი მატიანეში მეჭურჭლეთუხუცესად ჯერ არ იხსენიება, ამიტომ გვარამასძის დაწერილის დამტკიცებათა მეორე ნაწილი შესრულებული უნდა იყოს 1247 წლის დასაწყისის ახლოს. ორივე დავითი (ლაშას ძე და რუსუდანის ძე) ჯერ საქართველოში დაბრუნებულნი არ არიან, ამიტომ არც არის ცნობა დიდ-ყაენის მიერ მეფეებად მათი დამტკიცების შესახებ (1246 წელს ორივე დავით დაესწრნენ კუიუჯ-ხანის ყაენად გამოცხადების ცერემონიას). ამიტომაც, მაშინ როდესაც სიგელის დამტკიცებათა პირველ ნაწილში, რომელიც 1245 წელს ეკუთვნის, დავით ლაშას ძე მეფედ არის მოხსენიებული, მეორე ნაწილში, რომელიც 1247 წლის პირველ ნახევარს უნდა მიეკუთვნოს, იგივე დავით მეფეთ მეფის ძედ იხსენიება.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით გამოდის, რომ აბულახტრისძეთა სიგელზე ხელის მომწერი მამურჩა მეჭურჭლეთუხუცესად არის 1243—1244 წლებში და, როგორც ეტყობა, ის უნდა იყოს ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელის უშუალო შემცვლელი ამ სავაზირო თანამდებობაზე. მამურჩა მეჭურჭლეთუხუცესად ყოფილა შემდგომ წლებშიც, სანამ მას ამ თანამდებობაზე 1247 წელს შეცვლიდა თორელი გამრეკელი.

1258 წელს რკონის სიგელის მიხედვით მეჭურჭლეთუხუცესად არის კახა თორელი. ეს კახა მეჭურჭლეთუხუცესად დანიშვნამდე 1255 წლის ახლოს მატიანეში დასახლებულია ახალქალაქის ერისთავად. კახა თორელი უნდა იყოს ხსენებული გამრეკელის შვილი. მატიანეში ის მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება 1268—1269 წლის ჩახლოსაც.

ამის მიხედვით გამრეკელი თორელი მეჭურჭლეთუხუცესად უნდა ყოფილიყო 1256 წლის ახლო დრომდე. ამ ხანიდან კი მეჭურჭლეთუხუცესად გახდა ახალქალაქის ყოფილი ერისთავი, მის შვილად საგულისხმებელი კახა თორელი (ცოცხალია 1269 წლის ახლოსაც).

ამგვარად, 1240-იან წლებში საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად არიან მამურჩა (1240—1246 წლებში), გამრეკელი თორელი (1247 წლიდან ვიდრე 1256 წლის ახლო დრომდე) და კახა თორელი (1256 წლის ახლო დროიდან ვიდრე 1269 წლის ახლო დრომდე. შეუძლებელია ამიტომ, რომ 1245—1250 წლებში მეჭურჭლეთუხუცესად ყოფილიყო ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი, როგორც ვარაუდობდა პ. ინგოროყვა.

აქედან გამოდის, რომ მეჭურჭლეთუხუცესთა ზემოთ დადგენილ სიაში შეიძლება მხოლოდ ერთი ზარევი ვიგულისხმოთ. ასეთი ზარევი შესაძლოა ვიფიქროთ 1212 წლიდან, როდესაც მეჭურჭლეთუხუცესის შალვა ახალციხელი ზაქარიას შემდეგ იკავებს მანდატურთუხუცესის ადგილს და მის მაგივრად ახალი მეჭურჭლეთუხუცესი ინიშნება. 1220 წელს მეჭურჭლეთუხუცესად ყვარყვარე ჯაყელი იხსენიება, მაგრამ ამ თანამდებობაზე ის საგულისხმებელია უფრო 1224 წლის ახლო დროიდან. 1212—1224 წლების ახლოს მეჭურჭლეთუხუცესად სავარაუდებელია შოთა რუსთაველი¹.

21. იყო თუ არა თბილისის მხარის რუსთავი შოთა რუსთაველის ხელში? ეს რუსთავი 1192 წლის ახლოს ზაქარია მხარგრძელს მისცეს, როგორც ჩანს, არა სამკვიდროდ, არამედ დროებით სამფლობელოდ. ღვთაების მონასტრის (მარტყოფში) 1722 წლის გუჯრის მიხედვით რუსთავში თამარის დროს რუსთავის ეპისკოპოსს ჰყავდა 67 კომლი გლეხი. მაგრამ რუსთავში იყო დიდი ციხე და იყო სხვა მოსახლეობაც. თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც წერილობითი ცნობების გარდა შოთა რუსთაველის შესახებ ზეპირგადმოცემითი მასალებითაც სარგებლობდა, როგორც ვნახეთ, გადმოგვცემდა, რომ შოთა იყო წარმოშობით თბილისის ახლოს მდებარე რუსთავიდან და „მთავარი (ამ) რუსთავისა“-ო.

ღვთაების გუჯარში კახეთის მეფე დავით იმამ-ყული-ხანი 1722 წ. წერდა: „ვინაიდან ბოსტან-ქალაქნი ოდესცა აშენებულნი ყოფილან და ქალაქნი შენებულან, იგი ბოსტან-ქალაქი სამწყსოდ და სამრეველოდ მღთაებისა საყდრისა ყოფილან შეწირული დიდისა და ღვთივ ბრწყინვალისა მეფის თამარის მიერ, რომე რუსთველად (ეპისკოპოსს) ამის მიზეზით უწოდებთან რუსთელისათვის, რომე რუსთავ ამას ალაგსა უქმობენ. ამ ბოსტან-ქალაქსა შინა მამულნი და საყდარნი, მეტოქენი, მღუთაებისა სახელსა ზედა აღშენებულნი, ქონიან გლეხნი სამოცდაშვიდნი და აბრეშუმნი კემწიფით შესავლით თორმეტნი ბათმანი, ხოლო

¹ ჩემს წერილში „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“ (საბჭოთა ხელოვნება, 1961 წ. № 1, გვ. 43—44). ქვეთავში „შოთა როგორც მეჭურჭლეთუხუცესი“ შოთას ყოფნა მეჭურჭლეთუხუცესად ნაჩვენებია იყო 1212—1215 წლების ახლო დროიდან.

6. მოშიაშვილს (ციცქარში, № 9 1965 წ.) წარმოდგენილი აქვს ამ დროის მეჭურჭლეთუხუცესთა სია შემდეგნაირად: აბულასანი 1191 წლამდე, შალვა თორელი არა უგვიანეს, 1205 წლისა, შოთა (თორელი) რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი ხდება არა უგვიანეს 1205 წლისა, ყვარყვარე ჯაყელი 1220—21—1245 წ. მამუჩა (ჯაყელი) და გამრკველი თორელი 1250 წელზე ადრე, კახა თორელი 1260 წლამდე, სარგის ჯაყელი 1260 წლიდან.

ხუთი მის ქალაქით (ე. ი. რუსთავით) ორმოცი ლიტრიანი, ცვილნი ორასი ლიტრა ჩამოსხმულნი. ესრეთ ვიუწყეთ ძველთა მონახულთა მოხელეთაგან და მეფეთა გუჯართაგანცა და ჩვენცა ვითა ვიუწყეთ, აგრეთვე დავწერეთ ამა გუჯართავე შინა, რათა არა უწერლად ყოფამა. დაავიწყოს შვილთა ეკლესიისათა“¹.

ამგვარად რუსთავის ეპისკოპოსს კუხეთის რუსთავში თამარას დროს ჰყავდა 67 კომლი გლეხი.

პლ. იოსელიანის სიტყვით², ქალ. რუსთავი აოხრდა და დაცარიელდა მონღოლების სარდლის ბერქას შემოსვლის დროს 1260 წ. და ამის შემდეგ რუსთავის ეპისკოპოსის კათედრა გადატანილ იქნა მარტყოფში.

ვეფხისტყაოსნის 1927 წლის გამოცემის წინაწერილში მე ვეწერდი შემდეგს: „მე-12 ს-ნეში საქართველოში ციხეები და ქალაქები გაცემოდა საპატივოდ (საპატიოდ) და კიდევ სამამულედ პირველს შემთხვევაში დროებით ან თანამდებობასთან (პატივთან, იგივე ძველი სომხური პატივ—ღირსება) დაკავშირებით, ხოლო მეორე შემთხვევაში სამკვიდროდ, შემკვიდრებით თავისი შვილებისათვის გადაცემის უფლებით. ამასთანავე საპატივოდ გაცემულ ციხე-ქალაქს ჰქონდა სამამულედ გახდომის ტენდენცია, რადგან, ცხადია, ახალი მეპატრონე ცდილობდა ახლად თავისთვის მოპოებული ციხე-ქალაქის თავისი მომავალი თაობისათვის განმტკიცებას, რასაც ხშირად ჰქონდა კიდევ ადგილი, მაგრამ მისი შვილებისათვის ციხე-ქალაქის ხელახლად მეფის მიერ დამტკიცების გზით. ეს იყო იგივე დასავლეთ-ევროპის ფეოდალურ წყობილებაში ცნობილი beneficium, რომელიც განსაზღვრული სამსახურის ჯილდოდ დროებით გაიცემოდა და რომელსაც თავიდანვე ჰქონდა ტენდენცია სამკვიდროდ გარდაქცეულიყო (მე-12—13 ს-ნეში ეს ტენდენცია დას. ევროპაში საბოლოოდ გამარჯვებულა)“³. შემდეგ მე აღვნიშნავდი, რომ „შოთას სახელწოდება უნდა იყოს წარმოებული მისთვის ქალაქ რუსთავის მიცემის შემდეგ, რადგანაც მხოლოდ ეს პუნქტი და არა სამცხის რუსთავი იყო ცნობილი თავისი მნიშვნელობით“³.

საპატივოდ გაცემული სამფლობელოს შესახებ გვაქვს ერთი ასეთი ცნობა. მანდატურთუხუცესმა და ამირსპასალარმა ჭიაბერმა თავისი საპატივო მამულიდან ქალაქ ქინვანში შესწირა შიო-მღვიმის მონასტერს ვაჭრები მიხითარაის-

¹ ს. კაკაბაძე, ისტორიულ საბუთები, I, ტფ., 1913 წ., გვ. 34; ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913 წ., გვ. 64.

² გაზ. Кавказ, 1870, № 131.

³ ვეფხისტყაოსანი, 1927 წლის გამ., შესავალი წერილი, გვ. LXIV და LXVIII.

ძენი დავითის შვილნი ოქროი და მახარა, ბრაჰი და იოანე. ეს ვაჟრები ყოფილან, გვარის მიხედვით, სომხური წარმოშობის, მაგრამ სახელების მიხედვით უკვე წინანდელ თაობებშიც უკვე გაქართველებულნი. ჭიაბერს ეს შეწირულება მოუწყვია „ჟინვანისა (მის ხელთ) ქონებასა შინა“. მაგრამ რადგანაც ჟინვანი მის საკუთრებას არ წარმოადგენდა, ამიტომ ეს შეასრულა „ღმრთისა სწორისა მეფეთა მეფისა თამარისა ბრძანებითა და კითხვითა“. სიგელს ამტკიცებს ამიტომ თამარ მეფეც.

თამარის პირველი მემატიანე (1195 წ. ახლოს) მოგვითხრობს, რომ გიორგი რუსის 1190 წლის ახლოს განდევნის შემდეგ „ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მოუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა“. ამის წინ გარდაიცვალა ამირსპასალარი გამრეკელი თორელი და „თმოგვისაგან კიდე არა დააკლეს შვილთა მისთა“, ე. ი. ყველა მამულები თმოგვის გარდა დაუტოვეს გამრეკელის შვილებს. გამრეკელის შემდეგ ამირსპასალარად დაინიშნა ზაქარია მხარგრძელი, მაგრამ, ეტყობა, არა უცხად. იყო მცირე შუალედი, როდესაც ამირსპასალარის თანამდებობას ღროებით ასრულებდა მანდატურთუხუცესი ჭიაბერი. ეტყობა, ჭიაბერს ხსენებული ვაჟრები შეუწირავს შიომღვიმის მონასტრისათვის ახალმღებული წყალობის გამო ღვთისადმი მადლობის აღსანიშნავად.

ჭიაბერი მონაწილეობდა ბოლოსტიკეს ომში 1200 წელს შემოდგომაზე. „წინამბრძოლებად იყვნენ, — გადმოგვცემს თამარის მესამე მემატიანე, — ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე, დაღათუ მანდატურთუხუცესი იყო, ჭიაბერი და სხვანი თორელნი“. ფრაზა ჭიაბერის მოხსენიებით ხელნაწერში ასეა: „დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო ჭიაბერი“. ცხადია სიტყვა შალვა სავსებით ზედმეტია. აზრი ამ ადგილას ასეთია: თუმცა მანდატურთუხუცესს არ ევალებოდა ლაშქრის წინამძღოლად ყოფნა, მაგრამ ჭიაბერი მაინც იყო. სიტყვა შალვა ჩამატებულია თავიდანვე რაღაც შემთხვევითი გაუგებრობის გამო.

როგორც ეტყობა, ჭიაბერი 1201 წელს ჩამოშორდა მანდატურთუხუცესობას, რადგანაც სწორედ 1201 წლიდან, სომხური წარწერების მიხედვით, ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარობასთან ათავსებს მანდატურთუხუცესობასაც.

რაც შეეხება წარწერას ლურჯი მონასტრის შესავალში აბულასან ქართლის ამირას მოხსენიებით, მისი ქრონიკონი XIX ს-ნის პირველ ნახევარში ნაწილობრივ იკითხებოდა, როგორც ნაჩვენები იყო, თითქოს 1135 წლის 15 ივ-

ლისის შესატყვისად. 1135 წელიწადი წარწერაში, რასაკვირველია, არ იქნებოდა, მაგრამ შესაძლებელია იყო 455 ქრონიკონი (უნე) ანუ 1235 წელი. მაშინ მივიღებთ რუსთავის საპატივო მფლობელობის შემდგომ სურათს: 1192 წელს ან ამის ახლოს „შვიდი მთიულეთი“ ეჩინვანითურთ მიეცა საპატივოდ მანდატურთუხუცესს ჭიაბერს. ჭიაბერი გარდაიცვალა 1201 წლის ახლოს, რადგანაც 1201 წლიდან სომხურ წარწერებში მანდატურთუხუცესად იხსენიება ამირსპასალარი ზაქარია (ამას სიკვდილამდე ორივე სავაზირო თანამდებობა ჰქონდა).

თამარის მესამე მატანის სიტყვით, განდგნენ დიდონი და ფხოელნი. აჯანყება ჩააქრო ივანე ათაბაგმა. ამ აჯანყების ჩასაქრობად მოუწოდეს „ყოველთა მთულთა — დვალთა (იგულისხმებიან მდრან-დვალეთ ის ან დიდი ლიახვის სათავეების ოსები) ცხრა ზმელთა, მოჭევეთა, ჭადელთა, ცხავატელთა, ქართალთა (ამათი ქვეყნის სამხრეთ ბოლოში იყო ეჩინვანი), ერწო-თიანელთა“. გამოდის სწორედ შვიდი ერთეული, ესენი შეადგენდნენ, როგორც ეტყობა, შვიდ მთიულეთს.

ჭიაბერის სიგელს შემდეგ ამტკიცებენ ეჩინვანის და „მრავლის მთიულეთის“ ახალნი მჭირავნი: 1) „მე შოთაი ჩემსა ეჩინვანის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა ამასა შიგა სწერია“. ფიქრობდნენ თავდაპირველად ამ სიგელის პირველი გამომცემელი თედ. ჟორდანიია (ქრონიკები, 1892 წ., გვ. 278) და შემდეგ სხვებიც, მათ შორის მეც (ვეფხისტყაოსანი, 1927 წლის გამოცემა, შესავალ წერილში), რომ ეს შოთა უნდა იყოს შოთა რუსთაველიო. ყოველ შემთხვევაში ეს შოთა ჭიაბერის შვილი არაა, რადგან მაშინ ის ასეთად მოხსენიებული იქნებოდა.

სიგელის შემდგომი დამამტკიცებელი არის ავაგ ორბელი და ავაგის მოწმედ კიდევ ენე ორბელი. ვინ არიან ეს ავაგ და ენე — აშკარად ძმები ორბელეები, რომელნიც ეჩინვანს ფლობენ?

სტეფანოს ორბელეანის მიხედვით, თამარის დროსვე ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა მოაყვანინეს სპარსეთიდან 1178—1179 წლის აჯანყების შემდეგ გადარჩენილი ელიკუმ ორბელის მცირეწლოვანი შვილი ლიპარიტი და დაუწყეს ზრდა. ლიპარიტს დაუმტკიცეს სამფლობელო და მამულები სომხეთში და შემდეგ მთელი მხარეც სივნიეთი, მაგრამ ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გიორგი ლაშას დროს საქართველოსთან შემოერთებულ იქნა ეს მხარე (1211 წელს). ამგვარად, ლიპარიტის მოყვანა საქართველოში 1200 წლის შემდგომ ახლო დროს უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო სამფლობელოები მას დაუმტკიცდა სომხეთში 1210—1211 წლებში.

ლიპარიტს ჰყავდა ხუთი ვაჟიშვილი: ელიკუმ, სუმბატ, ივანე, ფაქარადავლა და ტარსაიკი. ლიპარიტის ამ შვილთაგან სუმბატი ლაპარაკობდა ხუთ ენაზე: სომხურ, ქართულ, უიგურულ, სპარსულ და მონღოლურ ენებზე. ის იყო უკვე 1250-იან წლებში ცნობილი პიროვნება, რომელიც გარდაიცვალა 1273 წელს ღრმად მოხუცებული (78 წლის მაინც). ის დიდ სამსახურს უწევდა საქართველოს სამეფოს, რომლის ქვეშევრდომიც იყო. ელიკუმს, რომელიც ძმებში უფროსი იყო, ჰყავდა ერთადერთი ვაჟი ბურთელა, რომელიც ახალგაზრდა მოკლეს ომში 1261 წ. მონღოლების ჯარში. რაც შეეხება სუმბატ ორბელს, თვითონ ის უშვილოდ მოკვდა. ივანეს დარჩა შვილა ლიპარიტი, ხოლო ძმებს შორის უმცროსს ტარსაიკს 4 ვაჟი და სამი ქალი. ლიპარიტ ივანეს ძისგან და ტარსაიკის შვალთაგან წარმოაშენენ XIII—XIV ს-ნის სომეხი მფლობელი ორბელეანები. არსად მათ შორის ავავ და ენე ორბელეები სტეფანოს ორბელეანს ნაჩვენები არ ჰყავს.

მაგრამ ზემოთმოხსენებულ ლიპარიტს — ივანეს ძმას, ელიკუმის გარდა, სტეფანოს ორბელეანისავე სიტყვით, ჰყავდა მეორე შვილა, სახელით ივანე, რომელიც შემდეგ განძაკის (განჯის) ამირასთან ცხოვრობდა, სადაც ჰქონდაო დიდი სახელი და პატივისცემა. „შემდეგში ქართველებმა შესძლეს ბევრი თხოვნით და ფიცის დადებით მისი გაწვევა სამშობლოში, სადაც მისი სამკვიდრო მამულებიდან დაუბრუნეს მას მხოლოდ ციხე ორბეთი. მისგან დაიბადა ორი შვილი, რომელნიც ახლა (1297—1299 წლების ახლოს) არიან ორბელთა გვარის წარმომადგენელი“—ო (სტეფანოსი). მეტს ორბელთა ამ შტოს შესახებ სტეფანოსი არას გადმოგვცემს. ეს უნდა აიხსნებოდეს იმით, რომ ეს ივანე და მისი ჩამომავალნი დაუბრუნდნენ დიოფიზიტობას, და ამიტომ სტეფანოსს, როგორც სომხური შეგნების პირს, მათა ბედი არ აინტერესებდა.


სტეფანოსის ცნობის მიხედვით ჯერ უნდა დაბრუნებულაყო საქართველოში ელიკუმის უფროსი შვილი ლიპარიტი, რომელიც მძევლად იმყოფებოდა ნახიქევანში. ეს მოხდა თამარ მეფის და გიორგი ლაშას დროს ივანე მხარგრძელის მცდელობით, მაშასადამე, საფიქრებელია, 1205 წლის ახლოს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მომხდარაყო ივანე ლიპარიტის ძის გამოწვევა 1210-იან წლებში. მაგრამ ამ ივანეს ორი შვილი არ შეიძლება XIII ს-ნის მიწურულში ორბელთა ამ შტოს უშუალო წარმომადგენელი ყოფილაყენენ. მატთან იხსენიებს 1240-იან წლებისთვის გამრეკელ ორბელს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ წამყვან წარჩინებულ პირს. ეს გამრეკელი უნდა იყოს ხსენებული ივანეს შვილი და ამისი შემდგომნი უნდა იყვნენ კიაბერის სიგელზე ხელისმომწერნი შოთა, ავავ და ენე ორბელნი. ამათგან კიაბერის სიგელის მინაწერში

ავაგ და ენე ორბელებად არიან მოხსენებულნი, ხოლო შოთა უნდა იყოს მათი მამა. ჟინვანი კი ყველა მათი დროებითს სამფლობელოს შეადგენდა.

ამგვარად ჟინვანი და ალბათ მასთან ერთად „შვიდი მთიულეთის“ ნაწილი მაინც 1190—1202 წლების ახლოს ჭიაბერის ხელში იყო. ხოლო ამის შემდეგ ის გადავიდა აბულასანის მამის და შემდეგ თვით ამ აბულასანის მფლობელობაში ვიდრე 1250 წლის ახლო დრომდე. ამ დროს ჟინვანის და მთიულეთის მფლობელად გახდა შოთა ორბელი და მის შემდეგ მისი ორი შვილი ავაგ და ენე ორბელები.

ორბელთა ორი შტოს გენეალოგია XIII ს-ნეში იხატება შემდეგნაირად:

ივანე ორბელის ძმა ლიპარიტი



ამის მიხედვით ჩანს, რომ ჭიაბერის სიგელზე ხელისმომწერნი შოთა და მის შვილებად საგულისხმებელნი ავაგ და ენე არიან XIII ს-ნის მეორე ნახევარში მოღვაწე პირნი. ჟინვანი „შვიდი მთიულეთით“ ყოფილა დროებითი და არა სამამულე სამფლობელო და ამიტომ ის ადვილად გადადიოდა ერთი გვარიდან მეორე გვარის ხელში.

1235 წელს, როგორც ლუჩაი მონასტრის წარწერიდან ჩანს, ქალ. რუსთავი უკვე თბილისის და ქართლის ამირას აბულასანის მფლობელობაშია. ვფიქრობთ, რომ ის რუსთავს საპატივო სამფლობელოდ მიიღებდა ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ, ე. ი. დაახლ. 1212 წლიდან, ხოლო შვიდ მთიულეთის მას შემდეგ, რაც ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ ივანე ათაბაგმა ზაფხულის თვეებში ჩააქრო დიდოელთა და ზოგ სხვა მთიელთა აჯანყება. ეს უნდა მომხდარიყო 1213 წელს.

ტფილისის და ქართლის ამირა აბულასანი 1184 წელს იხსენიება როგორც

„ვინმე“, მეფეთ-მეფის (ე. ი. ამ შემთხვევაში გარდაცვალებული გიორგი III-ის) მიერ დაწინაურებული ტფილისის და ქართლის ამირას თანამდებობაზე. შემდეგ, როგორც ვნახეთ, ეს აბულასანი 1197 წლის ახლოს გახდა მეჭურჭლეთუხუცესად. თითქოს უკვე 1212 წელს ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ, აბულასანის შვილს, პირობით იობის სახელით საგულისხმებელს (აბულასანი ამ დროს ნამდვილად ცოცხალი არ იქნებოდა), მისცეს საპატივოდ რუსთავი, ხოლო 1213 წელს მასვე მისცეს „შვიდი მთიულეთი“. შესაძლებელია, რომ 1213 წელს რუსთავი და შვიდი მთიულეთი მიეცა პირდაპირ აბულასან იობის ძეს, რომელიც ლურჯი მონასტრის წარწერაში 1235 წელს ქართლის ამირათა-ამირად არის დასახელებული.

ჟინვანის და შვიდი მთიულეთის, აგრეთვე ქალაქ რუსთავის მფლობელობის დაკავშირება შოთა რუსთაველთან ხდებოდა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცოდით ლურჯი მონასტრის წარწერის ნამდვილი თარიღი. ხოლო რადგანაც ამჟამად ირკვევა, რომ ეს წარწერა 1235 წელს უნდა მიეკუთვნოს, ირღვევა მთელი ეს თეორია ჟინვანის (მთიულეთითურთ) და ქალაქ რუსთავის მფლობელობის დაკავშირების შესახებ შოთა რუსთაველის სახელთან.

ამგვარად, ქალაქი რუსთავი არ ყოფილა შოთა რუსთაველის თუნდაც დროებით მფლობელობაში და არ ყოფილა მის ხელქვეით აგრეთვე „შვიდი მთიულეთი“.

22. მთავარეპისკოპოსის გრიგოლ დრანდელის საკითხი. ჯვარის მონასტრის იმ სვეტის მეორე მხარეს, რომელზედაც შოთას პორტრეტია, მოთავსებული იყო გრიგოლ დრანდელის (დრანდის მთავარეპისკოპოსის) სურათი. დრანდის მონასტერი მდებარეობდა ცხუმის აღმოსავლეთით დაახლ. 18 კმ-ზე ზღვის სანაპიროდან. ალ. ცაგარელს ამ სურათის წარწერა ასე აქვს მოცემული: „ამისა დამხატავსა პატ(ა)რადესა დრანდელ მთავარეპისკოპოსს გბლს და მისთა დედამათა შეუნდვენ ღმერთმან, ამინ“. მოსახსენებლებში კი (306, ტიშენ. 3) დადებულია აღაპი და წირვა გრიგოლ დრანდელ ეპისკოპოსისათვის. ელ. მეტრეველი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ქარაგმით დაწერილი სახელის განახლებისას შემდგომ დროში მრგლოვანი გ ადვილად შეიძლება შეცვლილიყო ასობ-დ, ასე რომ სახელი გრიგოლ (გ'გლ) შეცდომით შეცვლილ იქნა სახელით გაბრიელ (გ'ბლ)¹.

¹ ელ. მეტრეველი, „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, გვ. 54, შედ. შემდეგ პ. ინგოროყვა, „რუსთველიანას ეპილოგი“, მნათობა 1963 წ., № 7, გვ. 162.

გრიგოლ დრანდელი ალაპის ჩანაწერში იხსენიება ეპისკოპოსად, ხოლო ფრესკაზე კი — მთავარეპისკოპოსად შეიძლება იმიტომ, რომ ჯვარის მონასტერში თავისთვის მან დააწესა ალაპი მაშინ, როდესაც ის მხოლოდ ეპისკოპოსი იყო, ხოლო იერუსალიმში ჩავიდა და ჯვარის მონასტრას მოხატვაში მონაწილეობა მიიღო უკვე მთავარეპისკოპოსობის დროს.

ყურადღებას იქცევს ამასთანავე, რომ ეს გრიგოლ დრანდელი გვარად ყოფილი პატარასძე, ცხადია, არის იგივე პატარაია, ტომობრივად, მეგრელი პატარაიების გვარის საბინადრო არის სოფ. ბანძა. ამ საუკუნის დასაწყისში ისინი ამ დიდ სოფელში ცხოვრობდნენ ცალკე უბნად, რომელსაც ერქვა ლე-პატარავე, ი. ი. საპატარაიე. გადაჭიმული იყო მათი უბანი ურიაკარიდან (ეს იყო სოფლის ცენტრალური ნაწილი, სადაც ცხოვრობდნენ ურები და იქვე იყო ბაზარი) ვიდრე მდ. აბაშამდის ორი კ-მის სიგრძეზე. პატარაიები იყვნენ გლეხები და შეადგენდნენ რიცხვით მთავარ გვარს ბანძაში. მეორე გლეხური გვარი ბანძაშივე, ისიც ცალკე უბნად, რიცხვით პატარაიებზე ნაკლებია.

პატარაიები არიან აგრეთვე გურიაში სოფ. ჩიბათში, მაგრამ გადმოცემა არას ამბობს მათი წარმოშობის შესახებ. პატარაიების უბნის სახელს ბანძაში აქვს სვანური თავსართი ლე-, რომელიც შემონახულია ოდიშის მთიან ნაწილში. ბანძა კი დაბლობში მდებარეობს, რაც იმის მაჩვენებელია უნდა იყოს, რომ პატარაიები ბანძის ძველისძველი მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ. თვით სიტყვა პატარა, რომლისგან წარმოებულა ამ გვარის სახელი, არაა არც მეგრულ-ქანურში და არც ძველქართულ ლატერატურულში (მეგრულშია ჭიჭე, ძველქართულ სამწერლობოში — მცირე). მაგრამ ეს სიტყვა მაინც უნდა ყოფილიყო ძველ ქართულ კილოებში. იმერულში, რომელიც წარმოიშვა ქართლურის შესახვედრზე მეგრულთან, სიტყვა პატარა ჩვეულებრივია. ამიტომ საფიქრებელია, რომ უძველეს დროში ის საერთო უნდა ყოფილიყო მეგრულ-ქართლურისთვის.

როგორ მოხდა რომ გლეხური გვარიდან გრიგოლი გახდა დრანდის მთავარეპისკოპოსად? ის არ იყო აზნაური, მაგრამ შეიძლებოდა ყოფილიყო მსახურის ოჯახიდან, ხოლო მსახური მდგომარეობით მიახლოებული იყო ჩვეულებრივ აზნაურთან. მსახურის ოჯახიდან გამოსული ნიჭიერი ბერი, რასაკვირველია, შეიძლება გამხდარიყო მთავარეპისკოპოსი.

თუ შოთას დედა მართლაც მეგრელი იყო, შესაძლებელია რომ ეს დრანდელი მთავარეპისკოპოსი იყო შოთას ბიძაშვილი (დედით), რომელიც შოთამ გამოახატინა კიდევ თავისთან ერთად ერთ სვეტზე. არაპირდაპირ ეს გარემოებაც ამოწმებს ვარაუდს შოთას დედის წარმომავლობის შესახებ ოდი-

შიდან. ჩანს, რომ შოთას თან წაუყვანია იერუსალიმში თავისი მოხუცებული ბიძაშვილი დრანდელი გრიგოლი.

ჩვენ განვიხილეთ 1) საკითხი შოთა რუსთაველის დაკავშირების შესახებ თბილისის გარემოს ქალაქ რუსთავეთან, 2) საკითხი შოთა რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ. ახლა გადავდივართ თვით პოემა ვეფხისტყაოსნის წარმომავლობის საკითხზე, როგორც სიუჟეტის რაობის, ისე მისი დაწერის თარიღის თვალსაზრისით.

III

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმომავლობის საკითხი

23. სიუჟეტის საკითხი ლიტერატურაში. ქვემოთ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხის გარჩევისას მოყვანილი იქნება ფაქტები მსოფლიო ლიტერატურიდანაც იმის საჩვენებლად, რომ ამა თუ იმ ავტორის მიერ სიუჟეტის სესხების საკითხს მარტივად უყურებენ და არაფერი სააუგო ამაში არ ითვლება, რადგანაც მთავარი მწერლობაში იყო და არის ავტორის მხატვრული გემოვნება და შემოქმედების სიძლიერე. შექსპირის ყველა სახელოვან და თვით გენიალურ ნაწარმოებთა სიუჟეტები ნასესხებია და შექსპიროლოგია, რომელიც უზარმაზარი რაოდენობის ლიტერატურას მოიცავს, ერთ-ერთ თავის მთავარ მოვალეობად ისახავდა შექსპირის ნაწარმოებთა სიუჟეტების რაობისა და წარმოშობის გარკვევას. ერთი მისი კომედიის „ორი ვერონელის“ შესახებ კომენტატორებმა ვერაფრის გზით ვერ შესძლეს სიუჟეტის წარმოშობისათვის მიეგნოთ და მხოლოდ ამიტომ შექსპირის ეს მეორეხარისხოვანი კომედია ორიგინალური სიუჟეტის მქონედ იყო მიჩნეული.

საერთოდ სხვისი სიუჟეტების განმეორება ანდა სიუჟეტის სესხება მსოფლიო ლიტერატურაში ძველად წარმოადგენდა ჩვეულებრივ მოვლენას. საკითხი ის იყო მხოლოდ, თუ რამდენად ორიგინალურ ნიქს და შემოქმედების უნარს გამოიჩენდა წინანდელი სიუჟეტის გადამუშავებისას ესა თუ ის ავტორი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტის სესხება ან გამოყენება გავრცელებული იყო და ძლიერადაც ჩინურ, იაპონურ და ინდოეთის ლიტერატურაშიც. დას. ევროპაში კლასიციზტები XVII—XVIII ს-ნეში პირდაპირ იმ შეხედულებისა იყვნენ, რომ საჭიროა მიბაძვა ბუნებისადმი (ეს იყო არისტოტელეს ძველი თეზისი), ხოლო აქედან გამომდინარე სილამაზის ცნების უკვდავება. ამ ხანის მწერლები დას. ევროპაში თავიანთი შემოქმედებისათვის თემებს იღებდნენ ანტიკური ხანისა და სხვა დროის ნაწარმოებთაგან და ამუშავებდნენ მათ. დიდი მწერლები ამ სახითაც გამოხატავდნენ თავიანთ ეპოქას, როგორც მაგ., ფრანგი რასინი (1639—1699) ასეთი საშუალებით ასახავდა ლუდოვიკ XIV-ის ხანას. იგივე მომენტი რუსთაველის შესახებ თამარის ხანის მიმართ აღნიშნული

ჰქონდა, როგორც ენახავთ, არტ. ზუტენის. რასაკვირველია, ორიგინალური შემოქმედებით და ინდივიდუალობით დიდი ნაწარმოებები ადვილად გაირჩეოდნენ მიმბაძველ, ეპიგონურ და სუსტ ნაწარმოებთაგან.

წინა რომანტიკოსების (მაგ., ჰერდერის, 1744—1803 წწ.) ხანიდან და უფრო კიდევ რომანტიკოსი მწერლების დროს დას. ევროპაში გაჩნდა ახალი ცნებანი პლაგიატის და სესხების უარყოფითად შეფასების შესახებ, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში სესხების ფაქტები კვლავ მეორდებოდა. ასე, მაგ., გოეთეს ფაუსტი, რუსულ ლიტერატურაში ეუკოვსკი, არაკების ავტორი კრილოვი, რომელნიც თავიანთ ნაწარმოებთათვის სესხულობდნენ სიუჟეტებს, მაგრამ ეს იყო უკვე გამოწკლასი. არა თუ სიუჟეტის სესხებას ნაწარმოების ორიგინალობისათვის არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, არამედ პირდაპირ თარგმნასაც, როდესაც ის შესრულებულა მაღალნიჭიერად. მაგ., ეუკოვსკის მიერ თარგმნილი ზოგი რამ თარგმანის დროს გადაკეთებულა იმდენად, რომ ააშკარავენს მთარგმნელის ორიგინალურ ნიჭს. ასეთი თარგმანი, რასაკვირველია, შორს არის პქარედისაგან. მაგრამ მაინც ბურჟუაზიულ ხანას საერთოდ მწერლობაშიც ახასიათებს ინდივიდუალიზმის განვითარება და ამ გარემოებამ წარმოშვა უარყოფითი შეხედულება სიუჟეტის სესხებაზე, წარმოიშვა აგრეთვე პლაგიატის ცნებაც. უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიულ ხანაშიც მწერლები ღებულობდნენ სხვებისგან ცალკე სცენებს და ცალკე ლექსებსაც. ცალკე ადგილების სესხებას მიმართავდნენ XIX ს-ნეში, მაგ., დიუმა-მამა, ზოლა და სხვები.

საყურადღებო აზრები მსოფლიო ლიტერატურის მიმართ სიუჟეტების საკითხში გამოთქმულ და განვითარებულ იქნა 1961 წ. 4 მაისს ლენინგრადში შემდგარ დიდ დისკუსიაზე აკად. მ. ყირმუნსკის მოხსენების გამო. ამ დისკუსიის ზოგიერთი ღებულება გამოყენებულია ზემოთ ნათქვამში და ააშკარავენს იმ უდავო ფაქტს, რომ სიუჟეტის ორიგინალობას თუ სესხებას ლიტერატურული ნაწარმოების შესაფასებლად თავისთავად არ აქვს არავითარი მნიშვნელობა.

კერძოდ წინა-აზიის ლიტერატურათა შესახებ ვეფხისტყაოსნის 1927 წლის ჩემი გამოცემისვე შესავალ წერილში (გვ. XXXI) ეწერა, რომ „ერთი და იგივე სიუჟეტის რამოდენიმე პოეტის მიერ გამოყენება საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო სპარსულ ლიტერატურაში. იუსუფ და ზულეიხას რომანი ფირდოუსის შემდეგ და მისი მიბაძვით საუკუნეების სიგრძეზე მრავალჯერ იქნა სხვადასხვა პოეტების მიერ ხელახლა გამოყენებული, ასევე უნსურის ვამიყ და აზრას რომანი და თვით ნიზამის ლეილა-მეჟუნიაჩი. იუსუფ და ზულეი-

ხას ფაბულა მხოლოდ ძველ სპარსულ ლიტერატურაში გადამუშავებულ იქნა 13-ჯერ, ვამიყ და აზრასი 7-ჯერ, ლეილა-მეჩუნუნიანი 18-ჯერ“. მაგრამ სინამდვილეში არც ეს რიცხვები ყოფილა საკმარისი.

უქანასკნელი ცნობის მიხედვით (აგაპ სირრი ლევენდი, ლეილა და მეჩუნუნი არაბულ, სპარსულ და თურქულ ლიტერატურაში, ანკარა, 1959 წ. თურქულად; მოწოდებულია მ. ბელთაძის მიერ) ლეილა და მეჩუნუნის ფაბულა ნიზამი განჯელის, ხოსრევის, ჯამის, მექტების და ჰათიბის შემდეგ სპარსულ ლიტერატურაში გამოყენებულ იქნა 43-ჯერ, ხოლო თურქულ ენებზე 29 მწერლის მიერ. შეგნება იმისა, რომ სიუჟეტის სესხება და თვით დედან-სიუჟეტზედაც მიყოლა თავისთავად ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ესა თუ ის ნაწარმოები არ იქნას მხატვრული თვალსაზრისით განხილული, როგორც დამოუკიდებელი, ფეხს იკიდებს, თუმცა ჯერ სუსტად, ქართული ძველი ლიტერატურის ისტორიაშიც. კ. კეკელიძე თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში 1958 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში წერს, რომ „არ არსებობს ჩვენს ძველ მხატვრულ ლიტერატურაში არც ერთი თითქმის «ნათარგმნი» ძეგლი, რომელიც უცვლელად იმავე სახით იყოს შემოსული, რა სახითაც ის უცხოურ ლიტერატურაში არსებობს. მთარგმნელებს შეაქვთ იმაში ქართული სული და გული, ქართული იდეოლოგია, ქართული ეროვნული შეგნება, ზნე-ჩვეულებანი, ადათები და მსოფლგაგება. ამ ძეგლების ასიმილირება იქამდე მიდის, რომ ეს ძეგლები შეიძლება მიღებულ იქნას ერთ-ერთ თავისებურ, ქართულ, რედაქციად. აქ პოულობს გამართლებას ისეთი სიტყვები ჩვენი ძველი ლიტერატურის ისტორიაში, როგორიცაა „ქართული ვისრაშიანი“, „ქართული როსტომიანი“, „ქართული ბარამიანი“, „ქართული ქილილა და დამანა“ და სხვ.¹

მაგრამ ამ სავეებით სწორი დებულების მიღებასთან საჭიროა მთელი ძველი ქართული ლიტერატურის კურსი ძირიანად გადაკეთდეს. მხატვრული ლიტერატურა უნდა გამოყოფილ იქნას სავეებით ცალკე და „ქართული როსტომიანის“, „ორი ქართული იოსებ-ზილიხანიანის“ (XIV და XVII ს.), „ქართული ბარამიანის“ და სხვათა განხილვის დროს მთავარი ყურადღება მიექცეს ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრულ მხარეს, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს მისი ადგილი ქართული მხატვრული სიტყვის ისტორიაში.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 1.

24. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხი. პოეტის მიერ პოემისათვის თხრობითი ამბავის გამოყენების შესახებ ნათქვამია ხუთჯერ:

1. დაეჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის (ტარიელისთვის) გულლახვარ სობილი, აკამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი (პროლოგი).
2. ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...
ვპოვე და ლექსად გარდავქევი, საქმე ვქენ საქოქმანები (პროლოგი).
3. ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე სახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად (ეპილოგი).
4. დავითის ქნანი ვითა ვთქვენ სიჩაღხე, სიჯაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ჯელმწიფეთანი,
პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვე და ლექსად გარდავქევენ, ამითა ვილაყფეთანი (ეპილოგი).
5. ეს ამბავი დარჩომოდა სარგის(ს) ლექსთა შეუწყობლად
და მე გავლექსეო (ეპილოგი).

ამგვარად შოთას, ხუთჯერ მის მიერვე დამოწმების მიხედვით, ხელთ ჰქონდა ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი პროზული თხრობა („ამბავი“), რომელიც სპარსულიდან ყოფილა ქართულად გადათარგმნილი.

აზრთა განვითარება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის რაობის შესახებ მოდიოდა შემდეგნაირად (ვასახელებთ მხოლოდ მთავარ ავტორებს).

ვახტანგ VI-ემ 1712 წელს პირველად დაბეჭდა მის მიერ დაარსებულ სტამბაში ვეფხისტყაოსანი, რომელსაც დაურთო თავისი კომენტარები. თავის კომენტარებში ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შესახებ ვახტანგი უარყოფს თვით შოთას ცნობას, რომ ამბავი (თხრობა-სიუჟეტი) სპარსულიდან იყო გადათარგმნილი: „ეს ამბავი სპარსში არ არის და სპარსთ კაი მელექსეობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ჯელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა. ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო და უბრძანა მის მდივანს რუსთველს, ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს, სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთავან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება. ამბავიც თვითონ გააქეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძხედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ვსთარგმნეო“.

ამგვარად, ვახტანგ VI-ემ პირველმა წამოაყენა აზრი შოთას ნაწარმოების სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში თეიმურაზი და არჩილი არ უარყოფდნენ შოთას სიტყვების სიმართლეს, რომ ვეფხისტყაოსნის „ამბავი“ სპარსულიდან გადმოთარგმნილი იყო. ვახტანგ მეფე ამას უარყოფს.

XIX ს-ნეში, ახალ პირობებში, პირველი ვრცელი და სერიოზული ნარკვევი ვეფხისტყაოსანს უძღვნა მარი ბროსემ (1830 და 1831 წელს), როდესაც ის ჯერ კიდევ პარიზში ცხოვრობდა. იქ მან ვეფხისტყაოსნის ორი ხელნაწერის საფუძველზე (მოხსენება ამ თემაზე მას წაუკითხავს 1828 და 1830 წლებში პარიზის აზიურ საზოგადოებაში) გამოაქვეყნა ნარკვევები ფრანგულად სათაურით: ძიებანი ქართული პოეზიის შესახებ; შენიშვნა ორ ხელნაწერზე და ნაკრებნი და შენიშვნები ტარიელის რომანის შესახებ.

ამ ნარკვევებში მ. ბროსეს ტარიელის რომანის (ე. ი. ვეფხისტყაოსნის) ავტორად მიაჩნია თამარიანის ავტორი, ე. ი. ჩახრუხაძე. მ. ბროსე აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში სახელები სპარსულია, ამბავი ინდური, გეოგრაფიაც არის ინდური (ჩრდ. ინდოეთის და ზოგი რამ საქართველოსაც), მაგრამ შემოქმედების მხრივ ეს პოემა ქართული ნაწარმოებიაო. პოემის მოქმედი პირნი შეიძლება მიღებულ იქნან როგორც ქართველებად, ისე ინდოელებად და სპარსელებად და ამიტომ ისინი, შესაძლებელია, ავტორის მიერ კიდევ შერჩეული არიან პოეტისათვის ნებადართული ეროვნული სიამაყის თვალსაზრისით¹.

თეიმურაზ ბატონიშვილმა 1843 წ. შეადგინა „განმარტება“ ვეფხისტყაოსნისა. ამ თავის „განმარტებაში“ თეიმურაზ ბატონიშვილი სხვათა შორის წერდა:

„ესე უკვე წიგნი ლექსთანი ვეფხისტყაოსანი ყოველთა ქართველთა სიბრძნის მოყვარეთა შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა ბევრთა თხზულები-საგან არს უმეტეს მოწონებული, ვინადგან ქართულსა ხარაკტერსა ზედა არს შეწყობილი. ხოლო მოლექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვი-სათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი და ჩვეულება გინა ზნეობა. ხოლო აქა სათანადო არს, თუ ვინ იყო იგი და რომელს ეამსა და სადაჲთ და ვითარისა ხარისხისა მექონი...“

„შეთხზა ამან წიგნი ესე შევნიერ ვეფხისტყაოსანი დიდისა მის თვითმპყრობე-ლისა მეფისა და პატრონისა თვისისა თამარისათვის ბრძანებითა მისითა საკამათე-ბლად და შესაქცევად დიდებულისა მის მეფისა თანა მეინახეთათვის მისთა და გამოცდილებისათვის ყოველთა მოყვარეთა პიიტკოსობისათა. ხოლო წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი შეიცავს თვის შორის თუმცაღა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა ქელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა“.

¹ Recherches sur la poésie géorgienne; notice de deux manuscrits extraits du roman de Tariel, Nouveau Journal Asiatique V, Paris, 1830, p. 257—284; 1831, VII, p. 321—372.

თეიმურაზის აზრი შემდეგ განაცრცო დავ. ჩუბინაშვილმა, რომელმაც თავისი ქრესტომათის მეორე ნაწილის წინასიტყვაობაში 1846 წელს გამოსთქვა თავისი შეხედულება ვეფხისტყაოსნის შესახებ.

დ. ჩუბინაშვილის აზრით, თავისი პოემის სიუჟეტი რუსთაველს აღმოსავლეთის ლიტერატურისაგან კი არ აქვს ნასესხები, არამედ აღებული აქვს თამარ მეფის ცხოვრებიდან. ნესტანდარეჯანი უნდა იყოს თვით თამარ მეფე. ნესტანდარეჯანი ერთადერთი ასულია ფარსადან ინდოეთის მეფისა, როგორც თამარი არის ერთადერთი ასული გიორგისა. ნესტანდარეჯანის აღზრდა მინდობილი აქვს დავარს მეფის დას, თამარს ზრდის მამიდა რუსუდანი, რომელიც ოსეთში (?) იყო გათხოვილი. რუსუდანი ერთად ზრდიდა თავისი ქმრის ნათესავს დავით სოსლანს და თამარ მეფეს ისე, როგორც ერთად იზრდებოდნენ ტარიელი და ნესტანდარეჯანი. ჩუბინაშვილს მოჰყავს სხვა პარალელი თამარ მეფის ცხოვრებიდან და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ფაქტებს შორის და პოემაში მოხსენებული ქაჯეთის ციხეს რეალურად უჩვენებს საქართველოს საზღვრებში. თვით პოემაც, ჩუბინაშვილის აზრით, დაწერილია თამარის საქებ-სადიდებლად.

დ. ჩუბინაშვილი ამგვარად უარყოფს ვეფხისტყაოსნის პირდაპირ დამოკიდებულებას, სიუჟეტის მხრივ, სპარსულ რომელიმე ნაწარმოებზე, მაგრამ ამბობს, რომ პოემა დაწერილია აღმოსავლური პოეტური ნიმუშების მსგავსად. ვეფხისტყაოსნის გმირების უმეტესობა ატარებს სპარსულ და არაბულ სახელებსო (მაგ., როსტევან, რამაზ, სარიდან, ფატმან, ფარსადანი და სხვანი). მაგრამ მთავარ გმირთა სახელები — ტარიელის, ავთანდილის და თინათინის — ქართულიაო.

დ. ჩუბინაშვილის აზრი, რომ ვეფხისტყაოსანი სიუჟეტის მხრივ ასახავს თამარ მეფის პირადი ცხოვრების ფაქტებს, ზოგადად დამკვიდრდა ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში. ამ აზრს მიემხრნენ მარი ბროსე და დიმ. ბაქრაძე. თამარ მეფის დროინდელ ისტორიულ საფუძველს ეძებდა ვეფხისტყაოსანში ს. ქვარიაძე¹. მ. ჯანაშვილის აზრითაც² ვეფხისტყაოსანში აწერილია XII საუკუნის ისტორიული ფაქტები, თვით პოემა სარკვე თამარ მეფის დროინდელ პოლიტიკურ ვითარებისა და ამიტომ ვეფხისტყაოსანი შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც მასალა თამარის ცხოვრების შესასწავლად. მ. ჯანაშვილის აზრით, ვეფხისტყაოსანში ორი მოთხრობაა — ქართული (თინათინ-ავთანდილი) და მაჰმადიანურ-თურქული, სპარსული (ტარიელ-ნესტანდარეჯანი).

¹ შოთა რუსთველი და მისი პოემა, მოამბე, 1903 წ., № 7, 8.

² თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი, მოამბე 1905 წ., № 2—6.

არაბეთი ვეფხისტყაოსნისა ეს საქართველოა, ხოლო ინდოეთი კი სამაჰმადიანო ქვეყანა.

ამგვარად განმტკიცდა ის აზრი, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი აღებულია თამარის დროინდელი ისტორიული სინამდვილიდან. მაგრამ შოთა თვით ამბობს, რომ ვეფხისტყაოსანს სარჩულად დაედვა „ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“. შოთას ეს სიტყვები, რასაკვირველია, არ შეესაბამებოდა ზემომოყვანილ უკვე განმტკიცებულს თვალსაზრისს. საჭირო იყო ამ ადგილის პოემიდან უკუდგება და ეს შრომა იტვირთა ალ. სარაჯიშვილმა, რომელმაც გამოაცხადა მარტოოდენ სუბიექტურ მოსაზრებათა გამო ამ ტაეპის სიყალბე¹. დავ. კარიჭაშვილმა კედევ სრულებით უარყო მთელი შესავალი და დაბოლოება ვეფხისტყაოსნისა².

1870 წ. რუს. გაზ. კავკაზში (№ 13) დაიბეჭდა პლ. იოსელიანის წერილი „შოთა რუსთაველი 1174—1212 წწ.“ ამ საქმოდ ვრცელ წერილში ავტორი დიდი აღფრთოვანებით წერს ვეფხისტყაოსნის ავტორის გენიალობაზე, მის მიუწვდომელ პოეტურ შემოქმედებაზე და სხვ. „მგოსანს არ ასვენებდა მუზა, რომელიც მას კარნახობდა სიყვარულის, რაინდული გმირობის და კაცობრიობის სიცოცხლის აზრებს“. ვეფხისტყაოსანი, პლ. იოსელიანის სიტყვით, წარმოადგენს არაბებისგან (!) ნასესხები სარაინდო მოთხრობის მიბაძვას, რასაც ამტკიცებს თვით მისი სახელიც. ცნობილია შაჰნამეს მიხედვით, რომ ძველი სპარსელები უკანასკნელი მათი მეფის დრომდე (VII ს.) ვეფხისტყავით იმოსებოდნენ. თუმცა პოეტი თავის ქმნილებას სპარსულიდან ნათარგმანებად ასაღებს, მაგრამ ამით მას უნდა თავისი გენიოსობის მაღალი მნიშვნელობის შენიღბვა. სინამდვილეში კი ვეფხისტყაოსანი არის ორიგინალური პოემა, როგორც მთლიანად, ისე დეტალებშიც. გენიოსის თვისებაა თავმდაბლობა, რაც სწორედ ჭეშმარიტ სიდიადეს წარმოადგენსო და სხვ.

ნიკ. გულაკმა, კარგად განათლებულმა პირმა და ქართული ენის შემსწავლელმა, 1884 წ. (13 და 20 მარტს) წაიკითხა თბილისში ორი ლექცია ვეფხისტყაოსანზე. ის ეთანხმება დ. ჩუბინაშვილის აზრს, რომ ნესტანდარეჯანი არის თამარი, მაგრამ უმატებს, რომ თინათინის სახითაც შოთას თავის პოემაში გამოყვანილი ჰყავს თამარ მეფე. მისი აზრით, თუმცა პოემის მოქმედება ხდება იდეალურ ადგილებში, მაგრამ ვეფხისტყაოსნის ყოველი არაბი და ინდოელი

¹ ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, მოამბე, 1895 წ. 1896 წ.

² ვეფხისტყაოსანი, წ. კ. საზოგ. გამოცემა, 1903 წ.

ნამდვილი ქართველია, რომ პოემაში მძლავრად შეტანილი ადგილობრივი (ქართული) კოლორიტი პოემის ერთერთ უმაღლეს სილამაზეს წარმოადგენსო.

ნ. გულაკმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე ქალის კულტს ვეფხისტყაოსანში, რომ XII და XIII ს-ნეები წარმოადგენდნენ დას. ევროპაში ტრუბადურების და მინნეზინგერების რომანტიული სიყვარულის უმაღლეს ხანას და უმატებს, რომ არც კლასიკურმა ხანამ ძველი საბერძნეთისამ და რომისამ, არც აღმოსავლეთის ქვეყნებმა არ იცოდნენ ასეთი სიყვარული ქალისადმი, ასეთი ამალღებული თაყვანისცემა, თითქმის მის გაღმერთებამდე. მუსულმანური აღმოსავლეთის ეროტულ ლიტერატურაში ქალი წარმოდგენილია როგორც მამაკაცთან შედარებით უფრო დაბალი არსება. მაჰმადიანური რელიგიური მსოფლმხედველობით ქალი ვერც მოხვდება სამოთხეშიო და სხვ.¹

1884 წელს თავისი აზრი ვეფხისტყაოსანზე გამოთქვა აგრეთვე გერმანელმა (ავსტრიიდან) მწერალმა ბარონმა არტურ ზუტნერმა (ზუტტნერმა). ის და მისი ცოლი გრაფ კანსკის ქალიშვილი ბერტა, რომელიც ძალიან კულტურული ქალი იყო და, როგორც მწერალი, შემდეგ დიდი სახელით სარგებლობდა, 1876 წლიდან 9 წელწადი ცხოვრობდნენ საქართველოში. ისინი დაახლოებულნი იყვნენ ოდიშის ყოფილ მმართველ ეკატერინე დადიანთან, რომელთანაც რამდენიმე ზაფხული გაატარეს კიდეც და იცნობდნენ მაშინდელი ქართველი საზოგადოების ბევრ მოწინავე პირს. მათ შეისწავლეს რუსული და რამდენადმე ქართულიც. არტურ ზუტნერს ეკუთვნის მთელი რიგი ნოველები საქართველოს ცხოვრებიდან.

ზუტნერები იცნობდნენ ვეფხისტყაოსანს ჯერ კიდევ მის გადათარგმნამდე, და ძალზე დაინტერესებული იყვნენ მით. მართლაც, არტ. ზუტნერმა გაზ. კავკაზის მაშინდელი რედაქტორის დაე. ერისთავის წინადადებით დაწერა ფრანგულად წერილი ვეფხისტყაოსანზე, რომლის რუსული თარგმანი დაიბეჭდა გაზ. კავკაზის 1884 წლის სამ ნომერში (28, 30 ნომბრ., 1 დეკ.) სათაურით „უცხოელის აზრი ვეფხისტყაოსანზე“. წერილი წარმოადგენს პოემის სერიოზული შესწავლის შედეგად კულტურული უცხოელის და ისიც მწერლის აზრს შოთას შემოქმედებაზე საერთოდ.

ა. ზუტნერი მეტად მაღლა აყენებს ვეფხისტყაოსანის ავტორის შემოქმედებას და თვლის რუსთაველს მსოფლიო ლიტერატურის გენიოსად.

თავის ამ წერილს, (რომელიც დაიწერა ი. მეუნარგიას მიერ ვ-ტყაოსანის

¹ Н. И. Гулак, О барсовой коже Руставели, тобилиси, 1884. (СМОНПК, IV). გვ. 59.

გადათარგმნის გამო ფრანგულ ენაზე; წერილის ქართული თარგმანი დაიბეჭდა „ივერია“-ში 1884 წ., XI—XII, 68—102) არტურ ზუტნერი ამთავრებდა ასე:

„ვეფხისტყაოსანმა აწარმოვა ჩემზე შთაბეჭდილება მალა-მხატვრულის ქმნილებისა, რომელიც ერთადერთია თავის გვარ! თხზულებათა შორის და მარგალიტით ობოლი, რადგან მე ერთს ადგილსაც ვერ შევხვდი ამ პოემაში ისეთს, რომელიც ამტკიცებდეს ქართველის პოეტის მიბაძვას წინანდელი პოეტებისადმი. თუ ალაგ-ალაგ მას ამოკრებილი აქვს ზოგიერთთა აზრები ძველის ფილოსოფოსებისა, ეს გარემოება სრულიად იმას არ ამტკიცებს, რომ პოეტი ბაძავდა ლათინთა და ბერძენთა მწერლებს. ეს მოწმობს მხოლოდ იმის გონების შემუშავებასა და კულტურასა“.

„რაც შეეხება ხერხს შემოქმედებისას, გრძნობათა კეთილშობილებას, აღფრთოვანებას აზრისას, ქართველთ შეუძლიათ სიამაყით წარმოსთქვან, რომ მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომიროსისა, არც ვირგილიუსისა. იგი პირველიდამ უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთაველისებურია და მხოლოდ რუსთაველისებური“.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შესახებ ა. ზუტნერი წერდა შემდეგს. რუსთაველი თავისს პოემაში ამბობს, რომ ის ემყარება სპარსულ ლეგენდა-თხრობასო. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, როგორც ეს ზოგს ჰგონია, თითქოს ეს გარემოება ამცირებს შოთას შემოქმედებას, გროშადაც არ ღირსო. ვინ არ იცის, რომ, მაგალითად, შექსპირმა თავის ნაწარმოებთათვის სიუჟეტები აიღო ბოკაჩიოსაგან, რომელმაც თავის მხრივ ისინი ისესხა ძველი ქრონიკებიდანო. საქმეა მასალების ხერხიანად გადაშლა და ამის ჯეროვნად შესრულება და არა ის, თუ საიდან არის ამა თუ იმ ნაწარმოების მთავარი იდეა. ეჭვს გარეშეა, რომ რუსთაველის პოემა, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა თავისი ხანა და თავისი ქვეყანა, გამსჭვალული უნდა იყოს თავისი დროის და თავისი ერის სულით, ასე რომ, სადაუ რიც არ უნდა იყოს მისი შინაარსი — სპარსულია ის თუ არაბული და სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს მისი მოქმედება — ინდოეთში თუ სხვა ადგილას, ვეფხისტყაოსანი ყოველთვის იყო და სამუდამოდ დარჩება როგორც ქართული ნაწარმოებიო.

პოემის მთავარ იდეას, წერდა ი. ზუტნერი, წარმოადგენს ამბლლებული, წმინდა და მუდმივი სიყვარული, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს პოემას თავიდან ბოლომდისო.

შემდეგ ა. ზუტნერი ეხებოდა შოთა რუსთაველს, როგორც რომანის შემომღებს და დაასკვნის, რომ ამით მან ერთი საუკუნით დაასწრო ფრანგულ ლიტერატურას, რომელიც ითვლება რომანის ჟანრის პირველ შემომღებადო.

ა. ზუტნერი, სხვათა შორის, აღნიშნავდა ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ მთავარ იდეად ძმადნათესაობასაც და საერთოდ მეგობრის გრძნობის კულტივიზაციას.

ა. ზუტნერის მიერ ვეფხისტყაოსნის ასეთი შეფასება, რომლის მხოლოდ მთავარი აზრებია აქ მოყვანილია, დღესაც შეიძლება ჩაითვალოს შოთა რუსთაველას შემოქმედების შესაფასებლად ზოგადად როგორც სწორი გეზის მიმცემი.

ამ წერალის გამოქვეყნების შემდეგ არტურ და ბერტა ზუტნერებმა სამი თვე გაატარეს ცაიშში იონა მეუნარგიასთან, სადაც ასწორებდნენ იონას მიერ შემზადებულ ვეფხისტყაოსნის ფრანგულ პრაზაულ თარგმანს. თვითონ არტურ ზუტნერმაც გადათარგმნა გერმანულად შოთას პოემა. ამის შესახებ ბერტა ზუტნერი თავის მემუარებში გადმოგვცემს შემდეგს: „ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა მაისში დავბრუნებულაყავით უკან, ავსტრიაში. ქმარმა გადაწყვიტა დარჩენილი სამი თვე მოუნდომებინა ერთნაირი პოემის, რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ქართულიდან გადათარგმნისთვის, ამ მიზნით ჩვენ გადავვლით მეგრულ მცირე სოფელში ნაცნობ მღვდელთან (იგულისხმება იონა მეუნარგის ძამა, დეკანოზი მეუნარგია სოფ. ცაიშში). ეს სამი თვე, რომელაც ჩვენ გავატარეთ მეტად მარტავ საცხოვრებელ პირობებში, სასიამოვნო სამუშაოზე და სასიყვარულო განმარტობაში, წარმოადგენდა თითქოს ჩვენს გამოსათხოვარ კოცნას კავკასიისადმი“¹.

ა. ზუტნერას (ზუტნერას) მიერ შესრულებულა ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანი, ისე როგორც ი. მეუნარგიას ფრანგული თარგმანიც, არ გამოქვეყნებულა და, მგონი, დაკარგულაც უნდა იყოს.

ა. ზუტნერის წერილმა მაინც ვერ იხსნა ვეფხისტყაოსანი ზოგიერთ დამამცირებელი მოპყრობისაგან უმთავრესად სიუჟეტის საკითხის გამო. 1889 წელს იე. ჯაბაძარმა უთრნ. Северный Вестник-ში მოათავსა მეტად ტენდენციური წერილი ვეფხისტყაოსნის შესახებ (წერილის სათაურია Письма о Грузии). ამ წერილში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შოთას ხელთ უნდა ჰქონოდა სპარსულიდან ქართულად გადათარგმნილი სპარსულივე შემოქმედების თზრობა (ასე ესმოდათ ვეფხისტყაოსნის პროლოგის სიტყვები „ესე ამბავი სპარსული“ და სხ.). ამ აზრის მიმდევართა საპასუხოდ ნიკ. ნიკოლაძე მაშინ წერდა, რომ თავისთავად პოემის სიუჟეტის სესხების და თვით გადმოღება-გადმოკეთების საკითხს შოთას შემოქმედების შეფასებისათვის არ აქვს არავითარი

¹ Новое Слово, პეტერბურგი, 1907 წ., აპრილის ნომერი.

მნიშვნელობა, რომ ამის გამო ტყუილებრალოდ ღელავს (როგორც ეს მაშინ მოხდა) ქართველი საზოგადოებამ. ის წერდა:

„Заимствовал ли Руставли канву своей поэмы у персян, или из своей головы сочинил он ее, или хоть слово в слово перевел ее от доски до доски—разве не все равно? Это с точки зрения значения „Барсовой кожи“ в истории грузинской литературы и грузинского развития?”

Что же значит это „заимствование“? Гете, как известно, не из своей головы выдумал Фауста, а целиком заимствовал и имя своего героя, и имена его наперстников, и сюжет своей поэмы, и ее детали из „Подлинной истории тяжких грехов доктора Фауста“, сочиненной Видманом с лишним за три столетия до выхода и свет великого произведения. Таковую-же поэму-трагедию, как и гетевскую, написал о том же Фаусте и под тем же заглавием Марло в дни Елизаветы Английской за два века до Гете. Неужто поэтому „Фауст“ Гете не оригинален, не самобытен, не велик, не бессмертен? Или кому же, в наши дни, не общеизвестно, что Шекспир „заимствовал“ чуть-ли не все свои сочинения из английских пьес, состряпанных до него на основании итальянских и французских новелл? Кто не знает, что знаменитая „Ромео и Джульета“ взята Шекспиром из английской переделки Луиджи да Порты и Бонделло, что „Венецианский купец“ позаимствован из Пекороне и Боккачио, что сюжет „Гамлета“ дан Шекспиру датскими летописями XIII века, что „Король Лир“ переделан из драматических пьес, дававшихся на английских сценах в 1590 г., т. е. за несколько лет до сочинения Шекспиром его бессмертной трагедии?

Мы могли бы продлить этот список, для этого стоило бы только раскрыть труды Франсуа-Виктора Гюго.

Что-же, неужто Шекспир перестает быть всесветным гением перво-классной величины, потому только, что любой гимназист может доказать, что он „заимствовал“ отовсюду сюжеты, собственные имена и детали своих пьес? Думать и утверждать это,—значило бы впасть в колоссальную ошибку, принимая фавулу и внешние стороны сочинений за то, что составляет их существо, величие и силу“ (Новсе Обзорение, 1889 г., № 2022, „Византийские споры“).

შემდგომ წელს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმოშობის საკითხზე ცალკე წერილით გამოვიდა ნ. მარი (მარრი), რომელიც ნდობით ეპყრობოდა პოემის

პროლოგის ცნობას პოემის სიუჟეტის სპარსული წარმოშობის შესახებ. ის წერდა (ვაზ. თეატრი, 1890 წ., № 12, წერილი ვეფხისტყაოსნის გამო):

„კითხვა: ვისი ქმნილებაა ვეფხისტყაოსანი, ერის თუ რუსთველის, უნდოდ აღარის დასმული. თვალსაჩინო საკითხი აქ ეხება თვით შინაარსს. თუ ასეა და ჯერ ვინ დაამტკიცა, რომ რუსთველი ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან არ არის გადმოთარგმნილი? ან ის, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული ქმნილება არის შინაარსის მხრითაც. ვინ დაგვიმტკიცა იმდენად, რომ ახლა მის მეტი საეჭვო და საძიებელი არ გაგვარჩევს რა: მართო რუსთველის შექმნილია პირველიდანვე ვეფხისტყაოსანი, თუ ხალხის, მთელი ქართველი ერისა... მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ამბავი უნდა გაეღეკოს. რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ექარგავ“.

ამგვარად ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმოშობის შესახებ ნ. მარმაშინ ნდობით ეპყრობოდა პოეტის სიტყვებს — „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ეპოე და ლექსად გარდავთქვი“, და ფიქრობდა, რომ სპარსული პოემა შაჰრიარ-ნამე, რომელიც მისთვის მხოლოდ კატალოგებით იყო ცნობილი, უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის პროტოტიპიო. ეს აზრი არ გამართლდა, მაგრამ ნ. მარმაშინი შემდეგაც მაინც ფიქრობდა, რომ რუსთაველს ვეფხისტყაოსნის სპარსული პროტოტიპი ჰქონდა ხელთაო. მხოლოდ 1917 წელს როდესაც ნ. მარმაშინი გამოაქვეყნა გამოკვლევა ვეფხისტყაოსნის შესახებ, ის გადაიხარა ვეფხისტყაოსნის თვითმყოფლობისაკენ, სახელდობრ ის „შესაძლებლად სთვლიდა დაესვა საკითხი პოემის იდეური დამოუკიდებლობის, ადგილობრივი ნიადაგზე თვით მისი წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ“¹. მაშინ ნ. მარმაშინი მიაქცია ყურადღება, რომ თინათინი ქართული სახელია და სინათლის ანარეკლს ნიშნავსო. ავთანდილიც ქართული ხალხური სახელი ჩანს, ხოლო, თუ ეს სახელები (თინათინ-ავთანდილ) სპარსულია, მაშინ მათ სახე უცვლიათ ქართულ ხალხურ ნიადაგზედაო².

თავისი საბოლოო სიტყვა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შესახებ ნ. მარმაშინი გამოთქვა 1928 წელს შრომაში *La langue géorgienne*. აქ ის ეხებოდა ქართული კულტურის წარმოშობის პრობლემას საერთოდ, ხოლო კერძოდ ვეფხისტყაოსნის შესახებ შემდეგს წერდა: „ქართული მწერლობის შესახებ დრო-

¹ Груз. поэма Витязь в барсевой шкуре, ИАН, г., 1917 г., გვ. 424. შეად. ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის გამ., 1927 წ., გვ. CXXVIII.

² ი ქ ე ე, გვ. 427.

თა განმავლობაში შემუშავდა თეორია, რომლის მიხედვითაც ეს მწერლობა და საერთოდ კულტურა დაიბადა და განვითარდა უცხო გავლენის ქვეშ, სახელდობრ: ქართული სასულიერო კულტურა მოდიოდა ქრისტიანული ქვეყნებიდან (სომხეთი, სირია, საბერძნეთი და ქრისტიანული არაბეთი), ხოლო საერთო — ირანული და მაჰმადიანური ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ირანიდან.

„ეს თეორია გადმოღებისა და უცხო წარმომშობ ძალებისა დაინგრა. ამის საუკეთესო მაგალითი გახლავთ ქართული ლიტერატურის უდიდესი პოემა გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი. ეს გახლავთ ქრისტიანული საქართველოს უაღრესად აყვავების დროს მეტეორიკით გამოჩენილი პოემა, რომელსაც დღემდე მტკიცე და ურყევი ადგილი უჭირავს ქართული პოეზიის ზენიტზე... ეს თხზულება მოდის იმ თამარის დროიდან, რომელიც როგორც გადმოგვცემენ, წმიდათა შორისაა შერაცხული ეკლესიის მიერ, ხოლო ხალხის მიერ ღვთაებად დასახული და მზედ გამოცხადებული. ნაწარმოების ენა შეუდარებელი ქართულია, დღემდე გადაულახავი თავისი ღრმა ხალხურ თავისებურებათა მომხიბლაობით.. თავის პოემას შოთა აგებს ქართულ ხალხურ საფუძველზე, ძმადფიცის წინაისტორიულ ინსტიტუტზე. თხზულება წარმოადგენს ძმადგაფიცული ერების შესხმა-თხრობას და რომანტიული სიყვარულის კონცეპციას, რომელსაც არსად ბადალი არ გააჩნია, პროვანსის ტრუბადურების გარდა“.

ესევე აზრი მცირედენი ვარიაციით, ნ. მარმა გერმანულადაც გაიმეორა შრომაში Georgier, Die georgische Sprache, Berlin, 1929.

ნ. მარის ეს აზრი გადმოცემული იყო რუსულად შემდეგნაირად:¹

„Теория моя (პოემის სიუჟეტის სპარსულობის შესახებ) устарела, она, мне кажется, нуждается в поправке и восполнении. Односторонность ея и иеобходимость восполнить особенно легко было подметить наблюдателю со стороны, но ход развития грузиноведения обрекал нас на неизбежную постепенность в разработке этого вопроса по истории грузинской литературы.“

Поэма „Витязь в барсовой шкуре“ раньше интересовала нас (в частности и меня), как историко-литературная тема; с точки зрения ее происхождения.

„В линии этого историко-литературного освещения в первую голову интерес представлял вопрос об иностранном, именно персидском происхождении самой сказки или сюжета.“

¹ ეს ცნობა ამოღებულია „რუსთაველის კრებულიდან“, თბ., 1938 წ.

„Литературное строение в Грузии тогда было нам видно, естественно, лишь со стороны фасадов, обращенных к внешнему миру, западному, византийскому, и восточному, иранскому или мусульманскому. Не было ни опоры, ни стремления проникнуть за фасады. Не было приближения или прикосновения к грузинской почве.

„Свобода творчества даже Шота из Рустава ограничена была пределами формы: Признавалось лишь умение дать произведениям, заимствованным по замыслу и содержанию, национальную по форме отделку.

„Впрочем и в отношении формы свобода поэта представлялась ограниченной необходимостью подчиниться нормам усовершенствованного письменного языка.

1. Гениальное творчество Шоты из Рустава может получить свое полное историческое обоснование, объяснение своего направления в развитии грузинской образованности.

2. Стала замечаться идейная самостоятельность, даже самобытность поэмы „Витязя в барсовой шкуре».

4. У грузинского поэта источником побратимства выставляется не ислам вообще, не религия, а народный грузинский институт—побратимство.

4. Связь творения Шоты с грузинской культурной почвой не только формальная, языковая, но идейная: при этом вопрос не о материальной стороне сюжета, а об его одухотворении, перевоплощении в местные представления и образы.

5. Все более выясняется необходимость сосчитаться реальнее с вкладом народного происхождения в произведении Шоты.

6. Шота брал живые народные слова, творя новое народное дело, его творчество свободно.

7. Шота не переводчик. И как постепенно стало выясняться, нельзя считать его свободным творцом лишь формы. Да и не только свободно его творчество, а и народно.

ამგვარად, ნ. მარი თეორიდან, რომ ვეფხისტყაოსანს საფუძვლად უდევს სპარსეთში და სპარსულად შემუშავებული მოთხრობა, მივიდა დასკვნამდე, რომ ვეფხისტყაოსანი წარმოშობილია ადგილობრივ ნიადაგზე და წარმოგვიდგენს ქართული ფეოდალური საზოგადოების ძირითად იდეალებს.

ვეფხისტყაოსანის სპარსული პროტოტიპის თეორიამ თავისი გამოხატულება პოვა ივ. ჯავახიშვილის და იუსტ. აბულაძის შრომებშიც.

ივ. ჯავახიშვილი პირველად 1904 წელს თავის მონოგრაფიაში „მამულიშვილობა და მეცნიერება“ იცავდა ნ. მარის იმდროინდელ დებულებას, რომ საჭიროა მოიძებნოს ვეფხისტყაოსნის სპარსული პროზაული პროტოტიპი და წერდა: „ჩვენში ჰკონიათ, ვითომც პოეტმა თავისი თხზულებისათვის უეჭველად თვით უნდა შექმნას არაკი (ფაბულა), ვითომც შინაარსი აუცილებლად ორიგინალური უნდა იყოს. ეს აჭრი დიდი შეცდომა გახლავთ“ და სხვა. ვეფხისტყაოსნის შესახებ ამ დებულების გაშლას ხსენებული მონოგრაფიის (მცირე ზომის 52 გვერდის) თითქმის მესამედი უკავია.

იუსტ. აბულაძე 1909 წელს წერილში ვეფხისტყაოსნის შესახებ (ძველი საქართველო, 1) წერდა: „სპარსელი პოეტები (მოპყავდა მაგალითები) თავიანთი ნაწერების სიუჟეტად იღებდნენ ან ირანულ საღვგამირო ამბებს, სასანიდების დროის. მეფეთა შესახებ მოთხრობებს ანდა კიდევ არაბულ თქმულებებს. (რაც შეეხება ვეფხისტყაოსანს), ის არის ერთი სპარსეთში შემუშავებული არაბულ თქმულებათაგანი აღმოსავლეთის ხელმწიფეთა შესახებ. ამისი უტყუარი საბუთია უპირველესად თვით შინაარსი, რომელშიაც ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს არაბთა მეფეს როსტევანს, მისი ასულის თინათინისა და აეთანდილის მიჯნურობის ამბავს“.

კიტა აბაშიძე 1910 წელს ნ. მარის წინააღმდეგ ატეხილი პოლემიკის გამო გახეთ დროებაში (№ 4, 6 იანვარი) წერდა: „რა სქევა როდესმე პროფ. მარმა ისეთი, რასაც უნდა ვინმე გაებრაზებინა ან გაეჭარებინა? იქნება აღმოჩნდესო ის ორიგინალი, რომლითაც უნდა ესარგებლებინა შოთას თავის უკვდავი ნაწარმოების სიუჟეტისათვისო. მერე რა გამოდის აქედან? ხელოვნებაში სრულიად უვიცი უნდა იყო, ლიტერატურაში არაფერი გაგება არ უნდა გქონდეს კაცს, რომ ამის გეშინოდეს. ისეთ დიდ ქმნილებას იშვიათად მიჩვენებთ ლიტერატურაში, რომ სიუჟეტი, არაკი ნასესხები არა ჰქონდეს — ჰომეროსს, სოფოკლეს, ესხილს, ევრიპიდს, შექსპირს, რასინს, კორნელს და სხვა მრავალს, მაგრამ არავის აზრადაც არ მოუფა მათ გენიოსობას ერთი ბეწო ჩრდილიც კი მიაყენოს. ამის შესახებ მთელი დასაბუთებული წიგნაკია გამოცემული პროფ. ივ. ჯავახიშვილისა („მამულიშვილობა და მეცნიერება“, გამოცემა 1904 წლ.), რომელშიც ცხადად არის ნაჩვენები, რომ ქართველებს არაფერი საშიშარი არ მოელის იმ ფაქტიდან, რომ რუსთაველს თავისი გენიოსური ქმნილების არაკი ნასესხები აქვს და რომ ჩვენის ლიტერატურისათვის ხელსაყრელიცაა, თუ ვიპოვნით იმ ორიგინალს „სპარსული ამბებისა, რომელიც ლექსად გარდაქმნა“ რუსთაველმა. ეს საჭიროა შოთას ორიგინალობის საყვებით გამოარკვევისათვის“.

დროება-შივე 9 იანვარს 1910 წ. მოთავსებულია გ. გვაზავას წინააღმდეგ

ფსევდონიმი „ახალი“ წერილი, რომელიც ეკუთვნის ე. თაყაიშვილს. წერილში სხვათა შორის ნათქვამი იყო: „ბ-ნ გვაზავას წარმოდგენია, რომ რუსთაველისათვის დამამკირებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს პროფ. ნ. მარის მიერ გამოთქმული აზრი, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი სპარსულიდან არის ნათარგმნიო. რა ნახა აქ სამარცხვინო რუსთაველისათვის და სამწუხარო ჩვენთვის ბ-ნმა გვაზავამ, თუ გინდ ეს აზრი მართალიც იყოს და როდისმე დამტკიცდეს კიდევ? ნუთუ ბ-ნ გვაზავას ჰგონია, რომ ვეფხისტყაოსანი ჩვენთვის უმთავრესად ფაბულაა არის საინტერესო. ჩვენ კი გვგონია, რომ რუსთაველის გენიალურ პოემაში ჩვენთვის ძვირფასი არა ფაბულა, არამედ ის აზრები, რომელიც მასშია გამოთქმული XII ს-ნეში, აზრები, რომელნიც დღესაც, XX ს-ნეში, საესებით არ არის განხორციელებული და მთელი ნოწინავე კაცობრიობის იდეალებს წარმოადგენს; რომ რუსთაველის პოემაში ჩვენთვის ძვირფასია ის შესანიშნავი ფორმა, რომელშიც ჩამოყალიბებულია შედარებით უბრალო სიუჟეტი, ის მხატვრული ნიჭი, რომელიც გამოიჩინა უკვდავმა შოთამ. განა ფაბულა განიზომება მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელობა? მაშ გოეთეს ფაუსტი არაფრად ღირებულა, რადგან მისი სიუჟეტი ნასესხებია; მაშ არაფრად ღირებულა დიდებული შექსპირი, რომელსაც თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში ფაბულა ნასესხები აქვს? არაფრად ღირებულა! მაგრამ აღარ განვაგრძობთ. კიტა აბა-შიძისა არ იყოს, ხელოვნებაში სრულიად უეციო უნდა იყო და ლიტერატურაში არაფერი გაგება არ უნდა ჰქონდეს კაცს, რომ სიუჟეტის სესხებით დააფასოს მხატვრული ნაწარმოები“...

ი. ჭავჭავიძე 1914 წ. ვეფხისტყაოსნის წარმოშობის შესახებ უბრუნდებოდა ნ. მარის თავდაპირველ აზრს. „შოთა რუსთაველმა, — წერდა ის („ქართვ. ერის ისტორიაში“, II, 1914 წ., 660; 1948 წ. გამ., გვ. 311, 1965 წ. გამ., გვ. 310), როგორც თვით ავტორი ამბობს, თავისი პოემისათვის აიღო სპარსული ამბავი, რომელიც „ქართულად ნათარგმანები“ ყოფილა. ეტყობა, ეს ამბავი დიდი ხნის ნათარგმნი ყოფილა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ პოემაში სპარსული საკუთარი სახელები დამახინჯებული ყოფილა და თვით რუსთაველსაც ამ სახით სცოდნია ეს სახელები. შოთას შეიძლება მისი მთარგმნელის ვინაობა, (აქ ი. ჭავჭავიძის ტექსტი ყველა გამოცემაში გაუმართავია. ს. კ.) მაინცა და მაინც თვით სპარსული დედანი არც კი სცოდნოდა და იგი ამბობს ეს ნათარგმნი ამბავი „ვპოვე“-ო... რუსთაველს მოსწონდა ეს ამბავი და მას თბოლ მარგალიტად სთვლიდა... უეკველია აგრეთვე რუსთაველს შემთხვევით არ ექნება თავის ქმნილების არაკად ისეთი ამბავი აღებულნი, სადაც მოთხრობილია, რომ „სხვა ძე არ ესეა მეფესა მარტოდენ მარტო ასული“-ო და სა-

დაც შეიძლებოდა ნათქვამი ყოფილიყო და შოთამ სთქვა კადეც: „ლექვა ლაშა-სა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“-ო. XII ს-ში, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი III-ის მხოლოდ შობილა ასულა დადებული თამარა იჯდა, ვეფხისტყაოსნის ეს გარემოება ყოველ ქართველს გულს მოჰხვდებოდა“.

ეს.თავისი აზრი ივ. ჯავახიშვილს შემდეგ არ შეუცვლა. თავის წერილში შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო (კრებულში „ლატერატურული მემკვიდრეობა“, თბ., 1935 წ. გვ. 10—19) ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხის შესახებ ახალა მას არაფერა უთქვამს.

ალ. სვანიძე 1919 წ. წერდა (ვეფხისტყაოსნის ისტორიული მხარე, შვიდი მნათობი, № 2, 198): „ამ ეროვნული სიამაყის არ ცნობა ყოველად მიუტევებელია. ჩვენ დღემდის არ ვიცით 1) ვინ იყო ვეფხისტყაოსნის ავტორა, 2) როდის ცხოვრობდა ან სად დაიბადა იგი, 3) არ ვიცით დანამდვილებით, რა სახისა იყო თავდაპირველად ეს ნაწარმოები და რა მოიმატა მან შემდეგში. ამაზე მეტი სიბეჩავე ძნელი წარმოსადგენია. ჩვენ აქ სრულად არ ვეხებით ნაწარმოების სხვა მხარეებს, რადგან თუ ქართულმა აზროვნებამ ამ ელემენტარულ კითხვებს ვერ სძლია დღემდის, სხვა პრობლემებისათვის სრულად ვედარ მოიცილიდა იგი. რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა? ქართული აზროვნების მოუქმეფებლობამ, უნიადაგობამ და ზერელეობამ — ეს ცხადია“. ავტორა ეხება ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიულ ცნობებს და ფიქრობს ქალ. გულანშარას სახით პოეტი უნდა გულისხმობდეს ვენეციას, ხოლო მულაზანზარას სახით კი ტრაპიზონსა; დაწერილა უნდა იყოს ვეფხისტყაოსანი 1204—1222 წლებს შორისო, მონღოლების გამოსვლაზე ადრე წინა აზიაში.

1924 წ. წერილში „ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო“ (საისტორიო მოამბე, 1924 წ. I, გვ. 151) ნ. მარას მიერ 1917 წელს ვეფხისტყაოსნის ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობის შესახებ წარმოდგენილი დებულებას ვასავეითარებლად მე ვწერდი შემდეგს: „ამ (იქვე ჩამოთვლილა) ფაქტების გამო შესაძლებელია მიღებულ იქნას ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმოშობა ქართულსავე ნიადაგზე. ეს, რასაკვირველია, არ უარყოფს მისსავე სიუჟეტში სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებათა ჩაქსოვას და საზოგადოდ პოემის სიუჟეტის განვითარებაზე იმავე სპარსული ლიტერატურული ნორმების ზეგავლენას. პირაქით, როგორც ერთი, ისე მეორე უკვე მტკიცედ დადასტურებულია და აქ განმეორებას არ საჭიროებს. შეიძლება აქ მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნულ იქნას, რომ პარალელურად სპარსული ლიტერატურულ-

ლი ნორმების ზეგავლენისა, ზემოთ მოყვანილი ფაქტების მიხედვით საფიქრბელია პოემის სიუჟეტის ქართულ ნიადაგზე, მაშასადამე ორიგინალური ვზით, წარმოშობა“.

ამ წერილის გამოსვლის შემდეგ იმავე საკითხს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში (1924 წლის გამოცემაში) შეეხო კ. კეკელიძე ასეთნაირად: „ზღაპარი პოემისა და ჩონჩხიც ავტორს (ვეფხისტყაოსნისას) თითონ გაუკეთებია ვახტანგის ტერმინოლოგიით ან შეუთხზავს და თუ შეიძლება მას სპარსული ან აღმოსავლური ამბავი ვუწოდოთ იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი ძვლები ამ ჩონჩხისა და დეტალები ზღაპრისა ამოღებულია სპარსეთის ეპოსის ისეთი ნიმუშებიდან, როგორცაა ვისრამიანი, ამირან-დარეჯანიანი, შაჰნამე, ბარამგურიანი, ლეილა-მეჯნუნიანი“ (გვ. 140—141)¹.

იგივე მოსაზრებანი მოცემულია აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ჩემს 1927 წლის გამოცემის შესავალ წერილში, სადაც (გვ. XXVII—XXVIII და სხ.) მოტანილ მოსაზრებათა და საბუთიანობის შემდეგ ნათქვამი იყო, რომ ეს საბუთები, მათ შორის ქალის კულტიც შოთას პოემაში (რაც უცნობი იყო მაჰმადიანურ სამყაროში), სრულიად საქმარისად ჩანს იმისათვის, რომ საკითხი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმოშობის შესახებ მიჩნეულ იქნეს განსაზღვრული მიმართულებით გზაზე დამდგარად, სახელდობრ ამ სიუჟეტის ადგილობრივ ქართულ ნიადაგზე შემუშავების მიმართულებით. მაგრამ მეორე მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ პოემის ფაბულას ატყვია სპარსული ლიტერატურული ნორმების ზეგავლენა. პოემის საკუთარი სახელების უმეტესი ნაწილიც (ფარსადანი, ნესტანდარეჯანი, ასმათი, ფატმანი, ნურადინ-ფრიდონი, შერმადინი, უსენი) არაბულ-სპარსული ან სპარსულია. პოემის ფაბულა ვითარდება უცხოეთში და ქრისტიანული ცხოვრების ნამოგონარი მასში ძლიერ ცოტაა. მაგრამ ეს გარემოებები მხოლოდ გვიჩვენებენ ქართული საერო ლიტერატურის დამოკიდებულებას XII ს-ნეში სპარსული ლიტერატურის ნორმებზე“-ო.

იყო ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის დაკავშირების ცდები ხალხურ სიტყვიერებასთან. ჭერ კიდევ 1890 წელს ალ. ხაჩანაშვილი გამოთქვამდა აზრს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი წარმოადგენს წინააზიიდან შემოსულ არაკს, რომელმაც საუკუნეთა სიგრძეზე ქართული თქმულების ხასიათი მიიღო².

¹ ამის შესახებ შეად. ჩემი წერილი „ვეფხისტყაოსნის საკითხის გარშემო“, მნათობრ, 1927 წ. XI—XII, გვ. 259.

² გაზ. ივერია, 1890 წ., № 25, მისივე — Очерки по истории груз. словесности II, М., 1897 г., 263.

უკანასკნელ ხანაში ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საწყისებს ქართულ ფოლკლორში ეძებდა მიხ. ჩიქოვანი, რომლის აზრით ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წინამორბედა ხალხური ტარიელიანი. ვეფხისტყაოსნის „ამბავი“ არსაიდან არაა შემოტანილი, არც ნასესხები, არამედ ის თვით საქართველოშივეა შექმნილი, „ის არაა ირანულ-სპარსული, არც არაბულ და არც ინდური... არამედ ის თვით საქართველოში არსებობდა, საკუთარ ნიადაგზეა შექმნილი და ჩამოყალიბებული“-ო.¹

ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემას წარმძღვარებული აქვს პ. ინგოროყვას ვრცელი წერილი „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“. ამ წერილში პ. ინგოროყვა პოემის სიუჟეტის შესახებ მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი არ არის სპარსული (ირანული) წარმოშობისა“. „პოემა თავისი ძირებით უღრმესად არის დაკავშირებული საქართველოს სინამდვილესთან... ვეფხისტყაოსანში გარკვევით შეინიშნება ისტორიული ქარგა, რომელიც ორგანიული ნაწილია მოთხრობისა, ორგანიულად არის შექსოვილი სიუჟეტთან და რომელიც მე-12 ს-ნის საქართველოს ისტორიული ამბების გამოძახილს შეიცავს... ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ღრმა ორიგინალობა ყოველსავე ეჭვს გარეშეა“ (გვ. XXXIII—XXV).

კ. კეკელიძის საბოლოო აზრით (ის ვეფხისტყაოსანს ყოველთვის ვრცლად ეხებოდა თავის ქართული ლიტერატურის ისტორიაში), „ვეფხისტყაოსნის ამბავი (ე. ი. სიუჟეტი) რომ ნასესხებია და ამიტომ პოემა ორიგინალური არ არის, ეს დამტკიცებული არაა და ვეჭვობ, რომ ოდესმე დამტკიცდეს“²-ო.

ამგვარად ყველანი, ვინც კი შეხებია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის საკითხს, მივიდნენ (ივ. ჯავახიშვილის და იუსტ. აბულაძის გამოკლებით) იმ დასკვნამდის, რომ პოემის სიუჟეტიც ასე თუ ისე ქართული შემოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

უკანასკნელად ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1961 წლის № 1-ში 41—48 დაიბეჭდა ჩემი წერილი „შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან“, სადაც მე ვწერდი, რომ ვეფხისტყაოსანს სიუჟეტის მხრივ საფუძვლად უდევს ქართულ ორიგინალურ სიუჟეტზე სპარსულად დაწერილი თხრობა, რომელიც თამარისადმი იყო მიძღვნილი. ეს პროზული მოთხრობა დაკავშირებული იყო ქართულ სინამდვილესთან. მთავარ გმირთაგან თინათინი ასახავს თამარს. სახელებიც

¹ ხალხური ვეფხისტყაოსანი, თბ., 1936 და 1937 წწ.; მისივე — შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი (კრებულში „შოთა რუსთაველი სკოლაში“).

² ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958 წ., 169.

თინათინ და ავთანდილ ქართველთა. სახელი ტარებულ წარმოადგენს ძველ-სპარსული დარიუსის ქართულ ფორმას. ხოლო სახელი ნესტან-დარეჯანი თუმცა სპარსულია (მას ხმარობს ნიზამი განჯელი „ისკანდერ-ნამეში“, რომელიც დამთავრებულია თითქოს 1198 წლ, ახლ. მაგრამ ქართულად ის თითქოს უხმარიათ ნიზამიზე ადრე. ამ სპარსული თხრობის ავტორი უნდა ყოფილიყო ჩახრუხადის ძმა, რომელიც შემდეგ გაიჭრა საქართველოდან და, როგორც თამარიანიდან ჩანს, უკან თავის სამშობლოში ცოცხალი არც დაბრუნებულა. სპარსულიდან თხრობის ქართული თარგმანის შემსრულებელი უნდა იყოს დილარგეთიანის ავტორი, XII საუკუნის თმოგველების უკანასკნელი წარმომადგენელი სარგის თმოგველი. 1182 წლის ახლოს ეს გვარი გადაშენდა და თმოგვი მისი შესავალით ამ ხანად გადავიდა მსახურთუხუცესის აფრადანის ხელში.

ასეთი იყო ეს დებულებანი, ადგილის სიმცირის გამო, მოკლედ მოცემულნი.

„საბჭოთა ხელოვნების“ 1961 წ № 1-ში დაბეჭდილ შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ ხსენებული ჩემი ნარკვევის გამო წერალში „უმეცრება თუ გამოხდომა; არა, ამას არავინ გვაპატიებს“ (გაზ. კომუნისტა 11 მარტს 1961 წ.) აღ. ბარამიძე, სხვათა შორის, წერდა: „ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ს. კაკაბაძე უგულვებელს ყოფს რუსთაველოლოგიური მეცნიერების მიღწევებს (რომ თითქოს პოემის სიუჟეტიც თვით შოთას ეკუთვნის). თავის მხრივ მკითხველებს სთავაზობს შოთა რუსთაველის ღირსების დამამკირებელ მოსაზრებებს“ და სხ. ამ წერილის გამო აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების მეცნ. მუშაკი საურმაგ კაკაბაძე იმავე წლის 19 მარტის წერილში იწერებოდა: „ჩვენ არ გვინდა ვიცოდეთ, რომ ამა თუ იმ ნაწარმოებზე წყაროს არა აქვს მნიშვნელობა მის შესაფასებლად. მაგ., შექსპირის „კორიოლან“-ის მიხედვით კოლინსმა დასწერა მდარე დრამა, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის ბეთპოვენმა შექმნა შესაწავნი მუსიკა; რომ ბოკაჩოს დეკამერონის ასივე ნოველის სიუჟეტები ნასესხებია; რომ შექსპირსაც ყველა სიუჟეტი ნასესხები აქვს; რომ მოლიერისა და განსაკუთრებით ბაირონის ღონ-ჟუანი მათი შემოქმედების მწვერვალებს წარმოადგენენ, თუმცა სიუჟეტიც ესპანური არიან; რომ განსაკუთრებით აღმ. ლიტერატურაში, მაგ., სპარსეთში და სხვაგან ერთსა და იმავე სიუჟეტებს აღმუშავებდა სხვადასხვა პოეტი სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში და სხვადასხვა ენაზე (მაგ., ლეგენდა იოსების შესახებ, ლეილ-მაჯნუნიანი და სხ.) და რომ ეს თავისთავად არც ამა თუ იმ მწერლის ნიჭისა და შემოქმედების საზომია და ვერავის ეს ვერც აამაღლებს და ვერც დაამაღლებს. სხვა არა იყოს რა, ფირდოუსი სპარსეთის უდიდესი პოეტია, თუმცა მისი შაჰნამე ისტორიული ქრონიკების გალექსვას წარმოადგენს. პირიქით,

პატრიოტული გრძნობის გამოხატულებაა იმისი დამტკიცება თუ სახელდობრ რას წარმოადგენდა ვ-ტყაოსნის სიუჟეტის წყარო. ჩვენი ნებაა თვალი დავხუჭოთ და ვიძახოთ—ამის მტკიცება უმეცრებაა და სხვა არაფერია. მაგრამ ქართველების გარდა პოემას სხვებიც ხომ კითხულობენ და მათაც ხომ შეიძლება დაებადოთ აზრი თუ სახელდობრ როგორი სპარსული ამბავი იყო თარგმნილი და რა იყო შოთამდის ამბავად თქმული, რომელიც მან წყობილ მარგალიტად გახადა. ამის გამო, რასაკვირველია, მათ შეიძლება შეექნათ მართლაც არასასიამოვნო აზრი ჩვენი კულტურის შესახებ საერთოდ. სამწუხაროა, რომ ჩვენი შემეცნება ჯერ კიდევ არაა მომზადებული ამ თავისთავად ელემენტარული მოსაზრების გასაგებად“.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, შეიძლება გამოტანილი იქნეს დასკვნა, რომ ვეფხისტყაოსნის ფაბულა არ შეიძლება ნასესხები იყოს კერძოდ წინააზრის რომელიმე უცხო ქვეყნის ლიტერატურულ სამყაროდან და რომ ის მკიდროდ დაკავშირებულია ქართულ სინამდვილესთან. მართლაც, პოემის მთავარი გმირები არიან ტარიელი და ნესტანდარეჯანი, ავთანდილი და თინათინი. ამათგან თინათინი ასახავს გიორგი III-ის ასულს თამარს (მომავალ მეფეს) თინათინი ქართული სახელია. საბას ლექსიკონის განმარტებით, თინათინი არის „სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“. ამ გაგებით სახელი თინათინი ნიშნავს მზის სხივზე მოციმციმეს. მაგრამ შესაძლებელია, რომ თინათინ წარმოებული იყოს სვანური დინა-საგან, რაც ასულს, გოგოს ნიშნავს. სახელი თინათინი ასეთი გაგებით შეიცავს სიტყვას დინა-ს ორმაგად. ძველ რუსულად, თითქოს სპარსულის მეშვეობით, სახელი თამარ გამოითქმოდნა, როგორც დინარ — ასეა ძველ-რუსულ (XIV—XV ს-ნის) თხრობაში დინარ (იგივე თამარ) დედოფლის შესახებ და რუსების ელჩების ცნობებში XVII ს-ნეში. რუსებს ეს სახელი დინარ ათვისებული ექნებოდათ სპარსელების მეშვეობით შესაძლებელია ოქროს ფულის აღმნიშვნელ ტერმინთან დინართან აღრევიით (გამოთქმის მხრივ).

ავთანდილის რაობის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ავთანდილი შეიძლება იყოს სპარსული წარმოშობის სახელი, შემდგარი ორი სიტყვისაგან: 1) ავთანდილენ — გრძნობის დაკარგვა, გულის წასვლა; 2) დილ—გული. პოემაში „ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა“, „ჯერ უწვევრული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა“. სანიანის წარწერა 1181 წლისა გვამცნობს, რომ გიორგი მეფის დროს ამ წელს საქართველოს ამირსპასალარად ყოფილა სარგის, რომელიც იქვე იხსენიება თავისი ორი შვილით — ზაქარიათი და ივანეთი;

ეს არის, მაშასადამე, სარგის მხარგრძელი, რომელიც ამგვარად ამირსპასალარად დაუყენებიათ ორბელთა 1178—1179 წლის აჯანყების შემდეგ. მაგრამ 1184 წელს, გიორგი III-ის გარდაცვალებისას, ამირსპასალარად არის უკვე ყიფჩაილი ყუბასარი. როდესაც ყუბასარი დიდებულთა აჯანყების შედეგად გადააყენეს, ამირსპასალარად კვლავ სარგის მხარგრძელი იქნა დანიშნული (1185 წ.). სანაინისავე ეპიგრაფიკული მასალების მიხედვით ის გარდაცვალებულად იხსენიება 1187 წ. და მის მაგივრად ამირსპასალარად დანიშნეს, თამარის პირველი მემართიანის მიხედვით, გამრეკელი თორელი. მაგრამ სანაინის სომხური ეპიგრაფიკული მასალები ამირსპასალარად 1187 წლიდანვე მხარგრძელსაც იხსენიებენ. ის უნდა ყოფილიყო მეორე ამირსპასალარი სპეციალურად სომხური პროვინციებისათვის და მხოლოდ ამ გამრეკელის სიკვდილის შემდეგ საქართველოს ამირსპასალარად დანიშნულ იქნა ზაქარია მხარგრძელი.

თამარის პირველი მემართიანე 1185 წელს (ეს თარიღია საგულისხმებელი) ზაქარია მხარგრძელს იხსენიებს „დალოცვილად“, ხოლო მის ძმას ივანეს „დაულოცავად“. საქაბუჯოდ დასალოცავად, დედისიმედის მესხური ქრონიკის მიხედვით (XVI ს.), ითვლებოდა 23 წლის ასაკი. ამიტომ 1185 წელს ზაქარია იქნებოდა დაახლოებით 24 წლის, მისი ძმა ივანე დაახლოებით 22 წლის, ხოლო 1180 წ. სარგის მხარგრძელის ძე ზაქარია იქნებოდა დაახლოებით 18—19 წლისა. ვეფხისტყაოსნის პროტოტიპ პროზულ თხრობაში ავთანდილად უნდა იგულისხმებოდეს ამირსპასალარ სარგისის ძე ეს ზაქარია.

რაც შეეხება ტარიელს, ეს სახელი არის იგივე დარიელ, ხოლო სახელი დარიელ ბიბლიის ქართულ ტექსტებში წარმოადგენდა სპარსეთის აქემენიან მეფეთა დარიუსების სახელის ქართულ ფორმას.

რჩება ნესტანდარეჯან. როგორც ნათქვამი იყო, ეს სახელი სპარსულია (ნიშნავს რომლის მსგავსი არაა ქვეყანაზე) და ის გამოყენებული აქვს ნიჰამი განჯელს თავის ისკანდერ-ნამეში, რომელიც დაწერილია დაახლოებით 1191—1198 წლებს შუა (იქ მოხსენებულია ნესტან-დარ-ჯიჰან). გამოდის, რომ ქართულად ეს სახელი უხმარიათ ნიჰამი განჯელზე ადრე. თითქოს ირიბულად ეს გარემოება ამტკიცებს ვეფხისტყაოსნის თხრობის ჭეგრნალობას სპარსულად არსებობას. ამ სპარსულ შესხმითი თხრობაში ავტორმა ისო ჩახრუხადემ (§ 10) იხმარა სპარსული სახელი ნესტანდარეჯან, რომელიც მოყვა რუსთაველის ვეფხისტყაოსანშიც. ჩახრუხადის სპარსული შესხმითი თხრობა კი მოყვა მეზობელ ქვეყნებში და აქედან ნიჰამი განჯელს შეეძლო ეს სახელი თავის ისკანდერ-ნამეში შეეტანა.

მაგრამ ამასთანავე ფაქტად რჩება თვით შოთას განცხადებები, რომ მას ხელთ ჰქონდა პროზული ამბავი, განცხადება იმის შესახებაც, რომ ეს ამბავი

ყო „სპარსული, ქართულად ნათარგმანები“, რომ პოემაში წარმოდგენილია „ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი“. ამ განცხადებათა უკუგდება ადვილი საქმე არ არის, უფრო სწორი იქნება მათთვის ანგარიშის გაწევა და მათი აზრინად ახსნა. რასაკვირველია, შოთას მართლაც შეეძლო ხელთ ჰქონოდა სხვა პირის მიერ შედგენილი ფაბულა, რაც ჩვეულებრივ და მეტად ხშირ მოვლენას შეადგენდა მსოფლიო ლიტერატურაში. სამწუხაროდ, ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს, თუ როგორი იყო ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი, რადგანაც მის არც სპარსულ და არც ქართულ ტექსტს არ მოუღწევია. მაგრამ ცხადია, რომ შოთა სარგებლობდა მხოლოდ სიუჟეტით, თვით პოემის მთელი შინაგანი არქიტექტონიკა კი მისი საკუთარი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

რომ ცნობა „ამბავის“ შესახებ შოთას არ აქვს მოცემული თავისი პოემის სიუჟეტის ვენიღების მიზნით, ამას ამტკიცებს მისი აღიარება, რომ მას ხელთ ჰქონდა სპარსული თხრობა, „ქართულად გადათარგმნილი“. ამგვარი ორმაგი ცნობა (სპარსული და შემდეგ ქართული თხრობა) არ იქნებოდა საჭირო მართო სიუჟეტის დამოუკიდებელი წარმოშობის მიჩქმალვისათვის. მეორე ადგილას კიდევ ავტორი პირდაპირ წერს, რომ მან „ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ჰელმწიფეთანი იპოვა და ლექსად გარდათქვა“ და ამით ილახება. არაბულ-სპარსული სიტყვა ლაყბ (აქედან ქართული ლაყბობა) ნიშნავს გადასხვაფერებულად ლაპარაკს. შოთას ხსენებულ სტროფში უნდოდა ეთქვა, რომ მან უცხო ხელმწიფეთა (როსტევეან არაბთა მეფის, თინათინის და სხვათა) სახით გადასხვაფერებული სახელებით წარმოადგინა სხვა პიროვნებანი (გიორგი III, თამარი და სხვ.).

მთავარ ღერძს ვეფხისტყაოსანში, რასაკვირველია, წარმოადგენს ტარიელის და ნესტანდარეჯანის რომანი. ასეთი სიუჟეტი უნდა წარმოადგენდეს ვეფხისტყაოსნის პროტოტიპის ავტორის თავისუფალი შემოქმედების ნაყოფს. რომ ამ ამბავის სპარსულად დამწერი ქართველი ყოფილა, ამას ამტკიცებს სახელის ტარიელის საეხებით ქართულა ფორმა. ავტორმა მთავარ გმირთა (ტარიელ-ნესტანდარეჯანის) სამოქმედო ასპარეზი გადაიტანა ინდოეთსა და საერთოდ წინა-აზიაში, რადგანაც სიუჟეტის დაშორება ადგილობრივ გარემოზე მოთხრობისათვის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა ფაბულის გასამართავად და გასაშლელად.

რაც შეეხება ამ არსებითად ქართული „ამბავის“ სპარსულად დაწერის მიზეზს, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ამ დროს, როგორც ზემოთაც ვთქვით, ზოგი ქართველი სწავლა-აღზრდას ლებულობდა მაკმადიანური კულტურის ქვეყნებში. თვით თამარის მამიდა (გიორგი III-ის და) რუსუდანი, როგორც აღნიშნული გვაქვს ზემოთ, მეორეჯერ გათხოვილი იყო სელჯუ-

ციანთა სულტანის ოჯახში (ირანსა და ერაყში). დაქვრივებული რუსუდანი ბოლოს ბრუნდება საქართველოში. მასთან ერაყში აღზრდას ღებულობდნენ წარჩინებულნი ქართველნი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთივე სწავლა არაბულის და სპარსულის საუკეთესოდ შესწავლით მათ შეეძლოთ მიეღოთ საქართველოშიც. დიმიტრი მეფეს (გიორგი III-ის მამას), სპარსული წყაროს მიხედვით, 1148 წელს გაუგზავნია სულთან სინჯარისთვის შეკითხვა რამდენიმე საკითხის შესახებ არაბულ და სირიულ ენებზე. პასუხიც მას მიუღია ამაზე არაბულად და სირიულად. ამას გადმოგვცემს თვით ამ პასუხების ავტორი აბულ-ჰასან ბენიხაკი¹. გამოდის, რომ საქართველოს მეფის კარზე XII ს-ნეში იყვნენ არა თუ სპარსულის, არამედ არაბული და სირიული ენების ჩინებული მცოდნენი. რასაკვირველია, ასეთ პირთა მომზადება უფრო ადვილი იყო წინა-აზიის ქვეყნების მსხვილ სწავლო ცენტრებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მაგ., ერაყის სულთნის ცოლად ხსენებული დიმიტრი მეფის ასული რუსუდანი იყო.

თამარის კურთხევისას გიორგი მესამემ შეკრიბა „შვიდათვე სამეფოთა თვისთა“ წარმომადგენელნი და ლაშქარნი. „შვიდი სამეფო“ ასახული იყო XII ს-ნის საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში: 1) მეფე აფხაზთა, ე. ი. დას. საქართველოსი ქუთაისით, 2) ქართველთა, იგულისხმებოდა შიდა-ქართლი და სამხრეთი (სამესხეთო) საქართველო, 3), და 4) (რანთა და კახთა, 5) სომეხთა (ლორის სამეფო), 6) შარვანშაპი (შირვანის მეფის მფარველი) და შაჰანშა (ამ ტიტულს ატარებდნენ ანისის წინანდელი სომეხთა მეფეები, მაგრამ ანისი XII ს-ნეში მხოლოდ ხანგამოშვებით ემორჩილებოდა საქართველოს). ყოველ შემთხვევაში იგულისხმება, რომ შირვანის, ე. ი. მტკვრის მარცხენა მხარის აღმოსავლეთი ამიერკავკასიის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ თამარის კურთხევის დამსწრენი.

სწორედ ამ დროს საქართველოს მტკიცე ურთიერთობა ჰქონდა წინა-აზიის ყველა ქვეყანასთან. უშუალოდ თამარის კურთხევის შესახებ ცნობის გადმოცემის შემდეგ მემატიაზე აღნიშნავს, რომ გიორგი III-ეს „სძღუნობდეს და სძმობდეს მეფენი ბერძენთანი (ბიზანტიისა), იერუსალიმის ალამანთანი² (გერმანელების) და ჰრომთანი (რომის პაპისა) და პინდოთანი და ხონელნი (ხანელნი, ე. ი.

¹ Н. М а р р, Древнегруз. одописцы, Петербург, 1902 წ.

² აღვამანების ანუ გერმანელების წვაროსნული მეფე, იგულისხმება გერმანელების გაძლიერება ამ დროს იერუსალიმის სამეფოში, თუმცა ფრანგული წარმოშობის სამეფო დინასტია იქ კვლავინდებურად ვანაგრძობდა არსებობას, სანამ იერუსალიმს 1187 წელს ეჯიპტის მამალიანი სულთანი სალადინი დაიკავებდა.

ჩრდილოეთ ჩინეთისაწინ) და აგრეთვე სულტანნი ხორასნისა (შუა-აზიასა და აღმ. ირანში), ბაბილონისა, შამისა (სირიისა), ეგვიპტისა და იკონიისანი კმონებდეს და შემდგომნი ამათნი სკვითნი (რუსები), ხაზარნი, ალანნი, ხვარასანი და ხუარაზმმა და ბერეთელნი, აღანი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი და ყოველნი ენანი და ნათესაენი მაშრიყით მალრიბამდე“¹.

მაშასადამე, გიორგი III-ის კარზე მოდიოდნენ ძღვენით ელჩები ბევრი ქვეყნიდან დაწყებული ინდოეთით ვიდრე ეგვიპტემდე და იტალიამდე ჩათვლით. ელჩების ასეთი გამოგზავნა რალაც დიდმნიშვნელოვან ამბავთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მგონი, არ იქნება დიდი შეცდომა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი მასობრივი ელჩობის ერთერთ საბაბად უნდა ყოფილიყო თამარის დალოცვა მეფედ 1180 წელს და მიზნად ისახავდა ამ ამბავის მილოცვას. მაშინდელ პირობებში ელჩები მგზავრობდნენ დაცვის მიზნითაც დიდი ამალით, რომელშიდაც იყვნენ კარგი მდგომარეობის პირნიც. ინტერნაციონალურ მწიგნობრულ ენად წინა-აზიში ამ ხანებში არაბულთან ერთად ითვლებოდა სპარსული ენა. ამიტომ საჭირო ხდებოდა ამ ელჩებისათვის და საელჩოთა შემადგენლობის მთავარ პირთათვის თამარის შესხმის ალგორიულად დაწერა სწორედ სპარსულ ენაზე და ამ მოთხოვნილებას პასუხობდა (ისო) ჩახრუხადის მიერ სპარსულად დაწერილი ვეფხისტყაოსნის წინამორბედი პროზული ნაწარმოები.

ბუნებრივია, რომ ამდენ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მიზეზით საქართველოს სამეფო კარზე საკმაოდ ფეხმოკიდებული უნდა ყოფილიყო არაბულის და სპარსულის ცოდნა, ყოველ შემთხვევაში იქ ჰყავდათ ამ ენების მცოდნენი. იცოდნენ იქ აგრეთვე (ვისთვისაც ეს საჭირო იყო) თურქული ენაც. საქართველოში დავით აღმაშენებლის დროიდან ცხოვრობდნენ თავიანთი ოჯახებით ყივჩაღები (თამარის დროს, მატიაანის დამოწმებით, იყვნენ „ძველნი და ახალნი“ ყივჩაღნი). ხოლო ყივჩაღები თურქული მოდგმის ხალხი იყო. თურქული ხალხები ამ დროს განლაგებული იყვნენ დაწყებული მცირე აზიიდან და აზოვის ზღვიდან ვიდრე ჩინეთამდის. რადგანაც თურქული ენები შედარებით

¹ ქართლის მეფე როსტომი 1648 წელს წერდა სეფის შაჰად გამოცხადების შესახებ 1629 წ.: „მოვიდეს ყოვლის ადგილიდადმე ხანები და სულთნები (აქ იგულისხმებიან ხანებზე ნაკლები მფლობელები), მიულოცევიდთ ქელმწიფობასა და აყრიდენ თვალმარგალიტსა წლამდისინ და იდიდეს“. მართალია, ეს ცნობა გვიანი ხანისაა, მაგრამ დაახლოებით ასევე იქნებოდა თამარის მეფედ დალოცვის შემდეგ, სახელდობრ ელჩების გამოგზავნა სხვადასხვა ქვეყნებიდან საჩუქრებით და მილოცვით დიდხანს ვაგრძელებოდა (რამდენიმე თვე მინც). ამიტომაც გადაბა სხუნებელი ცნობა შემატიანემ თამარის მეფედ დალოცვის ამბავს.

ახლოს იყენენ ერთმანეთთან, ამიტომ ცოტა უფრო გვიან მარკო პოლო (1254—1323) აღნიშნავდა, რომ კუმანური, ე. ი. თურქული ენით თავისუფლად შეიძლება ჩინეთამდე მგზავრობაო. ცხადია, რომ ასეთ პირობებში საქართველოს მაღალ წრეებში და აგრეთვე დიდუკურებში სალაპარაკო თურქული ენის (და ხანდახან უიგურული დამწერლობის) მცოდნენი საკმაოდ უნდა ყოფილიყვნენ.

ყველაფერი ამის გამო გასაგები ხდება, რომ ჩახრუხადეს 1180 წელს თხრობა თამარის (თინათინის) მეფედ გამოცხადების აღნიშვნით შეიძლება დაეწერა ერთგვარად ინტერნაციონალური მნიშვნელობის მაშინ მქონე სპარსულ ენაზე, რადგანაც ეს საჭირო იყო ამ თხრობის გასატანად წინა-აზიის მაშინდელ საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ რადგანაც ქართულ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ლაშქარში ანუ ფეოდალურ მეომართა ფართო მასაში (წერილ აზნაურთა და მსახურთა შორის) სპარსულის ცოდნა საკმაოდ გავრცელებული არ იქნებოდა, ამიტომ ბუნებრივად მაშინვე გაჩნდა სპარსულად დაწერილი ამ თხრობის ქართულად გადმოთარგმნის საჭიროება, რაც კიდევ შესრულებულ იქნა აფრიდონ თმოგველის ოჯახის (ქვაბულიძის) წევრის სარგისის მიერ. სპარსული თხრობა სიუჟეტური ქართული ელემენტებით დაწერილი იქნებოდა 1180 წელს, ხოლო იმავე წელს ან შემდგომ 1181 წელს გაჩნდა ამ თხრობის ქართული თარგმანიც.

ხსენებული კონცეფციის სისწორეს ადასტურებს შემდეგი გარემოება. პოეტი კოკმანით (რაც თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით სიძნელით გამოწვეულ ურვას ნიშნავს) ეკიდება მის ხელთ მყოფი თხრობის პოემად გარდაქმნის საქმეს და ამაშიაც ის თხოულობს ნებართვას „თავის ხელმკმნელ“ პირისაგან, ე. ი. თამარისაგან.

ესე ამავე სპარსული, ქართულად ნათარგმანები...

... ვპოვე და ლექსად გარდავქვი, საქმე ვქმენ საკოკმანები,

... ჩემმან ხელმკმნელმან დამმართოს, ლაღმან და ლამაზა ნები.

რა საჭირო იყო ასეთი ბოდიშის მოხდით პოემის დაწერის დაწყება? ცხადია იმიტომ, რომ თხრობა ერთგვარად წარმოადგენდა თამარის ჰიმნს (თინათინი ხომ თამარია) იმ პერიოდში, როდესაც ის ჯერ ახალგაზრდა ქალიშვილი იყო. მას შემდეგ თამარი მმართველი მეფე გახდა, უკვე გათხოვილი იყო გიორგი რუსზე და ახლა მისი ქალიშვილობის დროინდელი იჯავისებური შესხმის არა თუ მოგონება, არამედ გამოყენებაც, ავტორის გაგებით, მოითხოვდა თამარის ნებართვას. ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ჩახრუხადის ძმა, რომელიც „იგავთ დამწესი“, ე. ი. პროზაიკოსი და ალეგორიულ თხრობათა

მწერალი იყო და სპარსულასაც ჩინებულად მცოდნე, უნდა იყოს პროზული ვეფხისტყაოსნის სპარსულად დამწერი: ეს „ამბავი სპარსულა“ ყოფილა „ქართულად ნათარგმანები“, მაგრამ ვის მიერ?

25. ვეფხისტყაოსნის მხგავსი ქართული პროზული თხრობის შესახებ. როგორც მოხსენებული იყო, თამარის შესხმის ავტორის ჩახრუხადის უფროს ძმას, რომლის სახელად სავარაუდებელია ისო, უნდა ეკუთვნოდეს ვეფხისტყაოსნის წინამორბედი პროზული თხრობის დაწერა სპარსულად 1180 წლის ახლოს. ეს შესხმითი თხრობა, დაწერილი, როგორც მოხსენებული იყო, საქართველოში მაშინ საკმაოდ ბლომად ჩამომავალ უცხოური ელჩებისათვის და მათი თანხლებ პირათთვის და ამათ გარდა შესაძლებელია აგრეთვე მსხვილ უცხოელ ვაჭართათვისაც, მაშინვე გადათარგმნილ იქნა ქართულად. შოთა ხსენებული თხრობის ამ ქართულ თარგმანს იხსენიებს როგორც ხელახელ საგომამანებელ, ობოლ მარგალიტს. ვინ იყო ამ თარგმანის შემსრულებელი?

პოემის ბოლო ნაწილში ჩემი წაკითხვით მოიპოვება შემდეგი სტროფი, რომელსაც პოემის წარმოშობის ისტორიისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის(ს) ლექსთა შეუწყობლად;
აგრეე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად;
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ სხანს გმირთა რაზმთა მწყობლად
და მან მობრძანა — ლექსად თქვიო, მკვერ ქართულად დაუშრობლად.

ვეფხისტყაოსნის ბოლოში მოხსენიებულია, რომ „დილარგეთ (უქია) სარგის თმოგველსა, ლექსი მას უქეს რომელსა“. დილარგეთა, როგორც პოემის გმირა, მოხსენებულია ჰყავს ჩახრუხადეს. ამის მიხედვით „დილარგეთიანის“ ავტორა სარგის თმოგველა გამოდის ვეფხისტყაოსანზე და ჩახრუხადეზე ადრინდელ ავტორად.

ეს სარგის თმოგველა იყო გვარად ქვაბულისძე. ქვაბულისძეები XI ს-ში იყვნენ წარჩინებული მდგომარეობის მქონენი იმერეთში. ჩემ მიერ თავის დროზე ჩაწერალა გადმოცემით (შემკრები გიორგი ტყეშელაშვილა, ვანში), ქვაბულისძეება იყვნენ საჩინოს მხარას მფლობელნი. ეს გადმოცემა უნდა შეეფერებოდეს სანამდვილეს. გიორგი II-მ 1073 წლას ახლოს ნიანია ქვაბულისძეს დაუმტკიცა თმოგვი (მატიანე). 1087 წლის ახლოს მომხდარი დიდი მიწისძვრის დროს თმოგვის ციხე დაიჭვა და შიგ დაილუბა ნიანიას ძე კახაბერა ცოლითურთ (მატიანე). მასასადამე, კახაბერი უკვე თმოგვს იქდა როგორც მემკვიდრე მფლობელი. ამიტომ თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ XII ს-ნის თმოგველები ქვაბულისძეები იყვნენ.

ეს თმოგველები წარმოადგენდნენ ქვაბულისძეთა გვარის ერთს (შეიძლება უფროსს) შტოს. სხვა ქვაბულისძეები დარჩნენ საჩინოში და ისინი იმერეთის წარჩინებულთა შორის იხსენიებიან XIII—XV საუკუნეებში¹.

ამ თმოგველების გვარი (რომელიც XI ს-ნიდან აქ ბატონობდა), როგორც ეტყობა, 1180-იანი წლების დასაწყისში ამომწყდარა. ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი ყოფილა სარგის თმოგველი, „დილარგეთანის“ ავტორი, რომლის შემდეგ თმოგვი (1182 წლას ახლა ხანაში) „ობლად“ დარჩენილა. „დაობლებული“ თმოგვი მისი შესავლით მოჰყვა ახლად დაწინაურებულის აფრიდონ მსახურთუხუცესის ხელში. ეს აფრიდონი დაემხო 1184 წლისაჯანყების შედეგად და ამის შემდეგ თმოგვი სამეფოდ ჩაირაცხა. 1187 წელს კი, სარგის მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ, ამირსპასალარად დანიშნულ იქნა გამრეკელი თორელი, და ამის შემდეგ თმოგვი მიეცა მას როგორც დროებითი სამფლობელო, მაგრამ როდის, ეს არაა ცნობილი (ალბათ 1189 წლის ახლოს). მის შემდეგ 1192 წლის ახლოს თმოგვი გადავიდა უკვე სამკვიდროდ სარგის ვარამის ძე მხარგრძელზე. ეს სარგისი არის თმოგველების ახალი გვარის დამწყები.

ამგვარად თმოგვი „ობლად“ ყოფილა დაახლ. 1184—1189 წლებში მაინც. ამ წლებში ნახა თმოგვეში შოთამ ვეფხისტყაოსნის პროზული თხრობა. როგორც ქვემოთ ნაჩვენებია იქნება, უფრო ზუსტად ეს უნდა მომხდარიყო თამარის მეორეჯერ გათხოვებაზე ადრე 1188 წლის ახლოს. მაშინ მას გადაუწყვეტია თავისი პოემის დაწერა.

ვეფხისტყაოსანში თინათანი უნდა იყოს თამარი. სპარსულად თამარი იწოდებოდა დინარად, სახელი თინათინ შეიცავს შემოკლებულ დინარს ორმაგად (დინ-დინ). ამის მიხედვით როსტევანის სახით უნდა იგულისხმებოდეს გიორგი III. ამიტომ პროზული ვეფხისტყაოსანი ასახავდა გიორგი III-ის მიერ თავისი ასულის თამარის მეფედ გამოცხადების აქტს (1180 წ.). გარდა ამისა ტარიელიც, ინდოეთის მეშვიდედის მფლობელის შვილიც, თითქოს წარმოადგენდა საქართველოს სამეფოს შვიდ შემადგენელ ნაწილიდან ერთ-ერთის, უფრო სომხურ პროვინციებზე განსაკუთრებით გამავლობის მქონე მხარგრძელს, გვარეულობის წევრის პერსონიფიკაციას. მალე ამის შემდეგ თმოგველის ოჯახი ამოწყდა და თმოგვი ახალი პირის (აფრიდონის) ხელში მოხვდა.

თავისთავად ქართველის მიერ სპარსულად საკუთარი შემოქმედების ფაბულის დაწერის ფაქტი არაფერს უჩვენებს არ წარმოადგენს. ქართველები

¹ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ ვეფხისტყაოსნის ჩემი გამოცემა 1927 წლისა, გვ. XLIII.

ძველდაც წერდნენ სხვა ენებზე (მაგ., ბერძნულად), XIX ს-ნეშიც და აწინდელ დროშიც.

როგორც მოხსენებული იყო (§ 10), ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიულ ნომენკლატურას ჯერ კიდევ მ. ბროსე ინდოეთის ნახევარ-კუნძულის ჩრდ.-დას. ნაწილში ვარაუდობდა. მართლაც, ამჟამად სვიმონ ციციშვილი ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიულ ნომენკლატურას პოულობს ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — პენჯაბსა, სინდეთში, გუჯარათში და მათ არეში. მაგ., სინდეთის დასავლეთით მდებარეობდა მხარე არაბად-ი (ახლანდელ ბელუჯისტანში), რომელიც მისი აზრით, შეესატყვისება ვეფხისტყაოსნის არაბეთს. ამ არაბეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა სინდეთი, სადაც იყო ძველი ქალაქები მულალ და სანდურ (სანდარ). ეს, სვ. ციციშვილის აზრით, უდრის რუსთაველის მულაზან-ზარს. სინდეთის სამხრეთით მდებარეობდა გუჯარათის სახელმწიფო (ზღვის ნაპირის კუნძულებით), სადაც აღნიშნული იყო პროვინციები კოლა და სარო (საროდ). ორივე ერთად უდრის ვეფხისტყაოსნის გულანშაროს, რომელსაც შოთა აგრეთვე ზღვის პირას ათავსებს. ამის სამხრეთით ახლანდელი ბომბეის მხარეში ძველ რუკებზე აღნიშნული იყო მხარის სახელი კალჯანა (იგივე შოთას ქაჯეთი). ამ ქვეყანაში იყო ციხე კალჯანი (—ქაჯეთი). სინდეთისა და დელის ჩრდილოეთით მდებარეობდა ქვეყანა ხატტაი-ებისა (შოთას ხატაელთა ქვეყანა). იქვე დელის მხარეს ეწოდებოდა საკუთრივ ინდოეთი.

სვ. ციციშვილის ეს ცნობები, რომელნიც არაა მოკლებული ინტერესს, ადასტურებენ, რომ ვეფხისტყაოსნის პროზული თხრობის ავტორი (ჩახრუხასძე-ძმა) იცნობდა სინდეთსა და მის მიმდგომ მხარეს, საერთოდ ახლანდელი ინდოეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს და იქ ნამყოფიც იქნებოდა. ჩახრუხასძე-ძმა შემდეგშიც ბევრს შორეულ ქვეყანაშიც მოგზაურობდა, მაგრამ ცხადია, რომ ის შორეული მოგზაურობის მოყვარული ყოფილა ახალგაზრდობაშიც თავისი პროზული თხრობის დაწერამდე.

საყურადღებოა კიდევ შემდეგი გარემოება. შ. ჩიჯავაძის აზრით, ვეფხისტყაოსანში მოხსენებული დევები, რომელთაც შეებრძოლა ტარიელი, ამავე სახელის ინდური ტომის ამსახველნი უნდა იყვნენ. მას მოჰყავს ციტატა ამმიან მარცელლინის (IX ს.) თხრობიდან, რომ იმპერატორ ივლიანეს გამეფების შემდეგ სხვადასხვა მილოცვები მოსლიოდა: „ყოველის მხრიდან ჩვეულებრივზე უფრო ასწრაფებით მოაშურეს მისკენ ელჩებმა—აქეთ ტიგრის იქითელები და არმენიელები იხვეწებთან ზავს, იქით ინდოელი ერები — თვით დიეები და სერენდიეებიც კი ერთმანეთს ასწრებდნენ საჩუქრებით წარჩინებულ პირთა გზავნას (გეორგიკა I, 1961).

„შპანამეს“ გაგრძელებათა ქართულ ვერსიებში ორ ადგილას იხსენიება დევისტანი („გმირო, ამოვწყვეტე თურქისა და დევისტანი, ბალხეთი და არაბეთი, ბალახშანი ნიმროზითა, ალანი და დევისტანი მიითვალე ყაფის მითთა“).

შ. ჩიჯავაძეს მოჰყავს ძველ-ქართული მწერლობიდან სხვა მაგალითებიც, რომელნიც, მისი აზრით, ცხადყოფენ დევისტანის, როგორც მხარის და ქვეყნის აღმნიშვნელი სახელის არსებობას და დასაცემის, რომ ვეფხისტყაოსანში მოხსენებული დევები თავისთავადაც ჩვეულებრივი ადამიანების ამსახველნი არიან და მათი ტომი ინდოეთში ცხოვრობდაო¹.

ვეფხისტყაოსანში ინდოეთი წარმოდგენილია როგორც მაჰმადიანური სარწმუნოების ქვეყანა. ასეთად მართლაც იყო ინდოეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი მხარე. ამ მხრივაც, მაშასადამე, არის შესატყვისობა ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული ნომენკლატურის ძირითად ნაწილთან.

მაშინ როდესაც როსტევან, თინათინ და ავთანდილ გარკვეულ ქართველ ისტორიულ პირთ წარმოდგენენ, ტარიელის და ნესტანდარეჯანის ამბავი პოემის პროზული პროტოტიპის ავტორის დამოუკიდებელი შემოქმედების შედეგია. უკანასკნელ გარემოებას ადასტურებს ისიც, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი სპარსელებს დამკირებულ მდგომარეობაში წარმოგვიდგენს (ცნობა ხვარაზმ-შაჰის შვილის შესახებ და სხვ.), რაც წმინდა სპარსულ სიუჟეტში არ იქნებოდა. ამას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ამ ხანაში სპარსულ ენას და კულტურას მთელს წინაზაზიში თუმცა დიდი განმავლობა ჰქონდა, მაგრამ მმართველი დინასტიები ამ ქვეყნებში დიდად უმეტესად თურქული წარმოშობისანი იყვნენ.

ამგვარად ვეფხისტყაოსნის პროზული თხრობა-ფაბულა წარმოშობილია საქართველოში. ის დაწერილი იყო ჩახრუხაძე - ძმის მიერ მართალია სპარსულად, მაგრამ ქართული სახელების (თინათინ, ავთანდილ, ტარიელ) და ქართული ფეოდალური ყოფაცხოვრების ძირითადი ელემენტების (ქალის კულტის, ტყე-ველად გაქრის, ძმად-ნაფიცობის) გამოყენებით. გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის მას თავისებური გადასხვაფერებით გამოყენებული ჰქონდა ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის ქვეყნების სახელები. ამიტომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი, ფაბულის ავტორის განზრახვით, გაშლილია გეოგრაფიული სახელების მხოლოდ რამდენადმე შეცვლით ინდოეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ, უმთავრესად მუსულმანური რელიგიის, ქვეყნებში.

¹ შ. ჩიჯავაძე, „ვეფხისტყაოსნის სინამდვილის ასახვის საკითხისათვის“, ვაზ. „თბილისი“, 7 იანვარი 1963 წ. ამავე საკითხზე იგივე ავტორი უფრო ვრცლად ჩერდება ნარკვევში „ერთი რუს-თველოლოგიური წერილის გამო“ (თელავის პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომები V, 1964 წ. გვ. 125—141).

ვეფხისტყაოსნის ფაბულის საქართველოშივე წარმოშობის შესახებ აქ წარმოდგენილი დებულება შეესაბამება თვით შოთას ხუთ დამოწმებას ვეფხისტყაოსნის პროტოტიპ პროზული ამბავის არსებობის შესახებ და მაშინდელი საქართველოს საგარეო ვითარებასაც.

მაგრამ რატომ მოხდა, რომ შოთამ ისარგებლა თავისი პოემისათვის არა სპარსულად დაწერილი ფაბულით, არამედ მისი ქართული თარგმანით. ის სპარსულს ხომ წარჩინებით ფლობდა? როგორც ეტყობა, სპარსულად დაწერილი ეს შესხმა-თხრობა საქართველოში 1188 წელს თითქმის არ მოიპოვებოდა, რადგანაც ის უცხოელებისათვის იყო დაწერილი. ქართული თარგმანი კი აღმოჩნდა და მისი ფაბულა შოთას მოეწონა კიდევ.

შოთას, როგორც ჩანს, პროტოტიპის ფაბულაში შესწორებები შეუტანია. სახელდობრ, ავთანდილი პოემაში მოხსენიებულია ამირსპასალარის შვილად. თუ აქ მართლაც რეალური პიროვნება არის ასახული, მაშინ ავთანდილის სახით, როგორც ნათქვამი იყო, აქ უნდა იგულისხმებოდეს ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის (ასეთად ის იხსენიება 1181 წლის სომხურ წარწერაში) შვილი ზაქარია (მომავალში თვითონ ამირსპასალარი). უნდა ითქვას, რომ მხარგრძელები ქართული წარმოშობისანი იყვნენ (იხ. ამის შესახებ ვეფხისტყაოსნის 1927 წლის ჩემი გამოცემის შესავალი წერილი, სადაც მოყვანილია სათანადო საბუთები, იხ. აგრეთვე ქვემოთ დამატ. I). მაგრამ მე-12 ს-ნეში ისინი სომხურ სარწმუნოებას მისდევდნენ (მე-13 საუკუნეში კი ისინი ისევ ქართულ ეკლესიას დაუბრუნდნენ). 1180 წელს დაწერილ პროზულ თხრობაში არ შეიძლება ვათვალისწინებული ყოფილიყო მომავალში თინათინის (თამარის) და ავთანდილის (ზაქარიას) საქორწინოდ დალოცვა. ასეთი მოთხრობის დაწერას მაშინ ვერავინ გაბედავდა. შემდეგ, როდესაც თამარი უკვე დავით სოსლანის ცოლი გახდა, შოთამ შეიტანა პირველ ფაბულაში თავისი შესწორება.

IV

შაქტობრივი ცნობების შეჯამება შოთა რუსთაველზე და ვეფხისტყაოსანზე

26. შეჯამება ცნობებისა შოთა რუსთაველის წარმოშობასა და ბიოგრაფიაზე. ძირითადი მნიშვნელობისაა ორი ცნობა შოთას შესახებ: 1) ჩახრუხადის თამარიანის ბოლოში მოთავსებული სტროფი, დაწერილი უცნობი პირის მიერ რუსუდან მეფის შვილის თამარის შესაქებლად ნორჩ ასაკში 1235 წლის ახლოს: „მოხევეს ძეთა ჩახრუხადეთა ექოთ თამარი, მეფე წყლიანი“ და სხვ. 2) უცნობი პირის მიერ ვეფხისტყაოსნის პირველი გაგრძელების ბოლოში მოთავსებული სტროფი:

„ესწერ ვინმე მელექსე მე რუსთველისა თემისა“... (ან დამისა, ე. ი. სახლისა).

ეს ცნობები შოთას ბიოგრაფიისათვის მყარ საფუძველს გვაძლევს: შოთა წარმოშობით არის სამცხის მიმდგომი ხევიდან ანუ ხეობიდან, მაშასადამე, მოხევე, ხოლო გვაროვნული შტოს წოდებულობით მესხი ჩახრუხასძე.¹

ჩახრუხასძეთა წინაპარი იყო მოხევე (სამცხის მიმდგომი ხევიდან), სახელით ჩახრუხა. დაახლოებით დავით აღმაშენებლის დროს ეს ჩახრუხა რაღაც მიზეზის გამო (შესაძლებელია მსახურად ანდა უფრო მცირე აზნაურად დაწინაურების შედეგად) ღებულობს მამულად გაღმა რუსთავს და იქ ბინადება ფერის-ციხის არეში. ჩახრუხას შემდეგ ამ ადგილს დაერქვა ჩახრუხანათ უბანი¹. ჩახრუხასძეები მრავლდებოდნენ და წინაურდებოდნენ კიდევ. გრიგოლ ჩახრუხასძე უმთავრესად თითქოს თბილისში ცხოვრობდა. ჩახრუხასძეთაგან ერთი ვინმე ამ დროს თუ შემდეგ გორში დაბინავებულა (ფარსადან გიორგიჯანიძე XVII ს-ნეში იხსენიებს გორში ჩახრუხადის ეკლესიას, რომელიც, როგორც სახელიდან ჩანს, ოდესღაც ჩახრუხადეთა ერთი შტოს სალოცავი იყო).


შოთას მამას დამატებით აქვს ცალკე სამფლობელოდ ჩახრახი თავისი მთა-საძოვარით. შოთამ კი ახალგაზრდობაშივე მიიღო შუა და პატარა რუსთავი წოდებულებით რუსთველი. ხოლო რადგანაც ჩახრუხასძე თამარიანში გლოვობს

¹ მის. ჩიქოვანს მის ახლახან გამოსულ შრომაში—შ. რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, თბ. 1966, გვ. 15, 131—132 მოყვას სამცხეში ჩაწერილი გადმოცემანი, რომ რუსთავში ძველად ჩახრუხადეები ცხოვრობდნენო.

თამარ მეფეზე გამიჯნურებული თავისი ძმის კარგი მოყმისა და „იგავთ დამწესის“, ე. ი. იგავეებით მოთხრობათა დამწესის, უცხო ქვეყანაში დაღუპვას, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩახრუხადის ეს ძმა უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის პროტოტიპის იმ პროზული ამბავის დამწერი, რომელშიც თამარის ქება მოცემული იყო იგავთხრობით, ე. ი. სხვისი სახელქვეშე შეფარვით (თინათინ—თამარი). ამით შოთა გამოდის პოეტ ჩახრუხადის და მისი ძმის „იგავთ-დამწესის“ ახლო ნათესავი.

ზემოთ მოტანილი ცნობების შემდეგ შოთას გენეალოგია ირკვევა შემდეგნაირად (ყოველ სახელთან საორიენტიროდ დასმულია დაბადების წელიწადი, რომელიც მხოლოდ მიახლოებითია და პირობითი).

ჩახრუხადი (ჩახრუხადეთა შტოს დამწყები), დაიბ. 1065 წლ. ახლ.; ღებულობს დავით აღმაშენებლის დროს აღმოსავლეთ რუსთავს (ფერის-ციხეს).



გადმოცემანი ერთხმად ადასტურებენ, რომ შოთა მამით ობოლი ყოფილა. ზემომოტანილი გადმოცემა აღნიშნავს, რომ შოთას დედა გათხროვილა ტრაპიზონიდან საქართველოში სამუშაოდ ჩამოსულ მშენებელზე, რომელიც ეკლესიის თუ ეკლესიების ასაშენებლად იყო მოწვეული. ტრაპიზონელი მშენებელი იქნებოდა ლაზი და აქედან გამოდის დასკვნა, რომ შოთას დედა მეგრელი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში მეგრულის მცოდნე. შოთა თითქოს თან უნდა წაყოლოდა დედას ტრაპიზონში.

შოთას სწავლების ეტაპების შესახებ, ზემოთ თქმულის მიხედვით, შეიძლება ზოგადად შემდეგის თქმა. პირველის საფეხურის აღზრდა-სწავლა (5—11

წლის ასაკში) შოთას უნდა მიეღო ქართულად, აგარის მონასტრის თავის ბიძა-წინამძღვართან. მეორე საფეხურის (12—15 წლის ასაკში) და ნაწილობრივ მესამე საფეხურისაც სწავლას ის ღებულობდა ტრაპიზონში და ათინაში. არჩილ მეფე (II, 102) ალაპარაკებს რუსთაველს: „მე ათინას ვარ გაზრდილი“. მაშასადამე, ამის შესახებ გადმოცემა ყოფილა დარჩენილი. შესაძლებელია ტრაპიზონიდან შოთამ ათინაც ინახულა და იქ დაჰყო კიდევ რამდენიმე ხანს. ყველა საფეხურების სწავლა მას ნაწილ-ნაწილ შეეძლო მიეღო (5—18 წლის ასაკში) უპირველეს ყოვლისა თვით თბილისში. როგორც ვნახეთ, თბილისთან რაღაც კავშირი ჰქონდა შოთას მამის ბიძაშვილად ნაფულისხმევ გრიგოლ ჩახრუხადეს-თბილისში მაშინ საკმარად ბლომად იყვნენ მაჰმადიანები (სპარსელები, თურქები, და არაბებიც). ამ მაჰმადიანებს ჰქონდათ შინაგანი ავტონომია, მაგ., სასამართლო მათ თავისი ჰქონდათ. სამართლის საქმის და საერთოდ ამ მაჰმადიანთა საქმეების გამგებლობა თბილისის ყადის ხელში იყო, რომელსაც, საფიქრებელია, მაჰმადიანთა სამღვდელოება ირჩევდა და საქართველოს მეფე ამტკიცებდა. მეჩეთებთან, მაშინდელი წესის თანახმად, იყო წერა-კითხვის სკოლები და ასეთივე ერთი მალალი მაჰმადიანური სკოლა, რომელშიც საუკეთესოდ იქნებოდა არაბულ-სპარსული მწიგნობრობა-ენების შესწავლა დაყენებული, აუცილებლივ უნდა არსებულყო. ჯერ კიდევ XX ს-ნში ვიდრე უკანასკნელ დრომდე, თბილისში იყვნენ მაჰმადიან-სამღვდელოებასა და ერისკაცთა შორის არაბულ-სპარსულ-თურქულის მწიგნობრობისა და ენის საუკეთესო მცოდნენი; ეს ტრადიცია მოდიოდა ძველი დროიდან. შოთას, მაშასადამე, თვით თბილისშივე შეეძლო სპარსულ-არაბულის (და თურქულისაც) ჩინებულად შესწავლა.

საერთოდ კი შოთას შესანიშნავი განათლება მიუღია. როგორც ვეფხისტყაოსნიდან ჩანს, მან კარგად იცოდა ბერძნული, უფრო უკეთესად არაბული და სპარსული. საფიქრებელია, მან იცოდა სალაპარაკო თურქული (ვეფხისტყაოსანში არის ზოგი თურქული სიტყვა, მაგ., ჯარი), რადგან მხოლოდ თურქული და არაბული ენების ცოდნით შეიძლებოდა პალესტინამდე მოგზაურობა (შეად. XIV ს-ნის პირველ მეოთხედში მარკო პოლოს ცნობა, რომ კუმანური, ე. ი. თურქული ენით თავისუფლად შეიძლება ევროპიდან ჩინეთამდე მოგზაურობა).

შოთა თითქოს წერდა ლექსებს არაბულადაც. აბულ-ფარაჯ ბარ ჰებრეუსის (XIII ს-ნის მეორე ნახევარი) არაბული ლიტერატურის კრებულში მოთავსებულია ქართველ ავტორთა ოთხი ლექსი, რომელთაგან ერთი დასახელებულია როგორც რუსთველის (არაბული ტრანსკრიპციით — რუსტულის) ლექსი ვი-

თომდა ვეფხისტყაოსნიდან. ნამდვილად კი ეს ლექსი, მიმართული პოეტის მიჯნურისადმი, დამოუკიდებელი ნაწარმოებია. ლექსში არის ზოგი რამ ავტობიოგრაფიული ცნობა, მაგ., „შემიბრაღე მე: გფიცავ, ყოველ საღამოს მოვალ, გიხილო შადრევანთან. მამაჩემის მხედრები ვეღარ ცნობენ ჩემს სახეს, შემომხედე!“ და სხვ.¹

ამ ლირიკულ ლექსში იგულისხმებიან შოთას სხვა ქვეყანაში თანმხლები მხედარ-მსახურნი. ლექსი ახალგაზრდობაში დაწერილი უნდა იყოს და თითქოს უნდა ადასტურებდეს მოსაზრებას, რომ შოთა ადრე, ახალგაზრდობაში, ერთ ხანს ერაყში უნდა ყოფილიყო საკმაოდ ხანგრძლივად.

მაგრამ მთელი ეს განცხადება პირობითია, რადგანაც ხსენებული ლექსის ავთენტურობას, რომ ის მართლაც რუსთაველს ეკუთვნის, სერიოზული შემოწმება უნდა.

შოთა ჩამოვიდა საქართველოში (გადმოცემით 22 — 23 წლის ასაკში) მაშინ, როდესაც თმოგვი ჯერ კიდევ „ობლად“ იყო, მაშასადამე 1185—1191 წლებს შორის. შოთა გამიჯნურებულია თამარზე (პროლოგი), რასაც ადგილი ექნებოდა, ვფიქრობთ, თამარის ქორწინებამდე, ე. ი. გიორგი რუსის ჩამოსვლამდე, ანდა გიორგი რუსის წასვლის და დავით სოსლანზე დაქორწინების შუალედში. მაშინვე თამარის გამეფებისა და გლოვის დამთავრების შემდეგ მმართველ წრეში დაიწყო ლაპარაკი თამარისთვის ქმრის მოყვანის შესახებ (დასახელებული იყო გიორგი რუსი). ეს იყო 1184 წლის მეორე ნახევარში ან 1185 წლის პირველ ნახევარში. გიორგი რუსს თამარი გაშორდა 1188 წელს, უფრო ამ წლის პირველ ნახევარში. 1189 წელს კი, უფრო ამ წლის მეორე ნახევარში, თამარს ქმრად მოუყვანეს დავით სოსლანი. ამიტომ შოთას გამიჯნურება თამარზე უფრო მოსალოდნელია 1184 წლის მეორე ნახევარში ანდა 1185 წლის დასაწყისში, ხოლო მეორე შემთხვევაში 1188 წელს. ამ გამიჯნურებას მაშინვე მოყვა შედეგად ვეფხისტყაოსნის დაწერის დაწყება. შოთა, გადმოცემით 22 თუ 23 წლის ჩამოსულა საქართველოში. მაშასადამე, შოთა დაბადებულია 1162—1163 ანდა 1165—1166 წლებში. რომელია ამ ორ თარიღში უფრო ახლოს სინამდვილესთან?

ამის გასარკვევად შეიძლება გამოვიყენოთ ის ფაქტი, რომ თვითონ შოთა-

¹ პუბლიკაცია ს. ფირცხალავასი, იხ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1949, 9 იანვარი; მიხ. მამულაშვილის — რუსთაველის უცნობი ორი, ლექსი, დროშა, № 11, 1959 წ.; ამოღებულია წიგნიდან Chants d'amour et de guerre de l'Islam par France Toussaint, Marseille. 1942.

ვე თამარის გამეფების თარიღს მის მიერ დაწერილ თამარისავე მატთან ემი შეცდომით აღნიშნავს 1183 წელს 1184 წლის ნაცვლად. გარდა ამისა, იქვე შოთა კარის აღებას მიაკუთვნებს გაურკვევლად თამარის მეფობის 23-ე თუ 24-ე წელს, უნდა იყოს, 23-ე წელი. ამ ისტორიულ თხრობას შოთა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იერუსალიმში წერდა. მაშასადამე, მას არ კჳონდა ხელთ ზუსტი ცნობები თამარის მეფობის პირველი წლების შესახებ, მით უმეტეს რომ ის ამ წლებში საქართველოში არ ცხოვრობდა. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თამარის გამეფების ზუსტი თარიღის დავიწყება. ეს ძნელი ასახსნელი იქნებოდა, უკეთუ შოთა 1184 წელს ან 1185 წელს დაბრუნებულიყო საქართველოში და რამდენადმე გასაგები ხდებოდა, თუ მისი დაბრუნება სამშობლოში 1188 წელს ან 1189 წლის დასაწყისს მოხდა. ამიტომ ხსენებულ თარიღთაგან (1184—1185 და 1188 წ.) შოთას საქართველოში დაბრუნების წელიწადად უფრო 1188 წელი გამოდის. ამ დროს ის, ვადმოცემებით, 22—23 წლისა უნდა ყოფილიყო. შოთა დაიბადა, მაშასადამე, დაახლოებით 1165—1166 წელს (უფრო 1165 წელს). ეს გაანგარიშება ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან.

როდის მიიღო შოთამ წოდებულება რუსთაველი?

ჩახრუხანთ ფერის-ციხისგან, რომელსაც შემდეგ ვაღმა-რუსთავი ეწოდა, ის ამ სახელს ვერ მიიღებდა. ცხადია, ეს წოდებულება გაჩნდა მაშინ, როდესაც შოთას მისცეს შუა რუსთავი პატარა რუსთავითურთ მიმდგომ არესთან ერთად. საფიქრებელია, რომ უკვე მამა მისი ჩახრახელი უნდა ყოფილიყო აზნაური და აზნაურადვე იქნებოდნენ უკვე საკმაოდ დაწინაურებულნი თუ ყველა არა, ზოგი ჩახრუხაძე მაინც.

წოდებულება რუსთველი, როგორც საფიქრებელია, შოთას უნდა მიეღო ახალგაზრდობაში, ალბათ ვეფხისტყაოსნის დაწერის დაწყებამდე (უფრო 1188 წელს). ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ შოთა ახალგაზრდობაშივე მიიქცევდა ბევრის ყურადღებას.

შემდეგში წოდებულება რუსთველი იხმარებოდა სახელადაც (როგორც ახალციხელი, თორელი, ოთარი, თმოგველი, ლარგველი, ქვენიფნეველი და სხვ.).

„როსტომიანის“ ტექსტს ახლო დროში მისი შედგენის (1340—1350 წწ.) შემდეგ გაუჩნდა შემდეგი მინაწერი, ლექსად დაწერილი უცნობი ავტორის მიერ 1375 წლის ახლოს თითქოს სერაპიონის სახელით:

ბაგრატ ენახე, მარანსა (სოფლის სახელია) ჭდა, მუხრანს შექმნა ნადირობა.
ველყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა.

ძველი ტახტი განაახლა, კპოა მღვთითა მორკმულობა
და ნაძლევი ვარ რუსთველთანა, მეტი ექნა ჩემოდნობა.
აქა რუსთველისაგან პასუხის შექცევეა
რას მიმერჩი ბერი ბერსა, მე გავლექსე ლამაზ ენა,
აშიყი ვარ თვალწარბისა, ვინ სოფელი დააშენა.
შენ ტყუილად შემოგფიცეს, მათ აუბნეს ტკბილად ენა
და თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.

მაშასადამე, XIV ს-ნეში ყოფილა ცნობა, იმის შესახებ, რომ რუსთაველს ტკბილი ენით და ფიცით აღუთქვეს ჯილდო, მაგრამ ის არ მიუციათ. სამაგიეროდ ნაგულისხმევ პირს აუშენებია რუსთავი (უნდა იყოს შუა და პატარა რუსთავი) ვინ უნდა იყოს ეს პირი?

შოთა ხომ ეპილოგში გვამცნევს, რომ მას მის მიერ სარგის, ყოფილი თმოგველის შვილის, ქაღალდებს შორის (ასეთი აზრია გატარებული სათანადო სტროფში) ნაპოვნი ქართული პროზული ვეფხისტყაოსნის ვერსია წარუდგენი იმ პიროსათვის, ვინც „ჩანს გამირთა რაზმთა მწყობლად“ და მას უბრძანებია:

„ლექსად თქეო, მკვერ ქართულად შესაწყობლად“.

ეს პირი, თავისი თანამდებობით „გმირთა რაზმთა მწყობელი“, უნდა იყოს ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, რომელიც 1190—1212 წლებში ასრულებდა ამ თანამდებობას. ეს ის პირია, როგორც პოემის პროლოგშია ნათქვამი, რომელმაც ამაზე ადრე (1188 წლის ახლოს) „უბრძანა პოეტს თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება თვალთა და წამწამთა“ და სხვ. რომ ეს პირი ზაქარია მხარგრძელია, ამას ცხადყოფს, „როსტომიანის“ არშიაზე მიწერილი ზემოთ ციტირებული სიტყვები: „თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენაო“. აქ უნდა იგულისხმებოდეს სამცხის რუსთავი. ეს მცირე პუნქტი იყო, ის მანამდის ალბათ „აშენებულები“ არ იყო და ახლა (1188—1198 წლების ახლოს) ზაქარია მხარგრძელის დახმარებით გლეხებით დასახლებულ და საზოგადოდ მოწყობილ იქნა.

ამგვარად, აქედანაც ჩანს, რომ ზაქარია მხარგრძელს თითქოს თვალსაჩინო როლი მიუძღვის ვეფხისტყაოსნის დაწერას საქმეში — ის ყოფილა შოთას დამხმარე და დამფასებელიც.

რომ შოთას შემდეგ გვარი რუსთველისშვილა მართლაც შეიძლება არსებულებო, ამის პარალელად გამოდგება შემდეგი ფაქტი. 1348 წელს მეფე ანდრონიკეს მიერ წითლოსან ლარგველის შვილის ქვენიფნეველისათვის მიცემული

სიგელი დაწერილია „ველითა (მისივე) კარის მწიგნობრის მანგლელის (შვილის, ეთქვათ, ჭურის შვილის) ნიკოლოზისათა“. სახელი ჭურისშვილი აქ მიგნებით არის დასმული. მართლაც, დიმიტრი თავდადებულის მიერ 1287 წელს მიცემული სიგელი დაწერილია ჭურისშვილის ბოციის ხელით¹.

საყურადღებოა ანდრონიკე მეფის ამ სიგელში მოხსენიებული პირის ლარგველ ქვენიფნეველის სახელი. სახელი ლარგველი წარმომდგარია ლარგვისიდან (მონასტრის ადგილი), სახელი ქვენიფნეველი კი სახელისაგან ქვენა იფნევი, სადაც იყო მნიშვნელოვანი ციხე. ასევეა წარმოებული სახელი მანგლელისშვილი.

გადმოცემა ადასტურებს, რომ შოთა უმცროსი ძმა იყო. შოთას მამას ჩახრახელს ერთი ვაჟი უკვე ჰყოლია, ხოლო შემდეგ შესძენია მეორე ვაჟი იმ დროს, როდესაც ის პატარაშენში (რუსთავის ახლო სოფელში, მაგრამ, მტკვრის მარცხენა ნაპირას) ქორწილში იყო. აქ ჩახრახელისათვის მიუხარებიათ, მეორე ვაჟი შეგეძინაო (იხ. ზემოთ § 6).

ამის მიხედვით შოთას ჰყავდა უფროსი ძმა. არ ჩანს, მხოლოდ წაყვა თუ არა ის დედას ტრაპიზონში. თუ ის საკმაოდ მოზრდილი იყო, შეიძლება დაეტოვებიათ მამულში სხვა ახლობლების მეთვალყურეობის ქვეშ. მამის მამული შვილებზე გაყოფილ იქნა, როგორც ეტყობა, შემდეგნაირად: უფროსი ძმა გახდა ჩახრახის არეს პატრონი ჩახრახელის წოდებულების შენარჩუნებით, შოთას კი შეხვდა რუსთავის მფლობელობა, რის გამოც მისთვის თავიდანვე განკუთვნილი იყო რუსთველის წოდებულება.

ასეთი გზით უნდა წარმოშობილიყო წოდებულება რუსთველი. დაახლოებით იგივე მოხდა, რაც თამარ მეფის დროს დადასტურებულია ორი ძმა მხარგრძელის მიმართ. ვარამ მხარგრძელის უფროსი შვილი სარგისი ღებულობს მამულობით თმოგვს და მის შესავალ სოფლებს, ხოლო უმცროსი შვილი ზაქარია — მამულობითვე გაგის ციხეს შესავალითურთ. ამის შემდეგ სარგისით იწყება ახალ თმოგველთა, ხოლო ზაქარიათი გაგელთა გვარეულობა.

1192 წელს (პიჯრის 588 წ. = 1192 წ. — 1193 წ. იანვარი) შოთა უკვე იმდენად ცნობილი პირია, რომ მას აგზავნიან ელჩად სულთან სალადინთან (1169—1193) ორი დავალებით. პირველი დავალება იყო ქრისტეს ჭვარის გამოსყიდვა, ხოლო მეორე — იერუსალიმის ქართულ სიწმიდეთა საკითხი.

როდესაც სალადინმა, რომელსაც ამ დროს ემორჩილებოდა ქვეყნები ეფ-

¹ საქ. სიძველენი II, 9—10; სიგელი ამ წიგნში შეცდომითაა დაბეჭდილი. თარიღიც არაა სწორად მოცემული. ქრონიკონ ფზ-ის მაგიერ წაკითხულია და დაბეჭდილი კზ.

რატიდან მდ. ნილოსამდე, ჯვაროსნებს წაართვა იერუსალიმი (1187 წ.), მან წამოაღებინა იქიდან ე. წ. ქრისტეს ჯვარი და ქრისტიანების დასამცირებლად, დაავდებინა თავის თაველაში. მთელი ქრისტიანული სამყარო შეძრწუნდა. არაბი ისტორიკოსების ნურ-ედ-დინის და სალაჰ-ედ-დინის სიტყვით¹, ბიზანტიის იმპერატორმა გაუგზავნა სულთანს სპეციალური ელჩი და მოითხოვდა ამ ჯვარის დათმობას. მაგრამ სულთანმა ამაზე უარი განაცხადა. არაბი ისტორიკოსი ბეჰ-ად-დინი ამ ამბავს ათარილებს 1192 წლით, მაგრამ ეს თარიღი მცდარი უნდა იყოს. ვფიქრობთ ეს 1191 წელზე ადრე უნდა მომხდარიყო. სახელდობრ, ხსენებული არაბული წყარო ამ წლის თარიღით გადმოგვცემს, რომ ბერძნები ცდილობდნენ ამ ჯვარის დაბრუნებასო და როდესაც მათ უარი მიიღეს, მაშინ ქართველები შეეცადნენ ამავე საკითხში წარმატების მიღწევას, ელჩებს ელჩებზე აგზავნიდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ ჯვარის მიცემას, მაგრამ ასევე უნაყოფოლო. ამ ცნობის მიხედვით, სწორედ 1191 წელს ქართველებს უნდა გაეგზავნათ სულთანთან ელჩი ხსენებული საკითხის მოსაგვარებლად. ამ ელჩის ვინაობა არაა დასახელებული, მაგრამ ცნობა, რომ ქართველები სულთანთან ელჩებს ელჩებზე აგზავნიდნენ, უნდა გულისხმობდეს უკვე შემდგომ წელს სულთანთან ახალი მოციქულის გაგზავნას. მართლაც, არაბული წყარო გადმოგვცემს, რომ სულთანთან ჩასულა ქართველების ახალი ელჩი, რომელსაც შეუძლებია ჯვარის გამოსასყიდად 200 ათ. დინარი (თითო მისხლიანი ოქროს ფული), მაგრამ უშედეგოდ. 1192 წლის თარიღით არაბული ორი წყარო² გადმოგვცემს, რომ სულთანთან ჩავიდა ქართველების ელჩი-მოციქული (რასულ), რომელმაც წარადგინა საჩივარი იმ რელიგიურ დაწესებათა მძიმე მდგომარეობის გამო, რომელნიც ქართველების კუთვნილებას შეადგენდნენ იერუსალიმში და მის გარშემო. ელჩის განცხადებით, ქართველებისთვის წაერთმიათ ეს დაწესებანი (ე. ი. მონასტრები მათი მიწებით) და ის თხოულობდა მათ დაბრუნებას.

1905 წ. იერუსალიმში ბერძნულად გამოცემულ კრებულში „ახალი სიონი“ არის თავი „ჯვარის მონასტრის მატთან“, რომელშიც მოთავსებულია ცნობა, რომ თითქოს 1192 წელს იერუსალიმში ჩასულა რუსთაველი, რომელსაც თამარ მეფისაგან დავალებული ჰქონდა აღედგინა დაზიანებული ჯვარის მონასტერი. რუსთაველმა შეასრულა ეს დავალება და შეამკო მონასტერი ფრესკებით და ნანატრებით³.

¹ Recueil des historiens des croisades; historiens orientaux, t. V, Paris, 1906, Le livre des deux jardins, Histoire des deux regnes, celui de Nur-ed-din et Salah-ed-din, p. 33.

² იქვე, t. III, Paris, 1884, p. 345.

³ ცნობა მოწოდებულია ტელ-ავივიდან (ისრაილიდან) ს. ლოსევის მიერ (Вечерний Тбилиси 17 ივნ. 1960 წ., თარგმანი გაზ. „კომუნისტი“, 19 ივნ. 1960 წ.).

ზემოთ გამოყენებულ არაბულ წყაროებში გამოთქმა „ქართველების მოცუქული“ მოცემულია სიტყვებით რასულ-ალ-გურჯ. არაბული ტრანსკრიპციის მიხედვით სახელი რუსტველ ხელნაწერებში შეცდომით შეიძლება გააზრებული ყოფილიყო, როგორც სიტყვა რასულ (მოციქული). ცხადია, იერუსალიმში გამოცემული ხსენებული წიგნის ავტორი არაბულ წყაროში რასულის მაგივრად კითხულობდა რუსტველს, რაც ნამდვილი წაკითხვა უნდა იყოს. ამით დასტურდება, რომ რუსთაველი 1192 წელს მართლაც გაგზავნილი უნდა ყოფილიყო სულთანთან. სულთანს დაუქმყოფილებია საქართველოს თხოვნა ქართული მონასტრების დაბრუნების შესახებ, რის შემდეგ რუსთაველი ჩასულა იერუსალიმშიც, სადაც მას განუახლებია და მოუხატვინებია ჭვარის მონასტერი. შეიძლება ამდროინდელი იყოს ჭვარის მონასტრის ფრესკა მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის გამოსახულებით. როგორც ეტყობა, შოთას იერუსალიმში საკმაოდ რთული სამუშაოები ჩაუტარებია და ამიტომ საფიქრებელია, რომ ის პალესტინაში ორიოდე წელს მიანიც დარჩებოდა.

იერუსალიმში წასვლამდე შოთას ვეფხისტყაოსნის ნაწილი უკვე დაწერილი ექნებოდა. იერუსალიმში შოთას შესაძლებლობა ექნებოდა თავისი ნაწარმოების შესრულებული ნაწილი გაეცნო უცხო (განსაკუთრებით ფრანგ) რაინდებისა და პოეტ-მწერლებისათვის, რომელნიც სალოცავად დადიოდნენ იერუსალიმს და მის გარემოში.

ამგვარად, გამოდის, რომ 1192 წელზე უწინარეს შოთა უკვე რუსთველად იწოდება. მაშასადამე, შოთა ახალგაზრდობიდან გამხდარა „რუსთველი“, ასე რომ ჩახრახელად ის აღარ იწოდებოდა, რადგანაც მის ახალ სამკვიდრო რეზიდენციას რუსთავი შეადგენდა.

თუნდაც დაეუშვათ, რომ შოთა გამოსული იყო არა აზნაურის, არამედ მსახურის ოჯახიდან, შეიძლებოდა თუ არა, რომ შემდეგ ის გამხდარიყო ვაზირ მეჭურჭლეთუხუცესად? თამარის პირველ მემკვიდრეს დასახელებული აქვს ასეთი შემთხვევა. თამარის მამის გიორგი III-ის დროს აზნაურის ყმა აფრიდონ, მაშასადამე დაბალი ხარისხის მსახური, გახდა თმოგვის ციხის პატრონად, ერისთავთ-ერისთავად და ვაზირის თანამემწე — მსახურთუხუცესად.

ამ აფრიდონის ცოლი იყო ოსიყმის ასული ხვაშაქი, რომლის მიერ აშენებულია ეკლესია სოფელ ქვემო ჭინისში, ქვემო ქართლში. „...მომადლა ღმერთმან მე, ხოშაქსა, ერისთავთ-ერისთავისა მსახურთუხუცესისა აფრიდონის ცოლსა, ოსიყმის ასულსა, აღგებად წმიდისა ამის ეკლესიისა ვარძიისა ღმრთისა

მშობლას სამსახურად. ი(10) წლის მკუდარი გამაცოცხლა, ძლიერი დიდებამ მიბოძა. ესე მცირედი მსახურება მიძღვნია¹.

აფრიდონს მიცემული ჰქონდა დროებით სამფლობელოდ თმოგვი თავისი შესავალი სოფლებით. როდესაც აფრიდონი დიდებულთა მოთხოვნით 1184 წელს დაამხეს, მას თმოგვი და მისი შესავალი ჩამოართვეს.

შოთას ბევრი უმოგზაურია, რაც ჩანს მის მიერ დაწერილი თამარის მატინიდან, რომელშიც ის გადმოგვცემს, რომ თამარის სახელი „კიდით კიდემდე განისმნეს, ვითარცა თვით მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული“-ო.

თამარის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში (თამარი, როგორც წერილობითი და ზეპირგადმოცემითა ცნობების ერთმანეთთან შეჯერებით ჩანს, გაცივდა და ავად გახდა 1206 წლის ზაფხულში ფილტვების ანთებით, რის გამო ის რამდენიმე თვეში გარდაიცვალა სწრაფი ჭლექისაგან) შოთა საქართველოში არ ყოფილა, რადგანაც ის წუხილით წერს თავის მატინეში: როგორ მოუვიდათ, რომ თამარი ნაჰარმაგვიდან ტფილისს წამოიყვანეს კუბოთით (ე. ი. ტახტრევანით).

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, შოთა 1212 წლიდან უკვე ვაზირი მეჭურჭლეთუხუცესია და ასეთად დარჩა ის ვიდრე სიკვდილამდე (ამაზე ქვემოთ).

შოთას ბიოგრაფიის აღდგენისას ყოველი დეტალი ვეფხისტყაოსნის ავტორის ცხოვრების შესახებ ჩვენთვის საყურადღებოა. მაგრამ ძიების დროს, რასაკვირველაა, სიფრთხილევ არის საჭირო. ი. მეგრელიძეს თავის წიგნში („შოთა რუსთაველა და ფოლკლორა“ (რუს.) 1960 წ., 1958 წ., გვ. 38) მოჰყავს ცნობა შოთას ცოლის მიერ ზანგ თუ არაბ შონასთან ჩადენილი დღალტის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ დიდ პიროვნებათა ცოლების მიმართ ასეთი გადმოცემა ხშირია ყველა ხალხების ფოლკლორში და ამ გადმოცემებს მორალური ხასიათი აქვს. მაგრამ მაინც ფაქტია ის, რომ გადმოცემით შოთას ოჯახი დაერღვა იმდენად, რომ ის ერთ დროს გადაიხვეწა კიდევ თავისი ქვეყნიდან. შეიძლება თუ არა ეს სინამდვილეს შეიცავდეს?

როგორც ვნახეთ, შოთას თავისი სიცოცხლის ბოლოს იერუსალიმში ჩასვლისას ჯვარის მონასტერში დაუწესებია აღაპი თავისთვის. აღაპის ამ ჩანაწერში შოთა მეჭურჭლეთუხუცესად იხსენიება. მოსალოდნელი იყო, რომ ნორმალურ პირობებში შოთას უნდა დაეწესებია ჯვარის მონასტერში თავისი ცოლის აღაპი. ჩვენ გადავსინჯეთ ჯვარის მონასტრის აღაპებში ქალების შესახებ ყველა

¹ Е. Такайшвили, Археологические экскурсии, Разыскания и заметки, IV. Т., 1913, стр. 51—52.

ჩანაწერები იმათი გამოკლებით, რომელნიც აშკარად დედოფლები არიან ანდა რომელთა დედ-მამა ან ქმრები ცნობილი ისტორიული პიროვნებანი იყვნენ. ამათი გამოკლებით რჩება 21 ჩანაწერი, რომელთაგან ხელის მიხედვით XIII ს-ნის დასაწყისის უდგება მხოლოდ დუღაის (281) მოსახსენებელი (დანარჩენები არიან XIII ს-ნის დასასრულის, XIV ს-ნის და ზოგი კიდევ XV ს-ნისაც). მაგრამ დუღაის შესახებ ჩანაწერში სახელის მეტი არაფერია. ისიც კი არ ჩანს, თუ ეს სახელი, მისი იშვიათობის გამო, მართლაც ქალისაა, თუ მამაკაცისა¹. ამგვარად საკიფხი ჯვარის მონასტრის აღაპებში შოთას ცოლის მოსახსენებლად ჩანაწერის არსებობის შესახებ უნდა მოიხსნას. მაშასადამე, ვადმოცემა შოთას ოჯახის დაშლის შესახებ სწორი უნდა იყოს. ამით უნდა აიხსნას, რომ 1205—1210 წლების ახლოს შოთა საქართველოში არაა (ამაზე იხ. ზემოთ). ამ დროს მას ხანგრძლივ უმოგზაურაა და ამიტომ იერუსალიმშიც ის კარგა ხანს დაჰყოფდა. მას რომ ამ ხანაში ბევრი უმოგზაურაა, ეს ჩანს მის მიერ დაწერილ თამარის მეორე მატანიდან, რომელშიც იგი, როგორც თვითმხილველი, აღნიშნავს თამარის სახელის დიდ პოპულარობას მოგზაურთა შორის მისი (თამარის) სიკვდილის შემდეგ, ე. ი. შემდეგ 1207 წლისა.

შოთას ცხოვრების უკანასკნელ წლებზე შეიძლება ითქვას შემდეგი. ჯვარის მონასტრის პორტრეტზე შოთა წარმოდგენილია მხნედ, მაგრამ როგორც გრძელი ჰალარა წვერას მქონე. ბაგრატ III 1014 წელს გარდაიცვალა 36 წლის მეფობის შემდეგ „შემკობილი მკვითა (თეთრი წვერით) შეენიერათა“. (მატიანე). ბაგრატ III დალოცეს აფხაზეთის და ქართლის მეფედ, როდესაც ის „განსრულებულ იყო ასაკითა“, 978 წელს. ამ დროს ის უნდა ივულისხმებოდეს, ადამიანის ასაკის შესახებ საბა ორბელიანის სქემის გათვალისწინებით, უფრო 20 წლისა. უკანასკნელი რიცხვის მიღებით ის გარდაიცვალა 56 წლისა. ჯვარის მონასტრის პორტრეტზე შოთა წარმოდგენილია კარგად შენახული, არადანაოკებული სახით და თეთრი წვერით, რომელიც მცირედ შავითაა არეული. ამი-

¹ აღაპებში XIII ს-ნის პირველი მეოთხედის ახლოს (ხელის მიხედვით) იხსენიება კიდევ დოფლაქურდაბისი. „დედა მოვიდა მისი“ და ასე განუწესეთ ალაპა და პანაშვილი“-ო (272).

ეს ალაპა ჩაწერალა იმავე ხელათ, როგორითაც ალაპი და მოსახსენებელი „აფხაზეთის კათალიკოზსა დანიელსა და მისი შვილსა ჰყონდიელსა გიორგისა“ (299). ჩაწერილია ეს მოსახსენებელი ასე: „სადაპო და მოსახსენებელი სრულად მოლო, რომლითა შეესჭერდით და ნუ დაჯუაკლებთ, ღეთისაოვის გევედრებით“. გამოდის, რომ გიორგი ჰყონდიელი თვითონ ყოფილა იერუსალიმში და თვისი და თავისი მამის აღაპები განუწყსებია. არადანაც ქურდაბის მოსახსენებელი ამავე დროს ეკუთვნის, ამიტომ ეს დოფალი უფრო დასაძლეთ საქართველოდან უნდა იყოს და შოთას ცხოვრებასთან მას საერთო არ უნდა ჰქონდეს.

ტომ ის ჯვარის მონასტრის პორტრეტზე ბაგრატ III-ზე მეტი ასაკის არ უნდა იყოს წარმოდგენილი.

თითქოს შოთას დაკვეთით უნდა იყოს ჩაწერილი ჯვარის მონასტერში¹ აგვისტოსთვის გიორგი მეფეთ-მეფის საწირავი და ალაპი. ნ. მარი ფიქრობდა, რომ ეს ჩანაწერი, სინგულრით შესრულებული, თითქმის ხელნაწერის თანადროული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფოტოსურათის მიხედვით ეს არ დასტურდება. წითლად არის ეს ალაპი ჩაწერილი, რადგანაც შემკვეთი მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა. ამ ალაპის (284) ჩანაწერი ამჟამად მეტად ფერმკრთალად ჩანს, ასე რომ ელ. მეტრეველს ის ნ. მარის წანაკითხით მოჰყავს. რომელი მეფე უნდა იყოს ეს გიორგი? ნ. მარი აღნიშნავს, რომ ეს ჩანაწერი, სხვა ჩანაწერებთან შედარებით ძველი ხელით არის შესრულებული. ეს შეიძლება იყოს ან გიორგი III-ის ან გიორგი ლაშას ალაპის ჩანაწერი. აქ რომ გიორგი III იგულისხმებოდეს, მაშინ საფიქრებელი იყო, რომ ალაპი სადმე მისი ცოლის ბურღუხან დედოფლისაც ჩაიწერებოდა. ამიტომ, მე ვფიქრობ რომ ალაპი გიორგი ლაშას მოსახსენებლად უნდა იყოს განკუთვნილი. მაშინ გამოდის, რომ მისი დამკვეთიც მეჭურჭლეთუხუცესი შოთა უნდა ყოფილიყო, რომელმაც ეს ალაპი ჩააწერინა წითელი მელნით ალბათ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მისაცემად.

როგორც ცნობილია, ლაშას თანადროული მექრონიკე მისი უდროო სიკვდილის შემდეგ მას უადრესად დადებითად ახასიათებს: ლაშა იყო „მშვილდოსანი და ცხენოსანი, გულოვანი და შემმართველი, რომელ მისითა მკლავითა ომნი დასხნნა და გარდაიჭადნა სიმკროსავე შინა სწორნი დავით პაპის პაპისა მისისანი; ბედნიერი ლაშქრობითა, ბედნიერი ქვეყანისა ნაყოფთა მოსეღისათვის, დაჭირებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლე და მხედვარი მეტად ეამისა და ასაკისა მისისა... და ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდეს“.

ასეთმა გიორგი ლაშამ აიყვანა შოთა ვაზირის თანამდებობაზე და შეუქმნა მას მაღალი მდგომარეობა. გიორგი ლაშა აგონებდა შოთას თამარის სახეს და ესეც მოულოდნელად გაქრა (უცბად გარდაიცვალა 1222 წ. 18—19 იანვარს). როგორც ეტყობა, შოთამ ველარ აიტანა ბედის ეს ახალი დარტყმა, მოაგვარა თავისი საქმეები და საკმაო სახსრით გაემართა იერუსალიმისაკენ, სადაც მან უკანასკნელი თავშესაფარი პოვა. თითქოს შოთამ განუწყესა ლაშას მოსახსენებელი ალაპი.

¹ ალაპნი ჯვარის მონასტრისანი, სპბ., 1914, გვ. 70, შენ. 1.

ამგვარად, შოთა უნდა ჩასულიყო იერუსალიმში 1222 წ. და მაშინ ან მეორე 1223 წლის დასაწყისს, როდესაც შოთა 56—57 წლის იქნებოდა, უნდა იყოს შესრულებული მისი პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. დაახლოებით ამავე წლებში (1222 წლის ახლოს) იერუსალიმში უნდა იყოს დაწერილი შოთას მიერ თამარის ეგრეთწოდებული მეორე მატიანე. როგორც ვნახეთ, ამ მატიანეში არის ზოგი ფაქტობრივი შეცდომა, რადგანაც ავტორი მას წერს ზეპირად საქართველოს დაშორებულში.

ძნელი დასაჯერებელია, რომ შოთას მონასტერში ბევრი წელი გაეტარებინოს. ალბათ იერუსალიმში ჩასვლის შემდეგ შოთა შედარებით მალე გარდაიცვალა კიდევ (1224 წლის ახლოს). თეიმურაზ ბატონიშვილი თავის შრომაში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მან დაამთავრა 1843 წელს, შოთას ცხოვრების უკანასკნელი ხანის შესახებ წერს შემდეგს: „უკანასკნელ შოთა რუსთაველმან დაუტევა სოფელი ესე და ყოველივე დიდება და შვება საწუთისა ამას და წარვიდა წმიდად იერუსალემად და შვივდა მონასტერსა შინა ქართველთას¹, რომელიცა აღშენებულ არს უძველესთა დროთა შინა მეფეთაგან სრულიად საქართველომასთა მირიან პირველის და ვახტანგ გორგასლანისაგან სახელსა ზედა ცხოველმყოფელისა ჯუარისასა აღშენებულსა და განაახლა მონასტერი იგი შოთა რუსთაველმან, რამეთუ ფრიადნი სიმდიდრენი შესწირნა მონასტერსა მას და ქრისტესა საფლავსა და ყოველთა მათ თვითოეულად ქართველთა მონასტერთა გინა სხვათა.

„ზოლო იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯვარისასა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცითა, მაგრამ ფრიადისა მოღვაწებითა, მრავლისა ქველის საქმითა, ლოცვითა, მარხვითა და გლახკთა გამოზრდითა და ყოველითა სათნოებითა კეთილითა აღასრულა ცხოვრება თვისი და დაეფლა მუნვე ჯვარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესიასა, სადაცა შინაგან ეკლესიისა კედელსა ზედა გამოხატულ არს სახე მისი და სჩანს ვიდრე მოღვინდელად დღემდე“.

¹ ისრაილელი მეცნიერი ზეებ ვილნაი ისრაილურ ჟურნალში „ბუნება და მიწა“ ახლახანს წერდა: ჯვარის მონასტრისთვის საკირო მიწა იმპერატორმა კონსტანტინემ აჩუქა ქართველებს პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს, როდესაც ეს მირიანი მოხუცებულობისას 316 წლის ახლოს გადასახლდა პალესტინაში. საშუალო საუკუნეების მომლოცვეები გადმოგვცემენო, რომ ჯვარის მონასტრის საყდარი (კონსტანტინეს დედამ) ელენე დედოფალმა ააგო ქართველებისთვისო. XIII ს-ნის ბოლოში ეგვიპტის სულთანმა მელეხ ან-ნასერ ბენ-ხალუფმა განდევნა მონასტრიდან ქართველი ბერები და გადააქცია ის მეჩეთად. 1305 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე II-მ პალეოლოგმა მოიპოვა ეს მონასტერი (მაჰმადიანთაგან) და ქართველებმა ის აღადგინესო (Вечерний Тбилиси, 3 марта 1966 г., Доктор Вильям о Шоте Руставели). ცნობა საყურადღებოა, თუმცა ის ზოგ რამეში ზუსტი არაა.

ამგვარად თეიმურაზს უკვე ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ შოთამ თავისი ცხოვრების უკანასკნელი ხანი დაჰყო იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, სადაც ის დასაფლავებულიც ყოფილა. ცნობა შოთას იერუსალიმში სიკვდილისა და მისი იქვე დასაფლავების შესახებ მოდიოდა საერთოდ იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან, სადაც გადმოცემა ამის შესახებ მტკიცედ დამკვიდრებული იყო. ამიტომ ხსენებული ცნობა საქართველოში ფეხმოკიდებული იქნებოდა ტიმოთე გაბაშვილზე ადრეც. ეტყობა, საერთოდ ეს ცნობა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში დაცულ მკვიდრ გადმოცემას ემყარებოდა და ამიტომ ის არსებითად სწორი უნდა იყოს¹.

ხსენებული გადმოცემა რომ სიმართლეს შეეფერება, ეს ჩანს სხვა პარალელებიდან. ვახტანგ გორგასალის საფლავთან მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში კედელზე ძველადვე მისი სურათი იყო გამოსახული. ასევე ეს დადასტურებულია თამარ მეფის თავდაპირველ საფლავთან გელათის მონასტერში (სურათი ჩამოირეცხა XIII ს-ნეშივე, მაგრამ მისი კონტური ეხლაც კარგად ჩანს). ასეთი მაგალითები სხვებიც არის. ამით დასტურდება ხსენებული გადმოცემის სისწორე შოთას საფლავის არსებობის შესახებ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში.

27. ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღი. ამ საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს პოემის ზემოთ დადგენილი ეპილოგის შემდეგ სტროფის:

ეს ამბავი დარჩომოდა სარგის(ს) ლექსთა შეუწყობლად,
მერმე თმოგვი თმოგველთაგან შესაილითურთ დარჩა ობლად;
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად
და მან მიბრძანა—ლექსად თქვიო, მკვერ-ქართულად შესაწყობლად.

აქ იგულისხმება წინანდელ თმოგველთაგან (აფრიდონ მსახურთუხუცესის მიერ) თმოგვის დაობლება, ასე რომ თმოგვი კვლავ სამეფოდ არის შერიცხული და მას ახალი პატრონი ჯერ არ ჰყავს. 1187—1192 წლებში საქართველოს ამირ-

¹ პირველად ცნობა ამის შესახებ მოთავსებული აქვს დ. ჩუბინაშვილს თავის კრესტომათიაში (სპბ, 1846 წლის გამ., გვ. IV, მეორე განყოფილება). თუმცა დ. ჩუბინაშვილი ამ შემთხვევაში თითქოს იმორეშებს მოთვარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს, მაგრამ ტიმოთეს ასეთი ცნობა არ აქვს. ცხადია, რომ დ. ჩუბინაშვილს სხვა რაღაც ცნობა ჰქონდა, როდესაც წერდა, რომ შოთამ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები იერუსალიმში გაატარა და ის ჯვარის მონასტერშია დასაფლავებული.

1958 წელს იერუსალიმში იყო უკრაინელი მწერალი გრ. პლოტკინი, რომელსაც იქ გადასცეს ბერძენ ბერებშიაც კი დარჩენილი ცნობა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში შოთა რუსთაველის დასაფლავების შესახებ. მას საფლავიც უჩვენეს მიახლოებით (გრ. პლოტკინი — „გადმოცემა რუსთაველას საფლავის შესახებ“, მნათობი, 1959 წ. № 5, გვ. 125—126).

სპასალარად იყო გამრეკელი თორელი, რომელსაც მისცეს თმოგვი მისი შემავალი სოფლებითურთ, როგორც დროებითი სამფლობელო, მაგრამ როდის, ეს მათიანის ცნობიდან არ ჩანს. თითქოს ეს უნდა ყოფილიყო მისი ამირსპასალარობის უფრო მეორე ნახევარში, ე. ი. 1189—1190 წლის ახლოს. გამრეკელ თორელის სიკვდილის შემდეგ (1192 წლის ახლოს) თმოგვი ჩამოართვეს მისი შვილებს. ამის შემდეგ თმოგველების ახალი გვარი იწყება სარგის ვარამის ძის მხარგრძელისაგან, რომელსაც თამარმა უბოძა თმოგვი 1192 წლის ახლოს. ეს მოხდა დიდებულთა დიდი შეწყალების დროს მას შემდეგ, რაც დამარცხებულ იქნა გიორგი რუსი.

ხსენებულის მიხედვით შოთამ თმოგვის ციხის სალაროში (ასე უნდა ვიგულისხმობთ, სალაროში იყო არქივიც) ვეფხისტყაოსნის წინამორბედი მოთხრობა იპოვა 1188 წელს (შეად. § 17). ამ დროს ჩამოსულა, მამასადამე, შოთა ძირეულ საქართველოში.

შოთას მფარველად გამოდის ის, ვინც პოემის დამთავრებისას ჩანს „გმირთა რაზმთა მწყობლად“. ეს იყო ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, თამარის დროინდელი სახელგანთქმული სარდალი. აქ დროული იქნება შეეჩერდეთ ზაქარია მხარგრძელის წარმომავლობაზე.

ზაქარია მხარგრძელი იყო მონოფიზიტური, ე. ი. ადგილობრივი თვალსაზრისით სომხური ეკლესიის მიმდევარი. მაგრამ არსებითად ყველა მხარგრძელები ქართველი თორელების ერთ შტოს წარმოადგენდნენ, რომელიც დაახლ. XI ს-ნეში ლორის სომხურ პატარა სამეფოში გადასულიყო და იქ სომხურ ეკლესიას მიკედლებოდა. ეპითეტი მხარგრძელი მათ თითქოს მიიღეს ქართულ სომხითში ვითომდა სპარსეთის მეფის არტაქსერქს I ხელგრძელისაგან (465—424 წწ. ჩვ. ე-მდის) წარმომავლობის გამო. მაგრამ თუ ასეთი წარმომავლობა სინამდვილეს შეეფერებოდა, მაშინ ყველა თორელებიც მხარგრძელები უნდა ყოფილიყვნენ. როგორც ეტყობა, სომხეთში მხარგრძელთა წინაპარნი უფრო დედობრივი ხაზით როგორღაც დაუკავშირდნენ თავისი გვარის არტაქსერქს I-დან წარმომავლობის დამჩემებელ პირს და აქედან წარმოიშვა მათი ეპითეტი მხარგრძელი, რომელიც მათ შეინარჩუნეს, როდესაც აღმამეწმინდის დროს მოყვნენ საქართველოს სამსახურში.

ზაქარია მხარგრძელი მართლაც იყო გმირი სარდალი, სამხედრო საქმეების ბედნიერად წარმმართველი თამარის დროს. შეილი შანშე, სომხური წყაროებით, მას ეყოლა გვიან (1207 წელს). ოჯახს ის, მამასადამე (შესაძლებელია, თამარზე თავიდანვე გამიჯნურების გამო), ძლიერ გვიან მოჰკიდებია. ვეფხისტ-

ტყაოსნის დამთავრებისას ის ჯერ კიდევ ცოცხალია (მას ვუჩვენე, „ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად“-ო).

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ჩახრუხადის მიერ თამარის მიმართ დაწერილ შესხმამი უკვე აღინიშნება ვეფხისტყაოსნის გავლენა. ხოლო ჩახრუხადის შესხმა, ჩემი აზრით, დაწერილია ქართველების მიერ ანისის აღების შემდეგ, ე. ი. 1199 წლის შემდეგ დღინის აღებამდე (1202 წ.), დაახლოებით 1200—1201 წლებში. ამით დასტურდება, რომ ვეფხისტყაოსანი 1200 წლის ბოლოს მართლაც უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო.

ხალხური გადმოცემით¹, შოთამ 35 წლისამ დაამთავრა ვეფხისტყაოსანი და წარუდგინა თამარ მეფეს. სხვა ცნობების უქონლობის გამო ჩვენ ამ გადმოცემას უნდა დავეყრდნოთ.

შეიფერება თუ არა ეს ცნობა სინამდვილეს? ძველ დროიდან მომდინარე ტრადიციულ სურათზე (რომელიც ზაზასეულ ხელნაწერშია წარმოდგენილი), აგრეთვე მამუკა თვაქალაშვილის მიერ შესრულებულ სურათზე (რომელიც აგრეთვე პოემის ტექსტთან თავდაპირველად დართული სურათიდან მომდინარეობს) შოთა გვესახება მოკლედ შეკრეპილი შავი წვერით. ასეთი უნდა ყოფილიყო პოეტი ვეფხისტყაოსნის დამთავრებისას. გადმოცემა, მასასადამე, საკმაოდ ზუსტად ასახავს პოეტის ასაკს პოემის დამთავრებისას, ე. ი. შოთა ამ დროს მართლაც უნდა ყოფილიყო 35 წლისა.

მაკარა-ვანქის (ა/კავკასიის სომხეთში) წარწერა, რომლის თარიღი უნდა იკითხებოდეს სომხური წელთსათვალავით 723 (ე. კოსტანეანცს შეცდომით დაბეჭდილი აქვს 673 წელი), რაც 1274 წელს უდრის, იხსენიებს შემწირველს დავით ტარიელის ძეს ათაბაგ სადუნის დროს. სადუნი საქართველოს ათაბაგად იყო დიმიტრი თავდადებულის დროს 1270 წლიდან და მოკვდა 1281 წლის ახლოს. თუ ხსენებული დავითი 1274 წელს 40—30 წლისა იყო, მამა მისი ტარიელი დაიბადებოდა 1210—1220 წლებში. დროს უნდა გაეცლო, რომ განსაკუთრებით საქართველოს სამეფოს კუთვნილ სომხეთის ნაწილში ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირის სახელი გამხდარიყო იმდენად პოპულარული, რომ ის დაერქმიათ ახალ დაბადებულ ბავშვისათვის. ამის მიხედვით 1200—1205 წლების ახლოს ვეფხისტყაოსანი უკვე პოეტის ხელიდან გამოსული იყო და პოპულარულიც უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფის კარზე და ფეოდალთა წრეებშიც.

ამგვარად, ვეფხისტყაოსანი შოთამ დასწერა 1188—1200 წლებში.

¹ ი. მეგრელიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 40, 62.

რადიკალური ინსტიტუციები ფეოდალურ საქართველოში და ვეფხისტყაოსანი



ვეფხისტყაოსანი არის თავისი შინაარსით უპირველეს ყოვლისა ქართველი რაინდების ანუ, ძველი ტერმინით, მოყმეთა იდეების, მათი განცდათა ამსახველი იდეალური ნაწარმოები. მოყმენი XII ს-ნეში წარმოადგენდნენ ფეოდალური საქართველოს წამყვანი ფენების მხედრულ-მეომართულ საუკეთესო ნაწილს, გაბატონებული კლასის, შეიძლება ითქვას, ნაღებს. მოყმეთა ინსტიტუცია საქართველოში ჩამოყალიბდა დავით აღმაშენებლის დროს და მტკიცედ არსებობდა XII ს-ნის სიგრძეზე და შემდეგაც ვიდრე მონღოლების ბატონობის დამყარებამდის. XIII ს-ნის მეორე ნახევარში და XIV ს-ნის პირველი ნახევრის სიგრძეზე თანდათან თვით ტერმინიც მოყმე ქრება და XV ს-ნეში ის უკვე აღარ იხსენიება. მხოლოდ ქართული მთიანეთის ცალკე მხარეებში ეს ტერმინი კვლავ განაგრძობდა არსებობას. მაგ., XVIII ს-ნეშიც ფშავეში ლაშარის-ჯვარის ყმები (ე. ი. ფაქტიურად ყველა ფშავები) ამ სალოცავის მოყმეებად იწოდებოდნენ.

ქართველ მოყმეთა ინსტიტუციის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის ქრისტიანული სამეფოს დაარსებამ. დას. ევროპის უმთავრესად ფრანგ და ნაწილობრივ გერმანულ ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა დაიწყო 1097 წელს, როდესაც ისინი ბოსპორიდან გადავიდნენ მცირე აზიაში, და დამთავრდა იერუსალიმის აღებით და იქ ქრისტიანული სახელმწიფოს დაარსებით 1099 წლის ივლისში. დავით აღმაშენებლის მმართველობის თითქმის მთელ სიგრძეზე ა/კავკასიაში მძლავრობდნენ მთელს წინა-აზიაში პოლიტიკურად გაბატონებულ მდგომარეობაში მყოფი თურქ-სელჯუკები თავიანთი სულთანის მეთაურობით. საქართველო ვერ შეერიგებოდა თურქების მძლავრებას სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში და უმთავრესად თბილისში, რომელიც მთლიანად მათ ხელში იყო. საჭირო იყო სამხედრო საქმის რეორგანიზაცია, რაც დავით აღმაშენებლის დროს დას. ევროპის ჯვაროსანთა ზოგ გამოცდილებათა ზეგავლენით ჩატარდა კიდევ. სამხედრო საქმის ახლად დაორგანიზებამ გამოიწვია ცვლილებანი სამხედრო წოდების ჩვევებშიც, მოყმე-

თა ინსტიტუციის ჩამოყალიბებას მოყვა ჩვენში ძმადნაფიცობის და ქალის კულტის შექმნა, რის იდეალურ გამოხატულებას ვხედავთ ვეფხისტყაოსანში.

მოყმენი უპირველეს ყოვლისა წარმოადგენდნენ პროფესიულ სამხედრო პირებს. მათი მოწოდება იყო მუდამ ბრძოლისთვის მზადყოფნა.

ფეოდალურა წყობილებისათვის დამახასიათებელია ვეფხისტყაოსნის შესავალში (სტრ. 11) მოცემული სიტყვები:

რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯარდეს და მას უზნობდეს;
მუშა მიწყვი მუშაობდეს, მეომარი გულოვნობდეს...

მოყმენები თავიანთი მხედრებით წარმოადგენდნენ ფეოდალური საზოგადოების სამხედრო წოდებას, რომელსაც წამყვანი მნიშვნელობა ეძლეოდა მშობლიური ქვეყნის და ხალხის თავდაცვის საქმეში.

ჩვენ აქ განვიხილავთ, თუ რა პირობებში ჩამოყალიბდნენ მოყმენები და რა ფუნქციები ახასიათებდა მათ საქართველოს ფეოდალურ საქართველოში.

28. **ფეოდალურა საზოგადოება.** გამოთქმა ფეოდალური საზოგადოება გულისხმობს ისეთ წყობილებას, სადაც მიწის მფლობელობას გარკვეული პირობითი ხასიათი აქვს. სიტყვა ფეოდი წარმომდგარია ძველი გერმანული სიტყვებიდან fehu — მამული, ქონება, პირუტყვი და od — მფლობელობა. აქედან საშუალო ლათინურში იყო ტერმინი feodum. ფეოდის ფარდი ტერმინი ქართულში იყო საქონებელი (ქონება, მამული და საქონელი — პირუტყვიც) ფეოდი დასავლეთ ევროპაში იხმარებოდა მიწის პირობითი მფლობელობისათვის, რაც დამახასიათებელი იყო ეკონომიურ და სოციალური განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყველა კულტურული ხალხებისთვის. პირობითი მფლობელობა აგრეთვე გულისხმობს, რომ ამ მიწას მისი ფაქტიური მფლობელის გარდა ჰყავს კიდევ უფრო მალალი მფლობელი. მაგ., დიდებულს არ შეეძლო თავისი მამულის გასხვისება მეფის ნებადაურთველად, დიდებულის კუთვნილ აზნაურს და მსახურს თავისი მფარველ-პატრონის გარეშე, გლეხს კიდევ თავისი მეპატრონის გარეშე. ქართულად ფეოდალური სამსახურის დამოკიდებულების აღსანიშნავად, მაგალითად XII საუკუნეში, იხმარებოდა ტერმინი ყმობა, ყმებრივი საზოგადოება. ამიტომ ფეოდალური საზოგადოება ჩვენში ფეოდალური წყობილების აღმავლობის და წარმატების პერიოდში შედგებოდა ორი მთავარი წყებისაგან: პატრონყმური მდგომარეობის მქონე ყმებრივი ფენებისაგან და გლეხობისაგან. ცალკე იდგნენ კიდევ თავისუფალი თემები, რომელთა წევრები იწოდებოდნენ თემისკაცებად. თავისუფალი თემები შემორჩენილი იყო უმთავრესად მთა-ადგილებში. ფეოდალური კლასის დამოკიდებულობაში ეს თემები ან სრულებით არ იმყოფებოდნენ, ან მეტად სუსტად.

ფეოდალურ წყობილებას ახასიათებს ვასალიტეტი (ვასსალიტეტი) ანუ ვასალური დამოკიდებულება. ვასალი (ვასსალი) არის ისეთი მფლობელი ან მიწათმფლობელი, რომელიც დამოკიდებულია თავის ზემდგომ ფეოდალურ სიუზერენზე.

ფრანგული ტერმინი ვასალი წარმომდგარია კელტური სიტყვიდან საფრანგეთში was — ყმაწვილი, ბიჭი, მსახური. ამისი ძველქართული სრული შესატყვისია ტერმინი ყრმა (ნიშნავდა ყმაწვილს, მაგრამ მსახურსაც). ამიტომ გამოთქმა ვასალური დამოკიდებულება ქართულად გამოითქმოდა „ყრმებრივი სამსახური“ (მაგ., ეს გამოთქმა იხმარება თამარ მეფის დროს).

ვასალებზე ზემდგომ მფარველ-პატრონთა აღსანიშნავად ხმარებულნი ფრანგული ტერმინი სიუზერენი წარმომდგარია დამახინჯებული ლათინური სიტყვიდან sursum — ზემოთ, ზედა; მაშასადამე, ნიშნავს ზედამდგომს (ფეოდალურ ხანაში იგულისხმება ხელმწიფური უფლებებით აღჭურვილი პირი). ამისი შესაფერისი ტერმინი ქართულად არის პატრონი, წარმომდგარი ლათინური სიტყვიდან patronus — მფარველი, დამცველი. ქართულადაც პატრონი მფარველს ნიშნავდა. შემდგომ საუკუნეებში ტერმინმა პატრონი მიიღო ქართულში მესაკუთრის მნიშვნელობა (დას. ევროპაში კაპიტალისტურ ხანაში პატრონი ნიშნავს წარმოების მესაკუთრეს). ფეოდალურ ხანაში საქართველოს მეფე იწოდებოდა პატრონად, ხოლო დიდებულნი, აზნაურნი და სხვები იყვნენ მისნი ყრმანი, ყმანი. ასევე დიდებული იყო თავისი აზნაურის პატრონი და ის კი იყო მისი ყრმა, ყმა. ესევე ითქმის მსახურ-მეომრის შესახებ, რომელიც იყო თავისი აზნაურის ან დიდებულის ყრმა, ყმა. მაგრამ მებეგრე მიწათმოქმედი უკვე ყრმა-ყმად არ იწოდებოდა, ის უბრალოდ იყო კაცო და გლეხი.

ფეოდალური წყობილების მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ფეოდალური საკუთრება მიწის მიმართ. მთელი მიწა-წყალი ფაქტიურად ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად, მისი განმკარგულებელი იყო სახელმწიფოს მეთაური — მეფე. აქედან თვით სახელმწიფოს ერქვა სამეფო, ე. ი. მეფის კუთვნილი ქვეყანა. არსებითად საქართველოშიც ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც ხალიფატში, სადაც მაჰმადის მოძღვრების მიხედვით მიწაწყალი თეორიულად ღვთის კუთვნილებად ითვლებოდა, ხოლო ფაქტიურად კი (რადგან ღმერთი უხილავი იყო) ამ მიწა-წყლის განმკარგულებელი იყო რელიგიის მეთაური — ხალიფა, იგივე საერო ხელმწიფე. სახელმწიფოსაგან ანუ მეფისაგან დებულობდნენ გარკვეულნი პირნი მიწაწყალს შემოსავლითურთ პირობით, ე. ი. სახელმწიფოს (მეფის) და მისი ხელისუფლების წინაშე გარკვეული მოვალეობის შესრულების პირობით. ამას ერქვა საქონებელი. თავისი მხრივ ეს პირნი

(გაბატონებული კლასის წევრნი) მიწას აძლევდნენ პირობითვე მიწის მუშაკს თავისი მეურნეობის მოსაწყობად. მიწის მუშაკი თვით უფლის თავის მეურნეობას, მაგრამ ჭალდებულია ამისათვის მიწის მიმცემის მიმართ გარკვეული ბეგარა იხადოს (ძველი ასურულიდან მიღებული ტერმინით *pakarru*, თავდაპირველად ნიშნავდა პრეტენზიას), ანდა გამოსავალი (ქართული ტერმინით) ანუ დას. ევროპაში რენტა (გერმ. *Rente* მიწის ან სხვა რაიმეს მესაკუთრის მიერ ზედმეტი ღირებულების ან ზედმეტი შრომის თავისთვის მიკუთვნება). ბეგარა — გამოსავალი (იგივე დას. ევროპული რენტა) იყო სამგვარი: შრომა სამსახურებრივი, ნატურით (მოსავლის პროდუქტებით) და ფულით (განვითარებული ფულადი მეურნეობის შემთხვევაში).

ამგვარად ფეოდალურ წყობილებას ახასიათებს 1) მიწის პირობითი მფლობელობა, 2) ბეგარა-გამოსავალი-რენტა მიწის ზემდგომ, აგრეთვე პირობითი მესაკუთრის სასარგებლოდ.

გლეხი ფეოდალურ ხანაში წარმოადგენს ისეთ წვრილ მეურნეს, რომელსაც ფეოდალისაგან მიცემული აქვს მიწა. ამ მიწაზე მას გაშენებული აქვს, ხანდახან ფეოდალისავე დახმარებით სახლკარი. გლეხს ჰქონდა თავისი საწარმოო იარაღები (გუთანა ან სახნისი და სხვ.) და საშუალებანი (ხარი). გლეხის განკარგულებაში მყოფ მიწას ერქვა „ფუძე“ ან მარტივად კიდევ „მიწა“. ფუძეს შეადგენდა ვენახი, ბალ-ბოსტანი და მცირედ სახნავი მიწაც. ამ ფუძეში გლეხს ჰქონდა თავისი სახლ-კარიც. ფუძე ანუ მიწა გადადიოდა მემკვიდრეობით ერთი თაობიდან მეორეში, მამიდან შვილზე. ხშირად ფუძეზე ორი და სამი ან რამოდენიმე კომლი ცხოვრობოდა უფრო, როგორც საგულისხმებელია, ერთმანეთის განაყოფი.

მაგრამ ფუძის გარდა გლეხი სარგებლობდა სოფლის საერთო მიწით, — ყოველ სოფელს ჰქონდა თავისი საკუთარი სახნავ-სათესი და სხვა მიწა მიკუთვნებული. დროგამოშვებით ხდებოდა სასოფლო მიწების გლეხებს შორის დაყოფა მათ მიერ გამოსაყენებლად კომლების და სულადობის (ე. ი. მუშა-ხელის) მიხედვით.

მთელი ამ მიწა-წყლის უმაღლეს მფლობელად ითვლებოდა ფეოდალი, რომელიც იყო გლეხის „პატრონი“ (მფარველი), ხოლო გლეხი კი მისი „კაცი“, ან მარტივად კიდევ გლეხი. ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა პატრონსა და კაცსა ანუ გლეხს შორის, იწოდებოდა როგორც „გლეხური“ (ხოლო შემდგომ ხანაში როგორც გლეხური და „ყმებრი“). ფეოდალური სახელმწიფოს მართებლობითი აპარატი შედარებით შემდეგ დროინდელთან მეტად სუსტი იყო. ის ვერ უზრუნველყოფდა ადგილებზე უშიშროებას. გლეხს ყოველთვის

მოელოდა ძლიერი მფლობელისაგან ანდა ავაზაკთა ბრბობისაგან სრული დარბევა და თავისი ოჯახითურთ დაღუპვა. ამიტომაც იყო, რომ გლეხი საჭიროებდა მფარველს და დამცველს. ეს დამცველი მისთვის იყო მისი პატრონი, ე. ი. მფლობელი ფეოდალი.

მსხვილი ფეოდალური სამფლობელოს სათავეში იდგა დიდაზნაურის გვარეულობა. სამფლობელო შეადგენდა ამ გვარეულობის საერთო კუთვნილებას, რომელსაც განაგებდა გვარის უფროსად მიჩნეული პირი, მეფის მიერ დამტკიცებული.

შემდგომი საკითხების ცხადყოფისათვის საჭირო იქნება საქართველოს მეზობელ ზოგიერთ ქვეყნის პრაქტიკიდან ზოგი ფაქტის წინასწარ გაცნობა.

X ს-ნეში ბაზანტიაში¹ იყო ეგრეთწოდებული სტრატოტთა (მეომართა) სახლები, რომელნიც შეადგენდნენ მემკვიდრეობით სამხედრო წოდებას. სტრატოტებს ჰქონდათ თავისი მამული. ისინი ვალდებული იყვნენ ყოველთვის მზად ყოფილიყვნენ ლაშქრობაში წასასვლელად. მხედარს მიკუთვნებული ჰქონდა სამხედრო მამული 4—5 ლიტრის ოდენობის. 2—4 ლიტრის მამულის მქონე ვალდებული იყო ემსახურა ფლოტში, ხოლო ნაკლებ ოდენობის მამულის მქონენი კი ერთდებოდნენ ერთმანეთთან და ამგვარად, წამოაყენებდნენ ცალკე სტრატოტს (მხედარს). სტრატოტები ვალდებული იყვნენ შეეტანათ მხოლოდ მიწის და სათავისთაო გარდასახადი, დანარჩენ ვალდებულებათაგან (როგორც, მაგ., ციხე-ქალაქის მშენებლობაზე გამოსულა, გადასახიდ საშუალებათა მიცემა და სხვადასხვა ნატურალური გადასახადი) ისინი თავისუფალი იყვნენ. სტრატოტთა ნაკვეთების გადაცემა სხვა პირთათვის აკრძალული იყო, ეს ნაკვეთები გადადიოდა მემკვიდრეობით. სტრატოტის მამულის მიღების უფლება ჰქონდათ სტრატოტის უახლოეს ნათესავებს, შემდეგ უფრო დაშორებულ ნათესავებს, შენაერთ სტრატოტებს (როდესაც რამდენიმე მცირე ნაკვეთის მქირავი ერთდებოდა ერთი სტრატოტის გამოსაყვანად) და ბოლოს შენაერთ არა სტრატოტებს, ე. ი. იმავე საგლეხო თემის მკვიდრთ, რომელნიც სამხედრო სიებში არ იყვნენ შეტანილნი. კონსტანტინე ძოწმოსილის დროს (945—959 წ.) პატრიკმა თეოდორე დეკაპალიტმა გამოუშვა ნოველა (ლათინური ნოველა ნიშნავს ახალ-ახალს, იგულისხმება განკარგულებას), რომლის მიხედვით სტრატოტული მამულის მინიმუმი დადგენილ იქნა მხედრისათვის 4 ლიტრა და მეზღვაურისათვის 2 ლიტრა. ამავე ნოველით დაწესებულ იქნა 30 წლის მაგივრად 40 წელიწადის ხანდაზმულობის ვადა იმ სამხედრო ნაკვეთე-

¹ Н. А. С к а б а л а и в и ч, Византийское государство и церковь в XI в., СПб. 1884 г.

ბისათვის, რომელნიც გაყიდვით თუ სხვა სახით გადასული იყვნენ სხვა პირთა ხელში (ე. ი. ამ ხნის განმავლობაში შეიძლებოდა სტრატეიული მამულის კვლავ დაბრუნება). სტრატეიის ნორმაზე მეტი ოდენობის მიწა თუ სხვა ქონება აგრეთვე ვერ გაიცემოდა, უკეთეს ის სამხედრო სიებში რეგისტრირებული იყო. ხოლო სამხედრო სიებში არარეგისტრირებული ასეთი ქონება სტრატეიის შეეძლო თავისი სურვილისამებრ გამოეყენებინა. იმპერატორ ნიკიფორე ფოკას (963—969 წ.) დროს სტრატეიის ნორმალური მამულის ოდენობა განსაზღვრულ იქნა 12 ლიტრად, რადგან ახალი ტიპის მძიმე საჭურველის შემოღება მოითხოვდა სტრატეიის მეტ უზრუნველყოფას.

ბიზანტიური ერთი ლიტრის მამულის შესატყვისი ქართულ პირობებში უნდა ყოფილიყო „მიწა“ ანუ ფუძე. მართლაც, ბიზანტიურ ლიტრაში XI ს-ნეში ითვლებოდა 24 ნომიზმი, ე. ი. მაშინდელი დრაჰკანი (ოქროს ფული). მაგრამ რადგან ბიზანტიის იმპერატორები XI ს-ნეში უშვებდნენ ცუდი ლიგატურის და საზოგადოდ მეტად დაბალი ლირების ოქროს ფულს (მასში ბლომად ნარევი იყო ვერცხლი და სხვა ლითონი), ამიტომ ლიტრის ოდენობის გამოსარკვევად მხედველობაში მისაღებია, რომ ბიზანტიური ლიტრა (ისე როგორც არაბული როტლ) შეიცავდა 96 მისხალს. ოქროს და ვერცხლის ლითონის ღირებულების შეფარდება XI ს-ნეში (ისე როგორც ამის წინა და შემდგომ საუკუნეებშიც) გამოიხატებოდა 1 : 10. ამის მიხედვით ბიზანტიური ლიტრა, როგორც საფასის ერთეული, უდრიდა ნორმალურ ერთმისხლიან 9,6 ოქროს დრაჰკანს (ნორმალურ ოქროს ფულად საერთაშორისო საფასის ბაზარზე ითვლებოდა წინათ და შემდეგ საუკუნეებშიც ვიდრე XIII ს-ნემდე ერთმისხლიანი ოქროს ფული, ქართულად დრაჰკანად წოდებული). ამის მიხედვით 4-ლიტრიანი მამულის ღირებულება შეეფარდებოდა 38,4 სრულმისხლიან ოქროს დრაჰკანს¹.

საგლეხო ფუძის ღირებულება 1259 წლის ახლო ხანებში ქართლში, რკონის სიგელით, შეადგენდა 1140 თეთრს, რაც მაშინ უდრიდა 570 სრულწონიან ვერცხლის დრაჰკანს 380 მისხლის წონისას, ე. ი. 38 სრულწონიან (მისხლიან) ოქროს დრაჰკანს. ფასების შეფარდება 1259 წ. და XI ს-ნეს შორის უდრის 1,6:1, მაგრამ, მეორე მხრივ, 1259 წლის ახლო ხანებში ჩვენში, იმავე რკონის სიგელის მიხედვით, ფულის ღირებულება იყო და ამიტომ ფასები ერთიორად იყო დაცემული. შეიძლება ამიტომ მივიღოთ, რომ ქართული „ფუძე“ XI ს-

¹ ამის შესახებ იხ. ს. კაკაბაძის წერილები: „სასისხლო სიგელების შესახებ“, საისტ. მოამბე, 1924 წ. II; „საფასის ისტორიისათვის საქართველოში“, საისტ. მოამბე 1925 წ. I; „ფულის გაძვირების და გათხრების საკითხისათვის საქართველოში“ მე-13—17 ს-ნეებში, იქვე.

ნეში თავისი ღირებულებითაც დაახლოებით უდრიდა თანადროულ ბიზანტიურ 4 ლიტრიან სამხედრო მამულს¹.

XI ს-ნეშიც ბიზანტიაში არსებობდა მძიმე აკაზმულობა, რომელსაც იხსენიებს თავის ნოველაში 12 ლიტრიანი სასტრატოტო მამულის ნორმის დაწესების დროს იმპერატორი ფოკა. ასე, მაგ., როდესაც 1047 წ. აჯანყებულმა ლევ თორნიკემ შემოარტყა ალყა კონსტანტინოპოლს, მის ჯარში უფრო შეძლებული სტრატოტები აკაზმული იყვნენ საწვივეებით და ჯავშნით და ისხდნენ ჯავშნითვე აკაზმულ ცხენებზე, დანარჩენნი კი შეიარაღებულნი იყვნენ თავისი შეძლების მიხედვით. შეძლებულ სტრატოტებად აქ, ამბობს ნ. სკაბალანოვიჩი, უნდა იგულისხმებოდნენ 12-ლიტრიანი მამულის მქონე სტრატოტებიო.

ამის მიხედვით შესაძლებელია, რომ ქართველ მხედრებს საშუალოდ დაწყებული ბაგრატ III-ის ხანიდან თითოს სამი საგლეხო ფუძე მანც ჰქონდათ მიჩენილი. ამ საკითხის ზუსტად გარკვევა, ვიდრე კონკრეტული ხასიათის ცნობა არ არის აღმოჩენილი, მანც ძნელია.

29. რაინდობა დასავლეთ ევროპაში. X ს-ნის დასაწყისში გერმანია მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა — მას ისე სასტიკად ავიწროებდნენ უნგრელები, რომელთაც საუცხოოდ შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი ჰყავდათ, რომ 30 წლის განმავლობაში ის იძულებული იყო ხარკი ეძლია უნგრეთისათვის. მეფე ჰენრიხ I-მა, ზედმეტი სახელით ფრინველების დამკერპა (919—936) უნგრელებთან გამკლავების მიზნით სამხედრო საქმის რეორგანიზაცია ჩაატარა. მანამდე ყოველი ჰერცოგი და გრაფი თავ-თავის ვასალებით იბრძოდა ბრძოლის ველზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლევ, საერთო სამოქმედო მიზნის გარეშე. სამხედრო დისციპლინის გაგება არ არსებობდა. ამის სამაგიეროდ ჰენრიხ I-ის დროს დაწესდა სამხედრო თემის ან ძმობისდაგვარი ორგანიზაცია, რომლის წევრები ვალდებული იყვნენ დამორჩილებოდნენ გარკვეულ კანონებს, ეომათ სარწმუნოებისათვის, მოშორებოდნენ უპატიოსნო ქცევათ და მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირათ ღირსებისა და სიმართლის მიზნებისათვის. ყოველ პირს, თავისუფალს დაბადებით, შეეძლო ყოფილიყო ამ ძმობის წევრი და თავისი მოქმედებით დაწინაურებულყო. ასეთი ორგანიზაციის წყალობით შესაძლებელი შეიქნა ფეოდალური არისტოკრატიული მძიმედ შეიარაღებული მეომრებისა და მათი ხელქვეითების გარკვეული კონტროლის ქვეშ დაყენება და მათ შორის ურთიერთ საბრძოლო კავშირის და დისციპლინის დამყარება.

¹ ამის შესახებ შეად. ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 ს-ნეში, მნათობი, 1924 წ., № 2.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არისტოკრატიული მეომრებისა და მათი მიმ-
ყოლთა შესაკავშირებლად სავარჯიშო ტურნირების შემოღებას, რასაც პირადად
ჰენრიხ I-ის ინიციატივას მიაწერენ. ტურნირებზე ხდებოდა მძიმედშეიარაღე-
ბული რაინდების, როგორც ცალკეულ პირთა, ისე ჯგუფების, საჯარო შებრ-
ძოლება რჩეული საზოგადოების დასწრებით ქალების ჩათვლით. ქალების
დასწრება ქალის კულტის განვითარებით აძლიერებდა ამ ტურნირებზე განსა-
კუთრებით ახალგაზრდა მეომრების პატივმოყვარეობის გრძნობას.

სამხედრო საქმეში ჩატარებულმა ამ ღონისძიებებმა აამაღლა მძიმედშეიარ-
აღებული მეომრების პასუხისმგებლობა ომის დროს. ჰენრიხ I-მა შესძლო
უნგრეთის სასარგებლოდ ხაკის გადახდაზე უარის თქმა და შემდეგ ომშიც
სასტიკად დაამარცხა უნგრელები, რითაც გერმანიას დამოუკიდებლობა მოუ-
პოვა.

ჰენრიხ I-ის შემდეგ X ს-ნის შუაში ჩამოყალიბდა რაინდების წოდება, რა-
საც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ისტორიისათვის ფეოდალიზმის
ხანაში. „რაინდების მთავარ ძირითად პრინციპებს, წერდა ამერიკელი ავტო-
რიტეტი დენისონი¹, შეადგენდა: მალალი პატიოსნება, ზრდილობა ყველას მი-
მართ, შეუკაცხუოფილთათვის თავგამოდება, სრული სამართლიანობისადმი მის-
წრაფება. თუ ამ მოთხოვნათა წარმოშობას მივიჩნევთ რაინდობის დასაწყისად,
მაშინ ის უნდა მიეკუთვნოს X ს-ნის შუა წლებსო. შემდეგ იგივე დენისონი გად-
მოგვცემს:

„ამ საკითხის ერთ-ერთ საუკეთესო ავტორიტეტს წარმოადგენს La Curne de
S-te Palaye. მისი ერთ-ერთ გვიანდელი გამოცემის Mémoires sur l’Ancienne
chevalerie-ს წინასიტყვაობაში რაინდობის წარმოშობის შესახებ ნათქვამია:
„X ს-ნის შუაში რამდენიმე ღარიბმა აზნაურმა, რომელნიც შეწუხებულნი იყ-
ვნენ სიუზერენების ძლიერების სულ უფრო მეტი ზრდით, გულთან მიიტანა
შევიწროებული ხალხის ტანჯვა და ცრემლები. მათ ღვთისა და წმ. გიორგის სა-
ხელით ფიცი დასდეს, რომ ყოველთვის დაიცვან ჩაგრულნი და თავისი ხმლის სა-
ფარველქვეშ აიყვანონ ყველა ჩაგრულნი. ისინი იცავდნენ უბრალოებას ტანი-
სამოსის მხრივ, ზნეობაში იყვნენ მკაცრნი, წარმატებისას — თავდაბალნი, სუ-
ლით მტკიცენი უბედურების დროს. ყოველივე ამით მათ მალე დაიმსახურეს
არაჩვეულებრივი სახელი. მადლიერმა ხალხმა მათ მიაწერა სასწაულებრივი
და არაჩვეულებრივი სამამაცო საქმენი, ხოლო ლოცვებში მათ იხსენიებდნენ
წმიდანების სახელებთან ერთად. ადამიანები უბედურებაში ყოფნის დროს

¹ Денисон, „История конницы,“ СПб, 1897, I, 112, რუსული გამოცემა.

ყოველთვის იჩენენ მიდრეკილებას გააღმერთონ ისინი, რომელნიც მათ ეხმარებიან.

„იმ ძველს ხანაში, როდესაც ბატონობდა ძალის უფლება, მამაცობა თავისთავად უკვე ითვლებოდა სიკეთედ. იმავე ადამიანებმა, რომელთაც შემდეგ მიიღეს რაინდების სახელწოდება, შეუქმნეს ამ სახელწოდებას განსაკუთრებული შარავანდები. ამის შესაბამისად სიმხდალე, ისევე როგორც დაჩაგრულთა დაცვაზე უარის თქმა, მათ წრეში ისჯებოდა როგორც მიუტევებელი დანაშაული. მათ ეზიზღებოდათ სიცრუე, ისინი სამარცხეინო დაღის ღირსად თვლიდნენ ლალატს და ფიცის გატეხას. საერთოდ მათ დაამყარეს კანონები, რომელთა დაგვარი არ გამოუციათ ძველი ხანის თვით ყველაზე განთქმულ კანონმდებელთ“.

ცნობილია, რომ ესპანეთში უკვე VIII ს-ნეში არსებობდა რაინდების ორდენი სახელით „მუხა“ (დაარსდა. 722 წ.). 1050 წელს იქვე საფუძველი ჩაეყარა რაინდების მეორე ორგანიზაციას სახელით „თეთრი შრომანა“ და ა. შ.

ზემოციტირებულ ცნობაში მოხსენიებულია, რომ X ს-ნის სარაინდო ორგანიზაციაში მთავარ წმინდანად მიღებული იყო წმ. გიორგი. დას. ევროპაში რაინდად დალოცვა ჩვეულებრივ ხდებოდა ღვთის, წმ. მიქელ მთავარანგელოზის და წმ. გიორგის სახელით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიაში ძლიერ მიღებული იყო მიქელ-გაბრიელ მთავარ ანგელოზთა და წმ. გიორგის კულტი (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი). მაშასადამე, შემთხვევითი არაა, რომ დავით აღმაშენებელს ჰქონდა წმ. გიორგის გამოსახულების დროშა და ეს დროშა უძღვებოდა წინ რაინდების წყობას ღიდგორის ომში (არსენის ცნობა).

დენისონი დას. ევროპის რაინდების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „რაინდობამ დააყენა ყველა ხალხის რაინდები და აზნაურები ერთნაირ საფეხურზე და საშუალება მისცა კეთილშობილი მშობლების ვაჟებს, რათა მათ თავიანთი ხმლით და მამაცობით მოეპოვებიათ ეს წოდებულება. ახალგაზრდების ზრახვებსა და მისწრაფებათა მიზანს წარმოადგენდა სარაინდო დეზების მიღება და ისინი მით უფრო მეტი ძალღონით ცდილობდნენ ამის მიღწევას, რადგანაც დეზები აყენებდნენ მათ თანასწორ მდგომარეობაში მათი ბატონების მიმართ და აძლევდნენ მათ ისეთ უპირატესობათ, რომელთა დაგვარის მოცემა მართლ სიმდიდრეს არ შეეძლო“...

განსხვავება რაინდსა და იარაღის მატარებელს (მეაბჯრეს) შორის მეტად დიდი იყო და ეს გამოიხატებოდა სხვათა შორის მათ ტანისამოსშიც. ასე, მაგ., მეაბჯრეს ჰქონდა მხოლოდ ვერცხლის შესამკობის ტარების უფლება, ოქროსი

კი დათქმული იყო რაინდებისათვის. მეაბჯრეთ არ ჰქონდათ პორფირის (ე. ი. წითელი ფერის ძვირფასი ქსოვილის) ტარების უფლება, მათ შეეძლოთ ეტარებიათ მხოლოდ აბრეშუმის და ბეწვეულის ტანისამოსი. მათი დაცვითი აკაზმულობა როგორც ბრძოლაში, ისე ტურნირებში ბევრად უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე რაინდებისა. მათი მოვალეობა სხვადასხვანაირი იყო, სხვათა შორის ისინი სამსახურს ეწეოდნენ რაინდებისათვის სუფრავედაც — კრიდნენ საკმელს, ასხამდნენ ღვინოს, აწვდიდნენ პირსაბან წყალს...

„მეაბჯრენი თან ახლდნენ თავის ბატონს თანაშემწეების როლში. მათ მიჰქონდათ თავიანთი პატრონის იარაღი, ერთს — ჩაფხუტი, მეორეს — შუბი, მესამეს — ხმალი და სხვ. ერთ-ერთს ჩაბარებული ჰქონდა საომარი ცხენი, რომელზედაც რაინდი შეჯდებოდა მხოლოდ ბრძოლის დღეს. ისე კი ლაშქრად ის მიდიოდა ჩვეულებრივი ცხენით და მხოლოდ მტრის მოახლოებისას ჯდებოდა საომარ ცხენზე და მეაბჯრეთა დახმარებით აღიკავებებოდა...“

„როდესაც რაინდები სავსებით მზად იყვნენ საომრად, ისინი ეწყობოდნენ ერთ ხაზად. მეაბჯრენი შეადგენდნენ მეორე ხაზს, ისინი დგებოდნენ თავიანთი პატრონების უკან. შემდეგ რაინდები ქვემოთ დაშვებული შუბებით სრული შესაძლებლობით მიემართებოდნენ მოწინააღმდეგეზე. მეაბჯრენი კი რჩებოდნენ მაყურებლად. უკეთუ რაინდს გადაადგებდნენ უნაგირიდან ანდა რაიმე მიზეზით ის კარგავდა ცხენს, მაშინ ის, თუ ეს მას შეეძლო, დგებოდა ფეხზე და განაგრძობდა ბრძოლას ქვეითად ხმლით და ლახტით ან ჩუგლუვით. ყოველი მეაბჯრე ვალდებული იყო ბრძოლის დროს შეუწყვეტილვ თვალი ედევნებინა თავისი პატრონისათვის, რათა დროზე მიეყვანა, თუ მას ეს ჭირდებოდა, მეორე ცხენი ანდა მიეწოდებინა მისთვის ახალი იარაღი. თუ რაინდი დაიჭრებოდა, მეაბჯრეს ის უნდა დაეფარა მტრას დარტყმებისაგან და საერთოდ ყოველნაირად დაეცვა ის“... (დენისონი).

აქ მოვიტანთ ზოგ ცნობას სპეციალურად ფრანგი რაინდების შესახებ ჯვაროსანთა გამოჩენის პირველ ხანაში. თანადროულ ფრანგ გოტიეს სიტყვით, დავით აღმაშენებელს დიდგორის ომში ჰყავდა *ducentos milites Francigenas* — ორასი ფრანგი რაინდი (*miles* ამ დროს უფრო რაინდს ეწოდებოდა). დავითს ამ ხანაში საქმე ჰქონდა უფრო ფრანგებთან. ზ. ავალიშვილის მიერ დამოწმებულ ლიტერატურასა და წყაროებიდან ჩანს¹, რომ დავით აღმაშენებელი ხშირად საჩუქრებს უგზავნიდა იერუსალიმის ჯვაროსანთა მეორე მეფეს ფრანგ ბოლდუინ II-ს (იერუსალიმის პირველი ქრისტიანი მეფე იყო ფრანგი ბოლ-

¹ ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 70.

დღინ I 1100—1118 წლებში, ხოლო ამის შემდეგ იყო მისი ბიძაშვილი ბოლ-
დღინ II, 1118—1131). გამოდის, რომ დიდგორის ომის წინ 1118—1119 წლე-
ბში დავითი განსაკუთრებით ხშირ ურთიერთობაში იყო იერუსალიმის სა-
მეფოსთან, რომელმაც დაახმარა კიდევ მას ორასი რაინდი. მაგრამ ასეთი ურ-
თიერთობა იერუსალიმის ქრისტიანულ სამეფოსთან დავითს ექნებოდა თავი-
დანვე, ე. ი. ჯვაროსნების იერუსალიმის 1099 წელს აღების დროიდან, რის მა-
ჩვენებელია ამ სამეფოს არსებობის პირველ წლებშივე მიზგათად გადაქცეული
ქართული მონასტრის (ჯვარის) დავითის მიერ კვლავ აღდგენა და განახლება.

რადგანაც ჯვაროსან ფრანგებთან საქართველოს სამეფოს დავითის დროს
საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომ საჭიროა მოკლეთ გავეცნოთ,
თუ რა წესზე იყო აგებული ჯვაროსანთა ფრანგული ლაშქარი.

ჯვაროსანთა ომების დაწყებისას ფრანგების ჯარის ძირითად ბირთვის შეად-
გენდნენ მძიმედ (ჯავშანით თავით ფეხებამდე) შეიარაღებული რაინდები, რო-
მელნიც ბრძოლის დროს შეჯავშნულ საომარ ცხენებზე სხდებოდნენ. ასეთ მძი-
მედ შეიარაღებულ რაინდს ესაჭიროებოდა დამხმარე პირები, რადგანაც ის
ცხენზე ჯავშან-საჭურვლის სიმძიმის გამო თვითონ ვერ შეჯდებოდა, არამედ
ის უნდა დაესვათ ცხენზე და მიეცათ მისთვის ხელში შუბი, რომელიც მის
მთავარ იარაღს წარმოადგენდა. წელთ მას ერტყა ფართო და ორპირღესული
მძიმე ხმალი. ჰქონდა მას მძიმე ლახტიც, ხოლო შვილდ-ისარი მისთვის საჭირო
არ იყო, რადგან მას სულერთია ვერ მოიხმარდა.

რაინდს თან ჰყავდა ორი კარგად და მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი
ჟანდარმი (ე. ი. იარაღის მქონე კაცი), რომელნიც მას იცავდნენ ორივე გვერ-
დიდან. ჟანდარმებს მიჰყვებოდნენ ეგრეთწოდებულნი ტრაბანტები (traban—
პირადი მცველები), რომელნიც წარმოადგენდნენ უფრო მსუბუქად შეიარაღე-
ბულ ცხენოსნებს. ისინი იწყებდნენ და ამთავრებდნენ კიდევ ბრძოლას.

ტრაბანტები იყვნენ შემდეგნი სხვადასხვა კატეგორიის პირნი:

1. მემშვილდეები, რომელთაც შეეძლოთ დაწინაურება ჟანდარმად და
თვით რაინდებადაც; 2. écuyers — მეჯინებენი, იჯულისხმებიან უფროსი მე-
ჯინიბეები; 3) guisarmiers — ჩვეულებრივი მეომრები; 4. coutilliers — მე-
ხანჯლეები, უმთავრესად ხანჯლებით შეიარაღებულნი; 4. pages, valets — პი-
რადი მოსამსახურენი. სულ რაინდს შეძლებისდაგვარად ახლდა სამიდან თო-
თხმეტ ცხენოსანამდე. მცირე შეძლების „დაბალ“ რაინდს (bas chevalier ანდა
bachelier) თან ახლდა სულ ცოტა სამი ცხენოსანი, სრულყოფილ რაინდს კი—
თოთხმეტამდე. რაინდი თავისი თანმხლები (3—14) ცხენოსნით შეადგენდა ერთ
შუბს. რაინდები, რომელთაც ჰქონდათ დროშისდაგვარად სამკუთხიანი ნიშანი,

უფროსობდნენ რამდენიმე შუბს. სრულყოფილ, ეგრეთწოდებულ დროშაან რაინდებს ეწოდებოდათ ბანნიერეტები (დროშაიანი). მათ ჰქონდა ოთხკუთხიანი ნიშანი დროშაზე და ისინი უფროსობდნენ 25—50 „შუბს“ 150—600 ცხენოსნის შემადგენლობით.

30. საკარგავეების რეორგანიზაცია და მოყმეთა ინსტიტუციის დაწესება საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს. ამ ეპოქის ძირითადი წყარო „ტარილი ალ-სელჯუქ“ (სელჯუქთა ისტორია) შედგენილი იმად-უდ-დინ ისფაჰანელის (ისპაანელის) მიერ, რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ალ-ბუნდარის მიერ შემოკლებული ვერსიით, გადმოგვცემს შემდეგს: „ქალაქები დაღარიბდნენ და გაძლიერდა უსამართლობა და ცალკე ოლქები აღდგნენ სხვა ოლქების წინააღმდეგ. მაშინ სულთანმა ბრძანა სამართლიანობა აღედგინათ და გაეუმჯობესებინათ ოლქების ცხოვრება. ჩვეულებრივი იყო, რათა მხარეებიდან შეეკრიბათ ფული და შემდეგ ის მოეხმარათ მეომრებისათვის მისაცემად. არ იყო მანამდე წესად იკტაების (ლენების¹) გაცემა. მაგრამ ნიზამ-ულ-მულკმა დაინახა, რომ ფული (ალ-ამულ) მხარეებიდან არ იკრიბება არეულობათა მიზეზით და რომ შემოსავალი ამ მხარეებიდან არაა უზრუნველყოფილი, რადგანაც ეს ქვეყნები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ მან გაჰყო მხარეები მეომართა შორის იკტაებად და მისცა მათ მიწებისგან აღებული შემოსავალი“.

საქართველოში მანამდეც ნაწილობრივ მაინც იყო საკარგავად საშემოსავლო რენტის გაცემა როგორც მიწებიდან, ისე რაიმე საიჯარო საქმიდან. ბაგრატ IV-ის დროს სიგელში 1058 წლის ახლოს იხსენიებიან „აზნაურნი მემამულენი და მოსაკარგავენი“, ე. ი. აზნაურნი, რომელნიც თავის მამულს ფლობენ სამკვიდროდ (იგულისხმება მაინც 99 წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ სათანადო ერთდროული თანხის შეტანით მფლობელობის ახალი 99 წლის ვადა კვლავ ახლდებოდა) და აზნაურნი, რომელთაც ჰქონდათ საკარგავეები გარკვეული შემოსავლის აღების უფლებით თავისთვის. მუხრანის მხარედან გაქცეული დამარცხებული განძის ამირა ფადლონი ეუბნება ერწოში ერთ იქაურ მსოფლიონს, რომელმაც იცნო ის: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვერცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი და ნუ შემიწამებ (ნუ გამამხელო)“. საკარგავად აქ, ცხადია, იგულისხმება საშემოსავლო ობიექტებზე დადებული რენტა. მემამულენი არსენი დიდ დამსახურებად უთელის დავითს, რომ მან „გაათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭირვებელთაგან, არა-

¹ ეს გერმანული წარმოშობის ტერმინი (Lehen) აღნიშნავდა ფეოდალური საკუთრების საფუძველზე, ე. ი. პირობით გაცემულ მამულს.

მედ ხუცესნიცა სამეფოთა შინა მისა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“. აქ ლაპარაკია უფრო ეკლესიის მსახურთა შეუვალობაზე. რაც შეეხება მონასტრებს და ლავრათ, აშკარად ჩანს, რომ მათ მამულებს და გლეხებს ედვთ გარკვეული საგადასახადო ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე და მოსაკარგავენი ისინი ვაცემული ყოფილან რენტის მისაღებად. ამასთანავე მოსაკარგავენი ამ რენტის აღების დროს ყოფილან „მაჰირებელნი“, ე. ი. ბუნებრივია, ისინი ცდილობდნენ თავიანთი რენტის სრულად მიღებას და, თუ ეს რენტა ნატურით იყო, ეცდებოდნენ მიეღოთ საუკეთესო ხარისხისა. ეს უკვე შემაწუხებელი იყო მონასტრებისათვის.

ამგვარად, ექვს გარეშეა, რომ საკარგავი XI ს-ნეშიც წარმოდგენდა ფეოდალურ რენტას, ვაცემულს გარკვეულ პირებზე სათანადო სახელმწიფო ვალდებულებათა და ხშირად კიდევ სამხედრო სამსახურის შესრულების პირობით. რასაკვირველია, რენტის ვაცემის პარალელურად წარმოებდა მამულების ვაცემაც ასევე გარკვეული (უფრო სამხედრო) სამსახურის შესრულების პირობით. „ახნაურნი მემამულენი“, მოხსენებულნი ბაგრატ IV -ის დროს, სწორედ ასეთ პირობებში უნდა ყოფილაყენენ. მოწვენილია დავითას ბრძანება, ვაცემული 1110 წლის ახლოს ვეძისხეველ (პერეთში, კახეთის მიჯნისკენ) ნიანის შესახებ შემდეგი შინაარსისა: „სახელითა ღმრთისათა დავითისაგან ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა. აწლა მოვიდა ჩუენ წინაშე არიშინი და გუეაჟა, რათამცა ვაუშვით და ვავათავისუფლეთ ნიანია გრაგოლ მოოჯრებულას შვილა მისითა მამულათა ვეძისქვეითა. ვინადგან ადგილიცა ზითვად ჰქონებოდა და ჩუენიცა დიდად ნამსახური და ბევრი ვალი იყო, ლაშქრობა აღარ შეეძლო, აწ ვაუშვი ნიანია მისითა მამულითა, ზითვად ნაქონებითა ვეძისქვეითა და ვაგვითავისუფლებია ყოვლისა გამოსავლისა და შესავლისა სახელმწიფოდასა და სათხოვარისაგან ყოვლისა“. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მემამულე მკვიდრის მაგალითი. მას მამული მზითვეში ჰქონია მიღებული, მაგრამ მამულს მოლაშქრობა ედვა. სხვა დამსახურების გამო ლაშქრობისთვის უკვე შეუძლო ნიანია ვათავისუფლეს ამ და ამასთან ერთად ყოველი სხვა სახელმწიფო სათხოვარისაგან.

ამ დროს, როგორც ვტყობა, მოსაკარგავენიც ვადასული არიან რენტის მაგივრად მამულის მიღებაზე. მაგრამ მაშინ, როდესაც მემკვიდრე მემამულენი მიწასა და სამფლობელოს ღებულობდნენ 99 წლის ვადით, მოსაკარგავეთ მამულები და გლეხები ეძლეოდათ მხოლოდ სიცოცხლის სიგრძეზე ანდა სანამდე მათ საკარგავით ვანსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულება შეეძლოთ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვისრამიანის ქართულ ვერსიაში, რომელიც სპარსულიდან გადმოღებულია XII ს-ნის პირველ ნახევარში, საკარგავი ნახმარია მხოლოდ ერთგან სპარსულ ტექსტთან შეუფერებლად, მაგრამ სპარსული თიმარის შესატყვისად. თიმარი კი (სიტყვა ბერძნული წარმოშობისა) უფრო გვიან ოსმალეთში დადასტურებულია როგორც სამხედრო ლენის აღმნიშვნელი. ქართულ ვისრამიანში ნაგულისხმევ ადგილას ტერმინი საკარგავი იხმარება მამულის, სამფლობელოს მნიშვნელობით, რადგან იქვე, უფრო ქვემოთ ნათქვამია, რომ რამინმა (იგულისხმება საკარგავებად) „თვითო ქვეყანა თვითოსა აზნაურსა მისცა და თვითო ქალაქი — თვითოსა ყმასა“ (ყმა აქ ნიშნავს აზნაურზე ოდნავ დაბლა მდგომ ვასალს, მაგრამ ჩვეულებრივ გლეხებზე ბევრად მაღლა მდგომს).

ამგვარად დავითის დროს გატარებული ყოფილა საკარგავების რეფორმა — რენტის მაგივრად მოსაკარგავებზე მამულების გაცემით. ვფიქრობ, რომ ეს რეფორმა 1100—1105 წლისათვის უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო.

31. იყო თუ არა საქართველოში სარაინდო ორგანიზაცია — ორდენი. რადგანაც ქართველების სარაინდო ინსტიტუცია ზოგადად ძლიერ გავდა დას. ევროპის ანალოგიურ ინსტიტუციებს, ამიტომ სარაინდო ორდენების ან ამისდაგვარი ორგანიზაციის არსებობა ჩვენს ქვეყანაშიც არის მოსალოდნელი. ამას უჩვენებს თითქოს შემდეგი გარემოება.

საისტორიო ტექსტებში არის ასეთი გამოთქმანი: არჩილ მეფემ (660 წლის ახლოს), როგორც ამას გადმოგვცემს ჯუანშერის გამგრძელებელი (IX ს-ნის პირველ ნახევრის ახლოს), „ყოველთა ტაძრულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა ივინი“.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებით, გიორგი ჩორჩანელი მე-6 ს-ნეში „მრავალთა ტაძართა და კარავთა შინა იქცეოდა (ცხოვრობდა). ტაძარი, მასასადაამე, მე-6—7 ს-ნეში სასახლეს ნიშნავდა. ტაძრული ამიტომ არჩილის ცხოვრებაში ნიშნავს სასახლის მსახურს, არა აზნაურს. შემდეგ კი ამ ტერმინის მნიშვნელობა თითქოს შეიცვალა. XI—XII ს-ნეებში და შემდეგაც ტაძარი სასახლეს არ ნიშნავდა, არამედ საყდარს და მნიშვნელოვან ეკლესიას (მონასტრისას). სამეფო სასახლეს ეწოდებოდა უკვე დარბაზი და პალატი. სიტყვის ტაძრის მნიშვნელობის ასეთი შეცვლა მოხდა VIII—IX ს-ნეთა სიგრძეზე.

დავით აღმაშენებელს 1110 წელს მოუვიდა ცნობა დიდძალი თურქული ლაშქრის მოსვლის შესახებ. ხოლო „მეფე დგა ნაქარმაგვეს ტაძრულითა. ცნარა მიმწუხრ მოსვლა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ (ალბათ ნაქარმაგვე-კარალეთადან გორზე და ტანის-წყალის ხეობით თრიალეთში გადასვლით) წარვიდა

(დაახლ. 40—55 კმის გავლით) მასლათა (არაბ.: შეიარაღებული) კაცითა ათას-ხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი დახვდეს მათ წინაშე“. თურქები ვითომ იყვნენ ასი ათასი, მაგრამ დავითი თავს დაესხა მათ და დაამარცხა ისინი.

ბაგრატ კურაპალატის (ჩემის აზრით XII ს-ნის) კანონებში (§ 150) იხსენიებიან აზნაურნი „ტაძრობილნი თუ უტაძრო“. ტაძრობილნი უნდა ნიშნავდეს ტაძრობა-გავლილს ან ტაძრობის წევრს. რადგანაც XII ს-ნეში და ამაზე ადრეც ტაძრად იწოდებოდა კარგი საეკლესიო შენობა — საყდარი და მონასტერი, ამიტომ ტაძრობილი უნდა ყოფილიყო ისეთი აზნაური, რომელსაც ტაძარში გავლილი ჰქონდა საზეიმო ცერემონიალი. დასავლეთი ევროპის წამყვან ქვეყნებში რაინდი ღებულობდა სარაინდო კურთხევას და დალოცვას ეკლესიაში სათანადო წესით. ამის მიხედვით ტაძრობილი აზნაური უნდა იყოს რაინდად ეკლესიური წესით ნაკურთხ-დალოცვილი, უტაძრო კიდეც ვინც ამას მიღწეული არ იყო.

ბექას კანონებში ნათქვამია (§ 2): „თუ დიდებულმან აზნაური მოკლას ასეთი, რომე საპატიოთ პატრონ(ს) კარგად ჰყვეს და კარგი იყოს და ანუ ტაძრეული აზნაური იყოს, ციხოსან-მონასტროსანი და მამული დიდი, მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს და იგი დაუურვოს, (§ 3). თუ მას ქვეშეთი მოკლას ასეთი, რომე ანუ უამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს ამავე ზემოთ წესითა“.

უკეთუ აქაც ტაძრეულ აზნაურად დალოცვილ-ნაკურთხი რაინდი იგულისხმება, მაშინ გამოდის, რომ დიდებული თავისთავად რაინდიც ყოფილა (უამისოდ ის დიდებული ვერ გახდებოდა). ხოლო აზნაურთაგან მოყმე რაინდად იყვნენ მხოლოდ ციხოსან-მონასტროსანნი და დიდი მამულის მქონენი. მცირე აზნაურები კი მოყმებად არ შეიძლება ყოფილიყვნენ.

როგორც მოხსენებული იყო, დავითის დროს უნდა შემოდებული იყოს ქართველი რაინდებისათვის შემოსული ტერმინი მოყმე. რას ნიშნავს მოყმე, ვისი ყმად უპირველეს ყოვლისა უნდა იგულისხმებოდეს ამ წოდების მქონე? ისინი იყვნენ ქრისტეს მოყმენი. გოტიეს მიერ გადმოცემულ დავითისეულ ორ სიტყვათაგან პირველი იწყება ასეთი მიმართებით: ქრისტეს მოყმენო (Eia, Christi milites!). ამით ცხადი ხდება, თუ ვისი მოყმენი იყვნენ ქართველი რაინდები. ჰაბუკი ამ მხრივ განუპიროვნებული იყო. „ქრისტეს მოყმე“ (შემდეგ უბრალოდ მოყმე) წარმოადგენდა გარკვეული შინაარსის ტერმინს. ამით ხაზგასმული გამოდიოდა რაინდობის რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათი. რაინდები, როგორც ქრისტეს მოყმენი, იბრძოდნენ „ქრისტიანული სარწმუნოებისათვის“ ურჯულ“ მაჰმადიანობის წინააღმდეგ.

ყურადღებას იქცევს კიდეც შემდეგი გარემოება. დავითის მემატიანეს აღ-

ნიშნული აქვს, რომ დავითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქრისტეს საფლავის ტაძარს იერუსალიმში და დიდ შეწირულებათ აგზავნიდა იქ. „ლაზრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისანიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კიპრიისა და შავისა მითსა, პალესტინისანი აღავსნა კეთილითა, უფროსლა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი თვთო ფერთა მიერ შესაწირავითა განამდიდრნა და სინას მთაზე მონასტერი აღაშენა-ო. ვფიქრობ ამიტომ, რომ თვით ტერმინი ტაძრობილი, ტაძრეული დავითის დროს ქრისტეს საფლავის იერუსალიმური ტაძრის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული.

1119 წელს იერუსალიმში დაარსდა ეგრეთწოდებული ტემპლიერთა ანუ ფრანგული გამოთქმით ტამპლიერთა ორდენი (ლათინურად milites templi), რომელიც იყო რელიგიური სამხედრო ორგანიზაცია. მისი დამაარსებელი იყო ფრანგი რაინდი პუგო დე-პენი (PAINS) თავისი შვიდი ამხანავით. იერუსალიმის ჯვაროსანთა მეფემ ბოლდუინ II-მ მისცა ამ ორგანიზაციას ციხე-კოშკი იმ ადგილის ახლოს, სადაც ოდესღაც გადმოცემის მიხედვით გაშენებული იყო ისრაელთა მეფის სოლომონ ბრძენის ტაძარი. ტამპლიერთა ორდენი თავისი რაინდებით და ბერებით გადაიქცა შემდეგ მეტად მძლავრ ორგანიზაციად, რომელსაც დიდძალი მამულები და განყოფილებები ჰქონდა დას. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. XII ს-ნეში, სანამ იერუსალიმი ჯვაროსანთა ხელში იყო, ეს ორდენი გრგვინავდა, შემდეგ კი ის დაეცა და 1307 წელს საფრანგეთში ის გაუქმებულ იქნა მისი მეთაურთა ცეცხლში დაწვით (ორდენს ამ დროს ბრალდებოდა რელიგიური მწვალებლობა, ე. ი. კათოლიკე ეკლესიისაგან მწვავედ გათიშვა).

ტამპლიერების (ტაძრეულების) ორდენის წევრების შესახებ ამ ორდენის ერთერთი დამაარსებელი ბერნარ კლერვოსელი წერდა 1125 წელს: „ისინი არიან თავდაბალნი როგორც შინ, ისე ბრძოლის ველზე. მორჩილებას მათში დიდი დაფასება აქვს. ისინი მიდი-მოდინ დამრიგებლის ნებართვით. ისინი იცვამენ იმ ტანისამოსს, რომელსაც ეს დამრიგებელი აძლევს მათ და არავისგან სხვისგან არ ღებულობენ არც ტანისამოსს და არც საკმელს... მათ სძულთ ჯამბაზები, ქუჩის მომღერლები, აღგზნების გამომწვევი ყოველგვარი სიმღერა და ყოველგვარი სახიობები, აგრეთვე საერო ცხოვრების დაწამაწა და სისულელე. ბრძოლას ისინი იწყებენ არა აჩქარებით და მოუფიქრებლად, არამედ სიფრთხილით და წინდახედულად, როგორც ისრაელის ნამდვილი შვილები. მაგრამ როგორც კი იწყება ბრძოლა, ისინი უშიშრად და აგდებით თავს ესხმიან მოწინააღმდეგეს როგორც ცხვრებს. რაც უნდა ცოტანი იყვნენ, მათ არ იციან არავი-

თარი შიში და იმედს ამყარებენ ღმერთ საბაოთზე (მამა ღმერთზე). ამიტომ ზშირად ერთი რაინდი გააქცევდა მთლიანად ათას კაცს და ორი რაინდი კიდევ— ათი ათასს. ამგვარად ისინი ერთსა და იმავე დროს არიან თიკნებზე უფრო წყნარნი და ლომებზე უფრო მრისხანენი, ასე რომ ყოყმანობ — დაარქვა მათ ბერები თუ რაინდები. მაგრამ ისინი იმსახურებენ ორსავე სახელს, რადგანაც აღჭურვილნი არიან ბერების თავდაბლობით და რაინდთა მამაცობით¹.

ტამპლიერების ორდენის ასეთ ხასიათს ერთგვარად ეხმაურება ქართველი მემკვიდრის ცნობა იმის შესახებ, რომ დავითის დროს „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღვთისა განმარისხებელი და ყოველი უწყსობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხვსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთა ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“. დავითის ეს განკარგულება გამოსულა მაშინ, როდესაც საქართველოს ლაშქარში „ენათა ურიცხვი სიმრავლე“ იყო, ე. ი. ყივჩაღთა ჯარის მოწვევის შემდეგ, მაშასადამე, შემდეგ 1118 წლისა, ე. ი. ქრონოლოგიურად ეს ამბავი ხდება ტამპლიერების ორდენის დაარსებას იერუსალიმში.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ტამპლიერებმა თავისი სახელი მიიღეს სოლომონის უკვე არარსებული ტაძრის მიხედვით ქრისტეს საფლავის ტაძრისათვის გვერდის ავლით. ხომ არ იყო ეს გამოწვეული იმით, რომ ქრისტეს საფლავის ტაძრის სახელი უკვე გამოყენებული იყო იმავე რელიგიურ-სამხედრო მიზნით ქართველების მიერ და ამიტომ ახალი ორდენის დამაარსებელთა არჩიეს სოლომონის არარსებული ტაძრის სახელის მიკუთვნება?

რასაკვირველია, მთელი ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ახალი მასალების და ახალ დაკვირვებათა გარეშე შეუძლებელია. ყველაფერს ზემოთ და ქვემოთ თქმულს, მაშასადამე, ჭერჯერობით მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის ხასიათი აქვს.

32. მოყმეთა როლი ქართულ ფეოდალურ ლაშქარში. თუ როგორ იყო მოწყობილი ქართული ფეოდალური ჯარი, ეს ჩანს შემდეგი ფაქტებიდან.

სტეფანოს ორბელეანი აგვიწერს, თუ როგორ იყო შეიარაღებული ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტი თურქ-სულჯუკების ჯარის პირისპირ (1048 წ.). ის იჯდა არაბულ ცხენზე. მხარს უკან მას გადადებელი ჰქონდა ოქროთმეძკული ფარი, მარცხენა ხელში მას ეკავა მოკლე ხელშუბი, მარჯვენაში კი ორლესული ფართო ხმალი, ხოლო უნაგირზე მიბმული ჰქონდა უზარმაზარი ლახ-

¹ Т. Д е л ь б р ю к, История военного искусства, რუსული გამოცემა, III, М. 1938. стр. 162.

ტი, რომელიც მკვდლის უროს ანდა ქვისმთელის მოღუწულ ჩუგლუგს მი-
გავდო. ამ აღწერილობაში იგულისხმება, რომ ლიპარიტს ჯავშანიც ეცვა. მის-
ცხენს კი ჯავშნიანი საფარი თითქოს არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში ეს მოხ-
სენებული არაა. მაგრამ უკვე ვახტანგ გორგასალის დროისთვის ჯუანშერი იხ-
სენიებს თოროსანი ცხენების მყოფ ქართველ მოლაშქრეთ (ბერძნული თორაქს
ნიშნავს ჯავშანს). ამიტომ საომარი ცხენების დაცვა ჯავშნით XI ს-ნეში ქართვე-
ლებისათვის სასებით ცნობილი საქმე იყო, მხოლოდ შეიძლება ამ წესს ყოველ-
თვის არ მისდევდნენ, რადგანაც ზოგ ომში, სადაც სწრაფი მანევრირება იყო.
საჭირო, თოროსანი ცხენი დაბრკოლებასაც წარმოადგენდა.

იმავე სტეფანოსის სიტყვით, ხსენებული ლაშქრობისთვის ლიპარიტს მიბ-
ყავდა 700 დიდაზნაური (აზატ-ქ მეწამეწ), რომელნიც მის საკუთარ ყმებს
შეადგენდნენ და 16 ათასი მხედარი. გარდა ამისა მეფეს მან გამოართვაო 10
ათასი კაცი სამეფო ლაშქრიდან. იქვე სტეფანოსი აღნიშნავს, რომ ლიპარიტს
სამეფოს ნახევარი ემორჩილებოდაო. მაშასადამე, მთელი სამეფოს ლაშქარს
ამ დროს (რიცხვების 700 დიდაზნაური და 16 ათ. მხედარის ორჯერ გამრავ-
ლებით) თითქოს შეადგენდნენ 1400 დიდ-აზნაური და 32 ათასი მხედარი. ამ
ხანის ახლოს თურქ-სელჯუკიანთა სპარსეთში, ნიზამ ულ-მულუკის სიასეთ-ნა-
მეს მიხედვით სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა კარავი — ვისაც. ეს კარავი-
საკი შესდგებოდა ოთხი მსახურისაგან, რომელთა სათავეში იდგა რაინდი
ვისაც-ბაში. ამასთან დაკავშირებით გასახსენებელია ორი ქართული ტერმინი,
რომელთაგან ოთხმეზური იხსენიება თამარ მეფის და სხვა სიგელებში, რაც,
ნიშნავდა ოთხ-მიზდიანის უფროსს (მიზდი — სპარსულად ხელფასი, ჯამაგი-
რი), ე. ი. თავდაპირველად ჯამაგირიანი ოთხი მსახურის უფროსს.

მეორე ტერმინია კარვოსან-ქოთლოსანი. ბექას კანონებში (§ 9—10)
ვკითხულობთ: „ქოთლოსნისა და აბჯროსნისა და კარვოსნისა და პატრონთან-
რომ ჭელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი
იყოს, ამად რომე კარვოსნობა ეს ყოველთა წესია, აზნაურული სჭირს და რო-
მელსა მსახურისა ისი ყველა საქმე სჭირს, ისრე სრულად. და პატრონთა საჩი-
ნო ჭელი არა აქვნდეს და არცა ჰქონებოდეს, აზნაურად ჰყვეს, მისი ექვსი ათასი
თეთრი იყოს.

„თუ კარვოსან-ქოთლოსანი აზნაურისშვილად მსახური ყოფილიყოს და.
მოკვდეს და მას უკანი იმის ძმა ანუ შვილი და ნათესავი ვერლარა მისით წესითა.
მსახურებდეს მისთა პატრონთა, მისი სისხლი ათასივე თეთრი იყოს“.

ბექას კანონებით, დიდებულის სისხლის ფასი იყო 40 ათ. თეთრი, ტაძ-
რეული აზნაურისა, რომელიც „ციხოსან-მონასტროსანი იყოს და მამული დი-

დი“, — 20 ათასი თეთრი; უციხო-უმონასტრო აზნაურისა — 12 ათასი თეთრი, ისეთი მსახურის სისხლი, რომელიც „მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ყვეს“ — 12 ათასი თეთრი. ამის შემდეგ, ზემო ციტირებულის მიხედვით, მოდიოდა ჩვეულებრივი აზნაურის მოვალეობის ამსრულებელი „კარვოსან-აბჯროსან-ქოთლოსანი“, რომელსაც „საჩინო გელი“ არ ჰქონია, მისი სისხლის ფასი 6 ათასი თეთრი იყო. მაგრამ თუ ამ ქოთლოსან-აბჯროსან-კარვოსანს რაიმე საპატიო გელი ჰქონდა ან აქვს, მისი სისხლი 12 ათასი თეთრი ფასობდა.

თუ გარდაცვალებული კარვოსან-ქოთლოსანის („აზნაური შვილად მსახურის“) ძმა ან შვილი ვერ შესძლებს მსახურის მოვალეობის შესრულების, მისი სისხლი ათასი თეთრი ფასობს (როგორც ჩანს, მხოლოდ ერთი თაობის სიგრძეზე).

უბრალო გლეხის სისხლი 400 თეთრი ღირდა.

ლიპარიტის ხანა ბექას კანონების დროს 2¹/გსაუკუნით არის დაშორებული. მაგრამ ფეოდალური წყობილების რიგი პრინციპები რამდენიმე საუკუნესაც კი უძლებდა და საერთოდ ფეოდალიზმის ხანის ძირითადი თვისებები საუკუნეების სიგრძეზე მცირე ცვლილებებს განიცდიდა. ეს ჩანს ბევრი ქვეყნის (ევროპისაც) მაგალითზე. ამიტომ შეიძლება ბექას დროინდელი ზოგი ფაქტი გამოვეყნოთ წინა ხანის და თვით XI—XII ს-ნეთა ვითარების გასაგებად.

ბექას კანონებიდან ჩანს, რომ აზნაურები იყვნენ 1) ციხოსან-მონასტროსანი და 2) უციხონი. XI ს-ნეშიც ბაგრატ IV-ის დროს მემატიანე იხსენიებს ციხოსან და უციხო აზნაურთ. სტეფანოს ორბელეანის მიხედვით, როგორც ვნახეთ, საქართველოს XI ს-ნის შუა წლებში დაახლოებით ჰყავდა 1400 რაინდი დიდაზნაურთაგან (ე. ი. ციხოსან აზნაურთაგან). ამათგან უნდა განვასხვაოთ ოთხმეზურნი, იგივე კარვოსან-აბჯროსან-ქოთლოსანი, რომელნიც იყვნენ: 1) მცირე აზნაურთაგან და 2) აზნაურის მოვალეობის ამსრულებელ მსახურთაგან.

ხსენებული 1400 მეომარი დიდ აზნაურთაგან მძიმედ შეიარაღებული რაინდები არიან. ამ რაინდებს უნდა ჰყოლოდათ დამხმარე პირნი, ე. ი. ზემოთ დასახლებული კარვოსან-აბჯროსან-ქოთლოსანი და უფრო დაბალი მოსამსახურენი (მეჭინიბენი და სხვ.), ყველანი ან თითქმის ყველანი ცხენოსნები. მათი როდენობა თითო მძიმედ შეიარაღებულ რაინდზე 4—12 კაცის ჩათვლით გამოვიდოდა 6—7 ათასი მხედარი და კიდევ შეიძლება 1—2 ათასი ქვეითი მოსამსახურე. 32 ათასი მხედრიდან რჩება კიდევ, მოსამსახურეთა გარდა, დაახლოებით 20—22 ათასი მხედარი მსუბუქ ცხენოსანი ჯარისათვის.

მაგრამ იგივე სტეფანოსი აღნიშნავს, რომ ორბელეს თავისი ხელქვეით

ჰქონდათ 12 დროშა, თითო დროშის ქვეშ ათასი მეომრით. მართლაც, სტეფანოსი მოგვითხრობს თურქთაგან სხვა ლიპარიტის მოკელის შესახებ დავით მეფის დროს. ორბელთა გვარის შესახებ ის აღნიშნავს, რომ მათ ემორჩილებოდათ 12 დროშის ჯარები, რასაც მისდევს თხრობა მანდატურთუხუცესის კვერთხის შესახებ, ხოლო შემდეგ მოთხრობილია იმავე მეფე დავით გიორგის ძის დროის შესახებ (1123 წლის თარიღის მოკლევით), რომ დიდმა მხედართმთავარმა ივანე ორბელმა აიღო ტფილისი და მთელი რიგი სხვა ციხეები. ამიტომ ცნობა, რომ ამირსპასალარს საქართველოში ემორჩილებოდა 12 სადროშო, დავით აღმაშენებლის ხანას უნდა ახასიათებდეს. ვფიქრობთ, რომ საქართველოს მძიმედ შეიარაღებული რაინდების რაოდენობა დავითის მიერ ჩატარებული რეფორმების და ღონისძიებათა შემდეგ უნდა ყოფილიყო ორი ათასზე ცოტა მეტი, რომელნიც (თითო რაინდზე 4—12 მხედრის ჩათვლით) შეადგენდნენ ხსენებულ 12 სადროშოს (მათ ეყოლებოდათ ამათ გარდა ქვეითი მოსამსახურენიც).

დიდგორის ომში მონაწილეობდა ორასი ფრანკი რაინდი, რომელიც თანმხლე მხედრებით და მცირედ მოსამსახურეებით სულ ცოტა ათასსხუთას კაცს ან ორ ათასს შეადგენდნენ.

დიდგორის ომი მოხდა 1121 წ. აგვისტოში სოფ. დიდმის თავზე ეგრეთწოდებულ დიდგორწინის მცირედ დაქანებულ ველზე. ხსოვნა ამ ომის შესახებ ახლაც შენახულია ხალხში.

მძიმედ შეიარაღებული მოყმის უზრუნველსაყოფად ბრძოლის დროს მისი თანმხლე დაახლ. 14 მეომრისა და მოსამსახურის ჩათვლით საქარო იყო სულ ცოტა 25 ფუძის გლეხის (დახლ. 100—120 კომლის ანუ 700 ორივე სქ. სულის) გამოსავალი-რენტა. თითო სამთავრო-სადიდებულო გვარში საგულისხმებელი არის სულ ცოტა ორი-სამი ასეთი მოყმე და ზოგჯერ ცოტა მეტიც. მაშასადამე, ასეთი გვარის მართო სამხედრო პიროვნულ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად საქარო იყო დაახლ. 75 ფუძე (300 კომლი) გლეხის გამოსავალი-რენტა. მაგრამ პირველხარისხოვან მოყმეთა მომცემ გვარეულობათ ხომ სხვა ვალდებულებანიც ედვა (ციხის და საგვარეულო მონასტრის შენახვა და სხვანიც), რაც აგრეთვე გულისხმობდა დამატებით რენტა-გამოსავლის საჭიროებას.

დიდებულის გვარს გამოყავდა კიდევ მეორე და მესამე ხარისხოვანი (რიცხვით 10—15) მოყმენი, რომელთაც ნაკლები უზრუნველყოფა ჰქონდათ. გარდა ამისა ფუძეებიდან გამოდიოდნენ კიდევ მსუბუქად შეიარაღებული მხედრები.

სამთავრო (დიდებულთა) გვარების რაოდენობა შეიძლება ნავარაუდებ იქნას შემდეგნაირად. XIV ს-ნის I ნახევარში სამესხეთოში იყო ოცამდე სათავადო გვარეულობა. 1240-იან წლებში სამესხეთო იანგარიშებოდა როგორც მაშინდელი ეთნოგრაფიული საქართველოს მეხუთედი. ამიტომ ეთნოგრაფიულ საქართველოში XIV ს-ნეში სავარაუდოა ასამდე სათავადო გვარეულობა. XII ს-ნეში ამ გვარეულობათა რაოდენობა ნაკლები იქნებოდა, ვთქვათ 70—80-მდე.

საქართველოს ლაშქრის დაახლ. ნახევარი შესდგებოდა სამეფო სახლის ხელქვეით მოსაკარგავე (ეგრეთწოდებულ სასახლის) დიდებულთაგან და სამეფო ფუძეებიდან გამოყვანილ, მსუბუქად შეიარაღებულ ცხენოსანთაგან. ხოლო დაახლოებით მეორე ნახევარი შესდგებოდა მემაკვიდრე დიდებულთაგან გამოსულ მოყმეთაგან და მათივე ხელქვეით ფუძეებიდან გამოყვანილ მსუბუქ ცხენოსანი ჯარისაგან.

33. ქართველი ჯარის საომარი განლაგების წესი. ჯვაროსანთა ბრძოლების აღწერისას გოტიე გადმოგვცემს ატარიბთან 1119 წელს მომხდარი ომის შესახებ, რომ „წმიდა პეტრეს სოლი (acies) გამოდიოდა ყველაზე წინ მარჯვნივ. ეს იყო ის სოლი (acies), რომელსაც მიკუთვნებული ჰქონდა უფლება ყველაზე წინ მიმავლებულიყო და პირველი თავს დასხმოდა მტერს“¹. მათ მიჰყვებოდა უკან გოტფრიდის და გვიდოს სოლები (acies), მაგრამ ისინი არ შეელოდნენ პირველი სოლის შეტევებს, არამედ დარწმუნდებოდნენ რა მის წარმატებაში, უტევდნენ სხვა მოწინააღმდეგეთ და აგრეთვე იმარჯვებდნენ მათზე. გერმანელი მკვლევარები ჰეერმანნი, კელერი და დელბრუკი ფიქრობდნენ, რომ ხსენებული სამი რაზმი — სოლი ერთი მეორის უკან ეშელონებად იყვნენ განლაგებულნი.

ამ აზრის სისწორე დასტურდება იმით, რომ ჯვაროსანთა რაინდების ერთ-ერთი მძლავრი, სახელობრ ტამპლიერების (ტაძროსანთა ანუ ტაძრეულთა) ორდენის (დაარსდა 1119 წელს) სტატუტის მე-161 მუხლით, ტამპლიერები ეწყობოდნენ ეშელონებად en échelle, ე. ი., რადგანაც ეს სიტყვა არსებითად კიბეს ნიშნავს, მამასადამე, კიბის მსგავსად სოლისებურად. ორდენის რაინდს ჰყავს ორი მეაბჯრე, რომელთაგან ერთი ყოველთვის იყო რაინდის ახლოს, მეორე კი დადიოდა სურსათის და ფურაჟის მოსაპოვებლად. მეზავრობის დროს მეაბჯრენი საქურველით მიდიან რაინდის წინ, ხოლო ვისაც ცხენები მიჰყავდა (ყოველ რაინდს ჰყავდა თან 3—4 ცხენი), ისინი უკან მისდევდნენ.

სამშუალო საუკუნეების დას. ევროპის წყაროებში ლათინური acies — წვეტი და cuneus (სოლი) იხმარებოდა მოწინააღმდეგის მიმართ ღრმად და-

¹ И. Делъбрюк, История военного искусства, тагманни გერმანულიდან, მოსკოვი, 1938, III, გვ. 200, 205, 207, 213

წყობილი კოლონის აღსანიშნავად¹. საყურადღებოა, რომ გოტიე განასხვავებს ერთმანეთისაგან ქართველი სარდლობის განკარგულებას ჯარების ცალკე ნაწილებად ორ მთას შორის დიდგორწინზე განლაგების შესახებ რაინდების დაწყობისგან სოლებად. პირველ შემთხვევაში ხმარებულია ტერმინი *agmina*, რაც ცალკეულ რაზმებს აღნიშნავს. შემდეგ კი დავითმა სიტყვა წარმოთქვა ხელმძღვანელების და პირველი რაინდების წინაშე. ამას მოჰყვა „დაუგვიანებელი“ ახალი განკარგულება ცალ-ცალკე სოლებად (*acies*) განლაგების შესახებ, აქაც, რასაკვირველია, წინასწარ შემუშავებული დისპოზიციის თანახმად. აქედანაც ცხადია, ერთი იყო ლაშქრის (42 ათ. კაცის) გაშლა, და მეორე კიდევ — ქართველი რაინდების თავთავიანთი მსახურებით (12 ათ. კაცის) და მათთან კიდევ ფრანგი რაინდების მათი კაცებითურთ წინ სოლებად განლაგება.

აღნიშნულია, რომ დას. ევროპის სარაინდო სოლისებრი წყობა თავისუფლად ეთავსებოდა ხაზობრივ წყობას. როდესაც რაინდები ეწყობოდნენ ერთ ხაზად მათ უკან იდგნენ წესისამებრ მათი მებაჯრენი და მსახურნი. ამ წყობას ძველ ფრანგულად ერქვა *en haye*. თუმცა სოლისებურ და ხაზობრივ დაწყობას შორის დიდი პრინციპული განსხვავება იყო, მაგრამ მაინც ორივე ფორმა შეიძლებოდა ერთსა და იმავე დროს არსებულებით და გამოყენებულიც ყოფილიყო ერთსა და იმავე ბრძოლაში. რომ ქართველებს ნაწილობრივ მაინც ჯვაროსნებისაგან ათვისებული ჰქონდათ რაინდების სოლისებური წყობა, ეს ჩანს გოტიეს ცნობიდან, რომ დავითმა დიდგორის ბრძოლის წინ თავისი რაინდები დააწყო სოლებადო (*acies*).

დას. ევროპის ზოგ ხალხში XII ს-ნეზედაც აღრინდელ ხანაში ლაშქარი ბრძოლისათვის იყოფოდა სამ მთავარ ნაწილად — მეწინავე, მარჯვენა ფრთა და მარცხენა ფრთა. დიდგორის ბრძოლაში მეწინავედ ფრანგები იყვნენ, საფიქრებელია თვით მათ მიერ ამის შესახებ წინასწარ დაყენებული პირობის მიხედვით (ასეთ პირობას საუკეთესო რაინდები ხშირად წინასწარ აყენებდნენ). ამიტომ მათ გვერდებზე და აგრეთვე მათ უკან ხაზს თავიანთი სოლებით დაიკავებდნენ ქართველი მოყმენი². ბრძოლის ხაზს ეკავა 2—2½ კილომეტრი.

¹ ი. დელბრუკი, იქვე.

² ასეთივე წესი იყო XII ს-ნეში (და საფიქრებელია უფრო ადრეც) ქართველებშიც. მოწინავედ ითვლებოდნენ მესხები. გვიან, XVI ს-ნეშიც 1545 წელს ბაისიანი სოხოსტას ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის წინ მესხებმა მოსთხოვეს ქართლის მეფეს ლუარსაბს და იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს გაეშვათ ისინი, ძველი წესის თანახმად, მეწინავედ. მაგრამ მეფეები ამაზე არ დასთანხმდნენ, რადგანაც მესხეთას ათაბაგობის პრეტენდენტი ოსმალების სერასკირის ბანაკში იმყოფებოდა. მესხებმა ეს იწყინეს, განზე გადგნენ და ოშში მონაწილეობა არ მიიღეს. ძველად გაღმოცემა ამ ვარემოების თვალდა ქართველების მიერ სოხოსტის ომის წაგების მთავარ მიზეზად რასაც შედეგად მოჰყვა მესხეთის მეტი ნაწილის დაპყრობა ოსმალების მიერ.

34. მოყმეთა ჭაბუჯობა-რაინდობა საქართველოში. ფეოდალური საზოგადოების თვალსაზრისით აუცილებელი, დადებითი თვისებანი იყო „აღზრდილობა ლაშქრობათა და ჭაბუჯობათა შინა“. ჭაბუჯი — ეს იყო ფეოდალური ხანის ტერმინი, სპარსულიდან შეთვისებული, რომლის დაახლოებით ქართულ ეკვივალენტს წარმოადგენდა ყმა და მოყმე. „შეიქმნა ომი ვით ხუდებოდა რჩეულებასა იმერთა და ამერთა მოყმეთასა, რომელი კმა იყო ძუელთაგანაცა გოლიათთა და ჭაბუჯთა ომად“, გადმოგვცემს თამარის პირველი მემატიანე გიორგი რუსის მიერ ატეხილი შინაური ომის შესახებ, — „და განგრძობასა შინა ომთასა მიეცა ძლევა მოყმეთა თამარისათა“. საერთოდ „ჭაბუჯი“ და „საჭაბუჯო“ რაინდობის დამახასიათებელი ცნების გამომხატველად იყო მიღებული. ზაქარია ვარდანისძეზე თამარის პირველი მემატიანე ამბობს: „იგი კაცი ერთგული იყო და ჭაბუჯი გამოცდილი“-ო.

ჭაბუჯობის გარდა მე-12 საუკუნეში იხმარებოდა ტერმინი რაინდიც. მკვირცხლი, ლამაზად აკაზმული ჭაბუჯის მნიშვნელობით. მეფე დავით სოსლანი იყო „რაინდობითა და შვილდოსნობითა უსწორო შემმართველი“ (შეად. ქართლის ცხოვრება, ბროსეს გამ., I, 284: „რაინდობანი და მკვდართა სიგელოვნენი და მკვირცხლ მოქმედებანი“).

ტერმინი რაინდისაგან უნდა განსხვავდეს ტერმინი რინდი, რაც სპარსულად, ნიშნავს ლოთ ადამიანს. გიორგი ლაშამ „შეიყვარა თანამოჰასაყენი მსმურობითა და დედათა უწყესით თანა აღრევით, რომელ ესოდენ უსახურებად მიიწია: ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა ტფილისს მყოფი წაყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი, ხოლო რინდნი, მუნ მეფისა მისეღისა არა მგონებელნი და ღვინით უცნობო ქმნილნი, ზედა მოეტევენეს და ძლიერად გვემეს, ვიდრემდე ერთიცა თვალი მარჯვნივ ხედვისაგან დააკლეს“. ეს მემატიანე უარყოფით არის განწყობილი ლაშასადმი და ამიტომაც ის გმობს რინდებსაც. რინდები არიან იგივე კინტონი (კინტო ნახჩიურად ყოჩაღ კაცს ნიშნავს), მასასადამე ფაქტიურად რინდნი წვრილ მოქალაქეთაგან არიან საგული სხმებელნი.

თამარის დროს რაინდობა ნიშნავდა ცხენოსნობას ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მემატიანის თქმით, თამარის ქმარი დავით სოსლანი იყო „რაინდობითა და შვილდოსნობითა უსწორო შემმართველი. რაინდობა აქ, ცხადია, ნიშნავს ცხენზე ჯდომას. მაგრამ იგივე მემატიანე თამარის შესახებ გადმოგვცემს, რომ მას ახასიათებდა „ყოვლისა მამაცობისა მიმართ სიმარჯვენი, ოდეს მე რაინდობანი და მკვდართა სიგელოვნენი და მკვირცხლ-მოქმედებანი“. რაინდობა აქ ნიშნავს მხედართ-მძღვანობას, ცხენოსანი ჯარის გაძლოლას. მართ-

ლაც, იგივე ავტორი მიგვითითებს, რომ სელჯუქიანს მუტაფრადინს, რომელიც თამარის შერთვას ცდილობდა, ცოლად შერთეს მის მაგივრად მეფის უკანონო ასული (უნდა იგულისხმებოდეს დავით IV-ის უკანონო ასული, რომელიც ამ დროს, 1188 წ. სულ ცოტა 35 წლის მაინც იქნებოდა, ანდა უფრო შესაძლებელია დემნა ბატონიშვილის უკანონო შვილი). ამის გამო მემატთანე ამბობს: „წინა უკმო საულისა შეემთხვა სალჩუქიანსა, რამეთუ საულ ძებნასა კარაულისასა პოვა მეფობა და მან, მძებნელმან მეფობისამან და ზესთა ყოველთა მეფობისამან, პოვა ნაცვლად რომელი ჯამდა მერაინდედ კარაულებსა საულისასა“, ე. ი. თუ საულმა (ისრაელთა პირველმა მეფემ) სახედრების ძებნისას მოიპოვა მეფობა (ასეა მოთხრობილი მისი ამბავი დაბადებაში), მუტაფრადინმა მეფობის ძებნაში მოიპოვა სახედრების გამყოლობა, იგულისხმება, რომ ის უნდა ხლებოდა თავის ახალს ცოლს. მერაინდე აქ ნიშნავს სახედრების და ცხენების გამყოლს. თვით ტერმინი მერაინდე ნასესხებია სპარსულიდან და წარმოებული უნდა იყოს სპარსული ზმნისაგან (რაიანდენ) — გამყოლობა, გზის ჩვენება. თავდაპირველი მისი მნიშვნელობა ქართულად უნდა ყოფილიყო ცხენის გამყოლობა, ცხენის ჯედნა. ამ აზრით არის ეს სიტყვა ნახმარი ამირანდარეჯანისძიანში: „ქედნიან რაინდნი ცხენთა“.

ვეფხისტყაოსანში ჭაბუკი და საჭაბუკო გარკვევით რაინდთა წოდების დამახასიათებელ ტერმინად იხმარება. ავთანდილი, მაგ., როდესაც ის განასხვავებს თავისს თავს ვაჰართაგან, ეუბნება მათ:

თვით თავადია ჩუენი, თქო, ნუ მივმოთ ჭაბუკობასა (სტ. 1058)¹.

ტარიელ—ავთანდილ—ფრიდონის შესახებ პოეტი ამბობს:

იგი ჭაბუკნი შუქითა ვნახეთ შვისაცა მეტითა (სტ. 140).

რაინდი (მოყმე) თავისი ტანსაცმელით განსხვავდებოდა, სხვათა შორის, ვაჰრისაგან. მისი ტანსაცმელი უფრო ლამაზიც იყო. ავთანდილს

სამოსისა ვაჰრულისა ცმა აქამდის დაეწესა.

მას დღეს ყოელი საჭაბუკო შვიმოსა ტანსა მვენსა,

და მოიმატა დაშვენება, დაემსგავსა ლომი მზესა (სტ. 1256).

როგორც ვნახეთ, როგორც ჭაბუკი, ისე რაინდი სპარსული წარმოშობის ტერმინები. ჭაბუკის ეკვივალენტს შეადგენდა ყმა და მოყმე, რომელნიც უკვე წმინდა ქართული ტერმინებს წარმოადგენენ. ავთანდილის შესახებ, მაგ., ვაჰრები ამბობენ:

თქუეს: ყმა ვინმეა ჭაბუკი, არ ჩვენებრივი რილითა (სტ. 1036).

¹ სტროფების ნომრები აქ ყველგან ნაჩვენები ვეფხისტყაოსნის ჩემი 1927 წლის გამოცემით.

მაგრამ სიტყვა ყმა იხმარებოდა არა მარტო ქაბუჯის ეკვივალენტად, არამედ როგორც თავისი პატრონისაგან ვასალურ დამოკიდებულების აღმნიშვნელ ტერმინდაც (პატრონ-ყმობა). ავთანდილი ამბობს თავისი თავის შესახებ:

მე ვარ ყმა როსტენ მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით (სტ. 991).

შედარებით პირველ შემთხვევასთან ყმა აქ იხმარება უკვე სხვა (სოციალური) მნიშვნელობით.

მაგრამ მაშინ როდესაც ტერმინ ყმა-ს ჰქონდა ასეთი ორმაგი მნიშვნელობა, მოყმე წარმოადგენდა ფეოდალურ რაინდთა, ზოგადი გაგებით, გამომხატველ ტერმინს. ამ მნიშვნელობით მოყმედ იწოდებოდა როგორც დიდებული და აზნაური მხედარი, ისე მეფეც. მაგ., თამარის პირველი მემკვიდრე დავით სოსლანის შესახებ ამბობს: „მაშინ გაჰყვა (ივანე მხარგრძელს) მოყმე დღითიდღე აღმატებული და წარმართებული ომთა და ლაშქრობათა შინა“. იმავე დავითის შესახებ იგივე მემკვიდრე ამბობს: „ვისნიმცა ქებანი მიწლომოდა დავითის მოყმისა, პირველთა გოლიათთა მსგავსისა, ბალათრისა და თარხანისი, მსგავსი ეფრემიანისა და დიდებულთა ბუმბერაზთა, მოყმეთა ამის სამეფოსათა“. ტერმინი მოყმე ამის მიხედვით შეიცავდა ფრიალ საპატიო ცნებას. ის იყო გოლიათთა მსგავსი, ბუმბერაზი. სამეფო კარზე მათ ეჭირათ საპატიო აღგილი. სამეფო კარის ცხოვრების სათანადოდ გამოჩვენება მოყმეთა სიკეთეზე იყო დამყარებული. ლაშქრობის დროს პირველ რიგებში მოყმენი იბრძოდნენ. როდესაც საქართველოს სამეფო კარზე მოვიდნენ შარვანშა (შირვანის მფლობელი) და ყიზილ-არსლან სულთანის ძმისშვილი ამირ-მირმანი (თითონაც „მოყმე და შესახედავ საყუარელი“), „შეიქნა დარბაზობა და დასხდეს ტახტთა ზედა ოქროჭედილთა თვით თამარ და დავით და ძე მათი გიორგი... პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი, ძველნი და ახალნი, შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი და შემდგომად ქართველნი და კვალად მესხნი, თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელითურთ, შემდგომად სომხითარნი და კუალად აფხაზნი და სვან-მეგრელ-გურჩიელნი თანა რაჭა-თაკვერ-მარგველითურთ და თვით კარვისა კარსა ჯელისუფალნი და შინაურნი“. თბილისის გარედ გარდახდილ ამ ბრწყინვალე დარბაზობას, რომელიც საქართველოს სამეფო ტახტისათვის მე-12—13 ს-ნეთა მიჯნაზე ტიპიურად უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, არ შეეძლო სტუმრებზე სათანადო შთაბეჭდილება არ მოეხდინა: „მოეწონა (სტუმრებს თამარი და) თვით მეფე დავით და დიდებულნი და მოყმენი მათნი... მაშინ ითხოვეს პური და შემდგომად პურობისა დაიდევს ნაღმი, სიკეთე სიტურფე გამოუთქმელი. იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშით-

თა. გაღანამცა დამოსნა (თამარმა) ძვირფასითა შესამოსელებითა იგი ორივენი (შარვანშა და ამირ-მირმანი) და ლაშქარნი მათნი და დაუყუეს მუნ მსგეფსი (კვირა) ერთი და ჰქონდათ დღე ყოველ სიხარული და მათგან ძღნობა და ამათგან ბოძება, ნადირობა და ბურთობა, რომლისათვისცა ითქმოდა ქება ამირ-მირმანისა და დიდებულთა და მულამთა მისთა, ვითა ერაცსა და ადარბადაგანს და ერანს ამათებრ მობურთაღნი არ დარჩომილ არაან(ო).

„მაშინ უბრძანა მეფემან (დავით) ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას და მსახურთ-უხუცესსა იოანეს და ჰერეთისა ერისთავსა გრაგოლს და სხუათა მოყმეთა და ჩავიდეს მოედანსა და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმან მისითა დიდებულითა და მონითა და თვით თამარ საქვრეტლად... და მძლე მგონებელნი თავისანი მსწრაფლ იძლიენეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და დაქმუნებულნი“.

ასევე მოყმედ ვხედავთ პირველ რიგში არზრუმის მფლობელის შვილს მუტაფრადინს (მოდჰაფფერ-ედ-დინს) საქართველოში სადარბაზოდ მოსვლისას. „მოვიდა (მუტაფრადინი) წინაშე თვით მფლობელისა და ყოველთა მეფეთა უზეშთათვისსა ამის თამარისა სამეფოთა თვისთა ლაშქართა კაზმულობითა და მრავალთა დიდებულთა, ბარგითა და სიმდიდრითა საჯელმწიფოთა ძღუნითა კმა საყოფელითა, თუალითა, მარგალიტითა და საქურტკლეთა და ლართა ურიცხვებითა, ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა... მიეგებნეს დიდებულნი... და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის (საქართველოს მეფის) დიდებულთა მოყმეთა უკლებლობასა, მრავალ გვართა სახიობათა და მუტრობთა და მოშაითთა განწყობილებასა, ვინაცა ნიჭთა და საბოძვართა და შემოსათა იქმნა რაცხვი ურაცხვი“.

ამ ციტატებიდანაც ზოგადი მოხაზულობით შესაძლებელია წარმოდგენილ იქმნას საქართველოს სამეფო კარის ცხოვრება და მოყმეთა როლი სამეფო კარზე მე-12—13 ს-ნეთა მიჯნაზე. დარბაზობათა და დიდ-დიდ გამოჩვენებათა დროს მოყმენი დიდებულებთან ერთად იყვნენ სამეფო კარის დამამშვენებელნი. იმავე მუტაფრადინს „აჩვენეს დიდებულნი, მოყმენი და ლაშქარნი, განაღამცა მოეწონნეს და ეკეთნეს“ ასპარეზობა და ბურთობა, ნადირობა, „სახიობანი“, „მუტრობთა და მოშაითთა განწყობილებანი“ — ყველაფერი ეს ავსებდა მოყმეთა ცხოვრებას მშვიდობიანობის დროს.

მაგრამ მოყმე იყო უპირველეს ყოვლისა მეომარი. სამხედრო ვნებათა ის დაუდგრომელი ღელვა, რომელიც საშუალო საუკუნეების რაინდს როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპაშიც იწვევდა „საგმირო საქმეთა“-კენ, განუწყვეტელი მისწრაფება სხვადასხვა ახალ განცდათა და შემთხვეულობისაკენ, რაინ-

დობისთვის როგორც ყველგან, ისე საქართველოშიც დამახასიათებელი. ყველაფერი ეს შეადგენდა ქართველი მოყმეთა თვისებას. ამიტომ დიდხანს „სახიობათა“ მზერა და მუტობთა და მოშაითთა ამარად დარჩენა მოყმეებს არ მოსწონდათ, მათი გული თავის გამოსაჩენ საგმირო საქმეებისაკენ მისწრაფეოდა. ამითაც აიხსნება, რომ როდესაც, მაგ., თამარის მამის გიორგი II-ის დროს ერთ ხანს მშვიდობიანობა დამყარდა და ომიანობა მოისპო, მოყმეები და ლაშქარი ამოძრავდნენ: „ულონო იქმნეს (მშვიდობიანობისაგან) ლაშქარი და დიდებულნი ამის სამეფოსანი, მკადრებელთა მოაქსენეს (მეფეს) ესრე სახედ: არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“-ო.

„ყოვლისა მამაცობისა მიმართ მარჯვე“ და „მკვიცხლი მოქმედებითა“ მოყმე ამაყია როგორც ლხინში, ისე ჭირში. ხოლო ახალ შემთხვეულობათა მუდმივი ძიება, საფრთხეში ხშირად ყოფნა, საერთო საომარი სარბიელი ხელს უწყობდა მოყმეთა შორის საუკეთესო ამხანაგურ განწყობილების განმტკიცებას, ძმობის და იმ ძმადნაფიცობის იდეის კულტად გადაქცევას, რომელიც შეადგენს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო მოტივს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართველი ფეოდალური საზოგადოების ცხოვრება მე-12—13 ს-ნეთა მიჯნაზე აშკარავენს ზოგ ისეთ დამახასიათებელ ნიშანდობლივ ხაზებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ამ ქართულ ცხოვრების (შედარებით მეზობელ აღმოსავლეთ ქვეყნებთან — სპარსეთთან და თურქულ ქვეყნებთან) ერთგვარ თვისებურობაზე ლაპარაკი და ეს არა მარტო დეტალების მხრივ. ქართულ ფეოდალურ ცხოვრებას ჰქონდა ბევრი ისეთი თვისებები, რომლებიც მას თვალსაჩინოდ აერთებდა ბიზანტიისა და თვით დას. ევროპის ზოგიერთ ანალოგიურ მოვლენებთან. ბიზანტიის კულტურულ ზეგავლენის მუდმივობას ქრისტიანობა ასაზრდოებდა, რასაც ქართველების და ბერძნების ერთმორწმუნეობა ხელს უწყობდა. ასეთ მდგომარეობას ვხედავთ თვით მე-12 ს-ნეშიც, როდესაც მცირე აზიაში მოკალათებულ თურქების გამო უშუალო ტერიტორიული საზღვარი საქართველოსა და ბიზანტიას შორის გარღვეული იყო და, მანასადამე, ეკონომიურ-კულტურულ ურთიერთობათა ფაქტიური შესაძლებლობანიც შემცირებული. სპარსული ზეგავლენა, უძველეს დროიდანვე განსაკუთრებით აღმ. საქართველოში სპარსეთთან მტკიცე ეკონომიურ ურთიერთობაზე დამყარებული, უფრო თვალსაჩინო ხდება კერძოდ კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედების დარგში სწორედ XII ს-ნიდან, როდესაც თურქების მიერ ბიზანტია-საქართველოს შორის ტერიტორიული გადამბჭლობის გაწყვეტა, ქართველობას ეკონო-

მიუხრდა და კულტურულადაც უფრო მეტად ხდიდა დამოკიდებულს აღმოსავლეთ ქვეყნებზე. XII ს-ნის ქართულ სახელმწიფოებრიობის დამახასიათებელ ზოგიერთ ფაქტორიდანაც ცხადი ხდება იმ კულტურულ მიმდინარეობათა სხვადასხვაობა, რომლებიც თავისებურ როლს ასრულებდნენ XII ს-ნის ქართულ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამოყალიბებაში. მაგ., საქართველოს სამეფოს ვაზირთაგან (ვაზირი — არაბ.-სპარს. ტერმინია) პირველი ვაზირის მწიგნობართუხუცესის თანამდებობა ადგილობრივ პირობათა მიხედვით წარმოშობილად ჩანს, მაშინ, როდესაც მანდატურთუხუცესი, ტერმინოლოგიის მხრივ, მაინც ბერძნული წარმოშობისაა, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს და ეს გარემოება ქართულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურის ერთგვარ თავისებურობის მაჩვენებლად ჩანს, — მანდატურთუხუცესის ბერძნულ შესატყვისის პროტომანდატორს ბიზანტიის სამეფო კარზე მეორე და მესამეხარისხოვანი ადგილი ეჭირა.

დანარჩენ ვაზირთაგან ამირსპასალარი, ტერმინოლოგიის მხრივ, არაბ.-სპარს. წარმოშობისაა, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესი — ტერმინოლოგიისავე თვალსაზრისით უკვე ადგილობრივი ხასიათისად ჩანს. ანალოგიური ფაქტების მოყვანა სხვაც შეიძლებოდა.

ასევეა განათლებისა და ლიტერატურის სფეროში. დავით აღმაშენებელი 40 კაცს აგზავნის სწავლის მისაღებად ბიზანტიაში, რომელთაგან სამს შემდეგ საქართველოს მეცნიერულ-კულტურული მუშაობაში თვალსაჩინო როლი შეუსრულებია (ვარდან დიდის ცნობა). და მართლაც ჩვენ ვხედავთ მე-12 ს-ნის განათლებულ ქართველთა ნაკითხაობაში ბერძენ ავტორებსაც, მაგ., პომპროსს, პლატონს, სხვადასხვა ძველ ბერძენ მოაზროვნეს, საეკლესიო მწერლებს და სხვ. მაგრამ ამავე დროს იმავე განათლებულ ქართველი საზოგადოების წარმომადგენელთა ნაკითხაობა წარმოგვიჩენს სპარსული პოეზიის და საზოგადოდ სპარსული ლიტერატურის ცოდნასაც. ამასთან დაკავშირებით მე-12 ს-ნის ქართველი მოწინავე საზოგადოების კულტურული რაობისთვის დამახასიათებელია ზემოთ დასახელებული ფაქტი: მეფე დიმიტრი I 1148წ. სულთან სინჯარს, მელიქ-შაჰის შვილს, რამდენიმე შეკითხვას უგზავნის არაბულ და სირიულ ენებზე. პასუხს მან მიიღო აგრეთვე არაბულად და სირიულად. ამას მოგვითხრობს თვით ამავე პასუხის შემდგენელი აბულ-ჰასან ბეიხაკი. კერძოდ, ფარხ-ედინ-გურგანის ვის-ო-რამინის სპარსულიდან ქართულად გადმოღება და ლიტერატურულ წრეებში (ჩახრუხაძის შესხმაში და თამარის პირველ მატთანეში) ხშირად ციტირების მიხედვით მისი ფართოდ გავრცელების ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ მე-12 ს-ნის ქართველ მოწინავე საზოგადოებაში არსებობდა გა-

ცხოველებული ინტერესი სპარსული ლიტერატურისადმი. მგოსანთა და მუტ-რიბთა ინსტიტუტი, სპარსეთიდან საქართველოში გადმოტანილი და თამარის სამეფო კარზე საჯარო სანახობათა მუდმივ ატრიბუტად წარმოდგენილი, ექვს გარეშეა აგრეთვე აღვივებდა ქართველობის ინტერესს სპარსული პოეზიისად-მი, მით უმეტეს, რომ მგოსანნი და მუტრიბნი, თუნდაც რომ ისინი უმეტესად ადგილობრივი მკვიდრთაგანი ყოფილიყვნენ, შემოქმედების მხრივ მეზობელ ქვეყნებში (განჯას, შირვანს და სხვ.) უმთავრესად სპარსულად მოშაირე მგოს-ნებთან და მუტრიბებთან ერთად ერთნაირი შემოქმედების ხაზის მატარებელი იქნებოდნენ. ცნობილია, მაგ., რომ საქართველოს მეზობლადვე განჯაში და შირ-ვანში ამ დროს საკმაოდ განვითარებული იყო კარის პოეზია. ამავე ხანებში ცხოვრობდა გამოჩენილი უდიდესი სპარსელი რომანტიკოსი ნიზამი განჯელი (გარდ. 1203 წ.). ყველაფერს ამას, რასაკვირველია, მნიშვნელობა ჰქონდა ქარ-თულ ლიტერატურული წრეებისათვისაც.

35. ქართველ მოყმეთა (რაინდების) თვისებები და ძმად-ნაფიცობა ვეფხის-ტყაოსანში. ქართული რაინდობის მისწრაფებანი შესანიშნავად ჩანს ვეფხის-ტყაოსანში, რომლის სიუჟეტი დაკავშირებულია იმ ფეოდალურ ხანასთან, როდესაც რაინდობა ქართული ისტორიული ცხოვრების განსაზღვრულ საფე-ხურზე დადებით და პროგრესულ მოვლენად ითვლებოდა და; როგორც ასეთი, თავის განმაცხოველებელ გავლენას ახდენდა სახელმწიფოებრივ და კულტურუ-ლი შემოქმედების ცალკე დარგებში. რაინდობა, როგორც განსაზღვრული სო-ციალურ-კულტურული მოვლენა, მთელი თავისი იდეოლოგიით და ფსიქოლო-გიური მომენტებით იყო ის ქარგა, რომელზედაც პოვა თავისი განვითარება შო-თას მაღალმა ნიჭმა და რომლის ზეგავლენასაც ეპოულობთ ვეფხისტყაოსნის თხრობის განვითარების ცალკე ხაზებში. პატრონყმობა, რომლის წიაღში გაი-ზარდა და განვითარდა მოყმეთა წოდება, წარმოდგენს შოთას შემოქმედების, ასე ვთქვათ, სოციალურ ბაზას, ამიტომაც ვეფხისტყაოსანში ჩვენ ეპოულობთ პატრონ-ყმობის და მოყმეობის (რაინდობის) ძირითადი დამახასიათებელი ხაზე-ბის ერთგვარ, თავისთავად ეპოქისათვის ფრიად საყურადღებო იდეალიზაციას. მოყმე, შოთას წარმოდგენით, არის შეუდრეკელი, ომში მამაცი (ავთანდილის იდეალური ტიპის მიხედვით), „საკრძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცი-ლობით“ (სტ. 991), ამყი და „მხნე, ლალად მავალი“ (სტ. 122). მას ახასიათებს „მკლავთა სიმავრე“ (სტ. 427). მოყმის იდეალური ტიპი ტარიელი მარტოდ-მარტო უმკლავდება როსტევეანის მთელს რაზმს, მეფის მიერ გაგზავნილს:

მონათა ჯელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად;
მან იგინი გლახ დახადნა მტერთაჲსა საწყალობელად;

ჰკრა ერთმანეთსა, დაჯოცნა თავის ჳელ აუჰყრობელად
და ზოგსა გადაჰკრის მათრახი მკერდამღი გასაჰობელად (სტ. 65).
(მღევართავან) რაზომნიცა მიეწიენეს, ყოვლნი მკედართა დასახნა,
კაცი კაცსა შემოსტყორცნა, როსტან ამაღ ივაგლანან (სტ. 66).

თუ ასეთი იყო მოყმის იდეალური ტიპი ომის ასპარეზზე, არანაკლებ საყუ-
რადღებოა ის მშვიდობიანობაში. ტარიელი იგონებს თავის ყმაწვილობას და ამ-
ბობს:

თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვიოა შვილსა...
ძალად ლომსა, თულად მზესა, ტანად ვკვანდი ვღემს ზრდილსა,
სროლასა და ასპარეზსა აჰებლიან ჩემგან ქნილსა (სტ. 315)
...ეზურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვკოცდი ლომსა (სტ. 311)
მოსრნის მკეცი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან;
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდროით შემოჰკეცულმან;
შევიღი, შევექმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინს ჩვეულმან. (სტ. 117)

მოყმე პატრონ-ყმობის იდეის თავდადებამდე ერთგული უნდა იყოს. პატ-
რონის სამსახური, პატრონის ერთგულება მოყმის ძირითად მოვალეობას შეად-
გენს; ავთანდილი ამბობს:

პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად,
ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გუმართებს ყმასა ყმურად (სტ. 129).

მოყმის ღირსებას შეადგენს პატრონის წინაშე მოკრძალებით მოქცევა.
ავთანდილი ვერ ბედავს თვითონ გამოცხადდეს როსტევანთან თინათინის სათ-
ხონენელად და ტარიელს ეუბნება:

ისიო ჩემი გამზრდელი და თქუენდა მოგებებულა;
იქი ვერ მივალ, მცხვენინან, გულსა საჰმილი ღებულა...
...ტარიელ უთხრა, კარგსა იჰ შენ პატრონისა კრძალვითა (სტ. 1509—1510).

როდესაც ტარიელმა გადაჰკრით განაცხადა არაბეთში ავთანდილის წაყო-
ლის სურვილი, ავთანდილი, როგორც უმცროსი, დაემორჩილა და პოეტი თავის
მხრივ ამას სრულიად სამართლიანად თვლის:

ასე ხამს რიდი მეფისა და პატრონისა კრძალობა (სტ. 1481).

ამიტომ ტარიელიც მასზე მისი ამბის გასაგებად წამოსულს როსტევან მე-
ფეს გაეცალა, თუმცა მონები კი დაუხოცა. ტარიელი ამის შესახებ ეუბნება
ავთანდილს:

მოვიხედე, მომეწია, რა პატრონი შენი ვნახე,
ჳელმწიფობით შემებრალენ, ამაღ ჳელი არ შევახე (სტ. 275).

ყმა თავის ბედნიერებას პატრონის გარეშე ვერ პოვებს:

პატრონისა ვერა მკურტმან ყმამან რამაა გაიხარნა (სტ. 813).

პატრონისთვის თავის დადებაც ამიტომ სასახელოდ ითვლება:

ვინცა მოკუდეს მეფეთათვის, მათნი სულნი ზეცას რბიან (სტ. 427).

პატრონის მიმართ ლალატი მოყმისთვის წარმოუდგენელი რამ არის:

ვით მოვიმაროს მონამან პატრონსა ზედა ჟრმალია! (სტ. 1483).

შეად. ამას თამარის პირველი მემატინის ანალოგიური აზრი: „არცა ძუ-ელთა ჟამთა შინა და არცა ახალთა სადმე სმენილ არს, უკეთუ სადმე ქმნილ-აყოს ნებსით თუ უნებლიეთი განდგომილობა მეფეთა. დაწყებიდან სოფლისა არა სადა ვის უხილავს, თუმცა წარემართებოდეს ანუ გამარჯვებოდეს (ასეთ პირთ) პატრონთა ზედა“.

სახელის მოხვევა მოყმისათვის ყველაფერია, სიმხდალე, მისი თვალსაზრი-სით, ზიზღის ღირსია:

რა უარეს ა მამაცსა ოშვიგან პირის მხმეკელსა,

შემღრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მუქველსა!

კაცი ჭაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭელსა!

და სჯობს სახელისა მოხვევა ყოველსა მოსახვეველსა! (სტ. 797).

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (სტ. 798).

ასეთია, მოკლედ, ვეფხისტყაოსანში წარმოდგენილი მოყმის ტიპი, თავისი ნიშანდობლივი ხაზებით რეალური ცხოვრებიდან აღებული.

მაგრამ, თუ ასეთია მოყმე, როგორც მეომარი და როგორც ყმა (ვასალი), არანაკლებ საყურადღებოა ის, როგორც ამხანაგი. რაინდული ცხოვრების შემთხვეულობანი, თვით მოყმეთა სიყვარული და მიდრეკილება ასეთ შემთხვეულობათაკენ, ახალ განცდათა მისწრაფება, გაქრა ველად, ბედგანაწირი და სახიფათო მომენტებით აღსავსე მათი ცხოვრება აუცილებლად იწვევდა მათში ამხანაგური გრძნობის უადრესად განვითარებას. ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს ფიცს აძლევენ:

ერთმანეთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემამფიცო (სტ. 654).

ავთანდილი ეუბნება ტარიელს, არაბეთისკენ უკან მიმავალი:

რომე აქეთ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემპიპრო,

შეცა ფიცით შეგაჭერო, არასათვის არ გავწირო (სტ. 655).

ამაზედან შეიფიცნეს მოყუარენი გულ-სადაგნი...

შეუყვარდათ ერთმანეთი, სწვიდეს მიწყვე გულსა ღვანი
და ამ ღამესა ერთგან იყუნეს შვენიერნი ამხანაგნი“ (სტ. 658).

ამიტომაც ავთანდილს თავის თავი ტარიელს ძმადნაფიცად მიაჩნია. ავთან-
დილი ეუბნება ფრიდონის მონას:

...პრკვი შენსა პატრონსა ეს ჩემი დავედრებული:
ვარ უცხო ვინმე ღარიბი, სამყოფთა დაშორვებული,
და ძმად-ფიცი ტარიელისა, თქვენს წინა მომგზავრებული (სტ. 984).

თვით ფრიდონს კი ავთანდილი ასე მიმართავს:

გაიბო ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან ღომი ცნობასა;
ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი ძმობასა
და იგი ძმად მივმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირსვარ ყმობასა (სტ. 990).

ფრიდონიც აგრეთვე ტარიელის ძმადნაფიცად ითვლება. ავთანდილი ეუბ-
ნება ტარიელს:

აწ მე მუნ მივალ, მასწავლე გზა ძმად-ფიცისა შენისა (სტ. 947).

შემდეგ უკვე ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილ სამივენი ერთმანეთის ძმად-
ნაფიცად ითვლებიან:

ზღვა გაიარეს სამთავე ერთგან ძმად შეფიცებულთა (სტ. 1388).
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი (სტ. 1420).

ძმად-ნაფიცი თავის ვალდებულებად თვლის უფროსი ძმობილისათვის სამ-
სახურს და მისგან სამაგიეროდ მადლობასაც არ ღებულობს. ავთანდილი ეუბნე-
ბა ტარიელს:

მადლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ღმობილი;
ვარ მუცლითგანვე დედისა თქუენად სამონოდ შობილი (სტ. 1474).

სამაგიეროდ ტარიელიც თავისი მოვალეობად თვლის თავის ძმადნაფიცს მო-
ეხმაროს. ის ფრიდონს ეუბნება:

ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება,
აწ მე მაქუს ნაცვლად მისისა მოვმარებისა წადება (სტ. 1468).

და აი სწორედ ეს ერთმანეთის მოხმარება, „სამონოდ“ სამსახური, „სიკვდი-
ლამდის ხლება“ (სტრ. 280), საერთოდ ძმადნაფიცობა იყო ერთ-ერთი საყურა-
დღებო მომენტი ქართულ რაინდულ ცხოვრებაში და ამ მომენტის ბრწყინვა-
ლე დასურათხატებას ვპოულობთ ვეფხისტყაოსანში.

36. ქალის კულტი ვეფხისტყაოსანში. როგორც დას. ევროპაში, ისე საქართველოში რაინდული ეპოქის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა ქალის, როგორც სუსტი და ნაზი არსების, მფარველობა და ამ მფარველობის გრძობიდან გამომდინარე ქალისადმი ერთგვარი იდეალური მოპყრობის განვითარება, რამაც ხელი შეუწყო სიყვარულის იდეალიზაციას, მისი კულტის დამყარებას. ასე იყო დას. ევროპის წამყვან ქვეყნებში, ასე იყო ჩვენშიც. მსგავსება იყო სრული. რაინდი თავს არ არიდებს, პირიქით თვითონაც ეძიებს სხვადასხვა შემთხვეულობას, მაგრამ ბრძოლაში შეუდრეკელი, ის გულჩვილი და ყოვლის მხრივ დამხმარეა სუსტისა და დაჩაგრულისა. ავთანდილი, მაგ., გამოექომაგა ვაჭრებს, რომელთაც მეკობრენი თავს დასხმოდნენ. ის მათ მაგივრად იბრძვის და მეკობრეთ თავზარს ცემს. სუსტისა და დაჩაგრულისადმი ამგვარი მფარველობითი გრძობის განვითარებამ ხელი შეუწყო საშუალო საუკუნეების დას. ევროპაში ქალის და მისდამი სიყვარულის იდეალიზაციას. აღმოსავლეთ ქვეყნებში ეს მოვლენა ლიტერატურულად მკვეთრად დადასტურებული არ არის და მხოლოდ ვეფხისტყაოსანი წარმოგვიდგენს ამ მხრივ საშუალო საუკუნეების ფეოდალურ ცხოვრების ამ დამამშენებელ და განმაცხოვრებელ მოვლენის საქართველოში დადასტურების მშვენიერ მაგალითს.

მე-12 ს-ნის დასასრულს ამ კულტის უაღრესად განვითარებისათვის საქართველოში ფრიად ხელსაყრელი პირობები იყო. საქართველოში მეფედ იჭდა ქალი, რომელიც თანამედროვეთა შორის უდიდეს თავყანისცემასა და აღფრთოვანებას იწვევდა. თამარი იყო ქალი, „სატრფო საქვრეტი ვიდრე დაბნეადმდის და გაჭრა გახლებამდის ყოველთა მისთა გამცდელ მხედთა“. კარის მეხოტბენი (ჩახრუხასძე მის მიერ დაწერილი შესხმით სწორედ კარის მეხოტბეს წარმოადგენდა), მგოსანნი და მუტრიბნი, რომელნიც კარის „სახიობებში“ მონაწილეობდნენ, ყველაფერი ეს, საქართველოს ტახტზე უმშვენიერესი ქალის მეფედ ჯდომის ფაქტთან ერთად, ექვს გარეშეა, ხელს უწყობდა მე-12 ს-ნეში ქალის კულტის და სიყვარულის იდეალიზაციის არაჩვეულებრივ განვითარებას ქართველ რაინდთა საუკეთესო წრეებში. თავისთავად იგულისხმება, ქართველი ქალის მაღალი მდგომარეობის განმტკიცებას, მისი კულტის განვითარებას უკვე განვილილ ეპოქაში და წინა საუკუნეებში ჰქონდა ძირი გადგმული, მაგრამ მხოლოდ XII ს-ნეში ქართველი რაინდობის საბოლოოდ ჩამოყალიბებამ მისცა იდეური ფორმა მანამდე არსებულ ქალის კულტსაც. სწორედ ამ იდეური ფორმის საუკეთესო გამომხატველია ვეფხისტყაოსანი.

ქალის კულტის განვითარება საერთოდ გულისხმობდა მიჯნურობის, იდეალური სიყვარულის დაკანონებას და მის ერთგვარ რეგლამენტაციასაც. და აი

სწორედ შოთა თავისი პოემის შესავალში წარმოგვიდგენს სიყვარულის (მიჯნურობის) მთელს კოდექსს. მიჯნურობას ემსახურება, მისი სიტყვით, პოეზიაც:

ხაშ, პელექსე ნაქირვება მისა ცულად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვინმე აშოკობდეს.
ყოვლსა მისთვის ქელოვნობდეს, მას აქებდეს, მას აშოკობდეს
და მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს (შეს., სტ. 19).

მიჯნური არის შმაგი (შეს. სტ. 23). პირად თვისებათა მიხედვით კი

მიჯნურსა თულად სიტუტრფე მართებს მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დამოზბა, მძლეთა მეზბრძოლთა მძლეობა,
და ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა (შეს. სტ. 24).

მიჯნური უნდა იყოს სიყვარულის გრძნობების საილუმოების კარგად დამცემლი:

ხაშ თვისსა ხვაშიადსა არვის თანა ამელავენებდეს,
არ ბედითად ჰაა ჰაა ზმიდეს, მოყუარესა აყივენებდეს;
არსით უჩნდეს მიჯნურობა, არა სადა იფერებდეს
და მისთვის ჰირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს (შეს. სტ. 30).

მიჯნური უნდა იყოს „ხანიერი“ (ე. ი. სოლიდური), არ მეძავი, არა „ბილწი“ (შეს. სტ. 26); ამავე დროს

მოყუარესა მოყურისაგან მოგონება უნდა შორით (სტ. 773).

სიყვარულს ამგვარად უნდა ახასიათებდეს:

შორით ბნედა, შორით კდომა, შორით დავვა, შორით ალვა (შეს., სტ. 29).

ამასთანავე „შორით ბნელასაც“ თავისი ზომა და დრო აქვს. ნესტანდარეჟანი ტარიელს ეუბნება.

ბედითი ბნედა, სიკედილი რა მიჯნურობა გგონია.
სკობს, საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია. (სტ. 364);
...წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე-ო. (სტ. 366).

და ტარიელიც თავისი სათაყვანებელი არსების ამგვარი ბრძანების შემდეგ ბირჩქარის ხატაელებთან საომრად.

ქართული რაინდული მიჯნურობის კოდექსის ამ ცალკე მუხლებს სავსებით უდგება ანალოგიური ფაქტები რომანულ და გერმანულ დას. ევროპის საშუალო საუკუნეების ტრადიციებიდან. რომანულ ქვეყნებშიც შეყვარებულს უნდა

შეძლებოდა საიდუმლოს შენახვა და მოთმინება. ეს არის ძირითადი მოთხოვნები; აქედან გამომდინარე, რომ 1) მიჯნური უნდა შეფრთხივით უყურებდეს თავის სათაყვანებელ ქალს, 2) უნდა იყოს მისი ერთგული, 3) ლოიალურად განწყობილი მისადმი, 4) უაღრესად მასთან ზრდილობიანი, 5) თავისი სიამაყის მის წინაშე მომდრეკელი. ამავ მოთხოვნები უყენებს შოთა მიჯნურსაც— შესავლის სტროფები 29^ა, 26¹, 19², 26³, 19⁴ ამას ამტკიცებენ. მიჯნურობის კანონი ამგვარად ქართულ ნიადაგზედაც ფრიად რთულ მოვლენას წარმოადგენდა და ამიტომაც რუსთაველი მიჯნურობის შესახებ ამბობს, რომ ის არის „პირველი და ტომი (დასაწყისი) გვართა ზენათა“. „ძნელად სათქმელი. საკირო გამოსაგები ენათა“ (შეს., სტ. 21).

ქრისტიანული კულტურა, როგორც ასეთი, სათანადო პირობებს ქმნიდა ქალის და მიჯნურობის კულტის განვითარებისთვის როგორც ჩვენში, ისე დას. ევროპაში. ამით აიხსნება ალბათ ამ მოვლენის საერთო ხაზები ძველ ქართულ და კერძოდ რომანულ, საერთოდ დას. ევროპის რაინდობაში¹.

37. ზოგი რამ დასავლეთი ევროპის ლიტერატურული პარალელებიდან. კერძოდ მაშინდელ ქართული კულტურის ვითარებაზე დასავლეთ-ევროპულ გავლენათა შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი.

როგორც მოყმეთა ინსტიტუციების ზემოთ მოტანილი დეტალებიდან ჩანს. დავით აღმაშენებლის დროინდელი სამხედრო რეფორმები ტარდებოდა თვალსაჩინოდ ჯვაროსანთა ფრანგული რაინდული წესების გათვალისწინებით და მხედველობაში მიღებით. ხდებოდა ეს თვით ფრანგი რაინდების მოწვევით საქართველოს სამსახურში. თვით დიდგორის ომში, გოტიეს ცნობით, ღებულობდა მონაწილეობას ორასი ფრანგი რაინდი, ე.ი. მათი თანმშლებ სავარაუდებელ პირთა ჩათვლით, დაახლოებით ორი ათასამდე ევროპელი (უშეტესად ფრანგები). ბრძოლის დროს ისინი იღვნენ წინა რიგში და იბრძოდნენ მედგრად. გოტიეს შესაძლებლობა ჰქონდა ცნობები ამ ბრძოლის შესახებ შეეკრიბა ჯვაროსანთა ანტიოქიის სამთავროში თვით ამ ომის მონაწილეთაგან. მას მოჰყავს საკმაოდ ზუსტად დავით მეფის სიტყვაც ამ ბრძოლის წინ თავისი რაინდებისადმი. ცხადია, რომ ან ფრანგ რაინდებს შორის (საქართველოში მათი ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი სამსახურის გამო) მოიპოვებოდნენ ქართულის მცოდნენი, ანდა თვით ქართველ ახლად ჩამოყალიბებულ მოყმეთა შორის იყვნენ ასე თუ ისე ფრანგუ-

¹ თავები კაბუკობა-რაინდობა, მისი თვისებები; ძმანდაფიცობა და ქალის კულტა ვეფხისტყაოსანში პირველად დაბეჭდილი იყო ჩემ მიერ ვეფხისტყაოსნის 1927 წლის გამოცემაში, გვ. CX—CXXVII. იქვე აღნიშნულია ნ. მარის დამსახურება ამ საკითხის გამოყენების მხრივ.

ლსა და ლათინურს გაცნობილნი. უფრო მოსალოდნელია ორივე შესაძლებლობა. მაშასადამე, დავით აღმაშენებლისავე დროს უკვე დამყარებული იყო საკმაოდ მტიკე ურთიერთობა ჯვაროსან ევროპელ, უმეტესად ამ ხანაში ფრანგ რაინდებსა და ქართველ მოწინავე მოყმეთა შორის. ბუნებრივია, ასეთ პირობებში თავს იჩინდა ზოგი ფრანგული გავლენა ქართველ მოყმეთა ჩვევებზედაც.

ევროპელი რაინდი იყო შემთხვეულობათა მძებარი, უშიშარი საფრთხეთა წინაშე და შეუდრეკელი ბრძოლაში. ამ ნიადაგზე რაინდებს შორის ძლიერი იყო ურთიერთ დახმარების და ერთმანეთის გატანის მოთხოვნილება და ამის შედეგად მეგობრობის და თანამობის გრძობაც. კერძოდ ფრანგ რაინდულ საზოგადოებაში თავიდანვე ფეხს იკიდებდა ძმობის და მეგობრობის სიმღერები, რომელთაგან XI ს-ნის უსახელო ტრუვეერმა (ტრუბადურმა) შეადგინა სიმღერა როლანდზე. ეს სიმღერა შემდგომ საუკუნეებში რამოდენიმეჯერ დამუშავდა ფრანგულადვე, ლათინურად და საფრანგეთის გარეშეც, კერძოდ გერმანიაში და იტალიაშიც და ყველგან სარგებლობდა დიდი პოპულარობით.

საფიქრებელია, რომ ვეფხისტყაოსნისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი იდეა, ძმადნაფიცობის და თანამეგობრობის იდეა ლიტერატურულად დამუშავებულია ფრანგ ტრუვეერთა სიმღერების და კერძოდ როლანდზე არსებული სიმღერის ერთგვარი შეპირისპირებით, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ რუსთაველმა შესძლო, თუნდაც როლანდის შესახებ არსებულ სიმღერასთან შედარებით, ძმადნაფიცობის და მეგობრობის იდეა ჩამოეყალიბებინა ახალ, მანამდის არნახულ საფეხურზე და მაღალმხატვრულ ფორმებში. „ქრონოლოგიური თვალსაზრისით, წერს აკ. გაწერელია თეზისებში თავისი შრომის შესახებ, „რუსთაველი და მსოფლიო ეპოსი“, ვეფხისტყაოსანთან ახლოსაა დასავლეთ-ევროპული ეპოსის ზოგიერთი ძეგლი — კურტუაზული რომანი „ტრისტან და იზოლდა“, საგმირო პოემები, „სიმღერა ხიდზე“, და „ნიბელუნგები“. არც ერთ მათგანში მეგობრობის მოტივი არაა დამუშავებული, ხოლო მოქმედი ქალი-პერსონაჟები მოკლებული არიან მყარ ეთიკურ ნორმებს (ოქროს-თმიან იზოლდას ამორალიზმი ახასიათებს, ხოლო „ნიბელუნგების“ კრიმპილდა სასტიკი და შურისმაძიებელია და ბოლოს თვითონაც იღუპება). მხოლოდ ფრანგულ საგმირო ეპოსში („სიმღერა როლანდზე“) გვხვდება მეგობრობის მოტივი, მაგრამ ის არაა დამუშავებული ფსიქოლოგიურ პლანში. ვეფხისტყაოსანში პირველად დამუშავდა უდიდესი მხატვრული სიძლიერით მეგობრობის თემა. ამის ანალოგი არცერთ მსოფლიო ეპიკურ ძეგლში არ მოიპოვება“, დაასკვნის აკ. გაწერელია¹.

¹ თბილ. პუშკინის სახელობის პედაგოგიკის XXXI სამეცნიერო სესია (თეზისები). თბ., 1966, გვ. 16—17.

ეს აზრი სამართლიანია და ფაქტების შედარებათა მიხედვით სავსებით გამართლებული.

ვეფხისტყაოსანში უმაღლეს მხატვრულ ფორმებში არის მოცემული და გაშლილი ქალის კულტის იდეა და ქალისადმი სიყვარულის გრძნობის იდეალიზაცია. „ამ მხრივ, წერდა ნ. მარი¹, დიდი ხანია ენაზე გვადგებოდა შეპირისპირებანი ევროპული საშუალო საუკუნეების ცხოვრების ანალოგიურ მოვლენებთან. ახლახან ვ. თ. შიშმარევის მიერ გამოცემული ვრცელი მონოგრაფია² თვალსაჩინოდ აადვილებს შედარებით კვლევას ამ საგანში. საყურადღებოა სწორედ ის, რომ მონათესავე, ხანდახან სრული იგივეობისადმი დასული თვისებები წარმოდგენილია ისეთ ლიტერატურებში, რომელთაც თითქოს არ ჰქონდათ ურთიერთთან დაკავშირების შესაძლებლობანი“.

ამეამად შესაძლებელია ამ საკითხის უფრო ფართოდ გაშლა. მართლაც, ქალის კულტის საკითხში ვეფხისტყაოსანი ამჟღავნებს სწორედ ახლო იგივეობას დასავლეთ-ევროპულ, უფრო რომანულ საშუალო საუკუნეების სამყაროსთან და არა წინა-აზიის მუსულმანურ ქვეყნებთან, სადაც ისლამის მიერ ქალის დაჩაგვრა თუ შეუძლებლად არა, ყოველ შემთხვევაში საძნელოდ ხდოდა ქალის იდეალური კულტის განვითარებას.

საფრანგეთში ქალის კულტის განმასახიერებლად პოეზიაში უნდა ჩაითვალოს XII ს-ნის საუკეთესო ფრანგი ეპიკოსი კრეტიენ ტრუაელი (Crétién de Troyes, დაიბადა 1135 წლ. ახლ. გარდ. 1180 წლ. ახლ.), რომელმაც პროვანსალური ტრუბადურების მდიდარი მემკვიდრეობის გამოყენებით შექმნა რამოდენიმე ნაწარმოები, მათ შორის პოემა ტრისტან და იზოლდას შესახებ, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. პოემაში „კლიჟე“ კრეტიენ ტრუაელი წარმოგვიდგენს ძმისწულის სიყვარულს ბიძის ცოლისადმი, ხოლო დაუმთავრებელ პოემაში „ზღაპარი საბარგულის შესახებ“ თუმცა წარმოდგენილია ქალისადმი რაინდული სიყვარულის არსი და ქალი დაყენებულია ძლიერ მადლა, მაგრამ მთავარი გმირი ბოლოს აშკარაგვებს თავდაუქერლობას და სქესობრივად იმორჩილებს თავის სატრფო დედოფალს, რომელიც წინათ თავისი ქმრის ძმისწულის საყვარელი იყო. ასეთ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირთა იდეალურ სიყვარულთან.

¹ Вступительные и заключительные строфы „Витязя в барсовой коже“, СПб, 1910, 83. VIII.

² ივულისხმება ვ. შიშმარევის მონოგრაფია „К истории любовных теорий романского средневековья“, Журнал Министерства народного просвещения, 1909 წ., ნომბერი, გვ. 120—167, დეკემბერი, გვ. 314—353.

კრეტიენს დაუმთავრებელი დარჩა მოაზრობა პერსეველზე ანუ ზღაპარი წმ. გრაალის შესახებ (იგულისხმება წმიდა ბარძიმი ანუ თასი, რომელიც ვითომ ხმარებაში იყო ქრისტეს საიდუმლო სერობაზე). მაგრამ კრეტიენის ამ მოთხრობის საფუძველზე ბრწყინვალე უზარმაზარი პოემა „პარციფალი“ შექმნა გამოჩენილმა გერმანელმა ეპიკოსმა ვოლფრამ ფონ-ეშენბახმა (გარდ. 1220 წლ. ახლ.). მასში ქრისტიანული ელემენტების გამოყენებით მოცემულია მთავარი გმირის პარციფალის შორეული მგზავრობანი წმიდა გრაალის (თასის) საძებნელად. ამ მოგზაურობის დროს ის უარს ამბობს ღმერთზედაც, მაგრამ ინარჩუნებს სიყვარულის ერთგულ გრძნობას თავისი ცოლისადმი და შვილებისადმი. ბოლოს ის იპოვის წმიდა გრაალს, ხდება მეფედ, კვლავ აღიარებს ღმერთს და პოულობს თავისიანებსაც.

ვოლფრამ ეშენბახი იყო თავისი მამის უმცროსი შვილი. ამიტომ მას, როგორც დაბალ რაინდს, რომელსაც მამის მამულზე უფლება არ ჰქონდა, თვითონ უნდა გაეკავა გზა. ის წერა-კითხვასაც არ იყო დაუფლებული, თუმცა ფრანგული ენა მან რამოდენადმე იცოდა. მაგრამ თავისი არაჩვეულებრივი ნიჭით მან შექმნა გასაოცარი თავისი დროისთვის და მოცულობითაც უდიდესი პოემა, რომელიც კარნახით ჩაწერილ იქნა მხოლოდ 1198—1199 წლების ახლოს. მანამდის კი ამ პოემის ნაწყვეტები ვრცელდებოდა ზეპირად.

სიყვარულის პრობლემა ვოლფრამს, შედარებით კრეტიენ ტრუჟაელთან, მოცემული აქვს უფრო მაღალ-ზნობრივი გაგებით, მაგრამ, როგორც ზემოთ მოტანილ მოკლე შინაარსიდანაც ჩანს, მას აკლია ის ამბლებული დინამიკა, რომელიც ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებს სიყვარულის ნამდვილ იდეალურ გმირებად წარმოგვიდგენს.

პარციფალის (პერსეველის) პოეტური ეპოპეები საყურადღებოა იმ მხრივაც, თუ როგორ გამოიყენა შემდეგ გერმანელმა ვოლფრამ ფონ-ეშენბახმა თავისი პოემისათვის ფრანგ კრეტიენ ტრუჟაელის მიერ დაწყებული ნაწარმოები. ასეთი ფაქტები დას. ვეროპის საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში ხშირი მოვლენა იყო. საკმარისია დასახელებულ იქნას სიუჟეტი ტრისტან და იზოლდას შესახებ, რომელიც XII ს-ის შემდეგ რამოდენიმეჯერ და ისიც სხვადასხვა ხალხების მწერლობაში კვლავ იქნა დამუშავებული. გასაგები ხდება ამის შემდეგ, რომ ვეფხისტყაოსნის თხრობაც შესაძლებელი იყო ჯერ შექმნილიყო ის: ჩახრუხადის მიერ 1180 წელს სპარსულად და შემდეგ ის (ძლიერ მალე) გადათარგმნილი ყოფილიყო ქართულად. ხოლო კიდევ შემდეგ „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ გამოიყენა შოთამ თავისი გენიალური ვეფხისტყაოსნისათვის.

იყენენ თუ არა რაიმე დამოკიდებულებაში ზემოთ მოტანილ კულტურულ-ლიტერატურულ მოვლენებთან ქართველების მოწინავე პირები XII ს-ნის ნახევარში? მას შემდეგ, რაც დადასტურდა ქართველ მოყმეთა ინსტიტუციების კავშირი ფრანგების ანალოგიურ მოვლენებთან, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართველ მოყმეთა მოწინავე ნაწილი ასე თუ ისე გაცნობილი იქნებოდა ფრანგ ტრუვერების (ტრუბადურების) სიმღერებს და ქმნილებებს. გაცნობილი იქნებოდნენ ისინი აგრეთვე კრეტიენ ტრუჟაელის შემოქმედებასაც. მაგრამ შეიძლება თუ არა ჩახრუსაძე-რუსთაველის გარემოცვაში ცნობილი ყოფილიყო ვოლფრამ ფონ-ეშენბახის შემოქმედებაც, ის ხომ გერმანელი იყო.

უნდა ითქვას, რომ XII ს-ნის II ნახევარში ჯვაროსანთა იერუსალიმის საბეფოში მომრავლდა გერმანული (და იტალიურიც) ელემენტი. პირველობა ან სამეფოში კვლავ ფრანგებს ეკუთვნოდა, მაგრამ ქართველები XII ს-ნის II ნახევარში უფრო იცნობდნენ იერუსალიმის ჯვაროსანთა გერმანელებს, მათთან რატომღაც მეტი კავშირი ჰქონდათ. დამახასიათებელია ამ მხრივ ის გარემოება, რომ თამარის პირველი მემკვიდრე (1195 წ.) გიორგი III-ის კარზე (იგულისხმება 1180 წელს და ამ წლის შემდეგ) შორეულ ქვეყნიებიდან მომავლებულ ელჩებს შორის იხსენიებს იერუსალიმის ალემანებს, ე. ი. გერმანელებს. ფრანგები ხომ გერმანელებს ალემანების სახელით იცნობენ. მაშასადამე, ამ დროს საქართველოს მეფის კარზე იერუსალიმის სამეფოს უფრო ხშირად წარმოადგენდნენ გერმანელები. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ვეფხისტყაოსნის შემდეგი სტროფი (სტრ. 925 1913 წლის ჩემი გამოცემით):

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლინ სულიერნი,

კლდით ნადირნი, წყალშივ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,

ინდოთ, არაბთ, საბერძნეთით, მაშრიყით და მადრიბელნი¹

და რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

ეს სტროფი ვეფხისტყაოსნის პირველ რედაქციაში არაა, ის ჩამატებულია თვით ავტორის მიერ პოემის მეორე რედაქციაში 1210 წლის ახლოს. ხოლო პოემის მეორე რედაქციიდან ის უცვლელად გადასულია პოემის მესამე რედაქციაშიც. რას ნიშნავს ამ სტროფში გამოთქმა „მოფრანგენი“? ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ჯვაროსანთა სამფლობელოებში (თვით იერუსალიმის სამეფო 1187 წლიდან! არ არსებობდა, მაგრამ პალესტინის ახლომახლო იყო ჯვაროსანთა ცალკე სამთავროები). ფრანგების გარდა იყენენ გერმანელებიც, რომელთაც ქართველები, როგორც ეტყობა, ეძახდნენ ალამანებს, მაგრამ აგრეთვე მოფრან-

¹ მაშრიყი — აღმოსავლეთი, მადრიბი — დასავლეთი (არაბ.).

გეგმასაც. ხოლო თუ ეს ასე იყო, მაშინ ქართველები ასე თუ ისე იცნობდნენ გერმანელთა ეგრეთწოდებულ მინნეზინგერების (ქალისადმი რაინდული სიყვარულის შემოქმედელთა) შემოქმედებას, მათ სიმღერებს, ბალადებს და სხვ.

ამ მინნეზინგერებს შორის ყველაზე გამოჩენილი აღმოჩნდა ზემოთ მოხსენებული ვოლფრამ ფონ-ეშენბახი, რომლის ზეპირი ბალადები და სიმღერები 1180-იან წლებშიც იქნებოდა ცნობილი, როდესაც ისო ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი გამოდიოდნენ ასპარეზზე. ორივე ქართველი მესიტყვე ბევრს მოგზაურობდნენ და ამიტომ თავიდანვე ბევრ რამესაც იქნებოდნენ გაცნობილნი. იმედია მომავალში შესაძლებელი შეიქნება ამ საკითხის არა მარტო ასე საერთოდ მოხაზვა, არამედ უფრო გამოწვლილვით გარკვევაც. ერთი რამ შეიძლება ყოველ შემთხვევაში ახლავე გარკვეულად ჩაითვალოს. შოთამ ორივე პრობლემა როგორც ძმანდაფიცობა და მეგობრობა, ისე განსაკუთრებით სიყვარულის გაგება აიყვანა ახალ ისეთ მაღალ იდეალურ კვარცხლბეკზე, რომელიც მიუწვდომელი იყო მაშინდელ დას. ევროპაში მხატვრული სიტყვის უპირველესი წარმომადგენლებისათვისაც კი.

38. ვეფხისტყაოსანი, როგორც ყოფაცხოვრებითი ნაწარმოები. იდეალური მიჯნურობის უმაღლეს გამოხატულებას ვეფხისტყაოსანში წარმოდგენს მიჯნურის მხრივ ტყე-მთა-ველად გაქრა. ფეოდალური ხანისთვის ეს ყოფილა საკმაოდ ხშირი ყოფაცხოვრებითი მოვლენა. მოღწეულია უიმედო სიყვარულის გამო ტყე-ველად გაქრილი პართენ მდივნის წერილი, გაგზავნილი მის მიერ თავის ნათლიდედ მეფის ასულისადმი, რომელიც ცდილობს მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნოს თავისი ნათლული — დაანებე თავი უიმედო სიყვარულს, უმიზნო გაქრას და გონს მოდიო, წერს ის პართენს. ამის საპასუხოდ პართენს მიუწერია მეფის ასულისათვის წერილი, რომლის XVIII ს-ნის პირმა ჩვენამდე მოაღწია. წერილის ტექსტი უნდა ვკუთვნოდეს XIII—XIV ს-ნებს და გამოქვეყნებული იყო ჩემ მიერ გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 4 იანვარს 1941 წელს. წერილი საკმაოდ გრძელია. მოგვყავს ზოგიერთი ამონაწერი: „იმ ხელობისა გაწყვეტა გებრძანათ. მე ეგზომი დაბმული მაქვს გული იმ ხელობისა მაგიერთა უმსხოსისა ზეზითა (აბრეშუმის გრეხილით), რომელ თუმცა ცისა ვარსკკვლავი და ქვიშა ზღვისა სრულად გმირად და გოლიათად შეიცვალენ და უკანა ზიდედენ და მზილაფთითა ჰკვეთდენ, ეგზომცა გაწყვეტა არა ეგების.

„ესეცა მოგემცნათ, ვითა შენ მიჯნურობისა სენითა მოჰკედები და ბოლოდკელთა არა დაგრჩებისო. თუმცა იმ ხელი ვარ, სიკედილსა რასა ხოლვე მაქრძალებ. იმ ხელობისა დუხჭირობა და აუფი სიკედილის მოშეშრობა არის. მოყვრისათვის სიკედილი თამაშად და მღერად უთქვამსთ (და სხვ.)... გულსა ჩემსა იმ

ხელობა ძნელობს და ამისათვის იმ ხელობაზედ ხელის აღება არ შემიძლია..

„ბოლოდ გებრძანათ — შენთვის ქება მინდა მომეწერაო და სულ კლდესა იარები და კლდესა გარდაქცევასა გაგიფრთხილდით. არც ოდენ კლდეთა და ველთა ყოფა არა მჩანს აუგად. თვით თქვენვე ხართ მეცნიერნი (მცოდნენი), რომ ვითა ლარისა მოფარდულთა (ქსოვილებით მოვაჭრე) ვაჭართა საბანაკო და სადგური პანდუქი (ქარვასლა) არის, აგრეთვე იმ ხელთა სადგური და სამყოფელი ულრან-მალრანი (მთა-ტყე) არის. თუმცა კლდეთა თავი ჩაიქციო, იგიცა აუგად არა მჩანს, მით რომე ჩვენსა შედეგნი (შემდგომნი) იმ ხელნი რა ჩემს ამბავს შეიგებენ, შენდობასა მითხრობენ და ესრე აღმიწამსვენ (ჩამითვლიან) კლდეში ჩაქცევას, რომელ მოყვარე ველარ მოუხელთავს და სული ტანსა შინა მოსწყინებია და მით თავი კლდეს გარდაუქცევიაო“...

საყურადღებოა, რომ გაჭრის ჩვევა XII ს-ნეში არსებობდა საფრანგეთშიც. ვეფხის ტყავეში ჩაცმული ტარიელის გაჭრა მოგვაგონებს შემდეგს რეალურ ფაქტს საფრანგეთის რაინდთა ყოფაცხოვრებიდან. ფრანგმა პოეტმა და რაინდმა პიერ ვიდალმა (XII ს-ნეში) შეიყვარა ლუვ დე-პონტიე და გაიჭრა ტყეში. მან ჩაიკვა მგლის ტყავი და ასე დაეხეტებოდა. ერთ დღეს მწყემსებმა ამ „მგელს“ შორიდან თვალი მოჰკრეს და ძაღლები მიუსიეს. ძაღლებმა „მგელი“ გაგლიჯეს და დაასახიჩრეს. ყვირილზე მწყემსები მიხვდნენ, რომ ეს მგელი არ იყო და იგი სიკვდილს გადაარჩინეს. დაგლეჯილი რაინდი, მისივე თხოვნით, ლუვ დე-პონტიეს სახლთან მიიყვანეს და თავისი სატრფოს სახლში მოარჩინეს კიდევ. ეს ცნობა A. Berry-ს წიგნიდან *Florilège des Troubadours*, (პარიზი, 1930), ამოღებული აქვს ვიქ. ნოზაძეს („ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“), სანტ-იავო დე ჩილე, 1957 წ. გვ. 213).

VI

სხვადასხვა

38. თამარის დროინდელი ქრონოლოგიის საკითხები. თამარის დაბადების თარიღის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას. თამარის დედა იყო ოსთა მეფის ხუდ-დანის¹ ასული ბურღუხან, რომელიც დიმიტრი მეფემ შერთო თავის შვილს გიორგის „თესსა მეფობასა შინა“, მაშასადამე, არა უგვიანეს 1153 წლისა და უფრო ან წელს. რუს-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებით ქალზე ჯვარის დაწერა 12 წლის ასაკზე ადრე, აკრძალული იყო, მაგრამ დაწინდვა საცოლესი ამაზე ადრეც შეიძლებოდა. ამის მიხედვით ბურღუხანის დაბადება სავარაუდოდ 1138—1141 წლების ახლოს.

როდესაც გიორგი III გარდაიცვალა, მემკვიდრე (თანამედროვე) ალაპარაკებს დიდებულებს, რომ „ვნედავთ ყრმასა თამარს, გონებითა არა ყრმებრივითა“—ო. ხოლო ყრმად, საბათი, ადამიანი (კაცი და ქალი) იწოდებოდა 15—20 წლის ასაკში. ამის მიხედვით თამარი 1184 წელს უნდა ყოფილიყო 15—20 წლის ასაკისა. მაშასადამე, ის დაბადებულა 1164—1169 წლების ახლოს. ამ თარიღის უფრო დაზუსტება შემდეგნაირად შეიძლება. უნდა მხედველობაში იყოს მიღებული ის გარემოება, რომ თამარმა თავის შვილს ლაშა გიორგის თორმეტი წლისას უკუერთხა გვირგვინი. თუ ეს მოხდა თამარის მიმართ მომხდარი პრეცედენტის მიბაძვით, მაშინ თამარიც 1180 წელს 12 წლისად არის საგულისხმებელი. ის დაბადებულა, მაშასადამე, 1168 წელს. ამგვარად, როდესაც 1180 წ. თამარი დიდი ზემოთ დალოცეს მეფედ თავზე გვირგვინის დადგმით და სხვა ცერემონიებით, ამ დროს ის 12 წლის უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ფაქტიურად გამეფებისას 1184 წ. თამარი იქნებოდა 16 წლის და 1189 წელს დავით სოსლანზე გათხოვებისას 21 წლის. ახლა გადავიდეთ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღზე.

აქამდე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია თამარის სიკვდილის სავსებით მცდარი თარიღი (1212 და უფრო 1213 წელი) და ამის გასწორებას არაფერი ეშველა.

¹ოსები გაყოფილი იყვნენ ორ სამთავროდ, რომელთაგან ერთს სათავეში ედგა ბატონო-ნთა დინასტია, მეორეს ადგილობრივი ძველი გვარი.

მ. ბროსე ფიქრობდა, რომ თამარი 1212 ან 1214 წელს გარდაიცვალა¹, მაგრამ მის დროს ამ საკითხის გადასაწყვეტად ძლიერ ცოტა მასალა იყო. ალ. ხახანაშვილმა ამის თარიღად დასდვა 1213 წ.², ი. ჯავახიშვილმა 1213—1214 წელი დასდვა³, ხოლო კ. კეკელიძემ — 1216 წლის 27 იანვარ⁴.

ლაშას დროინდელი მატიანის (მაშასაღამე, თანამედროვეს) უტყუარი ცნობით თამარი გარდაიცვალა 427 ქრონიკონს (ე. ი. 1206 წ. სექტ. 1207 წ.—აგვ.) თერამეტ იანვარს ოთხშაბათს (ხელნაწერში შეცდომით სწერია თორმეტ იანვარს, მატიანეში მოცემულია ზუსტი წაკითხვა 18 იანვარი). ოთხშაბათი მოდიოდა ამ წელს 17 იანვარს. მაგრამ დღე წინა-აზიის ქვეყნებში იანვარიშებოდა წინდლის საღამოდან. ამიტომ ოთხშაბათი 18 იანვარი ხსენებულ წელს ნიშნავს 17 იანვარს საღამოდან.

ამ თარიღის (17 იანვრის 1207 წ.) სისწორეს ადასტურებს მთელი რიგი ფაქტები. თამარის მეორე მემკვიდრე (შოთა რუსთაველი) წერს, რომ თამარმა 23 წელი იმეფაო. ვარდან დიდი კი (XIII ს.) 22 წელს უჩვენებს. პირველ შემთხვევაში მოცემულია არასრული 23 წელი, მეორე შემთხვევაში კი ნაჩვენებია სრული 22 წელი (ზედმეტი თვეები არაა აღნიშნული). თანადროული არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი ქართველების ქალ-მეფის სიკვილს აღნიშნავს პიჯრის 603 წელს (1206 აგვ.—1207 ივლ.). ორი ქართული ქრონიკული ჩანაწერით თამარი გარდაიცვალა 427 ქრონიკონს და ერთისაც (ცხადია, შეცდომით) — 426 ქრონიკონს. 1210 წ. ორი სომხური წარწერა აკავკასიის სომხეთში საქართველოს მეფედ იხსენიებს ლაშას, ასევე 1208 წლის სომხურივე წარწერა მარმეტში (ლიტერატურაში ნაჩვენებია 1206 წელი, მაგრამ ეს დამწერლობითი შეცდომის შედეგია). თანადროულ იერუსალიმელ ფრანგი რაინდის გ. დე-ბუას წერილიდან ბეზანსონის (საფრანგეთში) მთავარეპისკოპოსისადმი ჩანს, რომ 16 წლის ლაშას, მაშასაღამე, 1209 წელს, თავისი დედის (თამარის) ნეშტი მიჰქონდა იერუსალიმში დასაკრძალავად (ლაშა მისი თანამედროვე მექრონიკის მიხედვით დაიბადა 1193 წელს და თორმეტი წლისას მას სამეფო გვირგვინი უკურთხეს თამარისავე სიცოცხლეში). ყველა ამ ცნობების მიხე-

¹ M. Brosset, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, S.-Pb, 1851 p. 297; მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ქართული გამოცემა, I, ტფ. 1895, გვ. 176 (აქ თარიღად 1214 წელია ნაჩვენები).

² Трапезундская хроника, მოსკოვი, 1905, გვ. 19.

³ ქართველი ერის ისტორია, II (1914 წლის გამოცემა), გვ. 634.

⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანი, თბ., 1941, გვ. 43.

ღვით თამარის გარდაცვალების თარიღად ექვს გარეშეა 1207 წელი¹. არავითარი სხვა თარიღი თამარის გარდაცვალების შესახებ წყაროებში არ არსებობს. ასეთ თარიღად ამიტომ 1207 წლის 17 იანვარი უდავოდ უნდა იქნას მიჩნეული².

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ერთს სვინაქსარში თამარ დედოფლის გარდაცვალება აღნიშნულია 27 იანვარს. ან აქ იგულისხმება თამარის დასაფლავების დღე, რომელიც შეცდომით იერუსალიმში თამარის გარდაცვალების დღედ მიუჩნევათ, ანდა აქ იხსენიება სხვა თამარი (რუსუდანის ასული თამარი, დავით ნარინის ცოლი თამარ ამანელისძე და სხვ.).

თამარის პირველი გათხოვება უნდა მომხდარიყო 1185 წელს, გაყრა გიორგი რუსთან (2 $\frac{1}{2}$ წლის შემდეგ) 1188 წელს. გათხოვება დავით სოსლანზე 1189 წელს; შამქორის ომი — 1198 წელს (ლაშას დროინდელ ქრონიკაში თარიღი დამახინჯებულია, ნაჩვენებია ასდარვა, უნდა იყოს ოთხასთერამეტი). ანისის შემოერთება — 1199 წელს, ომი ბასიანში სულთან როკნ-ედ-დინთან 1200 წლის შემოდგომაზე, ტრაპიზონის სამეფოს დაარსება 1204 წ. აპრილში.

40. შოთა რუსთაველი და ეკლესია. შოთა, როგორც ვნახეთ, 1192 წელს უნდა ყოფილიყო ელჩად მივლინებული სულთან სალადინთან პალესტინის ეგრეთწოდებული წმიდა ქართული სავანეების საკითხზე, რის მოგვარების შემდეგ ის გაემართა იერუსალიმს, სადაც ხელმძღვანელობდა, კერძოდ ჯვარის მონასტერში, აღდგენითს სამუშაოებს. თავისი სიტოცხლის დასასრულს ის აგრეთვე მიემართება იერუსალიმს და ჯვარის მონასტერში პოულობს მყუდროებას. თამარის მეორე მატთანეც, რომელიც შოთას უნდა ეკუთვნოდეს, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ეკლესიის და რელიგიის საკითხებისადმი. ავტორი საკმაოდ ჩერდება თამარის მეფობის დასაწყისში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, მაშინ როდესაც ამ კრებას თამარისავე თანადროული პირველი მე-

¹ С. Н. Какабадзе, Год смерти груз. царицы Тамары Великой, Известия Тифл. Высших женских курсов I, Т., 1914 г., 163—168; его же, Год смерти груз. царицы Тамары, газ. Кавк. Слово. 1916 г., № 99; საისტორიო შობაზე 1924 წ. I, 289 (ს. კაკაბაძის წერილი); ე-ტყაოსანი, ს. კაკაბაძის გამ. 1927 წ., გვ. LXVIII—LXIX.

² არქეოლოგ ვეგენია პიელინას მიერ მოწოდებული ცნობით, ოსეთში (ჩრდილოეთში) შემონახული ყოფილა გადმოცემა, რომ დავით სოსლანი გარდაცვლილა კარზე (ყარსზე) მეთექვრთმე საუკუნის დროს მიღებულ მძიმე და სასიკვდილო ქრილობათაგან. გარდაცვლილა ის გზაზე, როდესაც ის კარის მხაროდან მოჰყვადათ საქართველოში. დაუსაფლავებიათ ოსეთში ნუზალის ეკლესიაში, რომელიც, ჩანს, მისი სავერულო სამარხი ყოფილა. თითქოს ეს უნდა მომხდარიყო 1206 წლის პირველ ნახევარში ან შეიძლება ზაფხულში.

მატიანე, შესაძლებელია ჰქაბერი (1195 წ.), სრულებით არ იხსენიებს. ეს მეორე მემატიანე (შოთა) მოგვითხრობს აგრეთვე, თუ როგორ ეხმარებოდა თამარი უცხოურ და ქართულ მონასტრებს დაწყებული ალექსანდრიიდან და სინის (სანაის) მით, საბერძნეთით, მთაწმიდით, ვიდრე კონსტანტინოპოლსა და კვიპროსამდე. „ხოლო იერუსალიმისათვის რადღა საქმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამით ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ ფეშხუმებსა და სიწმიდეთა, საბურავებსა და მონაზონთა (ბერებისათვის) და გლახკათათვის ოქროთა აურაცხელთა“. ერთ-ერთ, თამარის მიერ დიდძალი ოქროთი გაგზავნილ ჯგუფს ბერებისას ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი ანგელმა ჩამოართვა მონასტრებისთვის გაგზავნილი თანხა („სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს“) და ამას შედეგად მწვავე კონფლიქტი მოჰყვა. ამის გამო თამარმა აამოქმედა ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი, თავისი ნათესავი, საქართველოში შემოხვეწილი ალექსი კომნენი და ქართველების ჯარით ხელი შეუწყო ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას (აპრ. 1204 წ.). ამით ბიზანტიის სახელმწიფოს ჩამოშორდა აღმოსავლეთი პროვინციები; იმავე წელს კი ჯვაროსნებმა გადაადგეს იმპერატორი ალექსი ანგელი და თვით დაიკავეს კონსტანტინოპოლი (დაარსდა ეგრეთწოდებული ლათინთა იმპერია).

ამგვარად, ეჭვს გარეშეა, რომ შოთას გულს ახლოს ხვდებოდა საერთოდ ეკლესიის ცხოვრება და კერძოდ საზღვარგარეთული ქართული მონასტრების ბედი. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ შოთამ თავისი სურათი გამოსახა ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის სურათებს შორის მავედრებელი პოზით უფრო იოანე დამასკელისადმი.

მაქსიმე აღმსარებელი (582—662), სახელგანთქმული საეკლესიო მოაზროვნე-ფილოსოფოსი და მოღვაწე, ცნობილია თავისი ბრძოლით მონოთელიზმის წინააღმდეგ. მონოთელიზმი (ბერძნ. მონოს — მხოლოდ ერთი, თელემა — ნებისყოფა) თუმცა აღიარებდა ქრისტეს ორ ბუნებას (ღვთაებრივს და კაცობრივს), მაგრამ მათ უმორჩილებდა მხოლოდ ერთ ღვთაებრივ ნებისყოფას. მაქსიმე კი ანტიცეცებდა, რომ ქრისტეს ღვთაებრივ ნებისყოფასთან ერთად კაცობრივი ნებისყოფაც უნდა ჰქონოდა. თავის მოძღვრებაში ის იყენებდა როგორც პლატონს, ისე არისტოტელეს და ეყრდნობოდა მეორე დიონისე არეოპაგელის შრომებს, რომელთაც დაურთო თავისი კომენტარები. მონოთელიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მაქსიმე დააპატიმრეს და კონსტანტინოპოლში გაასამართლეს. მას მიუსაჯეს ენის და მარჯვენა ხელის მოჭრა და გააგზავნეს (659 წ.) საცხოვრებ-

ლად ეგრისში (ლაზიკაში), სადაც ის მურის ციხეში (ლეჩხუმში) სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

სახელგანთქმული დიონისე არეოპაგელი, შ. ნუცუბიძის და ე. ჰონიგმანის 'იტყვით, იყო იგივე პეტრე იბერი (ქართველი). ჩემი აზრით, 5 ს-ნეს განთქმული მოაზროვნე დიონისე არეოპაგელი იყო ფილოსოფოს იოანე საჭურისის, ამავე იეროთეოსის მოწაფე და ამ იოანესავით წარმოშობით მეგრელი (ანუ მაშინდელი ბერძნული ტერმინოლოგიით — ლაზი) ქალაქ ციხე-გოჯიდან (ახლანდელ ნაქალაქევის ადგილას)¹. შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ მაქსიმე აღმსარებელი — ეს იმ დროის უწარჩინებულესი ფილოსოფოსი, დიონისე არეოპაგელის პატივისმცემელი, დასავლეთ საქართველოში გააგზავნეს ექსორიად (შესაძლებელია, მისივე სურვილი იყო ამ მხარის და ადგილის ამორჩევა საექსორიოდ).

მაქსიმეს აზრებმა შემდეგში გაიმარჯვეს. VI საეკლესიო მსოფლიო კრებამ ისინი სავალდებულოდ მიიჩნია ქრისტიანული ეკლესიისათვის.

რაც შეეხება იოანე დამასკელს (677—777 წლების ახლოს), ის იყო განთქმული ღვთისმეტყველი, ეყრდნობოდა არისტოტელეს მოძღვრებას და დიონისე არეოპაგელსაც აფასებდა. იოანე დამასკელი ამავე დროს გამოჩენილი საეკლესიო პოეტი-ჰიმნოგრაფი იყო (მისი საგალობლები აქამდე იხმარება ქრისტიანულ, განსაკუთრებით აღმოსავლურ ეკლესიაში, მაგრამ ხმარებაში დასავლურ ეკლესიაშიც).

ამ გარემოებათ მნიშვნელობა აქვს შოთა რუსთაველის ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური მსოფლმხედველობის გასარკვევად. კორნ. კეკელიძემ დამატყცა (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958 წლის გამოცემა, გვ. 186—205), რომ ვეფხისტყაოსნის ავტორს მიღებული ჰქონდა ქრისტიანული სწავლა, რომ პოემის ცალკე ადგილებში ჩანს ძველი და ახალი აღთქმის გამოთქმების გავლენა; პოეტი იცნობს ქრისტიანობის ზოგ რიტუალურ მოვლენას, მის ნაწარმოებში გვაქვს სპეციფიკური ქრისტიანული აზრები და სხვ. პოემაში ორ ადგილას არის მოხსენებული ბრძენი (ფილოსოფოსი) დიონისი, დიენოსი, რომელიც დიონისე არეოპაგელი უნდა იყოს. მაგრამ როგორც დიონისე არეოპაგელი, ისე მისი პატივისმცემელნი, ზემოთ მოხსენებული მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი იყვნენ დამოუკიდებელი მოაზროვნენი, რომელთა აზრებს საეკლესიო ცხოვრებაში მწვავე წინააღმდეგობათა დროს იყენებდნენ

¹ ამის შესახებ ჩემი „ქართველი ხალხის ისტორია“, წ. I (არ გამოსულა).

ერთმანერთისადმი სასტიკად ანტაგონისტურად განწყობილნი, სახელდობრ, როგორც მონოფიზიტები, ისე დიოფიზიტები. ეს დამოუკიდებელი, თავისებური აზროვნება ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური საკითხების მიმართ აახლოვებდა, როგორც ჩანს, შოთა რუსთაველს როგორც მაქსიმე აღმსარებელთან. ისე იოანე დამასკელთან. იოანე დამასკელისადმი ვეფხისტყაოსნის ავტორს განსაკუთრებული პატივისცემა უნდა ჰქონოდა როგორც ქრისტიანული ეკლესიისადმი დიდად ღვაწლადღებულ პოეტ-ჰიმნოგრაფს.

ამგვარად, ზემოთქმულის მიხედვით, შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიისადმი ზოგადად დადებითად განწყობილი პიროვნება. მაშინდელ პირობებში ეს სხვაგვარად არ არის საგულისხმებელი, რადგანაც ფეოდალური საზოგადოება მაშინ იმყოფებოდა თავის ძალთა განვითარების წარმატებითს პერიოდში, როდესაც ეკლესია საქართველოში იდეოლოგიურ ფრთას წარმოადგენდა სახელმწიფოს მმართველი ფენებისა და გაბატონებული კლასებისათვის. მაგრამ შოთა არ იყო, ზემოთ ნათქვამის მიხედვით, ეკლესიის ბრძიდ მიმდევარი. ის პატივს ცემდა მაქსიმე აღმსარებლის და იოანე დამასკელის დამოუკიდებელ აზროვნებას და ამიტომაც ეკლესიურ სქოლასტიკისადმიც კრიტიკულად უნდა ყოფილიყო განწყობილი.

41. ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობაზე. შოთა კარგად გაცნობილი იყო ძველ ბერძნულ ფილოსოფიას და ნეოპლატონიზმსაც და, რასაკვირველია, სპარსულ და არაბულ მწერლობასაც, რომელთაც მაშინ წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდათ. რუსთაველი თავის პოემაში პირველ რიგში აყენებს ადამიანის მისწრაფებას ბედნიერებისაკენ ამ ქვეყნად. ადამიანი ვეფხისტყაოსანში იბრძვის არა რაიმე ბუნდოვანი მისტიკური იდეებისათვის, არამედ თავის გრძნობათა მისწრაფებისათვის, სააქაო სიკეთისათვის. ტარიელ-ავთანდილ-ნესტან-დარეჯანი განასახიერებენ ადამიანის ძლიერ ნებისყოფას სააქაო ბედნიერებისათვის ბრძოლაში. სილამაზე და ბედნიერება არსებობს მხოლოდ ამ ქვეყნად.

თავისი პოემის ძირითადი იდეებით — ქალის კულტით, საგმირო მოქმედებათა გაიდუალებით, ძმადნათესაობის შესწმით პოეტი ფაქტიურად სქოლასტიკის და მისტიციზმის წინააღმდეგ მოუწოდებს. შოთა ამით უახლოვდება მატერიალისტურ საფუძველს, რომელსაც ექვემდებარებიან ვეფხისტყაოსნის გმირთა გრძნობები და იდეები. პოემა თავისი არსით ეწინააღმდეგება მაშინ გაბატონებულ ეკლესიურ უსულო და უშინაარსო სქოლასტიკას და ამიტომაც შოთა სამართლიანად ითვლება სქოლასტიკის საწინააღმდეგო ქართული რენესანსის (აღორძინების) დამწყებად და მქადაგებლად.

შოთას ერთ-ერთ დიდ დამსახურებას წარმოადგენს სიყვარულის პრობლემის ახლებურად დაყენება და გადაწყვეტა. სპარსულ ლიტერატურაში, რომელსაც XI—XII ს-ნებში მსოფლიო საზომითაც პირველი ადგილი ეკავა, სიყვარულის პრობლემა წყდებოდა მარტივად — ამ საუკუნეთა დიდი სპარსელი პოეტების ნაწარმოებებში (მაგ., ფაქრ-ედ-დინ გურჯანის პოემაში ვისის და რამინის შესახებ, რომელიც XII ს-ნის პირველი მეოთხედის ახლოს ქართულად პროზად იქნა გადათარგმნილი, და სხვების პოემებში) გმირებს ქალის მიმართ აინტერესებთ უმთავრესად სქესის საკითხი.

ასე იყო სპარსულ ლიტერატურაში შოთას დროსაც. აი, მაგ., როგორი შეხედულება არსებობდა სიყვარულზე და ქალზე საქართველოს მეზობლად ამიერკავკასიაში, სადაც ამ დროს პოეზიაში პირველი ადგილი ეკავა სპარსულ ენაზე მოღვაწე გამოჩენილ რომანტიკოს პოეტს ნიზამი განჯელს (1141—1203). ნიზამის პოემა ისკანდერ-ნამეში (დაწერილია 1190-იან წლებში) ნისტან-დარ-ჯიჰანი ეუბნება ისკანდერს:

შენ ვერ პოებ ვერსად უკეთეს სიტყობებს ვიდრე ჩემგან;
სიტყობებს კი არა, არამედ სიტყობების წყაროს!
მე შემოდოია შევეჯიბრო, მეფეო, საუკეთესო შაჰარს;
მთელი ბაზარი მოდიოდა ჩემთან, მე ვაჭობე მას;
ჩემი შავი კულული სუნთქავს სურნელებით და წვავს,
მე მართლაც ყველაფრით კარგი ვარ, ყველაფრით კარგი ვარ!
შორიდან რომ მოეჩანვარ, ყოველგვარ მწუხარებას ვარღვევ;
სასიყვარულო ხევენაში კი სულს ვამხიარულებ;
თუ მე შორს ვარ, მე წარმოადგენ თვალთახედვის სიამეს;
თუ მე გულს ვაყვრები, მაშინ ცეცხლზე უფრო ცხელი ვარ.

შოთამ კი გააკეთილშობილა სიყვარული და აიყვანა ის ადამიანის გრძნობების უმაღლეს და იდეალურ მწვერვალზე:

მძულს უფულო სიყვარული, ხევენა, კოცნა, მტლამა-მტლუმი.
ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა:
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა.
ჯამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში;
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში და სხე.

ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს ამ იდეალური სიყვარულის ჰიმნს. პოემის გაგებით სიყვარული საერთოდ როგორც ტრფობის საგნისადმი, ისე მოყვასისა და მეგობრისადმი და საქმისადმი ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს. სიყვარული საერთოდ იწვევს ადამიანს საგმირო მოქმედებისაკენ, ხოლო

აზრი და გონება მას ხელმძღვანელობს — ეს არის ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ძირითადი იდეა.

რუსი პოეტი კონსტ. ბალმონტი წერდა ვეფხისტყაოსნის თავისი რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში 1917 წელს:

„დანტე და მსოფლიოს ზოგი სხვა დიდი პოეტი-მოაზროვნე სიკვდილით ამტკიცებენ სიყვარულის უკვდავებას, ხოლო სიკვდილი, როგორც მხატვრული ხერხი, წარმოადგენს მსუბუქ ჯადოქრობას“ — და შემდეგ განაგრძობს:

„რუსთაველი ამ პოეტებზე მალა დგას, რადგანაც თავის შეგარძნებაში ის ჯადოქრობს სიციცხლით. მას გაჰყავს შეყვარებულნი გმირნი ყოველგვარ საწამებელთა შორის, მაგრამ შემდეგ მათ საშუალებას აძლევს ცხოვრებაში აკაშკაშდნენ ისეთი ბრწყინვალეობით, რომ მათ უკვე არ შეუძლიათ მოკვდნენ. ამაშია... ქართველი გენიოსის უპირატესობა მისი თანამედროვეთა და შემდგომ პოეტებთან შედარებით. ვეფხისტყაოსანი არას სიყვარულის საუკეთესო პოემა შედარებით იმასთან, რაც კი როდისმე შექმნილა ევროპაში“¹.

მეორე ძირითადი მნიშვნელობის ღირსება, რომელიც ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, ის არის, რომ შოთამ პირველმა თავისი პოემის სახით შექმნა რომანი, შეკრული მთლიანი სიუჟეტით. მანამდე, მაგ., იმავე სპარსულ ლიტერატურაში, ნაწარმოებების სიუჟეტი შედგებოდა სხვადასხვა ეპიზოდურ თხრობათაგან. სიუჟეტის მთლიანობა იყო მხოლოდ პირობითი. ჩვეულებრივ ასეთ პოემა-თხრობათ თავისუფლად შეიძლებოდა ცალკე ეპიზოდები მოკლებოდა და ამით თვით ნაწარმოებს არა დააკლებოდა რა. ჯერ კიდევ 1884 წ. წერილში „უცხოელის აზრი ვეფხისტყაოსნის შესახებ“ ზემოთ დასახელებული გერმანელი მწერალი ა. ზუტენერი რუსთაველს, როგორც რომანის შემქმნელს, პრიორიტეტს ანიჭებდა მსოფლიო ლიტერატურაში, რომ მან პირველმა შექმნა რომანი ეხლანდელი გაგებით და ამით მან დაასწრო ფრანგულ ლიტერატურას

¹ „Это лучшая поэма любви, которая когда-либо была создана в Европе, радуга любви, огневой мост, связующий небо и землю... Данте, явив чегу влюбленных, заколдовал их чарой смерти и озарил пламенем Бездны. Только так он мог даровать своим влюбленным бессмертие. Бретанская легенда (о Тристане и Изольде), менее нуждающаяся в подлоге церковных кошмаров, лишь озаряя своих влюбленных беспредельностью их испытаний, сумела дать им бессмертие, все же опять опираясь на чару смерти. Смерть, как художественный прием, есть легкое колдование.

„Руставели выше этих поэтов (Данте и других), ибо в своих волшебствах он колдует жизнью. Проведя своих любящих через всевозможные пытки, он им дает в жизни засиять таким блеском, что умереть они уже не могут никогда. В этом... преимуществе грузинского гения над его европейскими современниками и певцами позднейшими“.

(რომელსაც დასავლეთში, დაწყებული XII ს-ნიდან, პირველი ადგილი ეკავა), მთელი საუკუნითო. სწორედ ვეფხისტყაოსანს ახასიათებს ის, რაც მიღებული იყო შემდეგდროინდელი რომანებისათვის — სიუჟეტის შემზადებითი ნაწილი, შემდეგ აღმავლობა, საფეხურებით სვლა და ბოლოს დანასკვი, ყველაფერი ეს მტკიცე სიუჟეტურ მთლიანობაში. ამითაც კი, ფიქრობდა ა. ზუტენერი, რუსთაველმა დაიმსახურა გენიოსობის დაფნის გვირგვინი. ცნობილია, რომ ფრანგულ მწერლობაში ახალი რეალისტური მიმართულების შემქნელად ლირიკულ პოეზიაში ითვლება გიომ დე-მაზო (დაბ. 1300 წ., გარდაიცვ. 1377 წ.). XIII ს-ნის ბოლოში და XIV ს-ნის დასაწყისში მას ყაფდა წინამორბედებიც (ფილიპპე დე-ვიტრი და ჟანრო დე-ლეკიუჩელი), მაგრამ მთავარი როლი ახალი მიმართულების შექმნაში მიიჩნევა დე-მაზოს ეკუთვნის.

პირობითობის ამ საკითხთან დაკავშირებით დაისმის ისიც — შეიძლება თუ არა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს გააღენა მოეხდინა ფრანგული ლიტერატურის ხსენებულ მიმართულებაზე. რომელმაც მთელს ცივილიზებულ მსოფლიოში საფუძველი ჩაუყარა რომანის ჟანრს ახლანდელი გაგებით. ამ საკითხს, მისი სირთულის გამო, ცალკე დამუშავება ჭირდება, მაგრამ შეუძლებელი აქარაფერია. იერუსალიმში ხვდებოდნენ ერთმანეთს დას. ევროპის ბევრი სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები — რაინდები და მწერალი-ხელოვანნიც, რომელნიც მასობრივად მიემგზავრებოდნენ პალესტინაში ეგრეთწოდებულ იწმინდა ადგილების მოსალოცავად.

ცნობილია, რომ იერუსალიმი 1099 წელს გაათავისუფლეს მამადიანთა ბატონობისაგან ფრანგმა ჯვაროსნებმა. ჯვაროსანთა ეგრეთწოდებულ იერუსალიმის სამეფოში, რომელიც 1099—1187 წლებში (თითქმის ერთი საუკუნე) არსებობდა, შემდეგში თვალსაჩინო ადგილი ფრანგებთან ერთად ეკავათ გერმანელებს. იერუსალიმის ჯვაროსანთა შორის უფრო ისმოდა ფრანგული ენა. ამიტომ ფრანგულ ენას იცნობდნენ ქართველებიც. ამგვარად დას. ევროპულ ენებს შორის ქართველებისთვის XII ს-ნეში უფრო ცნობილი იყო ფრანგული ენა. ხოლო რადგანაც შოთა რუსთაველი იერუსალიმში ორჯერ მიიწი იყო, და მოხუცებულობის ეპოქა მან იერუსალიმში დაჰყო (იქვე დასაფლავდა კიდევ): ამიტომ საესებით შესაძლებელია, რომ შოთას ჰქონდა შეხვედრები იქ ჩასულ ფრანგ ლიტერატორებთან. თუ მომავალში ეს დებულება დადასტურდა, მაშინ ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა ცივილიზებული მსოფლიოს ისტორიის წინაშე კიდევ უფრო გაიზრდება.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია სიუჟეტური მსგავსება ფრანგულ პოემას „ტრისტანის და იზოლდას“ და სპარსულ პოემას „ვისის და რა-

თინის“ შორის. ხსენებულ ფრანგულ პოემას, დაწერილს 1150 წლის ახლოს, ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ მისი სიუჟეტის აღდგენა შესაძლებელია ბევრი მისი მიმბაძეველის ნაწარმოებთა მიხედვით. მხოლოდ გაუგებარი იყო, როგორ შეეძლოთ ფრანგ ტრუვერებს სპარსული ვისრამიანის გავლენა განეცადათ, როდესაც ქრისტიან ფრანგებს და შორეულ მაჰმადიან სპარსელებს ურთიერთ შორის ლიტერატურული კონტაქტი არ უნდა ჰქონოდათ. მაგრამ რამდენადაც ძნელი წარმოსადგენი იყო ხსენებული „პროტოტიპის“ (ასე უწოდებდნენ 1150 წლის ახლოს დროის უსახელო ავტორის ხსენებულ ფრანგულ პოემას) მიმართება სპარსელებთან, ისევე ადილად შესაძლებელია ზემომოხაენებულ გარემოებაში „პროტოტიპის“ დამოკიდებულება ვისრამიანზე აიხსნას ქრისტიანი ქართველების მეშვეობით, მით უმეტეს, რომ ვისრამიანის ქართული თარგმანი 1150 წელზე ადრინდელ ხანაში, უფრო XII ს-ნის დასაწყისი ახლოს, უნდა იყოს შესრულებული, მაგრამ როდის, ამის შესახებ ცნობები არ არსებობს. ტრადიციით ვისრამიანი ქართულად შესრულებულია სარგის თმოგველის მიერ (ეს ტრადიციული ცნობა მოდის თეიმურაზ ბატონიშვილის ჩანაწერიდან). როგორც მოხსენებული იყო, 1180 წლის უწინარეს საეპისკოპოსოებშია ქვაბულიძეთა გვარის სარგის თმოგველი. ხოლო რადგანაც ხშირად ფეოდალურ ხანის მაღალ საზოგადოებაში შეილიშვილი პაპის სახელს ატარებდა, ამიტომ ვისრამიანის ქართული ვერსიის შემსრულებელი სარგის თმოგველი შეიძლება ცხოვრობდა დავით აღმაშენებლის დროს და მის მომდევნო ხანაში 1110—1135 წლების ახლოს. ამ დროს უნდა იყოს, ჩვენი აზრით, თმოგველის მიერ ვისრამიანის ქართული თარგმანი შესრულებული.

სამწუხაროდ, შოთა რუსთაველის მიერ თავის უკვდავ ნაწარმოებში წამოყენებულ იდეებს ჩვენში არ გამოუჩნდენ გამგრძელებლები. მონღოლების ხანამ შეარყია ფეოდალური საქართველოს კეთილდღეობა, დაასუსტა ჩვენი ქვეყანა და მოუსპო მას განვითარების და წინსვლის ახალი შესაძლებლობანი. ამიტომაც შემდგომ თაობათა სიგრძეზე ქართველებისთვის ვეფხისტყაოსანი დარჩა პოეტური შემოქმედების, პროგრესული, მაცოცხლებელი იდეების და ლექსის გარეგნული ფორმის მიუღწევებელ მწვერვალად. ამ გარემოებასაც დაუმიკვიდრა ქართველ ხალხში ვეფხისტყაოსანს მართლაც უკვდავი სახელი და საყოველთაო პოპულარობა.

42. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების თარიღები: მე გადაცემული მქონდა ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის კომიტეტისათვის პოემის ხელნაწერების სათანადოდ დასაბუთებული ქრონოლოგიური მაჩვენებელი. დასაბუთე-

ბას მოითხოვდა, რა თქმა უნდა, უთარილო ხელნაწერების დათარიღება¹. აქ ვათავსებთ საორიენტაციოდ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების მხოლოდ სქემას რაიმე განმარტების გარეშე. ხელნაწერების ნომრები და შიფრი ნაჩვენებია ოთხნაკვეთიანი შრომის თანახმად „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“ I—IV, თბ., 1960—1963 წწ.

თარიღიანი ხელნაწერები:

H 599 (E)	1646 წ.
H 757 (A)	1671 წ.
H 54 (B)	1680 წ.
S 2829 (F)	1688 წ.
P 10 (X)	1702 წ.
D 12904 190 (R ¹)	1802 წ.
S 14527 (F ¹)	1805 წ.
M 48 (S ¹)	1823 წ.
H 66 (N ¹)	1832 წ.
A 1123 (M ¹)	1833 წ.
ი. გრიშაშვილის (V ¹)	1840 წ.
H 783 (J ¹)	1857 წ.
Q 483 (E ¹)	1856 წ.
ვ. ასლანიშვილის (L ¹)	1860 წ.
A 654 (U ¹)	1867 წ.

უთარილო ხელნაწერები:

K 215 (Q)	1550 წლ. ახლოს
H 2074 (C)	1560 წლ. ახლოს.
K 383 (A ¹)	1620—1640 წ. ახლოს.
H 740 (Y)	1630—1640 წ. ახლ.
W 27 (Z)	1640—1660 წ. ახლ.
Q 1082 (D)	1665—1668 წ. ახლ.
H 461 (J)	1670 წლ. ახლოს.
Q 779 (M)	1670—1675 წ. ახლ.
S 1418 (P)	1670—1680 წ. ახლ.
H 2610 (H)	1675—1685 წ. ახლ.
Q 930 (R)	1670—1690 წ. ახლ.
Q 261 (J)	1680—1690 წ. ახლ.
S 3077 (N)	1680—1695 წ. ახლ.
S 4499 (K)	1690—1695 წ. ახლ.
A 363 (L)	1675—1700 წ. ახლ.

¹ აქ ნაგულისხმევი წერილი ვეფხისტყაოსნის უთარილო ხელნაწერების შესახებ იბეჭდება ქუთაისის პედაგოგიკური ინსტიტუტის შრომების 1966 წლის ტომში.

W 17 (T)	1690—1700 წ. ახლ.
S 4988 (G)	1690—1700 წ. ახლ.
K 205 (Q)	1690—1700 წ. ახლ.
H 3061 (V)	XVIII ს-ნის დასაწყე.
S 5006 (U)	1715—1720 წ. ახლ.
H 1839 (D ¹)	1750—წლ. ახლ.
Q 799 (Q ¹)	1781—1783 წ. ახლ.
S 2315 (K ¹)	XIX ს-ნის პირველი მეოთხედი.
S 1727 (H ¹)	1824—1825 წწ. ახლ.
H 248(T ¹)	XIX ს-ნის I მესამედი
H 412 (I ¹)	1833 წ. ახლოს.
S 5207 (X ¹)	1860-იანი წლები.
S 2525 (P ¹)	XIX ს-ნის მეორე ნახევარი.
Q 796 (G ¹)	XIX ს-ნის უკანასკნელი მეოთხედი.

ხელნაწერი H 964ა (B¹) აქ გამოტოვებულია, რადგანაც ეს ფრაგმენტიახ: ხელნაწერი, რომელიც შეიცავს 148 სტროფს, გადმოწერილია ვახტანგის გამოცემიდან (სარგ. ციხეილი — „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“, 89).

H 3249 (S) შეიცავს მხოლოდ ერთ ფურცელს მე-17 ს-ნისას.

ასევე 1675ა (C¹) წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის უცნობი ხელნაწერის მხოლოდ ორ ფურცელს 16 სტროფით. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ეს ორი ფურცელი მიეკუთვნება XVII ს-ნის უკანასკნელ მეოთხედს.

XIX ს-ნეში, უკეთ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ყოფილა ვეფხისტყაოსნის უფრო ძველი ხელნაწერებიც. პლ. იოსელიანს გრიგოლ ზურ. ძე წერეთელთან უნახავს ეტრატზე მრგვალი მხედრული ასოებით დაწერილი ვეფხისტყაოსანი, დეფექტანი. ხელნაწერის არშიები შემკული იყო წითელი მელნით. შესრულებული ნახაზებით და ფიგურებით. „მრგვალი მხედრული ასოები“ ნიშნავს, რომ ხელნაწერი უნდა ყოფილიყო XV ს-ნისა. მეორე ხელნაწერი პლ. იოსელიანს უნახავს ნიკ. ელიოზიშვილთან, დაწერილი იყო პრიალა ქაღალდზე და უნდა ყოფილიყო მეფე ალექსანდრეს (1434 წ.) კუთვნილი (ტექსტში დაბეჭდილია 1443 წ., მაგრამ აქ კორექტურული შეცდომა უნდა იყოს¹).

43. ვეფხისტყაოსნის გაგრძელება. ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტს, რომელიც უნდა თავდებოდეს როსტევან მეფის მიერ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისათვის ქორწილის გადახდით (როგორც ეს ნაჩვენებია იყო ვეფხისტყაოსნის 1927 წლის ჩემს გამოცემაში და ზემოთაც), მიყვება ორი გაგრძელება: 1) ტარიელის და ნესტან-დარეჯანის ინდოეთს წასვლისა და ინდო-ხატაელთა.

¹ გაზ. Кавказ, 1870 წ. № 13.

დამარცხების ამბავი (114 სტროფი) და 2) ხვარაზმელებზე გამარჯვების ამბავი (110 სტროფი). ამათ შემდეგ კიდევ დაემატა პოემის მთავარ გმირთა ანდერძები და მათი სიკვდილის ამბავი.

ინდო-ხატაელთა ამბის დაწერის თარიღის გადასაწყვეტად მნიშვნელობა აქვს ერთ ნართაულ სტროფს, რომელიც პოემის თავშივეა მოქცეული. სახელდობრ, ეს ნართაული სტროფი განმარტავს პოემის პირველ სტროფს. „იყო არაბეთს როსტევან“ შემდეგნაირად:

იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევანისი;

შს ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი,

უძრწის და მონებს ყოველი, ჯელთა აქეს მას საბრძანის.

ეს თქვეს თუ ეამს კმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ის.

ეს სტროფი მოიპოვება 1802 წლის ხელნაწერ R¹-ში, რომელიც ერთადერთად... როგორც მხოლოდ ერთი გაგრძელების — ინდო-ხატაელთა ამბავის მქონე (ხვარაზმელთა ამბავი იქ არაა). ეს გარემოება თავისთავად აკავშირებს ხსენებულ სტროფს ინდო-ხატაელთა ამბავის დამწერთან. ანისის მფლობელი მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი, ზაქარია მხარგრძელის შვილი, გარდაიცვალა 1261 წელს. შანშეს სახლს საქართველოში ჰქონდა პირველობა ვიდრე 1360 წლის ახლო ხანამდე, ე. ი. შანშეს სიკვდილის შემდეგ მთელი საუკუნის სიგრძეზე. თვით ანისის მნიშვნელობა 1340—1350-იან წლებში დაეცა. მიზეზი იყო საერთოდ სომხური ქვეყნების (საქართველოსთან ერთად) ეკონომიურად დაუსუსტების პირობებში მიწის ძვრათა დროს ანისის დანგრევა, რის შედეგების გამოსწორება საწარმოო ძალთა დაცემის ხანაში შეუძლებელი შეიქნა. ვეფხისტყაოსნის ნართაულ სტროფში ანისის და შანშეს მაგალითის მოტანა არაბთა მეფის როსტევანის მორჭმულობასთან შესადარებლად შეუძლებელი იყო XIV ს-ნის მეორე ნახევარში, უფრო დასაჯერებელია, რომ ეს მოხდა XIII ს-ნის უკანასკნელ მესამედში. დროის ამ ორი მონაკვეთიდან შეიძლება მათი შუალედის — 1300 წლის ახლო ხანის აღება, რაც, მე მგონი, საკმაოდ სწორად უნდა ასახავდეს ინდო-ხატაელთა ამბის დაწერის უკვიანეს თარიღს.

ამგვარად, ვეფხისტყაოსნის პირველი გაგრძელება — ინდო-ხატაელთა ამბავი დაწერილი უნდა იყოს XIII ს-ნის უკანასკნელ მესამედში.

ვეფქრობთ, რომ გურგენასეული ხელნაწერის (Q 930) ტექსტი (R) ამ დროიდან მოდის. მართალია, ეპილოგში ამ ხელნაწერის ტექსტში ჩამატებულია შემთხვევით ოთხი სტროფი ნაკვეთიდან ფრიდონის მოსვლა ტარიელისა და აეთანდილის სატირლად, მაგრამ რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არის და შემდგომ დრო-ყამთა ერთ-ერთი გადამწერლის საქმეა, ეს სავსებით ცხადად ჩანს

(თავდაპირველად ეს სტროფები არშიაზე იქნებოდა მიწერილი და შემდგომი გადამწერლის მიერ შეტანილ იქნა ტესქტში სრულიად შეუფერებელ ადგილას და უაზროდ). ისე კი ამ ხელნაწერის პროტოტიპი არ იცნობდა თხრობას ტარიელ-ავთანდილის ანდერძებისა და სიკვდილის შესახებ.

ხვარაზმელთა ამბის დაწერის დროის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ხვარაზმელთა ამბავში იხსენიება როსტომიანის მეორე ნაწილის (სერაპიონ საბაშვილის ნაწილის) პერსონაჟები, როსტომის გარდა, საამი და ქიშვარდი (1913 წლის ჩემი გამოცემის სტრ. 1630, 1631; ქიშვარდი აქ იხსენიება ზოგადი მნიშვნელობით). ამით მტკიცდება, რომ ხვარაზმელთა ამბავი არ შეიძლება დაწერილი იყოს როსტომიანის პირველ და მეორე ნაწილებზე ადრე, ე. ი. უადრეს XIV ს-ნის ნახევრისა.

ამის შემდეგ XIV ს-ნეშივე ვეფხისტყაოსანს მიემატა თხრობა ტარიელის და ავთანდილის სიკვდილის შესახებ და „აქა ფრიდონისაგან ორგანვე მისცლა და ტირილი“, ყველაფერი ეს 20 სტროფია. ამ სახით ვეფხისტყაოსნის გაგრძელება წარმოდგენილია 1646 წლის თარიღიან ხელნაწერში (სხვაგან არსად). მალე ამის შემდეგ გაჩნდა ტარიელის და ავთანდილის მოკლე თავდაპირველი ანდერძები, ორივე (10+5=) 15 სტროფი, რომელიც შესულია პოემის გაგრძელებიან ყველა ვერსიამში.

ტარიელ-ავთანდილის ეს მოკლე ანდერძები სიკვდილის ამბით მოცემულია (იმ ხელნაწერებს შორის, რომელთაც ბოლო ასე თუ ისე მთლიანად აქვთ წარმოდგენილი) ხელნაწერში F (S 2829).

ასეთივე გაგრძელებებით პოემა წარმოდგენილია ხელნაწერში Q 261(S).

აქედან სტროფები ტარიელ-ავთანდილის მოკლე ანდერძებით და სიკვდილის ამბით ორ ეტაპად — ჯერ მხოლოდ სიკვდილის ამბით, ხოლო შემდეგ მოკლე ანდერძების მიმატებით — დაწერილად ჩანს 1350—1360 წლების ახლოს.

როგორც მოხსენებული იყო, პოემის ძირითადი რუსთველისეული ტექსტი უნდა თავდებოდეს როსტევიანის მიერ ავთანდილის და თინათინის საცოლქმროდ დალოცვაზე (პოემის ჩემი პირველი გამოცემა 1913 წლისა, სტრ. 1497, მეორე გამოცემა 1927 წლისა, სტროფი 1549). ამ ძირითად ტექსტს პირველ გამოცემის ქვედა სართულის სტროფებიდან მიეკუთვნება შემდეგი ჯგუფები: ა+კ+დ+ე+ი+პ, კა,კბ. მოხსენებული იყო ისიც, რომ ვეფხისტყაოსანი გამოვიდა შოთას ხელიდან 1201 წლის ახლოს (პირველი ვარიანტი) და მცირედ შეესგებულ-შესწორებული 1210—1215 წ. ახლ. (მეორე ვარიანტი). სიმპტომატურ განსხვავებას ამ ორ ვარიანტს შორის შეადგენს ის, რომ პირველი ვარიანტი ანონიმურია —

მასში არაა მოხსენიებული არც თამარის და არც რუსთველის სახელი. მეორე ვარიანტში კი ორივე ეს სახელი არის.

პირველ ვარიანტს პოემის ძირითად ნაწილში უფრო XIII — XIV საუკუნეთა მიჯნაზე მიემატა ნართაული სტროფები ვ (35 სტრ.). მალე ამის შემდეგ ამ ვერსიას მიემატა სტროფები ზ (32 სტრ.) ალბათ XIV ს-ნის პირველი მესამედში.

პარალელურად ამისა პოემის ძირითადი ტექსტის მეორე ვარიანტსაც (1210 წლის ახლო დროისას) გაუჩნდა თავისი ნართაული სტროფები. ეს არის ერთად საგულისხმებელი ც და თ-ს ჯგუფის სტროფები (42 სტრ.), რომელნიც გაჩნდნენ ან XIII ს-ნის ბოლოში ან XIV ს-ნის პირველ მესამედში.

ასეთ ვითარებაში იყო გაგრძელებიანი ვეფხისტყაოსანი XV ს-ნის დასაწყისისათვის.

ვეფხისტყაოსნის ნართაულ სტროფებს შორის გამოირჩევა ნართაული სტროფები იბ, რიცხვით 51, რომელნიც მთლიანად მოდის პოემის გაგრძელებებზე (ჩემს სიაში ორი ნართაული სტროფი 26¹ და 197² შეცდომით არის მითვლილი იბ კატეგორიაზე). სტროფები იბ მოცემულია პოემის გაგრძელებათა ყველა შემდგომ ვერსიებში, რომელთაც ახალ-ახალი ნართაული სტროფები ემატებოდა. ამიტომ იბ ნართაული სტროფების ჩამოყალიბება შეიძლება მიეწეროს დაახლოებით XV ს-ნის დასაწყისს (1410—1420 წლების) ხანას. ამის შემდეგ კი ხდება ახალი ნართაული სტროფების განშტოება, რომლის სქემას აქვე წარმოვადგენთ.

რაც შეეხება ამ (შემდგომი) ნართაული ჯგუფების წარმოშობის დროს, ამისთვის ვლტებულობთ კიდურ თარიღებს იბ—XV ს-ნის პირველი მეოთხედი, და იოსებ ტფილელის ანდერძებისას 1660-იან წლებს. მათ შუალედს — 240 წელს ეყოფთ ჯგუფების რაოდენობის მიხედვით ექვს ნაწილად. თითო ნაწილზე მოდის 40 წელი და ამის მიხედვით მოგვეყავს მიახლოებითი თარიღებიც.

იბ ჯგუფის სტროფები ათვისებულ იქნა პოემის პირველი ვერსიის მიერაც. ამის მიხედვით პოემის ყველა ზემოჩამოთვლილი ვერსიები ჩამოყალიბებულია 1355 წლის ახლო დროისთვის. საერთოდ, როგორც ეტყობა, XIV ს-ნის პირველ ნახევარში და განსაკუთრებით გიორგი ბრწყინვალის და მისი შვილის დავით VIII-ის დროს წარმოებდა გაცხოველებული მუშაობა ვეფხისტყაოსნის თავისებურად ვითომდა გასაუმჯობესებლად. მაგრამ ეს ჩანარები გამოუყვებლივ, თუმცა სხვადასხვა ღირსებისა იყვნენ, მაგრამ საერთოდ ძალზე ჩამოუყვარდებოდნენ შოთას პოემას, ზოგი კიდევ (მაგ., სტროფები იბ) პირდაპირ მდარე ხარისხისაა.

შემდგომი ნართაული სტროფები არის ი, რომელიც ნაწილობრივ ჩნდება 1560-იანი წლების ახლოს შესრულებულ მდიდრულ ვეფხისტყაოსანში (C) და სრულად კიდევ 1680 წლის ხელნაწერში (B). სტროფების ეს ჯგუფი ი უნდა ეკუთვნოდეს ნანუჩა ციციშვილს, რომლის შესახებ არჩილ მეფე გადმოგვცემდა.

„ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაუტრევია;
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია“.

მართლაც, ვეფხისტყაოსნის სხვა ჩანართებთან შედარებით ეს სტროფები ძლიერ მდარეა. გვარი ციციშვილი დოკუმენტურად XV ს-ნის დასასრულზე ადრე არაა დადასტურებული (ის მოდის ფანასკერტელებისგან). ეტყობა ნანუჩა ცხოვრობდა XVI ს-ნის შუა წლებზე ადრე (XVI ს-ნის შუაში ხომ ეს სტროფები უკვე ხელნაწერშია დადასტურებული). მე მგონი, რომ ნანუჩა ციციშვილი XV ს-ნის უკანასკნელ მეოთხედში მოღვაწე პირი უნდა იყოს.

იოსებ ტფილელს (სააკაძეს) 1660-იან წლებში დაწერილი აქვს ტარიელის და ავთანდილის ახალი ნართაული ანდერძები (34+27=) 61 სტროფის რაოდენობით, რომელნიც ნაწილობრივ ან მთლიანად მოთავსებულია XVII ს-ნის ხელნაწერებში D, K და O და სხ.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამის შემდეგ შეიძლება ვეფხისტყაოსნის მთავარი ხელნაწერების სახით წარმოდგენილი ტექსტი მისი შედგენილობის თვალსაზრისით ასახულ იქნას აქვე თანდართული სქემის მიხედვით შემდეგნაირად: თავში ნაჩვენებია ვეფხისტყაოსნის ტექსტის შედგენილობა იმ ვარიანტის მიხედვით, რომელიც პოეტის ხელიდან გამოვიდა 1200 წლის ახლოს. მეორე ვარიანტად თავშივე აღნიშნულია პოემის ტექსტი, გამოსული შოთას ხელიდან უკვე თამარ მეფის სიკვილის შემდეგ (1210—1215 წლების ახლოს). ამ ორ ვარიანტს მიყვება ნართაული სტროფების ის ჯგუფები, რომელთა არსებობა დასტურდება სათანადო ხელნაწერების მიხედვით.

ზემოთ ნათქვამის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის ძირითადი ტექსტი (პოემის პირველი და მეორე ვარიანტი) ნართაული სტროფის აღნიშვნით შედგენილობის მხრივ შეიძლება მიახლოებით წარმოდგენილ იქნას ასეთი სქემით.

პოემის პირველი ვარიანტი¹
ძირითადი ტექსტი ა, ბ, ვ, მ, იმ, კბ:

ინდო-ხატეულა ამბავი, ზვარაზ-
მელთა ამბავი, ტარიელ და ავთან-
დილის ანდერძები და სიკვდილი (EFY).

ვ (35 სტრ.) იმ (83 სტრ.)

K (S449) და O (K 205) ზ (82 სტრ.)
(იოს. ტფილელის სტროფები) (ხელნ. J, H 461)

პოემის მეორე ვარიანტი
ძირითადი ტექსტი ა, ბ, კ, დ, ე, იზ, კა:

ინდო-ხატეულთა ამბავი, ზვარაზმელთა
ამბავი;
ტარიელ-ავთანდილის ინდერძები და
სიკვდილი.

გშთ (47 სტრ.)

ი ნაწილობრივ (46 სტრ.)
ნაწილად, XVI ს-ნის I მეოთხედი.

ი სრულად (+37 სტრ.) იოს. ტფილელის
სტროფები

ია (33 სტრ. იოსებ ტფილელისა),
ხელნ. ა. 1671 წლისა.

¹ ლიტერები ნაჩვენებია ვეფხისტყაოსნის 1913 წლის ჩემი გამოცემით.

დ ა მ ა ტ ე ბ ა I

პარაუდი შოთა რუსთაველის წარმოგავლობაზე

შოთას დედ-მამის ვინაობის საკითხი. არსებული მასალების მიხედვით, შოთას დედ-მამის საკითხი თითქოს ამოუცნობელი უნდა იყოს. მაგრამ საესეებით ცხადია, რომ შოთას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯვარის მონასტრის წინაშე, უამისოდ მონასტერი არ მისცემდა მას ნებას თავისი სურათი დაეხატათ დაეხატვინებია ტაძრის მეტად თვალსაჩინო ადგილას. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ შოთა მონასტერში თავისთვის ალაპის დაწესების გარდა ასეთივე მოსახსენებელს დააწესებდა თავისი დედ-მამისთვისაც. ამ მოსაზრებით ვფიქრობთ, რომ საჭიროა შოთას დედ-მამის ვინაობის ამოცნობა ვცადოთ თვით ალაპების წიგნის მიხედვით.

ჩვენ გვაქვს ჯვარის მონასტრის ალაპების სულ სამი ნუსხა. ერთი არის მთავარი ნუსხა, მოთავსებული X ს-ნის სვინაქსრის არშიებზე სათანადო კალენდარული დღეების გასწვრივ (დედანი).

მეორე არის ეგრეთწოდებული ტიშენდორფისეული ნუსხა (დედანივე), წამოღებული ჯვარის მონასტრიდან ტიშენდორფის მიერ და ამჟამად ლაიფციგში დაცული. ეს ნუსხა შეიცავს ქრისტიანული კალენდრის მხოლოდ მოძრავი დღეების ალაპებს (აღდგომის, ამაღლების და სული წმიდის მოფენის და სხ.)

სხენებული ტიშენდორფისეული ნუსხის (დედნის) გარდა არსებობს კიდევ ალაპების ერთი ნუსხა, რომელსაც პირობით შეიძლება ვუწოდოთ ნ. მარისეული, რადგანაც ის ნ. მარამა იბოვა ჯვარის მონასტერში და მისი ტექსტი დაბეჭდა.

ტიშენდორფისეულ ნუსხას (დედანს) აქვს შიგადაშიგ შემდგომი ჩანამატი ახალი ალაპები, რომელნიც, ბუნებრივია, არაა მარისეულ ნუსხაში. მათ შორის არის წირვა და ალაპი შალვა ქვენიფენეელის შვილის პიპასი, რომელიც, ქსნის ერისთავთა ძეგლის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალის მიერ 1325 წლის ახლოს გაგზავნალ იქნა ეგვიპტის სულთანთან იერუსალიმის სიწმიდეთა საკითხის ქართველების სასარგებლოდ მოგვარების მიზნით. ამ დროს იერუსალიმში უკვე დაწესებული იყო „ღმრთივ გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა დიდის გიორგის დედის და (ალბათ პირველი მეუღლის) მესას“ ალაპი (ტიშენდ. § 64). ეს ალაპი ალბათ დაწესდა 1320 წლის ახლოს. 1325 წლის ახლოს კი პიპა იერუ-

სალიმში ყოფნისას აწესებს თავის და თავისი ცოლის ალაპს. ამის მიხედვით ტიშენდორფისეული ძირითადი ნუსხა შედგენილი უნდა იყოს 1305—1315 წლებში. მას მიემატა 1320 წლის ახლოს ზემოხსენებული ალაპი (ისინი ერთი ხელითაა მიწერილი). შემდეგ კი ამ ნუსხას გაუჩნდა სხვა მინაწერებიც (რიცხვით 48). მინაწერები ჰქონია მარისეულ ნუსხასაც, მაგრამ აქ ამ მინაწერების მართო ნაწილი ყოფილა ტექსტის ფურცელზე. მოთავსებული, დანარჩენი კლებია.

ახლა შევადაროთ ტიშენ. მოკლე ნუსხა 1305—1315 წლებში შედგენილ ჯვარის მონასტრის ალაპების მთავარ ნუსხას სხვადასხვა დროს მიწერილს X ს-ნის სვინაქსარზე. ტიშენდ. ძირითად ნუსხაში წარმოდგენილი 44 ალაპიდან მთავარ ნუსხაში არაა 34 ალაპი შემდეგ პირთა, რომელთაც ჩამოვთვლით სათანადო პარაგრაფის ჩვენებით: ცოტნე ქველივასძე (5), საღირი (7), საღირ გარეყანისძე (9), მოლარეთუხუცესი ბეშქენ მჭეცისძე (10), არსლან აფრიღონისძე (14), დუდა ღლოტისძის ასული (15), მარუშიანი გიორგი ფალქოზის ძის შვილი (17), ვარდან გაზნის ძე მეუღლით თამარით (18), გიორგი ჯავესიანი (20), ჯავახ ჭილასძე (22), მიქაელ ჭვედისჯვრელი (23), ივანე ღვინასძე (24) შაპანშა (29), ვარდან დადიანი და დედა მისი აგუტია (30), გრიგოლ ფანასკერტელი (32), საღირ გომოასძე (34), ივანე გომოასძე (35), ფსტია და მეუღლე მისი ნათელი (40), ლიპარიტ ქვეშელი (42), ხუაშაჲ ქიაურთა (43), გიორგი ფალქოზისძის მეუღლე თოვლაჲ (44), ნათელი ქუაბულისძის ასული (46), ჩხაგუ აფაქისძის შვილი ცოტნე (47), ბეთლემეაჲს ბიძა იობ, იოსებ ხაფლაჲ (48), შალვა ქუაბულისძე (49), მარუშიანი ნიორაჲსძე (52), ხაყიკ-ყოფილი ზოსიმე (53), გიორგი ფალქოზისძე (54), ტაიბულა აფაქისძე (59), ქველი კუჭქეპისძე (60), ივანე მახუჯავიანი (61), ზვიად, ივანე, კუეკე, ბეშქენ, სარგის გომოსძენი (65), ბასილ ბუელუესძე (66), ჩარვაზ აფაქისძე და ბედანის ასული ნათელი (73).

ჯვარის მონასტრის ალაპების მთავარ ნუსხაში მოიხსენებიან და ტიშენდ. ნუსხაში კი არ არიან დასახელებულნი XI—XIII ს-ნის შემდეგი პირნი: ბაგრატ მეფე, ანასუღლი, ბერი ნიკოლოზ გულაბერიძე (კათალიკოს-ყოფილი), კათალიკოსი ნიკოლოზ, ბედიელყოფილი (აფხაზეთის კათალიკოსი უნდა იყოს), ცოტნე დადიანი, შერგილ დადიანი, ერისთავთ-ერისთავი მხარგრძელი (1280 წლის ახლოს, შემდეგ ის ამირსპასალარადაც იყო), დიმიტრი მეფე (თავდადებული), ამ დიმიტრის ასული რუსუდანი და ქმარი მისი ფანასკერტელი თაყა, ერთი დავით მეფე (ლაშას ძე ანდა დიმიტრი თავდადებულის ძე), კათალიკოსი ეფთვიმე (1310 წლ. ახლოს) და სხვანი.

ცხადია, რომ ტიშენდ. ნუსხა XI—XIII ს-ნეთათვის შეიცავს მთავარი ნუსხის მხოლოდ ნაწილს, მაგრამ სამაგიეროდ ტიშენდ. წარმოდგენს ისეთ სახელებს, რომელნიც სრულებით არ არიან წარმოდგენილი მთავარ ნუსხაში. აქედან ჩანს, რომ მთავარი ნუსხის გარდა XIII ს-ნის ბოლოსთვის ან XIV ს-ნის დასაწყისისათვის არსებობდა კიდევ ალაპების სხვა ცალკე ნუსხა, ჩვენამდის არ მოწვენილი, რომელიც შეიცავდა, შედარებით მთავარ ნუსხასთან, კიდევ სხვა პირთა სახელებს.

ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს იმ ალაპებს, რომელნიც საერთო მთავარ ნუსხაში და ტიშენდ-ში. ასეთ საერთო ალაპებში XI—XIII ს-ნებში წარმოდგენილი არიან შემდეგი პირნი: მამა პროხორე (166, I, 8), გრიგოლ დრანდელი (306, I 3), გრიგოლ ფანასკერტელი (123, 182, I 30, I 32, I 62), საღირ ლაშხაძეშვილი (312, I 36), ყუნდოს ქახუბის ძე ანუ იგივე ყონდოს ქახობის ძე (313, I 41), ზვიადი, ივანე, კეკე, ბეშქენი და სარგის გოშოსძეები ერთად (307, I 65), თამარ მამლაქ(ა)ნის ძის ასული (315, I 64), მეჭურჭლეთუხუცესი შოთა (317, I 71), ძაგან აბულეთის ძე (318, I 74), ერთერთი დავით მეფე (295, I 12, უნდა იყოს დავით აღმაშენებელი), ცოტნე და ნათელი (164, I 25), მეფე დავით რუსუდანის ძე (მთავარი ნუსხის ერთერთი დავითი და I 16), სულ 11 ალაპი.

შოთას ოჯახის წევრთა ალაპები ამ სიაშია საძებნელი.

გრიგოლ ფანასკერტელს უყვიადა ჯვარის მონასტრისათვის აქიას მამული 800 დრაჰკანად ანუ 24 ათას თეთრად (123, 123ა). უკვე ეს ათარილებს გრიგოლ ფანასკერტელის ცხოვრების დროს. სრულწონიანი ოქროს ერთმისხლიანი დრაჰკანი, რომელიც ოქროსა და ვერცხლის ჩვეულებრივი მაშინდელი შეფარდებით (1 : 10) უდრადა 42,66 გრამ ვერცხლს და შეიძლება 30 თეთრის ფარდი ყოფილაყო მხოლოდ 1320—1330-იან წლებში¹. პალეოგრაფიულადაც ალაპის ჩანაწერა (მთავრულა ა ქვემოთკენ დაკაუჭებული ბოლოთი) ამ ხანას მიეკუთვნება. მაშასადამე, ამ გრიგოლ ფანასკერტელს არაფერი აქვს საერთო შოთა რუსთაველთან.

გრიგოლ ფანასკერტელს დიდი შეწირულება გაუგზავნია ჯვარის მონასტრისათვის და ამიტომ მისთვის მონასტერს ხუთი ალაპი დაუნიშნავს, რომელთაგან სამი მის სახელზეა ჩაწერილი, ორი ალბათ ოჯახის წევრებისთვის იქნებოდა.

¹ ს. კაკაბაძე — საფასის ისტორიისათვის საქართველოში, სისტ. მოამბე, 1925 წ., II, 6—7. პ. ინგოროყვა გრიგოლ ფანასკერტელს თელის 1250 წლის ახლოს მცხოვრებ პირად (მნათობი, 1963 წ., № 6, გვ. 134), რაც შეუძლოია.

მოძრავი დღეებისათვის ალაპების ახლად შედგენის დროს მოკლე ნუსხაში (ტიშენდ.) ჯერ მისი ერთი ალაპი გადაუნაცვლებიათ კალენდარული მკვიდრი დღიდან მოძრავ დღეს (I 32) და უკვე მოკლე ნუსხის შედგენის შემდეგ სხვა დროს გადაუნაცვლებიათ კიდევ ორი ალაპი (I 62, I 70).

გრიგოლ ფანასკერტელი მოხსენიებულია კიდევ § 135-ში, რომელიც XIII ს-ნის პირველი ნახევრის ჩანაწერი უნდა იყოს — მთავრული ა ზემოთ აკატუქებული ბოლოთია წარმოდგენილი. ეს უნდა იყოს პაპის პაპა იმ გრიგოლ ფანასკერტელისა, რომელიც 1320-იან წლებში მონასტრისთვის აქაიას მამულს ყიდულობს.

შოთას მამა არ შეიძლება იყოს საღირ ლაშხაისშვილი, რომლის ალაპის ჩანაწერი იკითხება ასე: „აღვსებისა სამშაბათსა ალაპი არის საღირ ლაშხაასაშვილისა და ვინცა შეცვალოს“ და სხვ. ასომთავრული ანუ აქ მოცემულია იმ სახით, რომ მინაწერი XIII ს-ნის მეორე ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს.

შემდგომ ხსენებულ ალაპებს შორის ყურადღებას იქცევს ბორენას მიერ განწესებული ალაპები. ეს ბორენა არის XIV ს-ნის პირველ მეოთხედში ან ამის ახლო მცხოვრები პირი და მას არაფერი აქვს საერთო რუსთაველის ოჯახთან (ამის შესახებ იხ. ქვემოთ გვ. 296—298).

ყანდოს (ყუნდოს) ჭახობის ძის ალაპი იკითხება შემდეგნაირად: „შაბათსა აღვსებისასა საუკუნოა ალაპი ყონდოს ჭახობისძისაჲ, მოგვცა ათასი თეთრი თევდორეს ქელითა და ვინცა შესცვალოს და არ გარდაიჯდოს, კანონსამცა ქვე-ში არის წმიდათა მოციქულთასა“.

ხელის მიხედვით (ასომთავრული ა-ნის გამოხატულება) ეს მინაწერი ეკუთვნის არა უადრეს XIV ს-ნის დასაწყისისა. ამასთანავე აქ იხსენიება საფასე თეთრი, რომელიც XII ს-ნეში დავით აღმაშენებელის შემდეგ და XIII ს-ნის პირველ მესამედში ჩვენში არ იხმარებოდა. თეთრი, როგორც საფასე, შეიძლება ჩვენში გაცოცხლებულიყო მხოლოდ რუსუდანის დროიდან და უფრო კიდევ ულუ-დავითის დროიდან და XIV—XVI საუკუნეებში, რადგანაც დაწყებული დიმიტრი I-დან ვიდრე გიორგი ლაშაძის ჩვენში ვერცხლის ფულს არ სჭრიდნენ. ეს ჭახობის ძე არ შეიძლება ყოფილიყო შოთას ოჯახის წევრი.

ამ ჭახობის ძის მოქცევა ტიშენდ. მოკლე ნუსხაში თითქოს მოულოდნელია, რადგანაც ის არ იყო წარჩინებული გვარის წევრი. მისგან ფულის მიმტანი თევდორე ბერი უნდა იყოს და შეიძლება სწორედ მან შეადგინა ტიშენდორფისეული საალაპე წიგნი. ამ შემთხვევაში თევდორეს, საერთოდ, შესაძლებელია, ისედაც დავალებულს ჭახობის ძის მხრივ, თვითონ ექნება მისი სახელი შეტანილი ამ მოკლე სიაში პირადი მოტივებით. ხოლო რადგანაც მოკლე

ნუსხა უფრო 1320-იან წლების ახლოს უნდა იყოს შედგენილი, ამიტომ ირკვევა ყუნდოს ქახობის ძის ცხოვრების დროც — შოთა რუსთაველს ის ერთი საუკუნითაა დაშორებული.

ხსენებული სიის დანარჩენ პირთაგან ცოტნე და ნათელი არ შეიძლება ყოფილიყვნენ შოთას დედ-მამა, რადგანაც ისინი დადიანები არიან, ხოლო XIII—XIV ს-ნეთა დადიანების გენეალოგიის გარკვევა ხერხდება და მათ შორის შოთას სახელის მქონე არ იხსენიება.

ძაგან აბულეთისძეც გამორიცხულია, რადგანაც ის არის 1260-იანი წლების მოღვაწე (არის სიგელი მის მიერ 1260 წლის ახლოს მიცემული შიო-მღვიმის მონასტრისადმი). ამ ძაგანმა მონღოლების მიერ 1258 წელს ბაღდათის აღების დროს მოპოებული სიმდიდრით შიო-მღვიმის მონასტერს შესწირა მიწა-ფუძეები. ეს ძაგან აბულეთისძე იქნებოდა სათანადო შეწირულების გაღებით ჯვარის მონასტერში თავისთვის ალაპის დამღები.

თუ ჩვენ შესადარებლად ავიღებთ მთავარი ნუსხის მხოლოდ მოძრავი დღეების მოსახსენებლებს და შევედარებთ ამ მოკლე (ტიშენდ.) ნუსხას, მაშინ მივიღებთ ასეთ სურათს.

მთავარ ნუსხაში საუფლო დღესასწაულებზე და მათ ანგარიშზე დამოკიდებულ დღეებში შეტანილია სულ 15 ალაპი (304—318, ერთი მათგანი არ იკითხება). მოკლე ნუსხაში ამ 15, უკეთ 14 პირთა ალაპებისგან შეტანილია მხოლოდ ექვსი ალაპი. ესენია შემდეგი პირნი: გრიგოლ დრანდელი, შოთა მეჭურჭლეთუხუცესი, საღირ ლაშხაჰსეილი, ძაგან აბულეთისძე, თამარ მამლაქანისძის ასული და გოშოსძენი ზვიადი, ივანე, კვექე, ბეშქენი და სარგისი (ერთად).

ზემოთქმულის თანახმად ეს პირნი გრიგოლ დრანდელის და თამარ მამლაქანისძის გარდა არ არიან შოთას თანამედროვენი და მის შემდეგ ცხოვრობდნენ. ხოლო გრიგოლი იყო დრანდის მთავარებისკოპოსი და, მაშასადამე, ბერი.

რჩება თამარ მამლაქანისძის სახელი. მოკლე ნუსხაში მხოლოდ ეს თამარია მოხსენებული, მაგრამ მთავარ ნუსხაში მისი ქმრის სახელიც იხსენიება. ამ წყვილის სახელები მთავარ ნუსხაში ერთი და იმავე ხელითაა ჩაწერილი. აღდგომის შემდეგ მეექვსე ოთხშაბათისთვის სუნღულ მამლაქანისძის ასულის თამარის ალაპი ჩაწერილია (§ 315) შემდეგნაირად:

„ამავე დღესა ალაპი (ს)უნღულ მამლაქანისძისა ასულისა თამარისი“...
ხოლო 6 იანვრისთვის (ნათლისღებისთვის) ზუსტად იმავე ხელით ჩაწერილია შემდეგი მოსახსენებელი (№ 150): „ამასვე დღესა ალაპი ელ(ია) მიხრიკის ძისა და ვინცა არ გარდაიხადოს“ და სხვა (წყევლა).

პალოგრაფიულად მიხრივის ძის ელიას და თამარ მამლაქანისძის ალაპე-
ბის შესახებ ჩანაწერი უდგება XIII ს-ნის პირველ მეოთხედს. შეად. ვანის სა-
ხარების გამოხატულება, მაგ., ასო ბ-ანისა XIII ს-ნის დასაწყისში. ასომთავ-
რული ა-ნის გამოხატულებაც ემხრობა ამ ხანას. ბ და გ იხმარება აქ ფართო
უბით, როგორც ეს არის ამავე ხანს ჩანაწერში გრიგოლ დრანდელის ალაპის
შესახებ (იხ. ზემოთ). თუ მოკლე ნუსხაში იხსენიება მხოლოდ თამარი უქმ-
როდ, ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც ქმრის ელიას ალაპი დანიშნული
იყო მკვიდრ უქმეს, ნათლისღების დღეს 6 იანვარს. მოკლე ნუსხაში კი მხო-
ლოდ მოძრავ უქმეებთან დაკავშირებული დღეების ალაპებია შეტანილი. ამი-
ტომ იქ ელია მიხრივის ძის ალაპი არც შეიძლება მოქცეულიყო.

ყურადღებას იქცევს, რომ ხსენებული თამარის ალაპი დაწესებულია
შოთას ალაპის დღესთან ახლოს: თამარის ალაპია აღდგომის შემდეგ მეექვსე
ოთხშაბათს, ხოლო შოთასი სულიწმიდის მოსვლის მეორე დღის ორშაბათს.
ამ დღეებს შორის სულ 5 დღეა.

მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა შემდეგი გარემოება. მოკლე (ტი-
შენდ.) ნუსხაში თამარ მამლაქანისძის ასულის ალაპი გადატანილია ჩვეულებ-
რივი ოთხშაბათი დღიდან ამალღების დღეზე. ამალღება კი ითვლებოდა ქრისტი-
ანულ ერთ-ერთ მთავარ უქმედ. მაშასადამე, საჭიროდ უცვნიათ, რომ მისი
ალაპი გადაენაცვლებიან ახლოს, მაგრამ უფრო საპატიო დღეს, სახელდობრ
ამალღებას.

გვარიშვილობით მამლაქანისძის ასული თავის ქმართან ერთად ასეთ პა-
ტივისცემას ერთი საუკუნის შემდეგ ვერ დაიმსახურებდა. მაგრამ თუ ის შო-
თა რუსთაველის დედა იყო, მაშინ ეს გასაგები ხდება. ეკლესიაც XIV—XV
ს-ნებში შოთას სახელს, ეტყობა, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა და გვარის
მონასტერში მის კულტს იცავდნენ კიდევ, სხვაგვარი ახსნა ამ მეტად საყურა-
დღებო ფაქტისთვის მე ვერ მომიპოვებია.

თამარის გვარი მამლაქანი ყოფილა სვანური დაბოლოების მქონე, რო-
გორც, მაგ., რუჩაგიანი, დადიშგელიანი, ლორთქიფანი, ცვილოვანი, ფამტანი
და სხვა ბევრი. ამ გვარებს ვასახელებთ ძველ სვანურ მოსახსენებელთა მიხედ-
ვით, მაგრამ ოდიშის მთის ნაწილში ბლომდაა ამ სვანური დაბოლოების გვარე-
ბი. ძველ გვართაგან აღსანიშნავია თავად ჯაიანის გვარი, რომელიც გადმოცე-
მით ოდიშის თავადებს შორის ყველაზე ძველი უნდა ყოფილიყო. XIII ს-ნეში
და XI ს-ნეშიც (მატიანე და ერთი ხელნაწერის მინაწერი) იხსენიება ოდიშის
წარჩინებული გვარეულობა ფარეჯანიანი. შეად. კიდევ გვარის მონასტრის
ალაპებში მახუჯაგიანი, ფახულანი, რომელნიც არ ჩანან სვანები არიან თუ

მეგრელები. მე მგონი, რომ ხსენებული სუნღულ მამლაქანისძე უნდა იყოს ოდიშის უფრო მთის ნაწილიდან და წარმოშობით აზნაური, რადგანაც სახელი სუნღულ გლეხური არაა და აღმ. საქართველოში XIV ს-ნიდან დადასტურებულია აზნაურთა და წარჩინებულთა წრეებში.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ შოთა რუსთაველი მამით იყო მესხი, დედით კი შეიძლება ყოფილიყო მეგრელი.

ყველაფერი ამის მიხედვით დასაშვებია, რომ ხსენებული თამარ სუნღულ მამლაქანის ძის ასული შოთას დედა ყოფილიყო. ხოლო ამ თამარის ქმრად საგულისხმებელი ელია მიხრიკის ძე კი უნდა იყოს შოთას მამა.

საფიქრებელია, რომ შოთას მამა ელია მიხრიკის ძე ხშირად მეფის კარზე იქნებოდა. სამეფო კარზე დიდძალი აზნაურობა ტრიალებდა. თუ მართლაც ელია მიხრიკის ძეს ცოლად მეგრელი ქალი ჰყავდა, მაშინ თავისთავად იგულისხმება ასეთი ქორწინებისთვის მამულობა ყველაზე უფრო თვით სამეფო კარის აზნაურთა შორის იყო შესაძლებელი.

სახელების მიხრიკის ძის, სუნღულის და მამლაქანის ძის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი.

მიხრიკის ძე წარმომდგარია სიტყვა-სახელისაგან მეხრიკე. საბას ლექსიკონით, მეხრიკეობა არის ხრიკის ცოდნა. ამასთანავე ის ემოწმება „კათილორიის“ ქართულ წიგნს. ხოლო ხრიკი, საბასავე სიტყვით, არის „მოკრინალთ (ე. ი. მოჭიდავეთ) ხელოვნება“ (კარგ მოჭიდავეთა ხელოვნებას ყველგან ფეოდალურ ხანაში ჰქონდა დიდი გამავლობა და პატივისცემა).

სონღული არის შევარდნის ჯგუფის საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი.

სახელები სუნღულ და მიხრიკი ამტკიცებს, რომ ხსენებული გვარები აზნაურულია, რომელნიც პატევს ცემდნენ ჭიდაობის სპორტს და ნადირობას.


სახელი მამლაქანი განიმარტება როგორც მამლაქისაგან წარმომდგარი. აქ ისმის არაბული სიტყვა მამელუკ—სარგებლობისთვის შექმნილი ანუ მონა. XII ს-ნის მეორე ნახევრიდან ასე ეგვიპტეში იწოდებოდნენ თურქი ნასყიდი მონები, რომელნიც ჩარიტხული იყვნენ ჯარში. 1250—1382 წლებში ეგვიპტეს განაგებდა მამელუკთა დინასტია. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა XI—XII ს-ნის დასაწყისში შემოდის ოდიშში საკუთარ სახელად მამობრივი სქესის პირთათვის არაბულიდან.

დაახლოებით ასეთივე წარმოშობის იყო საქართველოში XII—XIV ს-ნეში ბატონურ წრეებში მიღებული სახელი მამაკაცისთვის ოვსე-ყმა.

გრიგოლ დრანდელი მთავარეპისკოპოსი, წარმოშობით პატარაძის (პატარა-

იას) გვარიდან, უნდა ყოფილიყო მსახურის ოჯახიდან. თუ გრიგოლ დრანდელსა და შოთას შორის იყო ნათესაური სიახლოვე, მაშინ წყდება შოთას მამად საგულისხმებელის ელია მიხრიკის ძის სოციალური რაობის საკითხიც. სახელდობრ, საეპეოდ ჩანს, რომ ელია მიხრიკის ძე წარმოშობით ყოფილიყო პირველხარისხოვანი აზნაური, არამედ ის საგულისხმებელია ან მცირე აზნაურად ან ისეთ მსახურად, რომელიც აზნაურის მოვალეობას ასრულებდა. მაგრამ როგორც ჩახრახელი (ჩახრახის მფლობელი) და როგორც ამ წოდებულების მქონე, უკვე აზნაურად არის საგულისხმებელი. ხოლო რადგანაც, გადმოცემით, შოთას მამა ადრე გარდაიცვალა, ამიტომ საფიქრებელია, რომ მსახურის მდგომარეობიდან აზნაურის წოდებაში გადასვლა უკვე ელია მიხრიკის ძის მამას უნდა მოეხერხებია. პირობით შეიძლება ელიას მამის სახელი მიხრიკი ყოფილიყო. ამის შემდეგ მივიღებთ შემდეგ სქემას:

მიხრიკი, აზნაურად დაწინაურებული, დაიბ. 1115 წლ. ახლ.



ელია მიხრიკის ძის ასეთი წარმოშობის გამო ნაკლებ მოსალოდნელი იქნებოდა მისი სახელის მოქცევა და ისიც თავისი ცოლით ჯვარის მონასტრის XIV ს-ნის დასაწყისში ან ამის ახლოს გადაწერილ ალაპებში. ეს გასაგები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ ვიგულისხმებთ, რომ ელია მიხრიკის ძე და მისი ცოლი დაკავშირებულნი არიან რომელიმე გამოჩენილ და ჯვარის მონასტრის მიმართ დიდად დეაწულადებულ პიროვნებასთან. ასეთია, როგორც ვნახეთ, XII—XIII ს-ნის ალაპების პიროვნებათა შორის შოთა მეკუთრკლეთუხუცესი.

მიხრიკი უნდა იყოს სახელი. ეს ჩანს იქიდან, რომ ჯვარის მონასტრის ალაპებში გამოთქმა მიხრიკის ძე ერთმანეთისაგან განშორებით ორ სიტყვად არის მოხსენებული. ამგვარად ალაპების წიგნის მიხედვით შოთას მამად და დედად საგულისხმებელნი არიან ელია მიხრიკის ძე და სუნულ მამლაქ(ი)ანის ძის ასული თამარი. ეს არის ვარაუდი, რადგანაც ალაპის მოსახსენებელში ეს პირნი შოთას მამად და დედად პირდაპირ არ არიან დასახელებულნი. მაგრამ ამ ვარაუდს ამაგრებს შემდეგი ფაქტები.

გადმოცემით, შოთას დედა შოთას დაბადების შემდეგ მალე დაქვრივდა და შემდეგ გათხოვდა ლაზ ხუროთმოძღვარზე. სალაპარაკო ენად ურთიერთ

შორის მათ უნდა ჰქონოდათ უფრო მეგრულ-ლაზური. მაშასადამე, შოთას დედა, როგორც ვნახეთ, უნდა ყოფილიყო მეგრელი. ეს მტკიცდება ხსენებული თამარ მამლაქ(ი)ანის ასულის სვანური დაბოლოების მეგრული გვარით. წარმოშობით ის იყო, მაშასადამე, ოდიშის მთიანი მხარედან, სადაც გავრცელებული იყო სვანური დაბოლოების (იანი, ანი) გვარები.

რომ შოთა დედის მხრივ ოდიშურ სამყაროს იყო დაკავშირებული, ამას ამტკიცებს საკითხი დრანდელი მთავარეპისკოპოსის გრიგოლ პატარაისძის შესახებ. მისი სურათი ჯვარის მონასტერში შოთას გვერდითაა მოცემული. ეს დრანდელი, როგორც ეტყობა, წარმოშობით იყო მეგრელი და შესაძლებელია შოთას ახლო ნათესავიც დედის მხრივ.

შოთას მამა-პაპის მოხვევების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი.

გურჯისტანის ვილაიეთის აღწერით (1630-იან წლებში), ძველს ზევს ეწოდება პეტრეს (პეტრეს ციხის) ლივა ორი რაიონით — თვით პეტრეს რაიონით და ქაშვეეთის რაიონით. პეტრეს ლივას პეტრესავე რაიონი მოიცავდა 38 სოფელს, რომელთაგან დასახლებული იყო მხოლოდ 5 სოფელი 21 კომლით, დანარჩენი 33 სოფელი ცარიელი იყო. საერთოდ პეტრეს ლივა მთლად გაუკაცრიელებული იყო, მოსახლეობის ნაწილი დაიღუპა და დანარჩენი კიდევ გადაბარგდა ქართლსა და კახეთში (ამ მხარის მფლობელნი თავადი ავალიშვილები XVII—XVIII ს-ნეში იხსენიებიან ქართლში და ერთ ხანს კახეთშიც). გაუკაცრიელებულ სოფლებს შორის იხსენიებიან თურქულ-არაბული ტრანსკრიპციით (ხეობის) გარკვეული მონაკვეთის სოფლები შემდეგი თანრიგით: ეშმაკთუბანი, მალაჩათ-უბანი, დღვაშის-ხევი, ლიკანი, მაყურაზ, ლომსათ-უბანი, ეკლესიის-კარი, ნახუცვართ-უბანი, ინანკათ-უბანი, მელქუაძე, ზღასთავი, გომნა, ნუა, ყვიბისი და სხ. ამ სოფლებიდან ამჟამად ცნობილია დღვაშის-ხევი. ვახუშტით, მდინარე დღვაშის-ხევი, ერთვის მტკვარს ნუას (ახლანდელი ბორჯომის) ზევით, სამხრეთიდან. მაშასადამე, დღვაშის-ხევი მდებარეობდა და ახლაც არის მტკვრის მარჯვენა ნაპირას. ამის შემდგომი ლიკანი მტკვრის მარცხენა ნაპირზეა. გომნა მდებარეობს მტკვრის მარჯვნივ სამიოდე კმ-ზე მტკვრის აღმოსავლეთით ჩითახევის-წყლის პირისპირ. ნუა აქ არის ახლანდელი მტკვრის მარჯვენა მხარის ბორჯომი. ყვიბისიც აქ მტკვრის მარჯვენა მხარეზეა თითქმის ვაშლოვანის პირისპირ. დანარჩენი სოფლების სახელები უცნობია.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გურჯ. ვილ. დავთრის ამ მონაკვეთში ერთიმეორის შემდეგ ჩამოთვლილია მტკვრის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპიროს სოფლები. ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი.

სოფელ ეშმაკთუბანს და ეშმაკთუბნის-წყალს ვახუშტი აღნიშნავს მტკვრის მარცხენა მხარეზე ახლანდელი ბორჯომის ქვემოთ. ამის შემდეგ მტკვრის მარცხენა მხარის სოფელთაგან ნაჩვენებია ლიკანი, რომელიც მდინარის აღმა მდებარეობს. აქედან ცხადია, რომ ლიკანის შემდეგ დასახელებული სოფლები მაყურაზ, ლომსათ-უბანი, ეკლესიის-კარი, ნახუცვართუბანი (ამ ორი სახელის სოფელი ერთიმეორის გვერდითაა საგულისხმებელი—ხუცები, ე. ი. მღვდლები ცხოვრობდნენ ალბათ ეკლესიის-კარის ახლოს, იქვე), აგრეთვე მტკვრის აღმა უნდა ყოფილიყვნენ. ჩითა-ხევის ნაპირას ორიოდე კმ-ზე მტკვრიდან მდებარეობს მწვანე-მონასტრის ნაშთი, აწერილი სპეციალურ ლიტერატურაში¹. ამ მონასტერთან ახლოს იქვე უნდა ყოფილიყო გურჯ. ვილ. დავთარში მოხსენებული ეკლესიის-კარი და ნახუცვართუბანი. ამის შემდეგ აღმა ოთხიოდე კმ-ზე იწყებოდა უკვე ქვაბის-ხევის ხეობა. სოფ. ქვაბის-ხევი, სადაც არის ფრესკები. ა ეკლესიის ნაშთი, გურჯ. ვილ. დავთარში უკვე აწყურის ლივაში იხსენიება. მაშასადამე, სოფლები მაყურაზ, ლომსათუბანი, ეკლესიის-კარი და ნახუცვართ-უბანი მდებარეობდნენ ლიკანსა და ქვაბის-ხევს შორის დაახლ. 5—6 კმ-ის სიგრძეზე და ჩრდილოეთით კიდევ მათ ეკუთვნოდათ ტერიტორია მთების აღმა ვიდრე ვახანის მთამდე, ხოლო მათი საძოვრები ნაწილობრივ გადადიოდა ამ მთის ზეგანზე და მის იქითაც. რუსულ წინანდელ რუკებზე მდ. ბეალის-ხევის ზედა ნაწილში აღნიშნულია სამთაბარო საძოვარი ადგილი Мердук, ქართული გამოთქმით მელრუკი. რაც უახლოვდება სავარაუდო სახელს მეხრიკ(სი). სპეციალისტების ჩვენებით, ამ მელრუკის აღმოსავლეთით ბეალის-ხევის მარჯვენა ქედზე დიდ მანძილზე არის აგრეთვე საძოვარი ლომის-მთა. მთის საძოვრების. ფართობი ხშირად მისდევს რამოდენიმე კილომეტრზე (ექვს-შვიდზე და მეტზედაც) ამ შემთხვევაში დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ამიტომ მელრუკისა და ლომის-მთის საძოვრები წვდებოდა სწორედ სოფლების მაყურაზისა და ლომსათ-უბნის ტერიტორიას და ოდესღაც მათ ეკუთვნილებას შეადგენდა. კიდური მანძილი მდ. მტკვრიდან ამ საძოვრებამდე არ გადაცილდებოდა დაახლ. რვა კილომეტრს. ამის მიხედვით ცხადი ხდება, რომ თურქული ძველი ჩაწერილობის მაყურაზ, იგივე მელრუკი არის მართლაც მელრუკი, რომლის ძველი გამოთქმა შესაძლებელია ყოფილიყო მეხრიკისი.

ზემოთ მოხსენებულის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ შოთას ახლო წინაპარნი წარმოშობით მართლაც იყვნენ სამცხის მიმდგომი ხევიდან

¹ ვახტ. ბერიძე, სამცხის ხუროთ-მოდერება, XIII—XIV ს-ნები, 1955, გვ. 214—216.

და სახელდობრ მისი სამხრეთი ნაწილიდან თეორიულად აღსადგენ მებრკიისი-დან. ამიტომ იყო რომ ჩახრუხადებები იწოდებოდნენ „მოხვეის ძეებად“.

მცხეთის საკათალიკოსო სოფლების ნუსხა 1447 წლისა, რომელიც ალექსანდრე I-ის დროინდელ ვითარებას (1440 წლის ახლოს) ასახავს, იხსენიებს ხევ-ხეობაში საკათალიკოსო ყმა-მამულს მხოლოდ ნუაში¹. („ნუას სამხარას ძე და ცეცხლად“ არიანო, სწერია იქ). ხოლო 1580 წლის ახლოს შედგენილ მცხეთის საკათალიკოსო ყმა-მამულების სიაში ნუას მოსაზღვრე დასახელებული არიან მხოლოდ „სამხარაძეები“. სხვაგან ყმა მცხეთის კათალიკოსს ხევ-ხეობაში არ ჰყოლია. „ეკლესიის-კარი“ ზემო-ციხით (პეტრეს ციხით) ძველ ნუას დაშორებულია 4—5 კილომეტრით. ნუა და მაყურასი, რომელიც მიწერილი იყო, როგორც ეტყობა, ეკლესიის-კარზე, სულ სხვადასხვა სოფლებია. მამასადაძე, ეკლესიის-კარში ბინდრობდნენ არა საკათალიკოსო, არამედ სხვა საეკლესიო გლეხები.

ფალავანდიშვილების გვარის შესახებ. როგორც ვნახეთ, შოთას პაპის სახელი მიხრიკი წარმომდგარია სიტყვისაგან მებრიკე (მორკენალი, მოკიდავე, ფალავანი). ეს იყო მებრიკეობით (ფალავანდობით) განთქმული წინაპრის გამო შოთას გვარის შტოში თაობათა სიგრძეზე გავრცელებული სახელი (კარგი ფალავნობა ფეოდალურ ხანაში ხომ სასახელო საქმედ ითვლებოდა). ამის პარალელს წარმოადგენს შემდეგ თავად ფალავანდიშვილების გვარში პოპულარული სახელი ფალავანი, რომელიც ქართული მებრიკის სპარსულ (ფეჰლევენდ) შესატყვისობას წარმოადგენს. როგორც ფალავანდიშვილებში შემდგომ საუკუ-

¹ შემდეგში სოფლები ნუა და ფუა ვიზიონენ მდ. მტკვრის მორე (მარცხენა) ნაპირზედაც. ვახუშტის რუკაზე უკვე ორი ნუა არის აღნიშნული (მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირას). ფუაც ვახუშტის ჩაწერებები აქვს მტკვრის მხოლოდ მარცხენა ნაპირას, მაგრამ ის იგულისხმება მტკვრის მარჯვენა ნაპირზედაც. ამ სოფლების ნუას და ფუას არეში მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა ბორჯომის მინერალური წყაროები. 1846 წელს ერთს ოფიციალურ საბუთში ამ ადგილების შესახებ ვკითხულობთ: „Хотя действительно деревни Нуа и Папа и окрестные земли, на коих находятся Боржомские минеральные воды, равно и все Боржомское ущелье, принадлежат фамилии князей Аваловых, но только в 1828 году воище Аваловы переселились из Сурамского участка в с. Брети, и всякий по своему желанию избрал деревни и участки земель, заняли, вырубали лес, удобрили их и с того времени занимает всякий свою часть, без всякой претензии с чьей-либо стороны и на друг друга.“

Присовокупили, что преимущественно всего этого отцы показателей князя покойные Иван и Георгий Аваловы прежде всех однофамильцов своих пришли, заняли упомянутые выше деревни: Нуа и Папа, как наследственное их имение и с большими трудами и издержками вырубали дремучий лес, очистили земли и с давних времен закрытые деревьями, камнями и землею минеральные воды открыли оны, где родственники их князя Аваловы в тех двух деревнях никакой земли не занимают“ (ცხა, ფ. 48, საქმე 3455, ფ. 17).

ნებში ხშირი იყო სახელი და გვარი ფალავანდ ფალავანდის შვილი, ასევე სა-
გულისხმებელია შოთას წინაპართა შტოში სახელი მიხრიკი. XVIII ს-ნეში ჩა-
წერილ და აწინდელ გადმოცემათა ვათვალისწინებით ამ შტოს წინაპრის მიხრი-
კის მოქმედების დროდ საგულისხმებელია XI ს-ნის შუა ხანა.

XVIII ს-ნეში ერეკლე II-ის დროს ჩაწერილი გადმოცემით თავადნი ფალა-
ვანდიშვილები იწყებდნენ თავის გვარს თამარ მეფის დროიდან სამცხიდან ში-
და-ქართლში გადმოსვლით.

1783 წლის რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებულ მფარველობითი
კავშირის ტრაქტატს თანდართული ჰქონდა ქართლ-კახეთის თავადების და
აზნაურების სია მათი გვარების წარმოშობის მოკლე ცნობებით. თავად ფალავან-
დისშვილების შესახებ იქ ვკითხულობთ: „ესენი იყვნენ მოსახლენი პირველ ნახ-
ჩევანის ნაწილსა შინა, ერინჯაქად წოდებულსა, და სცხოვრობდნენ მუნ წელსა
ქრისტეს აქეთ 1184-სა. ხოლო უკანასკნელ ამათნი წინაპარნი სიავაკისა
გამო მეფემან სომეხთამან გამოარეკნა და მოვიდნენ ახალციხეს და მუნ სცხოვ-
რობდნენ. შემდგომად ამისა წელსა 1600, რა დაიპყრეს საათაბეგო (!) თურქთა,
მაშინ მათგანი რომელნიმე გაათარდნენ და დარჩნენ ახალციხეს, ხოლოს სხვანი
გარდმოვიდნენ და მეფემან ლუარსაბ უბოძა მამული ძალინის ხეობასა შინა და
დაასახლა მუნ და ვინაიდგან ძველადცა იყვნენ კეთილნი და მესამე ხარისხის
თავადად იხსენიებოდნენ, ამა მეფემან ლუარსაბმან მიიღო მესამისა თავადობი-
სა ხარისხითა წელსა ქრისტეს აქეთ 1615-სა შინა და იწოდებიან ფალავანდი-
ანად, ვინათგან ამათგან გვართა პირველ ჟამსვე ფალავანობისა გამო გაუგვარდათ
(იგულისხმება — ეს სახელი) და აწლა რიან ესენი მოსახლეთ: 1) გლახასშვილები
2) ზურაბისშვილები, 3) როსტომისშვილები... 6) ზაალისშვილები, 7) ბერის-
შვილები, ხოლო რომელნიმე სახლობენ იმერეთს“. (ბოლო ხანებში თავად
ფალავანდიშვილთა შორის ცნობილი იყო ამ გვარის ოთხი შტო: ბეციანი,
ბეჟიანი, ფერშანგიანი და კიდევ ერთი შტო).

ამგვარად, ფალავანდისშვილების ერთი შტო, როგორც ეს ერეკლე II-ის
დროინდელი ამ ცნობიდან ჩანს, ძველი დროიდან დარჩენილა სამცხე-ჯავახეთ-
ში. ეს ჩანს იქიდან, რომ 1890 წლის ცნობით (იხ. 1891 წლის კავკასიის კალენდა-
რი) ახალ ქალაქის მაზრაში აღნიშნულია ექვსი დიდი მემამულე ფალავანდი-
შვილი (წერილი მემამულეები იქ დასახელებული არ არიან). ესენი არიან: ბეგი
ფალავანდიშვილები (ხუთნი) მონაწილენი 3679 დესიატინა მამულისა 14 სხვა-
დასხვა ადგილას; მიწის ფართობს შორის 1564 დეს. პირველ ხარისხისადაა მიჩ-
ნეული. ცალკეა აღნიშნული მემედ ალი-ბეგ ფალავანდიშვილი, რომელსაც ყარ-
ზახის სასოფლო საზოგადოებაში, ჯავახეთის სამხრეთ-დასავლეთ კიდეურ ნაწილ-

ში 15 ნაკვეთად ჰქონდა 3783 დეს. მიწა, მათ შორის პირველი ხარისხისა — 1656 დეს. ყარზახიდან სამხრ.-დასავლეთით ჩახრახისწყალის სათავემდე 20 კმ. იყო. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გვარის მიხედვით სამცხე-ჯავახეთის ბეგები ფალავანდიშვილები მიხრიკისძეების ჩამომავალნი იყვნენ.

ჩახრახის-წყალის სათავესთან ახლოს, მთა ზიარეთის დასავლეთით, აღზი-ყარასთან არის ადგილი ფალევანვირდი, ე. ი. თურქულად ფელივანვერდი — ფალავანმა მოგვცა, ფალავანის მოცემული. სიტყვა ფალავანი სპარსულიდან შესულია თურქულში და უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივი სახელის წინანდელ სპარსულ თარგმანს. ამით მტკიცდება, რომ ჩახრახელები მართლაც მიხრიკისძეები, ე. ი. ამ სახელის სპარსული თარგმანით ფალავანდის (ფალავანის) შეილნი არიან. მგონი, აქ უნდა იგულისხმებოდეს თვით შოთა რუსთაველის ძმად საფიქრებელი მიხრიკი ჩახრახელი, რომლას სახელი სპარსული ტერმინით ფალავან-ფალავანდად არის საგულისხმებელი.

იქვე ახლოს იხსენიება კიდევ აგრივირდი¹.

შეიძლება ამ სახელთა სხვაგვარი ახსნაც. იმავე არეში მთების სახელებია სანგმარ-აურტ, თოხლი-აურტ, სადაც აურტ თურქულად ნიშნავს კარავს, სადგომს. ამისდაგვარად სავარაუდებელია ფალევანვირდი იყოს გადამახინჩებული ფალავანაურტ, ხოლო აგრი-ვერდი არის აგრიაურტ.

საყურადღებოა, რომ ცნობა ყველაფერ ამის შესახებ ახლაც დარჩენილია ფალავანდიშვილებში. გადმოცემით, ერთ-ერთი ბრძოლის დროს ქართველების მხრივ მორკინალედ (მოჭიდავედ) გამოვიდა ფალავანდიშვილების წინაპარი და სპარსელების მხრივ (ასე უწოდებდნენ XI—XII ს-ნეშიც ქართველები თურქ-სელჯუქებს) მათი ფალავანი. პირობა ასეთი იყო — სისხლის ღერის მაგივრად ვაჟიდაოთ ფალავნები და რომლის ფალავანიც გაიმარჯვებს, ის მხარე იქნება გამარჯვებულო. ამ შებრძოლებაში ქართველების ფალავანმა დასცა სპარსელების ფალავანი და გამარჯვება ქართველებს დარჩა. ქართველების მეფე შეეკითხა გამარჯვებულ ფალავანს, რა საჩუქარს მოითხოვო. ფალავანმა უარი თქვა ჯილდოზე და როდესაც მეფემ დაიჟინა, მაშინ მან მოითხოვა — ხარის ერთი ტყავის ოდენა მიწა მიბოძეო. იმ დამეს ფალავანმა დასჭრა წვრილ თასმებად ერთი ხარის ტყავი და მეორე დღეს მიიღო თასმების სიგრძის კარგა მოზრდილი მიწა (მთქმელი ვას. ფალავანდიშვილი). ამ გადმოცემაში სწორია პირველი ნახევარი მაინც ფალავნების შებრძოლების შესახებ, რადგანაც ასეთ შემ-

¹ საქ. ისტ. გეოგრაფიული კრებული II, 147— ილ. სიხარულიძე, მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის.

თხვევებს სისხლის ღვრის მაგივრად ბრძოლის შედეგის გადასაწყვეტად ადგილი ჰქონდა როგორც ადრეულ ფეოდალურ ხანაში, ისე შემდეგაც.

სხენებულ გადმოცემაში, რომელსაც თითქოს ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად, უნდა იგულისხმებოდეს თურქ-სელჯუკთა მიერ 1045 წ. ანისის აღების შემდეგ ქართველების და ბერძნების (ბიზანტიელების) ერთიანი გალაშქრება განძაზე. ამ განძას მაშინ თურქ-სელჯუკები (რომელთაც ქართველები სპარსელების სახელითაც იცნობდნენ) შემოდგომოდნენ. თურქნი უბრძოლველად გაეცალნენ განძას (1045 წ.). ხომ არ ჰქონდა მაშინ ადგილი ქართველ და თურქ ფალანგების შებრძოლებას? დაახლოებით ამ ხანაში არის მოსალოდნელი მიხრაკისძის შტოს დასაწყისი სამცხის ხევში (ხეობაში), ე. ი. ახლანდელ ბორჯომის ხეობაში.

მაშასადამე, ფალანგდღიშვილები მოსული არიან ახალციხის მხარიდან, სამცხიდან. მათი თანამოგვარენი XVIII ს-ნეში ნაწილობრივ იმყოფებოდნენ ახალციხის მხარეშივე, როგორც მაჰმადიანობაში გადასულნი.

ძველიდანვე ისინი იყვნენ „კეთილნი და მესამე ხარისხის თავადად იხსენიებოდნენ“.

ფალანგდღიშვილების გვარის დაწყება საქართველოში მიეკუთვნება 1184 წელს, ე. ი. თამარ მეფის ხანას. ვახუშტით, თამარი გამეფდა 1174 წელს და გარდაიცვალა 1201 წელს და ასე ფიქრობდნენ XVIII ს-ნეში. მაშასადამე, 1184 წელს ამ ანგარიშით თამარის მეფობის მესამედი გავლილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ფალანგდღიშვილების დასაწყისად 1184 წლის აღნიშნვა უნდა გულისხმობდეს თამარ მეფის დროინდელ სხვა ფაქტს. თითქოს XVIII ს-ნეში ფალანგდღიშვილების გვარში ჯერ კიდევ უნდა არსებულებოდა გადმოცემა ამ გვარის დაკავშირების შესახებ თამარ მეფის სახელთან და ამით უნდა აიხსნას ხსენებული თარიღის (1184 წლის) წარმოშობა ფალანგდღიშვილების გვარის დასაწყისად.


მართალია, ერეკლე II-ის დროინდელი ცნობა ფალანგდღიშვილების გადმოსვლას ქართლში ლუარსაბ II-ის (უნდა იყოს ლუარსაბ I-ის) ხანას მიათვლის. მაგრამ უფრო აქ იგულისხმება ფალანგდღიშვილების იმერული შტოს გადმოსვლა ქართლში, რომელიც მართლაც შეიძლება მიახლოებით ამ დროს მომხდარიყო (ამაზე იხ. გვ. 264). სინამდვილეში კი ფალანგდღიშვილების ქართლს მყოფობა ბევრად უფრო ძველი დროიდან მოდის, რაც ჩანს შემდეგიდან.

უძველესი ცნობა ფალანგდღიშვილების შესახებ ჩვენ გვაქვს ქუცნა ამირეჯიბის საბუთში ულუმბის მონასტრის სახელზე (ამ საბუთის დედანი დაკარგულია). ამ საბუთში ქუცნა ამირეჯიბი, რომელიც ალექსანდრე მეფის პაპა იყო დედის

მხრივ, შემდეგს გვაძნობს: „როდეს ფალავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ-
მეფემ ალექსანდრემა შეხუთა ალი, ორნი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყა-
ვები დაჰქადეს და ბზით დატენეს ალინჯას, აიღეს მისად სანუქფოდ (იგულისხ-
მება მცირე ქალაქი ალი). კიდევ შეგვიწყალნა ჩუენ და ჩუენგან აშენებული
ალი ისრევე გუიბოდა“.

საჭიროა გაირკვეს ამ ალექსანდრე მეფის ვინაობა.

იმავე საბუთის მიხედვით შეიძლება დადგინდეს ქუცნა ამირეჯიბის ჩამო-
მავლობითი შტო შემდეგნაირად (ქრონოლოგია მოცემულია მიახლოებით):



როდესაც სიგელში მოხსენებულმა მეფე ალექსანდრემ „შეხუთა ალი“, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო, როგორც ეტყობა, რაღაც მოძრაობა ილხანების ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქუცნა ამირეჯიბის პაპის ორი ძმა. ფალავანდიშვილიც და ქალაქი ალიც ამ მოძრაობის მხურვალე მონაწილენი იყვნენ. ეტყობა, საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალე თანაუგრძობდა ამ მოძრაობას და ალბათ მას თვითონაც ხელმძღვანელობდა. ილხანების ხელისუფლების დეალებით ლიხთ-იმერეთის მეფეც გაილაშქრა მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ და ალყა შემოარტყა ქალაქ ალს. ქუცნას გვარიდან ორი ძმა შეიპყრეს და თათართ წაასხეს ალინჯას (მდ. არეზის მიმდგომ მხარეში), სადაც ისინი წამებით დახოცეს. რა მოუვიდა ფალავანდიშვილს, არაა ცნობილი.

აქ მოხსენიებული ალექსანდრე ლიხთ-იმერეთის მეფეა. დავით ნარინს


(დაიბ. 1228 წლის ახლოს) ჰყავდა სამი შვილი — კონსტანტინე და მიქელ (დაიბადნენ 1253—1255 წლების ახლოს) და მესამე კიდევ ალექსანდრე, რომლის დედა იყო ბიზანტიის იმპერატორის მიხაილ VIII პალეოლოგის (1261—1282) ასული. მიხაილი დაიბადა 1227 წ., მისი ასულის გათხოვება დავით ნარინზე საგულისხმებელია არა უადრეს 1268—1270 წლისა. ამიტომ ალექსანდრეს დაბადება სავარაუდებელია 1272—1275 წლებში.

დავით ნარინის სიკვდილის შემდეგ ლიხთ-იმერეთში გამეფდა შვილი მისი კონსტანტინე, რომელსაც წინააღმდეგა ძმა მისი მიქელ. მიქელს ეკავა რაჭა-არჯვეთი. ძმები ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს და მალე დაიხოცნენ. კონსტანტინეს და მიქელის შემდეგ ლიხთ-იმერეთის მეფედ საგულისხმებელია ხსენებული ალექსანდრე 1300—1308 წლების ახლოს.

ამ ალექსანდრეს შემდეგ აფხაზეთ-იმერეთის მეფედ უნდა ყოფილიყო კონსტანტინე (ალბათ მიქელის ძე), რომელიც ქართლის (ე. ი. საქართველოს) მეფედ იხსენიება დიმიტრი თავდადებულის შვილის ვახტანგის ძე დიმიტრისთან ერთად პეტრიწონის (ბულგარეთში) ყოფილ ქართული მონასტრის ხატის 1311 წლის წარწერაში. საფიქრებელია, მისი მეფობა მოდის 1308—1325 წლების ახლო ხანაზე.

ამ კონსტანტინეს შემდეგ აფხაზ-იმერეთის მეფედ იყო მიქელი (ალბათ მისი შვილი) 1325—1340 წწ. ახლოს (მოწვენილია მისი 1326 წლის საბუთი).

აფხაზეთის იმერეთის ამ მეფეთა გენეალოგია დაახლოებით ასეთია:



ამგვარად, 1300—1308 წლების ახლოს ქართლის ფალავანდიშვილი აქტიურად მონაწილეობს მოძრაობაში მონღოლების წინააღმდეგ. ამ დროს შიდა-ქართლის დასავლეთ ნაწილში ფალავანდიშვილთა გვარი სავსებით განმტკიცე-

ბულად ჩანს და მის იქ მყოფობას უკვე თავისი ისტორია აქვს. ასე ჩანს ულუმბის სიგელის კონტექსტიდან. გვარის ამ სახელით დამწეები პირი ფალავანდი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ეს ფალავანდი 1300—1308 წლების ფალავანდიშვილის (ფალავანდის შვილის) მამისპაპა უნდა იყოს, რომლის ცხოვრების დრო დაახლოებით მოდის (თაობაზე 25 და ხან 30 წლას ანგარიშით) 1160—1230 წლებზე. ეს ფალავანდი, რომელიც შოთას ძმად არის საგულისხმებელი, ამ გვარის ახალი სახელით დამწეები უნდა იყოს. თითქოს სახელი მიხრაიის შეცვლა სპარსულ ფალავანდად პირველად მისი სახით მოხდა. მის შვილთაგან ორი გახდებოდა თავად ფალავანდიშვილთა ორი შტოს (ქართლსა და იმერეთში) დამწეები. ამ მიხრაი-ფალავანდის თუ მის უახლოეს მემკვიდრეთა ხელში მყოფი ახალი სამფლობელო გაჭიმული იყო მთიან ადგილებში დაწყებული მდ. ლიახვის შუა წელიდან ვიდრე იმერეთში მდ. ჯრუჭულას ხეობის ჩათვლით. მთელს ამ სამფლობელოს შემდეგ დაერქვა სახელად საფალავანდიშვილო. ქართლში დიდ მანძილზე (ლიახვის შუა წელიდან ლიხის მთამდის) გაჭიმულ მთას უმეტეს ნაწილად ახლაც სახელად ჰქვია საფალავანდიშვილო მთა.

აკაკი წერეთელი 1897 წელს წერდა: „სოფელ სხვიტორს ორი მთა აკრავსო — გონჯიხევე-კვერეთი და საფალავანიშვილო, რომელიც რაჭამდი უწევს. შუაში ჩამოუღდის მდინარე ჩიხური“ და სხვ. სახელი საფალავანიშვილო ან კორექტურული შეცდომითაა წარმოდგენილი, ანდა უფრო ხალხური დამახინჯებული გამოთქმით საფალავანდიშვილოს მაგივრად. იმერეთშიც ყოფილა, მაშასადამე, შემონახული სახელი საფალავანიშვილო მთა.

ფალავანდიშვილების იმერული შტო საბუთებში დადასტურებულია 1480-იან წლებში შედგენილ დარბაისერთა (დარბაზის წევრთა) სიის მიხედვით. ამ სიაში მოხსენებულნი არიან ფალავანდისშვილი ფარნაოზ და ფალავანდისშვილი ბაგრატი. 1490-იან წლებში და კერძოდ 1495 წელს დასახლებულია კიდევ იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის მდივან-მწიგნობარი ფალავანდისშვილი ფალავანდი. ამგვარად, ერთდროულად იმერეთში ცნობილია სამი ფალავანდიშვილი. XVI—XVII ს-ნეთა მიჯნის ახლოს იმერელ ფალავანდიშვილთა გვარი იმდენად დამცირდა, რომ მათ თავიანთი ციხე მოდინაზე მაჰყიდეს თავად წერეთელს (ცნობა ამის შესახებ მოცემულია XIX ს-ნის ნახევრის მასალებში, კერძოდ პ. გნილოსაროვის მიერ) და ამის შემდეგ იმერელ თავად ფალავანდისშვილების გვარი აღარ იხსენიება.

ზომით ფცის ხეობის სამფლობელო თავად ფალავანდიშვილებისა მოიცავ-

¹ აკაკი წერეთელი, XIII, თბ. 1961, გვ. 252.

და მთლიანად მთიან-ბარიანად დაახლოებით 30×10 კილომეტრს ანუ 40 ათას ჰექტარამდე ტერიტორიას. იმერელი ფალავანდიშვილების სამფლობელოც კაცხის არედან (კაცხის გამოკლებით) ვიდრე ნაქერალას ქედამდე მთები-თურთ მოიცავდა აგრეთვე დაახლოებით 20×15 კვ. კილომეტრს ანუ 30 ათასამდე ჰექტარ ტერიტორიას.

რასაკვირველია, მასალების სიმცირის გამო ამ ორი სამფლობელოს ჩამოყალიბების შესახებ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდის წამოყენება. მაგრამ იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ზემოთ თქმულის საფუძველზე გვაქვს, ხსენებულ ორ სამფლობელოს დასაწყისი მიეცა შოთა რუსთაველის ძმისწულების მიერ. ვახუშტიც ამბობს, ცხადია გადმოცემათა მიხედვით, რომ ერთი და იმავე სათავადო გვარეულობის ქართლურ და იმერულ განშტოებათ (ასეთი გვარეულობანი იყვნენ აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი) „ერთობასა შინა აქუნდათ მამული იმერეთს და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“.

ჩვენამდე მოღწეულია ფალავანდიშვილების 1401 წლის საბუთის ტექსტი. სიგელი გაცემულია საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის მიერ. საბუთის ტექსტს თავი აკლია.

„... და მელვინეთ-უხუცესი, გუეაჯნეს და მოგვაქსენეს, (რათამცა) მუქაფად ჩვენ სამკვიდროდ, სამამულოდ სიგლითა ამით მიუბოძეთ. დაგვაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და ჩიხას დუნთა სამკვიდროთ სამამულო სიგლითა ამით მიუბოძეთ მისითა მითთა, ბართთა, ველითა, მინდორითა, შესავლითა, ჭალითა, წისქვილითა, მზღვრითა სამართლიანითა, საძებრითა და უძებრითა ყოვლითა. გქონდეს თქვენ, ფალავანდისშვილთა ფალავანდსა, მელვინეთ-უხუცესსა ივანეს, ვარდანს, ქირქიშს, შვილთა და მომავალთა თქვენთა ყოველთავე ჩიხას დუნთა მომზღვრებითა მისითა სამართლიანითა ყოვლითა... აწ ვინცა ნახოთ ბძანება და სიგელი ესე შემდგომად [ჩუენთა] მეფეთა, დედოფალთა, კარისა ჩვენისა ვაზირთა, დიდთა და მცირეთა, მერემეთა, შეკულუხეთა, ხორბლის მკრეფელთა, ბაზიართა, მპარავთა, მეძებართა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე ასე დაუმტკიცეთ... დაიწერა ბძანება და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა კვ, ქრონიკონს პთ, ჯელითა ჩვენისა კარისა მწიგნობრის თავკებილისძის მახარებლისათა.

ვამტკიცებ მეფე გიორგი.

მონა ღმრთისა კოსტანტინე ბატონისშვილი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა.

კირიალეისონ. ესე ვითა ღმრთივ გვირგვინოსანსა მეფეთ მეფესა გიორგის

მათნი ერთგულნი ყმანი ფალავანდისშვილი ფალავანდი და ძმანი მისნი მელვინეთ-უხუცესი იოვანე, ვარდან და მათნი შვილნი შეუწყალებია და სამკვიდრო და სამამულო ქვეყანა დუნთა უბოძებია, ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი ელიოზ, ამა სიგელსა კანონითა ვამტკიცებთ¹.

შემდეგ ამტკიცებენ: მთავარეპისკოპოზი გიორგი, მროველი იოვანე, ქუთათელი მთავარეპისკოპოზი ფანოელ¹.

გამოდის, რომ თავად ფალავანდიშვილების იმერული განშტოება საქართველოს განყოფაზე აღრეც ყოფილა იმერეთში. ერთი რამ ვახუშტისეულ გადმოცემაში უნდა იყოს სწორი, სახელდობრ, რომ კერძოდ ქართლის და იმერეთის საფალავანდიშვილოების დამწყებნი ძმები უნდა ყოფილიყვნენ. მე მგონი ამიტომ, რომ მეჭურჭლეთუხუცესის შოთა რუსთაველის ძმას მიეცა სამამულოდ ფცის ხეობა ქართლში, ხოლო იმერეთში საჩხერე და მისი მიმდგამი მხარე ვიდრე ჭრუჭის ხეობის მიმდგომამდე (შოთას ძმასაც რალაც დამსახურება ექნებოდა სახელმწიფოს წინაშე).

შოთას ძმა, სახელით თითქოს მიხრიკა, თავის სახელს ცვლის ახალი (ე. ი. სპარსული) გამოთქმით, რის გამოც მისი შემდეგნი ფალავანდიშვილებად იწოდებიან.

ამგვარად, შოთას ძმა, მიხრიკის სახელით საგულისხმებელი, მცირე აზნაურის მდგომარეობიდან „აღზევებულ იქნა“ (როგორც მაშინ იტყოდნენ) დიდებულის მდგომარეობამდე. ის არის ჩამომავლობით ფცის ხეობის მჭირავი შიდა-ქართლში და მისი მიმყოლი ტერიტორიისა იმერეთშიც, ვიდრე მდ. ჭრუჭულას ხეობამდე ჩათვლით.

ყურადღებას იქცევს ალექსანდრე II იმერთა მეფის მიერ 1488 წელს სასისხლოს გარიგების წიგნი ათ (იმერელ) ფალავანდიშვილთა (სიოაშ, ბევროზ, ზვიად, ბეჟან, ჩიჟან, ფალავანდ, რუსი, შუეჭაბუკ, დავით და ივანეს) და ამირან გაბელიძის შორის (გაბელიძის ძმას მოეკლა ხსენებულ ფალავანდიშვილთა მამა). გაბელიძის იძულებული იყო მიეცა ოქონა (ქართლში) როგორც მონასტერი, ისე სოფელი „სხვითა ეკლესიებითა, გლეხნი მისითა საფუძვლითა და სასახლითა, მთა მისითა სანადიროთა, ბარი მისითა სახნავითა“ და ა. შ.²

ამის შემდეგ იმერელ თავად ფალავანდიშვილებს ქართლში გაუჩნდათ მტკიცე ბაზა — ცნობილი მონასტერი ოქონაში, ოქონის დიდი სოფლით, რო-

¹ საბუთის ფრანგული თარგმანი შემოკლებულად გამოქვეყნებული ჰქონდა მ. ბროსეს (იხ. ამის შესახებ ს. კაკაბაძე, „გენეალოგია ღიღის ალექსანდრე მეფისა“, 1913 წ.)

² ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტ. მოაზრე 1924 წ. II, 23—25.

მელსაც რამდენიმე ეკლესია ჰქონდა, მაშასადამე, მისი მოსახლეობაც რამდენიმე ანდა ბევრ ათეულ მეკომურთაგან შედგებოდა. ამის შესახებ შემდეგ უფრო XVI ს-ნის პირველ ნახევარში იმერეთის თავად ფალავანდიშვილებს რალაც შემთხვით და ძლიერ დიდი სისხლის გადახდის აუცილებლობის შედეგად მათ მიჰყიდეს თავად წერეთლებს თავისი საგვარეულო მონასხის ციხე მისი შემავალი სოფლებით, აგრეთვე საგვარეულო სამარხი მონასტერი ჭრუჭში სამონასტრო გლეხებით და სხვა მამულები, თვითონ კი გადმობარდნენ შიდაქართლში. ოქონის სოფელი თავისი სახელმოხვეჭილი მონასტრით მათ ამ დროს ძლიერ გამოადგებოდათ. იმერეთიდან გადმოსული ფალავანდიშვილები თუმცა ამის შემდეგაც თავადებად ითვლებოდნენ, მაგრამ იმ როლს, რომელიც მათ იმერეთში ჰქონდათ, ქართლში უკვე ვეღარ ასრულებდნენ.

ამირეჯიბების გვარის წარმომავლობა. ფალავანდიშვილების შესახებ ერეკლე II-ის დროინდელ ზემოთ მოხსენებულ ცნობას ქართლ-კახეთის თავადების წარმომავლობის ზემოთ ციტირებულ თხრობაში თან მისდევს ცნობა თავად ამირეჯიბის შესახებ: „ამირეჯიბნი არიან ესენიც ძველადვე ფალავანდიანთა გვარისანი, რომელთაცა აქვთ მამულნიცა ურთიერთ შორის შერევენილნი. გარნა ამირეჯიბობაი გაუგვარდათ სახელოსა გამო, ვინაიდგან ამირეჯიბი ნიშნავს საქმის მომხსენებელსა მეფისასა, რომელიცა ნიშნავს დაკლადიკს. ხოლო ესენიცა არიან ახალციხიდგანვე მოსრულნი ქართლში, რომელნიც სახლობენ ზემო-ქართლსა შინა ზემო ამირეჯიბად და ქვემო ამირეჯიბად. ზემონი ჭარიან დავითის შვილები, ხოლო ქვემონი — ზაზას შვილები, ასპანის შვილები. რომელნიმე ამათ გვარნი სცხოვრებენ იმერეთს აზნაურად და რომელნიმე ახალციხეს ბეგებად წოდებულნი“.

ეს ცნობა მოცემულია თვით თავად ფალავანდიშვილების და უფრო კიდევ ამირეჯიბების მიერ, ყოველ შემთხვევაში შედგენილია ერთ-ერთი მათგანის დახმარებით. ცნობის მომცემი იცნობს ქუცნა ამირეჯიბის სიგელს ულუმბის მონასტრისადმი და ამიტომ დეტალი ფალავანდიშვილ-ამირეჯიბების სომხეთის ერინჯაქიდან წარმომავლობის შესახებ აშკარად ესმაურება ხსენებული სიგელის ცნობას ამირეჯიბის გვარიდან ორი წევრის შეპყრობის, დახოცვის და მათი გვამების აღინჯაში ბზით დატენის შესახებ. ცხადია, რომ ცნობა ამირეჯიბის სომხეთიდან წარმომავლობის შესახებ როგორც ხსენებულ ფაქტზე აგებული, აშკარად მოგონილია და არ შეეფერება სინამდვილეს.

მთელი ცნობა მინც იძლევა ასეთ უტყუარ ფაქტებს:

1) ქართლის ამირეჯიბები და საერთოდ ფალავანდიშვილები ერთი წარმომავლობისა არიან.

2) გვარი ფალავანდიშვილებს შერქმევიათ მათი წინაპრის თუ წინაპართა კარგ ფალავანდ მყოფობის გამო;

ქართლის ამირეჯიბები XIV ს-ნეში იმდენად მნიშვნელოვან გვარს წარმოადგენდნენ, რომ მეფემ კონსტანტინემ (1407—1412) ბატონიშვილობაში ცოლად შეირთო ქუცნა ამირეჯიბის ასული ნათელა ანუ ნათია. ქუცნას ცოლი რუსა, მეფის ალექსანდრე I-ის ბებია, ბევრს იღვწოდა მცხეთის სვეტიცხოვლის აღდგენისათვის. როდის გაჩნდა ეს თავადური გვარი შიდა-ქართლში?

ულუმბის მონასტრისათვის ქუცნა ამირეჯიბის მიერ 1410 წლის ახლოს ბოძებულ და ზემოთ ციტირებულ სიგელში ქუცნა თავისი წინაპრის სიგელიდან ამოღებული ციტატით ამ წინაპრის სახელით შემდეგს გვამცნობს: „შევსწირეთ (ულუმბის მონასტერს სოფელი წალვლი, ნასყიდი და ნამზითვი მხეიძისაგან. შევსწირეთ, ოდეს წარგუიჩინა თვით და ამისად სპასალარად რუსუდან მეფემან ლაშქარსა სპარსისასა და გაგუემარჯვა. მინდორს შევიბენით და ამოვსწყუიდეთ. მოვართვით დროშა, ნალარა და თაჯი თვთვან მალლისა სულთნისა და გვყო წყალობა გვიბოძა ჯილდოდ, რაც ვიაჯეთ — ლომინაძისაგან გამოტანებული მზითვეი ბებუის ჩემისათვის წირქვალი და ზოლი მონასტრისა ჩუენის მოსახსენებლად და შესაწირავად მსხვერპლისა ჩუენისა ყოვლად წმიდისათუნ, ნაოხარი სოფლები დოდორა, ლიჩი და გოლისი, უწლვეი, ბობოკინი, ბროლოსანი და აძქსი და რაჲც გამოსაღები და ბეგარი გაგვეჩინოს, მოძღვართ-მოძღვარსა მიუბარებდეს, თორმეტს საუფლოს დღეს ეამს გვწირევდეს საულუმბოს მღუდლითა და კარგადებულს ალაპს გარდაიხდიდეს და დროშაცა შევსწირეთ მეხოიშნესა ჩუენსა და თაჯი მრავალძალსა. ზ მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო, ნუეინ გაგვკუდებთ ქირნახულსა ამას ჩუენსა, ნუ ვინ მოგვიშლით ალაპსა და შეწირულსა ამას ჩუენსა, რამეთუ აღვესრულენით მეფეთა ჩუენთათუნს და დავსთხიეთ სისხლი ჩუენი ვადიდებისათუნს. მოეკეთუნეს თავნი ქელმწიფეთა წინა სამოცდაერთისა აგარიანთა ქელითა“... (წყვეა, ვინც ეს მოშალოს).

ეს ციტატა ქუცნას, ცხადია, მოჰყავს რუსუდანის დროინდელი თავისი წინაპრის შეწირულების საბუთიდან, საიდანაც ირკვევა შემდეგი. ჯელალ-ედ-დინის შემოსევათა და მასთან ომების დროს (1225—1230 წლებში) ქუცნას წინაპართ მოსვლიათ დიდი ზარალი — 61 კაცი თვითონ ისინი (მათნი მემორებით?) აგარიანთ (ე. ი. მაჰმადიანებს, ამ შემთხვევაში სპარსელებს) შეუპყრიათ ტყვედ და ყველასთვის თავები დაუყრვენიებიათ. შემდეგ ქუცნას წინაპარს გაუმარჯვნია ჯელალ-ედ-დინის ერთ რაზმზე — მას ხელთ უგდია ამ რაზმის დროშა და რაზმის უფროსის, თვით სულთანის მიერ ნაბოძები თაჯი. ყველაფერი ამისთვის

რუსუდანს უწყალობებია ქუცნას წინაპრისათვის ზემო-იმერეთის მთა ადგილებში 6 ნაოხარი მცირე სოფელი (სოფლები დაცარიელებული იქნებოდნენ ჭვალ-ელ-დინის შემოსევათა შედეგად ან მისივე მოთარეშე რაზმების თავდასხმათა შიშით).

ქუცნას წინაპრის ბებიას, ლომინადის ქალს, მზათევად ჰქონდა შემოტანილი მთის სოფელი წირქვალი, მხეიძისაგან კიდევ ნამზითვი იყო მთისევე მცირე სოფელი წალვლი.

რა გვარისა იყო ზემოთ ხსენებული ქუცნა ამირეჯიბი და მისი წინაპარი? იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპების წიგნში (§ 70) 19 ნოემბრისათვის დაწესებულია „აღაბი საუკუნო გაბელიძისა ქუცნასი“. ხელის მიხედვით ეს ჩანაწერი ეკუთვნის 1400—1410 წლების ახლო დროს, ე. ი. გულისხმობს სწორედ ულუმბის მონასტრისთვის ზემოთ დასახელებული სიგელის მიმცემს. ცხადია, მაშასადამე, რომ XIV—XV ს-ნეთა ქართლის ამირეჯიბები გაბელისძის ანუ გაბელიძის გვარისანი იყვნენ. მაგრამ ამის გარდა არსებობს ამის დამამტკიცებელი სხვა ცნობებიც.

1451 წელს ქართლის კათალიკოს-პატრიარქის დავითის სახელზე მცხეთის სეკტიცხოვლის საყდრისთვის შეწირულების წიგნს წერენ გაბელისძენი ამირეჯიბი რამინ (მოხსენებულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში) და მცხეთის საყდრის ამილახორი, რამინის ძმა საპამი. ისინი სწირავენ მცხეთის საყდარს გლეხებს კრცხილოვანში და ერგნეთში (კრცხილოვანთან). ორივე ეს პუნქტი ამირეჯიბთა სამფლობელოშია საგულისხმებელი¹.

სახელი რამინიც ორჯერ გვხვდება ქუცნა ამირეჯიბის შეწირულობის წიგნში ულუმბოს მონასტრის სახელზე როგორც ამირეჯიბთა გვარეულობაში ჩვეულებრივი სახელი. არავითარი ეჭვი არაა ამიტომ, რომ 1451 წლის რამინ ამირეჯიბი 1410 წლის ახლოდროინდელი ქუცნას ჩამომავალია და სახელის მიხედვით მისი შვილის რამინის შვილიშვილი, ასეთი ვარაუდით: ქუცნა დაიბ. 1350 წლის ახლოს, შვილი მისი რამინ დაიბ. 1375 წლ. ახლ., ამისი შვილი (აღბათ ქუცნავე — 1400 წლ. ახლ. და ამ უკანასკნელის შვილი რამინ დაიბ. 1425 წლის ახლოს.

გამოდის, რომ XIV—XV ს-ნის ამირეჯიბები აღმ. საქართველოში გვართი გაბელისძენი ყოფილან. ხოლო რადგანაც ამირეჯიბი, ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით, ფალავანდიშვილებისთვის უფროს შტოს წარმოადგენდნენ, ამიტომ თავადნი ფალავანდიშვილებიც გაბელისძენი ყოფილან. აქედან ირკვევა

¹ ს. კაკაბაძე, „ისტორ. საბუთები“ II, 1913, გვ. 7—10, შეად. თ. ქორღანიას „ქრონიკები“ II, 261.

შოთა რუსთაველის გვარიც, სახელდობრ მისი გვარი იყო გაბელისძე, მიხრიკის-ძე — ფალავანიშვილი კი წარმოადგენდნენ ამ გვარის ერთ-ერთ შტოს.

ქუცუნა ამირეჯიბის წინაპარი 1225—1230 წლებში მოღვაწე პირია. მის პაპს იმერელ აზნაურ ლომინაძისაგან მზითევეში სოფელი წირქვალი შეეძლო მიეღო 1170-იან წლებში და 1180 წლის ახლოს. მაშასადამე, ამ დროს გაბელის-ძეთა ერთი შტო უკვე შიდა-ქართლის დასავლეთ ნაწილში იყო მოზინადრედ როგორც მფლობელი დიდ-აზნაური. ამირეჯიბობა კი გაბელისძეებს შეიძლება მიეღოთ XII ს-ნეში ანდა მცირეთ უფრო გვიანაც, ვთქვათ XIII ს-ნის პირველ ნახევარში. XIII ს-ნის პირველ ნახევარზე გვიან ეს არ უნდა მომხდარიყო, რადგანაც ქუცუნა ამირეჯიბს XIV ს-ნის დასასრულში ეს თანამდებობა გვარის სახელად აქვს თავის ოჯახში განმტკიცებული.

ქუცუნას სიგელში დასახელებულნი ლომინაძე და მხეცისძე (მხეიძე) XV ს-ნის დასასრულში სხვა თავადებთან ერთად ითვლებოდნენ იმერეთის და საერთოდ აფხაზ-იმერეთის სამეფოს რჩევის წევრებად. ის გარემოება, რომ XII ს-ნეში ორივე ამ გვარის წევრები თავიანთ ქალებს მზითვად აძლევენ თითო სოფელს (თუნდაც ეს სოფლები მცირენი ყოფილიყვნენ), ცხადყოფს, რომ ამ ხანაში ლომინაძე, მხეცისძე და თვით გაბელისძე მაღალ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ. ისინი უნდა ყოფილიყვნენ დიდებულები ან ციხიანი აზნაურები მაინც და ამიტომ ბევრად მაღლა იდგნენ ჩვეულებრივ აზნაურებზე. გამოდის, რომ გაბელისძენი შიდა ქართლში გადმოსულან დაწინაურების და ახალი მამულ-სამფლობელოს მიღების შედეგად, ალბათ, XII ს-ნის შუაში ან უფრო კიდევ ამ საუკუნის პირველ ნახევარში. ამგვარად შოთა რუსთაველს შიდა-ქართლში უკვე ჰყავდა თავისი გვარის წევრნი, რომელნიც XII ს-ნეში უფრო დაწინაურებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მაღალ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ. რასაკვირველია, შოთასთვის ამ გარემოებას ექნებოდა დადებითი მნიშვნელობა.

თუ შოთას ძმას შიდა-ქართლში, ვთქვათ, 1200-იან წლებში, მიეცა სამფლობელო, შეიძლება ადგილის შერჩევა მოხდა მისივე თხოვნით, თავისი მოგვარეების მეზობლად მოხვედრას მიზნით.

ამასთანავე არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ასეთ გარემოებას. ამ მხარეში არსებობს ორი თამარაშენი, რომელთაგან ერთი ცხინვალის ზემოთაა სამიოდე კმ-ით (ჩრდილოეთით) და მეორე მდ. ფცის-წყალზე ოციოდე კმ-ზე პირველის სამხრეთ-დასავლეთით, ახლოს ამირეჯიბების ბოლოდროინდელ სამფლობელოსთან. ხომ არაა ორივე ეს თამარაშენი თავდაპირველად წარმომდგარი ერთსა და იმავე დროს. ფცის-წყალის თამარაშენის შესახებ არსებობს

ხალხური ვადმოცემა, რომ ის და მისი დასავლეთით მდებარე საციხურის ციხე თამარ მეფის დროს არიან გაშენებული.

დასტურდება, რომ გაბელისძეთა ორივე შტო თავთავიანთი სამფლობელოებით XII ს-ნის ბოლოში ანდა 1200-იანი წლების ახლოს (უფრო 1195—1205 წლებში) უკვე არსებობენ და ორივე შტოს შეუქმნია თავისთან ახალი სოფელი თამარაშენი. შემდეგში თითქოს ეს მეორე თამარაშენიც ამირეჯიბების ხელიდან გადასულა ფალავანდიშვილების ხელში.

გაბელისძეთა და ფალავანდიშვილების გადმოსულა სამცხიდან შიდა-ქართლსა და იმერეთში ხდებოდა შემდეგი თანდათანობით. პირველად გადმოვიდნენ საკუთრივ გაბელისძენი, რომელთაც XII ს-ნის მეორე ნახევარში უკვე ჰქონდათ დიდებული ანდა ყოველ შემთხვევაში ციხიანი (ე. ი. დიდ) აზნაურის მდგომარეობა. მათ ეკავათ სოფლები და ადგილები გაბნევით, ე. ი. სამეფო და საეკლესიო მამულ-გლეხებთან აღრევით მდ. ლიახვის დასავლეთით, ვიდრე ლიხის მთამდე — ერგნეთის (ცხინვალთან) ოქონა-ალის ხაზით და ამ ხაზის უფრო სამხრეთით, ვიდრე ჩრდილოეთით. ეს იყო ნაწილობრივ ნოყიერი ბარი ადგილები, ხოლო უფრო მეტად დაბალი სიმაღლის მთაგორიანი მხარე.

საკუთრივ (ე. ი. მთავარი შტოს) გაბელისძეების შემდეგ შიდა-ქართლში სამფლობელო მიიღო შოთა რუსთაველის ძმამ. ეს იყო გაბელისძეთა სამფლობელოს ჩრდილოეთით მთლიანად მთა-ადგილები, მდ. ლიახვის დასავლეთით, დაწყებული თამარაშენიდან ქუერთასა და აჩაბეთიდან ვიდრე რუსთავის და შახ-არადეთის მთებამდე და ამის დასავლეთით გადადიოდა იმერეთში, ვიდრე ჭრუჭის ხეობის მიდგომამდე. ამ სამფლობელოს ცენტრალური მნიშვნელობის ერთ-ერთ პუნქტად თითქოს იყო შოთას ძმის მიერ ახლად დაარსებული რუსთავი და შემდეგში ნული, სადაც მოწვენილა სასახლის და სხვა ნაგებობათა დიდი ნაშთი (ნული თითქოს მოგვაგონებს ხევში მტკვრის ორსავე ნაპირას მდებარე ნუა I-ს და ნუა II-ს ახლანდელი ბორჯომის ადგილას).

მთავარი მნიშვნელობა აქ აქვს სოფლის სახელის რუსთავის წარმოჩენას. დაახლოებით რვა კილომეტრზე ახლანდელი სოფელ რუსთავის ჩრდილოეთით არის მთა რუსთავი. ეს სახელი, ცხადია, წარმოიშვა ხსენებული სოფლის სახელიდან (მთა ოდესღაც, ეტუობა, ეკუთვნოდა სოფელ რუსთავს). მაშასადამე, სოფელ რუსთავისთვის თავდაპირველად მიკუთვნებული ყოფილა საკმაოდ ვრცელი მთიანი ადგილი დაახლოებით ათი ათასამდე ჰექტარი ფართობისა (ან მეტიც).

ეს ახლანდელი სოფელი რუსთავი მდებარეობს მთაგორიან მხარეში და, როგორც რუკის წაიკთვიდან ჩანს, მდებარეობს ზუვიდან დაახლოებით 1400 მეტრის სიმაღლეზე. ის წარმოადგენს დამრეც ფერდს. დასახლება ამჟამად ორი

მდინარის წყალგამყოფ გორაზეა. სოფ. რუსთავეში 1942 წელს იყო 112 კომლი (გვიან ჩამოსახლებული ოსები).

როგორც ამ მოკლე ცნობიდან ჩანს, სახელი რუსთავი ამ ადგილისათვის არის ხელოვნური და გადმოტანილი უნდა იყოს სხვა ადგილიდან რაიმე საგვარო მოსაზრებით ანდა ღირსშესანიშნაობის მიზეზით. ყველაზე უფრო სწორი უნდა იყოს, თუ ვიფიქრებთ, რომ სახელი გადმოტანილია შოთას ძმის მიერ მის ახალ სამფლობელოში თავისი მშობლიური ადგილიდან და უფრო სახელგანთქმული ძმის შოთას პატივისცემით.

შოთას ძმის შემდეგ, ვარაუდით, მისი სამფლობელოს ის ნაწილი, რომელიც ქართლში მდებარეობდა, დარჩა მის უფროს შვილს, ხოლო იმერეთში მყოფი სამფლობელოს ნაწილი მეორე შვილს. ამ ორი ძმისაგან (შოთას ძმის-წულთაგან) წარმოიშვა თავად ფალავანიშვილების ორი შტო — ქართლისა და იმერეთისა. ვახუშტის სწორედ ასე აქვს ახსნილი ფალავანიშვილების ამ ორი შტოს წარმომავლობა ორი ძმისაგან, რომელთაგან ერთი მოთავსდა ქართლის და მეორე იმერეთის საფალავანიშვილოში.

თავად ფალავანიშვილების ცალკე შტო, რომელიც შოთას მეორე ძმის-წულისაგან უნდა მოდიოდეს, დასახლდა ზემო იმერეთის ჩრდილო-მთიან მხარეში მდ. ყვირილის ხეობის ზემო ნაწილში. აქ გაშენებულიქნა ცენტრალური მნიშვნელობის მოდინახის ციხე და ამ კუთხის ცენტრი გადმოტანილ იქნა ჩიხადან (ეს იყო საერისთაოს ცენტრი IX ს-ნის უკანასკნელ მეოთხედში და ალბათ შემდეგაც) მოდინახის ციხის ძირიდან ახლად გაშენებულ სოფელ საჩხერეში.

თავადი ამირეჯიბები და თავადი ფალავანიშვილები ერთი გვარიდან რომ მოდიოდნენ, ცნობა ამის შესახებ მტკიცედ იყო დაცული ბოლო დრომდე, ასე რომ ქორწინება ამ ორი გვარის წევრთა შორის ფაქტიურად აღკვეთილი იყო და თუ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ეს იწვევდა დიდ მითქმა-მოთქმას ორივე გვარის წევრთა შორის. ნათესაობის გრძნობა ამ ორ გვარს შორის ცოცხალი იყო შვიდი და მეტი საუკუნის სიგრძეზე.

სხვა გაბელისძეთა შტოების უმეტესობა დარჩა ადგილებზე წინანდელ მდგომარეობაში. სამცხეში ისინი აზნაურები იყვნენ და ამ მდგომარეობაში დარჩნენ. იმერეთში იყვნენ აზნაურნი გაბელისძენი. მოღწეულია იმერელ გაბელისძეთა სახელზე 1512 წელს იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ გაცემული სასისხლო სიგელი¹, საიდანაც ჩანს, რომ გაბელისძენი იმერეთში აზნაურის (მართალია, პირველხარისხოვანი აზნაურის) მდგომარეობაში მყოფად ითვლებოდნენ.

¹ ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტ. შოამბე 1924 წ., II, გვ. 34 — 35.

ქართლში არის გაბელაშვილის გვარი.

ოდიშში არის ყოფილი სადადიანო (მაშასადამე, სახაზინო) გლეხების გვარი გაბილაია. მათი საბინადრო იყო და არის აბაშის მხარეში სოფ. ნოლო-ხაშში და სხვაგანაც. გადმოცემით, ოდიშის გაბილაიების ძირეულ სამკვიდროს წარმოადგენდა ოქუმი, რომელიც ლამბერტის დროსაც XIX ს-ნეში დალიძე-გაენგურს შორის მდებარე მხარისათვის ცენტრალური მნიშვნელობის პუნქტს შეადგენდა.

რა დამოკიდებულება იყო თითქმის ერთნაირი ანდა ახლო მსგავსი სახელის მატარებელ ხსენებულ გვართა შორის, არ ჩანს. საერთოდ გვარის სახელს გაბელაშვილი — გაბელაია არაფერი არ უნდა ჰქონდეს საერთო გაბელისძეთა სახელთან. სახელი გაბელი იხმარებოდა ბატონურ წრეებში, გაბელა, გაბილაკი უნდა ყოფილიყო გლეხური სახელი (შეად. სახელები ჯავახი და ჯავახა, ივანე და ივანიკა და ასე სხვ.).

მ. ბროსეს თავად ფალავანდიშვილთა გვარი გამოჰყავდა თავად აბაშიძეების ჩამომავლად. სოლომონ I-მა კონფისკაცია უყო ფალავანდიშვილების სამფლობელოს იმერეთში და გადასცა ის თავად წერეთლებსო. ასეთ დასკვნას ის აკეთებდა ჭრუჭის მონასტრის კედელში ჩასმულ საფლავის ერთი ქვის წარწერის მიხედვით: „ქ. ძესა აბაშისა ფალავანდიშვილისა გიორგის შეუწდევნეს ღმერთმა“ და სხვ. მეორე წარწერა, ასევე კედელში ჩატანებული ხუცური ასოებით: „წმიდაო გიორგი, შეიწყალე ფალავანდიანი (ფლდნი) გლახაკი და შვილნი მისნი, ესე სქეტი ჭრუჭისაჲდ შექმნა“¹. აქ იხსენიება გლახაკი (სახელია, როგორც, მაგ., გლახა, გლახუა) ფალავანდიშვილი, სხვა ფორმით ფალავანდიანი, როგორც, მაგ., მატინესა და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში აზნაურული გვარი მახუნჯავისძე, იგივე მახუჯავიანი და სხვ.

მ. ბროსეს აზრი ფალავანდიშვილის გვარის წარმომავლობის შესახებ აბაშიძის გვარიდან არაა სწორი და შემთხვევით არის გამოთქმული. ფალავანდიშვილის გვარი ფლობდა მონინახის ციხეს, ჭრუჭის მონასტერს და მთელს მათ შემავალ მხარეს XVI ს-ნის დასაწყისშიც. მისი შემცველი წერეთლის გვარი იხსენიება XV ს-ნის მეორე ნახევრიდან. (მაგ., 1488 წელს ალექსანდრე იმერთა მეფის დროს ქართლის თავად ფალავანდიშვილებისთვის მათი მამის მოკვლის გამო გაბელიძის მხრივ სისხლის ანაზღაურების განაჩენის დამოწმებისას სხვა თავადებს შორის იხსენიება განონაი წერეთელიც. ცოტა უფრო ადრე წერეთელი მოწმედ იხსენიება გელოვანის სასისხლო სიგელშიც. ჩანს, XV—XVI ს-

¹ M. Brosset, Voyage archéologique, III, 1851, XII rap., 82—83.

ნეში წერეთლებმა ზემო იმერეთში თანდათან შეცვალეს ფალავანდიშვილები და შემდეგ (XVIII ს-ნის მეორე ნახევარში) მათ იმერეთში პირველი ადგილი დაიკავეს.

საფალავანდიშვილო, გადმოცემით, თავდაპირველად მოიცავდა მხოლოდ მთის მხარეს დაწყებული არაღეთის და რუსთავის მთიდან ვიდრე დაახლოებით ცხინვალ-ნულის და თილვას ხაზამდე. შესაძლებელია, თილვის მონასტერი თავდაპირველად ქართლის ფალავანდიშვილების სამარხიც იყო. თილვის მონასტერი ააშენა დავით აღმაშენებლის ასულმა, შირვანის დედოფალ ყოფილმა თამარმა XII ს-ნის შუა წლებში. მაგრამ, რადგანაც მთის მხარე მწირი იყო, ამიტომ ფალავანდიშვილები შემდეგში გადასახლდნენ ბარ მხარეში ცერონის-ავლე-კნოლე-ბრემას მხარეში, სადაც ცერონისის სამხრეთით უკვე არსებობდა ფცის (მეორე) თამარაშენი. გადმოცემით, ცერონისსა და მის მიმდგომ სოფლებში მემამულეებად იყვნენ აზნაური ხუციშვილები, რომელთა მამულების მეტი ნაწილი დაიკავეს ფალავანდიშვილებმა. ხუციშვილები, ყოფილი აზნაურები, ახლაც ცხოვრობენ ცერონისში, ხოლო ფცის თამარაშენში ცერონისთან არიან გლეხი ხუციშვილები (ვას. ფალავანდიშვილის მიერ გადმოცემული ცნობა).

შოთა, როგორც ვაზირი-მეჭურჭლეუხუცესი, ყოველ შემთხვევაში გიორგი ლაშას დროს უკვე დიდებულთა რიგებში ითვლებოდა. ესევე შეიძლება ვიფიქროთ მისი ძმის შესახებ, რომელსაც, ეტყობა, ჰქონდა უკვე დიდი შეძლება.

გვიან ხანაში საფალავანდიშვილოში ცალკეულ თავად ფალავანდიშვილების საცხოვრებელ ადგილებს შეადგენდნენ ყორნისი, ძალინა, ნული, კუსირეთი, ავნევი. ყველა ესენი, ავნევის გარდა, მდებარეობდნენ საფალავანდიშვილოს მთიან მხარეში, სადაც სოფელ ყორნისთან, სამიოდე კმ-ზე მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღნიშნულია სოფელი რუსთავი. ამის შესახებ იხ. ზემოთ. გვ. 268, სადაც მოტანილია ცნობები ამ რუსთავის შესახებ¹.

ამ რუსთავიდან 11/2 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით არის ადგილი ნაქალაქარი, რომელსაც ზედ ეკვრის ნანგრევები. ნაქალაქარის ახლოს არის ადგილის სახელი ეგრა, სადაც აგრეთვე არის ნასოფლარის დამადასტურებელი ნანგრევები.

ცხინვალის სამხრეთით არის ძველი სოფელი მეღვრიკისი, რომლის სახელი ძლიერ მოგვაგონებს ხევში (ხეობაში) დადასტურებულს თურქულად XVI—

¹ ვახუშტის თავის რუკაზე კიდევ ერთი რუსთავი აქვს აღნიშნული (ანდრია-წმიდასთან მდებარე, ძველი), ბორჯომის ჩრდილო-დასავლეთით ახლანდელ მდ. ბორბოლას ახლოს, სადაც შესაძლებელია ერთ დროს მართლაც სარწყავი რუ ყოფილიყო გაყვანილი.

XVII ს-ნეში დამახინჯებულ სახელს მაყურას-ს. ეს მაყურას უნდა იყოს თეორიულად აღსადგენი მეხრიკისი (შეად. გვ. 255).

ამრიგად, ქართლის საფალავანდიშვილოში არის პუნქტები (რუსთავი, თამარაშენი, ნული, თითქოს მეღვრიკისაც), რომელნიც აკავშირებენ ამ მხარეს რუსთაველის ხანის მემორიალურ პუნქტებთან. ამ საფალავანდიშვილოს გარდა, იყო კიდევ იმერეთის საფალავანდიშვილო ცენტრით საჩხერაში და ციხე მოდინახით. ყურადღებას იპყრობს ამ სამფლობელოს ცენტრალური პუნქტის საჩხერის სახელი. ამავე ძირის ტოპონიმები ისტორიულ არგვეთში (ზემო-იმერეთში) საკმაოდ ხშირია: ჩიხა, ჩხარი, ჩიხორი, ჩხერის ციხე, ჩხერიმელა და სხვ. ჩიხა არის იგივე ჭიხა (ციხე, საკუთრივ ხის ციხე). სახელები ჩხარი და ჩიხორიც სიტყვა ჭიხისაგანაა წარმოებული. მაგრამ ეს ტოპონიმები ძველისძველია და მათ არაფერი საერთო არ აქვთ ტოპონიმ ჩახრახთან. მსგავსება მხოლოდ გარეგნულია და შემთხვევითი.

პირობითი დასკვნა ასეთია: ფალავანდიშვილები და ქართლელი თავადი ამირეჯიბები ერთი გვარიდან მოდიოდნენ. ხოლო ქართლის ამირეჯიბის შესახებ დოკუმენტურად ცნობილია, რომ გვართ ისინი იყვნენ გაბელისძენი. აქედან ფალავანდიშვილებიც გვართ გაბელისძეებად გამოდიან; გაბელისძე ყოფილა გვართ შოთა რუსთაველიც. გაბელისძეების ცალკე შტოს დამწყები თითქოს იყო ჩახრუხა. მის შვილისშვილთ თითქოს ერქვა ჩახრუხა და მიხრიკი. ჩახრუხასგან თითქოს არის გრიგოლ ჩახრუხასძე, ხოლო მიხრიკისგან, რომელმაც სამფლობელოდ ჩახრახი მიიღო, უნდა იყოს შოთას მამად საგული-სხმებელი ელია. ეს ელია ჩახრახელად იწოდებოდა.

თითქოს პირველი ჩახრუხა დაბინავდა რუსთავში, სადაც ეგრეთწოდებულ გაღმა რუსთავში ძველი ფერის-ციხის არეში საფუძველი ჩაეყარა ახალ უბანს, სახელით ჩახრუხანან-უბანს. ამ უბანში მცხოვრებ ელია ჩახრახელის ოჯახში გაჩნდა დიდი შოთა.

აქვე მოგვყავს შოთას წარმომავლობის სავარაუდებელი გენეალოგიური სქემა.

დასკვნა შოთა რუსთაველის შესაძლებელი გვარის შესახებ. ამგვარად, ვარაუდი იმის შესახებ, რომ შოთას მამა უნდა ყოფილიყო ელია მიხრიკის ძე, დასტურდება შემდეგნაირად: სახელი მიხრიკი წარმოებულია სიტყვისაგან მეხრიკე, რაც უდრის სპარსულ ტერმინს ფეკლევან, ფალავან, ფალავანდ-ს. რომ შოთას უფროს ძმას პაპის მიხრიკის სახელი ერქვა, ეს დასტურდება იმით, რომ სწორედ თამარის დროს დასაწყისი მიეცა სამცხიდან შიდა ქართლში გადასვლით თავად ფალავანდიშვილების გვარს (XVIII ს-ნეში ჩაწერილი ცნობა). ხოლო ძველს საფალავანდიშვილოში ახლაც არის სოფელი რუსთავი, არის ამ რუსთავის მთაც. სახელი რუსთავი აქ ხელოვნურად გადმოტანილია (არავითარი არხი ან რუ ზედაპირის კონფიგურაციის მიხედვით იქ არ შეიძლება ყოფილიყო). ამით მტკიცდება შემდეგი:

1. ქართლის თავად ფალავანდიშვილთა გვარის დამწყები არის მესხი და სამცხიდან არის ქართლში გადასული;

2. საფალავანდიშვილოს დამწყები შოთა რუსთაველის ახლობელი იყო და მის პატივსაცემად შეიქმნა იქ ახალი რუსთავი; ეს მოხდა თამარ მეფის დროს, რადგანაც იქვე არსებობს სოფელი თამარაშენი.

3. ტოპონიმიკური მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძველს საფალავანდიშვილოში არის სოფლების სხვა სახელები, წამოღებული სამცხიდან (ნული, რაც წარმოადგენს ახლანდელი ბორჯომის ძველი სახელის ნუას განმეორებას და შეიძლება ზოგი სხვაიც). ყველაფერი ამით დასტურდება ფალავანდიშვილების წარმომავლობა ერთ-ერთი მიხრიკისაგან, რომელიც შოთას ახლობელი (ვარაუდით უფროსი ძმა) უნდა ყოფილიყო.

4. ფალავანდიშვილები და თავადნი ამირეჯიბები ერთი გვარისანი იყვნენ (XVIII ს-ნეშივე ჩაწერილი ცნობა და აგრეთვე ბოლო დრომდის არსებული ჩვევა, რომლის მიხედვით ამ ორი გვარის წევრთა შორის ნათესაობის გამო ქორწინება აღკვეთილი იყო). ხოლო თავად ამირეჯიბები, XV ს-ნის საბუთების მიხედვით, გვარად გაბელისძეები იყვნენ (მემკვიდრეობითი თანამდებობის სახელი ამირეჯიბი გვარად იყო გადაქცეული).

5. XV ს-ნის საბუთების საგვარო სახელწოდება გაბელისძე არ შეიძლება პირვანდელი სახის იყოს, რადგანაც ამ სახელს აქვს წარმოშობის მაჩვენებელი ორი ფორმანტი ელი და ძე. ცხადია უფრო ძველი ფორმაა გაბ-ელი, რომლისგან შემდეგ წარმოიშვა გაბელის ძე. შევადაროთ ერთმანეთს ძველი გვარი ლიპარიტეთი (მატიანე) იგივე ლიპარიტ-ელი (ჯვარის მონასტრის აღაპები), იგივე ლიპარტ-იანი. შეად. კიდევ ერთმანეთის ფარდი საგვარო სახელები მახუნჯაგის ძე (მატიანე) და მახუჯაგიანი (ჯვარის მონასტრის აღაპები) ამის მიხედ-

ვით, მაგ., ლიპარტიანის პარალელურად შეიძლება ყოფილიყო არა მარტო ლიპარტიელი, არამედ ლიპარტის ძეც. აქედან ცხადია, რომ ფორმა გაბელი იგივეა, რაც გაბას ძე.

6. გაბელის გვარიდან შემდეგ შეიქმნა ცალკე შტოები. მთავარ შტოს შერჩა შემდეგაც გვარი გაბელისძე და აქედან წარმოიშენენ შემდეგდროინდელნი თავადნი ამირეჯიბები.

გვარები საქართველოში საერთოდ იყოფოდნენ შტოებად.

XIV—XV ს-ნეში ქვემო ქართლში იყო დიდშემძლე გვარი ქაჩიბასძე, რომლის წინაპარი გადმოსული იყო აფხაზეთიდან (ქაჩიბა — აფხაზურად ქიაჩის შვილი, ქიაჩი იყო აფხაზეთში განთქმული სალოცავი, ქიაჩის ხატის მქონე) — ქართლში გადმოსვლის შემდეგ (ალბათ XII ს-ნეში) ქაჩიბასძის გვარი დაწინაურდა. ალექსანდრე I-ის (1412—1442) დროს სამი ძმა ქაჩიბასძე გაიყარნენ. აბაში ქაჩიბასძისგან წარმოიშენენ აბაშიშვილები (შემდეგ ეს გვარი ამოწყდა), გუგუნას ძის ბარათა ქაჩიბას ძისგან — თავადნი ბარათაშვილები. XVI ს-ნეში თავად ბარათაშვილებს გამოეყო ორბელ ბარათაშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორბელიშვილთა ცალკე შტოს. XVII ს-ნიდან ამ შტოს ყაფლან ორბელიშვილისგან მეორე სახელად ეწოდა ყაფლანიშვილი, ხოლო XVIII ს-ნეში ამ შტოს ეწოდა ორბელიანი. XIX ს-ნის შუაში იყო ორბელიანთა ოთხი შტო და საერთოდ ისინი საკმაოდ ბლომად იყვნენ. ამჟამად ისინი თავისთავად თითქმის გამქრალნი არიან.

თავადის ამილახვრის გვარი 1783 წლის ცნობით ხუთ შტოდ განიყოფებოდა. ესენი იყვნენ: რევაზისშვილები, ქაიხოსროსშვილები, ბექანისშვილები, ერასტისშვილები და იმის ძმისწულები, გივის შვილები. ამილახვრის გვარის ცალკე შტოს შეადგენდნენ თავადნი ხიდირბეგისშვილები. ამას იხსენიებს 1783 წლის სიაში ერეკლე II.

ქსნის ერისთავთა გვარი 1783 წელს სამს შტოს შეადგენდა. თავადნი ამირეჯიბნი იყვნენ 1783 წ. შიდა-ქართლში ორ შტოდ, მაგრამ გარდა ამისა მათი შტოსი იყვნენ იმერეთში აზნაურნი ამირეჯიბები და ახალციხის მხარეში ბეგები. თავადნი თუმანისშვილები იყვნენ 6 შტოსი, თავადნი ციციისშვილები 11 შტოდ (ერთი შტო მათგან ცხოვრობდა რუსეთში). თავადნი ფალავანდისშვილები 5 შტოდ და გარდა ამისა იყვნენ ფალავანდისშვილები იმერეთში (ამ დროს მხოლოდ აზნაურნი) და ბეგები ჭავჭავთ-სამცხეში.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ქართველ აზნაურთა და გლეხების გვარებშიც. მაგ., აზნაური ქუთათელაძეები ზონსა და ივანდიდში ამ ნახევარი საუკუნის წინ იყვნენ ოციოდე კომლი, გაყოფილი სამ შტოდ. იქვე ახლოს სოფ.

კუხში მცხოვრები გლეხები კაკაბაძეები რამოდენიმე შტოდ იყვნენ გაყოფილნი, როგორც ეტყობა, საკმაოდ ძველი დროიდან, რადგანაც ამ შტოების დასაწყისი უკვე არავის ახსოვდა.

გაბელისძეთა გვარეულობა თავისი შტოებით XIII ს-ნის პირველ ნახევარში იყო საკმაოდ მრავალრიცხოვანი. ჯელალ-ედ-დინის შემოსევათა დროს ამირეჯიბის შტოს მეთაურმა დაამარცხა ამ სულტანის ჯარის ერთი მოთარეშე რაზმი, რის შესახებ სწერია ულუმბის მონასტრის სახელზე მიცემულ შეწირულების სიგელში და იქვე დასახელებულაა, რომ XIII ს-ნის პირველი მესამედის ომში ამ გვარს 61 კაცი დაედღუპა მტრებთან ომში. ჩანს, XIII ს-ნის პირველ ნახევარში ჯელალ-ედ-დინისა და მონღოლეთის შემოსევების დროს გაბელისძეთა გვარს დიდი ზარალი უნახავს, მაგრამ ამ გვარის მეკომურთა რაოდენობაც საკმაოდ დიდი რიცხვის უნდა ყოფილიყო. სულ ამ გვარის ექვს შტოში იმ დროისთვის 60 კომლამდის მაინც არის საგულისხმებელი.

ამგვარად, შოთას წინაპარნი წარმოშობით იყვნენ ხევიდან (ხეობიდან), მაგრამ გადასულნი სამცხეში. თვითონ შოთა იყო, მამასადამე, სამცხეში დამკვიდრებული მოხვევის ოჯახიდან და ეკუთვნოდა გაბელისძეთა გვარის ჩახრუხაძეთა ცალკე შტოს.

დ ა მ ა ტ ე ბ ა II

შენიშვნები პ. ინგოროყვას რუსთველიანას ეპილოგის შესახებ

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პ. ინგოროყვას ზომაზე მეტად ვრცელი შრომა რუსთაველის საკითხის შესახებ (მისი შრომები, წ. I, 1963 წ., მოზრდილი გვ. 1—252; 527—886, სულ ჩვეულებრივი თითქმის 700 გვერდამდე შედგება ორი ნაწილისაგან: 1) რუსთველიანა 1926 წლის გამოცემა, ხელმეორედ გადაბეჭდილი მცირეოდენი შესწორებებით და 2) ამ რუსთველიანას ეპილოგი, როგორც მას უწოდებს თვით ავტორი. ეს ეპილოგი ჯერ დაიბეჭდა ჟურნ. მნათობში 1963 წ., № 3—6. ავტორის ძირითადი დებულებაა, რომ შოთა რუსთაველი არის იგივე ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი (სიშავისათვის მაშინ ასე წოდებულ), მოხსენებული მატრიანეში 1240—1243 წლების ახლოს. შოთა კუპრი, ავტორის აზრით, იგივე შოთა რუსთაველი, დაბადებულა 1166 წლის ახლოს და გარდაცვლილა 1250 წლის ახლოს.

რუსთველიანაზე, როგორც ზემოთ (§ 2) აღნიშნული იყო, თავის დროზე ჟურნ. მნათობში, 1927 წ., № 11—12, გვ. 241—253 დაიბეჭდა მცირე მოცულობის ჩემი კრიტიკული რეცენზია.

რაც შეეხება პ. ინგოროყვას ტომის მეორე ნაწილში წარმოდგენილ რუსთველიანას ეპილოგს, ის რუსთაველის საკითხს ძლიერ მცირედ ეხება. რუსთაველის პრობლემისათვის ახალი მოსაზრება იქ გამოთქმულია ტბელ გრიგოლის ძის და აგრეთვე ბორენას პიროვნებასთან დაკავშირებით. დაწვრილებით ჩერდება პ. ინგოროყვა აგრეთვე ჰერეთის ერისთავთა და მათ შორის შოთა კუპრის, ანუ შოთა რუსთაველის ვაზირობაზე და მეჭურჭლეთუხუცესად მყოფობაზე.

მაგრამ ამასთანავე საჭიროა წინასწარ აღინიშნოს შემდეგი.

რუსთველიანა (1926 წ.), ისე როგორც რუსთველიანას ეპილოგი, დაბეჭდილი ჯერ ჟურნ. მნათობში 1963 წლის № 3—6, მოცემულია პ. ინგოროყვას 1963 წელს გამოსული შრომების I ტომში უაღრესად გაჭიანურებით. მაგ., იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალების გარჩევას უკავია 691—856 გვერდები ანუ ჩვეულებრივი ზომის წიგნის 190 გვერდი. იმავე საკითხებზე ელმეტრეველის წიგნში მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორი-

ისათვის (თბ. 1962 წ.), რომელიც დროით წინ უსწრებს პ. ინგოროყვას შრომას, არის 60 გვერდი ანუ წიგნის ნორმალური 65 გვერდი.

შოთას ფრესკული პორტრეტის გამო მსჯელობას პ. ინგოროყვას წიგნში უკავია 72 გვერდი (782—853) ანუ ნორმალური 77 გვერდი, მაშინ როდესაც ამ საკითხისთვის საკმარისი იქნებოდა ორიოდ გვერდი.

ზაზასეული ხელნაწერის შოთას პორტრეტს პ. ინგოროყვა ასევე გაჭიანურებით უთმობს 12 გვერდს (ნორმალურ 13 გვერდს).

საკითხს შოთას ვაზირ-მეჭურჭლეთუხუცესად ყოფნის შესახებ და სხვ. და სხვ. დათმობილი აქვს 35 (=37^{1/2}) გვერდი და ა. შ.

შემდგომი, აქ მოცემული შენიშვნები დაწერილი იყო ჟურნალ მნათობში 1963 წელს „რუსთველიანას ეპილოგის“ ბეჭდვის პროცესში გზადაგზა და ამიტომ სათანადო დამოწმებებს ვტოვებთ ჟურნალ მნათობის შესატყვისი ნომრების მიხედვით.

შეიძლება თუ არა შოთა კუპრის გაიგივება შოთა რუსთაველთან? პ. ინგოროყვა წერს (ჟურნ. მნათობი, 1963 წ. № 3, გვ. 125; წიგნი, გვ. 544): რომ „XII ს-ნეში და XIII ს-ნის პირველ ნახევარში ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა დაკავშირებული იყო ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობასთან. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირი“-ო. შეჯამებაში კიდევ ავტორი წერს (წიგნი, გვ. 668): „მე-12 ს-ნის დასაწყისიდან ვიდრე 1250 წლამდე, საუკუნე ნახევრის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი უმთავრესად იყვნენ ჰერეთის რუსთავის მფლობელნი; ვაზირის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა ამ პერიოდში დაკავშირებულია უპირატესად ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობასთან. ამის მიხედვით ამ პირველ პერიოდს შესაძლოა ვუწოდოთ ჰერეთის რუსთავის პერიოდი“.

უნდა ითქვას, რომ პ. ინგოროყვას მთელი ეს განცხადება სავსებით მოგონილი ამბავია და არავითარი საბუთი ამ განცხადების გასამართლებლად, რომლის დამტკიცებას ავტორი ასორმოდდათ და მეტი გვერდის სივრცეზე (მოზრდილი ფორმატის გვ. 527—671) ცდილობს, არ არსებობს.

ჰერეთის საერისთავო იწყებოდა ალაზნის დასავლეთი სანაპირო ზოლიდან, ისე რომ ბოდბე და შირაქის ზეგანი მიეკუთვნებოდა კუხეთსა და მის ნაწილს კამბეჩანს და არა ჰერეთს. ხოლო XII ს-ნის II ნახევრიდან კუხეთი და კამბეჩანი კახეთის საერისთავოში შედიოდნენ (თვით სახელი კუხეთი XII ს-ნის მეორე ნახევრიდან უკვე აღარ იხმარებოდა). მაშასადამე, თბილისის-პირა რუსთა-

ვი არაფრისგზით არ შეიძლება ჰერეთს მიეკუთვნოს. ეს რუსთავი ჰერეთის საზღვარს დაშორებული იყო 100—120 კილომეტრით.

ეტყობა, პ. ინგოროყვამ არ იცის, თუ სად იყო ჰერეთის ერასთავის რეზიდენცია. X ს-ნეში ერთმანეთისაგან გაირჩევა კახეთის სამთავრო (საქორაჰპის-კოპოზო ანუ საქორაჰოზო) და რანთა ანუ ჰერეთის სამეფო. XI ს-ნის დასაწყისში ეს ორი სახელმწიფო გაერთადა და მის სათავეში 1015 წლას ახლოს დადგა კახეთის მთავარი კვირიკე III ტატულათ „რანთა (ჰერეთის) და კახთა მეფე“. კვირიკე III მოკლულ იქნა 1029 წელს და მისი შემდგომი იყო სამშვილდის სომეხ მეფის დავითის შვილი გაგიკი, რომლის ჩამომავალნი არიან XI ს-ნის ჰერეთ-კახეთის მეფენი აღსართან I, კვირიკე IV და უკანასკნელი აღსართან II. ამ აღსართან II-ის დროს, 1105 წლის ახლოს დავით აღმაშენებელმა ბოლო მოუღო რანთა და კახთა სამეფოს და შეუერთა ის საქართველოს.

ამ რანთა და კახთა სამეფოს მეთაურის რეზიდენციას XI ს-ნეში წარმოადგენდა შაქი, იგივე ნუხა. ეს ცხადად ჩანს არაბ ავტორის ალ-ფაკიჰის (XII ს-ნის შუაში) ცნობიდან. ის XI ს-ნის ამბების მოთხრობისას 1049 წლისათვის ასახელებს შაქის მფლობელს აღსართან იბნ-გაგიკს, ე. ი. გაგიკის ძეს აღსართანს, რომელმაც მაშინ მცირე ხნით ტფილისის ციხეც დაიკავა და მალე ის მიჰყიდა რუმის (ბიზანტიის) ხელმწიფეს დიდ ფულზე.

რასაკვირველია, რეზიდენცია ჰერეთ-კახეთის მეფეს ექნებოდა საკუთარივე კახეთშიც (ისტორიულ კახეთს ეკავა ტერიტორია მცხეთა-თელავის ხაზის ჩრდილოეთით) და ეს უნდა ყოფილიყო არა მარტო თელავში, როგორც ეს საფიქრებელია ქართლის ცხოვრების ერთი ადგილას მიხედვით, არამედ ბოდბეშიც, ახლოს ახლანდელ თიანეთთან. აქ კვირიკე III-მ გააშენა დიდი დარბაზი „სახლი სახელოვანი“ (მატიანე), რომელიც დასწვა. ბაგრატ IV-მ 1050 წლის ახლოს, როგორც ეტყობა, ამის სანაცვლოდ იქვე მალე აშენებულ იქნა ქვითკირის ახალი სასახლე, ეგრეთწოდებული ცხრაკარა, რომელიც საკმაოდ კარგად იყო შემონახული უკანასკნელ დრომდე (ის შეედომით დანგრეულ იქნა ამ თხუთმეტობდე წლის წინათ საშენ მასალად გამოყენების მიზნით).

ამგვარად, ჰერეთ-კახეთის მეფეთა მთავარი რეზიდენცია XI ს-ნეში იმყოფებოდა ქალაქ შაქში, რომლის სახელითაც ეს მეფეები ცნობილი იყვნენ საქართველოს გარეთაც. როდესაც დავით აღმაშენებელმა შეიერთა ჰერეთ-კახეთის სამეფო, მან შექმნა ორი საერისთავო—ჰერეთისა და კახეთისა. ჰერეთის ერისთავი ვარდან დიდი დაახლოებით 1162 წლისათვის იხსენიება შაქის ერისთავად. ჰერეთის ერისთავის ადგილსამყოფელად XII ს-ნეშიც იყო შაქი, რომელიც XI ს-ნეში ჰერეთ-კახეთის მეფეების რეზიდენციას წარმოადგენდა.

ამგვარად უდავოა, რომ ჰერეთის ერისთავის მთავარი რეზიდენცია XII ს-ნეში იყო შაქ-ნუხა, ახლოს (სულ ექვსიოდე კმ-ზე) გრიგოლისძეთა სამკვიდრო სამფლობელოსთან გიშთან, სადაც იყო ციხე და ეპისკოპოსის კათედრაც. ეს შაქი თითქმის 200 კილომეტრით არის დაშორებული კუხეთის რუსთავს. როგორ შეიძლება ასეთ პირობებში ლაპარაკი იმაზე, რომ შოთა კუხეთის რუსთავის მქონებლობით და იქ რეზიდირებით იწოდებოდა რუსთველად და იმავე დროს ის ყოფილიყო ჰერეთის ერისთავად, რომლის ნამდვილი რეზიდენცია ორას კილომეტრზე ანუ მაშინდელ 6—7 დღის სავალზე შაქ-ნუხაში იყო და არა რუსთავში? XII—XIII ს-ნის ვითარების მიხედვით ეს საესებით წარმოუდგენელია.

ჰერეთის ერისთავი შოთა იხსენიება მატეანეში ოთხჯერ 1240—1243 წლებს ახლოს და ყოველთვის ეპითეტით კუპრი — „სიშავისა ფერობისათვის მას კუპრობით უქმობდეს“. პირველად ის მოხსენიებულია, როდესაც შანშე და ავაგ მხარგრძელებთან და ვარამ გაგელთან ერთად რუსუდანის მიერ გაგზავნილ იქნა მონღოლების ნოინებთან მოსალაპარაკებლად 1240 წლის ახლოს. ვის ხელში იყო ამ დროს რუსთავი?


თბილისის ახლანდელ ტერიტორიაზე მდებარე ლურჯ მონასტერს აქვს ქართლის მთავარეპისკოპოსის ბასილის ამშენებლობითი წარწერა. ეს ბასილი იყო ძმა ქართლის ამირას აბულასანისი, რომელიც იმავე წარწერაში იხსენიება რუსთავის და შეიდი მთიულეთის მფლობელად. ცხადია, აქ იგულისხმება კუხეთის ქალაქი რუსთავი. წარწერა დამწერლობის თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს XIII ს-ნის პირველ მეოთხედზე ადრე დროის (მთავრული ო-ნი ყველგან მოცემულია განივი ხაზით და არც ერთხელ ზემოთკენ აკუთქებული ხაზით). წარწერა, როგორც ეს ზემოთ (§21) ნაჩვენები იყო, თარიღდება 1235 წლის 15 ივლისით.

ამგვარად, 1235 წელს ქალაქი რუსთავი ყოფილა ქართლის ამირას აბულასანის ხელში და მის ხელთავე იქნებოდა ის 1235 წელზე ადრე და 1235 წლის შემდეგაც სიკვდილამდე. ხოლო 1192 წლიდან ვიდრე 1212 წლამდე ეს ქალაქი, როგორც დროებითი სამფლობელო, ზაქარია მხარგრძელის ხელში იყო. ცხადია, რომ ქალ. რუსთავი არასდროს შოთა კუპრის ხელში არ ყოფილა და ამიტომ არც შეიძლება, რომ შოთა კუპრი, ჰერეთის ერისთავად მყოფი, იმავე დროს რუსთველად წოდებულიყო. ამიტაც შოთა რუსთველის გაიგივება ჰერეთის ერისთავ შოთა კუპრთან საესებით გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს.

გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია კიდევ შემდეგი გარემოება. ჰერეთის ერისთავს შოთა კუპრს უამთა აღმწერელი ახსიათებს, რომ ის იყო „არა რა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონე“, ე. ი. იყო არა თუ ყოვლად უნიჭო, არამედ მამათმავლობითაც დაავადებული¹. განა შესაძლებელია ასეთი სენით დაავადებული პიროვნება (ამ სენს საქართველოში მაშინაც დიდად სდევნიდნენ, მას მონღოლებიც სდევნიდნენ) ყოფილიყო ისეთი პოემის ავტორი, როგორც ვეფხისტყაოსანია, რომლის მთავარ ღერძს შეადგენს იდეალური სიყვარულის აპოლოგია და ქალის კულტი? ეს გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს მართლ ამ გარემოების გამოც.



შოთას გენეალოგია პ. ინგოროყვას წარმოდგენილი აქვს შემდეგნაირად:
 ასათ I გრიგოლის ძე და (ძმა მისი) შოთა, ვიშის მკურობელნი,
 დამორჩილნი დავით აღმაშენებელმა 1117 წ.



ამ გრიგოლისძეებს პ. ინგოროყვა სავსებით შეცდომით ბაგრატიონთა გვიანდელ შტოდ თვლის. ჰერეთში VII ს-ნის მეორე ნახევრიდან (და არა VIII ს-ნიდან) მართალია, მართველი ადგილი ეკავა სომხეთის ბაგრატიონთა ერთ

¹ ეს ადგილი მატანეში იკითხება ასე: „გარდამოვიდა თვით მეფე (რუსუდან) ლიხთიმერეთიდან და წარმოგზავნა ძე თავისი დავით, რომელთა წინა მიეგებნეს შანშე და ავაგრომელი თათართა დიდად შეეწყნარა, არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპრი, გაგელი ვარამ“ და სხვ. შოთა კუპრისგან განსახვავებლად ამირსპასალარი ავაგ მხარგრძელი სარგებლობდა მთელს საქართველოს სამეფოში და მონღოლებთანაც უდიდესი ავტორიტეტით. ის იყო მამაცი და შეუღრქველი („ომის მოყვარული“) კეთილი ბუნების, „საუკეთესო პიროვნება“ და დიდად ჰქვიანი დიპლომატი. როდესაც ავაგი გამგზავრა მონღოლეთში დიდ ყაენთან წარსადგომად, მისი დღეგრძელობისათვის მთელი ხალხი ლოცულობდა, რადგან ამ გამგზავრების შედეგად საქართველოს სამეფოსთვის დიდ შეღავათებს მოელოდნენ (ვარდან დიდის და კირაკოს განძაკელის ცნობები). ქართველი მემატიანე და კირაკოსი იმასაც უმატებენ, რომ ის იყო თავისი ქვეყნისათვის თავის გამწირავი აღაშენი.

² გრიგოლისძეების ჩემ მიერ შედგენილი გენეალოგიური ტაბულა იხ. ქვემოთ ამავე დამატებაში, გვ. 287.

შტოს, რომელიც ტარონელ ადარნასე ბრმა-ძმის ძმისწულთაგან მოდიოდა, მაგრამ ეს შტო ჰერეთში ამოწყდა X ს-ნის დასასრულს, როდესაც კახეთის მთავარმა დავითმა შეიერთა ჰერეთის სამეფო და ამით გახდა რანთა (ჰერთა) და კახთა მეფე-გრიგოლისძენი იყვნენ XII ს-ნის დასაწყისში გიშის ციხე-ქალაქის მფლობელნი მისი შესავლითურთ და, რასაკვირველია, მათ არაფერი საერთო არ ჰქონდათ VII—X ს-ნეთა ჰერეთის სამეფო დინასტიასთან და არც ამ გვარის წევრნი მეფეებად არასოდეს არ იწოდებოდნენ. მხოლოდ გიორგი III-ის მეფობის ბოლოს ასათ გრიგოლის ძემ „მძღაგრებით“ წაართვა ჰერეთის ერისთავობა კოლონკელისძეს და თვითონ დაიკავა მისი ადგილი.

ქართულ თანადროულ მატრიანეში ეს ასათი 1184 და 1187 წლების ხანაში იხსენიება როგორც ჰერეთის ერისთავი. შემდეგ კი მან ჰერეთის ერისთავობა გადასცა თავის შვილს გრიგოლს, თვითონ კი დაჯდა სამეფო დარბაზში არიშიანის ადგილზე. ამ გრიგოლს პ. ინგოროყვა თელის შოთა რუსთაველის (იმავე ჰერეთის ერისთავის შოთა კუპრის) და ტბელის მამად (ტბელი სახელია, იხსენიება თამარის მეორე მატრიანეში 1200 წლის ახლოს).

ჰერეთის ერისთავი გრიგოლ ასათის ძე, ვითომდა შოთა რუსთაველ-კუპრის და ტბელის მამა, შამქორის ომის წელს მონაწილეობას ღებულობდა დიდ ასპარეზობასა და ცხენ-ბურთაობაში, რომელიც მოწყობილი იყო თამარ მეფის, საქართველოს კარის და შარვანის დიდებულთა თანადასწრებით ამირ-მირმანის პატივსაცემად. ხოლო შამქორის ომი მოხდა 4 ივნისს 1198 წელს (ეფთხის-ტყაონის 1927 წლის ჩემი გამოცემის წინა წერილში გვ. 71 შამქორის ომის თარიღად ნაჩვენებია 1198 წლის 4 ივნისი).

უძველესი დროიდან, ჰერ კიდევ ქსენოფონტიდან, ადამიანის მოხუცებულობას თვლიდნენ 50 წლის ასაკიდან. საბა ორბელიანიც მოხუცებულობის ასაკს აღნიშნავს 50 წლიდან. მართლაც, საყურადღებოა შემდეგი ფაქტი. 1192 წლის ახლოს გიორგი რუსის სასარგებლოდ მომხდარი აჯანყების დროს იხსენიება ივანე-ყვარყვარე ჯაყელი, რომელიც სამცხეში ერთადერთი დარჩა თამარის ერთგულად. ის ამ დროს სულ ცოტა 25 წლისად მაინც არის საგულისხმებელი. ხოლო 1200 წლის ახლოს ის თამარის მეორე მემატრიანის (შოთას რუსთაველის) მიერ იხსენიება როგორც სამცხის სპასალარი. გიორგი ლაშას დროს, 1215 წლის ახლოს, განძის ომში, როდესაც ყვარყვარე 50 წლის იქნებოდა, სამცხის ჯარით წინამძროლობდა უკვე მისი უფროსი შვილი. ეს გარემოება ადასტურებს ზემოთქმულის სინამდვილეს განსაკუთრებით წინამძროლ მხედართმთავრისათვის და საერთოდ მეომართათვის 50 წლის ასაკის ზღვარად არსებობის შესახებ.

გრიგოლ ასათის ძე 1178 წელს აქტიურად მონაწილეობდა დემნას და ორბელთა აჯანყებაში; ის ამ დროს მოხსენიებულია როგორც „ფიცხელი და კარგი მეომარი“. 1198 წელს იგი, როგორც ვთქვით, მონაწილეობდა ცხენ-ჩოგნით ბურთაობაში საქართველოსა და შირვანის კარის რჩეული საზოგადოების თანდასწრებით. ძნელი დასაჯერებელია, რომ ის ამ დროს 40 წელზე მეტი ასაკისა ყოფილიყო. მასთან ერთად ამ ბურთაობაში მონაწილეობდნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელნი, რომელნიც 1185 თუ 1186 წელს იყვნენ 24 და შესაბამისად 22 წლისა (ზაქარია მაშინ იხსენიებოდა უკვე დალოცვილად, ე. ი. სრულ-უფლებიან მოყმედ, ხოლო ივანე ჯერ დაულოცავი იყო). ამიტომ 1198 წელს ისინი იქნებოდნენ მაქსიმუმ 37 და შესაბამისად 34 წლის. ხოლო რადგანაც გრიგოლ ასათის ძე 1178 წელს სულ ცოტა 23—24 წლის მაინც უნდა ყოფილიყო, 1198 წელს ის იქნებოდა სულ ცოტა 43 წლის (ამაზე მეტის კი მეტად საეჭვოა, რადგანაც მეტად პასუხსაგებ ბურთაობაში, რომელიც ცხენ-ჩოგნით წარმოებდა, უფრო მეტი ხნის კაცს არ გაუშვებდნენ).

თამარის მეორე მემკვიდრე (რომელიც, ვიმეორებ, შოთა რუსთველი უნდა იყოს) მონაპირეებად ჰერეთის მხრიდან, რომელნიც მეტად აქტიურ სამხედრო საქმიანობას და მძლავრ თარეშულ თავდასხმებსაც აწუბობდნენ, ასახვლებს არა გრიგოლს, არამედ ზოგადად გრიგოლის ძეებს და მათ შორის კიდევ უფრო ტბელს. მაშასადამე, ამ დროს გრიგოლი უკვე ჩამოშორებულია საომარ მოქმედებაში უშუალო მონაწილეობის მიღებას. ეს გრიგოლის ძენი, რომელნიც მრავლობით რიცხვში მოხსენიებით სამნი მაინც უნდა ყოფილიყვნენ, საგულისხმებელნი არიან: 1) პ. ინგოროყვას შოთა 26 წლისად, 2) ტბელი 24 წლისად და მესამე ძმა კიდევ 22—23 წლისად. მაგრამ ეს შეუძლებელია ყოფილიყო, რადგანაც 1198 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საეჭვოა, რომ გრიგოლი 43 წელზე მეტი ხნის ყოფილიყო. ამის მიხედვით გრიგოლი შეიძლება დაბადებული (1178—23 ან 25) 1153—1155 წლებში, არც მეტი, არც ნაკლები. აქედან პ. ინგოროყვას შოთა კუპრის, იმავე რუსთაველის დაბადება მოდის 1176 წლის ახლოს, ე. ი. შოთა კუპრი, პ. ინგოროყვას სქემის მიხედვით, დაბადებულა სულ ცოტა ათი წლით უფრო გვიან, ვიდრე ეს მას აქვს (1166 წ.) ნავარაუდევით.

მართლაც, თუ შოთას დაბადების წლად 1166-ს მივიღებთ, მაშინ მისი, მამად მიჩნეული გრიგოლი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს 1143 წლისა რის გამო ის 1198 წელს იქნებოდა სულ ცოტა 55 წლისა და მეტისაც. ამ ხნის კაცი მაშინდელ დროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ტურნირში მონაწილეობის მისაღებად არ შეიძლება დაშვებული ყოფილიყო.

ამგვარად პ. ინგოროყვას სქემის მიხედვით შოთას დაბადების წლად 1166

წლის მიჩნევა აწყდება ისეთ დაბრკოლებათ, რომელნიც აუქმებენ ამ თარიღს-
ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ შოთა არ არის ჰერეთის ერისთავთა სახლი-
დან. ცხადია, რომ შოთა კუპრის გამოცხადება გრიგოლ ჰერეთის ერისთავის
შვილად სასებით ხელოვნურია და ის არ მართლდება არც ერთი არსებული მო-
ნაცემით.

თამარის მეორე მემატინანე (რომლის ავტორი კათალიკოს ანტონ I-ის მი-
ერ მოცემული ცნობის მიხედვით არის შოთა რუსთაველი) გადმოგვცემს, რომ
განძის (განჯის) და ბარდავის მიმართულებით 1200 წლის ახლოს ხანაში თარე-
შულ თავდასხმებს აწარმოებდნენ „გრიგოლის ძენი, (მათ შორის) უფროს-
ლა ტბელი“.

ამის მიხედვით ცხადია, რომ, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, 1200 წლის
ახლოს ჰერეთის ერისთავი გრიგოლ ან ცოცხალი არაა ანდა მწყობრიდან გამო-
სულია და მის მაგივრად მისივე ძენი მოქმედებენ (უფრო ეს მეორე შესაძლებ-
ლობა არის საგარაუდებელი). კონტექსტის მიხედვით ტბელი ხსენებულ საქმი-
ანობაში პირველობს და ის უნდა იყოს ჰერეთის ერისთავი ფაქტიურად და ფორ-
მალურადაც. ცხადია, რომ ის არის ჰერეთის ერისთავის შოთა კუპრის წინა-
მორბედი.

ტბელის საკითხი. პ. ინგოროყვა ამ ტბელის სახელს კითხულობს ჩინებუ-
ლის ხელოვნებით შესრულებულ ერთი ხატის წარწერაში. მაგრამ პალეოგრა-
ფიული თვისებებით ამ ხატის წარწერა არ შეიძლება მიეკუთვნოს XII ს-ნის
უკანასკნელ მეოთხედს, არამედ ის თვალსაჩინოდ უფრო ძველია და XI ს-ნის
პირველი ნახევრისად უნდა ჩაითვალოს. ხელოვნების თვალსაზრისითაც ეს
ხატი მიჩნეულია XI ს-ნისად¹. ხატის წარწერაში მისი შემკვეთი ტბელი გრიგო-
ლის ძედ არის დასახელებული, მაშასადამე, ეს უნდა იყოს XI ს-ნის შუა წლებში
მცხოვრები პიროვნება. ცხადია, რომ ეს ტბელი, როგორც XI ს-ნის მეორე და
მესამე მეოთხედში მცხოვრები პიროვნება, არ შეიძლება შოთა რუსთაველის
ძმა იყოს და ჩვენ არც ვიცით ჰყავდა ამ ტბელს ძმა თუ არა და თუ ჰყავდა, რა
ერქვა მას.

თავის თავად ტბელის, როგორც XI ს-ნის პიროვნების გამოვლინება არის

¹ M. Brosset, Voyage archéol., VII, p. 47; Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1890. ე. თაყაი-
შვილი, არქეოლ. მოგზაურობა... ძვ. საქართველო III, 145—146; Г. Чубинашвили, Грузин-
ское чеканное искусство, Мб., 1959., стр. 572. ე. თაყაიშვილის აზრით (ცხადია, წარწერის
მიხედვით), ხატო უნდა იყოს არა უგვიანეს XI ს-ნის. ნ. კონდაკოვი და გ. ჩუბინაშვილი ხატს
მოკუთვნიებენ XI ს-ნეს. ყველაფერი ეს სწორია.

საყურადღებო ფაქტი იმ მხრივ, რომ ადასტურებს ქართული კულტურის სიძლიერეს ამ ხანის ჰერეთში — მის მიერ მოჭედული ხატი, ვრცელი და საუკეთესოდ შესრულებული ქართული მკრგლოვანი წარწერის მქონე, ამას ცხადყოფს.

გრიგოლისძეთა გვარის შესახებ ამ ტბელის გარდა კიდევ შემდეგი ცნობები გვაქვს.

1178—1179 წელს ორბელთა მიერ მოწყობილი აჯანყების დროს დიდს აქტივობას აჩვენებულთა მხარეზე იჩენდნენ „ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეითა და კავკასითა“. გიორგი III-ის ლაშქარმა დაამარცხა ეს ჯარი, „გააქციენეს ჰერნი დიდებულნი და აზნაურნი და ლეკნი“. მაშინ შეიპყრეს გრიგოლ ასათის ძე (მომავალი ერისთავი ჰერეთისა) და აგრეთვე ივანე ვარდანის ძე, „რომელი ითქმოდა პირველითგანვე მთხრებლად მთხრებლისად და (შეიპყრეს) თანა შოთაცა, ძე ართავაჩოსძისა“. გრიგოლ ასათის ძის გვერდით ივანე ვარდანის ძის მოხსენიება უნდა ამტკიცებდეს, რომ ესეც გრიგოლისძის გვარისა უნდა ყოფილიყო.

სტეფანოს ორბელეანს (1300 წლ. ახლოს) მოხსენებული აქვს, რომ ქალ. დინოში მყოფ ივანე ათაბაგთან (იგულისხმება უფრო 1218 წელი) ნორავანქის ჯვარის საკითხის შესახებ გაწვეული იყვნენ დიდებულები და მაღალი ქართველ-სომეხთა სასულიერო პირნი: „ბუჰაკი, მარწუანი, ივანე ტბელი, მემნა ჭაყელი, დიდი ჭყონდიდელი, რომელნიც მოვიდნენ სამეფოდან (საქართველოდან), ვარძიის წინამძღვარი, პლნძპანის (ქართული მონასტრის ახტალის) წინამძღვარი, ვაჩიანის (შეცდომით ტექსტში: გარშტე-ის, იგულისხმება ცურტავის) დიდი მამამთავარი (ეპისკოპოსი), გაგელი, მაწნაბერდელი და ბევრი სხვა დიდბული“. ამ სიაში ყურადღებას იქცევს სახელი „ივანე ტბელი“. ეს არ შეიძლება იყო ტბეთის ეპისკოპოსი, რადგანაც ის აშკარად ერისკაცთა შორის არის მოხსენიებული და არც სახელი ივანე ეპისკოპოსებისთვის არ იხმარებოდა. გარდა ამისა ტბეთის ეპისკოპოსი მტბევიარად იქნებოდა დასახელებული. სხვა მფლობელი კიდევ შავშეთის ტბეთში არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც მტბევიარი ეპისკოპოსი შავშეთის ერისთავადაც ითვლებოდა (ხელმწ. კარის გარიგება, სტრიქ. 331).

ბაგრატ III-ის დროს ქართლში იხსენიებიან აზნაურნი ტბელნი, მაგრამ ციტირებულ სიაში დიდებულნი არიან მოხსენებულნი და არა ჩვეულებრივი აზნაურნი. საეკეოა, რომ აზნაურის ტბელის ეს გვარი XIII ს-ნის პირველ მეოთხედშიც ყოფილიყო, რადგანაც გამოთქმა ტბელი ამ ხანაში მხოლოდ სახელის აღსანიშნავად იხმარებოდა. ტბელი სახელის მნიშვნელობით მოხსენებულია აკურის (კახეთში) ეკლესიის წარწერაში: „ქ. წმიდა ღმრთისმშობელო, შეი-

წყალე ტბელ (ტბლ) და შვილნი მისნი“... ამ წარწერის გამომცემი თ. ბარნაველი მას IX ს-ნეს მიაკუთვნებს¹, მე კი მგონია, რომ ის XI ს-ნის უნდა იყოს. (ამ დროს აზნაურ ტბელების გვარი შეიძლება უკვე აღარც არსებობდა). ტბელი ამ წარწერაში აღნიშნავს სახელს და არა გვარს. გამოთქმაც ახალციხელი იხმარებოდა პიროვნების სახელად მაშინ (XV ს-ნის მეორე ნახევარში), როდესაც ახალციხელთა გვარი არ არსებობდა და ახალციხის მფლობელებად ათაბაგები იყვნენ. ასევე შეიძლება ითქვას სახელის ოთარის შესახებ, რომელიც აგრეთვე გაჩნდა ოთას ციხის მფლობელ ოთართა გაქრობის შემდეგ და ასე სხვ.

მე მგონი, რომ სტეფანოს ორბელიანის ტექსტის ეს ადგილი უნდა წაკითხულ იქნეს ასე: ივანე ტბელ. ივანეს სახელთან გამოტოვებულია ბოლოში გრძელი ე და მაშინ მივიღებთ: ივანეს ძე ტბელი. ივანე (ვარდანის ძე), როგორც ვნახეთ, გრიგოლის ძე უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, ივანე და ტბელი არიან მამაშვილნი. გამოდის, რომ გრიგოლ ასათის ძის შემდეგ გრიგოლის ძეთა გვარის პირველობა (მაშასადამე, ჰერეთის ერისთავბაც) გადასულა ივანეს ძის ტბელის ხელში, ე. ი. გრიგოლის ძეთა იმ შტოში, რომელიც მოდიოდა შოთა გრიგოლის ძისაგან.

1200 წლის ახლოს, როდესაც მემატიანე (შოთა რუსთველი) გრიგოლის ძეთა გვარში მონაპირე მებრძოლად უპირატესად ტბელს იხსენიებს, ჰერეთის ერისთავი გრიგოლ შესაძლებელია ჯერ კიდევ ცოცხალიც იყო, მაგრამ როგორც 50 წელს გადაცილებული, მონაპირე თავდამსხმელი რაზმების წინამძღოლობას ვერ ახერხებდა. 1205 წლის ახლო ხანიდან კი ჰერეთის ერისთავად უკვე საგულისხმებელია ტბელი ივანეს ძე.

ამ ტბელს, როგორც ეტყობა, ჰყავდა თავისი წინაპრის შოთას სახელის მქონე შვილი შოთა კუპრი. ტბელის ერისთავობა მოდის დაახლოებით 1205—1230 წლებში. ხოლო დაახლოებით 1230—1250 წლებში ჰერეთის ერისთავად არის შოთა კუპრი.

ამგვარად, შოთა კუპრი არაა ჰერეთის ერისთავის გრიგოლის შვილი. ამით ირღვევა პ. ინგოროყვას მთელი სქემა.

ამის შემდეგ გრიგოლის ძეთა გენეალოგია, ხსენებულის მიხედვით, წარმოგიდგება შემდეგნაირად (საორიენტაციოდ ნაჩვენებია დაბალების წლები ვარაუდით და დაახლოებით):

¹ კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერანი, თბ. 1962, გვ. 7.

გრიგოლ დაიბ. 1000 წ. ახლ.

ტბელი, დაიბ. 1025 წლ. ახლ. (საგვარეულო ხატის მომქედი)

გრიგოლ დ. 1050 წ. ახლ.

ასათ I დაიბ. 1075 წ. ახლ.,
იხსენიება 1117 წ.

გრიგოლ დ. 1100 წ. ახლ.

ასათ II დ. 1125 წ. ახლ.
პერეთის ერისთავი.

გრიგოლ დ. 1150 წ. ახლ.
იხსენ. 1178, 1198 წ.,
პერეთის ერისთავი.

შოთა დ. 1075 წ. ახლ., იხსენიება
1117 წ.

ვარდან (მატიანე) დ. 1125 წლ. ახლ.

ივანე (მატიანე),
დ. 1150 წლ. ახლ.

ტბელი დ. 1175 წ. ახლ.
იხსენ. 1200, 1220 წ. ახლ.
ალბათ პერეთის ერისთავი 1200—
1225 წწ. ახლ.

შოთა კუპრი დ. 1200 წ. ახლ.,
იხსენ. 1240—1243 წ. ახლ.,
პერეთის ერისთავი.

ნე

სამადავლა დ. 1250 წ. ახლ.,
პერეთის ერისთავი (ჯამთა
აღმწერელი).

ტბელის ზემოხსენებული ხატი შემდეგ ჟამთა ცვალებადობით ხოფის მონასტერში მოხვედრილა. როგორც ეტყობა, ეს მოხდა შაჰ-აბაზ I-ის მიერ კახეთის სამეფოს აოხრების დროს, როდესაც ძველ კახეთ-პერეთიდან დას. საქართველოში გაქცეულმა მეფე თეიმურაზმა და მისმა თანმხლებ კახელმა თავადებმა თავიანთი მთავარი კულტობრივი სიწმიდენიც თან წაიღეს.

მართლაც, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება.

ისტორიკოს კონსტ. გრიგოლიას ცნობის მიხედვით, გრიგოლიების ძირითად ბუდეს წარმოადგენდა აბაშა, შემდეგ კიდევ საჭილაო. ამჟამად გრიგოლიები სულ (სხვა ადგილებიანად) შეადგენენ დაახლოებით 150 ოჯახს, რომელთაგან 10% აზნაურული წარმოშობისაა, დანარჩენები კი — გლეხები. ამ გვარის სახელი ახლა ყველასთვის ერთია, მაგრამ წინათ ხალხში ქართლური ფორმით გრიგოლიებად მხოლოდ აზნაურები იწოდებოდნენ, ხოლო გლეხები კი ცნობილი იყვნენ მეგრული ფორმით გირგოლაიებად (ამ გვარის უნიფიკაცია აზნაურული გვარის მითვისებით მოხდა ახლანდელ დროს ისევე, როგორც მაგ., აზნაური ჯავახაშვილები ქართლის სოფ. ძევერადან გადავიდნენ სოფ. ხოვლეში წინათ

მყოფ თავად ჭავჭავიშვილების გვარზე). მე გამოვთქვამ ვარაუდს, რომ ოდიშელი აზნაური გრიგოლები თავისი გვარის ქართლური ფორმით უნდა წარმოადგენდნენ შაჰ-აბაზ I-ის მიერ კახეთის აწყვეტის დროს მამაბაპეული გიშის მხარედან იმ გრიგოლის ძეთა ჩამომავალთ, რომელთაც გამოქცევის შემდეგ თავისი საგვარეულო ხატი მოათავსეს ხოფის მონასტერში. აქ ისინი დაჯერდნენ აზნაურულ მდგომარეობას, როგორც ეს, მაგ., მოუვიდა შესხეთის უპირველესი გვარის შალიკაშვილის წევრს კლდია შალიკაშვილს, რომელიც 1560-იან წლებში ათი კომლი გლეხით მესხეთიდან იმერეთის მეფეს შეეხიზნა. ამ კლდია შალიკაშვილისგან წარმოიშენენ აზნაური კლდიაშვილები. ასევე დამართათ კობაძეებს და სხვ.

ტფილისის მხარის რუსთავის მღებარეობა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით. პ. ინგოროყვას კონცეპციაში საბედისწერო როლი შეასრულა სხეების (თეიმურაზ ბატონიშვილისა და მის განმეორებელთა) მიერ თავის დროზე დაშვებულმა შეცდომამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნებათა აღრევის გამო ჰერეთ-კუხეთის საკითხში. ეს შეცდომა ჩემ მიერ გამოსწორებულა იყო 1927 წ. რეცენზიისდაგვარ წერილში (მნათობი, 1927 წ., № 11—12).

ეს რუსთავი მღებარეობდა ისტორიულ კუხეთში. კუხეთის თავდაპირველი (უძველესი დროის) რაობა კარგადაა მოცემული მამათა და ნათესავთა სქემაში. კუხოსის წილი ქვეყანა კუხეთი აქ აღნიშნულა ასე: ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწჷჷქვიან რუსთავი, და ქვეყანა „არაგვითგან ვიდრე თავადმდე მათსა კახეთასასა და მტკვარს შუა“. კუხეთი, მაშასადამე, მღებარეობდა მღანარე არაგვის შესართავიდან მის აღმოსავლეთით დაწყებული კახეთას თავის მთიდან (ასეთი მთა ახლაც არის და აღნიშნულა იყო წინანდელ რუსულ რუკებზე ბოჭორმასთან მის ჩრდილო-აღმოსავლეთით), შემდეგ ქვემოთ კახეთის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთურ განშტოებათა გაყოლებით, ვიდრე შირაქის ზეგანამდე და შირაქის ბოლოში მდ. ალაზნის გაყოლებით გორების გასწვრავ. სამხრეთით კიდევ კუხეთი აღწევდა მტკვარამდის, ე. ი. მოაცავდა გარეჯის უდაბურებს. ბოლდე კუხეთში ითვლებოდა, ხოლო იორის ბოლო ნაწილი ალაზნთან შესართავითურთ ჰერეთში. ჰერეთშივე ითვლებოდა ალაზნის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მღებარე ვაკე ადგილები.

კუხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს (იერის პირს და შირაქის ზეგანს) შემდეგ დაერქვა კამბეჩიანი, კამბეჩოანი. აზორაკის შესახებ თხრობის ავტორი იხსენიებს კამბეჩოანს „იორსა ზედა“. ხოლო ჭუანჭუერის მოხსენიებული აქვს „ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორანბუჯი“ (შირაქის ზეგანისკენ). სტრადონის მიხედვით, კამბის-ენეში (კამბეჩიანში) ხვდებოდა ერთმანეთს სამი ქვეყნის — არმენიის, იბერიისა და ალბანიის — საზღვრები.

სტრაბონის ცნობებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს კამბისენე-კამბეჩანი მის დროს ალბანიაში შედიოდა. გასასვლელი ალბანიიდან არმენიაში მიდისო უწყლო და მკაცრ მხარეზე კამბის-ენეზე მდ. ალაზნისკენ (ე. ი. რომელიც მდ. ალაზნისკენ მდებარეობს, ალაზნად აქ იგულისხმება ეგრეთწოდებული მცირე ალაზანი ანუ იორი).

მართლაც, უსახელო სომხური გეოგრაფია, რომელსაც VI ს-ნის მიაკუთვნებენ, (მოკლე რედაქციით) იხსენიებს ალვანის ოლქებს შორის ქამბეჩანს, ე. ი. კამბეჩანს. მაგრამ ეს ცნობა უფრო ძველს დროს (პაპ ალექსანდრიელს ანუ IV ს-ნის მეორე ნახევარს) უნდა ეკუთვნოდეს. ამის მიხედვით გამოდის, რომ კამბეჩანი დაწყებული სტრაბონის წყაროს დროიდან და, მაშასადამე, ამაზე ადრეც, ე. ი. IV ს-ნიდან მაინც ჩვ. ე-მდის, ვიდრე IV ს-ნემდე ალბანეთის ხელში იმყოფებოდა. ამას უდევდა ქართული წყაროს მამათა და ნათესავთა სქემის ცნობა, რომლის მიხედვით სახელი პერეთი წარმომდგარა ადგილის სახელისაგან ხორანთა. ხოლო ხორანთა ამ სქემის ავტორის მიხედვით იორის და ალაზნის შესაკრებელში მდებარეობდა (ამაზე იხ. ზემოთ). ვახტანგ გორგასალის დროს კი კამბეჩანი ქართლის მეფეს ემორჩილება. გამოდის, რომ IV ს-ნის ბოლოში თუ V ს-ნის პირველ მეოთხედში კამბეჩანი კვლავ ქართლის მეფეს დაემორჩილა.

უნდა ითქვას, რომ კუხეთი არაა ამ მხარის მთლად თავდაპირველი სახელი. ეს სახელი კუხეთი წარმომდგარია, როგორც ეს მამათა და ნათესავთა სქემაში კახის და კუხის შესახებ გადმოცემის ჩანაწერის მიხედვით საგულისხმებელია, კუხისაგან, რომელიც ისტორიული პიროვნება უნდა ყოფილიყო. კუხეთზე აღრინდელი სახელი, ჩემი აზრით, წარმოდგენილია სახელებში სუჯნი, სუჯეთი და გარესჯა. სუჯეთი გვიანდელი გაგებით მდებარეობდა კაწარეთის ახლოს, მაშასადამე, მოიცავდა უჯარმის არეს. გარესჯა კიდევ უნდა იყოს დამახინჯებული გარე-სუჯეთი. მაშასადამე, იყო სუჯეთი და გარე-სუჯეთი, როგორც იყო კახეთი და გარე-კახეთი. ძირითადი ორსავე შემთხვევაში იყო სუჯეთი და კახეთი. გარე-სუჯეთი მეტ წილად იყო უდაბური ადგილები, ხოლო გარე-კახეთი იყო იგივე კუხეთი, სახელგამოცვლილი და უკვე მეორე კახეთად გადაქცეული. სუჯნი უნდა ყოფილიყვნენ არაქართული ტომისანი, კუხეთის პირველმობინადრენი II ათასეულში ჩვ. ე-მდე. სუჯეთის გადაქცევას კუხეთად იწვევდა ამ მხარის კოლონიზება ქართველების მიერ, რის შედეგი იყო მოსახლეობის გაქართველება. მაინც სუჯთა მცირე ნაწილი თითქოს შემორჩენილი იყო წმ. ნინოს დროს და მათ საკუთარი დედოფალიც ჰყავდათ.

მხარის სახელი კუხეთი გაჰქრა XII ს-ნეში, მაგრამ ის შეერწყა არა ჰე-

რეთს, არამედ კახეთს. სახელის კუხეთის გაქრობამ XII ს-ნის სიგრძეზე ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ გიორგი II-მ თავისი მმართველობის პირველ წლებში (1072—1074) აჯანყებულ ზოგ ერისთავ-დიდებულთა დასაკმაყოფილებლად ერთს მათგანს ივანე ლიპარიტის ძეს ბაღევიანს მისცა სამშვილდე, „ხოლო ძესა ივანესა ლიპარიტს მისწა ლოწობანნი ნაცვლად რუსთავისა, რომელიც მიეცა კახთა“. ამგვარად ამ დროიდან რუსთავი მისი შემავალი მხარით (მაშასადამე, შეიძლება ითქვას მთელი კუხეთი) კახეთის სამეფოს ფარგლებში მოჰყვა. 1080 წლის ახლოს, როგორც ეტყობა, რუსთავი და მისი მხარე ტფილისთან ერთად დაიკავეს თურქებმა. სახელი კუხეთი ჯერ კიდევ არსებობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1104 წელს დავითმა შეიერთა კახეთის („რანთა და კახთა“) სამეფო, ხოლო რუსთავი აიღო 1115 წელს, ეს პუნქტი უნდა მოხვედრილიყო უკვე კახეთის ერისთავის ხელქვეით, თუმცა მეფის კუთვნილებას შეადგენდა. სწორედ XII ს-ნეში სახელი კუხეთი ქრება, ის შთანთქმა სახელმა კახეთი და XIII ს-ნიდან კუხეთი უკვე აღარ იხსენიება. აი ამის საბუთიც.

უამთა აღმწერელი ჯვალ-ედ-დინის შემოსევის შესახებ თხრობაში იხსენიებს „სომხითს, კამბეჩანს და იორის პირთ“, რომელნიც მოაოხრეს ჯვალ-ედ-დინის ჯარებმა. სახელი კუხეთი აქ შეცვლილია გამოთქმით იორის პირის ქვეყანანი (გარე-კახეთის სხვა მხარეები სპარსელებს ამ დროს, როგორც ეტყობა, არ აუოხრებიათ მათი მთიანი მღებარეობის გამო).

1245 წლის ახლოს, უმეფობის დროს, იმავე მემატიანის სიტყვით, მონღოლებმა ეგარსლან ბაკურციხელს „ქელთ უღვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩანისა, ტფილისითგან აღმართ ვიდრე მთამდე შამახისა“. ამ ცნობიდან შეიძლება ზოგი დასკვნის გაკეთება. კუხეთი აქ ცალკე არ იხსენიება, ის იჯულისხმება კახეთის ფარგლებში, ხოლო ჰერეთი მოხაზულია ნუხპატ-შაქის და აგრეთვე შირვანის დასავლეთი ნაწილის შიგ ჩათვლით.

1263 წლის ახლოს ულუ-ყაენის წინააღმდეგ აჯანყებულმა ალა-თემურმა განცდილ დამარცხებათა შემდეგ თავისი ჯარით განვლო ჯავახეთი, თრიალეთი „და რუსთავს მტკვარს გავიდეს... და განვლეს კამბეჩანი, კახეთი (უნდა იყოს ჯერ კახეთი და შემდეგ კამბეჩანი), ჰერეთი, ყოველგან (მთიანეთში) ომითა და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა, შევიდეს ლუნძეთს (მთიანეთში) და მივიდეს ოქროს ურდოს ბერქა ყაენს წინაშე“. რუსთავიდან თათართ გაუვლიათ კუხეთის ტერიტორია, რომელიც ამ ხანად უკვე კახეთად იწოდება, შემდეგ კამბეჩანი, ჰერეთი ბელაქნამდის და სხვ.

დომიტრი თავდადებულის დროს აღნიშნულია, რომ ბერქა-ყაენის შემოსევათა შედეგად აოხრდნენ ჰერეთი და კახეთი და „კამბეჩ(ან)ის ვაკენი“. იჯუ-

ლისხმებიან ვაკე ადგილები“, ე. ი. გარე-კახეთის სამხრეთი ნაწილები ძველი კუხეთითურთ და სხვ.

ამგვარად, ექვს გარეშეა, რომ XII ს-ნეში არსებობდნენ გაფართოებული კახეთის და ჰერეთის საერისთაონი. მათ სამხრეთ ნაწილებს შორის დარჩა ცალ-კე ერთეულად კამბეჩანი. ეს არის მომავალი უკანა-მხარი და ქიზიყი შირაქის ველით. ორივე მხარეში XIX ს-ნეშიც, ბატონყმობის გადავარდნის ხანაში, ძლიერი იყო თემური ცხოვრების და თემურივე მიწათმფლობელობის ნორმები, კერძოდ ქიზიყში. გაბატონებული იყო დიფერენცირებული თემობრივი ცხოვრება. მით უმეტეს XII—XIII ს-ნეში კამბეჩანში საფიქრებელია თემური ცხოვრების და თემურივე მფლობელობის სიძლიერე და ბატონობაც. ამიტომ ეს მხარე უშუალოდ საქართველოს მეფის ხელქვეით იმყოფებოდა.

ზემონათქვამის მიხედვით ცხადია, რომ პ. ინგოროყვას მტკიცება, თითქოს მას შემდეგ რაც ქალაქი რუსთავი 1190 წლის ახლოს მიეცა ზაქარია მხარგრძელს, ორიოდ წლის შემდეგ ის გადაეცა ჰერეთის ერისთავს, მოკლებულია რაიმე საფუძველს. ხსენებულ ცნობას რუსთავის შესახებ თამარის პირველი მემართიანე წერს 1195—1196 წლებში, მაშასადამე ამ დროს ყოველ შემთხვევაში ქალაქი რუსთავი, რუსთავის საეპისკოპოსო ტაძრის კუთვნილი გლეხებისა და მამულების გარდა, კვლავ ზაქარია მხარგრძელის ხელში იყო.

კუხეთის რუსთავი და არიში. ქართლის-ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი შესრულებული 1135 — 1140 წლების ახლოს, იხსენიებს, რომ არჩილ მეფის (645—672) დროს სომხეთიდან გადმოსულ ადარნასე ბაგრატიონიანს, ადარნასე ბრმის ძმისწულს, მიეცა სამფლობელოდ რუსთავი (სომხურ ტექსტში რუსთავი წოდებულია არიშა-დ), შულავერი და არტაანი (სომხურ ტექსტშია: შლოვერ და ატონე). ქართლის ცხოვრების ქართულ ვარიანტებში ცნობა ადარნასე ბაგრატიონიანისთვის არჩილის დროს რუსთავის დამტკიცების შესახებ არ მოიპოვება, მაგრამ ამისდა მიუხედავად ის სიმართლეს უნდა შეეფერებოდეს.

ამგვარად, არჩილ მეფის დროს რუსთავი შესაძლებელია ჯუანშერ ჯუანშერიანის საერისთავოში შედიოდა და ეკუთვნოდა სომხეთიდან მოსულ ადარნასე ბაგრატიონიანს. მაგრამ პ. ინგოროყვა ფიქრობს (მნათობი, 1963 წ. IV, 159, შემდ.), რომ რუსთავის მეორე სახელი იყო არიშა-კალა ანუ რიშა-კალა (არიშა-ციხე ანუ რიშა-ციხე). ამით ის ამტკიცებს, რომ რუსთავი ვითომ იყო არიშაიანის სამფლობელო, რომ რუსთავის მხარის ერისთავნი მე-8 ს-ნის მეორე ნახევარიდან ვიდრე მე-12 ს-ნის დასაწყისამდე ეკუთვნიან არიშაიანთა ანუ, რაც იგივეა, არისისძეთა გვარეულობასო. ეს დებულება ჩემ მიერ უკვე უა-

რყოფალა იყო ზემოთ დასახელებული წერილ რეცენზაჲში (ეურნ. მნათობი, 1927 წლის № XI—XII).

მართლაც, ჯერ ერთი, სწორედ აღნიშნულ პერიოდში მე-8 ს-ნის პირველი ნახევრიდან და არა მეორე ნახევრიდან ვიდრე მე-12 ს-ნის დასაწყისამდე რუსთავი არავითარ ქართულ საერისთავოს არ შეადგენდა, რადგანაც ის იყო ტფილისის ამირას ხელში, ხოლო ტფილისის ამირები იყვნენ მაჰმადიანები (არაბები და 1081 წლიდან თურქები). მას შემდეგ, რაც 500 წლის ახლო დროიდან ფარსმანის მეფობისას ქართლში დამყარდა სპარსელების ბატონობა და ტფილისში სპარსეთის მარზპანი დაჯდა, რუსთავი მოექცა უცხო ელემენტთა ხელში. რუსთავის მფლობელები, რომელნიც მირიან მეფის შვილის რევის ჩამომავალი იყვნენ, უკვე აღარ ჩანან და დავით გარჯელის ცხოვრებაში 530 წლის ახლო ხანაში რუსთავის წარჩინებულ პირად იხსენიება „ზარბაროზი“ (არაქრისტიანი) ბუბაქარი, რომელსაც აქვს ტაძრები, ე. ი. სასახლეები და ჰყავს მონებიც. ცხადია, მარზპანების დროს როგორც მცხეთას განაგებდა სპარსელი ხელისუფალი, ცეცხლთაყვანისმცემელი ციხისთავი, ასეთივე ციხისთავი იქნებოდა რუსთავშიც. სახელი ბუბაქარ არაბულია (აბუ-ბეკრ). ამიტომ ეს ბუბაქარ, ცხადია, არის სპარსეთის სამსახურში მყოფი არაბი და, რასაკვირველია, ცეცხლთაყვანისმცემელიც. ასეთი მდგომარეობა რუსთავის მიმართ უნდა გაგრძელებულიყო ვიდრე სასანიანთა მონარქიის შერყევამდე, სახელდობრ ჯერ ბიზანტიის კეისარის ირაკლის დარტყმებამდე, ე. ი. 624 წლამდე, როდესაც გვარამ ბაგრატიონი ბიზანტიელების მიერ დანიშნულ იქნა ქართლის ერისმთავრად. 650 წლის ახლოს არჩილ მეფის მიერ ტფილისის, მანგლისის-ხევის, ჯვარის, ხერკის და მთიულეთის ერისთავად დანიშნულ იქნა მირიანის ძის რევის ჩამომავალი ჯუანშერ ჯუნშერიანი. რადგანაც IV—V ს-ნებში რუსთავი რევის ძეთა ჩამომავალთ ეკუთვნოდა, ამიტომ თითქმის დანადგილებით შეიძლება ითქვას, რომ მე-7 ს-ნის მეორე ნახევარში რუსთავიც ხსენებული ჯუანშერის საერისთავოში შედიოდა.

მე-8 ს-ნის დასაწყისში დაარსდა ტფილისის არაბული საამირო და 704 წლიდან უკვე გვაქვს ტფილისში ხალიფას სახელით მოქრილი ფული. ცხადია რომ ამიერიდან ჯუანშერის შვილის თუ სხვა მემკვიდრის ბატონობაც რუსთავში შეწყდებოდა.

ამგვარად, დაწყებული 500 წლის ახლო დროიდან, ვიდრე 1115 წლამდე (ე. ი. 6 საუკუნის სიგრძეზე) რუსთავი ქართველების ხელში იმყოფებოდა მხოლოდ 624—700 წლების სიგრძეზე ე. ი. ერთ საუკუნეზე ნაკლები დროის განმავლობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ქართლის-ცხოვრების ძველი სომხური თარგმანთა 1135—1140 წლების ახლოს არის შესრულებული. იქ მე-12 ს-ნის ქართლის ცხოვრების ყველაზე ძველი ვერსია არის წარმოდგენილი, სახელდობრ, ნინოს ცხოვრება მოცემულია პირველი პირის თხრობით, ხოლო იგივე თხრობა მე-სამე პირით პირველად არსენ ბერმა შეასრულა დიმიტრი მეფის დროს 1140—1150 წლების ახლოს. ქართლის-ცხოვრების ამ ძველ სომხურ თარგმანში რუსთავი ყველგან მოხსენებულია სახელით რიშა. გამოდის, რომ ეს სახელი ფეხ-მოკიდებული ყოფილა მტკიცედ ტფილისის სომხებში (ქართლის ცხოვრების სომეხი მთარგმნელი უფრო ტფილისიდან არის საგულისხმებელი) და ამასთან ერთად საერთოდ ტფილისშიც. სახელი შეიძლება შემუშავებულიყო არაბების დროს VIII ს-ნიდან. მაგრამ შესაძლებელია, რომ ის გამომუშავდა VI ს-ნე-შიც სპარს მარზპანთა ქართლში მმართველობის დროს. რიშა-კალა (კალა აქ არაბულ-სპარსული სიტყვაა და ციხეს ნიშნავს) არის იგივე რიშას ციხე, ხოლო რიშა კი არის ტერმინის რუსთავის პირველი ნახევრის (რუს) სრული შესატყვისი.

საყურადღებოა, რომ სახელი რიშა-კალა შემონახული იყო ქვემო-ქართლის დაკუთხეთის თურქებს შორის XX ს-ნეშიც და ეს სახელი ამ ფორმით (რიშა-კალა) აღნიშნულია წინარეგოლუციური ხანის რუსულ რუკებზედაც.

ამგვარად, სახელს რიშა-კალას არაფერი აქვს საერთო არიშინის გვართან, რომელიც VI—XI ს-ნეთა სივრცეზე არც შეიძლება რუსთავში ყოფილიყო, როგორც ბატონური მდგომარეობის მქონე.

ბ. ინგოროყვა წერს (იქვე, გვ. 102): „მატიანეში მოთხრობილია, რომ X ს-ნის დასაწყისში არიშის ტერიტორია — არიში და გავაზი ანუ გავაზნი — დაიპყრო ჰერეთიდან ქართლის მფლობელმა მეფე კონსტანტინემ და შეუერთა იგი ქართლს. ამის მიხედვით ნიშანდობლივ ირკვევა, რომ არიში მდებარეობდა სწორედ იმ ადგილას, სადაც ხვდებოდა ერთი მეორე მე-10 ს-ნეში ქართლისა და ჰერეთის საზღვრები, ე. ი. ყარაიის ველზე“.

„მკითხველს, — განაგრძობს ბ. ინგოროყვა, — რომელიც გაცნობილია საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას, რასაკვირველია, კარგად მოეხსენება, რომ მე-10 ს-ნის დასაწყისში ერთადერთი კუთხე, სადაც ეკვროდა ერთი მეორეს ქართლისა და ჰერეთის სამეფოების ტერიტორიები, ეს იყო მხოლოდ ყარაიის ველი. მხოლოდ ამ ტერიტორიის შემოერთება შეეძლო მეფე კონსტანტინეს.

„ამრიგად, «მატიანე ქართლისა»-ს ამ უეჭველ ცნობის მიხედვით არიშის ციხის ადგილ-მდებარეობა არის ყარაიის ველი, ე. ი. რუსთავის საპატრონო. რუსთავის რაიონში ჩანს აგრეთვე არიშთან ერთად მოხსენებული გავაზნი.

„გავაზი მდებარეობდა თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით და რუსთავის ჩრდილოეთით, ლოწობანის (ლოკინის) უბნის ზონაში. გავაზი ქართულ წყაროებში პირველად მოიხსენიება მე-9 ს-ნეში. უფრო გვიან ხანაში, მე-14 ს-ნეში, გავაზი შედიოდა აბაზასქეთა მამულში, რომლის ფარგლებში მოქცეული იყო ძაგნაკორანი (საგურამოს თემი), დილუამი (მტკვრის მარცხენა მხარეს), „გავაზი (მტკვრის მარჯვენა მხარეს ლოკინის ხეობაში) და ლოწობანი (ციხე ლოკინის ხევისა, იხ. ძეგლი ერისთავთა)“.

მთელი ეს ტირადა აშკარა გაუგებრობაზეა დამყარებული. IX—X ს-ნეებში, როგორც ეს ჩანს სამშვილდის, სიონის და კუმურდოს (ჯავახეთში) ტაძრების წარწერებიდან, ჯავახეთი, თრიალეთი და ტაშირის ჩრდილოეთი ნაწილი სამშვილდითურთ ემორჩილებოდა აფხაზთა მეფეს. ტფილისის საამიროში შედიოდა ტფილისის არემაჩე და მხარე სამხრეთით, ვიდრე მდ. ქცია-ხრამამდე. კუხეთიც კამბეჩანთან ერთად აგრეთვე ემორჩილებოდა აფხაზთა მეფეს. ამიტომ ალაზნის ვალმა მდებარე არიშის და გავაზის მხარეებზე აფხაზეთის მეფეს კონსტანტინეს სავსებით თავისუფლად მიუწვდებოდა ხელი. გავაზის შესავლის ჩრდილოეთით, ვიდრე გულგულამდე ტერიტორია, როგორც ეტყობა, იწოდებოდა ორკობის მხარედ, რომელიც ჰერეთის მეფესთან კახთა ქორიკოზის და აფხაზეთის მეფის მხრივ დაზავების დროს ერგო კახეთის ქორიკოზს (ქორეპისკოპოსს). გავაზის და არეშის მხარეები ჰერეთის მეფეს იძულებით უნდა დაეთმო გამარჯვებულ კონსტანტინე აფხაზთა მეფისათვის. ჰერეთის სამეფოს ტერიტორია ამით შემცირდა ვიდრე ვეჯინ-ჭიაურის ხაზამდე. არეშის (არიშის) მხარე-თემი, მშასადამე, ზედ ეკვროდა სამხრეთით გავაზის მხარე-თემს.

ქსნის ერისთავთა ძეგლში XIV ს-ნისთვის დასახელებულია გავაზი, რომელიც ზოგიერთ სხვა მცირე სოფლებთან ერთად გიორგი ბრწყინვალემ უბოძა შალვა ქვენიფნეველს. ეს გავაზი ახლაც არის მდ. ქსნის ზედა ნაწილის მთიან ხეობაში. მას, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო მათიანეში მოხსენებულ ჰერეთის გავაზთან, სადაც აქამდე შემონახულია VI ს-ნის ეკლესია.

ფავნელთა IX ს-ნის სიგელში იხსენიება ფორმით გავაზელნი არსებითად ასეთივე სახელის სოფელი, რომელიც მდებარეობდა მტკვრის სამხრეთ ნაპირას ქართლში სოფ. ცხევერთან, იგივე ცხირეთთან.

რაც შეეხება ლოწობანს, ის მდებარეობდა კახეთის საქორიკოზოში და მას არაფერი აქვს საერთო ლოკინისხევთან. ლოკინისხევს ტფილისის არეში დავით აღმაშენებლის მემკვიდრე ცალკე იხსენიებს. ლოწობანთა ციხე აგებულ იქნა ფადლა ქორეპისკოპოსის მიერ X ს-ნის დასაწყისში. შემდეგში ეს ციხე თავისი შესავალი მხარით მოჰყვა საქართველოს მეფის ხელში იმდენად, რომ

გიორგი II-მ ის უბოძა ივანეს ძეს ლიპარიტს „ნაცვლად რუსთავისა, რომელი მიეცა კახთა“. ჩანს, რომ კახეთის სამეფოსთან დასაზავებლად საჭირო გახდა ლიპარიტის ხელში მყოფ რუსთავზე უარის თქმა. ამის სამაგიეროდ ლიპარიტმა მიიღო ლოწობანთა, რომელიც უნდა ყოფილიყო ერწოს მთავარი სიმაგრე ბოქორმის ციხესთან ყრთად. ლოწობანთა ციხის ზუსტი ადგილმდებარეობა საძიებელია ერწოშივე ეგრეთწოდებულ ნაქალაქარის ანდა კიდევ ყალეთის არეში. ამით ცხადია, ლოწობანთა ციხის მხარე მართლაც ესაზღვრებოდა მაშინდელი კახეთის სამეფოს და ემორჩილებოდა საქართველოს მეფეს, თუმცა ეს მხარე ძირეულად კახეთისად ითვლებოდა.

სოფელი ძაგნაკორანი ახლაც არის და ის მდებარეობს არა საგურამოს თემში, არამედ უფრო ჩრდილოეთით ისტორიული ხერკის მხარის გადამმა.

ამის შემდეგ თავისთავად უნდა მოიხსნას საკითხი X ს-ნის არიშის და გავაზის მდებარეობის შესახებ რუსთავის არეში. სახელი არიში ასეთი ფორმით სრულებით არ ყოფილა რუსთავის მხარეში.

ჰერეთის ბაგრატიონთა ბედი. სუმბატ დავითის ძის ცნობით გვარამ ერის თავის ბაგრატიონიანის (რომელიც კლარჯეთიდან ქართლის ერისთავად გახდა კეისარ ერეკლეს დანიშვნით 624 წლიდან) ერთი ძმა სახელით სპაკე „წარვიდა კახეთს და დაემზახლა იგი ნერსეს და სხვანი ორნი იგი ძმანი (გვარამისა), სახელით ასამ და ვარაზბარდ, წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი და დასახლდეს ივინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს და ამ უამადმდე (XI ს.) შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“.

ამათ შემდეგ მოჰყვა ბაგრატიონთა ახალი შტოს დამკვიდრება ჰერეთში. ეს მოხდა არჩილ მეფის (645—672) დროს. ლეონტი მროველი ამის შესახებ გადმოგვცემს: „ძმისწულნი ადარნასე ბრძისანი, რომელთა დასწვენეს მამისძმასა თვალნი, წარმოვიდეს ტარონით (ეს იყო, მაშასადამე, ბაგრატიონთა სომხური შტო) შაკიხად სამნი ძმანი, და დაემკვიდრნეს მუნ ბრძანებითა არჩილისითა, რამეთუ ყოველი პირი კავკასიისა რანით კერძო უმკვიდრო ქმნილ იყო, ხოლო ჰერეთი და კახეთი ჭალაკთა და ტყეთაგან უკეთე დარჩომილიყო და დაემკვიდრნეს სამნივე იგი ძმანი ვიდრე გულგულამდის“. ეს ნიშნავს, რომ ამ სამ ძმას ბაგრატიონანს დაუყავებია მთელი ჰერეთი.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჰერეთის ბაგრატიონანების რეზიდენცია VII ს-ნეში და შემდგომ დროშიც უნდა ყოფილიყო შაკიხი. ამისდაგვარ სახელს წარმოადგენს შაკი-ოლქის სახელი ნუხპატის (ნუხას) მხარეში (სამხრეთ აღმოსავლეთით).

ხორნაბუჯელ ბაგრატიონთა შტო, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა

მთელს XI ს-ნეშიც, XII ს-ნის I ნახევარში ან ამოწყდა ანდა გადაადგილდა, რადგანაც XII ს-ნის II ნახევარში და თამარის დროს ზორნაბუჯის ბატონად უკვე სხვა გვარის კაცი — მახატელისძე იხსენიება.

რაც შეეხება ჰერეთის ბაგრატოვანთა ბედს, ეს შტო, ეტყობა, ამოწყდა XI ს-ნის პირველ მეოთხედში, როდესაც თვით ჰერეთი ინკორპორირებულ იქნა კახეთის ქორეპისკოპოსის მიერ, რომელიც ამიერიდან იწოდებოდა მეფედ რანთა და კახთა.

ამგვარად, ბაგრატოვანთა გვარის რომელიმე შტო XII ს-ნეში არაა საგულისხმებელი არც ზორნაბუჯში და არც ჰერეთში.

ბორენას საკითხი. პ. ინგოროყვა ლენჯერის ხატზე იამბიკოდ გაკეთებულ ლექსს მიაწერს ბორენას, რომელსაც ის 1240-იან წლებში ცნობილი ცოტნე დადიანის ცოლად თვლის (მნათ., 1963 წ., V, 164). ძეგლს და წარწერას ალ. ხახანაშვილი² და მის შემდეგ ე. თაყაიშვილი მიაკუთვნებდნენ XI ს-ნის ბაგრატ IV-ის ცოლს ბორენას. პ. ინგოროყვა უარყოფს ამ თარიღს და ამბობს: „ქართული პალეოგრაფია ამჟამად იმდენად წინ წავიდა, რომ წარწერის დათარიღება საუკუნის ფარგლებში უკვე მოსახერხებელია... მე-13 ს-ნეზე გვიანდელი ეს წარწერა არავითარ შემთხვევაში არ არის“-ო. (იქვე). მაგრამ სწორედ პალეოგრაფიული თვისებებით ხსნებელი წარწერა არაფრის გზით არ შეიძლება მიეკუთვნოს XIII ს-ნის და გადადის XIV ს-ნეში. (ო-ნი არის განივი ხაზით და ოდნავ ქვემოთკენ დაკუთვებული; შეად. ზარზმის ფრესკები 1300 წლ. ახლო და სხვ.). ჩემ მიერ შემუშავებული გენეალოგიური ტაბულით XIII—XIV ს-ნეებში იყო სულ სამი ცოტნე: 1) ცოტნე I დადიანი, ოდიშის მართველი თამარ მეფის დროს 1190—1205 წლების ახლოს; (მისი ცოლი ნათელა); 2) ცოტნე II, კობტისთავის გმირი, 1240—1250 წლების ახლოს; ცოლი მისი ბორენა; 3) ცოტნე III, მანდატურთუხუცესი, ცოლი მისი გურიელის ასული მარიამ-ყოფილი მაკრინე. ეს ცოტნე III დადიანად იყო 1345—1365 წლების ახლოს (გენეალოგია შედგენილია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპების გამოყენებით).

შოთას არ შეიძლება რაიმე ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდეს ცოტნე II-ის ცოლ ბორენასთან და ეს ბორენა არც შეიძლება ჩაითვალოს ლენჯერის ხატზე წარმოდგენილი იამბიკოს ავტორად — არავითარი საბუთი ამისთვის არ არის. ლენჯერის ხატის ბორენა არაა მოხსენიებული დიოფალად, ამიტომ ის არც შეიძლება ყოფილიყო რომელიმე დადიანის ცოლი. ლენჯერის ხატის ბორენას ვინაობის გასარკვევად შემდეგი უნდა ითქვას:

ჯვარის მონასტრის აღაპებში XIV ს-ნის დასაწყისის ხელით ჩაწერილია ორი შემდეგი აღაპი (25 და 27): სეკდენბერს 24 „აღაპი თურგლა ბიჭლაგანისა

(წავითხვა შესწორებულია ჩემ მიერ) მეუღლისა ბორენასი, რავდენიცა ხუცესი იყოს, ჟამის წირვითა. მოგუცა ათასი დრამა... საპანაშუიდეცა მოგუცა ხუთასისა დრამისაჲ და ვინცა პანაშუდსაცა არა გარდიჭდიდეს, პრისხავმცა მამა, ძე და სული წმიდაჲ მეორესა მოსულასა. კულადცა შემოსწირეს ხუთასი თეთრი საპურედ, ღმერთმან შეუნდვენ“.

პალეოგრაფიული მონაცემი (მთავრული ა-ნი, წარმოდგენილი ქვედა ხაზით ქვემოთკენ ჩამოწევით) აგრეთვე დრამის და თეთრის ერთმანეთის ფარდად მოხსენიება ათარილებს ამ ალაპის ჩანაწერს 1305—1315 წლების ახლო დროით.

იმავე ხელით ჩაწერილია მეორე ალაპიც (27): 26 სექტემბერს „ალაპი თურგლა ბიჭლაგიანისა... მოგუცა ათასი დრამა... საპანაშუდცა მოგუცა ხუთასისა დრამისა“.. (წყევა, ვინც ამას შესცვლის და ალაპსა და პანაშვიდს არ ვადაინხდისო).

ცხადია, რომ აქ მოხსენებული ბორენა არის თურგლა ბიჭლაგიანის ცოლი. რომელსაც საალაპედ კარგი სახსრები ჩაუტანია ჯვარის მონასტრისთვის.

ერთი ბორენა მოხსენიებულია კიდევ ჩანაწერში 307: „პარასკევსა ყველიერისასა მწობრი პანაშუდი გომოსძეთაჲ მიცვალეულთაჲ ზვადისი, ივანესი. ეკუქესი, ბეშქენისი და სარგისისი და შაბათსა თუითო ხუცესი ჟამსა წირვიდეს ხუთთათკსვე და საწირავი ეკლესიით მიეცემოდეს. მე, ბორენა, მოვილე ამა საუკუნოხსა პანაშუდისათკს ექოსასი თეთრი“... ჩანაწერი ხელის მიხედვით მიეკუთვნება აგრეთვე XIV ს-ნის პირველ მეოთხედს და ამიტომ აქ მოხსენებული ბორენა და თურგლა ბიჭლაგიანის ცოლი ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

იქვე ალაპი № 158 ჩაწერილია შემდეგნაირად: 12 იანვარს „ალაპი საუკუნოჲ გომოხდისისა ავაგისა, შეუნდვენ ღმერთმან“. ხელი ამ ალაპისა არის ხსენებულ ალაპთა და პანაშვიდების შემკვეთის ბორენას დროისა. მოძრავი დღეების ნუსხაში (ტიშ. 34 და 35) აღვსების ორშაბათს ჩაწერილია კიდევ საღირ გომოსძის „წირვა და ალაპი“, ხოლო აღვსების სამშაბათს — ივანე გომოსძის „წირვა და ალაპი“.

ყველა ეს გომოძეები, ჩემი აზრით, დაკავშირებული არიან ბორენასთან. ისინი უნდა იყვნენ მისი პაპა, მამა და ძმები. ბორენა გომოძე ორჯერ ჩასულა იერუსალიმში და ამიტომ მას ორგზის უნდა ჰქონდეს ნაწილ-ნაწილ ხსენებული ალაპები და პანაშვიდები შეკვეთილი. გომოძეები XVII ს-ნეში ოდიშში ითვლებოდნენ წარჩინებულ გვართა შორის. XIV ს-ნიდან დადიანთა დინასტია გომოძეთა გვარისა, გომოძეების დინასტია ოდიშში XV ს-ნეში შესცვალა ლიპარტი-

ანის დინასტიამ. XV ს-ნის დასასრულში დას. საქართველოს დარბაზის წევრთა შორის იხსენიება ელბადურ გოშოძე. ასევე მაღალი მდგომარეობისად უნდა ყოფილიყო გოშოძეების გვარი XIII—XIV ს-ნებშიც. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ბორენა გოშოძის ქმარი თურგლა ბიჭლაგიანი? გვარის მიხედვით, ის არის სვანი. ამ ხანაში სვანთა ერისთავი იხსენიება მსახურთუხუცესადაც. მსახურთუხუცესი უფრო მეტად თავისი (აფხაზ-იმერეთის) მეფის კარზე უნდა ყოფილიყო. მსახურებიც, რომელნიც მეფის მცველ რაზმს შეადგენდნენ, უფრო ლეჩხუმ-სვანეთიდან გამოჰყავდათ. ლეჩხუმი ჯერ კიდევ XV ს-ნეში უფრო მეტად სვანურად მოლაპარაკე მოსახლეობის მქონე იყო. ვახუშტის თავისი დროისთვის და უფრო კიდევ მიახლოვებით XVII ს. და XVIII ს-ნის პირველი მეოთხედისთვის (შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა) ეს დადასტურებულიც აქვს — სახელობრ, ლეჩხუმიდან გამოყავდათ იმერეთის მეფის ტალანი, ე. ი. მეფის მცველი რაზმიო, წერს ის. გიორგი III-ის დროს მანდატურთუხუცესს და ამირსპასალარს თავის მაგივრად ანუ „თანაშემწედ“ (ასეა მატიანეში) ჰყავდა „ძმა და საყვარელი“ (ესეც მატიანის სიტყვებია) სარგის მხარგრძელი. მე მგონი, რომ ხსენებული სვანი თურგლა ბიჭლაგიანი, წარჩინებული გოშოძეების სიძე, არის სვანეთის ფაქტიური გამგე, რომელიც იყო მუდმივად ან მეტწილად მეფის კარზე მყოფ სვანთა ერისთავის და მსახურთუხუცესის „თანაშემწე“. ლენჯერის ხატის შემკვეთი სვანეთში ბორენა ამ თანაშემწის ცოლი უნდა იყოს.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სწორედ XIII—XIV ს-ნეთა მიჯნაზე ქართულ დამწერლობაში მთავრული ა-ნი იცვლის სახეს. ქვედა ფეხი, რომელიც მანამდე ზევით აწეულად იწერებოდა, იწყებს ქვევით დაწევას. ლენჯერის ბორენას ხატის წარწერაში მთავრული ა-ნი წარმოდგენილია ზემოთკენ ძლიერად აკაუჭებული ფეხით, რაც უნდა გვიჩვენებდეს, რომ ხსენებული ხატი ბორენას დამზადებული აქვს თავის ახალგაზრდობაში 1280—1290 წლების ახლოს. ხოლო იერუსალიმში და ისიც ორჯერ ის იყო თავისი ხანდაზმულობისას 1310—1315 წლების ახლოს.

ბუნებრივია, რომ ამ ბორენას შოთას ცხოვრებასთან არაფერი აქვს საერთო.

ვაზირები XII—XIII ს-ნის საქართველოში. პ. ინგოროყვა არ იცავს ყველგან მიღებულ წესს, რომ სათაური შრომისა უპასუხებდეს შინაარსს და პირიქით. განსაკუთრებით „რუსთველიანას ეპილოგი“ წარმოგვიდგენს ამ მხრივ განსაკვიფრებელ რამეს. იქ მოთავსებულია მთელ თავები და ისიც უაღრესად გაჭიანურებით, რომელთა შინაარსს არაფერი აქვს საერთო შოთა რუსთაველის

საკითხთან. სავსებით ზედმეტია ამ მხრივ თავები: ძველი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია XII—XIV საუკუნეებში და მისი ადმინისტრაციული დაყოფა სამხარეო ერთეულებად (გვ. 547—554); მთავარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების) უმაღლესი ხელისუფალნი „ერისთავთ-ერისთავნი“ XII—XIV ს-ნებში (გვ. 555—560); ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობასავაზირო XII—XIV ს-ნებში (გვ. 561—573); ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის სავაზიროს პერსონალური შემადგენლობა XII ს-ნის დასაწყისიდან XIV ს-ნის დასასრულამდე (გვ. 573—591). ამასთანავე ყველა ეს თავი გაკვირვებას იწვევს წყაროების არასწორი გამოყენებით (დამახინჯებით და ხშირად პირდაპირ შეთხზვით) და საერთოდ ფაქტების გასაოცარი უცოდინარობით და ასევე შეთხზვითაც. ძლიერ მოცლილი უნდა იყოს კაცი, რომ ამისთანა, განსაკუთრებით რუსთველიანას ეპილოგის ფანტასტიურ ნაწილებს ანგარიში გაუწიოს და მათ გარჩევას შეუდგეს. ჩვენ მაინც შევეხებით მოკლედ პ. ინგოროყვას მიერ კერძოდ XII ს-ნის საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესახებ მოცემულ ფანტაზიებს.

პ. ინგოროყვა წერს (მნათობი № 3, 1963 წ., გვ. 125): „საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი მე-12—14 საუკუნეებში, როგორც წესი, ინიშნებოდნენ ვიწროდ შემოფარგლული წრიდან, სახელდობრ, დიდი საერისთავოების მეთაურთაგან, რომელნიც ერისთავთ-ერისთავებად იწოდებოდნენ. სულ მე-12—14 საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო განიყოფებოდა 25 სამხარეო ერთეულებად, დიდ საერისთავოდ, რომელთა მეთაურები ატარებდნენ ერისთავთ-ერისთავების ტიტულს და რომელთა წრიდან ინიშნებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი“.

ეს არ შეეფერება სინამდვილეს. სულ იყო 9 ერისთავი (სვანთა, რაჭის და თაკვერის, აფხაზეთის, ცხუმის, ოდიშის, ქართლის, კახეთის, ჰერეთის და კიდევ სამცხის ერისთავი, რომელიც იწოდებოდა სპასალარად. კლარჯეთში იყო სეფეშვილი (ე. ი. მეფის მოადგილე). არაა მოხსენებული, მაგრამ ასეთივე სეფეშვილი საგულისხმებელია სამოქალაქოსა (ქვემო იმერეთში) და არგვეთში (ზემო იმერეთში), აგრეთვე გურიაში, ჯავახეთსა, არტაანსა, ტაოში. სომხურ პროვინციებს თამარის დროიდან განაგებდნენ მხარგრძელთა გვარის ცალკე შტოები და არც ერთი ამთავანი ერისთავად არ იხსენიება.

პ. ინგოროყვა წერს (მნათობი, 1963 წ., № 4, გვ. 120, წიგნის გვ. 594), რომ XII—XIV ს-ნებში ერისთავთ-ერისთავების ტიტულს ატარებდა 64 ვაზირი, მათ შორის 61 ვაზირი იყვნენ მხარეთა ერისთავთ-ერისთავებიო.

კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ XII ს-ნეში და XIII ს-ნის პირველ ნა-

ხევარში საქართველოს სამეფოს არა თუ 61 ვაზირი, არამედ არც ერთი ვაზირი ერისთავთ-ერისთავის ტიტულს არ ატარებდა. მხოლოდ დას. საქართველოს სასამეფოს მანდატურთუხუცესები XIII ს-ნის მეორე ნახევრიდან იწოდებოდნენ ერისთავთ-ერისთავებად, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა.

ვაზირები ერისთავთ-ერისთავებზე მაღლა იდგნენ და არც ერთხელ XII ს-ნესა და XIII ს-ნის პირველ ნახევარში ისინი ერისთავთ-ერისთავებად არ იხსენიებიან. მაღალ ხელისუფალთაგან ერისთავთ-ერისთავებად იწოდებოდნენ ვაზირების თანამეფენი — მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და საფიქრებელია, ამირახორი და ჩუხჩერახი (თუმცა დოკუმენტურად ამირახორისა და ჩუხჩერახის შესახებ ეს დადასტურებული არაა). მაგრამ როდესაც თამარის მეფობის მეორე ნახევარში მეჭურჭლეთუხუცესი გახდა ვაზირი, ხოლო რუსულან მეფის დროს მსახურთუხუცესიც ვაზირად ამადლებულ იქნა, ამის შემდეგ არც მეჭურჭლეთუხუცესი და არც მსახურთუხუცესი ერისთავთ-ერისთავებად უკვე არ იხსენიებიან (აფხაზეთ-იმერეთის სამეფოში სხვა წესი იყო, იქ ისინი XIII—XIV ს-ნებში იწოდებოდნენ ერისთავთ-ერისთავებად).

აქ საჭიროა შევჩერდეთ საკითხზე თუ რას ნიშნავდა ამ დროს ერისთავთ-ერისთავი.

ვიდრე ბაგრატ III-მდე (ჩათვლით) ერისთავთ-ერისთავი აფხაზეთის სამეფოში და არტანუჯის სამეფოშიც ერთი იყო და ის ითვლებოდა მეფის შემდეგ პირველ პირად. ბაგრატ III დასაფლავა ერისთავთ-ერისთავმა ზვიადმა.

XII ს-ნეში დავით აღმაშენებლის დროიდან და კერძოდ თამარის დროს სახელმწიფოს სათავეში მეფის შემდეგ იდგნენ ვაზირები (მწიგნობართუხუცესი, მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი). ვიმეორებ, ერისთავთ-ერისთავებად ესენი არ იწოდებოდნენ, ისინი ერისთავთ-ერისთავებზე მაღლა იდგნენ. ერისთავთ-ერისთავებად იწოდებოდნენ აგრეთვე მხარეების ერისთავები (მაგ. ქართლის ერისთავი და ამის მსგავსად მხარეთა სხვა დიდი ერისთავები ოდიშის, სვანთა და სხვანი). თვით სამეფო დარბაზში მსხდომნი პირნი განიყოფებოდნენ ორგვარად — ზოგს ჰქონდა სასთაულით დაჯდომის უფლება, სხვებო კი სხდებოდნენ უსასთაულოდ. ასეთივე ტრადიცია იყო ეპისკოპოსებს შორის. არჩილ მეფის დროს თითქოს 1358 წლის ახლოს შედგენილ დარბაზობის წესში ქართლის საკათალიკოზოს 35 ეპისკოპოსიდან მხოლოდ სამს (კათალიკოზის ჩათვლით) ჰქონდა ბალიშით (იგივე სასთაულით) და ნატიო დაჯდომის უფლება. დანარჩენთაგან კიდევ უბალიშოდ, მაგრამ ნატიო სამი მღვდელთმთავარი ჯდებოდა. ხოლო სხვა 29 ეპისკოპოსი ჯდებოდა უნატოდ და უბალიშოდ.

დაახლოებით ასეთივე განრიგი უნდა ყოფილიყო სამეფო დარბაზში დიდებულების მიმართ. ზოგ დიდებულს ჰქონდა უფლება სასთაულით (ბალიშით, ეს სპარსული ტერმინია) და ნატიით (მოქნილი ტყავით) დაჯდომის უფლება, სხვები კი სხდებოდნენ უსასთაულოდ, მაგრამ ნატიით, ხოლო დარბაისერთა უმეტესობა სხდებოდა უსასთაულოდ და უნატოდ. როგორც ჩანს, ნატიით და სასთაულით მსხდომნი იწოდებდნენ ერისთავთ-ერისთავებად. როდესაც 1185 წლის შემდეგ ჰერეთის ერისთავმა (ერისთავთ-ერისთავმა) გრიგოლმა „წელთ უღვა“ ჰერეთის ერისთავობა თავის შვილს ასათს, მან გამოთხოვა თავისთვის დარბაზში არიშიანის ადგილზე დაჯდომის უფლება „სასთაულითა“, ე. ი. ის დარჩა ასე ვთქვათ, დარბაზის ერისთავთა-ერისთავად.

ზემოთ (გვ. 206) ნაწარაუდები იყო, რომ დაეთ აღმაშენებლის დროს მოყმეთა რაოდენობა საქართველოში ორი ათასამდე იყო, ხოლო გიორგი III-ის დროს უკვე სამი ათასამდე აღიოდა (მემატინის ცნობა). თუ პირველხარისხიან დიდებულებად სამთავრო გვართა უფროსებს ვიგულისხმებთ, მათი რაოდენობა თამარის დროს საეჭვოა 70 კაცზე მეტი ყოფილიყო. ამის მიხედვით და თუ ეპისკოპოსების აღნიშნული შეფარდებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ მივიღებთ მეფის დარბაზში ჯდომის უფლების მქონე დარბაისელთაგან 60-ოდე პირს — მსხდომს ნატიითა და სასთაულით, ამდენივეს უსასთაულოდ, მაგრამ ნატიით, ხოლო დანარჩენთ უნატოდ და უსასთაულოდ. პირველი კატეგორიის დიდებულები იყვნენ თავიანთ გვართა უფროსები და ამიტომ იწოდებოდნენ თავადებად (თამარის პირველი მემატინე ტფილისის და ქართლის ამირას აბულასანს იხსენიებს თავადად). მეორე კატეგორიის დარბაისლები იქნებოდნენ ხსენებული თავადების შემდგომნი, ხოლო მესამე კატეგორიისანი საზოგადოდ უფრო დაბალ აზნაურთა გვარების უფროსი წევრები და აგრეთვე სხვა ასეთნი (საფიქრებელია გვარიდან თუ კომლიდან თითო). მზადდებოდა ნიადაგი წოდებრივი მონარქიის დამყარებისათვის.

შემდეგში დიდებულთა წოდებულება შემკიდროვდა. დიდებულნი იყვნენ მხოლოდ პირველი კატეგორიის გვართა მეთაურები. ამათ მიჰყვებოდნენ ციხიანი და მონასტროსანი აზნაურები (ყოფილი მეორე ხარისხის წარჩინებულნი), ხოლო ამათ დაბლა იდგნენ ჩვეულებრივი უციხო აზნაურები (ასეა ბექას კანონებით).

XII ს-ნის მეორე ნახევრიდან XIII—XIV ს-ნებში პირველხარისხიან დიდებულთათვის შემოდის კიდევ ტერმინი დიდებული თავადი, რომელიც არის თავისი გვარის მეთაური, დამტკიცებული ამ მდგომარეობაში მეფის მიერ

(ტერმინი იხსენიება ვეფხისტყაოსანში). იმავე გვართა სხვა წევრები, აგრეთვე ყოფილი ციხოსანი აზნაურების ოჯახის თავნი იწოდებოდნენ თავადებად, ხოლო გვარის სხვა წევრნი თავადიშვილებად. ამათ შემდეგ მიდიოდნენ აზნაურები და აზნაურისშვილები.

ახლა კვლავ ვაზირებზე. მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუარსლანი, რომელიც მეფის უფლების შეზღუდვისაკენ მიისწრაფოდა, „თავით თვისით ამირსპასალარად და სომეხთა მეფეთა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული“ იყო. ცხადია, რომ ის მიისწრაფოდა უფრო მაღალი ადგილი დაეკავებინა. მასასადამე, ამირსპასალარის და მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობათა შორის ამ დროს დიდი განსხვავება იყო. მაგრამ ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირად გამხდარა აბაგობის თანამდებობის დაწესებამდე. ათაბაგობა კი დაწესებულ იქნა უფრო 1212 წელს ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ. ხოლო მეჭურჭლეთუხუცესი კი აყვანილ იქნა ვაზირის ხარისხში ამაზე ადრე, 1200 წლის ახლოს.

ამგვარად, ვაზირებს XII ს-ნეში და შემდეგაც ერისთავთ-ერისთავის წოდებულება არ ჰქონდათ, ისინი ამ წოდებულებაზე მალლა დგანან. ვაზირთა ხსენებული თანამეწიფეები კი ერისთავთ-ერისთავები იყვნენ. მაგრამ როდესაც ზოგი ამათგანი ვაზირად გახდა, მაშინ ისინი ერისთავთ-ერისთავებად უკვე აღარ იწოდებოდნენ. მსახურთუხუცესი აფრიღონ 1180 წლის ახლოს ქვედა ჯინისის წარწერაში (თრიალეთში) ერისთავთ-ერისთავად იხსენიება, ხოლო მსახურთუხუცესი გრიგოლ სურამელი 1240-იან წლებში სიგელში უკვე ამ წოდებულებით აღარაა მოხსენიებული, რადგანაც მსახურთუხუცესი ამ დროს (რუსულანის დროიდან) უკვე ვაზირია.

მეჭურჭლეთუხუცესი სავაზიროს წევრი გახდა XIII ს-ნის პირველ წლებში. ხოლო მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი, ლურჯი მონასტრის ხატის არშიის წარწერის მიხედვით, ერისთავთ-ერისთავია, მასასადამე, ის 1200 წლის წინა ხანაში ცხოვრობდა. მეჭურჭლეთუხუცესი შალვა ახალციხელი განძანის ზედა ეკლესიის წარწერაში არაა ერისთავთ-ერისთავად მოხსენიებული, რადგანაც მეჭურჭლეთუხუცესი წამ წარწერის შესრულების დროს (1205—1210 წლების ახლოს) უკვე ვაზირია.

იხსენიება კიდევ მეჭურჭლეთუხუცესი და სენათა ერისთავი ივანე ვარდანისძე. მისი სახელი და ტიტულატურა ცნობილია მისივე შეკვეთით დამზადებული მესტიისა და ლაბეჯინის ხატების მიხედვით (ლაბეჯინი ლეჩხუმშია, მაგრამ თვით ლეჩხუმი მაშინ სენათში შედიოდა; რაჭა ეწოდებოდა ახლანდელ ქვემო რაჭას, ზემო რაჭის სახელი კი იყო თავვერი, რომელიც ემორჩილებოდა

რაჭის ერისთავს). მესტიის ხატის წარწერა: „მე იოანე ვარდანის ძემან, სვანთა ერისთავმან და მეჭურჭლეთუხუცესმან, მოვჭედეთ ხატი ესე გიორგისი და დავასვენენ ეკლესიასა და მივანდე თეოდორეს, რათა ამით ხატითა ღმერთსა ევედროს ღიღისა სუანეთისათჳს“...

ლაბეჭინის ხატის წარწერა: „მე იოანე ვარდანისძემან, სვანთ ერისთავმან, მეჭურჭლეთუხუცესმან და პროტოსტრატეგოსმან (პროსტონ) მოვჭედე ხატი ესე წმიდისა გიორგის მთავარმოწამისა და დავასუენე საყდარსა შინა ოჩამისსა საქსენებლად სულისა ჩემისა, მშობელთა ჩემთა და შვილთა ჩემთა“¹.

პალეოგრაფიული თვისებებით ეს წარწერები ეკუთვნის XIII ს-ნეს (ო-ნი განივი ხაზით და ზოგი სხვა ნიშნები). შეიძლებოდა ამიტომ ივანე ვარდანისძე გაჭირვებით მიგვეკუთვნებია თამარის ხანისთვისაც. მაგრამ პროტოსტრატეგოსი ნიშნავს ბერძნულად პირველ მხედართმთავარს და ასეთი ტიტულატურა სვანთა ერისთავისთვის თამარის დროს არაა მოსალოდნელი. ის უფრო სავარაუდოა XIII საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფის შემდეგ, როდესაც ლეჩხუმში იძლეოდა მუდმივ მცველ რაზმს აფხაზ-იმერეთის მეფისთვის, რამაც XIII—XVI ს-ნეებში ხელი შეუწყო ლეჩხუმში ქართული ენის გავრცელებას. გარდა ამისა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობის შეთავსება სვანეთის ერისთავობასთან თამარის დროს შეუძლებელია და ეს კი შესაძლებელი იყო, ვთქვათ, დავით ნარინის დროს. უკვე რუსუდანის დროს 1240 წლის ახლოს მეჭურჭლეთუხუცესი ყვარყვარე იმავე დროს არის „მთავარი (ერისთავი) და სპასალარი სამცხისა“ სწორედ ისე, როგორც ივანე ვარდანისძე მეჭურჭლეთუხუცესია და იმავე დროს სვანეთის ერისთავი და მხედართმთავარი. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ივანე ვარდანისძე უფრო 1260—1270 წლების ახლოს მოღვაწე პირი უნდა იყოს.

მხოლოდ თამარ მეფისა და მისი ახლო დროის ვაზირების სიის შემოწმება „რუსთველიანას ეპილოგის“ მიხედვით (თუმცა ამ ხანისთვის ცნობები საკმაოდ არსებობს) ასეთ სურათს იძლევა:

მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ-უ ხ უ ც ე ს ე ბ ი (ჭ ყ ო ნ დ ი დ ლ ე ბ ი) პ. ი ნ-გ ო რ ო ყ ვ ა ს მ ი ხ ე დ ვ ი თ:

სვიმეონ IV გულაბერისძე 1118—1150 წ.

იოვანე (ქობულისძე) 1150—1177 წ.

ანტონ გლონისთავისძე (1178—1184/5 წ., 1189/90—1210-იანი წწ.

¹ ე. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზის გამოცემა, გვ. 22—24.

მიქაელ მირიანის ძე 1184/5—1189/90.

დავითი 1210-იანი — 1220-იანი წლები¹.

არსენი ბულმაისიმის ძე 1230-იანი წლებიდან ვიდრე 1248 წლამდე.
ბასილი უჯარმელი 1248—1265 წწ.

მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს თ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ი ა ა ს ე თ ი ა :
გიორგი იყო 1100—1119 წლების ახლოს.

სვიმეონ, გიორგი მწიგნობართ-უხუცესის დისშვილი, თავდაპირველად ბე-
დიელ-ალავერდელი, შემდეგ კი დაახლოვებით 1130—1132 წლიდან ჰყონდი-
დელი მთავარეპისკოპოსი. მას იხსენიებს დავითის მემკვიდრე არსენი მატეანის
დაწერის დროს 1132 წლის ახლოს. უბისის მონასტრის ამშენებელია 1141
წელს.

იოანე იხსენიება 1143 და 1161 წლ. ახლოს (ათონის აღაპები და მატეანე)².
ანტონ გლონისთავის ძე, იხსენიება 1179—1186 წლების ახლოს.

მიქელ მირიანის ძე, კათალიკოსი, რომელმაც წაართვა მწიგნობართ-უხ-
უცესობა ანტონს 1186 წლის ახლოს, მოკვდა 1189 წლ. ახლ.

¹ იერუსალიმის ჭვარის მონასტრის ხელნაწერს № 13, რომელიც საეკლესიო-სასულიერო
ნაწარმოებთა კრებულს წარმოადგენს, ფ. 277-ზე აქვს შემდეგი მინაწერი ტექსტის ხელით:
„უფალო ღმერთო, აღიდე შენ მიერითა დიდებითა და უქმარენ წმიდანი ესე წიგნი დღევანდელ-
ღებასა შინა და ცოდებათა შენდობასა წმიდასა მეუფესა დავით ჰყონდიდელსა, ამინ იყავნ“.
იქვე, მაგრამ ცალკე: „დაიწერანეს წნი ესე წიგნი კელითა ჩემ ცოდვილისა გიორგი
მწერლისა ქუტირელისაჲთა. წმიდანო ღმრთისანო, ჩემოესა ლოცო ყავთ“.

ამგვარად, ხელნაწერი გადაწერილია დავით ჰყონდიდელ ეპისკოპოსისათვის (მეუფედ
ჩვეულებრივ ეპისკოპოსები იწოდებოდნენ) ქუტირელ (ქვიტირელ) გიორგი მწერლის მიერ,
ტომელიც, საფიქრებელია, წარმოშობით სასულიერო წოდებიდან იყო. ხელის მიხედვით
ხელნაწერი უდავოდ მიეკუთვნება XI—XII ს-ნეთა მიჯნას, ასე რომ პ. ინგოროვცას შეცდომა
მოსდის, როდესაც ამ დავითს 1210—1220-იან წლებს მიაკუთვნებს. გარდა ამისა ეს დავით
ჰყონდიდელი არ იხსენიება მწიგნობართ-უხუცესად. როგორც იტყობა, ჰყონდიდელთან
მწიგნობართ-უხუცესობა შეთავსებულ იქნა პირველად გიორგის სახით, რომელიც იყო და-
ვით აღმაშენებლის უახლოესი მრჩეველი თავიდანვე. ის გარდაიცვალა 1119 წელს, ყოველ
შემთხვევაში მწიგნობართ-უხუცესად ის უნდა ყოფილიყო 1103 წლიდან, როდესაც ჩამოყა-
ლიბდა სავაზირო (და შეიძლება უფრო ადრეც).

² ეს იოანე XII ს-ნის გერმანულ წყაროში მოხსენებულია როგორც საქართველოს მეფის
თანამოსაგრე. უნდა ივალისხებოდეს დავითის შვილი დიმიტრი მეფე 1140-იანი წლების-
თვის. ამასთანავე ეს იოანე არ იხსენიება ჰყონდიდელად, თუმცა გერმანული წყაროს (ოტო
ფრაიზინგერის) მიხედვით ის ეპისკოპოსი მინცუჟუნდა ყოფილიყო (შეად. შ. მესხია, დიდგორ-
გორის ომი, 1965 წ.- 97—98).

ანტონი, მეორეჯერ 1189 წლიდან, იხსენიება 1201 და 1203 წელსაც, მწიგნობართუხუცესად იყო ვიდრე 1210 წლის ახლო დრომდე.

არსენი ბულმაისიმიძე 1220—1230 წლების ახლოს.

არსენი აბულხოტრისძე 1240 წლის ახლოს.

ბასილი უჯარმელი 1245 წლის ახლოს (იხ. ზემოთ, გვ. 129) ვიდრე 1260 წლის ახლო დრომდის.

მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ ე უ ც ე ს ნ ი პ. ინგოროყვას მიხედვით:

ასათ I (გრიგოლ I-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი 1117/20—1145.

სუმბატ ორბელიანი 1145—1163.

გრიგოლ II (ასათ I-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი 1163—1177 (ეს მოგონილია).

ყუბასარი მანდ.-უხუცესი და ამირსპასალარი 1178—1184/5.

სარგის მხარგრძელი 1184/5—1187.

გამრეკელი კახას ძე თორელი 1187—1191.

ზაქარია მხარგრძელი 1191—1211, იგივე მანდ.-უხ. 1210—1211.

ჭიაბერი 1187/5—1205.

ბელიანი I დადიანი 1210—1225 (ეს მოგონილია).

ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ ე უ ც ე ს ე ბ ა დ ი ყ ვ ნ ე ნ :

აბულეთი, 1103—1130 წლის ახლოს.

აბულეთის ძე ივანე, მოკლულ იქნა 1144 წ.

სუმბატ ორბელი 1144—1154, 1156—1160 წწ. ახლ., მანდ.-უხ. და ამირსპასალარი.

თირქაშ აბულეთის ძე, 1154—1156 (ვარდან დიდის ცნობის მიხედვით), ივანე ორბელი, 1160 წლ. ახლოდან — 1179 წ., მანდ.-უხ. და ამირსპასალარი, იხსენიება 1163 წ. ანისის აღების დროს და სიკვდილით დასჯილ იქნა 1179 წ.; იხსენიება მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად ჰნევეანქის (ლორეში) ქართულ წარწერაში.

ყუბასარ, მანდ.-უხ. და ამირსპასალარი 1179—1184.

ჭიაბერი, 1185—1120 წწ., 1187 წელს, გამრეკელზე ადრე მცირე ხანს ამირსპასალარიც.

ზაქარია მხარგრძელი 1200—1212 (შეთავსებით ამირსპასალარობასთან).

შალვა ახალციხელი 1212 — 1225 (განძანის წარწერა).

შანშე ზაქარიას ძე მხარგრძელი 1225—1260 წ.

ამირსპასალარი პ. ინგოროყვას მიხედვით:

აბულეთი 1125—1130.

ივანე აბულეთის ძე 1130—1145.

ივანე ორბელიანი 1145—1155.

თირქაშ ივანეს ძე აბულეთის ძე 1155/6.

ყუბასარი 1178—1184/5. წწწ.

სარგის მხარგრძელი 1184/5—1187.

გამრეკელი 1187—1191.

ჭიაბერი 1191.

ზაქარია მხარგრძელი 1191—1211.

ივანე მხარგრძელი, ათაბაგ-ამირსპასალარი 1212—1227.

სინამდვილეში ამირსპასალარები იყვნენ:

ივანე ორბელი, 1110 წლის ახლო დროიდან ვიდრე დაახლ. 1145 წლამდის, როდესაც ის გადადგა. სტეფანოს ორბელეანის ცნობით, ის გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული.

სუმბატ ივანეს ძე ორბელი 1145—1154 წწ.

სარგის მხარგრძელი 1154—1155 წ. მას იხსენიებს ამირსპასალარად 1155 წ. სომხური წარწერა პალარძინში. შემდეგ თანაშემწე მანდ.-უხ. და ამირსპასალარის ითანე ორბელისა.

თირქაშ, ივანე აბულეთის ძის ძე 1154—1156 წლებში.

სუმბატ, ძე, ივანესი ჯერ ამირსპასალარი და შემდეგ მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი 1156—1163 წლების ახლოს.

ივანე ორბელი, ძე სუმბატისა¹, შეთავსებით მანდ.-უხ. 1163—1179.

სარგის მხარგრძელი 1179—1182 (კოსტანეანცი).

ყუბასარ, შეთავსებით მანდ.-უხუცესი 1182—1184.

სარგის მხარგრძელი 1185—1187.

ჭიაბერი, შეთავსებით მანდ.-უხუცესი, 1187.

გამრეკელი თორელი 1187—1192.

ზაქარია მხარგრძელი 1189—1212 (1200 წლიდან შეთავსებით მანდ.-უხ.).

ივანე ათაბაგი 1212—1227 წლებში, სიკვდილამდის ასრულებდა ამირსპასალარის თანამდებობასაც.

¹ სანანის 1163 წლის სომხურ წარწერაში (კ. კოსტანეანცს შეცდომით დაბეჭდილი აქვს თარიღი 1183 წ.) მოხსენიებულია სპასალარი ივანე ორბელეანი, სპასალარის დიდის ივანეს ძის ძე და სპასალარ სუმბატის ძე.

რუსთაველის საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მე-
ქუთრქლეთუხუცესთა სიას ამ პერიოდში და სწორედ აქ მოხდა პ. ინგოროყვას
განსაკუთრებით ბევრი და დიდი შეცდომები.

პ. ინგოროყვას XII—XIII ს-ნის მექუთრქლეთუხუცესებად შემდეგნი პირნი
ჰყავს დასახელებული:

არიშიანი 1105/15—1150/60 წლები (სრულებით არაა ცნობილი).

ივანე ვარდანისძე 1150/60—1177 წ. (მაგრამ ეს პირი წარწერების პალეო-
გრაფიული თვისებებით და სხვა ნიშნებით ერთი საუკუნით უფრო გვიან ცხოვ-
რობდა).

ყუთლუ-არსლან ჭაყელ-კორიდელი 1178—1184/5 წ. (მისი ჭაყელ-კორიდ-
ლობა არაა ცნობილი).

კახაბერ ვარდანისძე 1184/5—1190 წ.

აბულასან იობის ძე 1190—1191 წ.

ასათ II (გრიგოლ II-ის ძე) 1192/3—1196/1200 წწ. ეს პირი ამ თანამდებო-
ბაში სრულებით არაა ცნობილი.

გრიგოლ III (ასათ II-ის ძე) 1196/1200—1204. არც ეს პირია ამ თანამდებ-
ობაში ცნობილი.

შალვა თორელი-ახალციხელი 1204/5 წ.

ოვსე-ყმა (პანკელი) 1205—1212 წ.¹

ყვარყვარე ივანე ჭაყელი-ციხისჯვარელი 1212—1245 წ.

¹ წალკიდან ჩამოტანილ წარწერაში, რომელიც 1206 წელს მიეკუთვნება (იქთამართან
ერთად მეფედ მისი შვილი გიორგიც არის მოხსენიებული), პ. ინგოროყვა კითხულობს კუონ-
დიდელს და სხვა ვაზირებს. მაგრამ ტექსტი იკითხება ასე: „სახელითა ღმრთისაჲთა, ბძანეო
ბითა ღმრთისა სწორთა თამარის და გიორგისითა კიას, ზაქარია, შალვა, ოვსეყმა, ვაჩესითა,
ჯულაბაას მოქირეებითა სანობაჲსძისა ინაჲსა კელითა დაისუჲა კელი ესე ღმრთისა სწორთა
მეფეთ-მეფისა გიორგისი“. ეს ქვა დასმულია სამიჯნო ნიშნად ალბათ მიწის შესახებ ამტკ-
დარი დავის შედეგად გიორგი მეფის სახელით. ასეთი მცირე საკითხის გადაწყვეტაში ვაზი-
რები ვერც შესძლებდნენ მონაწილეობის მიღებას და ეს არც იყო საჭირო. წარწერაში აბ-
იკითხება კუონდიდელი, არამედ მარტივად სახელი კია. ასეთი სახელი დადასტურებულია
კორიდეთის სახარების ერთ-ერთ მინაწერში. აქ მოხსენიებული ოვსეყმა ჯარ შეიძლება იყოს
ვაზირი, შეიძლება არც აზნაური, არამედ ჩვეულებრივი პირი.

შოთა III (რუსთველი) 1245—1250 წ.

გამრეკელი თორელი 1250—1257 წ.

კახა II თორელი 1257—1270 წ.

სულ დაწყებული ყუთლუ-არსლანიდან კახა თორელამდის ჩათვლით დასახელებულია 11 მეჭურჭლეთუხუცესი.

მეჭურჭლეთუხუცესები 1170-იან 1260-იან წლებში (ნამდვილი სია).

ყუთლუარსლან 1179—1184.

კახაბერ ვარდანისძე 1184—1198 წლ. ახლ.

აბულასან იობის ძე 1198—1205 წლ. ახლ.

შალვა ახალციხელი 1205 წლ. ახლ.—1212 წ.

შოთა რუსთველი 1212—1224 წლ. ახლ.

ყვარყვარე ციხის-ჯვარელი 1224 წლ. ახლ.—1240 წლ. ახლ.

მამურჩა 1240 წლ. ახლოს — 1247 წ. ახლ.

გამრეკელი თორელი 1247 წ. — 1256 წლ. ახლ.

კახა თორელი 1256 წლ. ახლ. — 1269 წლ. ახლოს.

„რუსთველიანას ეპილოგის“ სხვა ცალკე საკითხები. პ. ინგოროყვა ყველგან ხმარობს გამოთქმას ორბელიანი. უნდა: ორბელი. გვარის სახელი ორბელიანი ქართულად გაჩნდა მხოლოდ XVIII ს-ნის დასაწყისში საბა ორბელიანის დროიდან. XVI-XVII ს-ნეში იყო ორბელიშვილთა გვარი, რომელიც ბარათაშვილების ცალკე შტოს წარმოადგენდა.

პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ შოთა რუსთაველის და ანტონი ალავერდელის მოსახსენებელი აღაპების მთავარ წიგნში ჩაწერილია ანტონ ალავერდელის ხელით (მნათ. 1963., წ. №6, გვ. 136—137). ეს აშკარად არაა სწორი, რადგანაც ხელიც სხვადასხვაა, თუმცა დროის მხრივ ერთმანეთზე ისინი დიდად დაშორებული არ უნდა იყვნენ და ტექსტიც რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან. გარდა ამისა შოთას აღაპი 1222 წლის ახლოს უნდა იყოს ჩაწერილი, პ. ინგოროყვა კი ანტონ ალავერდელის შესახებ წარმოადგენს ასეთ ვარაუდს. ვინმე ანტონს დაუხსნია „თარგმანი სახარებისა კაპაბთური, წარტყვევნილი სპარსთაგან“. კაპაბთას მონასტერი იერუსალიმშივე იყო ჯვარის მონასტერთან ახლოს. პ. ინგოროყვას ჰგონია, რომ აქ მოხსენებული ანტონი უნდა იყოს ანტონ ალავერდელი. მაგრამ ქართული ხელნაწერების წარტყვევნი სპარსთაგან მოხდა 1244 წელს, როდესაც იერუსალიმი ხვარაზმელებმა ააოხრეს. ამიტომ ვინმე ანტონი კაპაბთურ ხელნაწერს დაიხსნიდა 1245—1250 წლებში. ეს დრო დიდად

დამორებულია შოთას ალაპის ჩაწერის დროს. ამიტომ ეს ანტონი ვერ იქნებოდა ანტონ ალავერდელი (ალავერდის ეპისკოპოსი მარტივად ანტონად არც იქნებოდა მოხსენებული).

ალაპებში მართლაც იხსენიება „მოძღვარი ანტონი“ (123, 123ა). ის იყო გრიგოლ ფანასკერტელის ალაპისთვის ოქროს ჩამტანი ჯვარის მონასტერში, რაც 1305—1310 წლების ახლოს უნდა მომხდარიყო (ამ ალაპების ჩანაწერების პალეოგრაფიული მონაცემები ამას ცხადყოფენ).

პ. ინგოროყვა აქ მოხსენებულის გრიგოლ ფანასკერტელის ალაპს ანტონ იშხნელის მიერ ჩაწერილად თვლის XIII ს-ის მეორე მეოთხედში, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც სწორედ გრიგოლ ფანასკერტელის ალაპები ყველა XIV ს-ის პირველ მეოთხედს ეკუთვნის (პალეოგრაფია ამას ცხადყოფს).

რაც შეეხება ანტონ იშხნელს (155, 173), პალეოგრაფიული თვისებებით მისი ალაპების ჩანაწერები 1270—1310 წლებს მიეკუთვნება.

კახეთ-ჰერეთის გვარეულობათა შორის პ. ინგოროყვას დასახელებული ჰყავს (მნათობი, 1963 წ., № 5, გვ. 121) „იობისძე, არიშიანის ადგილსა მჭდომი, ერისთავთ-ერისთავი რუსთავისა“. რასაკვირველია, „არიშიანის ადგილი“ აქ არაფერშია და არც იობის ძე სპეციალურად რუსთავის ერისთავთ-ერისთავად არსად არ იხსენიება.

პ. ინგოროყვას ჰგონია (მნათობი, 1963 წ. № 4, 127), რომ თამარის დროინდელი მანდატურთუხუცესი ჭიბბერი არის მანაველი და რომ 1492—1499 წლების ახლოდროინდელ საბუთში ჩუმლაყის თავის გასწვრივ მდ. იორის ახლოს მოხსენებული ჭიბბრის ეკლესია მისი გაშენებული იყოს. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც ჭიბბრისძენი, რომელთა გვარს უნდა ეკუთვნოდეს ხსენებული მანდატურთუხუცესი ჭიბბერი, თამარის პირველი მემკვიდრის მიხედვით „ქვემოთ“, ე. ი. ჰერეთში იგულისხმებიან. იერის ხეობის ზემოხსენებული ნაწილი კი ჭიბბრის ეკლესიით კუხეთში მდებარეობდა და არა ჰერეთში. ჭიბბრისძენი უნდა ყოფილიყვნენ ჭიაურის ვრცელი მხარის (40 ათ. ჰექტარზე მეტის) მფლობელნი ალაზანს გაღმა. თითქოს ამ გვარის დამწყები უნდა იყოს ვინმე ჭიბბერი. ეს სახელი კი წარმოებულია როგორც, მაგ., ზაქარიაბერი, იაბერი და სხვ. ჭიბბერისძეთა გვარში ეს სახელი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ჭია, ხოლო ჭიას სამფლობელოს სახელი კი იქნებოდა ჭია-ური.

პ. ინგოროყვა თამარის მეორე მატთანეს ივ. ჯავახიშვილის მიბაძვით ბასილ ეზოსმოდვარს მიაწერს, რისთვისაც სრულებით არაავითარი საბუთი არ არსებობს. ეს ბასილი თამარის მეორე მატთანეში მოხსენებულია მხოლოდ

ერთხელ, სახელდობრ როდესაც თამარი ისტუმრებდა მთელს ლაშქარს სულთან როჟ-ედ-დინის წინააღმდეგ. მაშინ თამარი ამალით დადგა მაღალ ადგილზე, საიდანაც კარგად ჩანდა მთელი ლაშქარი. ხოლო „წარჩინებულნი და ერისთავნი“ მიდიოდნენ თამართან (რომელსაც ხსენებულ ჯვარისმტვირთველ ბასილთან ერთად, ორივეს თითო ხელით, ეკავთ „ჯვარი პატიოსანი“), ემთხვეოდნენ ჯვარს, ხოლო თამარს ხელზე. ეს არის და ეს. ნუ თუ ამის გამო შესაძლებელია ბასილი ეზოსმძღვეარი და ჯვარის მტვირთველი გამოიყვანო ამ მატიანის ავტორად? ამასთანავე ხომ არსებობს კათალიკოზ ანტონ I-ის კატეგორიული ცნობა, რომ მის ხელში მყოფი ქართლის ცხოვრების ხელნაწერის მიხედვით ამ მატიანის ავტორად თვით შოთა (რუსთაველი) უნდა იყოს მიჩნეული.

პ. ინგოროყვას აზრით (მნათობი, 1963 წ., № 4, გვ. 123—125) თამარის დროინდელი მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ-არსლანი ჯაყელების გვარისა იყო. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც ჯაყელ-ციხისჯვარელნი XI—XII ს-ნეში და შემდეგ საქართველოში პირველხარისხოვანი დიდებულნი იყვნენ. ხოლო ხსენებულ ყუთლუ-არსლანს მისი თანადროული მემატიანე უარყოფით იხსენიებს, რომ ის იყო დაუდგრომელი წესსა ზედა თვისსა-ოქებითარ ჩვეულება აქვთ ყრმათა ადრე აღზავებად სიმდიდრისა მიერ და უფროსლა გვართა უაზნოთა აღამალლებს სიმდიდრე“. შეუძლებელია ჯაყელ-ციხისჯვარელის გვარის წევრი მემატიანეს მოეხსენებინა როგორც უაზნო, ე. ი. როგორც არა აზნაური და მდაბიო წარმოშობის პირი.

პ. ინგოროყვას აზრით (მნათობი, 1963 წ. № 6, გვ. 6 და სხვაგანაც) შოთა დაიბადა 1160-იანი წლების მეორე ნახევარში, 1166 წლის ახლოს, ხოლო გარდაიცვალა 1240-იანი წლების მეორე ნახევარში, 1250 წლის ახლოს. ვეფხისტყაოსანი დაწერილია 1196—1207 წლებს შორისო.

შოთა გარდაიცვალა, მაშასადამე, 84 წელიწადს მიახლოებული, ე. ი. ღრმად მოხუცებული, მაგრამ შოთას ჯვარის მონასტრის ფრესკული პორტრეტი ამ დებულებას აშკარად ეწინააღმდეგება. შოთა ჯვარის მონასტრის სურათზე შავით გარეული ქალარით არის მოსილი, მაგრამ სახე აქვს კარგად შენახული და არა დანაოკებული. ვფიქრობ, რომ ის აქ წარმოდგენილია 55—60 წლის ასაკში (სინამდვილეში თითქოს 57 წლისა).

ეს არის პ. ინგოროყვას მიერ შოთას ბიოგრაფიის გაანგარიშებაში სერიოზული შეცდომა, რომელიც შეუძლებლად ხდის შოთა კუპრის და შოთა რუსთველას გაიგივებას.

პ. ინგოროყვა ანგარიშობს ვეფხისტყაოსნის დაწერას 1196—1207 წლებისთვის. მაგრამ თამარი თანადროული ყველა ცნობის მიხედვით, გარდაიცვალა

17 იანვარს 1207 წელს. რაც შეეხება მის ქმარს დავით სოსლანს, ის გარდაცვლი-
ლა უფრო 1206 წლის პირველ ნახევარში ან იმავე წლის ზაფხულში.
დავით სოსლანი არ ესწრება თამარის ავადმყოფობას და არც სიკვდილს (თამა-
რი მძიმედ ავად გახდა 1206 წლის ზაფხულში ნაჭარმაგვევში მეთვობისას). მაგ-
რამ ის იხსენიება, როგორც კარზე პირველი ლაშქრობის მონაწილე, როდესაც
ქრონიკული ცნობით გიორგი ლაშა 12 წლისა იყო (ე. ი. პირველა ლაშქრობა
კარის დასაპყრობად მომხდარა 1205 წელს და უფრო ამ წლის პირველ ნახევარ-
ში). ვეფხისტყაოსნის ეპილოგში კი დავითი მოხსენებულია როგორც მძლე და მტე-
რთათვის ზარის დამცემი. ამიტომ პ. ინგოროყვას ვეფხისტყაოსნის დაწერის
თავისი თარიღი სამი წლით მაინც უნდა შეემციკრებია (1196—1204 წლებად).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადი ხდება, რომ დებულება თითქოს
შოთა იყო ჰერეთის ერისთავი შოთა კუპარი, რომ წოდებულია „რუსთველი“
მას მიღებული ჰქონდეს კუხეთის ქალაქ რუსთავის მფლობელობის გამო,
რომ ჰერეთის ხსენებული ერისთავი შოთა კუპარი, იგივე შოთა იყოს ბაგრატო-
ვანი და სხვა დეტალები ვერ უძლებენ კრიტიკას, არ შეეფერება არსებული
მასალების სწორად გაგებას და ამიტომ მთლიანად უარყოფილ უნდა იქნეს.
რეალურია მხოლოდ საკითხი შოთას მესხური წარმომავლობის შესახებ სამ-
ცხის რუსთავიდან.

„რუსთველიანას ეპილოგის“ რუკა. პ. ინგოროყვას წიგნს 1963 წ. ბოლოში
დართული აქვს ჰერეთისა და რუსთავის გაერთიანებული საერისთავოს (1192—
1250 წწ.) რუკა.

რუკაზე ცალკე გამოყოფილია ავტორის მიერ რუსთავის თემად წოდებუ-
ლი მხარე, რომელშიც შედის გარეჯის სავანეც. სინამდვილეში კი რუსთავის
თემი, როგორც ასეთი, არსად არაა წყაროებში მოცემული, არამედ რუსთავი
მარტივად კუხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

საერთოდ პ. ინგოროყვას ისტორიულ-გეოგრაფიული კონცეპცია მთლია-
ნად გაუგებრობაზე და წყაროებთან შეუსაბამობაზეა აგებული. ასე, მაგ., პ.
ინგოროყვას რუკაზე, მარტყოფსა და რუსთავს შორის ნაჩვენებია გაავზნი და
ლოწობანი, რომელნიც წყაროებში ამ ადგილას სრულებით უცნობნი არიან.

რუკის შიდა-კუხეთი და ქვემო-კუხეთი ანუ სუჯეთი, ასეთი დანაწილებით
წყაროებში არ იხსენიება.

მხარის სახელი კამბეჩანი არაა მოხსენებული მამათა და ნათესავთა სქემა-
ში და ის, ეტყობა, თავდაპირველი არაა. თავდაპირველად კამბეჩანის ტერიტო-
რია კუხეთში შედიოდა. ამიტომ ხორანთა უნდა ყოფილიყო არა ეგრისის-წყა-
ლის ალაზანში შესართავთან, როგორც ფიქრობს პ. ინგოროყვა (მას ეგრის-წყა-

ლი შეცდომით მცირე ალაზნად მიაჩნია), არამედ ხორანაბუჯში და მის არეში-ქიზიყ-შირაქში ბოდბის, მაგ., სახნავები ბოლო ხანებშიც მდებარეობდა ბოდბედან 40 კმ-ზე ალაზნისაკენ. ასევე ხორანთას (ხორანაბუჯის) სახნავი და სათიბ-საძოვრები საგულისხმებელია ალაზან-იორის შესაკრებელთან ახლოს დაახლოებით 40 კმ-ზე ხორანაბუჯიდან. თავდაპირველად ხორანთა იქნებოდა უფრო ახლოს ხსენებულ შესაკრებელთან, შემდეგ კი ის გადატანილ იქნა ჩრდილოეთით და მას დაერქვა ხორანაბუჯი. მთელი სათიბ-საძოვართა ზეგანი კი ისევ ხორანთა-ხორანაბუჯის თემის ხელში დარჩებოდა.

ჰერეთის საზღვარი მიდიოდა მანავსა და ვეჯინს შუა კახეთის მთის გაყოლებით, ბოდბეს და ხორანაბუჯის ჩრდილოეთით, ახლოს მათთან და შემდეგ ალაზნის დასავლეთით გამყოლ გორებზე, იორის შესართავამდე და აქედან მთიანეთამდე (დალესტანამდე) დანუხისა და ნუხის მხარის ჩათვლით. აქედან ჰერეთი აღწევდა შამახის დასავლეთამდე ვიდრე თეთრ-წყალამდე (ჩალან-უსუნამდე). აქამდის აღწევდა საქართველოს სამეფოს საზღვარი XII—XIII ს-წლებში. პ. ინგოროყვას რუკაზე აღნიშნული „აღმოსავლეთი კამბეჩანი“ არ არსებობდა. ამ ტერიტორიის ნაწილი შედიოდა ჰერეთში და ნაწილი ნუხპატის მხარეში. არსად არაა აგრეთვე მოხსენებული „შიდა კამბეჩანი“, რომელიც აღნიშნულია პ. ინგოროყვას რუკაზე.

პ. ინგოროყვას მიერ შედგენილ რუკაზე (გვ. 885), რაც ასახავს მის ისტორიულ გეოგრაფიულ-ნარკვევებს, შვიდი მთიულეთი იწყება დაახლოებით ხერკიდან (ახლანდელ საგურამოდან) და მიდის ქინვანამდის ჩათვლით. სინამდვილეში კი „შვიდი მთიულეთი“ იწყებოდა ქინვანიდან და მოიცავდა ჩრდილო-დასავლეთით, თამარის მესამე მატანის სიტყვით, „ყოველთა მთეულთა დვალთა (იგულისხმებიან მალრან-დვალეთის ოსები), ცხრაზმელთა, მოჭვევთა, ვადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა (ამათი ქვეყნის სამხრეთ ბოლოში იყო ქინვანი), ერწო-თიანელთა“. გამოდის სწორედ შვიდი ერთეული ქინვანიდან ვიდრე დარიალამდე.

ამგვარად, ამ შემთხვევაშიც პ. ინგოროყვას მოსდის მძიმე შეცდომა.

საკითხი შოთას მოსახსენებლის შესახებ ჭვარის მონასტრის აღაპებში. მეცნიერებათა აკადემიის 1964 წლის მატნეს მე-5 №-ში მოთავსებულია ელ. მეტრეველის წერილი „ჭვარის მონასტრის სააღაპე წიგნის უძველესი ფენის დათარიღებისათვის“ (გვ. 269—289). ეს წერილი კრიტიკულად ეხება პ. ინგოროყვას რუსთველიანას ეპილოგის ერთ მეტად ვრცელ ნაწილს სათაურით „იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის მატანენი და შოთა რუსთველის მოსახსენებლის თარიღი“ (გვ. 691—781).

პ. ინგოროყვას შრომის ეს ნაწილი (ისე როგორც მთელი რუსთველიანა და მისი ეპილოგი) დაწერილია უაღრესად გაჭიანურებით, რასაც პ. ინგოროყვა ამართლებს იმით, რომ მას მრავალ წვრილმანებზე შეჩერების გამო ჰქონდა „ტონა მადნის დამუშავება რამოდენიმე გრამი ოქროს მისაღებად“. ეს „ოქრო“ არის შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ პ. ინგოროყვას მიერ მიღებული „სათარილო მაჩვენებლები“, ხოლო ეს მაჩვენებლები, პ. ინგოროყვას რწმენით, არის ის „უჩყვევი კლდე, რომელსაც ამიერიდან ემყარება შოთა რუსთველისა და მისი უკვდავი პოემის ქრონოლოგია“ (გვ. 780—781).

პ. ინგოროყვა ამ მონაკვეთში ამტკიცებს, რომ ჯვარის მონასტრის ალაპები მოდის მხოლოდ XIII ს-ნის დასაწყისიდან, რომ მეჭურჭლეთუხუცესის შოთას ალაპი ჩაწერილია მხოლოდ 1245—1250 წლებში, როდესაც, მისი აზრით, შოთა იყო ვაზირ-მეჭურჭლეთუხუცესად. ხოლო რადგანაც ალაპებში მოხსენებულია ყოფილი კათალიკოზი ნიკოლოზ გულაბერისძე, ამიტომ ის, პ. ინგოროყვას აზრით, იერუსალიმში უნდა ყოფილიყო ორჯერ: პირველად 1184 წლისათვის, როგორც ამას თამარის მატთანეც გადმოგვცემს და მეორეჯერ 1205—1210 წლებში (თუმცა ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს). ამის მტკიცება პ. ინგოროყვას ჰქონდა იმისთვის, რომ რაც შეიძლება დროის მხრივ გადმოსწიოს მოხუცებულობაში თამარის მეფობის მომსწრის კათალიკოზ ნიკოლოზ გულაბერისძის ალაპის შესახებ ჩანაწერი, რათა შესაძლებლად გახადოს მეჭურჭლეთუხუცესის შოთას ალაპის შესახებ ჩანაწერის მიკუთვნება 1245—1250 წლებისთვის (რისთვისაც აგრეთვე არავითარი საბუთი არ არსებობს).

ელ. მეტრეველი ვრცლად ეკამათება პ. ინგოროყვას ამ ალაპების ჩაწერის დროის შესახებ. ელ. მეტრეველი თავის მხრივ ამტკიცებს, რომ თამარ დედოფლის მოსახსენებელი ათონის ქართული მონასტრის ალაპებში 1178—1179 წლებშია ჩაწერილი (ე. ი. როდესაც თამარი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო) და სხვ.

ყველაფერი ეს, როგორც პ. ინგოროყვას ვრცელზე ვრცელი მსჯელობა, ისე ელ. მეტრეველის ვრცელი წერილი თავიდან ბოლომდე სამწუხარო გაუგებრობაზეა აგებული. აი ამისი საბუთი.

ათონის ქართულ მონასტერს კელლინები, ე. ი. ბერების საცხოვრებელი ოთახები დაეწვა და ნიკოლოზ გულაბერისძეს ათონში ჩაუტანია თამარ დედოფლის შეწირულება ამ კელლინების კვლავ ასაშენებლად. ათონის ქართული მონასტრის წინამძღვრად ამ დროს იყო პავლე (ათონის ხელნაწერის ალაპები № 153, 149). ნიკოლოზ გულაბერისძე იყო სვიმონ ჭყონდიდლის გაზრდილი (ათონ. ხელნაწ. ალაპი № 144). მის დროს ათონის ქართული მონასტრის წინამ-

ძღვრად იგივე პავლე იყო. ეს სვიმონი ჰყონდიდელ მწიგნობართუხუცესად იყო დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებში და მის შემდეგაც. აქედან ცხადია, რომ ნიკოლოზ გულაბერისძის ცხოვრების დრო იწყება 1125 წლიდან, უფრო კიდევ ოდნავ ადრე, 1120-იან 1122 წლის ახლოს. ის იხსენიება უკანასკნელად თამარ მეფის დროს 1184—1185 წლებში და ამის შემდეგ ის მალე უნდა გარდაცვლილიყო.

ათონის ხელნაწერის აღაპების (№ 155) თანახმად, ათონის ქართულ მონასტერს დამწვარი კელლინების აღდგენაში პავლეს მისი წინამძღვრობის დროს საქართველოდან დიდ დახმარებას უწევდა მწიგნობართუხუცესი იოანე, რომელიც ამ თანამდებობაზე იყო გიორგი III-ის მეფობის პირველ წლებშიც. ამგვარად ერთსა და იმავე დროს, სახელდობრ დამწვარი კელლინების ათონის ქართული მონასტრისთვის აღდგენითი მუშაობის დროს, იხსენიებიან წინამძღვარი პავლე, დედოფალი თამარი და მწიგნობართუხუცესი იოანე.

ზემოთქმულის შემდეგ ძნელი არაა იმის დადგენა, რომ ეს თამარ დედოფალი და თამარ მეფე სხვადასხვა პირნი არიან, რადგანაც თამარ მეფის დროს მწიგნობართუხუცესი იოანე (ასეთი სახელით) სრულებით არ ყოფილა. ამასთანავე თამარი აღაპში არც იხსენიება მეფედ, არამედ მხოლოდ დედოფლად.

ეს თამარი არის დავით აღმაშენებლის ასული, შირვან-შაჰზე გათხოვილი და ამიტომ დედოფლად წოდებული, რომელიც დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, აშენებს ქართლში თიღვაში (სურამის ახლოს) მონასტერს, 1152 წელს მონაზვნად შედის და ამთავრებს თავის სიცოცხლეს თავისი ძმის დიმიტრი მეფის შემდეგ 1160 წლის ახლოს. წინამძღვარი პავლე ღებულობს ამ თამარ დედოფლისგან დამწვარი კელლინების აღსადგენად დახმარებას 1152 წელზე ადრე, სანამ თამარი მონაზვნად ეკურთხებოდა, რის შემდეგ ის, რასაკვირველია, დედოფლად უკვე ვერ იწოდებოდა, სახელდობრ 1148—1150 წლების ახლოს. პავლე დააყენეს წინამძღვრად მესამე ინდიკტიონის მარტოში, ხოლო 29 აპრილს ორ ინდიკტიონს „დაუტყევა მამან პავლე მამობა“ (ათონ. აღაპ. № 169, 158), ე. ი. (სათანადო გაანგარიშებით) მისი წინამძღვრობა მოდის 1140—1154 წლებისთვის. პ. ინგოროყვა კი საცესებით შეცდომით პავლეს წინამძღვრობას ათონის ქართულ მონასტერში დასდებს 1170—1199 წლებისთვის (გვ. 715), ხოლო ელ. მეტრეველი თ. ჟორდანიას და კ. კეკელიძის აზრის განმეორებით 1170—1184 წლებისთვის (მაცნე, 1964 წ., V, 284). ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

ნიკოლოზ გულაბერისძე ყველგან აღაპებში იხსენიება მარტივად მარტო სახელით. ის ჩასულა ათონში პავლეს წინამძღვრობის დროს 1140—1141 წლის

ახლოს და არა 1203 წელს, როგორც ამას ფიქრობს პ. ინგოროყვა (გვ. 716). 1155—1178 წლების ახლოს ის უკვე ქართლის კათალიკოზია, ხოლო შემდეგ კი ცხოვრობს იერუსალიმში. ჩანაწერი მისი ალაპის შესახებ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში შეიძლება ეკუთვნოდეს არა 1203 წელს, როგორც ამას ამტკიცებს პ. ინგოროყვა (იქვე), არამედ უფრო XII ს-ნის ნახევრის ახლო დროს.

ამგვარად, ნიკოლოზ გულაბერისძის და თამარ დედოფლის შესახებ და სხვა ასეთ საკითხებში როგორც პ. ინგოროყვა, ისე ელ. მეტრეველი ცდებიან.

უნდა ითქვას, რომ პ. ინგოროყვა თავის წიგნში ამ ნაწილში ზომაზე მეტად ვრცლად ეხება ჯვარის მონასტრის სააღაპო მოსახსენებელთ და ჰყოფს მათ XIII—XIV ს-ნეთათვის (სავსებით თვითნებურად) 40 ჯგუფად (გვ. 712—773). ამასთანავე კომენტარებში მას დაშვებული აქვს დიდძალი შეცდომები. დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი მას დიმიტრი თავდადებულის შვილის დავით VIII-ის მოსახსენებლად მიაჩნია (გვ. 746). ის იმეორებს თავის დებულებას, თითქოს პოეტი ქალი ბორენა იყოს ცოტნე დადიანის (XIII ს-ნის შუახანა) ცოლი (გვ. 736). სინამდვილეში კი პოეტი ქალი ბორენა, მის მიერ მოჭედილი ხატის მიხედვით, XIII ს-ნის ბოლოსი და XIV ს-ნის დასაწყ. პიროვნებაა. ანასულის ალაპს (გვ. 717) პ. ინგოროყვა 1210—1220 წლებში ჩაწერილად მიიჩნევს. სინამდვილეში კი ის XII ს-ნის შუაში უნდა იყოს შესრულებული და ასე სხვ. არც ერთი ამ საკითხს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის. ხოლო თუ მინც ამას და ანალოგიურ საკითხებს შოთასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა და ელ. მეტრეველი ასე დაწვრილებით ეხებიან, ეს უნდა ჩაითვალოს სამწუხარო მოვლენად.

აქედან, უკვე ცხადია, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ის „ურყევი კლდე“, რომელსაც, მისივე სიტყვების თანახმად, ემყარება პ. ინგოროყვა შოთა რუსთაველის და მისი პოემის ქრონოლოგიისათვის (გვ. 781). ამ „ურყევი კლდისგან“ არა რჩება რა, ის კვიშაზე ფანტაზიით არის აგებული. პ. ინგოროყვა ასეთ შემთხვევაში იტყოდა (გვ. 691, 781) ასე: „ამეირიდან საბოლოოდ მოხსნილია და გაცამტვერებული ეს ყალბი და უსუსური მოსაზრება“. მაგრამ, ჩემის აზრით, არაა საჭირო ასეთი გამოთქმის ხმარება — საკმარისია ითქვას, რომ პ. ინგოროყვას ეს „ურყევი კლდე“ საფუძველგამოცლილი აღმოჩნდა.

ელ. მეტრეველი გვამცნებს, რომ მან დამტკიცა ჯვარის მონასტრის ალაპის შოთა მეჭურჭლეთუხუცესის და იმავე მონასტრის ფრესკული პორტრეტის იდენტურობა და ახლა ამის პირველობას პ. ინგოროყვა ითვისებსო (მაცნე, 1964 წ. № 5, 269—271). მაგრამ თავისთავად მეჭურჭლეთუხუცესის შოთას გაიგივება ფრესკის რუსთაველთან მხოლოდ ალაპის ჩანაწერის მიხედვით შეუძლებელია —

არ არის ამისთვის არავითარი საბუთი. ხოლო მას შემდეგ, რაც 23 ნოემბერს 1960 წელს იერუსალიმიდან დაბრუნებული ექსპედიციის პირველ მოხსენებაზე მე სათანადო საბუთიანობით საჯაროდ განვაცხადე, რომ ფრესკის შოთას ფერადიანი სამოსის მიხედვით ჩვენ გვაქვს ვაზირის თანამდებობის მქონე პირთან საქმე-მეთქი, მხოლოდ მის შემდეგ გახდა შესაძლებელი მართლაც მტკიცედ და საბოლოოდ დაკავშირება ფრესკის შოთასი აღაპის მეჭურჭლეთუხუცეს შოთასთან. ხსენებულ კრებაზე თავმჯდომარემ ირ. აბაშიძემ მე წინადადება მომცა დამეწერა ჩემი სიტყვა — მას ახლავე დაბეჭდვით ლიტერატურულ გაზეთში-ო. ტექსტი სტატიის სახით წარდგენილ იქნა ორ დღეში, მაგრამ გაზეთის რედაქციამ მისი დაბეჭდვა დააგვიანა. ბოლოს, როგორც იყო, ის მაინც დაიბეჭდა, მაგრამ მხოლოდ 1961 წლის 1 იანვრის ნომერში. როგორც პ. ინგოროყვა, ისე ელ. მეტრეველი ჩქმალავენ ჩემს ამ გამოსვლას და დაბეჭდილ სტატიასაც და მათ სრულებით არ იხსენიებენ.

ესევე დებულება (შოთას მეჭურჭლეთუხუცესობის შესახებ სამოსის მიხედვით) უფრო მოკლედ მოხსენებულია ჩემს წერილში „შოთა რუსთველის ბიოგრაფიიდან“ (საბჭოთა ხელოვნება, 1961 წლის № 1), სადაც გვ. 43—44-ზე მოცემულია ცნობები შოთაზე, როგორც მეჭურჭლეთუხუცესზე.

როგორც პ. ინგოროყვა, ისე ელ. მეტრეველი, რასაკვირველია, იცნობდნენ ამ წერილსაც — საბჭოთა ხელოვნების დასახელებული ნომერი მე თვითონ გადავეცი გასაცნობად პ. ინგოროყვას. მაგრამ არც ამას ისინი არ იხსენიებენ და ერთმანეთს ეცილებიან პირველობაში ხსენებული დებულების წამოყენების საკითხში. ამით ორივე ავტორი აშკარად არღვევს ლიტერატურული ეთიკის ნორმებს.

ელ. მეტრეველი თავის ხსენებულ წერილს იწყებს შემდეგნაირად: „პ. ინგოროყვას ახლახან გამოქვეყნებულ რუსთველიანას ეპილოგში იმდენი საინტერესო საკითხია აღძრული და ავტორის თვალსაზრისით გადაჭრილიც, რომ ყოველი მათგანის კრიტიკული შესწავლა და განხილვა თითქმის იმავე მოცულობის წიგნის დაწერას და იმდენსავე შრომას მოითხოვს, რაც ავტორს გაუწევია ამ წიგნზე“-ო (გვ. 269).

ეს სიტყვები ოდნავდაც არ შეეფერება სინამდვილეს. თუ რას ემყარება პ. ინგოროყვას მიერ თითქმის ას გვერდზე გაშლილი „ურყევი კლდე“, ეს ზემოთ იყო ნაჩვენები. როგორც ვხედავთ, „ურყევი კლდის“ საფუძვლის დაშლას ამ შემთხვევაში მოუხდა სულ სტამბური სამიოდე გვერდი. სულ რუსთველიანა და მისი ეპილოგი მოიცავენ ჩვეულებრივი ზომის შეიდასამდე გვერდს, რომლის გასარჩევად ასეთივე პროპორციით ძლიერ ცოტა გვერდებია საჭირო. ეს ზემოთ-მოტანილი მაგალითების მიხედვითაც მტკიცდება (შეად. ზემოთ გვ. 8).

პიროვნებათა სახელების
საძიებელი

ა

- აბაზ I (შაპი) 51, 287, 288.
აბაზასძე 294.
აბაში 275.
აბაშიშვილები 275.
აბაშიძე 262, 270.
აბაშიძე ირ. 6, 70, 316.
აბაშიძე კიტა 32, 154, 151.
აბდულა 33, 34.
აბდულ-მესია 3, 36.
აბუბეკრი 27, 292.
აბულ ჰასან ბეიხაკი 163, 214.
აბულასან (იოზის ძე) 121—124, 131, 133, 136, 137, 280, 301, 302, 308.
აბულაძე ილია 70, 111.
აბულაძე იუსტ. 18, 153, 154, 158.
აბულეთი 305.
აბულეთისძე ძაგან 249.
აბულ-ფარაჯ ბარ-ჰებრეუსი 173.
აბულხოტრისძე 128, 130.
ადარნასე 291.
ადარნასე ბრმა 291, 295.
აგაპსირრი ლევენდი 141.
აგუტია, ვარდან დადიანის დედა 246.
ადარნასე ტარონელი 282.
ევაგი მხარგრძელი 68, 281.
ევაგ ორბელი 134—136.
ევაგ სარგისი 68.
ევალიშვილი 25, 32, 54, 60, 62, 63.
ევალიშვილი ზ. 196.
ევალიშვილი ივანე და გიორგი 254.
ევეუსტი (იმპერატორი) 31.
ეთანდილი 14, 19, 20, 22, 24, 25, 28, 56, 145, 151, 154, 158, 160, 169, 170, 211, 215—218, 233, 240, 241, 249.
ეთანდილ, სულხანის მამა 94.
აზორკი 288.
აზრა 141, 142.
ათონი 108.
აკაკი 95.
ალავერი, ალავერდელი 83.
ალექსანდრე 240.
ალექსანდრე I 239, 255, 258, 259, 275.
ალექსანდრე, შეფე აფხაზ-იმერთა 259, 260, 270.
ალექსანდრე II იმერთა 261, 263.
ალექსი ანგელი 231.
ალექსი კომნენი 275.
ამილახვარი 275.
ამირეჯიბები 262, 264—269, 272—276.
ამირეჯიბი ქუცნა 258, 259, 264—267.
ამჰარი 85.
ანასუღლი 118, 119, 246, 315.
ანატოლი ალექსანდრიელი 85.
ანდრია პირველწოდებული 64, 120, 121.
ანტონ I 110—112, 115, 311.
ანტონ ალავერდელი 308, 309.
ანტონ გლონისთავის ძე 303, 304.
ანტონ იზნელი 309.
აუღაპაკ 96.
არაზგარდ 295.
ართავაჩოსძე შოთა 285.

არისტოტელე 140, 230, 232.
არიშინი 8, 199, 301, 307, 309.
არიშინი (სახელი) 73, 307, 309.
არმაზი 96, 97.
არსენი 195, 304.
არსენ აბულხორისძე 305.
არსენ ბულშაინისძე 304.
არსენ ივალთოელი 49, 50.
არსენი კათალიკონი 128, 129.
არსლან-შაჰი 107, 108.
არტაქსერქს I 185.
არჩილ მეფე 30, 91, 99, 143, 177, 200,
244, 291, 295, 300.
ასათ I 281, 287, 305.
ასათ II 281, 282, 287, 307.
ასათი 301.
ასათ გრიგოლისძე 8.
ასამ 295.
ასამ გრიგოლისძე 9.

ასპანისშვილები 264.
ასატუროვი 37.
ასტიაგი 96.
ატარიბი 207.
აფაქისძე ტიბულა 246.
აფაქისძე ჩარვაზ 246.
აფრიდონის ძე არსლან 246.
აქემენიანი 11.
ალა-შაჰმად-ხანი 110.
ალბულა გაგელი 68.
ალსართან I 279.
ალსართან II 279.
აშოთან 93, 95, 96, 98—100.
აშოთია 98.
აშორდი 98.
აშორღია 98.
აშორთან 93, 98.
აშოტ 33.
აშოტ კურაპალატი 97.

ბ

ბაგრატ I 100, 113, 175.
ბაგრატ მეფე 246.
ბაგრატ III 117, 181, 182, 193, 285,
300.
ბაგრატ IV 50, 51; 67, 107, 117, 118,
205, 198, 199, 279, 296.
ბაგრატ კურაპალატი 117.
ბაგრატ III იმერეთისა 208, 269.
ბაგრატიონი (ბაგრატიონიანი) 9, 67, 97,
98, 100, 108, 109, 228, 281, 292, 295,
296, 305, 311.
ბაირონი 159.
ბაკური (= ბაქარი) 44.
ბალმონტი კ. 235.
ბარათა 275.
ბარათაშვილები 275, 280, 308.
ბარამან შანი 10.
ბარამგური 157.
ბარამი 142.
ბარამიძე ალ. 70, 159.

ბარბარე, რამაზ მღვიანვეგის ასული 89.
ასტიაგი 96..
ბართლომე, მეფე 73, 74.
ბარნაველი თ. 286.
ბასილი, კათალიკოსი 80, 121.
ბასილი, მთავარეპისკოპოსი 121, 122,
280.
ბასილი, უჯარმელი 304, 305.
ბასილი, ქუონდიდელი 128.
ბალათარი 211.
ბაქრაძე დომ. 145, 284.
ბედიანი 101, 103.
ბედიელი 304.
ბეთლემმა 246.
ბეთპოეენი 159.
ბეიზარსი (სულთანი) 73.
ბეიხაკი აბულ-ჰასან 163, 214.
ბელთაძე შ. 142.
ბელიაევი დ. 115.
ბეჟანისშვილები 275.

ბერასუილები 256.
ბერიძე ვახ. 70, 121, 253.
ბერნარდ კლერესელი 202.
ბერბი ა. 227.
ბერქა 131.
ბესა 39, 172, 252, 273.
ბეჟა 201, 204, 205.
ბეჟა (სამცხის მთავარი) 76, 126.
ბეღელასძე ოქროპ. 67.
ბეციანი 256.
ბეჟ-აღ-დინი 178.
ბიჭლაგიანი თურგლა 297, 298.
ბლაგოვიდოვი თ. 32.
ბლეიკი რობ. 32.
ბოკაჩიო 148, 150, 159.
ბოლდუინ I 196.

ბოლდუინ II 197, 202.
ბორდელლო 150.
ბორენა 248, 296, 297, 315.
ბორენა დედოფალი 49, 50.
ბოტო ჭაყელი 127.
ბრაჰი 133.
ბრეიდენბახი ერნ. 76.
ბროსე მარი 10, 144, 145, 168, 209, 229, 263, 270, 284.
ბუბაქარი 292.
ბუმბულისძე 62, 63.
ალ-ბუნდარი 198.
ბუპაკი 285.
ბურდუხან დედოფალი 228.
ბურთელი (ორბელი) 135, 136.

გ

გაბაშვილი ტიმ. 184.
გაბელა, გაბილა 270.
გაბელაშვილი 270, 275.
გაბელისძე 266—270, 272—276.
გაბელისძე აშირან 263.
გაბელისძე ქუცნა 261.
გაბილაია 270.
გაბრიელ 137.
გაბრიელ მთავარანგელოზი 53, 54, 195.
გაგარინი გრ. 90.
გაგელი 106, 177.
გაგიკი 279.
გაზნისძე ვარდან 246.
გაიათ-ედ-დინ (სულთანი) 54.
გამრეკელი (ორბელი) 135, 136.
გამრეკელი 68, 128, 130, 131, 133, 161, 167, 185 (კახას ძე), 305—308.
გარეყანისძე საღირ 246.
გაწერელია აკ. 221, 222.
გელაშვილები 46.
გელოვანი 270.
გეაზეა გ. 154, 155.

გვარამ 292, 295.
გვარამასძე 128—130.
გვრიტიშვილები 99.
გვრიტიშვილი დ. 10.
გიიომ დე-მარო 231.
გლაზა, გლაზუა 270.
გლახასსუილები 256.
გიორგაძე ვას. 34, 35.
გიორგაძე ბეჟ. 104.
გიორგი I 108.
გიორგი II 113, 166, 290, 295.
გიორგი III 10, 11, 31, 81, 107, 113, 120, 127, 136, 145, 156, 160, 161—164, 167, 213, 224, 282, 285, 289.
გიორგი VIII 262.
გიორგი XI 94.
გიორგი ლაშა, იხ. ლაშა.
გიორგი ანდრონიკესშვილი 119.
გიორგი ბრწყინეულე 74, 119, 259, 294.
გიორგი შვიტე 5.
გიორგი რუსი 101, 108, 122, 133, 165, 174, 185, 209, 282.

გიორგი მეფე 245, 303.
გიორგი ბროლა 49—52.
გიორგი მთავარეპისკოპოსი 263.
გიორგი მწიგნობართ-უხუცესი 304.
გიორგი ქუტირელი 304.
გიორგი ჭყონდიდელი 181.
გიორგიჯანიძე ფარს. 53.
გიორგი ჩორჩანელი 200.
გიორგი (წმიდა) 194, 195, 303.
გირგოლაია 287.
გიშელი 9.
გნილოსაროვი პ. 261.
გოგიბასშვილი 62—64.
გორდევი დიმ. 32.
გომოსძე ივანე 246.
გომოსძე სარგის 246.
გომოსძე საღირ 246.
გრიგოლ ერისთავი 301.
გრიგოლ I, ჰერეთის ერისთავი 9, 281,

287.
გრიგოლ II ერისთავი 281, 287, 307.
გრიგოლ III, ერისთავი 281, 282—287,
307.
გრიგოლ, ჰერეთის ერისთავი 212, 286.
გრიგოლ ღრანდელი 119, 137, 138, 247,
249—253.
გრიგოლ ფანასკერტელი 247, 309.
გრიგოლ ჩახრუხასძე, ნ. ჩახრუხასძე
გრიგოლ.
გრიგოლია კონს. 287, 288.
გრიგოლიები 287.
გრიგოლისძენი 9, 280—283, 285, 286,
288.
გუგუნა 270.
გულაბერისძე ნიკ. 246, 303.
გულაყი ნ. 146.
გურკელელი მურვან 60.
გურჯი 179.

დ

დადიანი ბედიანი 305.
დადიანი გიორგი 76, 101—103.
დადიანი ვაშეყ 102, 103.
დადიანი ვარდან 246.
დადიანი შერგილ 76, 246.
დადიანი ცოტნე 76, 246, 296, 315.
დადიანი ცოტნე II 296.
დადიანი ცოტნე III 296.
დადიანისძე გიორგი 5, 101 (სხვა).
დადიშელისძე 250.
დავით აღმაშენებელი 9, 44, 50, 67, 71,
81, 112, 113, 118, 119, 164, 171, 182,
187, 196, 197—201, 203, 206, 208, 214,
220, 221, 237, 247, 248, 271, 279,
290, 294, 300, 304, 314.
დავით IV 113, 210.
დავით VII 5, 17.
დავით გარეჯელი 292.
დავით ეფრემისძე 108.
დავით იობის ძე 121.
დავით იმამ-ყული-ხანი 131.

დავით კახეთის მეფე 98, 109.
დავით, კახეთის მთავარი 282.
დავით, კათალიკოსი 266.
დავით, მწიგნობართ-უხუცესი 304.
დავით ნარინი 79, 127, 129, 130, 230,
247, 259, 260, 281, 303.
დავით სოსლანი 3, 21, 23—26, 82,
108—110, 143, 145, 170, 174, 209,
211, 212, 228, 230, 231.
დავლაშვილი ეთო 35.
დამანა 142.
დანდლოვი 94, 100.
დანიელ რუსი 72.
დანტე 235.
დარეჯან დედოფალი 31.
დე-გოვეა 104.
დემნა 210.
დელბრუკი 203, 207.
დემნა ბატონიშვილი 10, 283.
დენისონი 194, 195.
დეალი 80.

ღიასაძიძე 27, 65.
ღილარგეთი 3, 26, 166.
ღიმიტრი I 107, 163, 214, 248, 304, 314.
ღიმიტრი თავდადებული 5, 73, 177, 186,
246, 260, 315.
ღიმიტრი მეფე 228, 260, 293.
ღინარი 160, 167.

ღიონისე არეოპაგელი 231, 232.
ღიონისი, ღიუნოსი 232.
ღიულორიე ე. 85.
ღიუშა-შამა 141.
ღრანდელი 138.
ღუბროვსკი ნ. 31.
ღულია 181.

2

ეგარსლან ბაკურციხელი 290.
ეკატერინე დადიანი 147.
ელენე დედოფალი 183.
ელია 120, 121, 252.
ელია მიხრიკისძე 274.
ელია ჩახრახელი 272, 273.
ელიავე გივი 100.
ელიავე ელად. 100.
ელიზბარი 38.
ელიეუმ ორბელი 134—136.
ელიოზიშვილი ნიკ. 239.
ელისაბედი ინგლისისა 150.
ენაქოლოფაშვილი ივ. 91.

ენგერან დე-მონსტრელე 78.
ენე ორბელი 134, 135, 136.
ერასტიშვილები 275.
ერაშპარი 101, 103.
ერეკლე II 10, 90, 256, 258, 269.
ერეკლე კეისარი 295.
ერისთავი (გვარი) 89.
ერისთავი დავით 147.
ეფთვიმე კ.-ზი 246.
ეფრემი 108.
ეფრემიანი 211.
ეფრემისძე 108.
ემენზახი ვოლფრამ 223, 224, 225.

3

ეაშეუ შაბურისძე 83.
ეაშიყ 141, 142.
ეარამ 7, 68.
ეარამ გაგელი 280, 281.
ეარამ მხარგრძელი 106.
ეარდან დადიანი 101, 103.
ეარდან დიდი 214, 229, 281, 305.
ეარდან შოთას ძე 287.
ეარდანისძე არიშინი 73.
ეარდანისძე ივანე 285, 286 (გრიგოლის
ძე), 287.
ეაჩე 307.
ეაჩე გვარამასძე 128.
ეახტანგ 54.
ეახტანგ გორგასალი 71, 72, 116, 289.

ეახტანგ V 89.
ეახტანგ VI 18, 19, 22, 24, 25, 83, 111,
115, 143.
ეახტანგ მეფე 73, 74, 79, 260.
ეახუშტი 298.
ეახუშტი ბატონიშვილი 40, 41, 102, 109,
254, 258, 263.
ეერა 95.
ვიდალი პიერ 297.
ვილნი ზეებ 183.
ვირსალაძე თინ. 71.
ვირშელ 82.
ვისი 28, 142, 157, 234, 236.
დე-ვიტრი ფილ. 236.
ელადიმერ 95.

ზაალისშვილები 256.
 ზააკი 83.
 ზადენი 96, 97.
 ზაზა (ზაზასეული) 278.
 ზაზასშვილები 264.
 ზაქარეანები 68.
 ზაქარია 307.
 ზაქარია აღბულასძე 68.
 ზაქარიაბერი 309.
 ზაქარია ვარამისძე 68, 106, 177.
 ზაქარია ვარდანისძე 209.
 ზაქარია დიდი 68.
 ზაქარია მხარგრძელი 18, 106, 123, 124,
 131, 133, 134, 136, 137, 160, 161, 170,
 175, 176, 185, 240, 280, 283, 291,

305, 306.
 ზედგინძე გ. 46.
 ზევულფი 72.
 ზვიადი 101.
 ზვიად გოშოსძე 246, 247, 249.
 ზვიად ერისთავთ-ერისთავი 300.
 ზილიხა 141.
 ზოლა ე. 141.
 ზოროასტრი 96.
 ზოსიმე 246.
 ზურაბ სააკაძე 61, 62.
 ზურაბისშვილები 256.
 ზუტ(ტ)ნერი არტ. 32, 141, 147, 149,
 235, 236.
 ზუტ(ტ)ნერი ბერტა 147, 148.

თ

თავაქარაშვილი მამუკა 93, 186.
 თავებლისძე მხარებელი 262.
 თამარი 95.
 თამარ, გაზნისძის მეუღლე 246.
 თამარ, გიორგი მცირის ცოლი 5.
 თამარ დედოფალი 313—315
 თამარ მეფე 4, 6, 8, 10, 13, 14, 16, 18,
 21, 22, 24, 27, 31, 54, 55, 57, 58, 61,
 62, 67, 80—82, 104, 108—115, 122,
 125—127, 131—135, 140, 143—146,
 152, 158, 162—167, 182, 183, 185,
 :89, 204, 209—214, 217, 224,
 228—231, 242, 243, 256, 258, 268,
 274, 282—284, 291, 296, 299, 300,
 301, 303, 307, 309, 311, 313, 314.
 თამარ, რუსუდანის ასული 54, 55, 230.
 თამარ, სარგისის ცოლი 119.
 თამარ, შირვანის დედოფალი 271.
 თანიაშვილი 94.
 თარხანი 193.
 თაყაიშვილი ე. 32, 40, 81, 101, 120, 121,
 :55, 160, 224, 296, 303.

თაყიადინ თმოგველი 68.
 თეღორე წმიდა 303.
 თეფდორე 248.
 თეიმურაზ I 30, 97, 99, 131, 144, 287,
 288.
 თეკეში (სულთანი) 56.
 თეიმურაზ ბატონიშვილი 6, 31, 96, 144,
 145, 165, 183, 184, 237.
 თეკლე ბატონიშვილი 30, 31, 90.
 თემურლენგი 50.
 თეოდორე დეკაპალიტი 191.
 თეონილა 101.
 თინათინ 12, 14, 23, 25, 54, 56, 57, 77.,
 88, 145, 146, 151, 154, 155, 158, 160.,
 165, 167, 169, 170.
 თირქაშ აბულეთისძე 305.
 თირქაშ ივანეს ძე აბულეთისძე 306.
 თმოგველი 4, 23, 26, 68, 106, 166, 167,
 175, 177, 184, 185.
 თოვლაძე 246.
 თორელი 66, 128, 130, 167, 211, 175.,
 185, 305—308.

-იაბერი 309.
 იაზატა 96.
 იაზღა 97.
 იაზღან 96, 97, 100.
 იზნ-ალ-ასირი 229.
 იესე 252, 273.
 იეროთეოსი 232.
 იესო (ქრისტე) 202.
 ივანე 103.
 ივანე აბულეთისძე 305.
 ივანე ათაბაგი 134, 285, 306.
 ივანე აღბულასძე 68.
 ივანე ახალციხელი 66, 133.
 ივანე დადიანისძე 101.
 ივანე დიდი (სპასალარი) 306.
 ივანე ვარდანისძე, სევანთა ერისთავი 302, 303.
 ივანე (ივანიკა) 270.
 ივანე ლიპარიტისძე 260.
 ივანე მხარგრძელი 68, 101, 106, 123, 124, 126, 161, 211, 212, 283, 306.
 ივანე ორბელუანი 306.
 ივანე ორბელი 135, 305, 306.
 ივანე სააკაძე 61.
 ივანე-ყვარყვარე ჭაყელი 125, 127, 282.
 იელიანე (იმპერ.) 168.
 იზიასლაეი 187.
 იზოლდა 221, 222, 224.
 ილია 95.

კაკაბაძეები 276.
 კაკაბაძე დავით (პედაგოგი) 99.
 კაკაბაძე სარგის 14, 15, 63, 74, 77, 112, 115, 132, 156, 192, 193, 230, 232, 247, 263, 266, 269.
 კაკაბაძე საურმაგ 159.
 კანდელაკი ზორ. 69.
 კანსკი 147.

იმად-უდ-დინ ისფაჰანელი 198.
 იმამ-ყული-ხანი 109.
 იმედაშვილი გ. 31.
 ინაჰ სანოზაძე 307.
 ინგოროყვა პ. 8, 9, 10, 91, 92, 98, 116, 130, 137, 158, 247, 277—279, 281—284, 286, 288, 291, 293, 298, 299, 303—316.
 იოანე 51, 232.
 იოანე დამასკელი 85, 87, 174, 231—233.
 იოანე დიაკონი 49, 50, 51.
 იოანე მაწყვერელი 128.
 იოანე მთავარეპისკოპოსი 102.
 იოანე მწიგნობართ-უხუცესი 304.
 იოანე ქვაბულისძე 303.
 იოანე ტყონდიდელი 304.
 იოანა ხელაშვილი 95.
 იოზი 120, 246.
 იოზის ძე 309.
 იოსელიანი პლ. 7, 89, 90, 122, 131, 239.
 ისკანდერი 159, 161, 234.
 ისო 58, 68.
 ისო ჩახრუხასძე 161, 164, 273.
 ისრაელი 292.
 ისტუქვეგუ 96.
 ისუ ნეინი 58.
 იუსტინუს 97.
 იუსტინე 97.
 იუსუფ 144.
 ივალთოელი 49.

J

კარიკაშვილი დ. 46.
 კასტელი 77, 89, 93, 94.
 კახა 305.
 კახა (ერისთავი) 67.
 კახა თორელი 130, 131.
 კახა II თორელი 307, 308.
 კახაბერი 53.
 კახაბერ ვარდანისძე 120, 123, 307, 308.

კახაბერ წინასძე 166.
კახი 289.
კეკელიძე კორნ. 4, 5, 10, 28, 114, 142,
229, 232, 314.
კელერი 207.
კენჭოშვილი 69.
კვირიყე III 279.
კვირიყე IV 279.
კირაკოსი 66, 68, 281.
კიროსი 96.
კლდია 288.
კლდიაშვილები 288.
კოლ(ლ)ინისი 159.
კოლონკელისძე 282.
კონდაკოვი ნ. 284.
კონსტანტინე 260.

კონსტანტინე მეფე 265, 293.
კონსტანტინე აფხაზთა მეფე 294.
კონსტანტინე ბატონიშვილი 262.
კონსტანტინე ძოწ-მოსილი 191.
კოპაძეები 288.
კოსტანეანცი კ. 68, 306.
კრაევი 67.
კრეტინე ტრუაელი 222, 223.
კრილოვი 141.
კრიშპილდა 221.
კუეკე 246, 247, 249.
კუიუკ-ხანი (მონღოლთა) 129, 130.
კუეკისძე ქველი 246.
კუხი 289.
კუხოსი 288.

ლ

ლაზარობა 102.
ლამბერტი 270.
ლანგი დავ. 6.
ლარგველი 176.
ლარგველი ქვენიფნეველი 177.
ლაშა გიორგი 82, 83, 108, 113, 125,
126, 128, 129, 134, 182, 228—230,
246, 248, 271, 282, 302, 307, 311.
ლაშხაისშვილი საღირ 247—249.
ლევან I დადიანი 83.
ლევან მირზა 89.
ლეილა 141, 142, 159.
ლეონიძე გიორგი 90.
ლეონტი მროველი 295.
ლიპარიტ 67, 134, 203—206.
ლიპარიტ ივანეს-ძე 290, 295.

ლიპარიტეთი 44, 275.
ლიპარიტელი 44.
ლიპარტიანი 275, 297.
ლიპარიტის ძე 275.
ლოლაშვილი ივ. 49, 50, 58, 118.
ლომინაძე 265, 267.
ლომინაძის ქალი 267.
ლორთქიფანი 245, 250.
ლორთქიფანიძე მარ. 10.
ლოსევი ს. 178.
ლუდოვიკ XIV 140.
ლუარსაბ II 256, 258.
ლუე დე-პონტიე 227.
ლუიჯი და-პორტა 150.
ლუკა 80.

მ

მაისურაძე ილ. 37.
მაკალათია ს. 6, 35, 36, 39, 40, 45, 66.
მაშია დადიანი 105.
მამლაქანისძე თამარ 247, 249, 253.
მამლაქანისძე სუნდულ 251, 252.
მამულაშვილი მიხ. 91, 174.

მამურჩა 128, 130, 131, 306.
მაგლელისშვილი ნიკ. 177.
მანი 10.
მარი იური 32.
მარი (მარარი) ნიკ. 4, 55, 69, 150.

153—156, 163, 182, 222, 226.

მარინე 99.

მარკო პოლო 165, 173.

მარკოზი (წმ.) 7.

მარლო 150.

მარტიროზი 94.

მარუშინი (სახელი) 246.

მარტელისი ამშიან 168.

მარჭუანი 285.

მაქსიმე აღმსარებელი 87, 179, 231—233.

დე-მამო გიომ 231.

მაწნაბერდელი 285.

მაწყვერელი 65, 66.

მახარა 133.

მახუნჯაგინი 44, 250, 275.

მახუნჯაგისძე 44, 275.

მაჰმადი 189.

მეგრელები ი. 6, 29, 37, 45, 53, 61, 159, 186.

მეკეტები 142.

მელეხ ანნასერ ბენ-კალაუნი (სულთანი) 183.

მელიქ-შაჰი 214.

მელქისედეკ, მეფე 5.

მელქისედეკ, კათალიკოსი 117.

მესა, დედოფალი 245

მესხი, ვინმე (ფსევდ.) 19, 22, 23.

მესხია შ. 304.

მეტრეველი ელ. 6, 117, 137, 182, 312, 315, 316.

მეუნარგია, დეკანოზი 199.

მეუნარგია იონა 147, 149.

მზეკაბუკ 105.

მირიან (მეფე) 183, 292.

მირმან (მარმან) ამირა 55, 211, 212.

მირონ 31.

მიქაელ მირიანისძე 303, 304.

მიქელ (მთ.-ანგელოზი) 195.

მიქელ კათალიკოზი 128, 129.

მიხაილ VIII, პალეოლოგი 260.

მიხითარაისძე დავ. 133.

მიხრიკი 252, 255, 256, 261, 263, 272, 273.

მიხრიკისძეები 257, 258, 267.

მიხრიკისძე ელია 249—252.

მოიზნი 93.

მოლიერი 159.

მოხრებულისშვილი 199.

მოსე ფაფქაურისძე 51.

მოსე ხონელი 3, 24—26.

მოსე ხორენელი 96.

მროველი 295.

მროველი იონე 262.

მტბევი 285.

მურვან მახუნჯაგისძე 60.

მურვან რუსთველისშვილი 273.

მუსხელიშვილი დ. 10.

მუტაფრადინ (მუდ ჰაფფერ-ედლინი) 210, 212.

მუსხრან-ბატონი 98.

მხარგრძელი 4, 66, 68, 167, 170, 177, 185, 246.

მხეიძე 265—267.

მხეცისძე 267.

მხეცისძე ბეშქენ 246.

ნ

ნათელი 101—103, 246, 247, 249.

ნათელი ბედიანი 246.

ნათელი ქვაბულისძე 246.

ნათენაძე ნიკო 6, 30, 46.

ნათია 259.

ნათია, ნათელა დედოფალი 265.

ნანუჩა 243, 244.

ნატროშვილი ანტ. 96, 97.

ნერსე 295.

ნესტან-დარეჯანი 19, 58, 145, 157, 159, 161, 162, 169.

ნიანია გრიგოლისძე 199.

ნიანია გრიგოლისძე 199.

ნიანია ქვაბულისძე 166

ნიზამ-ალ-მულკი 198, 204.
ნიზამი 141, 142, 159, 161, 215, 234.
ნიკიფორე III 119.
ნიკოლაძე ნიკ. 149.
ნიკოლოზ 95.
ნიკოლოზ გულაბერისძე 119, 313—315.
ნიკოლოზ იკონომოსი 49.
ნიკოლოზ კათალიკოზი 81 (ბედიელ-ყოფლი), 246.

ოვსეყმა 251.
ოვსეყმა პანკელი 307.
ოვსიყმა 307.
ოთარი 61, 175, 286.
ორბელეანები 135, 136.
ორბელეანი სტეფანოს 6.
ორბელი ივანე 206.
ორბელნი 134, 161, 206, 275, 283.

პავლე, ათონის ქართ. მონასტრის წინამძღვარი 313.
პავლე მარია ფისიანცელი 77.
პაპი ალექსანდრიელი 289.
პართენ მღივიანი 226.
პატარაია 138.
პატარასძე 137, 138.
პერსევალი (პარციფალი) 199, 223.
პეტრე 95.

ეანრო დე-ლეკიურელი 236.
ეორდანია თ. 134, 266, 314.
ეუკოესკი ე. 141.
რამაზ 145.
რამაზ მღივანბეგი 10, 89, 90.
რამინი 28, 142, 157, 200, 214, 234, 236,

ნინო, რუსთაველის ცოლი 33.
ნინო (წმ.) 289, 293.
ნორაისძე მარუშვინი 246.
ნისრელი (ეგვიპ. სულთანი ნასირ-მუჰამედი) 74.
ნოზაძე ვიქ. 81, 88, 114, 227.
ნურადინ-ფრიდონი 157.
ნურ-ედ-დინი 178.
ნუტუბიძე შ. 232.

ო

ორბელიანები 89, 90, 91, 275—308.
ორბელიანი ალ. 90.
ორბელიანი გრ. 90.
ორბელიანი ვახტ. 7, 30, 90.
ორბელიანი გიორგი 90, 91.
ორბელშვილი 275, 308.
ოქროი 133.
ოქროპირ დეკანოზი 49.

პ

პიეტრო დელლა-ვალე 104.
პიპა 74, 245.
პლატონი 214, 231.
პლინი სეკუნდი 62.
პლოტკინი გრ. 184.
პოლლაკი 113.
პროზორე 80, 118, 247.
პუშკინი ალ. 222.
პჩელინა ევგ. 230.

რ

259, 266.
რასინი 140.
რატი 75, 81.
რევაზისშვილები 275.
რევი 292.
როლანდი 221.

როკნ-ედ-დინი (სულთ.) 230, 310.

რომეო 150.

რუსა 259.

როსტან 216.

როსტენ 211.

როსტომი 241.

როსტომ (მეფე) 164.

როსტომის შვილები 256.

რუსთაველი (რუსთველი) შოთა, 1, 3—7, 9—18, 21, 23, 26—31, 33—39, 42, 47, 48, 59, 60, 62, 66, 69, 70, 71, 75—77, 79—81, 83—95, 98—100, 102, 104, 115, 117—120, 126, 131—132, 134, 137—140, 143, 145—156, 158—160, 162—164, 167, 168, 170—172,

177—185, 220—222, 226, 229—236, 241, 242, 245, 247, 249—253, 255—257, 261—263, 267, 269, 272—274, 276, 278, 280—286, 296, 298, 306—310, 312—316.

რუსთველი ეპისკოპოსი 27.

რუსტული 173.

რუსუდან 145.

რუსუდან (მეფე) 54, 55, 82, 124, 126—129, 171, 247, 248, 265, 266, 280, 281, 300, 302, 303.

რუსუდან, გიორგი III-ის და 42, 107—110, 162, 163.

რუსუდან, თამარ მეფის და 112, 113..

ს

სააკაძე ზურაბ 62.

საბა ორბელიანი 14, 45, 87, 116, 125.

160, 181, 282, 308.

საბალთი 81.

საბაოთი (ღმერთი) 203.

სადუნი (ათაბაგი) 186.

სალადინი (სულთანი) 72, 107, 163, 177, 230, 270.

სალაპ-ედ-დინი 178.

სალდახი 81.

სამადავლა 287.

სამძიმარი 62—65, 67.

სამხარასძე 255.

სარაჯიშვილი ალ. 146.

სარგის 119, 127, 143.

სარგის ამირსპასალარი 67.

სარგის ბექას ძე 76.

სარგის გოშოსძე 247, 249.

სარგის ვარამისძე 68, 167, 177, 185.

სარგის თმოგველი 3, 5, 21—26, 68, 124, 159, 166, 167, 176, 184, 237 (ქვაბულისძე).

სარგის მხარგრძელი 160, 161, 167, 170, 298, 305, 306.

სარგის მხარგრძელის ძე 68, 106.

სარგის ქობულისძე 165.

სარგის, ყვარყვარეს ძმა 127.

სარგის ჭაყელი 76, 131.

სარიდან 145.

სასანიდები 154, 292.

საული, ისრაელთა მეფე 210..

სალირი 246.

სალირ მახატელისძე 10.

საპაში 266.

საპაკი 295.

სებასტიანე (წმ.) 78, 79..

სელჯუკი 198.

სელჯუკიანი 107, 210.

სერაპიონ ზარზმელი 200.

სერაპიონ საბაშვილი 241.

სეფი (შაჰი) 164.

სევანიძე ალ. 156.

სვიმონ გულაბერისძე (მწიგნ.-უნს-ტესი) 303, 304, 313, 314.

სინჯარ (სულთანი) 93, 107, 163, 314.

სიხარულიძე ილია 42, 257.

სკაბალანოვიჩი ნ. 191.

სლესარი 62, 63.

სოლომონ ბრძენი 202, 203.

სოლომონ I იმერეთისა 270.

სოსლანი 108.
სოფოკლე 154.
სტეფანოს ორბელიანი 134—136, 203—
206, 285, 286, 306.
სუმბატ 135, 136.
სულა კალმახელი 67.
სულიმან (სულთანი) 40, 107.
სულხან 94, 95.

სულხან ავთანდილის ძე 93.
სუმბატი 75, 135, 136.
სუმბატ დავითის ძე 9, 295.
სუმბატ ორბელი (ივანეს ძე) 305, 306.
სუმბატ ორბელიანი 305.
სუნღულ 251.
სუნღულ მამლაქანისძე 45, 241.
სურგულაძე ივ. 79.

ტ

ტარიელი 3, 14, 17, 20, 22, 26, 87, 88,
99, 105, 111, 145, 158, 160—162, 167,
169, 210, 215—218, 225, 233,
239—241, 244, 249.
ტარიელი (პირი) 186.
ტარსაიჭი 134, 136.

ტბელი (სახელი) 281—287.
ტბელი ივანეს ძე 285, 286.
ტიმოთე გაბაშვილი 69, 100.
ტიშენდორფი(სეული) 102, 245—248.
ტრისტანი 221, 222—224.
ტყეშელაშვილი გ. 166.

წ

უ

უღუღულა 101.
ულუ-დავითი, ნახე დავითი.
ულუ-ყაენი 290.

უნსური 141.
უსენი 157.

ფ

ფადლა ქორიკოზი (ქორეპისკოპოსი) 294.
ფადლონ 198.
ფაენელი 294.
აღ-ფაიჭი 279.
ფალაენდი 255—257, 272, 261, 268.
ფალაენდიშვილები 255—260, 262—272,
274, 275.
ფალაენდიშვილი ბაგრატ 261.
ფალაენდიშვილი ვასილი 257, 271.
" ბეგროზ 263.
" ბეჟან 263.
" გიორგი 270.
" გლახაი 270.
" დავით 263.
" ვარდან 262, 263.
" ზვიად 263.
" ივანე 263.
" მემედ აღა-ბეგ 256.

" მუქეაბუკ 263.
" სიაოშ 263.
" რუსი 263.
" ფალაენდი 263.
" ქირქიშ 262.
" ჩიან 263.
ფალოენ ქუთათელი 263.
ფალქოზისძე გიორგი 246.
ფანასკერტელი 309.
" გრიგოლ 246—248.
" თაყა 246.
ფანასკერტელი-ციციშვილი ქაიხოსრო 63.
ფარჩანიანი 250.
ფარნაეაზ მეფე 96.
ფარსადანი 145, 157.
ფარსადან გიორგიჯანიძე 171.
ფატმანი 145, 157.
ფაუსტი 141, 151, 155.

ფაფქაურისძე მოსე 51.
ფახულანი 250.
ფაპრადავა ორბელი 135, 136.
ფაპრ-ელ-დინ გურგანელი 214, 234.
ფერშანგინი 256.
ფეჰლევენდი 255.

ფილიპე, დე-ვიტრი 236.
ფირდოუსი 141.
ფირცხალავა სამ. 174.
ფრაიზინგერი 304.
ფოკა 193.
ფსიტია 246.

ქ

ქაიხოსროსშვილები 275.
ქარიზ 68.
ქაჩიბა 275.
ქაჩიბასძე 275.
ქვაბულისძე (ქობულისძე) 165—167,
237.
ქვაბულისძე შალვა 246.
ქვარიანი სიმ. 145.
ქველიყვისძე ცოტნე 246.

ქვენიფნეველი 176.
ქვენიფნეველი შალვა 294.
ქვეშელი ლიპარიტ 246.
ქილილა 142.
ქუთათელაძენი 276.
ქურთი თორელი 68.
ქურციკი გაბელისძე 259.
ქუცნა გაბელისძე 259.

ლ

ღვინისძე ივანე 246.
ღლოტისძე დუდაი 246.

ღობიარი 65.

ყ

ყაზაროვი 90, 91.
ყაფლან 275.
ყვარყვარე 303.
ყვარყვარე ივანე 282, 307, 308.
ყვარყვარე ჭაყელი 76, 130, 131.

ყიზილ-არსლანი (სულთანი) 55, 211.
ყიფშიძე დ. 80.
ყუთლუარსლან 302, 308, 310.
ყუბასარ 161, 305, 306.

შ

შაეთა 100.
შაეთელი 3, 26.
შალვა 84, 307 (თორელი), 124, 125, 131.
შალვა ახალციხელი 66, 68, 82, 131, 133,
302, 305, 307, 308.
შალვა ქვენიფნეველი 245.
შალიკაშვილი 288.
" კლდია 288.
შანიძე აკ. 6, 70.
შანშე 7.

შანშე მხარგრძელი 68, 240, 280, 281.
შანშე ზაქარიას ძე 305.
შანშეან მარტიროზისშვილი 94.
შარდენი 104.
შაჰანშა 50, 128, 246.
შაჰანავაზ 89.
შაჰროხ 52.
შედან 101.
შერგილ (შერგირ) დადიანი 101—103.
შერმადინი 157.

შექსპირი 33, 40, 148, 150, 154, 155, 159.

შიშმარევი ვ. 222.

შოთა (სახელი) 97.

შოთა ართავაჩოსძე 285.

შოთა (კერპი) 97.

შოთა გრიგოლისძე 9, 283, 286, 287.

შოთა კუპრი 130, 277, 278, 280—284, 286, 287, 310, 311.

შოთა რუსთველი (ნ. რუსთაველი)

შოთაი 134.

შოთთა 96.

შოთთან 97.

შოშიაშვილი ნ. 10, 66.

ჩ

ჩარუხაშვილი 53.

ჩახრახასძე 44.

ჩახრახელი 11, 35, 37, 41, 44, 177, 179, 252.

ჩახრუხა 45, 48, 53, 110, 171, 172, 272, 273.

ჩახრუხაანნი 171, 175.

ჩახრუხასძე 6, 10, 12—14, 31, 49, 53—57, 144, 161, 165, 171, 172, 185, 273.

ჩახრუხასძე გრიგოლ 48—50, 171—173, 272.

ჩახრუხასძე ისო 58, 59, 159, 165, 166, 168, 169, 172, 214, 224, 225.

ჩახრუხასძე ხელი 172.

ჩახრუხაშვილი 53.

ჩიქოვანი მის. 39, 46, 158, 171.

ჩიჭავაძე შ. 168, 169.

ჩოლაყაშვილი ნიკ. 51.

ჩუბინაშვილი გიორგი 70, 284.

ჩუბინაშვილი დავ. 145, 146, 184.

ჩული ფონ-გლასიუს 76.

ჩხაგუ აფაქისძე 246.

ც

ცაგარელი ალ. 69, 76, 111, 137.

ციციშვილი სარგის 18, 66, 89, 239.

ცვარი 259.

ცილოვანი 250.

ცეცხლაძე 255.

ცინ (დინასტია ჩინეთში) 55.

ცისკარიშვილი ე. 81, 124.

ციციშვილები 275.

ციციშვილი ზაზა 18, 89, 90.

ციციშვილი ნანუჩა 243.

ციციშვილი სიმ. 168.

ცოტნე 249.

ცოტნე დადიანი 100, 102—104.

ძ

ძაგან აბულეთისძე 242.

წ

წერეთელი 260, 264, 270, 271.

წერეთელი აკაკი 32.

წერეთელი გიორგი ვას. 6, 70, 85.

„ განონაი 270.

წერეთელი გრიგოლ 91, 92, 239.

წურწყაბელი 65, 66.

მ

პლაშვილისეული 110, 115.
 ქახუბისძე ყუნდო (ყანდო) 247—249.
 კიაბერი 9, 11, 114, 116, 132—136, 231,
 305, 306, 309.
 კიაბერი თორელი 10, 66.
 კიაბერისძენი 309.

კიაურთა ხეაზა 246.
 კილაძისძე ჭავჭავაძე 246.
 კიქინაძე ზაქ. 95.
 კურისშვილი ნ. 177.
 კყონდიდელი 285, 303, 304, 307.

ნ

ნათულა, მხარგრძელის ცოლი 68.
 ნათუნ 85.
 ნანი (დინასტია ჩინეთში) 55.
 ნაიკ-ყოფილი 246.
 ნაფთაძე, ნაფთაისძე 44.
 ნახანაშვილი ალ. 1, 157, 229.
 ნელაი 57.
 ნელი (ჩახარუხასძე) 56, 57, 213.
 ნელაძე 57.
 ნელიძე 57.

ნეაშაქი 101.
 ნეკრისჩვერელი 246.
 ნიღირბეგისშვილები 275.
 ნიღირი (შეიხი) 73, 74.
 ნოსრევი 142.
 ნოსრო 68.
 ნოქო ალ. 31, 32.
 ნუღდანი, ოსთა მეფე 228.
 ნუციშვილები 271.

ო

ობადაძე 149.
 ოვახა 270.
 ოვახაშვილები 287.
 ოვახი 270.
 ოვახიშვილი ივ. 32, 153—156, 158, 229,
 309.
 ოვესიანი გ. 246.
 ოვამი 142.
 ოვაიანი 250.
 ოვანაშვილი მოსე 44, 81.
 ოვარდონი 108.

ოკუელო-კორიდელო 307.
 ოკუელო-ციხისჩვერელები 127, 310.
 ოკლაღ-ღ-დინი 50, 82, 112, 124, 265,
 266, 273, 290.
 ოქია ს. 40, 41.
 ომუხაძე აბ. 43.
 ომუნაშვილი 204, 288, 292.
 ომუნაშვილ ჩუნაშვილიანი 291, 292.
 ომუნაშვილისძე 101, 103, 204.
 ომულაბა 307.
 ომულიეტა 150.

პ

პაპლეტი 150.
 პარვარდის სახელ. უნივერსიტეტი კემბ-
 რიჯში (ამერ. შეერთ. შტატები) 32.
 პაერმანი 207.
 პენრიხ II 193, 194.
 პერდერი 141.
 პეროლია 77.

პათიბი 142.
 პეროლოტე 96.
 პიპოკრატი 100.
 პომერი 33, 154, 214, 148.
 პონიგმანი ე. 232.
 პუგო დე-პენი 202.
 პუგო ფრანსუა-ვიქტორი 150.

გეოგრაფიულ სახელთა სპიშეხელი.

აბაშა 138, 270, 280.
აგარა 35, 36, 39, 107, 172, 173, 273.
აგრივირდი 257.
აგრი ღურტ 257.
აღარბადაგანი 212.
ავნეუ 271.
ავსტრია 147, 149.
აზერბაიჯანი 32.
აზია (მცირე) 87, 164, 213.
აზოვის ზღვა 164.
ათინა 31, 33, 37, 173.
ათონი 118, 313, 314.
ა) კავკასია 33, 99, 100, 163, 187.
ალაეერდი 275.
ალაზანი 8, 9, 278, 288, 289, 294.
ალაზანი (მცირე) 312.
ალათუბანი 42.
ალბანია 288, 289.
ალექსანდრია 85, 113, 231.
ალი 259, 268.
ალინჯა 259, 264.
არგეთი 260, 299.
ამერიკა 32.
ამიენი 77.
ანანური 9.
ანდრია-წმიდა 42, 43, 53.
ანსი 67, 163, 186, 240, 258, 305.
ანკარა 142.
ანტიოქია 221.
არაბები 168.
არაბეთი 12, 19, 20, 36, 39, 55, 146, 152, 168, 211, 216, 240.

ბ

არაგვი 9, 89, 288.
არადეთი 268, 271.
არგეთი 260, 272, 299.
არეში 8, 294.
არიშა-კალა (არიშა-ციხე) 291, 298.
არიში 8, 291, 293, 295.
არზრუმი 212.
არმაზი 81, 84.
არშენია 288, 289.
არტანი 43, 66, 291, 299.
არტანუჯი 300.
არხოტი 82.
ასპინძა 43, 45, 48, 60, 65, 66.
ასურასტანი 99.
ასურეთი 100, 202.
ატონე 291.
აფხაზეთი 181, 246, 275, 294, 303.
აფხაზ-იმერეთი 267.
აქაია 248.
აშორა 42.
არაბეთი 268.
აწუკერი (აწუკრი) 64, 65, 66, 254.
აძვისი 265.
აძიკვა 10.
აჭარა 30, 35.
ახალდაბა 48.
ახალსოფელი 8.
ახალქალაქელი 37, 41.
ახალქალაქი 130, 256.
ახალციხე 31, 33, 40, 42, 45, 47, 52, 61, 65.
ახალციხის-წყალი 52, 65.
ახტალა 285.

ბ.

ბაბილოენი 164.
ბათუმი 30.
ბაკურიანი 64.
ბალახშანი 169.
ბალხეთი 169.
ბანძა 138.
ბაქო 32.
ბაღდადი 55, 56.
ბეზანსონი 229.
ბეთანია 75, 76.
ბელაქანი 290.
ბელუჯისტანი 168.

ბიზანტია 36, 38, 55, 78, 115, 118, 191,
192, 213, 214, 231, 260, 279, 292.
ბიქვინტა 260.
ბობოკინი 265.
ბომბეი 168.
ბოქორმა 288, 295.
ბრეთი 60, 254.
ბრეტანი 288, 295.
ბრეძა 271.
ბროლოსანი 265.
ბუენოს-აირეს 87.
ბულგარეთი 260.

გ.

გაგი 177.
გავაზელნი (ქართლის) 294.
გავაზი (ქსნის ხეობის) 294, 295.
გავაზი (პერეთის) 8, 294.
გავაზნი 293, 311.
განძა 126, 198, 215, 257, 282, 284.
განძაკი 135, 281.
განძანი 82, 124, 125, 302.
განჯა 135, 234.
გარე-კახეთი 7, 289, 290, 291.
გარე-სუჯეთი 289.
გარეჯა 288, 289, 311.
გარნისი 112.
გარშტე (ნ. გაჩიანი) 285.
გაჩიანი 285.
გეგეკორი 100.
გელათი 75, 184.

გერმანია, გერმანელი, გეოიანული 149,
163, 187, 193, 224, 225, 235, 236.
გიში 280, 282.
გოლგოთა 74, 83.
გოლისი 265.
გომნა 253.
გორი 53, 171, 220.
გრემი 33.
გულანშარო 156.
გუგულა 294, 295.
გუმბათი 43.
გურგანი 214, 224.
გურია 29, 65, 299.
გურკელი 60.
გურჯისტანი 52, 40, 43, 48, 253, 254.
გუჯარათი 168.
გუჯარეთი 66, 67.

დ.

დარიალა 310.
დაღესტანი 312.
დეკები, დიეები, დევისტანი 168, 169.
დელი 168.
დენი 106, 186, 285.
დეირი 66.
დიდგორი 196, 197, 206, 208, 220, 304.

დიდგორწინი 206, 208.
დილომი (დიღვამი) 13, 206, 294.
დმანისი 128, 129.
დრანდა 249.
დუნთა 262, 263.
დღეაშის-ხევი 253.

ბ

ბევიტე 55, 73, 74, 85, 163, 164, 183,
245, 251.
ბგრა 272.
ბერისის წყალი 272.
ბერობა, ბერობელი, ბერობული 71, 78
და სხვა, სულ 29-ჯერ.
ბელესის-კარი 253—255.
ბნებური 270.

ბრანი 107.
ბრასი 55, 56, 107, 108, 110, 162, 212.
ბრგნეთი 266, 268.
ბრინჯაქი 256, 264.
ბრწო 134, 198, 295, 312.
ბსანეთი, ბსანური 159, 195.
ბფრბტი 177, 178.
ბშბბბ-ბბბბნი 253, 254.
ბშბბბ-ბბბბბბ-წყბბბ 254.

გ

ბანი 119, 166, 250.
ბბბბბ 38, 51, 75, 81, 114, 179.
ბბშბბბბბნი 253.
ბბბბბნი 254.
ბბბბბნი 80.

ბენეცბბ, ბენეცბბელი 150, 156.
ბერე 121.
ბერონელი 140.
ბებბბ-ბევე 199.
ბევებბნი 294, 312.

დ

ბბრბბბ, ბბრბბბელი 37, 76, 81, 82, 200,
296.
ბბბბბბბნი 96.
ბბბბ ბბბბბბბბ 31, 266, 269, 299.
ბბბბბ-ბბბბბნი 75.
ბბბბბ-ბბბბბბბ 264.

ბბბბბ-ბბბბ (==ბბბბბბბ-ბბბბბ) 255.
ბბბბბბბბ (ბბბბბბბბ) ბბბ 43, 65, 76,
257.
ბბბბ 265.
ბბბბბბბბ 253.

ე

ბბბბბბბ 211, 299, 302.
ბბბბბბბბბნი 267, 268, 271, 274.
ბბბბბბბნი 56.
ბბბბბბ 169, 279.
ბბბბბბბბ ბბბბბ 67.
ბბბბბბბბ, ბბბბბბბბნი 134, 271, 302.
ბბბბბ 271.
ბბბბბბბბ, ბბბბბბბბბბნი 26, 34, 35, 59, 62,
133, 159, 166, 167, 177, 179, 180, 184,

185.
ბბბბბბბბ 44.
ბბბბბ, ბბბბბბბ 59, 61, 62, 65—67.
ბბბბბბბ ბბბ 65.
ბბბბბბბბბბბბბბბბბბ
(ბბბბბბბბ ბბბბბბბ) 45, 46.
ბბბბბ (ბბბბბ) 44.
ბბბბბბბბბბ 62, 200, 290, 294, 302.
ბბბბბბბ 62.

0

იბერია 62, 93, 288.
 იერუსალიმი 33, 36, და სხვ., სულ 59-
 ჯერ.
 ივანდილი 276.
 ივრის პირი 9.
 იკონია 54, 55, 126.
 იმერეთი, იმერი, იმერელი, იმერული
 126, 138, 167, 208, 261—264, 267—
 271, 275—288, 298, 303.
 ინანკათ-უბანი 253.

ინდოეთი, ინდოელი 18, 19, 22, 24, 25,
 55, 88, 104, 140, 144—146, 167—169,
 239, 240, 244.
 ინდუსა 46, 47.
 იორი 288—290, 309, 312.
 იტალია, იტალიელი 77, 104, 164, 221.
 იფნევი (ქვენა) 177.
 იყალთო 33, 36—38.

კ

კაკასია 32, 82, 90, 98, 108 (ჩრდ.), 110,
 149, 186, 251, 295.
 კაკი 44.
 კალჯანა 168.
 კამბეჩანი 9, 278, 288—291, 294, 295,
 311, 312.
 კამბისენე 288, 289.
 კაპაბთა 308.
 კარალეთი 200.
 კარი (ყარსი) 124, 230, 311.
 კარნუ-ქალაქი 125, 128.
 კაცხი 262.
 კაწარეთი 289.
 კახეთი 8, 9, 28, 30, 36, 44, 82, 96, 98,
 109, 131, 199, 200, 253, 256, 269, 278,
 279, 282, 286—291, 294, 295.
 კახეთის თავი 288.
 კახეთის მთა 288.
 კელასური 99.
 კეჩროლი 125.
 კვერეთი 261.

კიევი 107, 108.
 კიმოტეხსმანი 63.
 კიპრი (კვიპროსი) 202, 231.
 კლარჯეთი 28, 295, 299.
 კლერეოსი 202.
 კნოლვეი 271.
 კოდი 36, 38.
 კოდიანი 36, 38, 65.
 კოლა 168.
 კორიდეთი 307.
 კონსტანტინოპოლი 56, 193, 231.
 კოპაძე (სოფ.) 44.
 კოხტისთავი 102, 126, 128, 296.
 კრცხილოვანი 266.
 კუმურღო 65, 294.
 კუსირეთი 271.
 კუფური (ქალ. კუფუ) 84, 85.
 კუხი 276.
 კუხეთი 278, 280, 288—291, 293, 294,
 309, 311.

ლ

ლაბეკინი 302, 303.
 ლაგოდები 44.
 ლაზიკა 232.
 ლაშარის-ჯვარი 187.

ლენინგრადი 82, 141.
 ლენჯერი 296, 298.
 ლეპატარავე 138, 141.
 ლეჩხუმი 30, 298, 302.
 ლიხვი 134, 261, 268.

ლიკანი 53, 253, 254.
ლიჩი 265.
ლიხთ-იმერეთი (ლიხთ-იმერი) 101, 102,
259, 260, 281.
ლიხის მთა 261, 268.

ლომის მთა 255.
ლომსათ-უბანი 253—255.
ლოწობანნი 294, 295, 298.
ლუბია 113.

მ

მაგარას (მალაროს) მთა 61.
მაკარაენქი 186.
მალაჩათ-უბანი 253.
მანავი, მანაველი 309, 312.
მანგლისი, მანგლისის ხევი 82, 292.
მარაბლა 47.
მარანი (სოფ.) 175.
მარდი 66.
მარმეტი 229.
მარსელი 174, 251.
მარტვილი 100, 101.
მარტყოფი 132, 311.
მადრან-დვალეთი 134, 312.
მაყურაზ 253—255.
მელქუაძე (სოფ.) 253.
მელრუქ (რუს. მეგრუქ) 255.
მესტია 302, 303.
მესხეთი 45, 46, 61, 208.
მეხრიკისი (მეხრიკისი) 255.

მეტეხის მონასტერი 51.
მთაწმილა (საბერძნ.) 202, 231.
მთიანეთი 290, 312.
მთიული, მთიულეთი 121, 134, 136, 137,
292, 312.
მიღია, მიღიური 26.
მინაძე (სოფ.) 40, 44, 59, 60.
მირზაანი 42.
მიხრიკისი 273.
მოზაღდადე 55.
მოლინახე 261, 264, 269, 270.
მონღოლეთი 55, 129, 281.
მოსკოვი 31, 34, 99, 157, 203, 207, 229.
მრავალძალი 265.
მტკვარი 7, 9, 13, 29, 30, 33—35, 37,
38, 40, 43, 45, 63—66, 163, 253, 254,
268, 288, 290, 294.
მულაზანზარი 23, 168.
მური 232.
მუხრანი 175, 198.

ნ

ნაქალაქარი 279, 295.
ნაქალაქევი 232.
ნაქერალას მთა 262.
ნაქარმავევი 50, 180, 200, 311.
ნახჩევანი 256.
ნახუცვართ-უბანი 253, 254.
ნილოსი 178.
ნიმროზი 169.
ნორაენქი 285.

ნოლო-ხაში 270.
ნუა 64, 253—255.
ნუა I 268, 274.
ნუა II 268.
ნული 268, 271, 274.
ნუზალი 230.
ნუხა 279, 280, 295, 312.
ნუხპატი 290, 295, 312.

ო

ობეზა 107.
ოღიში 100—102, 104, 138, 147, 250, 251,
253, 270, 296, 297, 299.
ოთა 286.
ოლიმპი 33.
ორბეთი 135.
ორიმაშენი 126, 128, 129.
ორჯაჯა 42.
ორმოცი ციხე 35, 36, 38.

ორკობი 294.
ოღიში 100—102, 104, 138, 147, 250.
ოსმალეთი 40, 61, 104—106, 208.
ოქონა 263, 264, 266.
ოქუმი 270.
ოშორა 42.
ოხანი 42.
ოჰანუ-ვანქი 5.
ოჩამი 303.

პ

პალესტინა 71, 76, 85, 179, 183, 202,
225, 230.
პანკელი 307.
პარიზი 85, 90, 113, 144, 178, 196, 227,
303.
პატარაშენი 35, 37, 38, 177.
პენჯაბი 168.

პეტერბურგი 13, 69, 111, 149, 163, 182,
184, 191, 194, 222.
პეტროგრადი 32.
პეტრეს-ციხე 64, 253, 255.
პოლონელი 77.
პორტუგალია 107.
პლჰაპანი 285.

ჟ

ჯალეთი 295.
ჯინეანი 8, 9, 132—135, 312.

რ

რაკისი (მღ.) 43.
რაკისის-წყალი 43.
რანი 163, 279, 282, 290, 295, 296.
რაჟა 30, 53, 75, 260, 261, 299, 302, 303
(ქვემო-რაჟა 302, ზემო რაჟა 302).
რეი 56.
რკონი 130, 192.
რიმა-კალა (რიშას-ციხე) 8, 291, 293.
როკეთი 35.
რუისი 50, 51, 228.

რუმი 279.
რუსეთი 55, 78, 110, 256, 275.
რუსთავი კუხეთის 4, 5, 7—9, 27, 31,
33, 121, 278, 280, 290—295, 309, 311.
რუსთავი სამცხის 5, 26—29, 31, 33—35,
37, 38, 40—43, 45, 45—48, 59, 61, 65,
66, 99, 132, 171, 176, 177, 260, 261,
272, 273.
რუსთავი (ცხინვალთან) 268, 272—274.
რუსთავის მთა 268, 269, 271, 274.

ს

საათაბაგო 31, 33.
საბაღურის მთა 6.
საბერძნეთი 147, 152, 202, 224, 231.

საგურამო 294, 312.
სადადიანო 270.
საღგერი 63—65.

საინგილო 44.
საკეკასიძო 28.
სამაჰმადიანო 146.
სამეგრელო 101.
სამესხეთო 28, 62, 163, 207.
სამშვილდე 47, 109, 279.
სანაინი 62, 160, 161, 306.
სანდურ (სანდარ) 167.
სანტ-იაგო დე ჩილე 227.
სამცხე 4—7, 11, 26, 27, 29, 30, 34, 42,
45, 81, 125—128, 171, 253, 256—258,
261, 263, 268, 269, 271, 272, 274, 275,
303.
სამძივი (სამზიო) 64.
სამხრეთ-ოსეთი 29, 30.
საპატარაიე 138.
სარკინოზი 71, 118.
სარო, საროდ 168.
საფალავნიშვილო 261.
საფალავანიშვილო 261, 263, 271, 274.
საფრანგეთი 77, 78.
საქართველო 33, 34, და სხვ.,
სულ 63-ჯერ.

ტანის-წყალი 200.
ტაო 299.
ტბეთი 37, 38, 285.
ტაშირი 294.
ტაშისკარი 66.
ტბეთი 37, 38, 285.

უბისი 304.
უკანამხარი 291.
ულუმბო 258, 261, 264, 265, 266, 276.
ულვას მთა 42.
უნგრეთი 194.
ურაველი 40.

სალამო 81.
საყუევარი 39.
საჩინო 166, 167.
საჩხერე 263, 269, 272.
საკუიონდლო 101.
საჭავჭავიანო 67.
სევანეთი 84, 298, 302, 303.
სინდეთი 168.
სინის (სინას) მთა 113, 202, 231.
სიონი 49, 51, 178 (ახალი).
სირია 63.
სლესა 163.
სომხეთი 5, 98—100, 264.
სომხითი 100.
სპარსეთი, სპარსელები, სპარსნი, სპარ-
სული, 73, 76 და სხ., სულ 81-ჯერ.
სპერი 97, 98, 100.
სოხოსტა 208.
სტამბოლი 104.
სურამი 254, 314.
სუჯეთი 289, 311.
სხვაეა 53.
სხვიტორი 261.

ტ

ტიმოთის-უბანი 63.
ტობა 40, 41, 44, 47, 48, 59—61.
ტრაპიზონი 34, 99, 107, 165, 172, 173,
177, 230, 231.
ტროია 59.
ტფილისი (თბილისი) 7, 10, და სხ., სულ
62-ჯერ.

უ

ურაველის-წყალი 43.
ურაველის ხეობა 66.
ურბნისი 50, 51, 228.
ურიკარი 138.
უწლეთი 265.
უჯარმა 289.

ფ

ფალავან-იურტ 257.
 ფალავან-ვირდი 257.
 ფაფა 254.
 ფელივან-ვერდი 257.
 ფერის-ციხე 46, 171, 175, 272, 273.

ფერის-წყალი 46.
 ფერსათი 66, 67.
 ფოცხოვი 15.
 ფცა 261, 263, 267, 271.

ქ

ქალან-ყიშლა 46.
 ქამბეჰან 289.
 ქართლი 8, 10, და სხე., სულ 57-ჯერ.
 ქართლი, ზემო — 33, ქვემო — 67, 73,
 75, 179, 275, 293, შიდა — 27, 29, 30.
 ქაშვეთი (= სადგერი) 63, 253.
 ქაჭეთი 145.
 ქვაბის-ხევი 254.
 ქვაბლიანის თემი 66.
 „ „ ხევი 65.

ქვემო-იმერეთი 30, 299.
 ქვემო-კუხეთი 311.
 ქიაჩი 275.
 ქიზიყი 42, 96, 291, 312.
 ქილისან-აღა (საყდრის აღა) 45.
 ქსანი 79, 82, 97, 245, 275, 294.
 ქუთაისი 30, 238.
 ქურთა 266, 268.
 ქცია 42, 291.

ღ

ღალიძგა 270.
 ღანუხი 312.
 ღობიეთი 65.

ღრომა 42.
 ყვირილა, მდ. 269.

ყ

ყარზახი 256, 257.
 ყაფის მთა 169.
 ყვიბისი 65, 66, 253.

ყვირილა მდ. 269.
 ყორნისი 271.

შ

შავი მთა 202.
 შავშეთი 37, 285.
 შაკიხი 295.
 შამახია 290, 312.
 შიდა-კუხეთი 311.
 შამი 164.
 შამქორი 115, 124, 127, 230.
 შაქი 279, 280, 290, 291.
 შიდა-ქართლი 27, 29, 30, 66, 256, 260,
 263, 267, 268, 273, 275.

შიო-მღვიმე 48, 50, 132, 249.
 შიდა-კამბეჩანი 312.
 შიდა კუხეთი 311.
 შირაკი 67.
 შირაქი 42, 278, 288, 312.
 შირვანი (შარვანი) 163, 211, 212, 215,
 271, 282, 283, 290, 314.
 შოთას ფაგი (ნასახლარი) 46.
 შუა აზია 164.
 შუამდინარე 164.

ჩ

ჩალან-უსუნ, მდ. 312.
 ჩაჩარაკი (ზემო და ქვემო) 40, 43.
 ჩახრალის-წყალი 43.
 ჩახრახელის-წყალი 43, 48.
 ჩახრახი 37—39, 41—44, 252, 272
 ჩახრახის-წყალი 42, 43, 257, 258.
 ჩახრახის ხევი 43.
 ჩახრუხა (ჩახრახი?) 44.
 ჩახრუხაანთ-უბანი 272.
 ჩახრუხაანთ ფაგები (ნასახლარები) 46.

ჩიტიკიბე 42.
 ჩიხა 262, 269, 272.
 ჩიხორი 272.
 ჩიხურა 261.
 ჩხარი 272.
 ჩხერიმელა 272.
 ჩხერის-ციხე 272.
 ჩორჩანი, ჩორჩანელი 36, 200.
 ჩორჩო-აგარა 36, 37.
 ჩუმლაყი 309.

ც

ცაიში 149.
 ცერონისი 271.
 ციხე-გოჯი 232.
 ციხის-ჯვარი 67.
 ცურტავი 285.
 წითელი-ჯვრის ხევი 66.

ცხაეტი 312.
 ცხიწელი 267, 268, 271.
 ცხრაწყარო 64.
 ცხევერი (ცხირეთი) 294.
 ცხუმი 137, 299.

ძ

ძალინა 271.
 ძალინის-ხეობა 256.

ძაგნაკორანი 295.
 ძევერა 287.

წ

წალკა 36, 307.
 წანარი 50.
 წალვეერი 265, 266.
 წალელი 265, 266.
 წითელი-ჯვრის ხევი 66.

წირქვალი 265—267.
 წურწყაბი 65.
 წყალბილა 47.
 წყორძა 40

კ

კართალი 312.
 კაქარაკი 40, 41, 48.
 კახრაკა-ხევი 42.
 კიაურა 294, 309.

კობარეთი 99.
 კობარეთის ქელი 65, 66.
 კოროხი 97.

ბ

ბაზარეთი 55.
 ბანდა 42.
 ბანდო 42.
 ბატრაი 168.
 ბევი 13, 53, 54, 60, 62, 63, 66, 69, 253,
 258, 273.
 ბეობა 65, 66, 171, 276.
 ბერთვისი .65.
 ბერკი 295, 312.
 ხვარაზმი 240.

ხვარასანი (ხორასანი) 56, 107, 108.
 ხობი (ხოფი) 76, 101, 102, 287, 288.
 ხონი, ხონელი 3, 24—26.
 ხორანთა 289, 311, 312.
 ხორეზმი 169.
 ხორინი (ხორენა) 41.
 ხორნაბუჯი 288, 295, 296, 312.
 ხრამი, მდ. 294.
 ხოშორნი 67.

ჯ

ჯავახეთი 29, 30, 37, 41—43, 46, 62, 81,
 82, 124, 128, 257, 276, 294, 299.
 ჯავახი 62, 68.
 ჯაუისმანი 65.
 ჯვარის მონასტერი იერუსალიმში 44, 45,
 49, 51, 68—75, 78—80, 84, 86, 101,
 102, 113, 117, 138, 178, 180, 184, 197,
 230, 231, 245—247, 250, 253, 266,

275, 308, 309, 312, 315.
 ჯვარი 292.
 ჯვარინი 41.
 ჯინისი (ქვემო) 179, 302.
 ჯაუქი 263, 264, 268, 270.
 ჯრუქულა 261, 263.
 ჯუგაანი 42.

ჰ

ჰლარძინი 306.
 ჰერეთი 7, 9, 30, 130, 119, 278—287,

289—291, 293—296, 301, 309, 311,
 312.
 ჰნევაქი 305.

ს ა რ ჩ ე ვ ი

I

ხაკითხი შოთა რუსთაველის წარმომავლობის შესახებ ლიტერატურაში დროისა და ადგილის მხრივ 1

1. აზრები შოთა რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში 3
2. აზრები შოთა რუსთაველის სადაურობის შესახებ 6

II

შოთა რუსთაველის ცხოვრების დრო

3. ძირეული ცნობები შოთა რუსთაველზე 12
4. ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხი 14
5. ვეფხისტყაოსნის ბოლო ნაწილი 19
6. შოთა სამცხის რუსთაველიანაა; გადმოცემანი შოთას შესახებ 26
7. სოფ. ჩახრახი და მისი საძოვარი 39
8. რუსთავი 45
9. გრიგოლ ჩახრუხასძე 48
10. პოეტ ჩახრუხასძის უფროსი ძმა 54
11. რუსთაველის თემი; სამცხე, თორი, თმოგვი 59
12. იერუსალიმის ჭვარის მონასტრის შოთას პორტრეტი 69
13. შოთას სხვა პორტრეტები 89
14. შოთას სახელი 95
15. შოთა რუსთაველი ოდიშის მიმართ 100
16. მაღალი განათლებისა და აღზრდის საქმე ფეოდალურ საქართველოში 104
17. შოთა — თამარის მეორე მემატინის ავტორი 110
18. საკითხი სკარამანგის შესახებ 115
19. შოთას აღაპის ჩანაწერი იერუსალიმის ჭვარის მონასტერში 117
20. შოთა როგორც შექურქულეთუხუცესი 120
21. იყო თუ არა თბილისის მხარის რუსთავი შოთა რუსთაველის ხელში 131
22. მთავარეპისკოპოს გრიგოლ დრანდელის საკითხი 137

III

ვეფხისტყაოსნის ხიუეეტის წარმომავლობის საკითხი

23. სიუეეტის საკითხი ლიტერატურაში 140
24. ვეფხისტყაოსნის სიუეეტის საკითხი 143
25. ვეფხისტყაოსნის მსგავსი ქართული პროზული თხრობის შესახებ 167

IV

ფაქტობრავე ცნობების შექამება შოთა რუსთაველზე და ვეფხისტყაოსანზე

26. შექამება ცნობებისა შოთა რუსთაველის წარმოშობასა და ბიოგრაფიაზე 171
27. ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღისათვის 184

ჩინდული ინსტიტუციები ფეოდალურ საქართველოში და ეფხისტყაოსანი

•••	187
28. ფეოდალური საზოგადოება	188
29. ჩინდობა დასავლეთ ევროპაში	193
30. საკარგავების რეორგანიზაცია და მოყმეთა ინსტიტუტის დაწესება საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს	198
31. იყო თუ არა საქართველოში სარაინდო ორგანიზაცია — ორდენი	200
32. მოყმეთა როლი ქართულ ფეოდალურ ლაშქარში	203
33. ქართველი ჯარის სამხარე განლაგების წესი	207
34. მოყმეთა ქაბუკობა-რაინდობა საქართველოში	209
35. ქართველ მოყმეთა (რაინდების) თვისებები და მ მდინაფიცობა ეფხისტყაოსანში	215
36. ქალის კულტი ეფხისტყაოსანში	219
37. ზოგი რამ დას. ევროპის ლიტერატურული პარალელებიდან	220
38. ეფხისტყაოსანი როგორც ყოფაცხოვრებითი ნაწარმოები	226

VI

სხვადასხვა

39. თამარის დროინდელი ქრონოლოგიის საკითხები	228
40. შოთა რუსთაველი და ეკლესია	230
41. ზოგი რამ ეფხისტყაოსანის მსოფლიო მნიშვნელობაზე	233
42. ეფხისტყაოსნის ხელნაწერების თარიღები	237
43. ეფხისტყაოსნის გავრცელებანი	239

დამატება I

ვარაუდი შოთა რუსთაველის წარმომავლობაზე	245
შოთას დედ-მამის ვინაობის საკითხი. ფალავანდიშვილების გვარის შესახებ. ფალავან- დიშვილების და ამირჯიბების წარმომავლობა გაბელიძეებისაგან. დასკვნა შოთა რუსთავე- ლის შესახებელი გვარის შესახებ.	

დამატება II

შენიშვნები ბ. ინჯოროყვა რუსთაველიანას ეპილოგის შესახებ	277
--	-----

შესავალი. შეიძლება თუ არა შოთა კუპრის გაიგივება შოთა რუსთაველთან. ტბელის საკითხი. თბილისის მხარის რუსთავის მდებარეობა ისტორიულ გეოგრაფიის თვალსაზრისით. ქუხეთის რუსთავი და არიში. ჰერეთის ბაგრატიონთა ბედი. ბორენას საკითხი. ვაზირები XII—XIII საუკუნის საქართველოში. შენიშვნები რუსთველიანას ეპილოგის ცალკე საკითხებზე. რუსთველიანას ეპილოგის რუკა. საკითხი შოთას მოსახსენებლის შესახებ ჯვარის მონასტრის აღაპებში.

პიროვნებათა სახელებს სძიებელი	317
გეოგრაფიულ სახელთა სძიებელი	332

Какабадзе Саргис Несторович

Руставели и его поэма
„Витязь в тигровой шкуре“

(на грузинском языке)

რედაქტორი შ. ამისულაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ო. შალამბერიძე
მხატვარი გ. გორდეღაძე
მხ. რედაქტორი ზ. კახანაძე
კორექტორები: მ: ლატარია თ. ხატიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/X—66 წ.
ქალაქის ზომა 70×90; ნაბეჭდი თაბახი 21,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20,41

ფასი 1 მან. 68 კაპ.

შეკვეთა № 833

უე 00369

ტირაჟი 5.000

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კაპოს ქ., № 18.

Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, № 18.

1966

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.